



1(11)
2015

საგურამო

ლიტერატურული ჟურნალი



1(11)

2015

შინაარსი

თანამდები სულები

3. ნიკო ნიკოლაძე მამულის სიყვარული და მსახურება

პრემია

16. „საგურამო“ — 2014

უკანასკნელი მოჰიკანი

25. ნინო ჩხიკვიშვილი სისხლიან 37-ში ვინ გამოალო იმედის ფანჯარა?

თვალსაზრისი

35. ზურაბ ხასაია ფიქრები გრანელის სიახლოვეს

პორტრეტი

40. ემზარ კვიციანი ახლოდან დანახული თამაზ ჩხენკელი

რეცენზია

57. მაია ჯალიაშვილი სუნთქვა მარადისობისა

IN MEMORIAM

66. თამაზ ჭკუასელი გაღიმებული ცრემლი

მესამე ლექსი

73. მედეა როგავა საგამოცდო კაფია-გაღიქსებანი

ღებენდა და სინამდვილე

78. შოთა მირიანაშვილი მყინვარნვერი, ბეთლემის გამოქვაბული და ბეთლემის ეკლესია ნაცარქედზე

ახალი თარგმანები

86. ანდრე მორუა დონ ჟუანი ანუ ცხოვრება ბაირონისა (თარგმნა დავით კახაბერმა)

125. ლევ ტოლსტოი დღიურებიდან (თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ)

137. ვასილი როზანოვი დიდი ინკვიზიტორის ლეგენდის შესახებ

(თარგმნა თამარ კოტრიკაძემ)

151. პავლე ჭავჭავაძე ამბავი ფრანგი ქალისა (თარგმნა თამაზ ნატროშვილმა)

158. ჯიბრან ხალილ ჯიბრანი წინამორბედი (თარგმნა ნინო დოლიძემ)

169. XX საუკუნის რუსული პოეზიიდან (თარგმნა ნინო დარბაისელმა)

177. ბიბლიოგრაფია

მთავარი რედაქტორი
ანდრო ბედუქაძე

რედაქტორები
ივანე ამირხანაშვილი
ურა შერაზადიშვილი



ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია

ტელ.: 551 18 37 76
saguramomag@gmail.com



ნიკო ნიკოლაძე

მამულის სიყვარული და მსახურება

შესავალი

ღვთის მადლით ფხიზლდება და იღვიძებს ნელ-ნელა ჩვენი ქართველობა, მოძრაობას იწყებს ცოტ-ცოტად ჩვენი ქვეყანა. როგორც იქნა, იმ დღესაც მოვესწარით, როცა ქართველ კაცსაც საზოგადოებრივი გრძნობა გაუფუდა ტანში, ის გრძნობა, რომელიც გვაგებინებს, რომ ბევრი რამ ჰკლებია ჩვენს ქვეყანას, ბევრი საერთო საჭიროება გვექონია... ამ ოცი, თხუთმეტი წლის წინათ ჩვენში ამგვარი გრძნობისა ან გაგების ხსენებაც არ ყოფილა. მოვიგონოთ ის წყეული და ბნელით მოსილი დრო, რომელიც ამას იქით ღმერთმა ნუ მოასწროს ჩვენს მამულს! გახსოვთ, ხომ, თითოეული კაცი რომ მარტო თავისთავად და თავისთვის მოქმედებდა. მას მეტი რამე მიზანი როდი ჰქონია — ჩინი ვიშოვნო, სამსახურში დავწინაურდე, შეძლება შევიძინო. მისი კეთილის-მყოფელი მარტო ის იყო, ვინც ამ ჩინის შოვნას უადვილებდა, ვინც ამ დანინაურებაში ეხმარებოდა ან ამ შეძენაში ხელს უწყობდა. ქვეყნის დამლუპველიც რომ ყოფილიყო ის კაცი, რომელიც ჩვენი ჩინის ან ადგილის მიღებაში გვეხმარებდა, ჩვენ მაინც თავვანს ვცემდით მას, მაინც ღმერთად მიგვაჩინა: ყოველი მისი სურვილი ჩვენთვის კანონი იყო.

იბეჭდება შემოკლებით. წიგნიდან: ნ. ნიკოლაძე, მამულის სიყვარული და მსახურება, ქუთაისი, ქ.მ.წ.კ.გ. საზოგადოების სტამბა, 1914

რაკი ეს კაცი პირადათ ჩვენ გვაბედნიერებდა, როდელია ვგრძნობდით, რომ მთელის ჩვენის ქვეყნისთვის ის იქნება მავნებელი ყოფილიყო. სხვის რა ჯავრი მაქვსო, ფიქრობდა ჩვენი კაცი, მე ხომ მრგებსო, მე ხომ მწყალობსო! ჩემთვის კი კარგი იყო, და დანარჩენმა ქვეყანამ თუნდ თავი შავ ქვას ახალოსო!.. ყველა ჩვენგანი ამ აზრის იყო, ყოველი კაცი ცალკ-ცალკე სდევდა თავის ბედს, კერძოდ ეძებდა საკუთარ კეთილ-დღეობას... თუ დავინახავდით, რომ ეს ჩვენი კერძოდ გამაბედნიერებელი ჩვენს მეზობელს არ წყალობს, ჩვენც მის ნაბაძვით, მის მოსამადლიერებლად, ამ მეზობლის მტრად ვიქცევოდით. ვაბეზლებდით ამ მეზობელს, ვდევნიდით, ვანვალებდით... იმის მოსაზრება ჩვენ როდი გვექონდა, იქნება ბედის ჩარხი უკუღმაც დატრიალდეს, და ხვალ საკუთრად ჩვენ დაგვიწყონ დევნა ან ნვალება, ისე, როგორც დღეს ჩვენს მეზობელს ეპყრობიან ჩვენის შემწეობით... ხშირად ვხედავდით ხოლმე, რომ ჩვენს ხელის-გამწყობელს ჩვენი ენა არ მოსწონდა, ჩვენი ჩვეულება არ ეპიტნავებოდა. ჩვენც, მის სასიამოვნოდ, შეურაცხყოფით ვეპყრობოდით ამ ენას და ჩვეულებას. ვიმეორებდით: ქართული ენა რაღათ ვარგაო, ქართული ჩვეულება რის გამოსადეგიაო... კი არ გვეშინოდა ქართულად ხმის ამოღების, გვრცხვენოდა, გვეთაკილებოდა, გვეგონა გლეხკაცად, „მუჟიკად“ ჩავგვთვლიან, თუ რუსულად არ ვისაუბრეთო... ვის ჰქონდა მაშინ იმის გაგება, და ვინ იტყოდა, რომ ჩვე-

ნი პირადი კეთილდღეობისთვისაც საჭირო არისო დედა-ენის ცოდნა, თანამემამულეების ძმობა, მათი დახმარება...

გახსოვთ, კიდეც, ოთხიოდე ახალგაზრდა კაცი გამოგვეზარდა, ამ ოცი წლის წინათ, რომელთაც ქადაგება დაიწყეს, წერით თუ სიტყვით, ქართველები ვართო, ქართულ ენას ნუ დავივიწყებთო, ქართული მწერლობა აღვადგინოთო, ერთობა და ძმობა ვიქონიოთო, ერთმანეთს ხელი გავუწყოთ და დავეხმაროთო, ამითი, მხოლოდ ამითი შეიძლებაო ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესება... რა ხარხარი დააყარა მათს ქადაგებას ჩვენმა საზოგადოებამ, რომელიც ამ დროს მარტო ჩინოვნიკებისა და აფიცრებისაგან შედგებოდა!

— ქართულმა ენამ რა უნდა მარგოსო, ფიქრობდნენ და ბძანებდნენ მაშინ ჩვენი ტუზები, ჩვენი ჩინიანი და გავლენიანი ქოსები. მე თქვენ მოგახსენებ, ჩინს მომცემენ ან ჯამაგირს მომიმატებენ ქართული ენის ცოდნისთვის! რა საჭიროა ეს ქართული ლექსები ან ჟურნალები? უსაქმოობის გამო სჯლახნიანო ეს ჩვენი თერგდალეულები... ბევრს უნდა ახსოვდეს დღესაც ეს და ამგვარი „გონიერი“ სიტყვები ჩვენის ქოსებისა...

გავიდა ოცი წელიწადი. რაღას ვხედავთ დღეს? ვხედავთ, რომ თვითონ ეს ქოსებიც კი გრძნობენ ქართული მწერლობის საჭიროებას.

I

მარტო ჩვენს ქვეყანაში კი არ მომხდარა რომ ხალხს დიდი-ხნობით დავინწყებულნი ჰქონოდეს თავისი თვისტომობა და შემდეგ აღძრულიყოს მასში, შემდეგ გაძლიერებულიყოს საზოგადოებრივი გრძნობა, მამულის სიყვარული, მამულის მსახურება. დედამინაზე ერთი ძლიერი ხალხი არ არის ისეთი, ერთი კაკალი, რომელსაც ეს მდგომარეობა არ გამოეველოს, რომლისამე სხვა ხალხის გონებითს გავლენას ქვეშ არ ეცხოვროს და ბოლოს თავისი თვისტომობა არ გაეხსენებოს. ზოგმა დიდი ხანია რაც მოიპოვა ეს თავისი თვისტომობა, ზოგმა გუშინ შეიძინა ის, ზოგი კი დღესაც მისი შოვნისთვის იბრძვის, ან მის მოპოებაზე შრომობს და ზრუნავს.

მეოთხე პერიოდი კი მაშინ იწყება, როცა ხალხი ამ მესამე პერიოდის უნაყოფოე-

ბასაც იგრძნობს. მაშინ ის გამორკვევას იწყებს, თუ მისი საკუთარი ბუნება რას მოითხოვს, მისი ძალა რის ნებას აძლევს, სხვა ხალხის ძლიერება რამ შეადგინა, სხვებს რა აქვთ კარგი, ისეთი, რომლის შეთვისებაც მის ბუნებას შეუძლია, და თვითონ მას რა ჰქონია ცუდი, ისეთი, რომლის თავიდან მოშორებაც შესაძლოა. ამ პერიოდს ჩვენში საკუთარი სახლი არ აქვს, ამიტომ რომ ჩვენ ეს დრო არ გვღირსებია. რუსულად კი ამას ჰქვია **Период самобытного творчества** და ჩვენებურად, თუ გნებავსთ, ასე იყოს: თავისებური შემოქმედების პერიოდი.

II

მიბაძვის პერიოდი ერთობ გრძელი იყო ჩვენში. ბუნებას ჩვენი ქვეყანა იმისთანა ადგილს მოუთავსებია, საცა ათასნაირი ხალხი იყრიდა თავს, თითქო ისეთს მოედანზე, რომელზედაც ერთბაშად ოცი თუ ოცდაათი ქუჩა გამოდის... ჩვენს სამშობლოს ჯერ ერთი ხალხი მოადგებოდა კარზე, მერე მეორე, მერე მესამე და სხვ. თითქმის ყველანი კი ჩვენზე გაძლიერებული ყოფილან. ერთის გაცნობას ვერ მოვასწრებდით, მისი დანინაურება გაგვეგო, მისი ხეირიანი ჩვეულებანი შეგვეთვისებია, აკი მეორე მოგვადგებოდა, პირველზე უფრო ძლიერი ან დანინაურებული. ვინყებდით, მაშინ, ამ ხალხის გაცნობას ან შეთვისებას... ერთიც ვნახოთ, მესამე მობრძანდებოდა, ორივეზე უმჯობესი, მერე, მეოთხე და მეხუთე. რა უნდა გვექნა ამ მდგომარეობაში, რა გვეშველებოდა? უბრალო სტუმრად რომ მობრძანებულიყო ყველა ეს ხალხი, კიდეც რასმე მაინც მოუხერხებდით. შეგვეძლებოდა მათი კარგი და ავი გონიერად გაგვეცნო, მათი სიკეთით გვესარგებლა, ან მათს ცუდს ავშორებოდით. მაგრამ ისინი სტუმრად კი არა, დამგლეჯ-გამაოხრებლად მოდიოდნენ ჩვენსა. თითოეული ეს წვეულება ჩვენი ხალხისთვის აკლება იყო. თითოეული მათგანი ჯერ თავ-პირს დაგვამტვრევდა, მერე ბატონად გვიჯდებოდა სახლში, მშვიერად და ლატაკად გვტოვებდა... ვის ექნებოდა დრო გონიერად დაკვირვებოდა მათს კარგსა და ავს? განუმარტებლად, უბრალო შეჩვევის ძალით, გვრჩებოდა თითოეულ ამ ხალხისგან უმთავრესი მისი ზნე, სწორედ ისე, როგორც დიდ ჯარში, ან ვაება ხალხის

გროვამი გარეულ კაცს ყოველი მისი შემხვდომის ჩირქი ან ტალახი ედება, და კარგი რომ კი ძვირად ხვდება...

ამ სახით მონგოლებსაც კი ვბაძავდით დიდხანს ძალა-უნებურად, სპარსელებსაც, თათრებსაცა და ლეკებსაც. ზოგმა ქუდი დაგვიტოვა, ზოგმა შარვალი, ზოგმა სიზანტი, ზოგმა ორპირობა... ხეირიანი და მაგარი ბუნება რომ არ გვქონოდა, ჩვენ სისხლში რომ ის დაუნდობელი და დაუმრეტელი ძალა არ მდგარიყო, რომელიც ზოგიერთს რჩეულ ხალხს უკვდავებას აძლევს, დიდი ხანია რაც დედამინის პირიდგან ქართველებისა და საქართველოს ხსენებაც კი გაქრებოდა.

რომელ თვისტომობას უნდა დავუბრუნდეთ, დავუახლოვდეთ? რომელ დროსა ან რომელს ზნეს უნდა დავუბრუნდეთ როცა ქართველობას სპარსეთის დაღი ეკრა, თუ როცა თათრების გავლენის ქვეშ ყოფილა ჩვენი ქვეყანა, როცა თათრების ჭკუით ვცხოვრობდით და ვიკვებებოდით, თუ როცა საბერძნეთი გვპატრონობდა, როცა ბიზანტიის სწავლით გაბრწყინებულ იქნა მოკლე ვადით ჩვენი ბნელი ცხოვრება? რა ზნე და წესი უნდა გვიყვარდეს, რა წყობილებისკენ უნდა მივსწრაფებოდეთ, რაში უნდა ვხედავდეთ ჩვენს იდეალს, რას უნდა ვსვთვლიდეთ კარგად და ავად? ხომ შეუძლებელია ყველა ამ კითხვის განმარტება და გარჩევა, სანამ არ დაარსდება ჩვენში ხეირიანი ისტორიული შკოლა, სანამ ისეთი ხეირიანი ისტორიკოსები არ გაგვიჩნდებიან, რომელთაც ჩვენის ხალხის ძველი ცხოვრება გამოიკვლიონ და ის სიბნელე თვალიდან მოგვაშორონ, რომელიც ჩვენს წარსულს გვიმაღავს?

სანამ ამნაირი ისტორიკოსები არ გვეღირსებიან, სანამ მათის შემწეობით ჩინებულად არ გაიგებს ჩვენი ხალხი თავის წარსულ ცხოვრებას, მანამდე იმ ახალ პერიოდში, რომელშიაც ჩვენი ქვეყანა ამ ხანებში შესულა, ერთობ დაბნეულად, უთავბოლოდ და უმნიშვნელოდ წაჩოჩდება ჩვენი ხალხის გონებითი წინ-წაწევა. დღეს რომ ჩვენ ამისთანა ისტორიკოსები გვყვანდეს, დღესვე ზედმინვენით რომ ვიცნობდეთ ჩვენს წარსულს, ეს ისტორიული პერიოდი იქნება მარტო თუთხმეტიოდე წელიწადს გაგრძელდეს ჩვენში, მეტს კი არა. მაშინ, რაკი ასე მალე მოვიხდით ამ სახადს, ად-

ვილად შეგვეძლებოდა ისტორიულ ცხოვრებაში შემდგომი ნაბიჯი გადაგვედგა და ჩვენი საკუთარი მუხლების ძალა გვემინჯა... დღეს კი უთავბოლოდ უნდა ვიბოდილოთ, და ვინ გვეტყვის — რამდენ ხანს, რამდენს წელიწადს, ან იქნება საუკუნესაც გასწვდეს ეს „დროებითი“ პერიოდი ჩვენის ხალხის ისტორიული განვითარებისა?..

III

წელანაც ვახსენე სამჯერ თუ ოთხჯერ ჩვენი პატრიოტები. მართლაც, იმ მოძრაობამ, რომელიც ჩვენს ქვეყანას ეღირსა ბოლოს, ჩვენში ბლომათ დაბადა ის მავნებელი და საზიზღარი ტიპი, რომელსაც მწერლობის უმჯობესი და უპატიოსნესი ნაწილი ყოველგან დევნის და რომელსაც ზოგან „შოვინისტებს“ ეძახიან, ზოგან „ვინრო პატრიოტებს“, ზოგან „КВАСНЫЕ“ და სხვ. — ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენშიაც ხმა და გავლენა მოიპოვა მათმა ვინრო და თვალეზ-დახუჭულმა ტვინმა...

საკვირველი ესაა, რომ ამ ვინრო ან ცრუ პატრიოტებს შუა ბევრი ისეთია, რომ ხმას როდი იღებდენ და ხალხს როდი აღვიძებდენ იმ დროს, როცა მამულის სიყვარული საშიში რამ იყო, როცა მამულის ერთგულ კაცს საზოგადოების ტაშის კვრა კი არა, უფროსების რისხვა და ლახვა ელოდა...

ისიც არის საკვირველი, რომ მას აქით, რაც საზოგადოებამ აშკარად გამოსთქვა თავისი მხურვალე თანაგრძნობა მამულის ბედზე, ისეთი პირებიც გაპატიოსდენ — გაცრუპატრიოტდენ, — ვინც უწინ პატრიოტობას სისულელედ სთვლიდა, ვინც აშკარად კოსმოპოლიტობდა, ვინც მე, მაგალითად, სულელად იმიტომ მთვლიდა, რომ პატრიოტია, მაშ, რასაკვირველია, სულელი იქნებაო! დახეთ ბედის ჩარხის ტრიალს! ეგევე პირები დღეს იმდენად გაცრუპატრიოტდენ, რომ ათიათასჯერ გადამაჭარბეს პატრიოტობაში!.. ადვილათაც შესაძლებელი იყო ჩემი გადაჭარბება: კრივი ჩემი ქვეყნის ბედნიერებად არასოდეს არ მიმაჩნდა, უმეცრებას ჩემს დღეში არ ჩავთვლიდი ჩვენის ხალხის იდეალად, არასოდეს არ ვიფიქრებდი და არ ვიტყოდი, ნეტავი იმ დროს მოვესწრო, რომ ჩვენს ქვეყანას ფარნავაზ მეფის დროინდელი წესები მიეღოს მეთქი... მაშასადამე, ახლა ყოველ ჩვენს ცრუპატრიოტს, ამგვარი ხე-

ნიკო ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება

პრული აზრების ცრუ-მომხრეს, ადვილად შეუძლია სთქვას ჩემზე, რომ მამული არ მყვარებია და მისი კეთილდღეობა არ მნამებია... მაგრამ ეს ყოველივერი გაკვირვით არის აქ თქმული. იქნება ეს ჩვენი „ცრუპატრიოტები“ მარტო ფარისევლობით არ იქცეოდნენ, იქნება სასწაულებრივი მათი უცები გაცრუპატრიოტება მარტო ანგარიშით არ იყოს მომხდარი, იქნება ზოგიერთ მათგანში მაინც მამულის მსახურების გულწრფელი სურვილი მოქმედებდეს. ამის გამო თავი დავანებოთ მათი საქციელის დაცინვას, მათს პიროვანს მხარეს და მათი საქმე ისევე გულდამჯდარად, გულგრილად, მეცნიერულად გავარჩიოთ.

აქ საჭიროდ ვსთვლი ხეირიანად განვმარტო ის ჩემი სიტყვა, რომლითაც ამგვარ კაცებს ვხატავ. „ცრუპატრიოტებს“ რომ ვარქმევ იმათ, ამ სიტყვით, იმას კი არ ვფიქრობ, ვითომც მამული მართლა ფეხებზე ეკიდოთ, ან მარტო ფარისევლურად ეძახდნენ თავის თავს პატრიოტათ. არა, მხოლოდ ის მაქვს მხედველობაში, რომ მათი მამულის სიყვარული შემცდარი და შემაცდენელი სიყვარულია. რომ უსაფუძვლო და უაზროა, მათი მოსაზრება, მათი გრძნობის საფუძველი, რომ ეს სიყვარული ხანდახან მტრობაზე უარესი გამოდის... მაგალითს მოვიყვან, ამიტომ რომ მაგალითით, ხშირად, საქმე უფრო ადვილად და მალე აიხსნება, ვინმეს ფილოსოფიური მოსაზრებით. მეტის-მეტათა და გულწრფელად უყვარს დათვს თავისი ბელი, ეს ხომ ყველამ იცის. მაგრამ ხშირად მოხდება, რომ ეს დათვი, სიყვარულით გატაცებული, ბელს ისე მაგრად იხუტებს გულში, რომ სრულებით ახრჩობს და ჰკლავს. ესეც ხომ ყველას გაეგონება. ფარისევლობით კი არ შვრება ამას დათვი, განგებ კი არ უნდა იმას ბელის სიკვდილი, გრძნობის უქონლობის გამო კი არ ჰკლავს იგი თავის შვილს, არა. ეს უბედურება მას იმიტომ ემართება, რომ უგუნური, არ ესმის, თუ რამდენად საჭიროა ჰაერი და მოძრაობა მისი ბელისთვის, თუ როგორ მომაკვდინებელია მისთვის ნამეტანი ალერსი და მოფერება... ნამდვილი გულწრფელი გრძნობა აქვს დათვს, მაგრამ მისი სიყვარული მაინც „ცრუსიყვარულია“, ამიტომ რომ მის ბელს ეს სიყვარული ჰკლავს. სწორედ იმავე ნაირად, ან იქნება უფრო ადვილადაც — როგორც აშკარა და

ნამდვილი მტრობა მოჰკლავდა. ყოველთვის, როცა რომელსამე გრძნობას, თავის გამოფენაში გრძნობის წინააღმდეგი შედეგი მოსდევს, როცა, მაგალითად, სიყვარულის გამოფენას მტრობის შედეგი მოაქვს, ამნაირად გამოფენილ გრძნობას ცრუ-გრძნობას უძახიან. მეც სწორედ ამის გამო ჩვენებურ პატრიოტობას „ცრუ-პატრიოტობის“ სახელს ვარქმევ... ამ ჩვენი ცრუ-პატრიოტობის დედა-აზრი, ბურჯი, მოედანი და ბურთი იმაში მდგომარეობს, რომ „ჩვენი მამული გვიყვარსო!“

„ჩვენი მამული გვიყვარსო“, — აი, რით ამპარტავნობს დღეს ჩვენებური კაცი. ეს სწორედ იმას ჰგავს, ამპარტავნობა იმით რომ დავინყო — ნმინდა ჰაერი მიყვარს, ან პური, ან ნყალი მეთქი.

ვის არ უყვარს თავისი მამული? სად მოიძებნება იმისთანა ქმნილება, რომელსაც დაბადებითგანვე თანდაყოლილი არ ჰქონდეს ამისთანა გრძნობა? კაცს კი არა, პირუტყვსაც კი აძლევს ბუნება იმ ადგილის სიყვარულს, საცა დაბადებულა, გაზრდილა და გათამამებულა ეს პირუტყვი. აიყვანეთ ძაღლი, თუნდ ხურჯინში ჩასვით, თავი მოუკარით, თვალი აუხვიეთ და ისე მოაშორეთ მის სოფელს, გადაატარეთ ცხრა მთა, — ნახავთ, რომ რამდენსამე დღეს იქით ის თავის სოფელს მოძებნის. თუნდა ახალ ადგილს უმჯობესი სასმელ-საჭმელი და მოვლა დახვდეს — მისთვის ეს სოფელი მამულია. სხვაგან ის ნუნუნობს, იტანჯება, და ხშირად კიდევ კვდება იმ ავთიმყოფობით, რომელსაც ყველა ხალხის ენაზე ჩინებული სახელი აქვს — „მამულის სევდა“. აიყვანეთ ცხენი, შეჯექით ზედ, გადაატარეთ ისევე ცხრა მთა, კარგად ასვით და აჭამეთ ახალ ადგილს, და გაუშვით თავისუფლად. ნახავთ, თუ ისევე თავის სოფელში არ დაბრუნდეს, თუ გზაზე არავინ მოიპარა, ან მგლებმა არ შეჭამა. ეს მაგალითი იშვიათი და ძვირი საშინჯია, მაგრამ ის ხომ ყველამ იცის, რომ როცა ცხენი თავის პატრონის სახლს მიუახლოვდება — სიხარულით ხვისხინს ინყებს და ფეხს უჩქარებს, თუნდ კარგა ლაზათიანად იყოს გამაძლარიც... თუ კი პირუტყვისთვის არ დაუკლია ბუნებას ამ გვარი გრძნობა, ნუთუ კაცს მოაკლდება? მართლაც, იმისთანა კაცის შეხვედრა, რომელსაც მამულის სიყვარული არ მოეძებნებოდა გულში, სწორედ იმნაირადვე

იშვიათია, როგორც კუზიანის ან ცალ-თვალა კაცის დაბადება. ბუნებამ მარტო ათასში ერთჯერ იცის ხოლმე ამ ნაირი ნაკლის გამოჩენა...

რომელი კაცია ისეთი, რომ მამული არ უყვარდეს? ხშირად მოხდება ხოლმე, რომ კაცს ამ სიყვარულის გაგება თვითონაც არა აქვს, მაშასადამე, ადვილად შეიძლება, სხვებმა სრულიად ვერ შენიშონ მას ეს გრძნობა. მაგრამ აიყვანეთ ეს კაცი და თავის მამულს მოაშორეთ, მაშინ ნახავთ, ყვარებია მას მამული, თუ არა!!! ან მეორე მაგალითს გირჩევთ: სრულიად უსწავლელი კაცი გამოიყვანეთ მიყრუებული სოფლიდან, ისეთი, რომ არც პატრიოტობა რაა გაეგონოს, არც მამულის-სიყვარული ნიგნებში ამოეკითხოს, და ამისთანა კაცის წინ მისი სამშობლო უგინოს ვინმე გარეშე პირმა, ან მისი ხალხის ძაგება დაუნყოს, ნახავთ, მაშინ, რა ნაირი ვნებით აენთება მას პირისახე, როგორ განითლდება და გამწარდება, რა ნაირად დაიწყებს თავისი ქვეყნისა და ხალხის დაცვას ან გამოსარჩლებას!..

ამგვარი სიყვარული ყველას აქვს, ვისაც კი სული პირში უდგია, სწორედ ისე როგორც დედისა ან დის სიყვარული ყოველ ხორც-შესხმულ ადამიანს დაბადებითგანვე გამოყვება. ვის არ აევისება თვალი ცრემლებით, რომ და უგინონ, ან და გაუუპატიურონ? ვინ იქნება იმდენად უსუსური, რომ მათთვის თავი არ გამოიდვას? ადამიანის გულში მამულსაც სწორედ იმისთანა ადგილი უკავია თავისთავად, როგორც დედის ან დის სიყვარულსა და პატივისცემას უჭირავს...

მაშასადამე, არც დიდი ვაჟკაცობაა, არც სატრაბახო რამ არის, იმით ვიქადოდეთ — „მამული გვიყვარსო!“ ამის თქმა მარტო ჩვენს საკუთარ რეგვენობას გამოაშკარავებს და მარტო დაანახებს ყველას, რომ ერთობ დაბლა ვმდგარვართ გონების განვითარებით, თუ ამ გვარი უბრალო ბუნებითი გრძნობა იშვიათს ან განვითარებულ გმირობად ჩაგვითვლია. რომ გამოვიდე მინდორზე და კვეხნა დავიწყო — ძლიერ მიყვარს მე დედა ჩემი, რას ემსგავსება ეს ჩემი ლაპარაკი? ხომ ყველას შეეძლება მიპასუხოს სრული საფუძვლიანობით: ბიჭო, რას მიედ-მოუდები? დედა ვის არ უყვარსა, დედის პატივისცემა ვის არა აქვს? ისეთი რამ უნდა დაიტრაბახო, რაც მართ-

ლა ძნელი ან იშვიათი იყოს, თორემ „კაცი არ მომიკლავსო“ რომ სთქვა, ან ტალახის მაგიერ პურსა და ყველს ვჭამო, ეგ ხომ ყველას შეუძლია სთქვას!“

როგორც ამის თქმაა სისულელე, სწორედ იმნაირივე ხუმრობაა იმით იკვეხნიდეს კაცი, რომ მამულს ვემსახურები, მის სიკეთეს ვეძებ, მის სასარგებლოდ ვშრომობო. რომელი გონიერი კაცი დაიწყებს ქადილს, რომ დედა ჩემს პატივს ვსცემო, კარგად ვასმევ და კარგად ვაჭმევო, მის ხეირიანად რჩენას ვცდილობო, მისი კეთილდღეობისთვის ვშრომობო? ხომ არავინ? ხეირიან და გონიერ საზოგადოებაში სწორედ ამნაირათვე საუკადრისო იქნებოდა ქადილი, რომ მამულს ვემსახურებიო.

თქვენ ნარმოიდგინეთ, რა სიცილს და ხარხარს დააყრიდენ საფრანგეთში ან ინგლისში იმისთანა კაცს, რომელიც იმის თქმას გაბედავდა — ჩემი მამული მიყვარს და ჩემი სამშობლოს სიკეთისთვის ვშრომობო!.. ეს საყოველთაო მოვალეობაა, ისეთი, რომელიც ყოველ ხეირიან კაცს, ვინც ხეპრე, ქურდი ან უსულო არ არის, უნდა ჰქონდეს. იმაზე უმეტესი სიტუტუცე რაღა იქნება, კაცი პირდაპირ ამტკიცებდეს, არც ხეპრე, არც ქურდი, არც უსულო ვარო!

მაგრამ, თუმცა საერთო და საყოველთაო მოვალეობაა ეს მამულის მსახურება, ჩვენში ის ჯერ იმდენად როდია გავრცელებული, რომ ყველამ კარგად იცოდეს, რაში მდგომარეობს ეს მოვალეობა ან ყველას ესმოდეს, თუ რაგვარად უფრო ადვილი და გამოსადეგია მისი ასრულება.

მართლაც, რაში მდგომარეობს ეს მსახურება? რაში მდგომარეობს ის საზოგადო სიკეთე, რომელიც ჩვენს მამულს სჭირია? რა ხეირი უნდა მოუტანოს მამულს მისმა შვილმა, იგი მას რა ნაირად უნდა ემსახუროს?

IV

სხვადასხვა პირს სულ სხვადასხვა ნაირად ეხატება თავში ეს სიკეთე. ჩვენს ქვეყანაში იმისთანა პირიც მოიძებნება, რომელსაც იქნება ეგონოს, რომ საქართველოს სიკეთე მაშინ იქნებაო დაფუძნებული, როცა ყოველი ქართველი, ყოველი კაცი, საქართველოს ნიადაგზე მცხოვრები, მართლმადიდებელი სარწმუნოების იქნებაო.

ნიკო ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება

შესაძლებელია, რომ იმგვარი მოაზრენიც მოვნახოთ ჩვენში, რომელთა აზრით საქართველოს სიკეთე იმაში მდგომარეობს, რომ ყოველმა ქართველმა ან საქართველოში დასახლებულმა პირმა წერაკითხვა და თვლა იცოდესო. სხვებს, უფრო მომეტებულ რიცხვს, ის აზრი სწამს, კარგი მაშინ იქნებაო, როცა ქართული ენა ყველას ჩინებულად ეცოდინებაო... ყველას შეხედულებას აქ არ მოვიყვან. რამდენიც კაცია, იმდენი შეხედულებაც არის ჩვენში. საქმე ისაა, — რომელი ამ შეხედულებათაგანი სწორეა, და რომელი — შემცდარი.

მკითხველი ადვილად დამეთანხმება, რომ ათასი ამისთანა შეხედულება რომ ჩამოვთვალო, ჩვენს ქვეყანაში გავრცელებული, ყველა ერთიანად ცალ-მხრივი იქნება. ვინ იტყვის, მაგალითად, რომ წერაკითხვის და თვლის ცოდნა კარგი ან სასარგებლო არ იყოს? მაგრამ საკმაოა, განა, მარტო წერაკითხვის ცოდნა კაცის ბედნიერებისთვის? რამდენი იმისთანა კაცი გვინახავს, რომ წერაკითხვა კი არა, ისტორიაცა და გეოგრაფიაც ცოდნოდეს, მაგრამ მაინც უძღური ან უბედური დარჩენილიყოს? ასე ითქმის ქართული ენის ცოდნაზეც. იყო დრო, როცა მთელი საქართველო მარტო ქართულ ენას ხმარობდა, მარტო ქართული იცოდა, და კარგადაც იცოდა; როცა შკოლებში კი არა, სასამართლოებშიაც ხმარობდნენ ამ ჩვენს ენას... მაგრამ ნუ თუ მარტო ქართული ენის ცოდნამ გააბედნიერა საქართველო, და ნუ თუ ჩვენი მამულის დაცემის მიზეზი მარტო ის იყო, რომ ჩვენმა წინაპრებმა ქართული ენა დაივიწყეს? რასაკვირველია, დედა-ენა ძვირფასი რამ არის: ის ისეთი მძლავრი კავშირია, რომელიც საზოგადოებრივ ძალას შეადგენს და ხალხს ერთი მიზნისკენ წინ წაწევას უადვილებს. მაგრამ, როგორც კავშირი, როგორც ძალა, ის მარტო საშუალებას შეადგენს, და არა მიზანს, მაშასადამე, საქმე ის უნდა იყოს, თუ თვითონ ეს მიზანი რაში უნდა მდგომარეობდეს?

გაკვრით კიდევ ვსთქვი წელან, რომ ამ კითხვის გარჩევა იმ კითხვის გამოკვლევებაზე დამოკიდებული — თუ რამ დასცა ჩვენი მამული.

როცა ამ უკანასკნელ კითხვას გამოვიკვლევთ, პირველიც განმარტებული გვექნება.

— როგორ თუ რამ დასცაო ჩვენი მამული, შემომკვივლებს ვინმე ცრუპატრიოტი, იმან დასცა, რომ პატარა ხალხი ვიყავით, და დიდრონები შემოგვესიაო. ვერ გაუძელით, და ის იყოო ჩვენი დაცემის მიზეზი! მოითმინეთ, ბატონო. პატარა, ძლიერ პატარა ხალხი იყო საქართველოს ხალხი, სპარსელებთან შედარებით, მაგრამ ხომ ვერ დასცა ჩვენი მამული დიდმა სპარსეთმა? დიდრონი ხალხნი გახლდენ ის ხალხნი, რომელნიც ჩვენს ქვეყანას მურვან-ყრუმ, ჩინ-გის-ყაენმა ან თემურლენგმა დაასია, მაგრამ ამ ხალხებმა ხომ ვერ მოსპეს ვერც ჩვენი განვითარებული არსებობა, ვერც ჩვენი თვისტომობა? ოსმალეთი ჩვენზე ათასჯერ უფრო ძლიერი და დიდი იყო, მაგრამ ხომ ვერ მოგვერია მაინც, ხომ ვერ ამოხოცა ისტორიიდან ჩვენი სახელი და დიდება? თუ კი ოცი საუკუნე გავუძელით ამდენ დიდრონ ხალხებს, თუ კი ამ ოცი საუკუნის ბრძოლამ იმდენათაც ვერ დაგვღალა, რომ მათს დამძლევეს ჩვენს ქვეყანას იმისთანა ბრწყინვალე და სახელოვანი მეფობა ეღირსა, როგორც ერეკლე მეორისა, — რომლის მსგავსიც ჩვენ დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის აქით აღარ გვინახავს, — ნუ თუ ეს იმას არ მოასწავებს, რომ ამ შემთხვევაში მარტო დაღალულობას კი არ უმოქმედებია, მარტო მცირე ტომობას კი არ უმუშავია? პატარა ხალხი ვიყავით, დიდრონებთან შეტაკებული, დიდრონების მებრძოლი, მაგრამ მაინც ვძლებდით, მაინც მარჯვენი ვიყავით. რა იყო მიზეზი? ის იყო, რომ თვითონ ეს დიდრონი ხალხი ჩვენ მარტო რიცხვით გვერეოდნენ, და ხანდისხან მარტო იმით გვეჯობნიდნენ, რომ თითო ჩვენს მეომარს ოცი ოსმალოს ან სპარსეთის მხედარი წინ უხვდებოდა. მაგრამ თითო თითოდ რომ შეგვედარებია ერთი ჩვენი მხედარი ერთი მტრის მხედრისთვის, ეს უკანასკნელი ვერაფრით ვერ სჯობნიდა პირველს. ორივეს ერთნაირი იარაღი ჰქონდა, ორივე ერთნაირად გაზრდილი იყო, ერთნაირი სწავლის პატრონი... ჩვენს მხედარს ის უპირატესობაც კი ჰქონდა მტრისაზე, რომ თავისი მამულის, სახლ-კარის, ცოლ-შვილის დასაცველად იბრძოდა, და მტრისა კი ომობდა სხვის ასაკლებად. მტრისთვის სულ ერთი იყო, აიკლებდა — ქართველს, თუ ლეკს, თუ ოსს, თუ რუსს. რაკი იმას

ქართველი გამწარებულად უწინააღმდეგებდა, მტერი მას თავს ანებებდა და სხვაგან მიდიოდა, იქნება გამარჯვება და აკლებს იქ უფრო ადვილად შევძლო... ყველამ იცის რამ-სიდიდე ძალას შეადგენს ომში და ბრძოლაში ის თავგანწირულობა, რომლითაც კაცი თავის ოჯახსა და კერას იცავს... ეს გრძნობა ხშირად გვამარჯვებინებდა მტერზე, ამ გრძნობით ვსჯობნიდით მტერს, ეს გრძნობა იყო იმის მიზეზი, რომ ასე ქართველი ათას ამკლებს ერეოდა და უკუაქცევდა... თორემ სხვა მხრით ყველაფერში სწორნი ვიყავით მტერთან, რიცხვს არ რაოდენობას გარდა.

ასე წარმოებდა ჩვენი ცხოვრება. მაგრამ ბოლოს ქვეყნის ისტორიაში ახალი ძალები გაჩნდა. ზოგიერთი ხალხი მეცნიერებამ ერთობ დაანინაურა, და ვინც ამ მეცნიერებას არ მიეკარა, ის უწინდელივით სუსტი დარჩა. ომის ხასიათიც შეიცვალა. ჯარებისთვის ახალი იარაღი შემოიღეს, რომლის გაკეთებასაც და ხმარებას დიდი ცოდნა და მოხერხება სჭირდება. ისეთი ზარბაზნები მოიგონეს, რომელსაც წინ ვეღარ დაუდგავდნენ ერთი ჩვენი ციხე-დარბაზი. ჩვენი მამა-პაპური ციხეები ქართლში და იმერეთში, თათრებმა ამ ახალი ზარბაზნებით, ცხრა მთის სიშორიდან დაგვიანგრიეს. იმათ ევროპაში ეშოვნათ ეს ზარბაზნები, და ჩვენ არც კი ვიცოდით, თუ ამ ნაირი მანქანა სადმე არსებობდა... და რაც მტრის რიცხვს ჩვენთვის ოცი საუკუნის განმავლობაში ვერ დაეკლო, ის ოცი წლის განმავლობაში მტრის დანინაურებამ წაგვართვა: მაშინ უცხოეთის წინ დაიჩოქა ჩვენმა გონებამ, რაკი სცნო, რომ უცხოეთი ჩვენზე უფრო ოსტატი, უფრო მეცნიერი, უფრო გონიერი ყოფილა. რაკი ჩვენ რწმუნება დაკარგეთ ჩვენს თავზე და გონებაზე, რაკი ჩვენს საკუთარ გულში ბრმად და ხეპრად ვიცანით თავი, რაკი ის მორალური ძალა ხელიდამ გაგვიცურდა, რომელიც ამაყად შეგვატაკებდა ხოლმე ათჯერ თუ ასჯერ უფრო მომეტებულ მტერს, მას აქით ჩვენ მოვტყდით და წავხდით. მტერმა კი არ დაგვცა, ჩვენმა საკუთარმა „რწმუნების დაკარგვამ“ წაგვახდინა. აღარ გვწამდა ჩვენი თავი, უცხოეთი კი ჩვენს თვალში რალაც უზენაეს ქმნილებად იხატებოდა. აი, მარტო მაშინ გაგვიფდა ტვინში ის პანიკა, ის ახალი, უცნობი ძალის შიში, რომელიც ხშირად მილიონებისგან

შემდგარ ხალხს ათას კაცს უმორჩილებს... ამის მაგალითს ჩვენ დღესაც ვხედავთ ინდოეთში. ორასი მილიონი ინდოეთელი მორჩილებაში ყავს ოცი ათას ინგლისელებს... რას უზამს ეს ოცი ათასი კაცი, თუ გინდ თითოს კრუპის ზარბაზანიც ჰქონდეს, მთელ ორასი მილიონისგან შემდგარ ხალხს, ეს ხალხი რომ გონებითად დაჩოქებული არ იყოს ამ ოცი ათასი კაცის მეცნიერების წინ?

აი, ბატონო ჩემო ცრუპატრიოტო, რამ დაჩაგრა, რამ დასცა და უკან დასწია ჩვენი ქვეყანა. უკან დასწიაო, რომ ვთქვი, სწორი სიტყვა არ მიხმარია. დამიჯერეთ, დღევანდელი საქართველო ათასჯერ უფრო წინ წაწეულია იმ საქართველოზე, რომელიც მეთექვსმეტე, ან მეჩვიდმეტე, ან მეთვრამეტე საუკუნეში ისე მამაცურად თავს იჩენდა. ხალხიც მომეტებულია დღეს შიგ, სწავლაც დღეს უფრო დანინაურებულია, სიმდიდრეც უფრო გავრცელებულია, — ერთი სიტყვით, ყველაფრით უფრო მძლავრია დღეს ჩვენი ხალხი, ვინემ უწინ იყო. საუბედუროდ, მაშინ ჩვენი მეზობლებიც ჩვენსავით განვითარებული და განათლებული იყვნენ, და არა ჩვენზე უმეტესად. დღეს ყველა ჩვენი მეზობლები, და მთელი უცხოეთი, ათი-ათასჯერ, ან ასე ათასჯერ უფრო დანინაურდენ უწინდელზე, ჩვენ კი მარტო ათასჯერ უფრო გავმარდით... აი ეს გარემოება შეადგენს ჩვენს უბედურებას, თორემ ჩვენი მეზობლები რომ ჩვენზე უფრო არ დანინაურებულიყვნენ, დღესაც ისე ადვილად შეგვეძლებოდა მათი მორევა და მათ შუა მარჯვედ გამოგვიგვივა, როგორც უწინ გვჩვეოდა...

ეს მიბრძანეთ ახლა, რა წაგვწევს წინ, რა დაგვანინაურებს იმოდნათ, როგორც სხვა ხალხი დანინაურებულია? ამაში ხომ ყველა თანახმანი ვართ, რომ მათი მოწევა, მათთან გასწორება შეუძლებელი საქმე არ არის, მაგრამ ის უნდა გავშინჯოთ, რა გზით შეიძლება ამ მიზნის მიწევნა?

ნუ-თუ შესაძლებელია სხვის ჯობნა, თუ კი ჩვენ ამ სხვას არ გავიცნობთ? ნუ-თუ მარტო ის დაგვანინაურებს, თუ ჩინეთის კედლით შემოვსაზღვრეთ ჩვენი ქვეყანა? თუ კი სხვის მწერლობას არ შევისწავლით, სხვის მეცნიერებას არ შევიძინებთ, სხვის გამოცდილებას არ დავიმკვიდრებთ, ნუ-თუ მარტო ძველი ჩვენი ენის გაზეპირებით,

ძველი ხელნაწერების ტრიალით, ძველი ჩვეულების გახსენებით შეგვეძლება იმ ძალის მოპოება, რომელიც სხვებთან გაგვასწორებს და სხვის პატივს შეგვძენს? ნუთუ მარტო ქართული ენის შემწეობით შეგვეძლება ჩვენ — ან შეეძლება ჩვენს ახალგაზრდობას — ის მეცნიერება შეიძინოს მოკლე დროში, რომელიც სხვებს მთელი საუკუნეების განმავლობაში მოუგროვებიათ? ნუ-თუ პატრიოტულ გრძნობას ახშობს ან სდევნის სხვისი ენის შესწავლა, სხვისი ცხოვრების გაცნობა? ნუთუ ვაშინგტონი ნაკლები ან უხეირო პატრიოტი იყო იმით, რომ ფრანგული ენა იცოდა, ან ინგლისის კარგი და ავი ჩინებულად შესწავლილი ჰქონდა? ნუთუ ბატონ ილია ჭავჭავაძეს ქართული გული არ უძგერის და ნამდვილი ქართული გრძნობა არ აღელვებს, რაკი მარტო რუსული წიგნებით გამოზრდილია, რაკი რუსეთში შეუძენია მთელი თავისი ცოდნა, და რუსულ სასწავლებლებში გაუტარებია მთელი თავისი ახალგაზრდობა? კაცი იყოს, თორემ, სადაც უნდა ისწავლოს, კაცად მაინც დარჩება და გრძნობა მაინც არ დაეკარგება. მარტო უსუსურები ხდებიან და ფუჭდებიან სხვის გავლენის ქვეშ, და უსუსურს გინდ სიკვდილამდი ძიხად გაუხდეს, გინდ ნიადაგ ჭკუას ასწავლიდეს, ხეირის მოტანა მაინც თავის დღეში არ შეეძლება...

რასაკვირველია, ჩინებული საქმე იქნებოდა, ჩვენ რომ ახლა საშუალება გვქონდეს მთელი ევროპის მეცნიერება გადავცეთ ჩვენს ხალხს ან ჩვენ ახალგაზრდობას ქართულ ენაზე, ქართულ სასწავლებლებში. მშვენიერი რამ იქნებოდა ეს, და მთელი ჩვენი შეძლება ან ღონე იმას უნდა მივმართოთ, რომ ოდესმე დაარსდეს ჩვენში ამ გვარი ნეტარი მდგომარეობა. მაგრამ დღეს, როცა ამის საშუალება არა გვაქვს, და როცა აუცილებლად საჭიროა, რომ უწინდელს გონებითს სიბრძავეში არ დავტოვოთ ჩვენი საზოგადოება, ბრძადაც კი უნდა მიხვდეს, რომ ყოველი საშუალება, რომელიც ამ საზოგადოებას გონებას განუფითარებს და გააძლიერებს, რომელიც მას გულში იმედს ჩაუნერგავს ან მხარში ძალას მისცემს, სასარგებლო იქნება ჩვენის ხალხისთვის. ნუ-თუ, მაგალითად, კარგს იზამდენ ილია ჭავჭავაძის მრჩევლები 1856-ში, რუსეთში წასვლა რომ დაეშალათ მისთვის და ეთქვათ

— სჯობს ქართულად გამოიზარდო, რომ ქართველობის გრძნობა არ დაგეკარგოსო? ნუთუ ამით სარგებლობას მოუტანდენ ისინი საქართველოს? ხომ არა? მაშ სწორედ ამნაირადვე შემცდარია ის, ვინც ახალგაზრდობის აღზრდის და საზოგადო განათლების საქმეში მარტო ენას ან გარეგან გამართულებას შეჩერებია, და არსებით მხარეს, — სწავლის შინაარსს ან მიმართულებას კი ივიწყებს...

მაცხოვარმა ბრძანა, — როცა ჰკითხეს, რომელს ტაძარში უნდა ვილოცოთ, რომ ღმერთთან უფრო ადვილად მიანიოსო, — „ოღონდ ლოცვა გულწრფელი ან მხურვალე იყოს, და სადაც უნდა ითქვას, ყოველგნით ზეცას ავაო: ტაძარშიაც რომ არ იყოს კაცი, თუნდ მინდორში ლოცულობდეს წრფელის გულით, ღმერთი მის ლოცვას მაინც შეისმენსო“. ჩვენს მდგომარეობას მეტის-მეტად შეეფერება ეს მცნება. დიახ, სადაც უნდა ვისწავლოთ, ვის შკოლაშიაც ჩვენ უნდა მოვემზადოთ, ოღონდ კი გულში მამულის მსახურების წრფელი ან მხურვალე სურვილი ვიქონიოთ და ჩვენი შრომა ნაყოფიერი იქნება, მამულს გამოადგება... საუბედუროდ, ჩვენ ეს გულწრფელობა და გულმხურვალეობა, ან უფრო სწორედ ვსთქვათ, ვნება (страсть), გვაკლია.

V

დიდი უბედურებაა ჩვენის ქვეყნისთვის ეს ნაკლულეგანება. ჩვენის ყმანვილების უმეტესი ნაწილი თითქო მარტო ნაბაძვით მოქმედებს. მათ ჰგონიათ, თუ საზოგადო მოქმედი პირის გარეგანი მოვალეობა შევასრულეთ, თუ წარმოვიდგინეთ, რომ ვშრომობთო, მეტი აღარაფერი მოგვეკითხებაო. მათთვის თითქო ერთია, გარიგდება რამ ამ ცრუ შრომით, თუ არა, გაძლიერდება ამით მამული, წამოიზრდება ხალხი, მოახლოვდება მომავალი, თუ არა. თითოეული მათგანი ბურჟუაზიულად ცხოვრობს. მას თავისი საკუთარი საქმე აქვს, თავისი კერძო სარგებლობა, და ამ საქმეს, ამ სარგებლობას უნდება უმეტესი ნაწილი მათის გონებისა და ვნების. ზოგი თავის კერძო სამსახურს მიწოლია, და უფროსების თვალში შეჩერებას უნდება, ზოგი ვენახს უვლის და დილიდგან საღამომდი იმაზე დარდობს, ვაი თუ სეტყვამ ვაზი წამიხდინოსო, ზოგი მარტო იმაზე ზრუნავს — მო-

მავალი კენჭის ყრის დროს გამაშავებენ, თუ გამათეთრებენო, ზოგი მის ზრუნვაშია, გაკვეთილებს ვიშოვნი თუ არა, ჯამაგირს მომიმატებენ, თუ არაო... ორი, სამიც არ მოიძებნება ჩვენს ქვეყანაში ისეთი კაცი, რომ მამულის ან ხალხის მეტი საზრუნველად და სადარდებლად არა ჰქონდეს რა, რომ საზოგადო საქმის მეტი არაფერი ახსოვდეს, რომ მამულის სიკეთის მეტის არაფერი მადა ჰქონდეს, არას გრძნობდეს... ჩვენში ამნაირი კაცის სურათი მწერლობას ჯერ იდეალათაც არ გამოუხატავს.

VI

დავუბრუნდეთ, ისევ, წელანდელ ჩვენს საგანს, და ისევ იმაზე ვიფიქროთ, თუ რამ დასცა ჩვენი ხალხი, ან რა სჭირია მას დღეს, გასაძლიერებლად? ჩვენის ხალხის დასუსტების ერთი მიზეზი წელან მოვიყვანე. მეორე მიზეზიც იყო, აგრეთვე მეტისმეტად შესანიშნავი, და ეს მიზეზი ახლა უნდა გამოვიკვლიოთ, ამიტომ რომ მის თავიდან მოშორებას უნდა ცდილობდეს ჩვენი ქვეყნის ყოველი ერთგული შვილი. ეს მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ უცხოეთლების შემოსევას გარდა, ჩვენი ხალხი მისმა შინაგანმა განწყობილებამ და მდგომარეობამ დაასუსტა, დააუძღურა.

ხალხი მაშინ არის ძლიერი და ბედნიერი, როცა მთელი მისი ძალა თანამედროე მეცნიერების იარაღით არის აღჭურვილი, ეს ხომ ერთი და მეორეც ის, როცა მთელი ეს მისი ძალა, თანამედროე მეცნიერების იარაღით აღჭურვილი, მის სასარგებლოდ იხმარება და მოქმედებს. მაგრამ როცა ხალხის ცხოვრებაში ნელ-ნელა ისეთი წესი შემოდის, რომ ნახევარი ხალხი თავის ძალას უქმად მიწაში მარხავს, უმოქმედოთ ჰფლანგავს, და მეორე ნახევარი კი ორჯერ უფრო მომეტებულად შრომობს, როგორც თავის სარჩენლად, ისე იმ პირველი ნახევრის სარჩენლად, რომელიც უმოქმედოთ და უქმად ცხოვრობს, მაშინ ხალხის ძალა იღლება, სუსტდება და სრულიადაც ჰქრება. მაშინ მარტო ხალხის ძალა კი არ იფანტება უხეიროდ, თვითონ ამ ხალხის ორ ნახევარს შუა ჩუმი, დაფარული ბრძოლა ატყდება, რომელშიაც იღვევა ხალხის გონებითი და ფიზიკური ძალის უმჯობესი ნაწილი. ქიშპობა და სამდურავი იბადება, ერთობა იკარგება, და ხალხი ორ ბანაკად იყოფა,

ორს ერთმანეთზე მტრად გადაკიდებულ ბანაკად... რასაკვირველია, უმიზეზოდ როდი დაბადებულა ჩვენში, ძველად, ეს უბედური განაწილება და განხეთქილება. ჩვენს ქვეყანას ძველად მეომრები სჭიროდა, და მეომრებს რჩენა უნდოდა. ზოგი გარეშე მტერს ებრძოდა, რომ მშრომელი ხალხი უცხოეთლების შემოსევისგან დაეხსნა, და ეს მშრომელი ხალხი, რასაკვირველია, დიდის სიამოვნებით არჩენდა, გულწრფელის გრძნობით ემსახურებოდა მის დამცველ ჯარს, რომელიც მაშინ მისი კეთილი, მფარველი ანგელოზი იყო.

მაგრამ დროთა ვითარებისაგან ამ ნაირი გონიერი შრომის განაწილება ჩვეულბად გადაიქცა, და ბოლოს მშრომელ ხალხს რჩენა და ბეგარა ისეთმა პირებმა მოსთხოვეს, რომელნიც მას არც მტრისგან იფარავდენ, არც უცხოეთლების წინ ეხმარებოდნენ... მიწა-წყალი ხალხს ხელიდან გამოეცალა და მთელი ხალხი იმ კაცთ ყურმოჭრილ ყმად გადაიქცა, რომელნიც უსაქმოდ ცხოვრობდენ ან ქეიფში ფლანგავდენ ხალხის შრომით ნაწარმოებს...

ვისაც ჩვენი მამული უყვარს, მისი პირველი მოვალეობა ის არის, რომ აი ეს უსწორ-მასწორობა, ეს განხეთქილება შეამციროს, რომ შემდეგში ერთიანად მოისპოს ჩვენში ამგვარი უსამართლო და უგუნური ფლანგვა ხალხის ძალისა და შრომის. სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას ვერ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მწველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია, რომ ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა, ან ხეირიანი განწყობილება. მაშასადამე, ყველაფერი, რაც ეკონომიურ სამართლიანობას გვიახლოებს, ჩვენის მამულის სასარგებლოდ უნდა მიგვაჩნდეს, და ნიადაგი იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ხალხის უმრავლეს ნაწილს გავუადვილოთ თავის გათავისუფლება ეხლანდელის დამოკიდებულ-მდგომარეობისაგან. ხალხი მაშინ გაძლიერდება, მაშინ დაძმობილდება, მაშინ შეადგენს ერთ ძმურ ოჯახს, როცა სადაო არა ექნებათ რა სხვადასხვა ნოდებას, როცა ყველანი შრომას გაერთობიან და შრომას ისე გაანაწილებენ, რომ თითოეულის შრომა ყველა სხვის შრომის გაადვილება იქნება და არა გაძნელება.

ამის მაგიერ, რომ ნამდვილი განხეთქილების შემცირებას ან მოსპობას ვცდილობდეთ, ჩვენ რას ვშვრებით? გვინდა გავყუჩდეთ ამ სანყენს საგანზე, გვინდა ხმა არ ამოვიღოთ, გვინდა გაჩუმებით დავაჯეროთ გარეშე პირები, თითქო ჩვენსა, ჩვენის ხალხის ოჯახში, მართლა ერთობა და ძმობა მეფობდეს. ბრიყვობა და ბავშვობაა ეს ჩვენი ანგარიში. ხალხის ცხოვრება და მდგომარეობა კერძო ოჯახი ხომ არ არის, რომ ხალხის სხვადასხვა ნაწილის ქიშპობის ან განხეთქილების დამალვაც ისე ადვილად შეიძლებოდა, როგორც გადამტერებული ცოლ-ქმარი სტუმარს მხურვალე მოსიყვარულედ ეჩვენებინა ხოლმე? როგორც ჭლექს ვერ დამალავს კაცი თავის აგებულიებაში, ისე ხალხის ცხოვრებაში არ დაიმალება შინაგანი განხეთქილება და ინტერესების მტრობა. ვინც გონიერია, ის ექიმობას უნდა შეუდგეს, ამიტომ რომ დღეს ჭლექსაც არჩენენ თურმე, არათუ უბრალო ავთიმყოფობას...

ათასი რომ ვიყვიროთ — ჩვენში ერთობა სუფევსო, ძმობა მეფობსო, კეთილი განწყობილება არსებობსო, ამით ჩვენ მარტო საკუთარ თავს მოვატყუებთ, ჩვენ ხალხს ვავნებთ, მის მომავალს წავახდენთ... ჩვენს ცრუპატრიოტებს კი — ამ უკანასკნელის წლის განმავლობაში — მეტი შრომა რომ არ ჰქონიათ რა, რომ ეს ბრძოლა, ეს განხეთქილება დამალონ, მათზე ხმა არ ამოიღონ, მათი ხსენება მოსპონ მწერლობაში და საზოგადოებაში. სირაქლემამ იცის ასე: მონადირეს რომ დაინახავს, მაშინვე ბუჩქში თავს შეჰყოფს და თვალს დახუჭავს: ჰგონია, რაკი მტერსა და მის თოფს ველარ ვხედავ, ვერც მონადირე დამინახავს და ვერც მავნებსო.

ჩვენი ცრუპატრიოტები რომ თავის მამულის გონიერნი მსახურნი იყვნენ, მათი პირველი და უმთავრესი შრომა ჩვენის ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაზე იქნებოდა მიქცეული. „მიეცით ხალხს სარჩო, და სწავლას ის თვითონაც შეიძენსო“, გონიერად სთქვა იმ მწერალმა, რომელსაც ჩვენი ცრუპატრიოტები ოდესმე დიდ პატივს სცემდნენ... გაუადვილეთ ხალხს სხვისთვის შრომისგან თავის დახსნა, გამოიყვანეთ ის უსაქმურო კაცების მონობისგან, მიწა დაუმიკვიდრეთ, და მუქთახორებისაგან

დაიხსენით, ან ასწავლეთ, თუ რა გზით დაიხსნას თავი, სასარგებლო, გამოსადეგი რჩევა აძლიეთ, სიკეთე, ნამდვილი რეალური სიკეთე, მოუტანეთ მას რჩევით ან საქმით, და მაშინ ნახავთ, რომ მარტო ამნაირი საშუალებით შესაძლებელი ყოფილა, როგორც ერთობის დაარსება, ისე ხალხის ნდობის მოპოვება... აი, მარტო მაშინ დაამტკიცებთ, რომ მამულიც გყვარებიათ და მისი მსახურებაც ცცოდნიათ.

ზემოთ ვსთქვი, რომ ჩვენის ხალხის სხვადასხვა ნოდებას შუა ბრძოლა არსებობს. ბრძოლა ორნაირია ქვეყანაზე. არის ერთი ბრძოლა, მავნებელი და დამღუპველი, ბრძოლა ლუკმა პურისთვის, დამშეულებს შუა ბრძოლა, როცა ერთი მეორეს პირიდან საჭმელს სტაცებს და თითოეული მარტო სხვისგან წართმეულთ რჩება. ამგვარი ბრძოლა კიდეც კლავს, მაგრამ მეორე ნაირი ბრძოლაც არის ხოლმე ხალხში გამართული, თავმოყვარეობის ბრძოლა, ქიშპობა იმაზე, თუ ვინ როგორ ისახელებს თავს, ვინ აჯობებს თავის ტოლს, ვინ უკეთესად წაიყვანს საქმეს. რამდენადაც ხალხის ბედისთვის მავნებელია პირველი გვარი ბრძოლა, სწორედ იმდენად სასარგებლოა მეორე ნაირი. ჩვენს პატრიოტებს კი ამ ორნაირ ბრძოლას შუა განსხვავება არ ესმის. იმათ სადღაც ყური მოუკრავთ, რომ ბრძოლა მავნებელიაო, და ის კი ვერ გაუგიათ, თუ რანაირი ბრძოლა ყოფილა მავნებელი, და რანაირი — სასარგებლო. იმ ნამდვილსა და დამღუპველ ბრძოლას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს, ისინი კალთას აფარებენ და მალვენ. მაგიერად ცდილობენ მოსპონ ჩვენში მეორე ნაირი ბრძოლა, რომლისგანაც ჩვენ ყველანი მარტო ამ მეორეს უნდა ველოდეთ, ცდილობენ კაზარმული წესი შემოიღონ და დაუხშონ გონება ყველას, ვინც მიზნისკენ მათსავით ზანტად არ მიიკლაკნება.

რაც უფრო რომელიმე ხალხი მდიდარია გონებითის ძალით, რაც უფრო მოძრავია, ძლიერია მისი შვილების ჭკუა-გონება, მით უძლურია მასში ეს მეორე ნაირი ბრძოლა. მაგალითად თუნდ საფრანგეთი დავასახელოთ, ან ინგლისი. სადაა იმოდენა ქიშპობა, ან ბრძოლა მოქმედ პირებსა ან მწერლებს შუა, როგორც ამ ორ ქვეყანაში? იქ ყოველი დეპუტატი, ყოველი მწერალი,

ყოველი მოქმედი პირი თავის შეხედულებას პირდაპირ გამოსთქვამს და ცდილობს სხვები დააჯეროს, ყველანი თავის ჭკუაზე ამოქმედოს. შეიტაკებიან ხოლმე ამ სურვილით ავსებული პირები და მათი ბრძოლა უშველებელ ომს ემსგავსება: მტვერი ადის მებრძოლებს... დაუზოგველად, გამწარებულად სთხრიან ისინი მონინაალმდეგეს... რამდენჯერ მომხდარა ხოლმე, რომ ლუი ბლანი გამბეტას შეტაკებოდეს, ან გამბეტა ლუი ბლანს, აშკარად, მთელი საფრანგეთისა და მთელი ევროპის წინ. ხან ერთს მათგანს გაუმარჯვია, ხან მეორეს, მაგრამ ყოველთვის კი მათი ბრძოლით ხალხს უსარგებლებია, ამიტომ რომ ბრძოლის შემდეგ მისთვის უფრო ნათლად გამოსახულა საქმის მდგომარეობა; უფრო ნათლად გამოჩენილა ის გზა, რომელსაც ხალხი უნდა დასდგომოდა. საფრანგეთის ხალხი მარტო მით არის ძლიერი, მარტო იმით სჯობს სხვა ხალხს, რომ ათას და ათიათას ამგვარ ბრძოლას მისი გონება განუვითარებია, მისი გამოცდილება გაუდიდებია, და საკუთარის ჭკუით სიარული უსწავლებია ყველას აზრის გამოკვლევის შემდეგ. ოსმალეთში კი, ან სპარსეთში ამგვარი ბრძოლის ხსენებაც არ არის. იქ რასაც ერთი ბრძანებს, ან რასაც ერთი წამოროტავს, ყველა ისე იქცევა. მიბრძანეთ, ახლა, რომლის ჩვეულების შემოღებას უნდა ვცდილობდეთ, ჩვენის მამულის სიკეთე თუ გვაქვს მხედველობაში, და არა ჩვენი პირადი სარგებლობა ან კერძო თავმოყვარეობა?

აზრების ამნაირი ბრძოლა მით უფრო სასარგებლოა, რომ ის სრულიადაც არ სპობს ნამდვილ დისციპლინას, რომელიც ყოველი მოქმედი საზოგადოებისთვის აუცილებლად საჭიროა. დაბნევის, გაცალკევების საჭიროებას კი არ ვქადაგობ, როცა ვამბობ, აზრების ბრძოლა და შეტაკება სასარგებლოა ჩვენი საზოგადოებისთვის მეთქი. სრულიადაც არა. ვიბრძოლოთ ერთმანეთს შუა, ერთის აზრს მეორის შეხედულება შევატაკოთ, ვეცადოთ ხალხი მონანილე გავხადოთ ამ ბრძოლისა და ჭკუის მოძრაობისა, და მერე, თუ ნამდვილად მამული გვიყვარს, თუ მისი სიკეთე კერძო თავმოყვარეობაზე უფრო დიდათ მიგვაჩნია, ყველა იმ გადანყვეტილებას დავადგეთ, რაც უმრავლესობამ მიიღოს. ამ უმრავლე-

სობისგან მიღებულის გადანყვეტილები ერთგულება შეადგენს ნამდვილსა და გამოსადეგ დისციპლინას და არა ფელდფებლური მონობა ერთის რომელსამე კერპისა, — და არა თვალდახუჭული დაჯერება იმისი, რასაც კერპი წამოროტავს ან ბრძანებს.

VII

უნინდელს დროში ჩვენს საზოგადოებაში მარტო ბრმა დისციპლინა არსებობდა. მთელი მხარე ან მთელი ხეობა, ან მთელი სოფელი ერთს კაცს მიჰყვებოდა, ადგილობრივს დიდ-კაცს, დიდს მებატონეს, დიდ-შეძლებულს კაცს... ბევრს უნდა ახსოვდეს, ჩვენში, რა ხმა და გავლენა ჰქონდათ თავთავის მაზრებში ამგვარ მებატონეებს, ან ერის-თავეებს. რასაც ისინი „ბრძანებდნენ“, იმას მთელი ხალხი გამოუკვლევლად იჯერებდა. როდი ვინმე ჰკითხულობდა, თუ რისთვის ბრძანებს, რა საფუძვლით, ან ამ ბრძანებას რა შედეგი მოსდევს. გიორგი ბატონმა ბრძანაო, „გეორგ-ალამ ასე ინებაო“, და დანარჩენი ხალხი ისე თვალახვეულად მისდევდა ამ ბატონების სიტყვებს, როგორც ცხვრის ფარა თხას გაჰყვება ხოლმე. დღესაც ბევრია ამისთანა მაგალითი ჩვენს თვალ-წინ. დღესაც ბევრს ალავს მინახავს, რომ დიდი ჩინით ან დიდი სიმდიდრით აღჭურვილს კაცს, გონებით კი ღარიბს და ხასიათით სუსტს, უშველებელი ხმა და გავლენა ჰქონოდა საზოგადოებაში. ათასი და ათიათასი უჯერის მას, და იმას კი არავინ კითხულობს, მართლა ჭკუისთვის ან პატიოსნებისთვის მისცეს ეს ჩინი, მართლა ჭკუითა და პატიოსნებით მოიგო ეს გავლენა?.. ჩვენი ხალხის უმრავლესობა ჯერ კიდევ ამ პირველ-დროინდელს მდგომარეობაშია.

მარტო ახალგაზრდობის მცირედი ნაწილი გამოვიდა, როგორც იქნა, ბრმა მონების კლანჭებიდგან, და, რასაკვირველია, იმნამსვე მეორე უბედურებაში ჩავარდა. როგორც ამ წერილის დასაწყისში ვამბობდი, რომ კაცობრიობა თვალახვეულად დაეხეტება ერთი ხრამიდგან მეორესკენ-მეთქი, ჩვენი ახალგაზრდობაც ისე მოიქცა... ადვილად მიხვდა, რომ უშველებელი უგუნურობა ყოფილა ეს ბრმა მორჩილება: რაკი ამაზე შუბლი მიახალა, ის მოტრიალ-

და და პირდაპირ მეორე გზას დაადგა: „ალარავის დავემორჩილები, სხვისას ალარაფერს ვინამებ, მარტო ჩემს საკუთარ შეხედულებას გავყვები, მარტო ჩემს გონებას ვიცნობო“! უნინდელს მონობას უეჭველად ეს შედეგი უნდა მოეტანა. ამის გამო, ეხლანდელი ჩვენი ახალგაზრდობა დაფანტულია გონებითად: ზოგი მარჯვნივ მიდის, ზოგი მარცხნივ, ზოგი ხტის, ზოგი ნევს, ზოგიც სეირნობს... ორ კაცს ვერ მოძებნი ამ ახალგაზრდობაში, რომ ერთი და იგივე რწმენა ჰქონდეს, ერთი და იგივე იმედი ან შეხედულება, რომ ყველაფერში, რაც კი საზოგადო ცხოვრების უმთავრეს მხარეებს შეადგენს, თანახმანი და ამხანაგნი იყვნენ. ერთს ასე უჭრის გონება, მეორეს ისე, და ორივე თავისებურად მოქმედებს. ჩვენი ძველების რწმენა, ტრადიცია, დანდობა, მიყოლა, სიყვარული მათში იმავ დღეს დაიკარგა და გაჰქრა, როცა ძველი „ბრმა-მონება“ შეეზიზღათ. მაგიერად ახალი მეცნიერების ძალას ჯერ კიდევ ვერ დაუპყრია მათი გონება, ვერ აუხსნია მათთვის, თუ რა გამოსადეგია, რა საჭიროა გონების ან ფიზიკური ძალის შეერთება და ერთ მიზნისკენ მიმართვა.

VIII

მაგრამ ეს ტყუილია, — ჩვენი ხალხი, ღვთის მადლით, შორს არის ამგვარ უიმედო მდგომარეობისაგან. ღმერთმა ნუ ჰქნას, ამისთანა უბედურებაში რომ ჩავარდეს. მაშინ ის ჩვენგან ალარავის ეყვარება, თავს მაშინ მისთვის არავინ დასდებს, შრომას ალარავინ იკისრებს...

ჩვენი ხალხი სულ სხვანაირი სამსახურის ღირსია. ღირსია, რომ მისი საქმეც ისე წაიყვანოს მისმა მოთაურებმა, როგორც ყოველი ხეირიანი ხალხის საქმე წაყვანილა ქვეყნიერებაზე. ეს ჩვენი ხალხიც ღირსია, რომ გონება განვუვითაროთ, აზრის მუშაობას შევაჩვიოთ, საკუთარის ხელით მოვანმენდინოთ მისი ნყლულები, საკუთარის შრომით გავამართვინო სამართლიანი განწყობილება, საკუთარის მუხლით სიარული დავანყებინოთ, და ყველა ამას, ხომ, მარტო პირდაპირი, ყველასთვის აშკარა თვალსაჩინო შრომა მოიტანს... მაშ ტირილსა და გოდებას თავი დავანებოთ, დავივინყოთ უხეირო ოინები,

ნულარ ვიკადრებთ იმ გლახურ ცრემლის ჩვენებას, რომელსაც ამოდენა ხანია მისცემია ჩვენი მწერლობა! ათასიც რომ ვიბლავლოთ ქართულ ენაზე „ვაიმე, დედა, გვკლავენ, ვაიმე, დედა, გვამშვევენ, ვაიმე, დედა, არვინ გვწყალობს“, — ეს მარტო კუტის ჩვენებას ან კუტის ექსპლოატაციას ემსგავსება. ამით მარტო ათიოდ გროშს შევაგროვებთ, მეტს ვერას მოვახერხებთ, ჩვენი სისუსტისა და გლახაკობის გამოჩენას გარდა. თუ მართლა საიმედოთ მიგვარნია ჩვენი ხალხი, თუ მართლა გვწამს მისი მომავალი, თუ მართლა და გულწრფელად გვინდა მისი მსახურება, ერთი სიტყვით, თუ ნამდვილად გვიყვარს ჩვენი მამული, ჩვენ ის უნდა გავაძლიეროთ, როგორც მატერიალურის მხრით — სამართლიანად ეკონომიურის განწყობილების დაფუძნებით, ისე ზნეობით — მისი გონებისა და ცოდნის გაუმჯობესებით. ის იმედი უნდა ჩავუნერგოთ მას, რომელიც ჩვენ თვითონ გვაქვს, იმ მომავლისკენ უნდა მიუბრუნოთ პირი, რომელიც ჩვენ გვწამს, იმ გზაზე უნდა დავაყენოთ, რომელმაც ყველა სხვა ხალხი გააძლიერა და გააბედნიერა. მარტო ის ხალხი ღირსი ბედნიერების, სთქვა ვიქტორ ჰიუგომ სომხებზე, რომელიც მომავალს შეჩერებიაო; და ვინც მარტო წარსულს შეცქერის, ის სამარეს ითხრისო...

მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო ჩვენს ძალას მივენდოთ, მარტო ჩვენს გაძლიერებასა და განათლებაზე ვიპრომოთ — მაშინ მეგობარიც ბევრი გაუჩნდება ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც. ხალხის ცხოვრებაშიაც ის კანონი მოქმედებს, რომელიც ალებ-მიცემის დედაბურჯად დგას: ყველა მარტო იმ კაცს ენდობა, მარტო იმას ასესხებს ფულს ან კრედიტს გაუხსნის და შემწეობას მისცემს, ვისაც თავისი რამ აქვს შესაფერი.

აი ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. ჯერ ჩვენი რამ შევიძინოთ, ჩვენდათავად გავძლიერდეთ, ჩვენი მუხლი და წელი გავიმაგროთ და მაშინ ერთი დასტვენის მეტი არაფერი დაგვჭირდება: მაშინ ყველას ჩვენი ნდობაც ექნება, პატივიც და რწმუნებაც. მაშინ ყველა მეგობრებად გავციხდება და შემწეობას არავინ დაგვაკლებს. მაშინ ჩვენდა-თავად არც ტირილი დაგვჭირდება, არც გოდება, არც ზღუქუნი, არც ჩურჩუ-

ლი. და სანამ ამ „საკუთარის გაძლიერების“ გზას გულდაგულ და პირდაპირ არ დავადგებით, მანამდე კი ათასიჯ რომ იბლაგლოს ჩვენმა მწერლობამ, ათასიჯ რომ იჩურჩულონ ჩვენმა მოქმედმა პირებმა, კაცი ყურადღებას არ მოგვაქცევს და შემწივობას არ გვადირსებს, ყველას ის აზრი ექნება თავში: „სუსტი ხარ, ქვეყანაზე ადგილი რათ გიკავია, თვალს რათ გვიჭრი შენის წყლულების ჩვენებით, რა გიყო, რა გიშველო, ხომ ფეხზე ვერ დაგაყენებ, თუ შენდა-თავად წამოდგომა არ შეგიძლიაო!“

მოახერხებს ეხლანდელი ჩვენი თაობა ამ საქმის წაყვანას, ამ მიზნის მიწვევას კი არა, ძებნას? არა მგონია. ერთობ შეჩვეულია ის ზღუქუნსა და ტირილს, ერთობ ნაჩვევია სხვისი იმედით ყოფნას, ერთობ გადაჩვეულია სიარულს, საკუთარის ძალი-თსარგებლობას... დროა, დიდი ხანია დროა, რომ ახალმა თაობამ მიიხედ-მოიხედოს ამ ჩვენს მდგომარეობაზე და გარკვეულად შეუდგეს იმ შრომას, რომელსაც დღეს ჩვენის მამულის სარგებლობა მოითხოვს...

...თანდათან გვიახლოვდება ახალ-ახალი ქვეყნის მოძრაობა... ოცი წელიწადი არ გაივლის ისე რომ ჩვენი ქვეყანა, ან ჩვენის მამულის ახლო-მახლო მდებარე ქვეყნები, მსოფლიო ბრძოლის ასპარეზად არ გახდეს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შუა... მაშინ რუსეთისთვის საჭირო და დასაფასებელი იქნება ჩვენი ხალხის დახმარება... ბედნიერი ის ხალხი იქნება, ვინც მზა-მზარეული დახვდება ამ ბრძოლის პირველ კიჟინს, ვისაც მაშინ ნამდვილი ერთობაც ექნება და გონიერი დისციპლინა. მარტო ამნაირად დამარაგებულ ხალხს ექნება მაშინ ადგილი ხალხთა საერთო ტაბლაზე... და ვინც მაშინ დაფანტული, უძლური იქნება, მას არავინ ყურადღებას არ მიაქცევს...

მხედველობაში ვიქონიოთ დაახლოვებული მომავალი. ნუ ვიზამთ კი, რომ უწინდელურად უძლური და დაფანტული დაესწროს ჩვენი ხალხი ამ გადამწყვეტ ბრძოლას... ნუ მოვინდომებთ, რომ ჩვენი მეზობლები ვაჟბატონურად ტაბლას გარშემო დასხდენ, და ჩვენ კი ჩაყლაპა მოგვინდომონ.

1879 წ.



„საგურამო“ — 2014


მკითხველს შევახსენებთ, რომ ყოველწლიურად 8 ნომბერს საგურამოში ტრადიციული „ილიაობა“ აღინიშნება და ლიტერატურული ჯილდოების გადაცემის ცერემონიალი იმართება.

2014 წლის ლიტერატურული პრემია „საგურამო“ ნომინაციების მიხედვით ასე განაწილდა: პროზა — ვაჟა გიგაშვილი, პოეზია — დავით თედორაძე, კრიტიკა — ამირან გომართელი, თარგმანი — გიორგი ლობჯანიძე, ჰუმანიტარული მეცნიერება — ამირან არაბული, საბავშვო მწერლობა — გურამ პეტრიაშვილი, ხელოვნება — გიორგი წერეთელი.

გთავაზობთ „საგურამოს“ ლაურეატების სამადლობელ სიტყვებს.



სამუდამო თანამდგომი



ილიას მნიშვნელობასა და მასშტაბზე ლაპარაკი ზედმეტია... მხოლოდ გავიხსენებ იმას, რომ ბავშვობიდან, რაც თავი მახსოვს, ჩვენს ოჯახში ილია უფროს ნევრად აღიქმებოდა... ყოველწლიურ ყოფაში თანაარსებობდა მისი პორ-

ტრეტები, წიგნები, ისმოდა ციტატები, მისი ხუმრობები და ენამწარობები... დამაგზავალიანებელი აზრები ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში... მქონდა საბავშვო გამოცემა „კაკო ყაჩაღი“ და ნერა-კითხვის სწავლამდე ჩემი პირველი ასოები იყო „კ“, „ა“ და „ო“... რადგან კარგად ვიცოდი, რაც ენერა ყდაზე და თავისთავად მოხდა ამ ბგერათა ამ ასონიშნებთან გაიგივება... ასაკის მატებასთან ერთად ჩემთვის თანდათან იხსნებოდა ილიას სულ ახალი და ახალი, სულ უფრო რთული და დიდმნიშვნელოვანი პლასტები და ასპექტები... ეს მამაჩემის, ქართული ენისა და ლიტერატურის შედაგოგის, შალვას, ასე ვთქვათ „ბრალი“ იყო... რა გასაკვირია, რომ ქართული ლიტერატურის სპეციალისტის ოჯახში ყოფილიყო ეს, ილიას მუდმივი თანაარსებობის შეგრძნება, მაგრამ დროის დინებასა და ცხოვრებაში გახედ-

გამოხედვის მატებასთან ერთად, გაკვირვებასა და კმაყოფილებას იწვევდა იმის აღმოჩენა, რომ ეს შეგრძნება მხოლოდ ჩვენი ოჯახის სპეციფიკა არა ყოფილა... იგი არსებობდა ექიმების, გეოლოგების, ინჟინრების, ასე გასინჯეთ, თვით პარტ-მუშაკთა ოჯახებშიაც კი...

... აი, რატომაა სრული დატვირთვის შემცველი საოცარი სიტყვები — „თანამდევნი სული“... ილია ქართველი ერის თანამდევნი სულია, სამუდამო თანამდგომი...

... ეს სახლი ამ სულის სუფევის წმინ-

და ადგილია... მისი არსებობა, მისი ცოცხალი ფუნქციონირება, მისი ჩართულობა საქართველოს ცხოვრებაში, უდიდესი მნიშვნელობისაა, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ერის არსებობისათვის...

... მინდა, უბრალოდ მოწინებით მადლობა მოვახსენო ამ წმინდა ადგილის მცველთა და მოამაგეთ, ბატონი ბედუკაძის თაოსნობით... შეუფასებელია თქვენი ღვაწლი...

... გმადლობთ!...

ვაჟა გიგაშვილი

ილიას ზრუნვამ შედეგი გამოიღო



ხშირად ვფიქრობ, რომ არა ილია ქავ-ქავაძე თავის გუნდთან ერთად და რომ არა მემედ აბაშიძე თანამოდარდეებითურთ, რა ბედი ეწეოდა აჭარას — საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეს. იქნებ ტაოკლარჯეთის, შავშეთის, იმერხევის, არტანუჯისა და ლივანას ხეობისა, ან კიდევ, უკეთეს შემთხვევაში, მესხეთ-ჯავახეთისა. მაგრამ, მადლობა უფალს, რომ უაღრესად შეჭირვების ჟამს ოსმალთა უღლისგან გამოხსნილ აჭარას მხსნელად და ეროვნული თვითშეგნების თუ ცნობიერების ასამაღლებლად ჯერ ილია მოველინა თავისი გუნდით და შემდგომ — ერის უგვირგვინო

მეფის მადლმოსილი გზა მემედ აბაშიძემ გააგრძელა თავის თანამოდარდეებთან ერთად. ილიას, რევოლუციის მანტიამოსხმულმა ავაზაკებმა წინამურთან გამოუტანეს განაჩენი საქართველოს უზომო და უანგარო სიყვარულის გამო, ხოლო მემედ აბაშიძეს მეტეხის ციხის ჯურღმულებში ამოხადეს სული კომუნისტებმა და მისი საფლავიც დაუკარგეს ერს და ქვეყანას.

ახლა საკუთრივ ილიაზე. წარმოვიდგინოთ, რა დღეში იქნებოდა აჭარა ოსმალთა სამასწლოვანი უღლისაგან ახლადგამოხსნილი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეოცე საუკუნის დასაწყისში. არც ერთი ქართული ანბანისა და წერა-კითხვის მცოდნე. ისლამის თრიაქით გაბრუებული მედრესეები, მეჩეთები და ოსმალთა იმპერიის მსახური ხოჯა-მოლები თავდაუზოგავი სამსახური აჭარის მკვიდრთა სულიერი ექსპანსიისათვის. ფიზიკური გამოხსნა ტერიტორიისა ბევრს არაფერს ნიშნავდა თუ სულიერად ვერ დავიბრუნებდით მოსახლეობას. აი, ამ დროს ილიას თაოსნობით იხსნება აჭარაში ქართული სკოლები. კერძოდ, ბათუმში, იქ სადაც დღეს ილიას სახელობის პირველი საშუალო სკოლაა, ყოროლისთავში, ჰაიდარ აბაშიძის სოფელში და აჭარისწყალზე.

საუკეთესო, ერისთვის თავდადებული პატრიოტი მასწავლებლები იქნა მოვლენილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ. თითოეულ მათგანს ილიას სკოლა ჰქონდა გავლილი. საათობით ესაუბრებოდა, უხსნიდა მდგომარეობას და არიგებდა მის მიერვე შერჩეულ მასწავლებლებს ილია. შემდგომ თვითონაც ხშირი სტუმარი იყო ამ სკოლებისა.

ბათუმი ჭრელი ქალაქი იყო მაშინ და ქართველობა უმცირესობაში მოიაზრებოდა. ეგრეთწოდებული ქართველი დეპუტატებიც, რომელთაც ხმოსნებს ეძახდნენ, უმცირესობაში იყვნენ და საკითხები ძირითადად ქართველთა საზიანოდ წყდებოდა. ეს მეტად მტკივნეული საკითხი რომ მოგვარებულიყო, ილიამ თავად იტვირთა არჩევნების გაძღოლა და ეს ბუმბერაზი კაცი, გარდა იმისა, რომ უამრავ შავ საქმეს ასრულებდა, საარჩევნო ყუთთან იჯდა და აკონტროლებდა, არჩევნები რომ არ გაეყალბებინათ. როცა ქალაქის თავის არჩევის საკითხი დადგა, უკვე პენსიაში გასულ დიდ მამულიშვილს ლუკა ასა-

თიანს ქუთაისში ჩააკითხა და მოახერხა მისი დარწმუნება, რათა ეკისრა მას ბათუმის თავობა. ილიას მზრუნველობის მაგალითი აჭარასთან დაკავშირებით უამრავია. ყველაფრის ჩამოთვლა აქ შეუძლებელია. თვე არ გავიდოდა, რომ არ ჩამობრძანებულიყო ბათუმში. გრიგოლ ვოლსკისთან გაჩერდებოდა ბინაში. შეკრებდა მაშინდელ ბათუმის ინტელიგენციას, გამოკითხავდა მიმდინარე საკითხებს, მიიღებდა ზომებს პრობლემების აღმოსაფხვრელად. შეივლიდა მის მიერვე დაფუძნებულ სკოლებში. მასწავლებლებთან ერთად მოსწავლეებსაც გაესაუბრებოდა და აქ დათვებულ ცოდნის სანთელს ეკლესიაში უფალს შეავედრებდა, რომ ნლების შემდგომ განათლებული და აღორძინებული აჭარის მკვიდრთა საფიცარი მამული, ენა და სარწმუნოება ყოფილიყო. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ილიას ზრუნვამ შედეგი გამოიღო, ილიას ნატვრა შესრულებულია. აჭარამ ილიას გზა აირჩია.

დავით თედორაძე

აღთქმული ძვეყნისაკენ

უღრმეს მადლობას მოვახსენებ საგურამოს პრემიის მიმნიჭებელ კომისიას ჩემი კნინი ნაშრომის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის.

განსაკუთრებული მადლიერებით უნდა მოვიხსენიო ჩვენი დიდებული მწერლები: ილია, აკაკი, ვაჟა, ისინი, ვინც საშუალება მომცა, ახალი შინაარსი ამომეკითხა მათ უკვდავ ქმნილებებში, თავი ცოცხალი ლიტერატურული პროცესის მონაწილედ (კრიტიკოსად) მეგრძნო და არა ლიტერატურის ისტორიკოსად. ეს ფაქტი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ლიტერატურული კლასიკა არ ბერდება. იგი ყოველი თაობის მკითხველს აძლევს სიახლის აღმოჩენის საშუალებას. სწორედ ამაშია ლიტერატურული კლასიკის მარადიულობა. ასეთია ილიას, აკაკის, ვაჟას



შემოქმედება.

ჩვენი კლასიკოსების ლიტერატურული პაექრობა, მათ თხზულებებში გამოვ-

ლენილი მხატვრული პოლემიკა, ის, რაზეც ჩემს წიგნშია საუბარი, კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენაზე მეტყველებს: მიუხედავად ლიტერატურული მეტოქეობისა, მიუხედავად განსხვავებული მოსაზრებისა ამა თუ იმ საკითხზე, თემასა ან პრობლემაზე, ჩვენს კლასიკოსებს არასოდეს ლაღატობთ კოლეგიალობის გრძნობა, ურთიერთდაფასება და პატივისცემა. რაც მთავარია, გასაოცარია საქვეყნო საქმეში მათი თანადგომა და ერთსულოვნება. ეს კი, დამეთანხმებით, ფრიად შთამბეჭდავი მაგალითია დღევანდელი საზოგადოების, როცა, ჩვენ, განსხვავებული აზრის შემთხვევაში, დინჯი და დარბაისლური სამეტყველო ენა ვერ გვიპოვია ერთმანეთთან დიალოგში, როცა შეხედულებათა თუ პოზიციათა სხვადასხვაობა პირად მტრობად აღიქმება და ჩვენი მასმედიის „წყალობით“, ნაქეზება-ხელშეწყობით, განსჯა-დისკუსია სასერიო სანახაობად გადაქცეულა. არადა საამისო დროება ნამდვილად არ გვიდგას. ჩვენ ხომ ალთქმული ქვეყნისათვის ჯერ არ მიგვიღწევია. ჩვენ გზაში ვართ...

2 აგვისტოს, საგურამოში ილიას მუზეუმის დირექტორის, ანდრო ბედუკაძის გასაოცარი ძალისხმევით

აღდგენილ „ილიაობაზე“ სახლ-მუზეუმის მზრუნველთა საბჭოს წევრმა, მეცენატმა და სწავლულმა კაცმა, ჩვენმა მეგობარმა მიხეილ ლოლაძემ დიდი ილიას სიტყვები გაიხსენა: „სამშობლოს სიყვარულს ჭკუა უნდა. მამული გააზრებულად, ჭკუადამჯდარი სიყვარულით უნდა გვიყვარდეს“. დიდებული შეგონებაა, რომელიც გამუდმებით უნდა გვახსოვდეს. მით უფრო დღეს, როცა ტყვეობიდან თავდაღწეულ მოსეს ერს ვგავართ, რომელიც ალთქმული ქვეყნისაკენ მიემართება. ამას კი ორმოცი წელიწადი სჭირდება. ათვლის წერტილად, პირადად მე, 1989 წლის 9 აპრილი მიმაჩნია. ჰოდა, თუ ასეა, ამ გზაზე მეტი მოთმინება, სიდინჯე, ურთიერთდანდობა და სიყვარული გვმართებს, ჩვენი მეგობარი კი ამ ძნელ სავალზე, ჩვენი მოსე, ჩვენი პარტიარქი კვლავ და კვლავ ილია ჭავჭავაძეა. სულიერ საგზლად, ციურ მანანად კვლავ მისი სიტყვა, ფიქრი და აზრი მიგვყვება და კიდევ აკაკისა და ვაჟასი, იმათი, ვისი ღრმა პატივისცემითა და სიყვარულითაცაა გაჯერებული ის პანია წიგნი, რომელსაც თქვენგან ასეთი დაფასება ერგო.

ამირან გომართელი

როდის მოქველდება ეს ილია ჭავჭავაძე?

ვიცნობდი ასეთ კაცს: ყველა პრემია ჰქონდა თავის დროზე მიღებული და მაინც ყოველი პრემიის მიღებისას ამბობდა: ამდენ ხანს არც ერთი პრემია არ მქონია, და ახლა როგორც იქნა დამაფასესო.

მე პირიქით მინდა გითხრათ: ბევრი პრემია მაქვს, მაგრამ სრულიად განსაკუთრებულია ჩემთვის დღევანდელი ჯილდო, რადგან ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება და, ამდენად, უფრო პასუხისმგებლობაა, ვიდრე პატივი და დაფასება.

ამ 8 წლის წინათ, როდესაც ყურანის ჩემეული თარგმანი დაისტამბა, დიდხანს ვფიქრობდი, მქონდა თუ არა მორალური



უფლება, თარგმანი ილია ჭავჭავაძის ხსოვნისათვის მიმეძღვნა. ეს მიძღვნა

შეპირობებული იყო ერთი გარემოებით: როგორც მოგეხსენებათ, ყურანის პირველი ქართული თარგმანი, 1906 წელს, პეტრე მირიანაშვილის მიერ ფრანგულიდან შესრულებული, სწორედ ილია ჭავჭავაძის მითითებითა და თანადგომით გაკეთდა. ილიას კარგად ესმოდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართულად ამ უნიკალური წიგნის გადმოღებას და არა მხოლოდ კულტუროლოგიური, არამედ სწორედ გეოპოლიტიკური და ეროვნული თვალსაზრისით. არსებობს მოგონებები, რომ სწორედ ილია უწევდა რედაქციას მირიანაშვილის თარგმანის გარკვეულ ნაწილებს და მთარგმნელს ურჩევდა, როგორ შეიძლებოდა უკეთესად გადმოედო ესა თუ ის პასაჟი.

ეს ცნობა გასაკვირი სულაც არ არის, ილია ჭავჭავაძის მასშტაბურ ფიგურას თუ სრულად დავინახავთ: იმდროინდელ საქართველოში ხომ არც ერთი მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე არ დარჩენილა, რასაც მისი მადლიანი ხელი არ შეჰხებოდა.

სრულიად გამაოგნებელია, როგორ ახერხებდა ეს ერთი საკმაოდ ჯანგატეხილი ადამიანი ყველაფერზე ეზრუნა, ყველაფერს გადასწვდომოდა მისი მზერა და ამავდროულად ეწერა პირველხარისხოვანი შედეგები, ნებისმიერი ერის ლიტერატურას რომ დაამშვენებს.

გამიგია ასეთი აზრიც: რომ არა ქვეყნის აუნყობელი ვითარება, რაც ილია ჭავჭავაძეს აიძულებდა თავისი ენერგია საზოგადო საქმეთაკენ მიემართა და არა უშუალოდ მწერლობისაკენ, ის გაცილებით მონუმენტური და მნიშვნელოვანი იქნებოდა როგორც მწერალი. შეიძლება ეს აზრი მართალი იყოს მხოლოდ ილიას ბელეტრისტული მემკვიდრეობის რაოდენობასთან, მაგრამ — არამც და არამც — ხარისხთან მიმართებით. მას რომ მხოლოდ ერთი მოთხრობა — „კა-

ცია ადამიანი?!“ — დაეწერა, მაინც უდიდესი პროზაიკოსი იქნებოდა, აღარას ვამბობ „ოთარაანთ ქვრივზე“, „სარჩობელაზე“ და სხვა შედეგებზე.

საოცარია ნამდვილი ლიტერატურის ძალა: აგერ ჩემ თვალწინ რამდენი ნაწარმოები მოძველდა თუნდაც ენობრივად. გაცილებით გვიან, ვთქვათ, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი ტექსტები დღეს ისე უცნაური ქართულით დაწერილად გვეჩვენება, რომ თითქოს ეს ენა — მათი ენა — ცოცხალი არც არასდროს ყოფილა.

ილია ჭავჭავაძის თხზულებებში კი ისეთი საოცარი ქართული ისმის, თითქოს ჩვენ გვერდით ცხოვრობს მწერალი, ახლა ქმნის და აგვირისტებს ამ თავის საოცარ ნაწარმოებებს.

ენის თანამედროვეობის გარდა, სამწუხაროდ, დღემდე აქტუალურია ყველა ის პრობლემა, რაც ილია ჭავჭავაძის დროშიც მწვავედ იდგა საქართველოს, ქართული საზოგადოების წინაშე.

ხანდახან პირდაპირ მოგინდება კაცს, რომ „მოძველდეს“ ეს ილია ჭავჭავაძე, აღარ იყოს ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც თუნდაც ამ ერთი საუკუნის წინათ. უფრო სწორად, მნიშვნელოვანი ყოველთვის იქნება, მაგრამ აღარ ისმოდეს მისი ტექსტების ხმა ასე თანამედროვედ, ასე მტკივნეულად იმის გამო, რომ მას შემდეგ თითქმის არც ერთი მაგისტრალური პრობლემა არ მოწესრიგდა. შეიძლება, ამ პრობლემებმა მიმართულება შეიცვალა, ახალი სადინარი გაიჭრა თავისათვის, მაგრამ ილია ყოველთვის აქტუალური დარჩება იმ მიზეზის გამო, რომ როცა რამე საკითხს ეხებოდა, არასოდეს ახასიათებდა მხოლოდ ცალმხრივი შეფასება, პირიქით, ყველაფერს სხვადასხვა კუთხით, ამომწურავად აფასებდა და ამიტომ, რაც ვლილდება არ უნდა განიცადოს ამა თუ იმ „წყევლაკრულვიანმა საკითხავმა“,

სანამ ძირეულად არ მოგვარებულა, ჩვენ ყოველთვის დაგვჭირდება ილიას რჩევა, ილია ჭავჭავაძისეული ხედვის გააზრება ამ საკითხებთან მიმართებით.

ამბობენ, რომ ილიას განსაკუთრებულად ჰყვარებია სახარებისეული მაქსიმა: „იყავით თქვენ სრულ, ვითარცა მამაი თქვენი ზეცათაი სრულ არს“. ამაში ხედავდა ის ადამიანის უმაღლეს პიროვნულ დანიშნულებას.

საერთოდ, მისი შეფასებისას, ალბათ ერთადერთი სწორი სიტყვა იქნება „სრული“. სისავსის იმ მადლს, რაც ნებისმიერ მის ნამოღვაწარში, როგორც მტევანში მზის თვალი, ისე ტრიალებს, სხვაგან იშვიათად ნაგანყდებით.

შეიძლება, მეტისმეტად პირადულია, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა: სწორედ ამ დღეებში მიწვეს გარჯა და ბრძოლა ჩემი ჯერარდაბადებული შვილის გადა-

სარჩენად. შვილისა, რომელსაც სწორედ ილია უნდა ერქვას.

სრულიად კონკრეტულ ტკივილებთან და განცდებთან ერთად, ჩემთვის ამ გარჯას სიმბოლური მნიშვნელობაცა აქვს: მომავალში ბევრი რამ, ეგებ, ჩვენი ფიზიკური არსებობაც კი იმაზე იყოს დამოკიდებული, რამდენაც „გადავარჩინთ“ ჩვენში ილია ჭავჭავაძეს, როგორ გავუფრთხილდებით და გავიაზრებთ იმას, რაც ილიამ გვიანდერძა.

ეს ანდერძი კი ღმერთთან მისაახლოებლად ჩვენი პიროვნული სისრულისათვის ზრუნვასაც გულისხმობს.

მინდა კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მოვახსენო პრემიის მესვეურებს და ვეცდები, გავამართლო ეს დიდი ნდობა და დაფასება.

გიორგი ლობჯანიძე

როგორც ზოდი ოქროსი

ოქროს ზოდს ჟანგი არ ეკიდება. არც ღვთივცხებულ მწერალთა მხატვრულ სიტყვას აკლდება შინაარსი, შნო და მშვენიება.

ნაღვერდალი, მათ ნაფიქრ-ნააზრევში რომ ღვივის, გონიერ მკითხველთა ყოველი ახალი მიახლებისას მწველ ალად აბრიალდება და მუდამდღიური დუღილით, ბორგვით და ფეთქებით დაღლილ გულს ცით მოსული ნათლის უმსუბუქეს საბურველად დაეფინება ხოლმე...

თანამდევნი სულივით მარადიულია წმინდა ილია მართლის სიტყვა: მარადიული და წონადი, საქმიანი, უბერებელი.

ხოლო საიდუმლო ამ უშრობი, უშრეტი მადლისა ხალხის გენიასთან, ცხოვრების ნიბო-ნახნაგების ხალხისეულ ხედვასთან, ხალხური სიტყვების წმინდა



წიაღთან სიახლოვეშია საგულვებელი... ცნობილია ილია ჭავჭავაძის განსაკუთრებული გატაცება ჭარმაგი და

მაინც უცნაურად მოციაგე ხალხური სიმღერებით. ამ ბარიანი, ხალიბური ფოლადივით მჭრელი და ჯავარიანი სიმღერების თავკიდურია ლადო აღნიაშვილის რეპერტუარის „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ“. სტუმრიანობის დროს ილიას სწორედ ამ ძეგლი სიმღერის შებანება ჰყვარებია, მიუხედავად იმისა, რომ უნაკლო მუსიკალური სმენით თავს მაინცდამაინც ვერ მოიწონებდა.

„ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავო...“

თითქოს თავის გადაგვარებულ თანამედროვეებს, ფშავლიშვილებისა და ბერბიჭაშვილების მსგავს სულგაყიდულ არსებებს, აფრთხილებდა, იმგვარი რამ არ ჩაედინათ, რაც მათ სახელებს შავი ასოებით ჩანერდა საქართველოს ისტორიაში.

და არ დაუჯერეს, ყური არ დაუგდეს, სამშობლოს მხურვალე მსახურების საზღაურად დასაჯეს, განირეს და სასიკვდილოდ გაიმეტეს ნაჯაფ-ნატანჯი, ღვთისა და ერის წინაშე ვალმობილი, კვლავაც ლაბა ხარივით გამწევი ბერიკაცი!

გაიმეტეს, მაგრამ ვერ მოკლეს.

ფიზიკური მყოფობის დასასრულმა დასაბამი დაუდო მისი პერსონის დაუსრულებელ არსებობას ქართველი ერის შეგნებული ნაწილის მგრძნობიარე გულსა და ბინდმიუკარებელ ხსოვნაში.

წინამური...

როგორც ნიკო ლორთქიფანიძე ბრძანებს, „აქ მიაღწია უმაღლეს წერტილს ქართველთა დაქსაქსვამ, ეროვნული სულის გათახსირებამ, უბედურებამ, ისტორიის უარყოფამ“.

შეიძლება საპირისპიროც ითქვას: წინამურმა შეძრა და გამოაღვიძა, შეანჯღღრია და გამოაფხიზლა, გამოარკვია და გაამთლიანა (დროებით მაინც!) რუსეთის იმპერიის ბესტიალური ძალების მიერ მსუყე სამიზნედ ამორჩეული, პარტიული ნიშნით დანაწევრებული და

კუთხურობის სენმორეული ივერია: ჩვენი ქვეყნის ცნობიერება და ქვეითებული ამერ-იმერი.

ცილისმწამებლური წერილების მღვრიე ნიაღვარი, ჟურნალ „მოგზაურიდან“ და გაზეთ „კვალიდან“ რომ მოედინებოდა, ბოლოს იმ სტიქიად გარდაისახა, რომლის შეჩერება უკვე აღარაფერს შეეძლო. „ოხრანკის“ აგენტების გარემოცვაში გამომწყვდეული უბადლო მწერალი და მოუღლეელი მეშრომე გრძნობდა, უტყუარი ალლოთი ხვდებოდა და გუმანობდა საბედისწერო დღის მოახლოებას, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ არჩეული ხვედრი პიროვნული პოზიციისა და განუხრელი ზნეობრივი პრინციპების ერთგულება ნებას არ აძლევდა, უხიფათო ყოფაზე ეზრუნა და თუნდაც წამით ფარ-ხმალი დაეყარა...

„საუკეთესო და სარწმუნო მეგობარი“ ილია წინამძღვრიშვილი ურჩევდა, არ დაბრუნებულიყო საგურამოში.

საშინელ ამბებს წინასწარმეტყველებდა ოლლა გურამიშვილი და ემუდარებოდა, ნასვლა გადაედო.

უშაღეს, მაგრამ არ დაიშალა.

და ეს გახლდათ ბედისწერასთან შეუპოვარი შერკინება.

განზრახვა სისრულეში მოიყვანეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა — „ანტიეროვნული დოქტრინის ადეპტებმა“ (აგი აბაშიძე)...

ნოე ჟორდანიასთვის ხის უბრალო ნაფოტი იყო „ზნეობრივად და გონებრივად გაკოტრებული“ (!) ილია, ხოლო სხვა, ჯანსაღი საქართველოსთვის ერის სულიერი მამა და XIX საუკუნის უგვირგვინო მეფე.

საგანგებო მისიით (ქვეყნის წინამძღოლობა, „საეროვნო გრძნობათა აღძვრა და განმარტება“ — კ. აბაშიძე) მოვლინებოდა ამ ცოდვა-ბრალიან მიწაზე და დინჯად, აუღელვებლად აღასრულებდა დამბადებლისგან მიწილკერ-

ძებულ საღვთო მისიას მიწყევ ღალატიანი ნუთისოფლის წინაშე.

და რამდენად ნიშანდლობლივია, საგულისყურო და კანონზომიერი, ღმერთთან ლაპარაკის, ცასა და მყარს შორის მედიუმობის, ადამიანთა და უკვდავ, უხილავ არსებათა შუა-მავლობის უფლებას რომ აძლევდა საკუთარ თავს:

ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუფძღვე წინა ერსა...

და ვინ, თუ არა მისგანვე ალაღად და უშურველად გზადლოცვილი ვაჟაფშაველა უნდა შეზიარებოდა ამ საკრალური, მისტიკური, ზეაღმატებული აქტის განხორციელებაში.

გულზედ მესვენა მზე-მთვარე, ვლაპარაკობდი ღმერთთანა.

ასეთი თამამი და ხმამაღალი პოეტური განცხადების უფლება რომ მოიპოვო, მრავალწლიან მეუდაბნოეთა თუ მეჭემმარიტე ნათელმხილველთა არასადაგი ადამიანური უნარებით უნდა იყო დაჯილდოებული...

შეგახსენებთ: წმინდა ილია მართლის ხატი ლადო ასათიანის წარმოსახვაში „მუზების ღმერთის“ ალით მკვიდრობდა:

საგურამოში ხე არის ერთი, ხე-რხეული და რტოებხნიერი, აქ ისვენებდა მუზების ღმერთი და შუბლმაღალი ოლიმპიელი...

„შუბლმაღალი ოლიმპიელი“ და იმავდროულად, ხალხის ჭირ-ვარამსა თუ საკეთილდღეოზე მთელი თავისი არსებით „მიბმული“ ჩვეულებრივი ადამიანი, მიმწუხრის ხანს აივანზე გამო-

სული მშვიდად რომ გაჰყურებს საძოვრებიდან სოფელში დაბრუნებულ ნახირს.

„მინიერისა“ და „ზეციერის“ ჰარმონიული თანაარსებობა სრულყოფს და განსაზღვრავს ილია ჭავჭავაძის პიროვნულ თავისთავადობას...

ჩნდება განცდა, რომ აქ, განსაწმენდელის ბადალ ამ არაჩვეულებრივ გარემოში ახლაც მიმოდინ და ბაასობენ ილიას დღეობაზე (რა მნიშვნელობა აქვს ეს დღე თიბათვის 20 იქნება თუ 8 ნოემბერი!) თავმოყრილ უწინარეს ქართველთა ლანდები... თითქოს გიგო ყარალაშვილის, თედო გულბათაშვილისა და სანდრო კავსაძის სიმღერებიც ისევ მოისმის დროთა სიშორიდან და ხანდახან ვაჟა-ფშაველას, ნიკო ხიზანაშვილის, პეტრე უმიკაშვილის, და-ძმა უორდროპების, ვალერიან გუნიას, რაფიელ ერისთავის, ნატო გაბუნასა თუ არტურ ლაისტის სულმნათი სახეებიც კვლავ გამოკრთებიან და გამოანათებენ ჟამთა მარადისობიდან... მათთანვე ფშაველი მელექსე ქალი ბაბალე მინდოდაური, ხვარამზეს ციკლის ლექსების ლეგენდარული ავტორი...

წლის ნებისმიერ დროს სასიამოვნოა ილიას კარ-მიდამოში შემოხიჯება, მითუფრო მაშინ, როცა ასეთი მნიშვნელოვანი ჯილდოს ღირსად ჩაგთვლიან და პასუხისმგებლობას გაგიათმაგებენ.

და დღესაც გვწრთვნის და გვასწავლის ჩვენი დიდი სულიერი წინამორბედი; მოგვიწოდებს სიფხიზლისკენ, „შეუნონარი სირეგვის“ მონებად რომ არ ვიქცეთ; გვიხმობს მწერალი, საზოგადო მოღვაწე და მამულიშვილი, ვინც, ვაჟას ნათქვამი რომ გავიმეოროთ, „სამარემდის მთლიან ადამიანად დარჩა, როგორც ზოდი ოქროსი“.

ამირან არაბული

ეს ბობოქარი, მებრძოლი სული

24 მცხეთის ჯვარს რომ გავცდები, გული სხვანაირად მიძგერს. ცენტრალური გზიდან როცა წინამურის გზას დავადგები და ობელისკთან აღმოვჩნდები, ფიქრები ამეშლება. იმ შავბნელ 1907 წელზე, როცა დიდი ტრაგედია მოხდა და ჩემს თავს კითხვებს ვუსვამ, როგორ განირა უღირსი ქართველის ნასროლმა ტყვიამ ილია ჭავჭავაძე.

ილიას სახლმუზეუმში მოხვედრისას მაღალი სულიერი განწყობა მეუფლება. რამდენ სიტბოს იტევს ეს აივანი, გავყურებ გადაშლილ ველს და ვფიქრობ, რა ბედნიერი ვარ. როცა ილიას აივანზე ვდგავარ, ვსუნთქავ იმ ჰაერს, რომლითაც ილია და მისი თანამოაზრეები საზრდოობდნენ და ქვეყნის მომავალზე ბჭობდნენ. ამ წუთებში მე ბედნიერი ვარ, უფალს მაძლობა, რომ ამ ადგილზე დგომის ღირსი გამხადა.

ვაკვირდები ინტერიერს და ვიაზრებ, რომ ისიც ჩვეულებრივი ადამიანი იყო და სწორედ ამიტომ თავს მდაბლად ვუხრი ამ ბრძენ კაცს, რომელიც საქართველოს შეეწირა და ისტორიაში ილია მართლის სახელით ჩაენერა.

მოვდივარ და გულში საოცარი სიტბო



და სინმინდე მრჩება. ეს ბობოქარი, სიცოცხლით აღსავსე, მებრძოლი სული დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს, პირუთვნელად და უშიშრად მივემსგავსო მას სამშობლოს სიყვარულში.

მაძლობა, ღმერთო, რომ ღირსი გამხადე ილია მართალი მეხსენებინა და გამომეხატა ჩემი პატივისცემა და სიყვარული მისდამი.

გიორგი წერეთელი





ნინო ჩხიკვიშვილი

სისხლიან 37-ში ვინ გამოაღო იმედის ფანჯარა?

„ცისფერი ყანწების“ პირველი ნომრის გამოსვლამ შესძრა ლიტერატურული სამყარო, ცისფერყანწელთა მანიფესტი მოწმენდილ ცაზე მების გავარდნას ჰგავდა... მოგვიანებით გრიგოლ რობაქიძე იხსენებდა: ქუთაისში ელვის სისწრაფით გაისმა ახალი სიმღერის ხმა, უეცრად აფორიაქდნენ ის ახალგაზრდები, რომლებიც ახალი სიმღერით არღვევდნენ ქუთაისის მშვიდ ქუჩებს... ქუთაისის დუქნები ერთბაშად გადაიქცა პარიზულ კაფეებად!

კოლაუ კი წერდა:
არის ინტიმი: — მალარმეს გედი
და იმერეთში — თამარის ხიდი.

ჰო, ეს დიდი ხნის წინათ იყო. მას შემდეგ მთელი საუკუნე გავიდა.

თითოეული ცისფერყანწელი გამორჩეული იყო და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სრულებით არ ჰგავდნენ ერთმანეთს, ცისფერყანწელები ერთი პოეტია (წერდა პაოლო და გამგონს უნდა გაეგო!). კოლაუ კი ამ ნათქვამს რამდენიმე ათეული წლის შემდეგ პაოლოსადმი მიძღვნილ წერილში გამოეხმაურა:

„ჩვენ ერთ დედას არ ვუშობივართ, მაგრამ ერთდროულად კი გავახილეთ თვალი, რათა ერთნაირად დაგვენახა, ერთნაირად გვეგრძნო განგების ნაბოძები, დიადი სამშობლო... ჩვენ ხომ ფიცი დავდეთ შემოდგომის წვიმიან ღამით ბალახვანის ქუჩის ერთ მიყრუებულ სადარბაზოში, რომ კუბოს კარამდე შეუბღალავად მიგვეტანა ჩვენი სიყვარული და პირნათლად შევხვედროდით ბედსა და სიკვდილს!“

და ასეც იყო: ყანწელები რუდუნებით აგვირისტებდნენ ქართული პოეტური სიტყვის დაფლეთილ ბადეს, ვიდრე მწერალთა კავშირში არ იქუხა ორლულიანმა სანადირო თოფმა.... და პირველი ბზარიც გაჩნდა, მაგრამ არა მათ ერთობლივ სულიერ, არამედ, ფიზიკურ არსებობაში.

თუმცა მანამდე, 1937 წლამდე, ჯერ კიდევ ბევრი დროა.

1916 წლის თებერვლის დასაწყისში ქუთაისში გამომავალი გაზეთი „მეგობარი“ (№105-108) საზოგადოებას ამცნობდა, რომ ძალიან მალე გამოვიდოდა ჟურნალი „ცისფერი ყანწები“. მართლაც, 1916 წლის თებერვლის ბოლოს ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა ცისფერყანწელთა პირველი ჟურნალის — „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომერი.

უკანასკნელი ცისფერყანწელის გარდაცვალების შემდეგ მის არქივში აღმოჩნდა დოკუმენტი, რომელშიც პოეტის დაბადების თარიღად 24 თებერვალია აღნიშნული. შორეულ ახალგაზრდობაში ლექსიც აქვს: „გამგზავრება მალაელთან ერთად ჩემს დაბადების დღეს 24 თებერვალს“; არადა, მოგვიანებით კოლაუ დაბადების დღეს 26-ში აღნიშნავდა, იქნებ იმიტომ, რომ გასაბჭოების დღეს, 25 თებერვალს, არ სურდა, სუფრასთან, სამხიარულო განწყობით შეხვედროდა. ან იქნებ... ამ თარიღს ყანწელთა პირველი ჟურნალის გამოცემის დღეს უკავშირებდა?!

მასწავს მისი უკანასკნელი დაბადების

დღე: თვალისჩინდაკარგული პოეტი სევდიანი სიხარულით გვხვდებოდა და იგონებდა წარსულს. იმ დღეს გალაკტიონის ლექსიც კი წაგვიკითხა ზეპირად, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“ და დასძინა: ამ ლექსის ავტორს რამ დაანერინა „გემი დალანდიო“!. იმ საღამოსაც ახსენა პაოლო, ყველა ყანწელი... მაგრამ არც პაოლოს უკანასკნელ ღამეზე ჩამინერია მისი ნაამბობი: სამწუხაროდ, ახლა მხოლოდ ფრაგმენტებილა შემიძლია აღვადგინო: წინა დღეს რაღაც უგუნებოდ მეჩვენაო, მითხრა, ფერმკრთალი სახე ჰქონდაო! კიდევ მახსოვს ის, რომ... თუმცა მანამდე ერთ შემთხვევას გავიხსენებ:

ერთმა მიაამბო: როცა აღმოაჩინეს პაოლოს ცნობილი ჩანაწერი, სადაც თვითონ კითხულობს „მაგიდა პარნასს“, ვერ ამოიცნეს, ვისი ხმა იყო და კოლაუს დახმარება სთხოვეს. კოლაუმ მოისმინა ჩანაწერი და გული წაუვიდაო!

— ეს, ალბათ, ის მითია, რომელიც იმ რეალობამ შექმნა, რათა კიდევ ერთი შთამბეჭდავი ეპიზოდით „გაგრძელდეს“ კოლაუსა და პაოლოს მეგობრობა-მეთქი, — მივუგე და მართალიც აღმოვჩნდი: ლამარა კიკილაშვილის ერთ-ერთმა წერილმა ეს მითი გააქარწყლა, როცა დანვრილებით აღწერა, 1967 წელს როგორ გადასცეს პაოლო იაშვილის შთამომავლებმა რადიოს უნიკალურ ფონდს 1934 წელს მოსკოვში, მწერალთა საკავშირო ყრილობაზე პოეტის მიერ წაკითხული ლექსის — „მაგიდა ჩემი პარნასის“ ჩანაწერი, რომელსაც მოსკოვის არქივში სრულიად შემთხვევით მიაკვლია მწერალმა ირაკლი ანდრონიკოვმა.

ქალბატონ ლამარას კოლაუსთვის დაურეკავს და უთქვამს, პაოლოს ხმის ჩანაწერს მიაკვლიესო. კოლაუ მაშინვე მისულა სტუდიაში, ჩანაწერი მოუსმენია, უსიტყვოდ ამდგარა და მდუმარედ დაუტოვებია სტუდია, ფიქრით პაოლოსთან „გადასახლებულს“, ესლა უთქვამს: ვერ წარმოიდგენთ, რა გამაოგნებელია დიდი ხნის დაკარგული უახლოესი ადამიანის ხმის მოსმენაო!..


თავის დროზე, კოლაუ ნადირაძის არქივზე მუშაობისას, როცა პაოლოსა და ტიცციანის ხელნაწერებს წავაწყდი, უფრო ხელშესახები გახდა ჩემთვის წარსული, რომელსაც ასე ესათუთებოდა უკანასკნელი ცისფერყანწელი. ვფურცლავდი ამ გამოხუნებულ წერილებს და პოეტები ცოცხლებოდნენ, როგორც პალიმფსესტის კითხვისას ასოთა შორის შერჩენილი წინა წარწერა,

თითქოს სტრიქონთა შორის უშრეტ ალაღ გადაედინებოდა ცეცხლი მათი მშფოთვარე პოეტური არსებობისა.

სწორედ ამ არქივში აღმოჩნდა პაოლოს ის წერილები, რომელთა უმეტესობა შემზარავი წინათგრძნობითაა აღბეჭდილი. ერთ-ერთი 1931 წლის 6 ნოემბრითაა დათარიღებული. ამ წერილის ადრესატები, კოლაუსთან ერთად, ვალერიან გაფრინდაშვილი და გიორგი ლეონიძე არიან.

„ჩემო ძვირფასო, დაუვინყარო მეგობრებო და ძმებო, ვალერიან, კოლაუ, გოგლა!

ვწერ ლამის ოთხ საათზე, ლევანის ბინაში. ეს სახლია ქართველების და ქართული პოეზიის ბუდე. ყოველ საღამოს გაისმის ვაჟას და ხალხური ლექსები და არასოდეს ლევანი არ ყოფილა ჩემთვის ასე ნამდვილი და საყვარელი, როგორც მოსკოვში. ტიცციანი და ლევანი ხვალ მოდიან ტფილისში და უნდა მოგწეროთ, რასაც ვფიქრობ ეს დღეები: ბედნიერები ხართ, რომ ჩემზე უფრო მეტ ხანს იცოცხლებთ ტფილისში და საქართველოს მინაზე. ალბათ, ხვალიდან ყველაფერი უარესად გამოიცვლება. მოსკოვი მიჩვეულია გახიზნული ქართველების ცრემლებს, მაგრამ შეიძლება არავის არ გამოჰყოლოდეს თქვენი და სამშობლოს სევდა, როგორც მე. მაგრამ მე ეს მჭირდებოდა და, თუ ჩემი ხმა ძვირად გესმოდათ, შორიდან შევეცდები უფრო დავატკბო თქვენი იმედი, თქვენი ფიქრი — რომ ერთადერთი გზა დამრჩენია, ვიმღერო და ვიმღერო, შეიძლება გატეხილი, მაგრამ ნამდვილი ხმით. ტრადიცია გრძელდება და, თუმცა ბატონიშვილი არა ვარ, მაგრამ გულუხვ ღმერთს ბატონიშ-



ვილებზე ნაკლები ძალა არ მოუცია ჩემთვის სამშობლოსა და პოეზიის სიყვარულისთვის. რაც უფრო სხვანაირი იქნება ჩემი ხმა, უფრო ახალი და მოულოდნელი იქნება ის თქვენთვის. არც თანამგზავრი ვარ და არც მოკავშირე, ვარ ერთი გზააღდენილი კაცი. ასეთ მდგომარეობაში სისუსტეც მეპატიება. ვფიქრობ თქვენზე, ვფიქრობ მედღეაზე და თქვენი სიცოცხლე მაძლევს იარაღს — მის მოხმარებას არ გადავჩვეულვარ. ნუ დამივიწყებთ, მოსკოვის სიცივით ატანილს, ერთი თვეა, თქვენი ხმა არ მომისმენია. ტიცვიანის ჩემთან ყოფნა ამას ნაკლებად მაგრძობინებდა, ახლა კი თქვენი წერილების, ლექსების, დეპეშების და სადღეგრძელოების იმედი მაქვს. კარგად იყავით, ჩემო საყვარლებო. მომიკითხეთ სერგო და შალვა და ყველა თქვენები.

თქვენი მარად მოყვარული პაოლო იაშვილი

6.XI. 31. “

(წერილში ნახსენები ლევანი, როგორც თავის დროზე ტიცვიანის ქალიშვილმა, ქალბატონმა ნიტამ მითხრა, ლევან ლოღობერიძე, რეჟისორ ლანა ლოღობერიძის მამა აღმოჩნდა).

პაოლო წერილში იარაღს ახსენებს და იქვე დასძენს — მის მოხმარებას ჯერ არ გადავჩვეულვარო!

რას ნიშნავს ეს სიტყვები, სიმბოლურ ახსნას მოუძებნი თუ?...

„პაოლოს ხასიათი მაინც არ გამოუცვლია, ძალიან მოწყენილია და ჩემთან ლაპარაკსაც ერიდება...“ — ეს უკვე ტიცვიანი იწერება მოსკოვიდან 30-იან წლებში.

დღევანდელი გადასახედიდან, ყველა ამ ბარათს, თუნდაც პანანინა ჩანანერსაც კი, სულ სხვა მნიშვნელობა ენიჭება. რაც შეეხება ამ ე.წ. მოკავშირეს, პაოლო რომ ახსენებს წერილში, ეს ტერმინი უკავშირდება მაშინდელ სამთავრობო დირექტივას. საბჭოთა მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, თუ ხელოვანი მათი მოკავშირე არ იყო, მტრად ცხადდებოდა. იყვნენ ასევე ე.წ. თანამგზავრიც, რომელთაც, ბოლოს და ბოლოს, პარტია „აძლევდა“ იმის შესაძლებლობას, რომ ისინიც მათი „ღირსეული წევრები“ გამხდარიყვნენ... და სწორედ იმ დროს, როცა პაოლო ამ წერილს წერდა, „თანამგზავრად“ გამოცხადდნენ ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლი იაშვილი, გიორგი ლეონიძე და ის მწერლები, რომლებიც ამჟამად არ ილაშქრებდნენ საბჭოთა წყობის წინააღმდეგ.

მკვლევარი ლალი ავალიანი მონოგრაფიაში პაოლო იაშვილზე სწორედ ამ პერიოდს უბრუნდება, როცა აღწერს 1932 წლის თებერვალში საქართველოს საბჭოთა მწერალთა ფედერაციაში გამართულ დისკუსიას თანამგზავრობისა და მოკავშირეობის შესახებ და აქვე იმონებს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებულ პაოლო იაშვილის სიტყვას, რომელიც ამ დისკუსიაზე წარმოუთქვამს:

„მას შემდეგ, რაც რუსეთში შემოვიდა ფრთიანი სიტყვა „თანამგზავრები“, მე ყოველთვის მიპყრობდა შიში, რომ „ცისფერყანწელები“, როგორც ლიტერატურულ-რევოლუციური ჯგუფი, შეიძლება მიაკუთვნონ ამ თანამგზავრებს“.

კოლაუ ნადირაძის არქივშივეა პაოლოს ცნობილი ლექსის, „წერილი კოლაუ ნადირაძეს“, თავდაპირველი ვარიანტი, რომლის სახელწოდება ასე იკითხება: „პოემიდან მიმართვა მეგობრებს“. ესეც იმ წერილს ერთვის, მოსკოვიდან რომაა მოწერილი და სადაც მთელი გულით სთხოვს, მასთან ჩავიდეს და თან ჩაუყვანოს მედეა (მედეა პაოლოს ქალიშვილია. ნ.ჩ.), სთხოვს, რომ მისი ლექსი დაიზეპიროს, ყანწელებს სუფრასთან წაუკითხოს და იქვე მიუწერია: ნუ იზარმაცებ და აუცილებლად მომწერე, მოგწონს თუ არა ეს ლექსიო!

სამწუხაროდ, ვერ გეტყვით, მისწერა თუ არა მაშინ კოლაუ ნადირაძემ ამ ბარათზე პასუხი, მაგრამ დიდი ხნის შემდეგ ასე შეეხმიანა მეგობარს:

„მოსკოვიდან გამოგ ზავნილ წერილში პაოლო მწერდა:

ძმაო, მომწერე ისეთი რამე, ჰქონდეს ჩვენს ბაღში საუბრის ფასი. ჩემს სადღეგრძელოს თუ ისევ სვამენ, ჯერ თუ მთელია საჩემო თასი. თუ გამოაკლდა ვინმე ჩვენს ცამეტს და პოეტების დაინგრა დასი.

საყვარელო პაოლო, ჩვენი საუბარი სამარადისოდ შეწყვეტილია. პოეტების დასი დაინგრა, აღარ არსებობს. იგი ჟამთა არაკანონზომიერმა სვლამ შეინირა. მხოლოდ, სავალალოდ, მე და სერგო დავრჩით. სხვებმა დატოვეს ჩვენი ძმური მაგიდა. მათი სკამები ცარიელია. მაგრამ შენს სადღეგრძელოს ისევ სვამენ შენს მზიურ სამშობლოში, ჩემო ძვირფასო! ისევ ღვინით სავსეა საშენო თასი, პირთამდე სავსეა იგი! მხოლოდ ეს თასი ახლა ჩემს ხელთ არის, ჩემო დაუვიწყარო ძმაო და მას მე, შენთან შეფიცული ძმა,

ნილო ჩხიკავიძე. სისხლიან 37-ში ვინ გამოსულ იქნის ფანჯარა?

უკანასკნელ წვეთამდე შევსვამ!“

უკანასკნელ წვეთამდე შევსვამო, პირობას დებს კოლაუ ნადირაძე და მართლაც შესვა თასი, რომელიც, ღვინოსთან ერთად, სიმწრითაც აღმოჩნდა სავსე. და აქ შეუძლებელია, არ მოგაგონდეს გურამ ასათიანი, ცისფერყანწელებს ადრე დაბერებული, წამებული ბავშვები რომ უწოდა, ბავშვები, რომლებიც გულის სიღრმეში ატარებდნენ სიყვარულისა და აღერსის მწვავე მოთხოვნისა.

„გიგ ზავნი ერთ ლექსს, მხოლოდ იმიტომ, რომ მოულოდნელია“. — ასე წერს 1926 წელს პაოლო კოლაუს. წერილს თან დაურთავს „მელორის სიმღერას“. ეს ლექსი, როგორც ლოცვა, თუ ვედრება, როგორც აღსარება, ისე აღიქმება დროთა გადასახედიდან და ახლა, როცა (უფლის ნებით, პატრიარქის მიერ) პაოლოს, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანის რეაბილიტაცია მოხდა, მეტ სიმბოლურ დატვირთვას იძენს შემდეგი სტრიქონები:

*„უფალო! უსმინე შევარდენს,
მის ხელით გიგ ზავნი ბარათს,
მიშველე, ღორებში ჩავარდნილს,
ღორებში დარჩენილს მარად.
როგორც რომ ბურვაკი პალოზე,
ახოში ბანარით აბია,
მარტო ვარ, უფალო, დალოცე
მელორე ცრემლების ყლაპია!“*

...
*მომეცი ბავშვებში ჩარევის
და მათთან თამაშის ნება,
უფალო! შენს გარდა არავის
არა აქვს ამის უფლება.“*

რამ ათქმევინა ეს ლექსი პაოლოს?! მოსალოდნელი აღსასრულის წინათგრძნობამ ხომ არა, იმ ყოფამ ხომ არა, რომელ რეალობაშიც აღმოჩნდა, მხოლოდ პაოლო კი არა, მაშინდელი ინტელიგენციის (და არამხოლოდ ინტელიგენციის) უმეტესობა. არსებობს ერთი ასეთი მოგონება — ერთხელ პაოლოსა და გოგლა ლეონიძეს შემოსწრებულ უცნობთან უჭამიათ პური და, შეზარხოშებულეებს, კარგადაც შეუმკიათ ბერია, მეორედ ღღეს კი... ორივე პოეტი ბერიას კაბინეტში აღმოჩენილა: გოგლას ხმა არ ამოუღია, პაოლოს კი თავი ვერ შეუკავებია და პირდაპირ მიუხლია: — ვითომ მაინც ვინა ხარ ასეთი, შენზე რომ გველაპარაკაო?!. და ისე გამოსულა კაბინეტიდან, რომ კარიც კი გამოუჯახუნებია!!!

რა თქმა უნდა, ბერია პაოლოს ამას არ

შეარჩენდა და არც შეარჩინა!..

პაოლოს ერთი ჩანაწერიც მინდა გავიხსენო: 1924 წლის „ბარიკადის“ 1 ნერილში „შვიდი წელიწადი“ აღნიშნავს: „პოეტი, რომელსაც შემოქმედების მთავარ იარაღად აღებულნი აქვს მშობლიური სიტყვა, რჩება თავისი ხალხის პოეტად, თუნდაც მთელი ერი მის წინააღმდეგ იყოს!“

ამ სიტყვებიდან ცოტა ხნის შემდეგ უმცროსი ძმა, 20 წლის ვასილი (ჭუნია), დახვრიტეს (ამ შესანიშნავი გარეგნობის ყმანვილის სურათიც პირველად კოლაუმ მანახა და მითხრა, კომუნისტებმა დახვრიტეს შორაპანშიო); 1924 წლის აგვისტოს აჯანყებისას დაუჭერიათ, პაოლოს მიუგნია, ჩუმად გამოუყვანია, მაგრამ ვაშაძესა და ტალახაძეს დაუნახავთ, უკან, ვაგონშივე შეუგდიათ და იქვე ჩაუცხრილავთ.

ამ ამბის შემდეგ, ეტყობა, უცნაური, გაუცნობიერებელი შიში აეკვიატა პაოლოს, თუმცა არასოდეს იმჩნევდა; ჯერ ძმა უნდა ეგლოვა: ისე წავიდა ამსოფლიდან, რომ ჭუნიას ამბავი დედისთვის არ გაუშხელია, დახვრეტილი ძმის სახელით წერილებს წერდა (ეს უცნაური ამბავი პირველად ერლომ ახვლედიანისგან გავიგე). ეს მოაგონდა ემიგრაციაში მყოფ გრიგოლ რობაქიძესაც, როცა პაოლოს თვითმკვლელობა შეიტყო:

„1924 წელს, საქართველოში დიდი აჯანყების დროს, დახვრიტეს მისი უმცროსი ძმა. დედას დაუმაღეს ეს გამანადგურებელი ამბავი. იაშვილმა ითავა, დაერწმუნებინა დედა: მას შვილი ცოცხალი ჰყავს, ირანშია გადახვენილი და იქ ცხოვრობს. წლების მანძილზე დახვრეტილი ძმის სახელით იაშვილი წერილებს უგ ზავნიდა დედას. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ ტანჯვა იმ კაცისა, რომელიც ცდილობს, ძმის ხელნაწერს მიამსგავსოს თავისი, დედამ ტყუილში რომ არ დაიჭიროს.“

თუ სანყალი მოხუცი ახლა ცოცხალია, გაიგებს, რომ მარტო ერთი შვილი არ დაუკარგავს“.

მახსოვს, როცა „მელორის სიმღერასთან“ დაკავშირებით გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ჩემი პატარა ჩანაწერი გამოქვეყნდა, პოეტის უმცროსი ძმის — კონიას ვაჟი, ბატონი ოთარ იაშვილი გამომეხმაურა. ერთმანეთს შევხვდით, ვისაუბრეთ. ბატონმა ოთარმა 1936 წელი გაიხსენა: საქართველოს გასაბჭოების 15 წლისთავის აღსანიშნავად მოსკოვში საქართველოს დელეგაცია ჩასულა. პაოლო სიტყვით გამოსულა კრემლ-

ში და მისთვის წითელი დროშის ორდენი გადაუციათ. ქართველ დელეგატთა სუფრის თამადაც კი ყოფილა და სწორედ მაშინ უჩუქებია სტალინს მისთვის თავისი ჩიბუხი და უთქვამს: შენ პაოლო კი არა, პავლე უნდა გერქვასო!

ამ სუფრასთან პაოლოს გვერდით ვოროშილოვი მჯდარა. ისიც მოხიბლულა პაოლოთი, საკუთარი სურათი უჩუქებია წარწერით, პატეფონითაც დაუჯილდოებიათ. საქართველოში რომ ჩამოსულა, მამამისს, ჯიბოს, არგვეთში დიდი წვეულება გაუმართავს და ბატონ ოთარს, რომელიც ამ წვეულებას ესწრებოდა, კარგად დამახსოვრებია მიხეილ ჯავახიშვილისა და ცისფერყანნელის შეჯიბრება მიზანში სროლაში, ქუდი აუგდიათ და სროლა დაუნყიათ... და კიდევ: პაოლოს სადღეგრძელო რომ შეუსვამთ, ჯიბოს შვილისთვის უთქვამს: პაოლო, ნამეტანი ხმაურობ და მეშინია, შენი ხმაური ცუდად არ დამთავრდესო!

ეტყობა, მშობელი გუმანით გრძნობდა მოახლოებულ საშინელებას!

როცა ვალოდია ჯიქია დაიჭირეს, ბერიას მეგობრების დაპირისპირება განუზრახავს. ჩამოუნერია კიდევ ის ბრალდებები, სასამართლოზე რომ უნდა წაეყენებინა მეგობრისთვის და... მაშინ პაოლოს უთქვამს ჯიქიასთვის: ვალოდია, დარწმუნებული იყავი, არასდროს დაგიპირისპირდებო! — ესეც ბატონმა ოთარმა მომიტხრო.

პაოლო სიცოცხლეზე უსაზღვროდ იყო შეყვარებული, ისეთი, სულში რომ ჩაისვამდი, მაგრამ კომუნისტებმა მასაც მოაკვლევინეს თავიო! — მითხრა კოლაუმ და მწარედ გაიღიმა. ვინ იცის, რამდენი ტკივილი იმალებოდა ამ ღიმილის მიღმა! ტკივილი, რომლის მოშუშება დრომ ვერ შეძლო. პირიქით, უფრო მეტად გაამძაფრა და სიცოცხლის მიმწუხრს, როცა თვალისჩინი დაკარგა, საკუთარ თავში გამოკეტილი ასკეტი წარსულში დაბრუნდა.

არაფერს ვაჭარბებ, ახლაც ნათლად მახსოვს, როგორ ელაპარაკებოდა პაოლოს. უხმობდა: პაოლო, ჰო, აქა ვარ, მოვდივარ, მესმის შენი, პაოლოო!..

ვერ ავხსნი, რა იყო ეს, უცნაური მისტიკა? მათ ხომ განსაკუთრებული სიახლოვე აკავშირებდათ...

კოლაუს უფროსმა ქალიშვილმა, ქალბატონმა ნელიმ, მამამ: თბილისში, ჯაფარიძ-

ის ქუჩაზე, ჩვენ და პაოლო ერთ სახლში ვცხოვრობდით, უფრო ზუსტად, პაოლომ თავისთან შეიკედლა კოლაუ, ოთახი დაუთმო ქუთაისიდან ჩამოსულ მამაჩემს და იქ ცხოვრობდა მამა თავის მეორე მეუღლესთან — ნინა მიხაილოვასთან ერთად. მერე მეც ჩამოვედი ქუთაისიდან სწავლის გასაგრძელებლად და იმ სახლში ვცხოვრობდით.

კარგად მახსოვს თითოეული ცისფერყანნელი: ვალერიან გაფრინდაშვილი, ტიცციან ტაბიძე, შალვა აფხაიძე, სერგო კლდიაშვილი, ალი არსენიშვილი, გოგლა ლეონიძე და მათი მეუღლეებიც: თამარი და ნინო, მიქელ პატარიძე და მისი მეუღლე. გაერთიანებული ოჯახები გვექონდა, ვინც კი პაოლოსთან მოვიდოდა, შეუძლებელი იყო, მამასთან არ შემოსულიყო: ჩვენთან ნამყოფი არიან მაიაკოვსკი, ესენინი, ანდრეი ბელი და სხვები. დანერდა თუ არა პაოლო ლექსს, მაშინვე კოლაუსთან შემოიტანდა ხელნაწერს, პირველად მას უკითხავდა... მერე გამართავდნენ ბჭობას, ერთმანეთის შექებასა და დარიგებას.

პოეტის ქალიშვილმა ბევრი რამ მამაზე და პაოლოს თვითმკვლელობის დღე მოიგონა — როცა ნაქცევულ ვაჟუკაცს ვერავინ ეკარებოდა, მამაჩემმა დაუხუჭა თვალებიო!

ბავშვობისდროინდელი დღიური მაჩვენა, სადაც პაოლოს ძვირფას ავტოგრაფს წავანყდი:

ნელის

*მე სამახსოვროდ ჩავინერ ამას
(რასაც სიკვდილის კარამდე ვიცავ),
ლექსებში გწამდეს პოეტი მამა
და „ყანწელები“ — თორმეტი ბიძა.
მაგრამ მე მინდა სიკვდილის წლამდე
პოეტის გარდა — მეგობრად გწამდე.
პაოლო იაშვილი
6. V. 30.*

მშვენიერი ექსპრომტია; რას იფიქრებდა მაშინ პაოლო, ეს პანია ექსპრომტი ასე სიმბოლურად თუ გაისმოდა ჟამთა გადასახედიდან?! ასეთი იყო პაოლო — დაუდევრად ფანტავდა სტრიქონებს. ვერც საკუთარი არქივი მოაწესრიგა; რადგან სიტყვამ მოიტანა, გაკვრით, მაგრამ მაინც უნდა შევეხო ერთ მტკივნეულ პრობლემას, რომელმაც დიდი პოლემიკა გამოიწვია პაოლო იაშვილის შემოქმედების მკვლევართა შორის (ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ლალი ავალიანისა და ზეინაბ ლომჯარიას ნაშრომები. ქალბატონმა ზეინაბმა საგანგებოდ 2001 წელს ნიგნიც კი მიუძღვნა,

რომელშიც საფუძვლიანად დაასაბუთა ამ თეზის უსუსურობა). ეს გახლავთ გიორგი ჯავახიშვილის მოსაზრება, თითქოსდა დარიანული ლექსები პაოლო იაშვილს არ ეკუთვნის(!)

სხვათა შორის, კოლაუს პირველი წიგნის „ბაღდახინის“ პირველი კარი „მთვარის ქურდები“ ძვირფას დას, ელენე დარიანს, ეძღვნება.

მახსოვს, ვკითხე კოლაუს, რას იტყობდი პაოლოს დარიანულთან დაკავშირებით-მეთქი. მომიგო: ელენესა და პაოლოს რომანი ჰქონდათ. ხელთათმანი პირველად სწორედ ელენემ გადმოუგდო. ელენე იმ ქალის სახელი იყო, რომელსაც პაოლო უყვარდა. დარიანი კი „დორიან გრეის პორტრეტიდან“ ნამოილო. ხომ კარგი ლექსები გამოუვიდაო? — მითხრა პოეტმა და ხმამაღლა წამიკითხა:

*„საყვარელ ხელებს მივეცემი,
როგორც ნაზ სანოლს
და შენ დამკოცნი, ვით დედოფალს,
ვით მხეველს და ცოლს.“*

ყოველთვის მიკვირდა, ვეკითხებოდი, ასე კარგად როგორ იცნობ ქალის ფსიქოლოგიას-მეთქი? ვიცნობ, ვიცნობო, მეტყობდა პაოლო და ტოლსტოის სიზმარს იგონებდაო; ამაშიც უცნაური ბედი ხვდა წილად ამ შესანიშნავ პოეტს. არადა, რა იქნებოდა, გამოექვეყნებინათ ეს „აღმოჩენა“ მაშინ, როცა სერგო კლდიაშვილი და კოლაუ ნადირაძე ცოცხლები იყვნენ...

კოლაუს ვაჟს, ნუგზარს, ახლაც ახსოვს, თუ როგორ უფრთხილდებოდა მამა „პაოლოს ტყვიებს“. ქალადში ჰქონდა შენახული და ზედ ეწერა — „ამ კარტუშის ტყვიებმა პაოლოს ტვინში გაიარეს!“

ერთხელ „პაოლოს ტყვიები“ მეც მანახა. ახლა ეს საფანტი კოლაუ ნადირაძის არქივიდან ქართული ლიტერატურის მუზეუმში ინახება წარწერით: „საფანტი აკრეფილია 22 ივლისს, 1937 წელს, პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის ადგილზე“.

კოლაუმ პოეტის უკანასკნელ ღამეზე მომიყვა: იმ დღეს ბერიასთან იყო დაბარებული. შინ რომ მივედი, პაოლო დანაღვლიანებული დამხვდა, არც კი გამომელაპარაკა, ტაშტში წყალი ჩაესხა, ფეხები ჩაეყარა, თავზე უცნაურად, მუსლიმანივით ჰქონდა პირსახოცი შემოხვეული და სულ სხვანაირი, აფორიაქებული ჩანდაო.

რა იყო, პაოლო, რა გჭირს, რამე მოხდამეთქი? — ვკითხე და მომიგო: არაფერი, ძალიან დავიღალე, თავი მტკივაო!..

მივხვდი, მარტო დარჩენა ერჩია: აღარაფერი მითქვამს, გამოვეცალეო!

კოლაუ იყო ის ერთადერთი ცისფერყანწელი, რომელიც პაოლოს უკანასკნელ გზაზე გაჰყვა. ამაზე ბევრი თქმულა, დაწერილა. მათ შორის გამორჩეული როდიონ ქორქიას ჩანანერია, რომელიც 1937 წლით თარიღდება (და რომელიც, სავარაუდოდ, მხოლოდ ბელეტრისტის გარდაცვალების შემდეგ გამოჩნდა). ამ პატარა მოგონებაში ბერიას სიტყვები სულ სხვაგვარადაა გადმოცემული, თუ როდიონ ქორქიას მოგონებას დავეყრდნობით, „იაშვილს ერთი მეგობარი ჰყოლიაო! — ასე კი არ უთქვამს ბერიას, არამედ, მუშტი დაურტყამს მაგიდაზე: „ყოჩაღ, კოლაუ ნადირაძეს ხელი არ ახლოთო!“... და იქვე დასძენს: „დრო იყო შიშისა და სიჩუმის, სილაჩრისა და თავის დაზღვევის, დრო ქართული რაინდობის დაკარგვისა და ასეთ დროს კოლაუ ნადირაძე აღმოჩნდა ერთადერთი ქართველი მწერალი, რომელმაც შეინარჩუნა ქართველი ადამიანის ხასიათი. ასე რომ, არ ყოფილა მომავლისკენ ყველა კარი დახშული! იმ დღეს კოლაუ ნადირაძემ ქვეყნის მომავლისკენ იმედის ფანჯარა გააღო!“ — ამბობს მწერალი. ეს ის როდიონ ქორქიაა, რომელიც თავის დროზე (როგორც მისი შვილიშვილი იხსენებს) ლავრენტი ბერიას თავისთან დაუბარებია და დიდხანს „უსაუბრია“ მწერალთან. ამ შეხვედრის შემდეგ როდიონ ქორქია ცხოვრების ბოლომდე საერთოდ გაურბოდა პოლიტიკაზე საუბარს და მხოლოდ და მხოლოდ საყმანვილო მოთხრობებს წერდაო... (მისი მოთხრობა — „მარილის აკვანში“ საბჭოურ წლებში სასწავლო პროგრამაში იყო შეტანილი).

დიახ, როგორც ჩანს, მართლაც გამოაღო იმედის ფანჯარა პაოლოს დაკრძალვისას კოლაუ ნადირაძემ და ეს ამბავი მაშინვე ლეგენდად იქცა.

როცა ნინო ხოფერიას დიალოგი გამოქვეყნდა მხცოვან პოეტთან, სწორედ ამ ჩანაწერს დაეყრდნო როსტომ ჩხეიძე და შესანიშნავი ესეი მიუძღვნა კოლაუ ნადირაძეს. ამ ესეიში არამარტო პოეტის პორტრეტი, არამედ მთელი ეპოქა დახატული: „პაოლოს დაკრძალვისას კი ლეგენდა კოლაუ ნადირაძის მხრებს უნდა აეზიდა. საგანგებო სიის შედგენა ორიოდ მეგობრის ჭირისუფლობასაც გამორიცხავდა, თუკი თავი არ მოსძულებოდათ. და თუმცა კოლაუ მაინც აღმოჩნდა ის ერთადერთი, ვინც მეგობართაგან გაჰყვა საწყალი პაოლოს კუბოს...“

პირნათლად აღასრულებდა თავის ადამი-
ანურ ვალს და გაუხუნრად ჩარჩებოდა ხსოვ-
ნაში: მივყვებოდი ცხედარს და, თქვენ წარ-
მოიდგინეთ, რაღაც უცნაურ სიმყარეს
ვგრძნობდიო...

დაკრძალვის ამ ცერემონიაშიც თვალ-
ნათლივ ირეკლებოდა ადამიანთა სულიერი
დაძაბუნებაც, მათი ყრუ მორჩილებაც და
ხელისუფლების შეუზღუდავი ბატონობაც.
„იაშვილს ერთი მეგობარი ჰყოლია!“ — ქირ-
ქილებდა ხელისუფალი და საამოც ეს იყო. და
იმ ერთადერთი მეგობრის სითამამეს
ამჯერად დაე დაუსჯელად ჩაეველო“.

ერთხელ კოლაუს ვაჟმა, ბატონმა ნუგ-
ზარმა, ოთარ მამფორიას მონათხრობი მოი-
გონა: კოლაუმ პატრე-პავლეს ეკლესიასთან
შუალამისას სასაფლაოზე ამიყვანა, უე-
ცრად რაიმე რომ დამემართოს, შენ მაინც
უნდა იცოდე, სადაა პაოლოს საფლავიო, და
თან ერთი თეთრი მტრედი წამოიყვანა,
სანთლები, ოთხი ბოთლი ღვინოც. პაოლოს
შესანდობარი დავლიეთ, სანთლები დავან-
თეთ და, როცა უბიდან თეთრი მტრედი ამო-
აფრთქილა, უცნაური რამ მოხდა: ფრინ-
ველმა კამარა შეკრა, აფრინდა, თითქოს წრე
დაარტყა და მერე ისევ პაოლოს საფლავზე
დაფრინდა... კოლაუმ კი პირჯვარი გადაინ-
ერა — ეს ხომ სასწაულიაო (როგორც ნიშანი
— სიმბოლო, უფლისგან ბოძებული), წამოს-
ვლისას კი მტრედს ხელი მოჰკიდა, უბეში
ჩაისვა — ამას აქ როგორ დავტოვებო, - და
შინ წაიყვანაო.

მერე, თურმე, დიდხანს ჰყოლიათ „პაო-
ლოს მტრედი“ ოჯახში. ეგ კი არა, კოლაუს
მეუღლეს ამ ფრინველისთვის „ჟღურტიკაც“
კი შეურქმევია.

„იაშვილს ერთი მეგობარი ჰყოლია!“ —
ქირქილებდა ხელისუფალი და საამოც ეს
იყო. და იმ ერთადერთი მეგობრის სითამა-
მეს ამჯერად დაე დაუსჯელად ჩაეველო“
(როსტომ ჩხეიძე).

„ყორჩად, კოლაუ ნადირაძეს ხელი არ ახ-
ლოთო!“ ამას როდიონ ქორქია იმეორებს და
ამ მოგონებათა ფონზე იქმნება ლეგენდა ასე
ნამდვილი და ხელშესახები.

ერთხელ, როცა კოლაუს ვკითხე, თქვენ
როგორ გადაურჩით რეპრესიებს-მეთქი?
გაქცევითო: ორჯერ მომაკითხეს ჯაფარიძე-
ის ქუჩაზე. კაკუნი რომ გავიგონე, უკანა მხ-
არეს, ფანჯრიდან გადავხტი და მწერალთა
კავშირის ბაღში დავიმაღე, მერე კი იმერეთ-

ში გადავიხვეწეო!..

თუმცა, მაინც მგონია, ბერიას მაინცდა-
მაინც არაფერს უშლიდა კოლაუ ნადირაძე,
თორემ რომ მოენდომებინა, აუცილებლად
იპოვნიდა და მასაც დახვრეტდა.

„მე ეგ დუმილი მიღირდა ძვირად“ — ამ-
ბობს პოეტი ერთგან, მაგრამ დროდადრო
დუმილს არღვევდა, პაოლოს ახსენებდა. პა-
ოლოსადმი მიძღვნილ შესანიშნავ ლექსსა და
მოგონებას სულ ახლახან კიდევ ერთი პანია
მინანერი დაემატა: კვლავ აღმოჩნდა პოეტ-
ის არქივში რამდენიმე ხელნაწერი. მათ
შორისაა ღია ბარათი, რომელზეც ბრონეუ-
ლის ყვავილია გამოსახული. სწორედ ამ ღია
ბარათისთვის ნაუნერია კოლაუს მეორე
მხრიდან: „შენ ეს ყვავილი გიყვარდა, პაოლო!
პაოლო, ჩემო საყვარელო, წამებულო ძმაო!!
შენი კოლაუ. 1947 წ. შენი ვაჟკაცური
დაღუპვის 10 წლისთავი. კ.ნ.“

წამებულოო!.. როგორ ზუსტად მიესადა-
გება ეს სიტყვა პაოლოს ტრაგიკულ აღსას-
რულს.

მაინც რა უნდა ექნა?!

რა უნდა ელონა, ღორებში ჩავარდნილს,
ღორებში დარჩენილს მარად?!

ერთი რამ მახსოვს — ერთხელ მონაზონ-
მა მითხრა: თვითმკვლელს ღმერთი მაშინვე
არ აგზავნის ჯოჯოხეთში, ჯერ იმას გამოი-
ძიებს, თუ რად მოიკლა თავიო! ეს სიტყვები
ნუგეშად დამრჩა: და აჰა... დაინახა უფალმა
პაოლოს თავგანწირვა და მისი გული: უსმი-
ნა შევარდენს და დაადგინა წამებული პოე-
ტი გალავნის ყორეზე ბელურა ჩიტად!!!

ცოცხლად დარჩენილი კოლაუ კი მთელი
ცხოვრება კომუნისტებს ებრძოდა. კომუ-
ნისტები ეჯავრებოდა. სძულდა საშინლად.
ეს საყოველთაოდაა ცნობილი. ამაზე ხალხ-
ში ზეპირი მოთხრობებიც (ზოგი ნამდვილი,
ზოგიც შეთხზული) კი დადიოდა. ახლა ამ
ლეგენდებს არ მოვყვები, მაგრამ ორიოდე
შემთხვევა არ შემიძლია არ მოვიგონო: როცა
პირველად დავურეკე და ვუთხარი, რომ მას-
თან შეხვედრა მინდოდა, მოულოდნელად
შემეკითხა: თქვენ კომუნისტი ხომ არ ხარ-
თო? თან ისე მკაცრად მკითხა, კინალამ ყურ-
მილი დავკიდე. და როცა გაარკვია, ნამდ-
ვილად არ ვიყავი კომუნისტი, მითხრა — კი
ბატონო, მაშინ მობრძანდითო!

მივედი. მისმა მეუღლემ კარი გამიღო და
შეეხმიანა — კოლაუ, ის სტუდენტი მოვიდა,

ნინო ჩხიკვიძის მიხედვით. სისხლიან 37-ში ვინ გამოსულ იმდის ფანჯარაზე.

ტელეფონით რომ გელაპარაკაო, და... პოეტი-მა კიდეც ერთხელ „შეამონმა“, ვიყავი თუ არა კომუნისტი. როცა დარწმუნდა, „მიგზავნილი“ არ ვიყავი, გულწრფელად მიმილო.

ქალბატონი ნორა ხშირად ღიმილით მიყვებოდა, სერგო ორჯონიკიძის სურათის დანახვაზე როგორ ტეხდა ნამდვილ დებოშს ფოსტაში პენსიის ასალეზად მისული თვეში ერთხელ — როდემდე უნდა გეკიდოთ აქ ამ კაცის სურათი, ჩამოხსენითო! ჰოდა, ერთხელაც ფოსტის „განსწავლულ“ თანამშრომელ ქალბატონს, ცოტა არ იყოს, აგდებით მიუმართავს: ბატონო, ეტყობა, თქვენ ნამდვილად არ იცით, ვინ იყო ეს კაცი და რა წვლილი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის წინაშეო! და... აი, მაშინ კი გაცეცხლებულა ყანწელი: მე კი არა, თქვენ არ იცით, ვინ არის ეს კაციო! სწორედაც ორჯონიკიძემ დაგვლუპა და დაგვაქციაო!

და რადგან ორჯონიკიძე (კოლაუსთვის უხსენებელი) ვახსენე, აქვე უნდა გავიხსენო ლექსი „1921 წლის 25 თებერვალი“. სწორედ ამ ლექსმა აზიდა ფარზე კოლაუ ნადირაძე სიცოცხლის მიმწუხრს, კიდეც ერთხელ, როგორც მოქალაქე, როგორც პოეტი და მამულიშვილი.

მკვლევარი სოსო სიგუა წიგნში „ქართული მოდერნიზმი“ როცა კოლაუ ნადირაძეს ახსენებს, ამბობს, რომ იგი იყო მოდერნისტების უკანასკნელი მოჰიპანი, რომელმაც ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე წმინდად ატარა სიმბოლიზმის დროშა და დაღუპული მეგობრების სახელი. პოეტი კომუნისტური რეჟიმის დამხობას მოესწრო და, რადგან მუდამ ჩრდილში დგომა უყვარდა, ამიტომაც არ უწვნივია ხელისუფლების რისხვა და მხოლოდ ღრმად მოხუცს აღმოხდა გოდება 1921 წლის კატასტროფაზე.

ისე, ღრმად მოხუც კოლაუს არ შეუქმნია ლექსი „1921 წლის 25 თებერვალი“. ის გამოქვეყნებამდე გაცილებით ადრე, 1969 წელს დაიწერა. სწორედ ამ ლექსის გამო გამოცხადდა იგი ე.წ. აკრძალულ პოეტად და ჩემი დიალოგიც მხცოვან პოეტთან, უკვე დასაბუქდად გამზადებული, საუნივერსიტეტო ჟურნალ „პირველი სხივიდან“ ამიტომაც ამოიღეს და მხოლოდ მოგვიანებით მოხერხდა ამ დიალოგის დაბეჭდვა „ლიტერატურულ საქართველოში“ ელიზბარ ჯაველიძის რედაქტორობისას 1988 წელს, როცა კოლაუს სახელის ხსენებას ჯერ კიდევ ბევრი ერიდებოდა.

ისე კი უსაზღვროდ იყო გახარებული,

როცა ეს ლექსი გაიპარა „პოეტის ათას სტრიქონში“ — ხომ ჩავეცი კომუნისტებს ლახვარი ზურგშიო! — მითხრა და მომიყვა, როგორ დაიბარეს იქ, სადაც ჯერ არს და დაკითხეს ახალგაზრდა ჩეკისტებმა — მაინც რად დანერე „შემოდოდა სიკვდილი ცელითო“?! — რომ მკითხეს, მივუგე — ყოველთვის სიმართლეს ვწერდი და, აბა, რაღა ახლა უნდა დამენერა სიცრუე-მეთქი?! ასაკმა გადამარჩინა, თორემ ნამდვილად დამიჭერდნენო! — ესეც მითხრა და გაიხსენა, როგორ გაიმართა მაშინდელ მწერალთა კავშირში გამგეობის საგანგებო სხდომა. ისე, ძველი დრო რომ ყოფილიყო, მხცოვან ცისფერყანწელს აუცილებლად გარიცხავდნენ მწერალთა კავშირიდან, ახლა კი უთქვამთ, ამ სხდომას ნუ დაესწრებითო... და არც დასწრებია!

რეპრესიების წლები რომ ყოფილიყო, ალბათ, ვერც ასაკი უშველიდა, როგორც თავის დროზე ვერ უშველა ვერანაირმა მონანიებამ პაოლოს, ტიცციანს, ვერც მიხეილ ჯავახიშვილს. არადა, პაოლომ ხომ მოინანია და „ალიარა“ თავისი დანაშაული:

„პოლიტიკური დასკვნები მე უკვე გავაკეთე უკანასკნელ გამოსვლაში აქტივის კრებაზე. ვიტყვი მხოლოდ ერთს: მე თუ მომეცა საშუალება, ამხ. ლ. ბერიას მკაცრი გაფრთხილების საპასუხოდ ისე გარდავემნი ჩემს ცხოვრებას და შემოქმედებას, რომ საბჭოთა მწერლის დიდი და საპატიო სახელი ღირსეულად ვატარო.

ტიციანმაც მოინანია: „ამის შესახებ ვთქვი, რომ ამაზე ილაპარაკა დემეტრადემ, ბუაჩიძემ, უფრო დიდ დაწესებულებაშიც იყო საქმე, გაირკვა, რომ ეს შეგნებით არ მიქნია, მე ის მოვინანიე, აქაც ვთქვი, რა გინდათ, ვირტყა თავში?!“

უფრო დიდი დაწესებულება რაც იყო, იოლი მისახვედრია... მაინც რა არ ჩაუდენია „შეგნებით“ ტიცციანს? რა და... თურმე, გრიგოლ რობაქიძისთვის ლექსი მიუძღვნია! ეს ამბავი ერთ-ერთმა ყანწელთაგანმა „ამოქექა“ და თან ღორიც უწოდა! საშინელებაა, არც კი მიინდა ამის შესახებ თხრობის გაგრძელება.

ახლა კი, ამდენი ხნის, ლამის ნახევარი საუკუნის შემდეგ, კოლაუს მონანიების ჯერიც დადგა: საინტერესოა, თუ რა მოხდა მწერალთა კავშირში 1985 წლის 3 სექტემბერს...

როგორც კოლაუს ვაჟი, ნუგზარი, იგონებს, მწერალთა კავშირში ყოფილან, როცა კავშირის მაშინდელ თავმჯდომარეს შოთა

ნიშნინიძეს უთქვამს კოლაუსთვის, ცოტა ხანში მწერალთა საგანგებო სხდომა დანიშნული, სადაც თქვენი საქმე განიხილება და უნდა დაესწროთო. მერე შოთა ხოზე ადვილ-ვილთან მისულა, რაღაცა უთქვამს და ჩქარი ნაბიჯით წასულა... ის იყო, შოთა თვალს მიეფარა, ხოზე ჩვენთან მოვიდა და გვითხრა: სხვათა თანდასწრებით მოიქცა შოთა ასე, თორემ თქვენ, ბატონო კოლაუ, ნუ დაესწრებით ამ კრებასო.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის სხდომას, რომელიც 1985 წლის 3 სექტემბერს გაიმართა, შოთა ნიშნინიძე თავმჯდომარეობდა. ესწრებოდნენ ჯანსუღ ჩარკვიანი და თამაზ ჭილაძე. მდივანი — რეზო კვერენჩხილაძე.

დღის წესრიგში, სხვა საკითხებთან ერთად, პირველ საკითხად, როგორც ოქმის (25) ჩანაწერიდან ვიგებთ, ნ. ნადირაძის საკითხი იხილებოდა და ... ნ. ნადირაძის ავტოგრაფის დაბეჭდვის შესახებ აზრი გამოთქვას:

შ. ნიშნინიძე: გუშინ ჩემთან, როგორც მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარესთან, მოვიდა პოეტი ნიკოლოზ ნადირაძე და, როგორც აღსარება, ისე გამანდო შემდეგი:

ნიკოლოზ ნადირაძის განცხადება:

ცუდად გახმაურდა ეს ჩემი ლექსი, რომელიც, მართალია, 1966 წელს დავწერე, მაგრამ, დამიჯერეთ ამ ხნის კაცს, არც კი მახსოვდა. გამართლება არა აქვს ამ ფაქტს, მაგრამ მაინც აგისხნით, რა ვითარებაში დაინერა ეს ლექსი. იმ დღეს პაოლო იაშვილის თავის მოკვლის დღე იყო. რამდენიმე მწერალთან ერთად, შ. დემეტრაძეც იქ იყო. ქაშვეთში წავედით, გრიგოლ ორბელიანის საფლავი ვინახულეთ, მათი სულის მოსახსენიებელი დავლიეთ, კარგად შეზარხოშებულნი დავიშალენით. სახლში მიმყვა ეს განწყობილება, გამახსენდა ყრმობის დრო, პაოლოსთან ერთად გატარებული დღეები, ტირილი ამივარდა...

ასეთ კრიზისულ წუთებში დავწერე ეს ლექსი, ლექსად კი არ ვთვლი სინამდვილეში. წუთიერი სულიერი კრიზისი გადმოვანთხიე ქალაქზე, ვაჩუქე შ. დემეტრაძეს, მივინწყებული მქონდა.

ვინც ეს ლექსი გამომცემლობაში მიიტანა, ის კაცი არის ყველაზე ბოროტმოქმედი, ავისმზრახველი როგორც ჩემ მიმართ, ასევე სახელმწიფოს მიმართ.

ბრალს ვდებ გამომცემლობას, მე რომ ცოცხალი ვარ, რატომ ჩემთან არ მოვიდნენ.

ჩემი არქივი მე მაქვს, ვილაც ავისგანმზრახველმა მისწავლა მაგათ, რომ მუზეუმში ინახებოდა ეს ავტოგრაფი. თუ ფაქსიმილე სჭირდებოდათ, რატომ ჩემთან არ მოვიდნენ?

მე რომ თავად ცუდი განზრახვა მქონოდა, შემეძლო, მოდისიდენტო ჭკუანაღრძობი ხალხისათვის გადამეცა ეს ლექსი ან ამ თხუთმეტი წლის მანძილზე რაღაცას ჩავიდენდი საძრახისს...

შ. ნიშნინიძე: ნ. ნადირაძე თვითონ ძალიან ნუხს, სინდისი ქენჯნის, მაგრამ ეს ისეთი ფაქტია და ამას ვამბობ, როგორც მოქალაქე, თავმჯდომარე, თქვენი კოლეგა, ეს იმდენად ამაზრზენი ფაქტია, არავითარი გამართლება არა აქვს.

ის შეძრწუნება, ჭირის ოფლში გავლა, რაც დაკავშირებულია ამ ლექსის წაკითხვასთან, არასოდეს დაავიწყდება იმას, ვისაც ეს ფაქტი გაახსენდება.

ჩვენ ნ. ნადირაძეს ვთხოვეთ, მოსულიყო სამდივნოზე, მაგრამ 93 წლის კაცი ფიზიკურად დაუძლურებულია და სკლეროზიც მოჭარბებული აქვს. ეტყობა, ამიტომ ვერ გამოცხადდა.

ჩვენ, როგორც მის კოლეგებს, სრული მორალური უფლება გვაქვს, ასეთი დანაშაულის, შეცდომის გამო ნ. ნადირაძე ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე გავრიცხოთ მწერალთა კავშირიდან. მაგრამ შემოქმედებითი ინტელიგენციისადმი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის სათუთი და გულისხმიერი დამოკიდებულებით უნდა აიხსნას ის, რომ ამ ზომას არ მივმართავთ.

ვითვალისწინებთ რა ღრმა მოხუცის ზემოთ მოყვანილ აღსარების, მონანიების სიტყვებს, არ მივმართავთ ამ უკიდურეს ზომას.

ჯ. ჩარკვიანი: მე აღვშფოთდი, როცა ეს ლექსი წავიკითხე. ისეთი იდეური პოეტისგან, რომელსაც აქვს ლექსები „ლენინი“, „მავზოლეუმი“ და სხვა. არ მოველოდი ამგვარ პუბლიკაციას.

სკლეროზულ მოვლენებზე იყო ლაპარაკი. 77 წლის ასაკში, როცა ეს ლექსი დაინერა, ცხადია, კარგად ვერ იქნებოდა ნ. ნადირაძე. ამასთან ერთად, ვფიქრობ, მთვრალ მდგომარეობაში ყოფნამ, სიყრმის მეგობარი პოეტის მწარე ბედის გახსენებით გამონვეულმა აგზნებამ დაანერინა. იმასაც დავძენ: მუზეუმში უამრავი რამ ინახება, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიცეს. ისიც

ნიკოლოზ ნადირაძის ავტოგრაფი. სისხლიანი 37-ში ვინ გამოსულ იქნა?

უნდა ითქვას: თავად საშინლად განიცდის ამ მდგომარეობას და ჩვენც მეტი რაღა უნდა ვუყოთ საცოდავ მოხუცს...

თ.ჭილაძე: ჩემი აზრი ემთხვევა შოთასა და ჯანსულის აზრს. ნ. ნადირაძე შემთხვევითი პიროვნება არაა. ისეთი იდეური ლექსების ავტორისაგან, როგორცაა მისი „წითელი მოედანი“, „მავზოლუმი“ და სხვ. მართლაც საკვირველია ასეთი ლექსის დაწერა.

ეს არაა შეგნებული ნაბიჯი, რადგან მთელ მის ცხოვრებაში არ ყოფილა მსგავსი შემთხვევა. ვიზიარებ ჩემი მეგობრების პოზიციას.

დაადგინეს: მწერალთა კავშირის სამდინვო, გამოხატავს რა მთელი ქართული მწერლობის აზრს, უკიდურეს გულისწყრომას გამოთქვამს ზემოხსენებული ფაქტის მიმართ და სასტიკად კიცხავს ნ. ნადირაძეს ჩვენი ასეთი შერცხვენისთვის.

(მასალა მოვიძიე უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების ფონდიდან, ჩანაწერი 1, საქმე 3248, ფურცელი 30-33).

ვერაფერს იტყვი. ამ სხდომის ოქმი რომ წავიკითხე, აბსურდის თეატრი მომაგონდა!..

ისე, რას ერჩი, კი გადაარჩინეს უკანასკნელი ყანწელი...

რაც შეეხება ლექსის დაწერის ნამდვილ ისტორიას, პოეტმა მიაბზო, როდის და როგორ დაიწერა „25 თებერვალი“:

„1969 წლის 25 თებერვალი გათენდა და მე და ჩემი მეგობრები: შალვა დემეტრაძე, ლელი ხოტივაძე, შალვა კაშმაძე, ლადო გველესიანი (ახლა არცერთი ცოცხალი აღარაა) ქაშვეთში წავედით, სანთლები დავუნთეთ საქართველოს თავისუფლებისთვის მეზრძოლ თავდადებულთა სულელებს, მოვინახულეთ გრიგოლ ორბელიანის საფლავი; კაეშანი შემომანვა გულზე, შინ რომ დავბრუნდი, დავწერე ეს ლექსი და შალვა დემეტრაძეს გადავეცი — შენ ჩემზე გაცილებით ახალგაზრდა ხარ, იქნებ, ჩემ შემდეგ მაინც დადგეს ლექსის დაბეჭდვის დრო-მეთქი! არადა, შალვა გარდაიცვალა, მე კი ცოცხალი დავრჩი (არ არის ეს სასწაული? — სულ უკვირდა ბატონ კოლაუს!). მისი არქივი ლიტერატურის მუზეუმშია წაიღო, მათ შორის, ჩემი ლექსიც... და, ეტყობა, არ ენება განგებას ამ ლექსის დაკარგვა! — ასე მოხდა ეს ამბავი,

ეტყობა, ლექსსაც, ადამიანისა არ იყოს, თავისი ბედი აქვს!“ — ბრძანა ყანწელმა.

ისე კი იყო ირონია ბედისა, რომ ლექსი მაინცდამაინც იმ წიგნში დაიბეჭდა, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავს მიეძღვნა (და ამ ლექსის დაბეჭდვას გადაწყვენენ გამომცემლობის მთავარი რედაქტორი მამუკა ნიკლაური, მოადგილე იზა ორჯონიკიძე, განყოფილების გამგე გრიგოლ ჯულუხიძე, რედაქტორი ლეილა ბეროშვილი, მხატვრული რედაქტორი სპარტაკ ცინცაძე, მხატვარი კარლო ფაჩულია და ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომელი გურამ ვანიძე). წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:

„ეს გამოცემა ეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს და, იმედი გვაქვს, მკითხველს თუმცა მთლიანს ვერა, მაგრამ შეუმცდარ წარმოდგენას მაინც შეუქმნის პოეტთა შემოქმედებით გზაზეც და, საერთოდ, ქართული ლექსის იმ საგანძურზე, რაც საბჭოთა ეპოქით არის შთაგონებული...“

გაგონილა ამისთანა ირონია?

კოლაუს ვაჟმა გაიხსენა, სრულიად შემთხვევით რომ მოხვდა მამასთან ერთად ოპერის წინ, წიგნის მაღაზიაში და მაღაზიის გამგემ მოწინებით მიართვა საჩუქრად პოეტს ახალი წიგნი, რომ კოლაუმ არაფერი იცოდა ამის შესახებ, მოიტანეს თუ არა შინ, გადაუშლია ნუგზარს, ნაუკითხავს და გაოგნებულა, ელდა დასცემია:

— გვლუპავ, მამა, დანას გვიყრი ყელში, რატომ გაგვიმეტე ასე?! — მამას გასცინებია და უპასუხებია:

— გლუპავთ?! რათა, შვილო, რათა? შენისთანა შვილი, თქვენისთანა ოჯახი რატომ უნდა დალუპოს მამამ?! —

— აბა, ეს რამ დაგანერინა?

— რაო? — ისევ ჩაეკითხა პოეტი და შვილმა მისი ოდინდელი ლექსი, „25 თებერვალი“, ნაუკითხა თურმე...

კოლაუს გასცინებია: კარგად კი დამინერია და რას მერჩიო!

მერე იყო და... „ამერიკის ხმამ“ გადმოსცა ლექსი და ასე გახდა ცნობილი საბჭოური ცენზურის „ჩეპე“... კოლაუ ნადირაძის „25 თებერვალი, 1921 წ.“

ასე მოხდა ეს ამბავი, კოლაუ ნადირაძეზე კიდევ ბერი რამაა სათქმელი...





ზურაბ ხასაია

ფიქრები გრანელის სიახლოვეს

(ტერენტი გრანელი, ტომი პირველი, 1991, თბილისი)

1

მრავალი შრე აქვს ერის ხმას. ლეონიძე და რობაქიძე მის ომახიან შრეს ჰქმნიან. გუგუნებს მათი სიტყვა მიწისფერი. მზით გაფუებული მიწის ოხშივარი ტრიალებს იქ.

სხვაა გალაკტიონის სივრცე. ის გამჭვირვალეა. აქაური მიწა ცითაა გამსუბუქებული, ხოლო ცა — მიწით განოყიერებული. ტკივილი მეფობს აქ ზეციური, ქვეყნიერების გამბურღველი. ვერაფერი გაუძლებს ამ ტკივილს. თვითმკვლელობის მარად თანამდევ დემონად ექცა იგი მგოსანს. დაინელებდა მგოსანი მას შეუდარებელ ჩანგით. რუსთველმა და აკაკიმ ასწავლეს ამ მიუწვდომელ საკრავზე დაკვრა.

მაგრამ გრანელი? აი ვინ იყო ნამდვილად თვითნაბადი! მარგალიტი მხოლოდ ციური! მიწის ძალა აკლდა მას. სინათლე და სიშორე კი ჰქონდა მხოლოდ ცის. ამ სიმაღლეზე მხოლოდ ანგელოზები ფრენენ. აქ ვერ მოჰკრავ თვალს დედამიწას შვებისმომგვრელს — ვერც გურიის მთებს, ვერც ქედებს კავკასიის. აქ მეფობს უსაზღვრო ცისფერი, თვალისმომჭრელი სიკაშკაშე ცათა. მიწა და გარემომონი ოდნავ ილანდებიან ჩვენებებივით და ჰქრებიან ისევე.

არაფერია აქაურობაზე მსუბუქი. მაგრამ მძიმეა ეს სიმსუბუქე ცათა. ტიტანი ატლანტი უნდა იყო, რომ გაუძლო მას. თვით ელინთა შორის მძლეთამძლე ჰერაკლემ ვერ შეაკავა ზეცა თავისი ზეადამიანური ძალით. ვიცით ეს ბერძნული მითიდან.

ამიტომ დაუცველია გრანელი. შიშინებს მისი ზეციური ვულკანი და ხმას უბზარავს

ქართულ ჩანგს. ვერანაირი ჩანგი ვერ დაიტევს ამოდენა ტკივილს. ხშირად პოეტი უკიდურესი ნატურალიზმით და პრიმიტივიზმით ცდილობს თავდაცვას ზეცათა აუტანელ სიმძიმისგან. წერს სრულიად უბრალო საგნებზე და მოძრაობა-გადაადგილებებზე. მაგრამ დახეთ უბედურებას! მის სამყაროში ქათმის დაკაკანებაც კი ზებუნებრივ ხმებითაა დატვირთული და რაღაც სხვას გვაუწყებს ხოლმე.

მართლაც, რა ჰქნას გრანელმა? ის ხშირად არად აგდებს ლექსის ჭირვეულ წესებს და მიმართავს მყისიერ ჩახატვებს. ერთხელ ჩახატულს აღარ მიუბრუნდება. ლექსზე მუშაობა არა სჩვევია. ისე სტკივა, რომ ხმოვანება არ ანაღვლებს, ესთეტიკის თავი არა აქვს. ბოლოს გრანელის ბედკრულ პიროვნებაში მგოსანს ჰკლავს ღვთისმადიებელი! შავი ნაღველი ნამლავს არაჩვეულებრივად ტკბილ თავანკარა ხმას. თვალსა და ხელს შუა, სურამის საავადმყოფოში და ქალაქის ქუჩებში ილუპება მგოსანი და ადამიანი.

2

გრანელის ასეთი ბედი თანმიმდევრულად აისახა ლექსში. სასონარკვეთილი და არაადამიანურად დაქანცული მგოსანი ზოგჯერ ერთ სიტყვას ფიქრობს და სხვა სიტყვას კი წერს. უყურადღებოდ გადააქვს სიტყვა ქაღალდის ნაგლეჯზე თუ პაპიროსის კოლოფზე. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია გრანელის ზოგიერთი ლექსის ტექსტის დადგენა.

მე მიგრძვინია სიახლოვე ამ მგოსანთან

კოლხეთის ლამაზ და ტენიან არემარეშიც და სამოციანი წლების თბილისის სტუდენტურ სარდაფებში. უკლებლივ ყველა საიდუმლო მესმის მისი. ამიტომ თავს ნებას მივცემ აღვადგინო მისი ზოგიერთი სტრიქონი.

3

ლექსში „სურათის წინ“ (გვ. 16) ნათქვამია: „არ ვეძებ ყოფნას, არ ვეძებ რითმას და მინდა გული წაიღოს ჩიტმა“.

ყოფნის ძებნა ძნელად წარმოსადგენი მდგომარეობაა. გრანელი, პირიქით, მუდამ თვალსაჩინოების ერთგულია. ვფიქრობ, უნდა იყოს:

**არ მინდა ყოფნა, არ მინდა რითმა,
ნეტავი გული წაიღოს ჩიტმა.**

სახე უფრო თვალსაჩინო გახდა. რითმაც განთავისუფლდა ზედმეტი თანხმობისგან, ყურს რომ ჭრიდა.

54-ე გვერდზე ვკითხულობთ: „შენი ლოდინი სანამდი გასტანს, ანდა იქნები სანამდი წმინდა? რის მიზეზია, ჯერ ახალგაზრდას, რომ შენ ცხოვრება ასე მოგწყინდა?“.

ჯერ ერთი, უნდა იყოს „სანამდე“ და არა „სანამდი“. მეორეც, „რის მიზეზია“ არაა ქართული. უნდა იყოს „რამიზეზია“. სტროფი ასეთ სახეს მიიღებს:

**შენი ლოდინი სანამდე გასტანს,
ანდა იქნები სანამდე წმინდა?
რა მიზეზია, ჯერ ახალგაზრდას,
შენ რომ სიცოცხლე ასე მოგწყინდა?.**

ახლა 57-ე გვერდი ვნახოთ: „არავინ მოდის და ვატყობ, რომ სჯობდა სამარე სხვაგან მეპოვა. საშინელია ეს სავადმყოფო, სიკვდილის ბინა და სამეფოა“.

სასურველია, რომ რედაქტორმა იზრუნოს ასეთ წვრილმანებზე. პირველ სტრიქონში ხომ ამკარად გამოტოვებულია „მე“. უნდა იყოს: „და მე ვატყობ, რომ“ მეორეც, „სავადმყოფო“ არაა ქართული. უნდა იყოს არა „საშინელია ეს სავადმყოფო“, არამედ „საშინელია საავადმყოფო“. სტროფი ასე გაიმართება:

**არავინ მოდის და მე ვატყობ, რომ
სჯობდა სამარე სხვაგან მეპოვა;
საშინელია საავადმყოფო —
სიკვდილის ბინა და სამეფოა.**

ლექსში „სავადმყოფო“ კიდევ ერთი გაუმართავი სტროფია (გვ. 59), რომელიც ბოლოშიც მეორდება: „ახლა გული წარმოადგენს საფლავს, ვილაც მკვდარი ასვენია დაბლა“.

„წარმოადგენს“ ამკარა წუნია ლექსისთვის. ვფიქრობ აჯობებდა:

**ჩემი გული ედარება საფლავს,
ვილაც მკვდარი ასვენია დაბლა.**

59-ე გვერდზე ასეთი ერთსტროფიანი ლექსია: „მიცქერი, გული დარდით ამივსე, არ ილიმები, თითქოს დადუმდი, მე რაც ვიყავი, ისა ვარ ისევ და შენ სრულიად გადასხვაფერდი“.

სრულიად არაბუნებრივია „თითქოს დადუმდი“. შეუძლებელია ადამიანი თითქოს დუმდეს. ის ან მართლა დუმს, ან არ დუმს. თან „დადუმდი“ არ ერთმება „გადასხვაფერდი“-ს. ალბათ უნდა იყოს არა „დადუმდი“, არამედ „დაბერდი“. ხოლო მეოთხე სტრიქონში „და“ კავშირს ამკარად სჯობს „კი“ კავშირი.

მაშასადამე, ლექსი ასე უნდა იკითხებოდეს:

**მიცქერი, გული დარდით ამივსე,
არ ილიმები, თითქოს დაბერდი...
მე რაც ვიყავი, ისა ვარ ისევ,
შენ კი სრულიად გადასხვაფერდი.**

დამეთანხმებით, მშვენიერი ლექსია.

66-67-ე გვერდებზე დაბეჭდილია ლექსი „დედ-მამის და ნათესავების მოსაგონარი“. მესამე და მეოთხე სტროფები ასეთია: „გაჰქრა იმედი და ახლა ვრჩები უკანასკნელი, სევდისამარა... ან სად არიან, ძვირფასო, ჩემი ბიძაშვილები — გუცა, თამარა; ანატოლიც... წუხდა ოდნავ და ეს ოცნება მე გარს მივლიდა, თითქოს მეძახის საიქიოდან მამა სამსონი, დედა ივლიტა“.

მესამე სტროფის მეორე სტრიქონში, ვფიქრობ, ზედმეტია სასვენი ნიშანი „მძიმე“. აკი პოეტი უკანასკნელ კაცად არ თვლის თავს. ის უკანასკნელ სევდას გულისხმობს, რაიც სიკვდილს უძღვის წინ. ის „უკანასკნელ სევდის ამარა“ რჩება. მეოთხე სტროფის პირველი სტრიქონი კი სამწუხარო გაუგებრობაა, რაც წიგნის შემდგენლებმა არ უნდა დაუშვან. აქ უნდა იყოს: „ან ანატოლი... გული მტკიოდა“ ეს სუფთად გრანელისეული განწყობილებაა. ამავე დროს აღდგენილია დაკარგული გარითმულობა პირველ და მესამე სტრიქონთა (მტკიოდა-საიქიოდან).

ეს სტროფები ასე უნდა იკითხებოდეს:

**გაჰქრა იმედი და ახლა ვრჩები
უკანასკნელი სევდის ამარა...
ეჰ, სად არიან, ძვირფასო, ჩემი
ბიძაშვილები — გუცა, თამარა;**

ან ანატოლი... გული მტკიოდა და ეს ოცნება მე გარს მივლიდა, თითქოს მეძახის საიქიოდან მამა სამსონი, დედა ივლიტა.

87-ე გვერდზე დაბეჭდილი ლექსის პირველი სტროფი ასეთია: „სიკვდილს ვინ ასცდა, ვლონდები უცებ, ვდგავარ მინასთან და როიალს ვუსმენ“. ეს სტროფი ლექსის ბოლოშიაც მეორდება.

ამჟამად, რომ ბოლო სტრიქონში სრულიად ზედმეტია კავშირი „და“. უნდა იყოს:

სიკვდილს ვინ ასცდა? ვლონდები უცებ. ვდგავარ მინასთან, როიალს ვუსმენ.

98-ე გვერდზე ასეთი სტროფია: „ასეა, ეს დღე მე ისევ მლაღავს ასე ტირიან საყდრის ზარები, გათენებისას დავტოვებ ქალაქს და მაღალ მთისკენ გავემართები“.

„ზარები“ ცუდად ერითმება „გავემართები“-ს. გრანელს არ სჩვევია ასეთი წარუმატებელი რითმები. ალბათ უნდა იყოს არა „გავემართები“, არამედ „გავეჩქარები“.

სტროფი ასეთ სახეს მიიღებს: ასეა, ეს დღე მე ისევ მლაღავს, ასე ტირიან საყდრის ზარები; გათენებისას დავტოვებ ქალაქს და მაღალ მთისკენ გავეჩქარები.

იმავე გვერდზე ორსტროფიანი ლექსი ასე მთავრდება: „ჩვენი დღეები ასე ქრებიან, დრონი მეფობენ, ძალა იღვევა; და ისევ მეტი იმედებია და ქალის მეტი მოთხოვნილება“.

აქ გაუგებრობა კუროიზულ სახეს იღებს. თუ გრანელის მსოფლგანცდას გავითვალისწინებთ, უნდა იყოს „ქარის მეტი მოთხოვნილება“. ხოლო თუ არც ეს ვარგა, მაშინ სჯობს თავი შევიკავოთ რჩეულში ასეთი ლექსის მოთავსებისგან.

99-ე გვერდზე სამსტროფიანი ლექსის ყოველი სტროფი მთავრდება ასეთი რეფრენით: „დავილუპები ვიცი ამაღამ, დავილუპები, როგორც პოეტი“. სიტყვას „ამაღამ“ პირველ სტროფში ერითმება „ნამება“, მეორეში „რა მექნა“, ხოლო მესამეში „ამდენ ხანს“. ეს მაფიქრებინებს, რომ პოეტს უნდა ჰქონდეს არა „ამაღამ“, არამედ „ამელამ“. ასეა, თორემ გრანელი ამ სამი შემთხვევიდან ერთხელ მაინც მოახერხებდა „ამაღამ“-ის გართიმვას.

„დაბრუნება ნავთლულიდან“ (გვ. 115) ასე იწყება: „გულს რად უღირდა ეს ამინდები, ჩემს ნავთლულიდან წმინდა მინდვრები“.

ალბათ, უნდა იყოს „ჩანს ნავთლულიდან წმინდა მინდვრები“. მესამე სტროფი კი ასეთია: „ვიცი, შენ ისევ მომეშველები და მატარებელს მისდევს გულეები“. ასეთი რითმები არაა გრანელისეული. უფრო სწორად: ეს არც არანაირი რითმა არაა. უნდა იყოს: „ვიცი, შენ ისევ მომეშველები და მატარებელს მისდევს ხელები“. რითმაც დაცულია და გამომსახველობაც გრანელისებურად ზუსტია — კარგადაა დაჭერილი „ჩვენი მატარებლის ნასვლის“ დინამიკა.

ლექსი ასეთ სახეს იღებს:

გულს რად უღირდა ეს ამინდები. ჩანს ნავთლულიდან წმინდა მინდვრები. ვილებ იარებს, უფრო ვინთები დღეს გავიარე ვრცელი მინდვრები. ვიცი შენ ისევ მომეშველები და მატარებელს მისდევს ხელები... გულს რად უღირდა იავუნდები და ნავთლულიდან თბილისს ვბრუნდები.

117-ე გვერდზე ორსტროფიანი ლექსი ასე იწყება: „ღრუბელი არის, ზეცას რომ სერავს“; მეორე სტროფი კი ასე: „და გრძნობა არის, სხეულს რომ სერავს“.

ცნობილია, როგორ არ უხდება ქართულ ლექსს ზმნა „არის“. ლექსის მსვლელობაში ის სიცარიელესა და ორმოს ჰქმნის. არადა ეს ლექსი მშვენიერია და ნამდვილად გრანელისეული. კარგი იქნება, თუ ლექსს ასე წავიკითხავთ:

ო, ღრუბელია, ზეცას რომ სერავს, უცებ გაფრინდა ის დრო ხელიდან; საშინელია ეს ატმოსფერა და მაინც ვხვდები ახალ წელიწადს. ძველი გრძნობაა, სხეულს რომ სერავს, უცებ გაფრინდა ის დრო ხელიდან; საშინელია ეს ატმოსფერა და ცრემლით ვხვდები ახალ წელიწადს.

კარგი ლექსია „ლენორას“: „სადღაც ზღვები ღელავდნენ, სადღაც მხოლოდ ნისლია; დავიღალე, შენამდე მოსვლა არ შემძლია. გზაში გრიგალს ვუნდები, მიმაქვს ლექსთა კრებული და ოთახში ვბრუნდები ასე დაფიქრებული“ (გვ. 140).

ოლონდ გაურკვეველია, რას ნიშნავს „გზაში გრიგალს ვუნდები“. რითმაც ცუდ-

ფურაბ ხასანი. ფიქრები მრანელის სიხსნის

ია: (ვეუნდები-ვბრუნდები). გამორიცხული არაა, რომ პოეტს ასე ჰქონოდა:

**სადღაც ზღვები ღელავდნენ,
სადღაც მხოლოდ ნისლია.
დავიღალე, შენამდე
მოსვლა არ შემიძლია.
როგორც იაგუნდები,
მიმაქვს ლექსთა კრებული
და ოთახში ვბრუნდები
ასე დაფიქრებული.**

165-ე გვერდზე ასეთი სტროფია: „თბილისია და წამებას ავიტან, დღევანდელი მზიანი დღე წავიდა“.

პირველი სტრიქონი აშკარად ხელოვნურია. რითმაც ცუდია: „ავიტან-წავიდა“. იქნებ პოეტს ასე ჰქონდა:

**სიხარულმა გაიღვა წამითა,
დღევანდელი მზიანი დღე წავიდა.**

170-ე გვერდზე ორსტროფიანი ლექსი ასე იწყება: „ვამჩნევ უსაზღვრო სივრცეა სულში და სადღაც წყარო გამოდის ტყიდან. მთელი დღე მკვდარი ვიყავი გუშინ, მკვდარივით მივალ, ძვირფასო, დღესაც“.

ადვილი შესამჩნევია: მეორე სტრიქონი აგდება სტროფს. „და სადღაც წყარო გამოდის ტყიდან“ არაფრისმთქმელი მითითებაა და სრულიად ამოვარდნილია სტროფიდან თხრობის მხრივაც და განწყობის მხრივაც. ამავე დროს ის არ ზის რითმაში. ლექსი კი მოსაზღვრერიტომოვანია. გრანელისეულად იჭღერებდა ასეთი მეორე სტრიქონი: „და ჩემი ცრემლი ასველებს ზეცას“.

ახლა წავიკითხოთ:
**ვამჩნევ: უსაზღვრო სივრცეა სულში
და ჩემი ცრემლი ასველებს ზეცას;
მთელი დღე მკვდარი ვიყავი გუშინ,
მკვდარივით მივალ, ძვირფასო,
დღესაც.**

**და იფანტება ყოველთვის გულში
წყალის შრიალი და სკრიპკის კვნესა...
მთელი დღე მკვდარი ვიყავი გუშინ,
მკვდარივით მივალ, ძვირფასო,
დღესაც.**

187-ე გვერდზე ასეთი სტრიქონებია: „მივდივარ ნელა, გაჩუმებული და ქარი მიწვეს წინააღმდეგობას“.

აქ ირღვევა მარცვლების რაოდენობა. უნდა იყოს „წინააღმდეგობას“. ამ სიტყვაში ორი „ა“ არაა აუცილებელი და პოეტს შეუძლია ამის გამოყენება. მეტიც, მაშინდელ პრესა ნიადაგ „კლასობრივ წინააღმდეგობას“ ახსენებს და პოეტსაც, უეჭველია, „წინააღმ-

დეგობა“ ექნებოდა.

მომდევნო გვერდზე ლექსში „ფარული ვედრება“ ვკითხულობთ: „გუმბათებს აკივლებს ზარების ანთება, ჰაერში ირხევა ფრთები ანგელოსების“.

აქაც შემდგენლების დაუდევრობა ჩანს. უხეშად და მტკივნეულად ირღვევა მარცვლების რაოდენობა. უნდა იყოს: „ჰაერში ირხევა ფრთა ანგელოზების“, ანდა „ჰაერში ფრთებია თეთრ ანგელოზების“.

190-ე გვერდზე: „და სალამოთი ფიქრი ცას ცვლიდა, ეხლა გამოდის მთვარე ღრუბლიდან“. ეს გრანელისთვის ჩვეული ხუთმარცვლიანი ლექსია მოსაზღვრე რითმებით. მაგრამ, როგორც ხედავთ, „ცას ცვლიდა“ და „ღრუბლიდან“ ცუდად ირიტმება. ვფიქრობ სხვაგვარად იყო ჩაფიქრებული: „და სალამოთი ფიქრი ცას ცვლიდა, მთვარე გამოდის ღრუბლის ცარციდან“. გამაღიზიანებელი „ეხლაც“ მოვიცილეთ.

ლექსის „განშორების ლოდები“ (გვ. 193) პირველი ორი სტროფი ასე უღერს: „ათოვლილი სავანე, თან სურვილი გვიანი, რჩება ოდნავ დასანანი ეს დღეები მზიანი. მალე გავა ზამთარი, მგონი ვნახავ გაზაფხულს, ღამე სწოვს, როგორც აფთარი, სულს ლექსებში დამარხულს“.

„ათოვლილ სავანეზე“ რომც არაფერი ვთქვათ, გაუგებარი ქართულია: „რჩება ოდნავ დასანანი ეს დღეები მზიანი“. თან „სავანე“ და „დასანანი“ ვერ ერიტმება ერთმანეთს, რადგან მარცვლების რაოდენობა ირღვევა ძალზედ უსიამოვნოდ („ათოვლილი სავანე“ — „რჩება ოდნავ დასანანი“). მეორე სტროფშიც მარცვლების რაოდენობა უსიამოვნოდ ირღვევა, რაც რითმას „ზამთარი – აფთარი“ ძალას უკარგავს („მალე მოვა ზამთარი“ — „ღამე სწოვს, როგორც აფთარი“).

ბევრად უფრო გასაგები და ტკბილხმოვანია ასეთი ვარიანტი:

**დათოვლილი სავანე
და სურვილი გვიანი;
ღმერთო, რატომ მანანე
ის დღეები მზიანი.
მალე გავა ზამთარი,
მგონი, ვნახავ გაზაფხულს;
და სწოვს ღამე – აფთარი
სულს ლექსებში დამარხულს.**

ცნობილი ლექსი „მთვარე, მე და მატარებელი“ (გვ. 205) ასე იწყება: „„უკვე დავტოვე ზუგდიდი, ხეთა“. მგონი, უნდა იყოს: „უკან დავტოვე ზუგდიდი, ხეთა“.

ორსტროფიანი ლექსი „ცრემლი შუალამის“ ასე უღერს: „ჩნდება შორეული ჩემი მოგონება, ო, ეს მოგონება – გაფრენილი მტრედი. მე ხანდახან თავი მკვდარი მეგონება და ეს ქვეყანა – მხოლოდ სიზმარეთი. ცოდვილი პოეტი მუდამ ასე რჩება; ო, მინდა უარვეყო ახლა ყოველივე. ჩემი თეთრი სული შენთან იტანჯება, ოთახში სიბნელე დადის ღრუბელივით“.

ძალიან ცუდი ქართულია „ჩნდება შორეული ჩემი მოგონება“. დამეთანხმებით: „ჩემი“ სრულიად ზედმეტია. ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, თუ მას შეცვლის „ჩემი“. პოეტმა ალბათ ასე დანერა.

თან მოგონება, მოგეხსენებათ, ყველაზე ნაკლებად ჰგავს გაფრენილ მტრედს. მოგონება ჩვენგან კი არ მიფრინავს, არამედ ჩვენშია და ამ დროს, პირიქით, ჩვენსკენ მოფრინავს გაფრენილი დრო.

არაგრანელისეულია რითმა: „ყოველივე — ღრუბელივით“.

რადგან ამ ლექსის სულისკვეთება ძალიან მომწონს, პატიებას ვითხოვ და თავს ნებას მივცემ გრანელის სავარაუდო ტექსტი ასე წარმოვადგინო:



**ჩნდება შორეული, ჩემი მოგონება...
მე ამ მოგონებას, ღმერთო,**

**ვიკმარებდი...
უცებ ჩემი თავი მკვდარი მეგონება,
ხოლო ეს ქვეყანა –**

**მხოლოდ სიზმარეთი.
ცოდვილი პოეტი მუდამ ასე რჩება
დიდი პოეზიით – დარდის გობელენით...
ჩემი თეთრი სული შენთან იტანჯება,
ოთახში სიბნელე დადის ღრუბელივით.**

მესმის, რომ ეს უკვე ზედმეტია. ეს ექსპერიმენტი, რაც მოჰყვა წერილის ლოგიკას და მკითხველისთვის თავისებურად საინტერესოა.

230-ე გვერდზე ისევ შემდგენლების უყურადღებობაა: „ტაროსია, არ მოძრაობს ქარი, წყალი მინდა — რომ ახლოა წყარო“. ცხადია, უნდა იყოს „ხომ ახლოა წყარო?“.

გრანელი დიდი პოეტი. მისი ლექსი ქართული პოეზიის მშვენიერებაა. კოლხური სევდა არცერთ პოეტს ასე კარგად არ გამოუხატავს. ამიტომ მის გამოცემას დიდი ყურადღებით და პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ. პოეტის უჩვეულოდ აწეწილი ცხოვრება უნდა გავითვალისწინოთ და მისი ზოგიერთი სტრიქონის აღდგენა უნდა ვცადოთ.



ემზარ კვიციანი

ახლოდან დანახული თამაზ ჩხენკელი

იმ უფროსი მეგობრებიდან, რომლებიც, სამწუხაროდ, ცოცხლები აღარ არიან, გურამ ასათიანი და თამაზ ჩხენკელი გამორჩეულად მიყვარდა და ეს გრძნობა მათი ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგაც არ გამწვანდება. მათთან ურთიერთობა იოლი, ძალზე სასიამოვნო იყო, უხვად გასცემდნენ გულის სიტბოს და ვინმეზე უპირატესობის მოსაპოვებლად არასოდეს იყენებდნენ თავიანთ დიდ ცოდნას, ხალას ნიჭიერებას. ამიტომაც ორივეს ბევრი მადლიერი დარჩა მომდევნო თაობების მწერალთა შორის.

მათთან ერთად ვმუშაობდი ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში და ის წლები ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერ ხანად მიმაჩნია. გურამი განყოფილების გამგე იყო და დიდი, ზიარი მაგიდა გვქონდა, რამდენიმე უჯრა დამითმო. მასთან სიახლოვესა და მეგობრობაზე, მის მრავალმხრივ, მომხიბლავ პიროვნებაზე ადრევე გამოვაქვეყნე მოგონება და კიდევ მრავალი რამე მაქვს გასახსენებელი.

ოთხი წელი იწურება რაც თამაზ ჩხენკელმა სამზეო დატოვა და საგრძნობი გახდა, რამდენად საჭირო საქმეს აკეთებდა იგი ქართულ მწერლობაში, როგორ ამდიდრებდა და ამშვენებდა ჩვენს ლიტერატურას.

თამაზ ჩხენკელის სახელი მე და ჩემმა თანატოლებმა, გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გავიგეთ უნივერსიტეტის ალმანახ „პირველი სხივიდან“, სადაც დაბეჭდილი იყო მის მიერ ბრწყინვალედ თარგმნილი ადამ მიცკევიჩის „ყირიმული სონეტები“ და კრიტიკული წერილი თარგმანის ხელოვნებაზე, რომელშიც იგი ფართო ინტერესებს, დახვეწილ გემოვნებას ამჟღავნებს და ავტორიტეტთა მიმართ, თუკი რამ არ მო-

ნოს, უკომპრომისო, ყველას თავისას მიაგებს.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თამაზ ჩხენკელის მიერ დიდი შთაგონებით თარგმნილი ტანის ეპოქის გენიალური ჩინელი პოეტის ბო ძიუ-ის ლირიკა ორმოცდაათიანი წლების ლიტერატურულ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა (ამაზე ადრე ვთქვი) და ბევრმა ჩვენგანმა ზეპირად იცოდა იმ წიგნის (1956) არაერთი ლექსი. თამაზ ჩხენკელმა თავიდანვე დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ სანდო მეცნიერული ბზკარედის მიხედვით ბევრად უფრო გამართლებულია ჩინური პოეზიის თარგმნა, ვიდრე ამას ურთულესი ჩინური ენის შესწავლა შეგვაძლებინებს. ეს პრაქტიკულადაც ძნელი მისაღწევია.

ჯერ კიდევ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა გაცნობისთანავე ვიგრძენი თამაზ ჩხენკელის პიროვნებასთან სულიერი სიახლოვე. მამინვე მითხრა, შინ, სოლოლაკში მენვიეო. მისამართიც ჩამანერინა. მუდამ სიამოვნებით ვიგონებ მის მყუდრო, ჭერმაღალ, დარბაისლური სიძველით ესოდენ მიმზიდველ ბინაში გატარებულ დღეებსა და გულითად საუბრებს.

ლექსი, პოეზია იყო მისი უპირველესი სიყვარულის საგანი და არ დამავიწყდება, როგორი გზნებით, გატაცებით ლაპარაკობდა გრიგოლ რობაქიძის, გალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ტიცციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის და სხვათა შემოქმედებაზე.

ზედმინვენით კარგად იცნობდა რუსულ პოეზიას. პუშკინს აღმერთებდა, თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ესსე („ნაბიჯი მომავ-

ლის პოეტიკაში“) უძღვნა. ამ სიყვარულის გამოვლინება იყო, რომ საუცხოოდ თარგმნა მისი „მცირე ტრაგედიები“. ასევე ეთაყვანებოდა ანა ახმატოვას ლირიკას. „ჩრდილოეთის ელეგიებიდან“ ერთ-ერთი რითმის გარეშე, მაგრამ ძალზე ზუსტად გადმოიღო. სხვადასხვა დროს ნათარგმნი აქვს, აგრეთვე, მარინა ცვეტაევის, ოსიპ მანდელშტამის, ბელა ახმადულინას, იოსიფ ბროდსკის და სხვათა ლექსები.

თამაზ ჩხენკელი დიდ პატივს მიაგებდა რუს სიმბოლისტებსაც — ვიჩესლავ ივანოვის ულრმესი გამოკვლევა დიონისეს კულტზე საფუძვლიანად ჰქონდა დამუშავებული. მე თვითონ იმხანად განსაკუთრებით მიტაცებდა ანდრეი ბელი. მისი პროზა, რომანები, მისტიური ხილვები, ძნელად გასაშიფრი სიმბოლოებით არის გაჯერებული, ხოლო ლექსებში კლასიკურ, პუშკინისეულ სისადავეს, მომხიბლავ გამჭვირვალობას ინარჩუნებს. ჩემი აზრი გავუზიარე თამაზს და დამეთანხმა, მეც ასე ვფიქრობო. მახსოვს, ზეპირად ვუთხარი ბელის ერთი ადრინდელი ლექსი (რუსულად) რომელშიც შემოდგომის მსუბუქ სევდასთან შერწყმულია სიცოცხლის დაუოკებელი ჟინი, მიწისა და ცის გაუხუნარი სურათები. ყოველ სტრიქონში იგრძნობა პოეტის ლალი სუნთქვა, სმენის დამატკობელი მუსიკალობა:

Сентябрьский, свеженький денек

И я, как прежде, одинок.
Иду – бреду болотом тонким.
Меня обдует ветерок.
Встречаю осень сердцем робким.

В ее сквозистую эмаль
Гляжу порывом несогретым.
Застуденеет светом даль,
Негреющим, безстрастным светом.

Там солнце – блеющий фазан –
Слетит, пурпурный хвост развеяв;
Взлетит воздушный караван
Златоголовых облак-змеев.

.....
Холодный, темный вечерок.
Не одинок, и одинок.

თამაზს სახე გაუნათდა, რადგან ანდრეი ბელი ასე გყვარებია, მისი იშვიათი გამოცემა უნდა გისახსოვრო, რომელშიაც სწორედ ეგ ლექსია შეტანილიო და თაროდან გამო-

აძვრინა 1909 წელს გამოცემული „Урна“. ზედ მოკლედ, თავისი ლამაზი კალიგრაფით წააწერა: „ემზარს სიყვარულით — თამაზი. 1959წ. მაისი“. გაზაფხულის ის თბილი საღამო არასოდეს გაქრება ჩემს წარმოსახვაში.

საგანგებოდ უნდა ითქვას ორიოდ სიტყვა თამაზ ჩხენკელის დახვეწილ პოეტურ კულტურაზე. იგი სიჭაბუკეშივე, ორმოციან წლებში წერდა მეტად საყურადღებო თავისუფალ ლექსებს, მაგრამ ნამდვილ სრულყოფას ამ ფორმისა მაშინ მიაღწია, როცა დიდი ინდოელი პოეტის, რაბინდრანათ თაგორის „გიტანჯალი“ — სიყვარულის უკვდავი საგალობლები თარგმნა.

მისი თვალსაჩინო დამსახურება თანამედროვე ქართული ვერლიბრის გამართვასა და დადგინებაში, რითაც უხვად ისარგებლეს მომდევნო თაობების პოეტებმა, მცირე საიუბილეო წერილში ხაზგასმულად აღნიშნა ჩვენმა საუკეთესო პოეტმა და მთარგმნელმა დავით წერეთლიანმა.

დიდი ხანია გასული მას მერე. თამაზ ჩხენკელმა მაგიდის უჯრიდან მოზრდილი რვეული ამოიღო და წამიკითხა თავისი სიყრმისდროინდელი, გამოუქვეყნებელი ლექსები. თვალნათლივ ვიხილე, გოცებულები დავრჩი — ტოტალიტარიზმის სულისშემუსუთველ ეპოქაში ყმანვილ კაცს რამდენად ჰქონდა გამძაფრებული თავისუფლებისადმი ლტოლვა, ურომლისოდაც ადამიანი ყოველგვარ ღირსებას კარგავს, ყველაფერი გაუფასურებულია.

„ქართლის ცხოვრება“, ძველი და ახალი მწერლობა წვრილმანებამდე იცოდა და სამშობლოს სიყვარულსაც უგულწრფელეს სტრიქონებში ისე გამოთქვამდა, ტრაფარეტულობის, ყალბი პათოსის ნატამალიც არ შეიმჩნეოდა, მაგრამ ორმოციან, ორმოცდაათიან წლებში იმ ლექსების დაბეჭდვაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო, მათი ავტორი შეიძლებოდა კიდევაც დაეპატიმრებინათ.

თამაზ ჩხენკელის რამდენიმე სიყრმის ამხანაგი, მათ შორის ოტია პაჭკორია, თამამი ლაპარაკის გამო, დაიჭირეს და შუა აზიაში გადაასახლეს, სადაც წელიწადი დაჰყო. იქიდან დაბრუნებულმა და უნივერსიტეტში აღდგენილმა ოტიამ (იგი ჩემს კურსზე დასვეს), დიდად განათლებულმა კრიტიკოსმა და მწერალმა, მითხრა — ორთაჭალის ციხეში ჩემს სანახავად, გასამხნევებლად თამაზ ჩხენკელი და არჩილ სულაკაური მოვიდნენ, ამას ვერასოდეს დავივიწყებო. ცხადია, მაშინ ამის გაკეთება მეტად სახიფათო იყო, მაგრამ მეგობრები ასეთ რისკს არ შეუშინდნენ.

ემზარ კვიციანიშვილი. ახლოდან დანახული თამაზ ჩხენკელი

ლიტერატურათმცოდნეობაში ზოგი რამ გამეგება და თავს უფლებას ვაძლევ ვთქვა: ვაჟა-ფშაველაზე დაწერილ ნაშრომთა შორის, სიღრმითა და მასშტაბურობით, უბადლოა თამაზ ჩხენკელის მონოგრაფია „ტრაგიკული ნიღბები“, ავტორმა „ვაჟას უკვდავ სულს“ რომ უძღვნა.

უძლიერეს შთაბეჭდილებას ახდენს წიგნის შესავალი, სადაც დიდი ცოდნით და შთაგონებით აღდგენილი, გამთლიანებულია სხვადასხვა, ძნელად მისაწვდომ მასალებში გაფანტული და ნამცეც-ნამცეც მოძიებული ფშავ-ხევსურეთის უძველესი პანთეონი, „ხალხური ფანტაზიის წყაროსთვალი“, მასაზრდოებელი „გველის მჭამელის“ და „ალუდა ქეთელაურის“ შემოქმედისა, ვინც ცხადყო — ჩვენს ფესვებმაგარ მოდგმას დაშრეტა, გადაშენება არ უწერია.

ამ მეტად ფასეულ მონოგრაფიას კიდევ უფრო ამდიდრებს, ახალ ნახნაგებს მატებს „წერილები ვაჟაზე“, რვა წერილი, ახალ გამოცემას (2009, რედაქტორი მერაბ ლაღანიძე) რომ ერთვის. ცოცხალი, ხატოვანი ენით დაწერილ, დინამიურობითა და არტიზიმით აღსავსე წიგნს ლიტერატორთა, მკითხველთა საყოველთაო მოწონება ხვდა წილად და იგი საგანგებო, საფუძვლიანი განხილვის ღირსია.

თამაზ ჩხენკელის ესოდენ მომხიბლავი პიროვნება, მისი უმდიდრესი ბუნება, ესთეტიკური მრწამსი უფრო ნათლად რომ გამოიკვეთოს, ცოტა რამ მაინც უნდა ითქვას ბათუმში გამოცემულ (2002) ესეების, პორტრეტების, ინტერვიუების ძალზე მნიშვნელოვან წიგნზე „მწვანე ბივრიტი“. აქ უზარმაზარი გალერეაა წარმოდგენილი გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა, მწერალთა, თვით ავტორის სახელოვან მეგობართა, რომლებიც ახლო წარსულში თავდადებით ემსახურებოდნენ მშობლიურ მწერლობას, კულტურას და ამჟამად ცოცხლები აღარ არიან.

თუ რაოდენ ფართო იყო თამაზ ჩხენკელის თვალსაწიერი, ამის დასტურად მათი მხოლოდ ჩამოთვლაც იკმარებს: გრიგოლ რობაქიძე, შალვა ნუცუბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, პავლე ინგოროყვა, სიმონ ჩიქოვანი, ტიცვიან ტაბიძე, სერგო ქობულაძე, დემნა შენგელაია, ლადო მესხიშვილი, ბიძინა ნანეიშვილი, სიმონ სხირტლაძე, ოთარ ჩხეიძე, ზურაბ კაკაბაძე, გურამ ასათიანი, სარგის ცაიშვილი, არჩილ სულაკაური, რევაზ თვარაძე, ოტია პაჭკორია, გივი მალულარია, აკაკი ბაქრაძე, ოთარ

ჭელიძე, შოთა ჩანტლაძე, გივი გეგეჭკორი და სხვები.

თამაზ ჩხენკელის მოქალაქეობრივ ღირსებაზე მეტყველებს ისიც, რომ იგი სიყვარულითა და მაღლიერების გრძნობით იგონებს ღვანლმოსილ, ამაგდარ პედაგოგებს დავით ჭყონიას და ვერა თევზაძე-გაბლიანს (ეს ქალბატონი რეპრესირებული დიდი მეცნიერის, ეგნატე გაბლიანის მეუღლე და გენერალ გივი გაბლიანის დედა გახლდათ), რომელთაც ბავშვებს ზნეობის დაუვიწყარი გაკვეთილები ჩაუტარეს და სამუდამოდ დაამახსოვრეს თავი, უანგაროდ ემსახურებოდნენ ახალგაზრდა თაობების ფორმირების კეთილშობილურ საქმეს.

იშვიათი ოსტატობისა და უტყუარი გემოვნების ნაყოფია, როცა სამ-ოთხ გვერდში ბევრი რამის დატევა შეგიძლია. სწორედ ასეა მოაზრებული და აგებული ჭაბუა ამირეჯიბის საუცხოო პორტრეტი. თამაზ ჩხენკელი მოკლედ მიგვანიშნებს ამ „ფანტასტიკური ფენომენის“ განსაცვიფრებელ წარსულზე და მაშინვე გადადის მთავარ სათქმელზე: „ადრეულ ხანაშივე ცნაურდება ჭაბუა ამირეჯიბის არა მარტო ფსიქიკურ-ინტელექტუალური, არამედ ბიოლოგიურ-რასიული გამძლეობისა და უდრეკობის ძნელად წარმოსადგენი ენერჯია. საიდან იღებდა სათავეს ეს უშრეტი ენერჯია? ოჯახური აღზრდის, წინაპართა მეომრული კასტის მიერ აკუმულირებული ძალის რა უეცარი აფეთქება მოხდა ამ პიროვნებაში. ეს მისი საიდუმლოა, მაგრამ ჩვენთვის გაცხადებული უფრო დიდი საიდუმლოა ის, რომ ეს ძალა, ეს უშრეტი ენერჯია მწერლურ შემოქმედებაში, ქართულ სიტყვაში განსახიერდა“.

ეს რაინდული შემართებით აგებული პორტრეტი ჭაბუა ამირეჯიბის დაბადების მეოთხმოცე წლისთავს მიეძღვნა და მეთათე ათწლეულში გადამდგარი, ცრემლმორეული ჭაბუა მუდამ სინანულითა და სიამაყით იგონებდა უძვირფასეს, ძმასავით საყვარელ მეგობარს.

მრავალი ჩვენთაგანის მსგავსად, თამაზ ჩხენკელსაც ჰქონდა უკმარისობის გრძნობა, რომ ჭაბუა ამირეჯიბისთანა გამორჩეული პიროვნება ადრე გამოქვეყნებული, თუნდაც ძალზე საყურადღებო მოთხრობების ამარა არ შეიძლებოდა დარჩენილიყო, რადგან მისი უმდიდრესი ცხოვრებისეული გამოცდილება დიდ მხატვრულ ტილოებს მოითხოვდა. ჩვენი მოლოდინი ამაო არ აღმოჩნდა და კიდევაც დაინერა ორი განსაცვიფრებელი რომანი — „დათა თუთაშხია“ და „გორა მხო-

რგალი“ — ერთი მედლის სხვადასხვა ტვიფრით აღბეჭდილი ორი მხარე. მარადისობისთვის განკუთვნილ ამ უკვდავ ქმნილებებს ისეთი აღიარება ერგო, მათზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ასევე საგანგებო დაკვირვების ღირსია მისივე მესამე, თვისობრივად განსხვავებული, მეტად ღრმა, სიბრძნით აღსავსე სიმბოლოებით გაჯერებული რომანი „გიორგი ბრწყინვალე“, რომელსაც თავიდან ბოლომდე გასდევს ისტორიის ცოცხალი განცდა.

პორტრეტის დასასრულს თამაზი იგონებს ჭაბუხასთან ერთად ლხინის სუფრაზე ჯდომას, რამდენიმე პურობას. ერთხელაც, როცა მეგობრები მთელი ღამის ნაქეიფრები იყვნენ, ჭაბუხას დაუჟინია, სამთავისის ლომი უნდა ვნახოთო და ყველანი დაუყოლიებია. დაუვინყარია ფინალი, სადაც თამაზ ჩხენკელი აღტაცებული წერს: „როცა ვნახე ტანადი სამთავისის ჩრდილო კედელზე გამოქანდაკებული ფრთოსანი ლომის ბარელიეფი, რომლის ლითონივით მკვრივი ნაკვეთებიდან დაუოკებელი ენერგია მოჟონავდა, გავიფიქრე: მსგავსი მსგავსისკენ მიისწრაფვის-მეთქი“. ბოლო ფრაზაში ყველაფერია ნათქვამი.

თამაზ ჩხენკელი არავის სიკეთეს არ ივინყებდა და ძალზე მესიამოვნა, როცა ამ წიგნში წავაწყდი მცირე მოგონებას კეთილშობილ ადამიანზე, სარგის ცაიშვილის ახლობელსა და თანასოფელზე, ცნობილ ბიბლიოფილსა და ქართველი მწერლების გულითად მეგობარზე დამიანე ალანიაზე, ვისაც ადრე შინაგან სამინისტროში მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა და ყველას, ვისაც რამე გაუჭირდებოდა, უანგაროდ ეხმარებოდა. ამ მოგონებაში მეც ვარ ნახსენები, რადგან თამაზი სამსახურში წამყვა ბატონ დამიანესთან (მეუღლის მოულოდნელი გარდაცვალების გამო ყველაფერი ამერია და ჩემს მშობლებთან, ვერაზე უნდა ჩავწერილიყავი) და იმან, როგორც კი გაიგო ჩემი მდგომარეობა, დიდი ნითელი ფანქარი მოიმარჯვა და განცხადებას ისეთი ფიცხელი რეზოლუცია წააწერა, წინ ველარავინ დამიდგა. ბატონი დამიანე არა მარტო იძენდა იშვიათ, უნიკალურ გამოცემებს, კიდევაც გულმოდგინედ კითხულობდა. თამაზ ჩხენკელი მართებულად აღნიშნავს: „არა მგონია მისი ბიბლიოთეკა იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკას ჩამოუვარდეს“. ამ ადამიანის ჭემმარიტ მამულიშვილობას მონმობს სამაგალითო ქველმოქმედება — ცოტა ხნის წინ თავისი უძვირფასესი წიგნების მეტი ნაწ-

ილი გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმს საჩუქრად გადასცა.

თამაზ ჩხენკელის მცირე წერილებიდან აღსანიშნავია მშვენიერი ესეე „ელიას მთის ძირში“, მიძღვნილი მერაბ ბერძენიშვილის ღირსეული მოწაფის, სნოს მკვიდრის, მოქანდაკე მერაბ ფირანიშვილისადმი, ვისთვისაც ასე ნაცნობი, მშობლიურია დარიალის ხეობის რელიეფი. იგი მონუმენტური ფორმების სანაქებო ოსტატია. სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულმა, სრულიად ახალგაზრდა ხელოვანმა, როგორც თამაზი მისებურად, მაღლიანად წერს: „1980 წელს, კვირეს მთაზე, ერთ ნახევრად დანგრეული ციხის კედელზე მერაბ ფირანიშვილმა თავისი ხელით გამოჭედილი ექვსმეტრიანი ხმალი დაკიდა ბოლნური ჯვრით დამშვენებულ ფართან ერთად. ამავე მთაზე, ცოტა ზემოთ, 1984 წელს, მანვე ააგო შავი ფიქალით (ჭაჭის ქვით) ძველი სალოცავის საძირკველზე ახალი საყდარი და მით ახალი თვალი გაუხსნა დაბრმავებულ პეიზაჟს.“

მასვე განზრახული ჰქონია „ელიას მთის ძირში, სამკუთხად მოვაკებულ ველზე დაედგა მრავალტონიანი ლოდებისგან გამოთლილი ქანდაკებები...“ ფანტასტიურია ამ განზრახულ ქანდაკებათა რაოდენობა (ხუთასი). თამაზ ჩხენკელს, ვისი მხატვრული ხედვა და ხასიათი კარგად ჩანს ამ ესსეშიც, მერაბ ფირანიშვილისგან არ ეეჭვებოდა „მეუძღვლის შეძლება“.

ცალკე უნდა ითქვას თამაზ ჩხენკელისა და შოთა ჩანტლაძის ახლო ურთიერთობაზე. ისინი თითქმის თანატოლები იყვნენ (თამაზი ერთი წლით იყო უფროსი). შოთას იმ საბედისწერო, 1968 წლის ივნისში შეუსრულდა დაბადების ორმოცი წელი, რომლის ზღვარსაც ველარ გადააბიჯა — მოვლენათა ტრაგიკული გადაჯაჭვის, ბრმა შემთხვევითობის გამო 29 ნოემბერს გარდაიცვალა და ყველას გული მოგვიკლა. მახსოვს, მოჩვენებითი, ყალბი, არამკითხველური ფიგურისგან განსხვავებით, როგორ მძაფრად განიცადა თამაზ ჩხენკელმა მისი ფატალური დაღუპვა.

წლების მერე შოთა ჩანტლაძეს უძღვნა მან ურითმო, მეტად თავისებური ლექსი „იკანკლედი“, სადაც ერთი პატარა ეპიზოდია გახსენებული. შოთა ახალგაზრდობისას თავისი უახლოესი მეგობრის გივი ძნელაძის მშობლიურ სოფელ ბურნათში ჩასულა და ოჯახის დიასახლისისგან იქ ერთი უცნაური სიტყვა გაუგონია. ეს უბრალო ამბავი ლექ-

სის ფინალურ სტრიქონებში ღრმა სიმბოლურ განზოგადებას იძენს:

*ბათუმის ბულვარში,
შზის ჩასვლისას ერთხელ,
შოთა მ გაიხსენა: გივი ძნელაძესთან
გურიიში ვარ და, —
აღარ მახსოვს რაზე —
დედამისმა თქვაო, ვარდის ფესვი თურმე
ქვევრს გახეთქავს ბრჯღალით,
მაგარია ისე.
იკანკლავი ჰქვია ვარდის ფესვსო,
უთქვამს
შოთასათვის დედას გივი ძნელაძისას...
გამეხარდა დიდად, სილამაზეს ყოველს
ნეტავ ვარდის ფესვი —
იკანკლავი ჰქონდეს!*

შოთა ჩანტლაძესა და ოთარ ჭილაძეზე თამაზმა ძალზე გულთბილი, ხალისით ნასაკითხავი მოგონება დანერა („მწვანე ბივრიტშია“ შეტანილი). თამაზ ჩხენკელი იხსენებს ზაფხულს, როცა შოთასთან ერთად ისვენებდა ქობულეთში, მისი დეიდის სტუმართმოყვარე ოჯახში (მეც კარგად ვიცნობდი ქალბატონ ჩაკალას და ერთხელ, შოთას გარდაცვალების მერე მოვინახულეთ თამაზმა და მე).

შოთას და თამაზს ციხისძირის მახლობლად, დასასვენებელ სახლში, პოეტი ოთარ ჭელიძე შეხვედრიათ. იმას დრო დაუთქვამს და მეორე დღეს ორივენი დაუპატიჟნია, სანატორიუმის უგემური კერძები მომბეზრდა, რესტორანში ვისადილოთო. იქ მათ სუფრასთან მისულა შეზარხოშებული ახალგაზრდა კაცი, ბობოყვათელი, მოსწონებია პოეზიაზე მოსაუბრე მეგობრები და სამივენი დიდი სითბოთი უდღეგრძელებია, დაულოცავს, „სიყვარულის მძევლები“ უწოდებია და აჰყოლია მათ ლაპარაკში.

მოგონების ერთ-ერთ, მომდევნო ეპიზოდში, ხალასი იუმორით რომ არის შეფერილი, კარგად ჩანს ოთარ ჭელიძის საპასუხოდ დამპატიჟებელი შოთას სხარტი, აზროვნება, გონებასმახვილობა:

„ქობულეთის მთავარი ქუჩის 102 ნომერში, შოთა ჩანტლაძის დეიდის სახლში, ისევ მოვიყარეთ თავი „სიყვარულის მძევლებმა“. შუა ქეიფში შოთამ ფანჯარაში გადაიხედა, ერთხანს მიშტერებით უჭვრიტა რალაცას და უცებ წამოიძახა: ეს მინდოდა მე? ჩემი სახელი წაუნერიათ მაღაზიაზეო. რას ლაპარაკობს ეს კაცი, მითხრა ოთარმა, ავდექით და ფანჯარაში გავიხედეთ. სად წერია შენი სახ-

ელი? — აგერ მაღაზიის აბრაზეო. მაღაზიის აბრაზე ეწერა „ჩამოფასებული საქონელი“ (ვაი, სანყალო შოთა! ეს მწარე თვითირონია დღეს ბევრი შენი თანამოძმისთვისაც ზედგამოჭრილია). ამაზე მაშინ ბევრი ვიცინეთ. პოეტის ნამდვილი სახელი ეგ არისო — დავასკვნით“.

ამ ექვსი წლის წინ შოთას საიუბილეო თარიღი, როგორც მოსალოდნელი იყო, მოკრძალებულად აღინიშნა. 2008 წლის 14 ივნისის ზოგი რამ მოკლედ ჩამიწერია:

„გუშინ შესრულდა ოთხმოცი წელი შოთა ჩანტლაძის დაბადებიდან. ერთი კვირით ადრე დამირეკა მისმა ბიძაშვილმა, უსაზღვროდ კეთილმა, ალერსიანმა ქალბატონმა ნეგა ხუხუნაიშვილმა, რომ საირმის ქუჩაზე მდებარე ექსპერიმენტული სკოლა, ქართულის მასწავლებლის ნანა ქირიას თაოსნობით აღნიშნავდა ამ დღეს და მთხოვა მეგობრებისთვის მიმენვდინა ხმა. დავურეკე თამაზ ჩხენკელს, ზურაბ კიკნაძეს, დოდო რცხილაძეს: დოდომ, ვისაც საუცხოო მოგონება აქვს გამოქვეყნებული შოთაზე, მანქანით გამომიარა და ავედით. ბავშვები შესაფერისად იყვნენ მომზადებულები. წარმოადგინეს შოთა ჩანტლაძის პოეზიიდან გემოვნებით ამოკრეფილი და გამთლიანებული ლიტერატურული მონტაჟი. გამოვიდნენ იქაური პედაგოგები. ჩვენც გვათქმევინეს სიტყვები. მერე სუფრაზედაც მიგვიწვიეს.“

იქიდან თამაზ ჩხენკელი, ზურაბ კიკნაძე და მე (სხვებიც) ლიტერატურის მუზეუმისკენ დავეშვიტ. იზა ორჯონიკიძეს კარგად მოემზადებინა იქაურობა, სპექტაკლივით იყო მოწყობილი ერთი განყოფილება. იზას პოეტურთან ერთად, ორგანიზატორული ნიჭიც ჰქონდა, თანაც შოთასადმი მუდამ გამოხატავდა სიყვარულს. შოთას ნათესავები აშკარად კმაყოფილები დარჩნენ. ბათუმიდან საგანგებოდ ჩამოვიდა ნეგას და ქალბატონი ზაირა. ყველას ბათუმში გეპატიჟებითო, გვითხრა. ნეგას ქალ-ვაჟიც, ლამა და ქეთი, იქ იყო.

საღამოზე მოწვეულთაგან ჩვეული რიხით გამოვიდა თამაზ ჩხენკელი. ბევრი რამ მოყვა შოთას ცხოვრებიდან. მოიგონა მასთან ერთად ქობულეთში გატარებული დაუვინყარი ზაფხული. შოთას მიერ კურიოზულად აღქმული მაღაზიის წარწერაც ახსენა. სიცილი ატყდა. მერე გაღიმებულმა დაატანა — ცამდე მართალი, წინასწარმეტყველი გამოდგა შოთა, მწერლობა დღეს აღარავის არაფერში ჭირდება, „ჩამოფასებული საქონელიაო“.

მეც გამიხმეს. ორატორობა არ მეხერხებოდა. უმთავრესად ვილაპარაკე შოთას და ჩემს გამგზავრებაზე სვანეთში (ამაზე მოზრდილი მოგონებაც გამოვაქვეყნე ადრე), როგორ ვესტუმრე დათო წერეთლისა და ვალერიან სალდიანს. იმ ნათელი დღეების დავინწყება მართლაც არ შეიძლება“.

ზემოთ მოვიხსენიე თამაზ ჩხენკელის უმნიშვნელოვანესი მონოგრაფია ვაჟა-ფშაველაზე „ტრაგიკული ნიღბები“. ჩვენს ახალგაზრდობას მცირეოდენი წარმოდგენა რომ შეექმნას მისი ავტორის წერის თავისებურ მანერაზე, უჭკნობი ნიჭის მადლსა და სხივმოსილებაზე, თვით ვაჟას განუმეორებელი სამყაროს სიდიადესა და იდუმალებაზე, შესავალი ნაწილიდან ერთი აბზაცი მაინც უნდა ამოვინერო:

„მთაზე ცხრათვალა, ბედგაუტეხელი, ცასწვერმიბჯენილი ციხე დგას. აქ არის ღვთის კარი: ოქროს ტახტზე მორიგე ღმერთი ზის და ოქროსავე ბაგეებს ძრავს. აქვე დგას ქვესკნელში ფესვებგადგმული ალვისხე, რომლის წვერში ოქროს ცხრაკეცი შიბი ჰკიდია. ალვის რტოებზე „ყურებად სანატრელი“, თეთრმხრიანი ღვთისშვილები სხედან, ხოლო მის ფესვებში უკვდავების ვეშა-წყარო ჩქეფს. ვეშა-წყაროს ღვთაებრივი ვეშაპი პატრონობს. ციხიდან წყარომდე „მინი-მინ“ დარანი ჩადის. ამ დარანით მოძრაობენ ზესკნელ-ქვესკნელში ვარსკვლავთა განმასახიერებელი, ერთმანეთის მოდე-მომძე ღვთისშვილები“.

დიდად მემამაყება, რომ „ტრაგიკული ნიღბების“ პირველი გამოცემა (1971) თამაზ ჩხენკელმა გამოსვლისთანავე მისახსოვრა და გულთბილ, მისებურად ლაკონურ წარწერაში „ვაჟაისტად“ მომიხსენია.

ცოტა არ იყოს გამიკვირდა, როცა თამაზ ჩხენკელის ამ სიახლით სავსე, ჭეშმარიტად საგოგმანებელ წიგნს, თავის დროზე, არცთუ კეთილგანწყობილად შეხვდა ჩვენი ცნობილი რუსთველოლოგი, ვაჟას შემოქმედების ჩინებული მცოდნე, სამაგალითო ლექსიკოგრაფი ალექსი ჭინჭარაული. ეტყობოდა, რაღაცები არ ეჭაშნიკა, „ტრაგიკულ ნიღბებში“ გამოთქმული ზოგი მოსაზრება მცდარი ეჩვენა და ასეთი რამ მითხრა — თამაზ ჩხენკელს ყოვლისმცოდნედ ნუ მოაქვს თავი, ვაჟას მითოსის ახსნა საკმაოდ ეშლება და ჩემს შენიშვნებს სადმე გამოვაქვეყნებო (რამდენადაც ვიცი, ალექსის თავისი დანაქადები არ შეუსრულებია).

მე გაგონილის, მოსმენილის გამძაფრება მიყვარს და ჩემი ენის მოუთოკაობის გამო, სხვა დროს, ვინც კარგად არ მიცნობს (ბოროტი ზრახვა არასოდეს მიდევს გულში), იმათგან არაერთხელ გადავყრივარ უსიამოვნებას.

მაშინაც, ალექსის ნათქვამი ჩემებურად გადავასხვაფერე, რამდენიმე ნაცნობთან იუმორისტულად მოვყვიე: ჭინჭარაული იმუქრება თამაზ ჩხენკელი ნამეტანს ნუ ყელყელაობს, ცოტა დაუკვირდეს, რას და როგორ წერს, თორემ ნესვივით გავაგორებო.

რომელიღაცას თამაზისთვის პირდაპირ მიეტანა ჩემი გაშარუებულად ნათქვამი, მაგრამ ამას ამჯერად არ მოჰყოლია ცეცხლზე ნავთის დასხმის ეფექტი.

მაღე თამაზ ჩხენკელმა ინსტიტუტში მისული როცა დამინახა, შორიდანვე მხიარულად დამიძახა — რა კარგად გაგიფორმებია, ალექსი მაგრე არ იტყოდაო. გამოვუტყდი, რომ „ნესვივით გაგორება“ ჩემი დამატებული იყო. ბევრი იცინა, ხუმრობას იგი ყოველთვის შეუმცდარად ხვდებოდა, ასეთ რამეზე არაფრით არ დაიბოღმებოდა.

იშვიათად მომხდარა, ხილიანზე თამაზისთვის დამერეკა და იმწამსვე არ ეთქვას, ახლავე მოდი, გელოდებო. მოვალ, თუ შენებურად, ზეთში, ბადრიჯანს შემინვავემეთქი, ვეტყოდი ხოლმე. მაგაზე როგორ განწყინებო, შემომავებებდა. მართლაც ორიოდე ნუთში ააშიშხინებდა ტაფაზე მრგვალად დაჭრილ ბადრიჯანს, დანაყილ ნიორთან ერთად უგემრიელესი რომ იყო. ლობიოს შეკმავზაც არანაკლებ ემარჯვებოდა, სასმელიც სულ ჰქონდა. კარს, როცა შინ იყო, არასოდეს კეტავდა. შიგნიდან იმავე კარზე გაკრული ჰქონდა ვან გოგის ერთ-ერთი გენიალური უკანასკნელი შედეგის რეპროდუქცია („ოვერის პეიზაჟი ნანვიმარზე“, 1890), თემურ მალლაფერიძის სახსოვარი.

კარგა ხანია გასული მას მერე, თამაზი ვერაზე შემხვდა. შემოდგომის თბილი, ალერსიანი დღე იყო, ისეთი ანდრეი ბელი რომ აღწერს ზემოთ მოხმობილ ლექსში. შენ ფული არ გექნებაო, მითხრა და ხალათის ჯიბეში ათლარიანი ჩამიდო. არ შევწინააღმდეგებვიარ. იმ ნაჩუქარი ათი ლარით, გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ, ბუკინისტისგან კლიუევის, რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ეროვნული, გადასახლებასა და ნამებაში მოკლული პოეტის ტომი ვიყიდე. ძალიან მიყვარს ის წიგნი. როცა შემდეგი შეხვედრისას ვუთხარი, რაში დავხარჯე მისი ფული,

ემზარ კვიციანიშვილი. ახლოდან დანახულ ტამაზ ჩხენკელი

გაეცინა, შენი გამოსწორება არ იქნებაო.

თავადაც თავდავინწყებამდე უყვარდა ნიგნი. ერთხელ დამირეკა, მანქანით გამოგვივლი, შენს მეზობლად, ქიაჩელის ქუჩაზე, „ლურჯი მონასტრის“ გვერდით, უნიკალური ბიბლიოთეკა უნდა ვიყიდო და წამომყევიო. ათ წუთში მოაგრიალა თავისი ლურჯი „ფიატი“. იმ სახლს მივადექით, სადაც გარდაცვლილ საეკლესიო მოღვაწეს, თეოლოგს, დიდად განათლებულ ადამიანს, რევოლუციამდე გამოცემული საუკეთესო წიგნები დარჩენოდა (ძირითადად, ფილოსოფიური და რელიგიური შინაარსისა) როგორც ვთქვი, პატრონი, ალბათ ღვთისმეტყველი, ცოცხალი აღარ იყო და მისმა შთამომავალმა, მემკვიდრემ, ამკარად არ იცოდა იმ განძის ფასი, მთელი ბიბლიოთეკა მეტისმეტად იაფად დასთმო. თამაზი როგორღა შეევაჭრებოდა. ცნობისმოყვარედ დავყურებდით იატაკზე აკოკოლავებულ იშვიათ გამოცემებს. ბევრი წიგნი იყო ინდურ და ევროპულ ფილოსოფიაზე, მისტიკაზე, ოკულტიზმზე, ხელოვნებაზე, თვალის აგჭრელდებოდა. ერთი, ვეებერთელა, შავ ყდაში ჩასმული, მდიდრულად გაფორმებული, „იესო ქრისტეს ცხოვრება“ ფარარისა, თამაზმა ცალკე გადასდო, ეს ანა კალანდაძეს უნდა ვაჩუქო, ბოლო ხანებში ისეთი მშვენიერი ლექსები დანერა ბიბლიის მოტივებზე, უსათუოდ ღირსია (ასედაც მოიქცა და უზომოდ გაახარა თავისი სიყრმის მეგობარი). წიგნები გარეთ გამოვზიდეთ და მანქანაში ჩავაღვადეთ. საბარგული რომ აივსო, მერე უკანა სავარძელზე დავანყვეთ, რაც მოგვრჩა. ისეთი გახარებული და სახეგაბრწყინებული თამაზ ჩხენკელი იშვიათად მიხანახავს.

ახლა დროის ლაბირინთებში კიდევ უფრო უკან უნდა დავიხიო. ის დღე სამუდამოდ შემორჩა ხსოვნას, ცოცხლად ჩამებეჭდა. დილით, 12 საათზე სოლოლაკში მივაკითხე რალაცის გამო. კარი დედამისმა, სიტყვაძუნწმა, დიდად კეთილშობილმა ქალბატონმა თამარმა გამიღო და ოთახში შემიძღვა. თამაზი წინა ლამის ნასვამი იყო. როგორც იტყვიან, პირი გამოკალული ჰქონდა, სახეზე სპილენძის სინითლე დაჰკრავდა. გაუხარდა ჩემი დანახვა — აგაშენა ღმერთმა, ლაპარაკის თავიც არა მაქვს, აქვე, ზემოთ, ფუნიკულიორის ძირში, გადასარევი სალუდეა, მისაყოლებელიც აქვთ, წამომყევი, თუ არ მოვსულიერდი, მოვკვდებიო.

წავედით. ჭონქაძის ქუჩაზე, ბაღში, პატარა ჯიხური იდგა. იქეთკენ აიღო გეზი. გამყიდველს მიახლოებისთანავე დაუძახა — აბა,

გვიშველე სასწრაფოდ, შენ რომ იცი, ისეთი სოსისი ჩაყარე ქვაბში, ლუდი ახლავე ჩამოგვისხი. გამყიდველმა, ახალგაზრდა ბრგე კაცმა (სახელი აღარ მახსოვს) ღიმილი შეაგება და მაშინვე დაგვიტრიალდა. თამაზი ხარხარით დაენაფა ქაფმოდებულ ქარვისფერ ლუდს და აღტაცებაც დაუყოვნებლივ გამოხატა — ძვირფასი რამეაო, იძახდა. ასე იცოდა თქმა, როცა რაიმე ძალიან მოენონებოდა.

ცივი ლუდისა და აგურისფერი, ტკაცუნა, უგემრიელესი, მდოგვში ჩანებული სოსისის მირთმევის შემდეგ შილიფად ჩაცმული თამაზი საგრძნობლად მოცოცხლდა, საუბრის ხასიათზე დადგა. ჩრდილში, ძელსკამზე დავსხედით. რომენ როლანზე ჩამოაგდო ლაპარაკი. ახსენა მისი წიგნები ინდოელ ფილოსოფოსებზე. როლანის ეს ტომები ოცდაათიან წლებში, ომამდე რომ არ გამოეცათ, ბევრი რამე დამაკლდებოდაო, თქვა. რასაც ნაიკითხავდა, ძირისძირობამდე ჰქონდა დამუშავებული, რვეულებში დაკონსპექტებული. მკერდმოღელი ლაღად ლაპარაკობდა, სახეზე სიმშვიდე, ნეტარება ეფინა. ეს იყო ახლოდან დანახული თამაზ ჩხენკელი, ვისი ხილვაც ამჟამად ასე მოსანატრებელი გახდა. ეს იყო ერთ-ერთი უბედნიერესი დღეც ჩემს უიღბლო ცხოვრებაში, რომლის მკრთალი ანარეკლიც აქ მოვხაზე.

თამაზს უყვარდა იმ დროის გახსენება, როცა ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი გიორგი ლეონიძე იყო. სამსახურში იშვიათად შეივლიდა, მაგრამ სავალდებულო წლიურ თემებს, მაგრამ ნაუცბათევე „ხალტურას“ კი არა, საუკეთესო მეცნიერულ ნაშრომებს მუდამ კეთილსინდისიერად აბარებდა (ვიცოდით, რა უდიდესი გატაცებით მუშაობდა ქართული ანბანის ურთულეს პრობლემებზე).

გიორგი ლეონიძის კაბინეტში ხელქვეითებს დროდადრო შეჰქონდათ იმ თანამშრომელთა სია, სამსახურის დღეებს ხშირად რომ აცდენდნენ. ასეთ გაცდენებში პირველი ადგილი მუდამ თამაზ ჩხენკელს ეკავა. ერთხელ ლეონიძეს თავისთან დაუბარებია, მომიძებნეთო, უთქვამს. ხმა მიაწვდინეს და საღამო ხანს (დირექტორი ნაშუადღევს მერე მოდიოდა ხოლმე და გვიანობამდე რჩებოდა) შეალო დერმატინგადაკრული კარი. იმას დიდად არ გაუკიცხავს, დასანამუსებლად კი უთქვამს — შენზე ნაკლები რომანტიკოსი და მეოცნებე არც მე ვარ, მაგრამ მოვალეობის გრძნობა უნდა გქონდეს, ხანდახან გამოჩნდი სამსახურში,

დაენახვე თანამშრომლებს, ხალხს ნუ ამილაპარაკებო. თამაზს შერცხვენია და იმ ხანებში საგრძნობლად „გამოსწორებულა“, სიცილითა და მადლიერებით იგონებდა „ყივჩალის პაემანის“ ავტორის ნათქვამს, კარგად იცოდა მისი პოეზიისა და კაცობის ფასი..

თამაზ ჩხენკელი საუცხოო მთხრობელი იყო, გემოს ატანდა ყოველ სიტყვას. ასეთი რამ მომიყვა — ერთხელ ირაკლი აბაშიძის გვერდით მოვხვდი ძვირფას პურ-მარილზე. დიდი ყურადღება გამოიჩინა ჩემს მიმართ. მოხდენილად, მარჯვედ ოხუნჯობდა. მისებურად გაამხიარულა სუფრაზე დამსწრენი. ბოლოს, როცა ნასიამოვნები გარეთ გამოსულან, მასპინძლებს გამომშვიდობებთან, ირაკლის უთქვამს — ჩემი მანქანით წაგიყვან, შენი თავი ცოლ-შვილს სალ-სალამათი უნდა ჩავაბაროო. თამაზს გაცინებია, ეგ არ გამოგივათ, ბატონო ირაკლი, ცოლ-შვილი სოლოლაკში მყავს, მე ცალკე ვცხოვრობ ხილიანზე, ჩემთვის მყუდროდ ვმუშაობო. ამაზე სულ გადარეულა ქართველი მწერლობის მაშინდელი თავკაცი, გოცმბულს ხელები გაუშლია — აგინყვია საქმე, გონიერი კაცი რომ იყავი, ყოველთვის ვიცოდი, ჩემო თამაზ, ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი, ჭკუის კოლოფი, ნამდვილი გენიოსი ყოფილხარ! რანაირად მოახერხე, ბიჭო, მაგ? მე მთელი ცხოვრება ვფიქრობდი განმარტოებულად ყოფნაზე და არ გამომივიდა, ცოლ-შვილისგან თავი ვერაფრით დავისხენიო, შეუჩივლია. ზაფხულის იმ ღამით, ნაქეიფარები, ხილიანზე გამომშვიდობებთან ერთმანეთს.

სიტყვამ მოიტანა და არ შემოიძლია საგანგებოდ არ აღვნიშნო — მართლაც სანაქებო ოჯახი დარჩა თამაზ ჩხენკელს. იდეალურ, ყოველმხრივ ხელშემწყობ თავშენიწულ მეუღლეზე, ლილი გოგუაზე რომ არაფერი ვთქვა, რაოდენ ღირსეულები არიან მისი ქალიშვილები — გვანცა და ნათია; ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა მამის ყოველი თარიღი (დაბადების თუ გარდაცვალებისა) საკადრისად აღნიშნონ ნათესავ-მეგობართა, განსვენებულის თაყვანისმცემელთა წრეში. განგების ნებით ეს მუდამ შემოდგომაზე, ნოემბრის თვეში ხდება (იგი ზოდიაქოთი მშვილდოსანი იყო).

ერთ ასეთ დღეს, დიდუბის სავანედან დაბრუნებულები, ჭირისუფლებთან ერთად, სოლოლაკში, თამაზის გრილ, გვირაბივით წაგრძელებულ ეზოში რომ შევედით და მარჯვნივ, მუქმწვანე სუროთი დაფარულ კედელს შევაავლეთ თვალი, თამაზის უახლოესმა მეგობრებმა ნოდარ ებრალიძემ,

რამაზ პატარაძემ, ზურაბ კიკნაძემ და სხვებმა ღიმილით გაიხსენეს თამაზის ერთი სასიამოვნო, პოეტური ახირება; გვიან შემოდგომაზე, წითელ-ყვითელი ფოთლებით გადაჭრელებული ეზოს გახვეტის ნებას არ აძლევდა უბნის მეეზოვეს, არ შეეხო, ასე უნდა დარჩესო. ის კაცი აყვირებულა, რას მიშვები, მაგის გულისთვის სამსახურიდან მომხსნიანო, მაგრამ თავისი მაინც ვერ გაუტანია. აქედანაც ჩანს — იგი ყველგან და ყველაფერში სილამაზეს ეძებდა და კიდევ პოულობდა.

თამაზ ჩხენკელთან ურთიერთობიდან ბევრი მაქვს გასახსენებელი, მაგრამ ძნელია, ყველაფერს უკლებლივ მოუყარო თავი. დაბადების ორმოცდაათი წელი როცა შეუსრულდა (1978 წლის 26 ნოემბერი), რამდენიმე ახლობელი ცოტა ნაადრევად მივედით მასთან სახლში, სოლოლაკში, ეგებ რამე დახმარება დასჭირვებოდა. ამ დროს მისი სიყრმის მეგობარი და თანატოლი, ყველასათვის უსაზღვროდ საყვარელი, თამაზისნაირივე მზეჭაბუკი რევაზ თაბუკაშვილი მოვიდა, სახეგაბრწყინებული გადაეხვია იუბილარს, მერე ჯიბიდან უძველესი, ვგონებ მეჩვიდმეტე საუკუნის ვერცხლის პატარა ხატი ამოიღო და გადასცა, ეს ჩემგან სახსოვრად გქონდესო. იქვე მოუბოდიშა, ისე მოხდა, დღესვე გავდივარ ქალაქიდან და, სამწუხაროდ, შენს საზეიმო სუფრაზე ვერ დავრჩებიო. ყველას გვეწყინა. მასპინძელმა უთხრა, რახან ასეა, სასმელი მაინც შემომომწმე, არ შეგეშლება, ორნაირი ღვინო მაქვს, ამომირჩიე, რომელი ჯობიაო. ამაზე უარს როგორ ეტყოდა. ორი წვრილი ჭიქა მოითხოვა. თამაზმა ორი სხვადასხვა ოცლიტრიანი ბოცადან ჩამოასხა ღვინოები, თვითუღმში ნახევრამდე (ასე იყო დათქმული). რეზომ რალაც უცნაურად ენა დაიგრძელა და ჯერ ერთ ჭიქაში ჩაანო, არ მოუსვამს. რამდენიმე წუთი დააყოვნა და მეორე ჭიქაც ამნაირადვე დააგემოვნა. ჩვენ სულგანაბულები შევყურებდით მის გადანყვებილებას. პირი მოხდენილად გაანკლაპუნა და ჩვეული რიხით თქვა-ორივე ღვინო ღვთაებრივია, ორივე რქანითელი წარაფი — ოლონდ ერთი კახეთის ამ სოფლიდან არის ჩამოტანილი, მეორე კი ცოტათი დაშორებული ვენახიდანო. ვგონებ, კარდენახი და ანაგა დაასახელა. ვინც ეს ღვინოები მოგართვა, დიდი პატივი უცია შენთვის; წარაფს ფერდობი, ხირხატი — ურწყავი ნიადაგი უყვარს, მზეზეა მიშვერილი და სიმაგრეც მეტი აქვსო, დაატანა. თამაზ ჩხენკელი გოცმბისგან აივნის სვეტს მიეყუდა

ემზარ კვიციანიშვილი. ახლოდან დახანაული თამაზ ჩხენკელი

— გამაგიჟებ, ნამდვილი ჭაშნაგირი ყოფილხარო. გაცილებულმა რეზომ მარჯვენა შემართა, ყველას დაგვემშვიდობა და ხის კიბე მარდად ჩაირბინა.

თვითონაც იმავე ხანებში გახდა ორმოცდაათი წლისა. საგანგებო თადარიგი ჰქონდა. „ციცკრელები“ გულით დაგვპატიჟა მისი ძალისხმევით აშენებულ სახლში „ფიქრის გორაზე“. ვიცოდით, მეგობრებისა და ახლობლების უზარმაზარი წრე ჰყავდა — გივი გეგეჭკორსა და მე მოგვერიდა მისვლა, თუმცა მას ყველაფერი წინასწარ ექნებოდა გავალისწინებული და სირცხვილს არავისთან ჭამდა, როგორც მასპინძელი. ერთი თვის მერე ორივენი მწერალთა კავშირის ვესტიბიულში დაგვინახა და ჩვენკენ გამოემურა. გაღიმებულმა, საყვედურის ნიშნად, შორიდან დაგვიქნია თითი, ეს გვითხრა: თუ გგონიათ, თქვენი ჩემს ოჯახში არმოსვლა ვერ შევამჩნიე ანდა არ მეწყინა, ძალიან ცდებითო. გადავეხვიეთ და ბოდიში მოვუხადეთ, პატიება ვითხოვეთ. მისგან ყველას უამრავი სიტბო და ყურადღება გვახსოვს.

ხშირად მიფიქრია — რომ არა მოულოდნელი და ვერაგი დაავადება (თამაზ ჩხენკელის დარად, ისიც სისხლის გათეთრების მსხვერპლი გახდა, თანაც უფრო ნაადრევად), დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი, არაერთი ესოდენ საჭირო მონაცემების გამო (სხვადასხვა ქვეყნებთან და ადამიანებთან უშუალო ურთიერთობის უნარი, ფართო განათლება და დიპლომატიის პროფესია, პიროვნული მომხიბლაობა, მოვლენების წინასწარ განჭვრეტისა და ანალიზის უნარი, უცხო ენების ცოდნა, ნაყოფიერი მთარგმნელობითი მოღვაწეობა, ქართული დოკუმენტური კინოს განვითარებაში შეტანილი უდიდესი წვლილი და პუბლიცისტიკის მახვილი კალამი...) უსათუოდ რევაზ თაბუკაშვილი უნდა ყოფილიყო. მაშინ ბევრი თავს დატეხილი უბედურება აგვცდებოდა და ჩვენი უიღბლო სამშობლო ასეთ სავალალო მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა. ეს მხოლოდ ჩემი პირადი აზრი არ გახლავთ.

ერთი მცირე, სახუმარო ეპიზოდიც მახსენდება, რამდენიმე ხნის მერე, როცა მე თვითონ ვუახლოვდებოდი ორმოცდაათ წელს და ახალგაზრდობა, სილალე ზურგს უკან იყო მიტოვებული, სინანულის გამომხატველი უბრალო, ბევრით არაფრით გამორჩეული ლექსი („ნიშანი“) გამოვაქვეყნე, თამაზს მოსწონებოდა და შეხვედრისას გაღიმებულმა შემაქო, კარგი რამე დაგინერიაო. პირველი სტროფი ზეპირადაც მითხრა:

*არც დევნა ქარის, არც ღამის თევა...
ან აღარ გიხტის გული კობრივით,
სიბერის მაცნე, დაგენყო წნევა
და მოვლენები ასაკობრივი.*

ეტყობოდა უფრო ბოლო ორმა, განზრახ პროზაულად განწყობილმა სტრიქონებმა იმოქმედა მასზე და ხმამაღლა, არტისტიკულად წარმოთქმის მერე გადაიხარხარა. ალბათ მისებურად მაგრძობინა, ეს არაფერია. უარესი წინ გელოდებო. რაღას ვეტყვოდი, მართალი იყო.

* * *

აქ მომიხდება გავიხსენო ჩემი ცხოვრების ყველაზე ინტიმური და არსებითი მომენტი, რომლის უნებლიე მოწმე თუ ხელშემწყობი თამაზ ჩხენკელი გახდა და რაც (თუმცაღა დასამალიც არაფერია) დღემდე არავისთან გამიმხელია. იგულისხმება პიროვნება, ვისთანაც საკუთარი ბედისწერა დავაკავშირე და ვისმა დანახვამაც უნივერსიტეტის მეორე კურსზე (თავად იგი ამ დროს დასავლეთ ევროპის ფაკულტეტის ინგლისური განყოფილების პირველი კურსის სტუდენტი გახლდათ) უმალ გამაოგნა, მოსვენება დაგკარგე. ერთგან ნავიკითხე — თვით ეკლესიასტეც ვერ ჩასწვდა განვეის გადაულახველ კანონს, მომწუსხველ ძალას, რაც ამა თუ იმ კაცს, მისგან თვალდადგმული ქალისკენ ეზიდებო.

გავიგე, რომ იგი ირაკლი კენჭოშვილთან და ჩემს მეზობელთან, ნატო გელოვანთან ერთად სწავლობდა და გიორგი ლეონიძის დისწული იყო, სოფიკო კახიანი. სახელგანთქმული პოეტის ნათესაობამ რამდენადმე კი შემაცბუნა, მაგრამ, ჩემი ჯიუტი ხასიათიდან გამომდინარე, უკან არ დამიხევი. გაცნობით მალე გავიცანი. მაგრამ მასთან დაახლოება მეტისმეტად ძნელი გამოდგა. ვცდილობდი, არაფერი შემშლოდა. მისი გარემოცვის ოთხი-ხუთი გოგონა (მათთან დღემდე საუკეთესო, მეგობრული ურთიერთობა მაქვს) ძალზე კეთილად განწყვენენ ჩემს მიმართ და მაინც, დამაბრკოლებელი რკალის გარღვევა ვერასგზით ვერ შეეძელი. არ შევუდგები იმის აღწერას თუ რა დრო და ძალ-ღონე შევალე ჩემს ფანატიკურ განზრახვას. ისეთ მძიმე განწყობაზე დავდექი, ფარ-ხმალი დავყარე, ხელი ჩაქნეული მქონდა.

სწორედ ამ დროს, შემოდგომის მშვენიერ საღამოს, ვერაზე, გამომცემლობის წინ, შემხვდა შავ სამოსელში ელეგანტურად გა-

მონყობილი, კარგ ხასიათზე მყოფი თამაზ ჩხენკელი და მეც გუნება გამომიკეთდა. დიდხანს არ გაუვლია და რუსთაველის მხრიდან მომავალი სოფიკო კახიანი გამოჩნდა. გამიღიმა, მომესალმა და ჩვენთან შეჩერდა. თამაზს გავაცანი და ვუთხარი, რომ იგი ჩემი ამხანაგი და გიორგი ლეონიძის დისწული იყო. იმან აღფრთოვანება გამოხატა (სოფიკომ, ცხადია, იცოდა, ვინც იდგა ჩემს გვერდით), საუბარი გაუბა, მოიკითხა, უთხრა, როგორ ეთაყვანებოდა მის ბიძას. ხუთიოდე წუთი შეყოვნდა ჩვენთან, წასვლის წინ ისევ გაიღიმა და თითებით მანიშნა (ჰაერში მოხაზა ციფრები), მისთვის სახლში დამერეკა. ის საღამო შემობრუნების წერტილად იქცა და ყოველივე ისე წარიმართა, ყველაზე თამამ ოცნებაშიც რომ ვერ წარმოვიდგენდი.

არავისთვის და თვითონ თამაზისთვისაც არასოდეს გამომხელია რა ზღაპრულ მხსნელად მომევილინა იგი. შვიდ წელიწადს გაგრძელდა ჩემი მომქანცველი მცდელობა და განცვიფრებული დავრჩი, როცა მოგვიანებით გავიგე — ცხონებულ სიმონ ჩიქოვანსაც ზუსტად შვიდი წელი დასჭირვებია, რათა თავისი საბედოს, მარიკა ელიავას გული მოენადირებინა. ამის მერე სრულებითაც არ გამკვირვებია პოეტის გაღიზიანებული, საყვედურნარევი შეძახილი, მის ცნობილ სატრფიალო ლექსში რომ ისმის: „შენზე ვიფიქრო თუ სამშობლოზე, გამხადე ღირსი ყურადღებისა!“

მე კი სამუდამო, მტანჯველ, მოუნელებელ სინანულად დამრჩა, რომ ანგელოსური სულის არსებას (ცამეტი წელი გასტანა ჩვენმა ერთ ჭერქვეშ ყოფნამ), ვინც ასე მომენდო, ბოლომდე ვერ მოვუარე, ვერ დავინარჩუნე. დღემდე მსრისავს და გულს მიფლეთს ის ელდა, არაფერში რომ არ ეტევა. ხშირად ვიგვემავ თავს — ეგებ ჯობდა, სულაც არ გადავყროდი ცხოვრების გზაზე და თავისი ბედი უკეთ წარემართა-მეთქი, ნაადრევ სიკვდილს ასცდენოდა. მისი სიკეთე უნაპირო იყო, ადამიანურის საზღვარს სცილდებოდა და მალე დავწერ მცირე მოგონებას ბიძამისთან დაკავშირებულს, რათა მიახლოებით მაინც მიხვდნენ, როგორი ენით გამოუთქმელი სინმინდე დააბიჯებდა ამ ცოდვილ მინაზე.

ყველანი ვხედავდით და გვიხაროდა — ყმანვილობიდანვე სილამაზით, ვაჟკაცური აღნაგობითა და მიხრა-მოხრით გამორჩეული თამაზ ჩხენკელი სიცოცხლის ბოლომდე

წელგამართული ხარ-ირემივით ლაღად დააბიჯებდა. ლიტერატურის ინსტიტუტში აღარ მსახურობდა, მაგრამ ხანდახან გვაკითხავდა ხოლმე. ასეთი შემოვლისას კორიდორში ერთი ჩვენი საერთო მეგობარი შეხვედრია და დალაპარაკებია — ასაკი არ გეტყობა, მშვენივრად გამოიყურებიო, უთქვამს. იმას გაღიმებია — ჰო, გარეთა მხარეს, ფასადს არა უშავს, მაგრამ შიგნით რა ხდება არ ვიციო, დანალვლიანებულს ჩაულაპარაკებია.

თამაზმა არ იცოდა წუნწუნი, დაჩივლება, მაგრამ ბოლო ხანებში ის ავი სენი, სისხლის უმწვავესი დაავადება, თავისას აკეთებდა. ეს ჩანს ფრიდონ ხალვაშის მცირე დღიურიდან, რომელიც 2009 წლის 20 აგვისტოთა დათარიღებული. ფრიდონს ძმასავით უყვარდა იშვიათი სამეგობრო თამაზი და როცა თავის ბინაში, თამარაშვილზე, მცირე პურობა ჰქონდა, ყოველთვის ეპატიჟებოდა, ბევრჯერ გვიგემნია მისი დამზადებული უგემრიელესი ხაში. აი, იმ დღიურის რამდენიმე სტრიქონიც:

„თბილისი გასხვანაირებულია. წელან დავურეკე თამაზ ჩხენკელს. ვწვევარ, შეუძლოდ ვარო, აბა რომ გნახოთ დღეს მე და ემზარმა-მეთქი. ოჰ, კაი ძალიანო. ვერ წარმომიდგენია ჩხენკელი, თამაზი, ავადმყოფი. ის ხომ მუდამ ბიჭივით თვალწინ მოტრიალე, ზარფი, კოდალივით (ფრიდონი აქ ისარს გულისხმობს; აჭარასა და გურიაში მშვილდისარს ბზეკალ-კოდალს ეძახიან) დასასხლელად მომართულია. ჩინური ლექსი რომ საჩინოდ გადმოაჩვენებურა და, ფაქტიურად ქართულ ლექსს ახალი ხმა გამოაღებინა, ეს უნდა ითქვას — გეგონება ჩინელი ჩვენებურად წერდა“.

ფრიდონ ხალვაშის გამონათქვამი უმაღლესი შეფასებაა ოსტატობისა, მთარგმნელობით ხელოვნებაზე ჩვენი უგანათლებულესი ესთეტის, გერონტი ქიქოძის ცნობილ თვალსაზრისს რომ ემთხვევა.

მართლაც, იმ დღეს დამირეკა ფრიდონმა, თამაზ ჩხენკელი უნდა ვინახულოთ მე და შენ, გველოდებო. დავთქვით, 5 საათზე შევხვედრილიყავით თამარაშვილის ქუჩისა და ყაზბეგის გამზირის გადაკვეთაზე, მალაზიასთან, ფრიდონს სუპერ-მარკეტში დაფასოებული საჭმელები, რამდენიმე ბოთლი ღვინო და ხილი ეყიდა, პარკში ჩაენყო.

თამაზი ბავშვივით გაახარა ჩვენმა დანახვამ, ხელად გახალისდა, მისებურად დატრიალდა. სუფრა გავანყვეთ და ისე ალაპარაკდა, ავადობისა აღარაფერი ეტყობოდა. ფრი-

ემზარ კვიციანიშვილი. ახლოდან დანახული თამაზ ჩხენკელი

დონმა, როგორც იცოდა, ენაწყლიანად, მარიფათიანად ითამადა. პატარა საღვინე ჭიქებით სვამდა სადღეგრძელოებს და ის დაუფინყარი სალამო ტკბილად, ცოცხლები-სა და გარდაცვლილების მოფერებაში ჩაათავა. რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ ჩემს ორ უსაყვარლეს უფროს მეგობარს სიცოცხლის ერთი წელი ჰქონდა დარჩენილი და მათ თითქმის ერთდროულად, ერთმანეთის მიყოლებით დაკარგავდა საქართველო.

იმ სალამოს მერე თამაზს მე და მისი მეზობელი, ხილიანზევე მცხოვრები ლერი ჩანტლაძე, ხალასი იუმორის კაცი, ფილოსოფოსი და მწერალი (თუ მოინდომა, რიგან ლექსებსაც წერს) ვსტუმრობდით. დიდხანს ვისაუბრეთ. თითო ბოთლი ღვინოც დავლიეთ. ერთმანეთი ვადღეგრძელებთ, მოვიგონეთ ჩვენგან წასულები. სუფრიდან რომ ავდექით, უკან მხარეს გავედით, ვერეს ხეობას რომ გადაჰყურებს. უეცრად თამაზმა იატაკს დააშვირა თითი. მოგვიბრუნდა — ბიჭებო, სიკვდილს ვინ გაქცევია, მაგრამ არაფრით არ ვისურვებდი, კუბოში გაღებული, გამოფიტული ჩამასვენონ, აღნაგობა, ფორმა ბოლომდე მიინდა შევინარჩუნო. ჩვენ გაცეცხლებმა, შემკრთალებმა გადავხედეთ ერთმანეთს და შევეცადეთ გავგეშხევივინა, საუბრის თემა და კილო შეგვეცვალა. შეძლებისდაგვარად, კარგ გუნებაზე დავტოვეთ. ახლა რომ ვუკვირდები, ის სურვილი განგებამ შეუსრულა კაცობაშიც და შემოქმედებაშიც რჩეულს.

ბევრმა ჩვენგანმა იცის — უძველესი ქართული ანბანის წარმოშობას, ისტორიას, მის თავისებურებათა ახსნას თამაზ ჩხენკელმა მრავალი წელი შესწირა, უზარმაზარი ენერჯია შეაღია; გვახსოვს, როგორ ელოლიავებოდა თვითოეულ ასო-ნიშანს, რა სიყვარულით, სასოებით გამოჰყავდა, ხაზავდა, „კვადრატის ცხაურებში“ სვამდა. დიდ ყურადღებას უთმობდა ასოების რიცხვებთან მიმართებას. ძველ მოაზროვნეთა კვალბაზე, არცთუ უსაფუძვლოდ მიაჩნდა, რომ უკიდევანო სამყაროს შექმნა რიცხვებს, მათ თანაფარდობას ეფუძნებოდა. ერთ-ერთი ტელეგადაცემის დროს სტუდიაში მყოფთ განუცხადა — ახლა, როცა ვლაპარაკობთ, ჩვენი ბაგებიდან უთვალავი რაოდენობის რიცხვები იფრქვევაო. მის ნიგნზე დართულ მოზრდილ ანოტაციაში აღნიშნულია: „გამოქვეყნებულ აქვს არაერთი ნაშრომი ასომთავრული ანბანის გრაფიკულ და რიცხვულ ურთ-

იერთშესაბამისობაზე..“ ამ ხასიათის ნაშრომებმა საბოლოოდ, თავი მოიყარა ენციკლოპედიური ცოდნით აღბეჭდილ, გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე გამოცემულ (2009), მისი ცხოვრების უმთავრეს ნიგნში — „ლაზარე გამოვედ გარე“, რომელზეც როსტომ ჩხეიძემ დიდად კეთილგანწყობილი რეცენზია გამოაქვეყნა.

თამაზ ჩხენკელი აგრძელებდა ქართულ ასომთავრულზე ინტენსიურ, ნაყოფიერ მუშაობას („მომდევნო ნიგნში შევეცდებით ვიზუალური თვალსაჩინოებით ნათელვყოთ ის მთავარი, რაც ამ ნიგნშია გაცხადებული“), მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, აღარ დასცალდა, საკრალური მიზანი ბოლომდე განეხორციელებინა. მრავლისმთქმელი და დამაფიქრებელია ისიც, რომ ნიგნის ბოლოს საუკუნეთა სიღრმიდან გამოიხმო გენიალური ქართველი მოაზროვნე, უდიდესი მისტიკოსი, ვიზიონერი, თანამედროვეთგან „მეორე მოსედ“ და „ახალ პავლე“ შერაცხული პეტრე იბერი. ახლა ველარავინ იტყვის, სიბრძნის რა ფარულ, ძნელად მისადგომ ტალანტებში შეუძლვებოდა მისი გრძნეული აჩრდილი ულავი ცნობისნადილით ანთებულ ღირსეულ შთამომავალს. როგორც არაერთხელ მომხდარა, არაამქვეყნიური სიხარულის მომნიჭებელი, დიდი საიდუმლოს ამოხსნის დაუოკებელი ჟინი თამაზ ჩხენკელმა სამარეში ჩაიტანა.

ოქტომბრის თვეში თამაზი ცუდად რომ გამხდარიყო, ეს პირველად მისი უნივერსიტეტის უერთგულესი მეგობრისგან, თინა კობალაძისგან შევიტყვე. თინას იგი თავის დად თვლიდა და არც ცდებოდა. სიკეთით აღსავსე ღვთისმოსავი ადამიანია და ყველაფერს აკეთებს, განსვენებულის სახელი კიდევ მეტად რომ გაბრწყინდეს. თინამ სთხოვა ჩვენს ერთ-ერთ საუკეთესო მხატვარს, რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას სამყაროს ღრმად ჩამწვდომს ლევან ცუციქრიძეს, შეექმნა თამაზ ჩხენკელის გრაფიკული პორტრეტი. მან ეს ისეთი სამაგალითო ოსტატობით გააკეთა, იმგვარი სკულპტურული გამოკვეთილობა და შინაგანი ძალა მიანიჭა ნამუშევარს, თამაზს თავის სიცოცხლეში რომ ენახა ეს პორტრეტი, უთუოდ აღტაცებული დარჩებოდა.

იმ დღეს შემფოთებულმა დავრეკე სოლოლაკის ბინაზე. ყურმილი მეუღლემ, ლილიმ აიღო. მღელვარება არ ეტყობოდა. საავადმყოფოში გვეწვა, ახლა უკეთაა და შინ

არისო. დავურეკე მის ბინაში, ხილიანზე. ძველებურად რიხიანი ხმა ჰქონდა, მხნედ იყო, მიმკურნალეს, ახლა არა მიშავსო. გამეხარდა. გადავწყვიტე მალე მენახა. რატომღაც ჩემს უმცროს მეგობარზე, მაკა გოგუაძეზე მკითხა, როგორ არის, რას აკეთებსო. ვუპასუხე, ახალ მოთხრობაზე მუშაობს, როცა დაამთავრებს, წაგაკითხებს, ხშირად გახსენებს-მეთქი. ესიამოვნა. თამაზი მაკას რომანის („ერზაცი ისევ ხუმრობს“) ერთ-ერთი, ფრიად მიმზიდველი და დასამახსოვრებელი გმირის პროტოტიპი იყო. გულისყურით წაიკითხა ის რომანი, ადგილებიც მონიშნული ჰქონდა. მითხრა, აქ ზოგიერთ ეპიზოდში ისეთი უღრმესი პლასტები და ხვეულებია, ინდურ ფილოსოფიისა და რელიგიის ჩემუელი ცოდნა არ ეყოფაო. მაინც აპირებდა თავისი აზრი დაენერა, მაგრამ არ დასცალდა. მასთან ტელეფონით ლაპარაკიც უკანასკნელი იყო. ის გამოკეთებაც, სამწუხაროდ, მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. მისმა სათაყვანებელმა, სასახელო ქალიშვილებმა მაშინვე სოლოლაკში, თავის ძველ სახლში გადაიყვანეს, მაგრამ გონება დაუკარგავს და მალევე გარდაიცვალა. თავზარი დამცა ამ ამბავმა. მისი უებრო გარეგნობა და სახე ნაწილობრივ რომ წარმოემჩინა, აგზნებულმა, ნაუცბათევად დავწერე ლექსი „ადონისის დაღუპვა“, რომელსაც თარიღად 2010 წლის 11 ნოემბერი უზის; იგი ჩემს წიგნშიაც („შემოდგომის ხიზანი“) არის შეტანილი.

დიდუბის პანთეონიდან წამოსვლის შემდეგ, სადაც გალავნის ახლოს დავკრძაღეთ, თავისთავად, ძალდაუტანებლად დაიწერა ორსტროფიანი „გლოვის წუთები“, ჩემს იმდღევანდელ მძიმე განწყობილებას რომ გამოხატავს:

*ლალ და სწორო, მოესწარ რა დღეს,
ვიხილე შენი შავი ნერტილი...
გათხრილ სამარის კიდეზე დადგეს —
ის შენი ნავი, გადაფერდილი.*

*ცა თუმცა დაძრულს ბოჭავდა ავდარს,
სანვიმარ ღრუბლის ფერი დაგედვა;
მზის დაბნელებას,
დამალვას გავდა —
მინის ორმოში შენი ჩაკეტვა.*

უცნაური კია, ნოემბერში მოვევლინა ამ ძნელად შესაღწევ, უთვალავი სასწაულით დაქარაგმებულ წუთისოფელს და ნოემბერშივე განეშორა, სამუდამოდ შეიკრა

სიკვდილ-სიცოცხლის ამოუხსნელი წრე.

ახლობელთა გარდაცვალება ყოველთვის მძიმე დაღს მამჩნევს. ამჟამადაც არ დამიზოგავს თავი. რამდენიმე თვეში დავწერე მოზრდილი წერილი თამაზ ჩხენკელის მეტად თავისებურ პოეზიაზე, მის განუზომელ მთარგმნელობით ღვაწლზე, შევადგინე რჩეული ლირიკა — „100 ლექსი“, რომელიც „ინტელექტმა“ გამოსცა, მაგრამ არ მიფიქრია, რომ მისი წმინდა ხსოვნის წინაშე სრულიად მოვიხადე ვალი. გადავწყვიტე, მის განუმეორებელ პიროვნებასა და მასთან ერთად გატარებულ წლებზეც მეტქვა ზოგი რამ, წარსული გამეცოცხლებინა. ამ განზრახვის ანარეკლია სახელდახელოდ ჩაწერილი ოთხი სტრიქონი („ველარ დავაყენე საშველი“), საყვედური ჩემი თავისადმი, საიდანაც ჩანს, რა ხშირად იყო ჩემი წუხილის საგანი ესოდენ ძვირფასი, მონატრებული ადამიანი:

*ბოლო ხანებში ვისზეც ვფიქრობ,
ვინც საზრუნავი დამასია,
ვისი სახეც მსურს გავაცოცხლო —
ჩხენკელი, ჩემი თამაზია.*

მისი გარდაცვალებიდან მეოთხე წელი გადის და, როგორც იქნა, გულში ამოჭრილს ვასრულებ. თანმიმდევრობა ყოველთვის ვერ არის დაცული, მაგრამ ასეთი მოგონებების წერისას ეს დიდ ცოდვად არ უნდა ჩაითვალოს. მთავარია, რომ განზრახული ერთ მიზანს ემსახურება, ერთი პიროვნების ირგვლივ იყრის თავს, მეტნაკლებად მთლიანი, მართალი სურათი იხატება, ყალბი და მოგონილი აქ არაფერია.

ზედმეტად მიმაჩნია თქმა იმისა თუ იმ ავად გასახსენებელ დღეს, თამაზ ჩხენკელის ცხედართან გამოთხოვების ჟამს რა გულმოკლულები იყვნენ მისი ახლო მეგობრები — ჭაბუა ამირეჯიბი, ელგუჯა და მერაბ ბერძენიშვილები, ლანა ლოლობერიძე, ზაირა არსენიშვილი, ზურაბ ნიჭარაძე, გოგი ოჩიაური, შალვა კვინტრაძე, ნოდარ ცერცვაძე, გურამ ბარნოვი, დიტო წვერავა, რამაზ პატარაძე, ნოდარ ებრაღიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვახტანგ ჯავახიძე, ზურაბ კიკნაძე, მანანა გიგინეიშვილი, გივი შაჰნაზარი, ბაჩანა ბრეგვაძე, გურამ გოგიაშვილი, დათო წერედიანი, თორნიკე კოპალიეშვილი, თამაზ ნივნივაძე, ვიქტორ რცხილაძე, გურამ ბენაშვილი, თეიმურაზ დოიაშვილი, ლევან ბრეგვაძე, თამაზ ტყემალაძე, გია ალიბეგაშვილი, როსტომ ჩხეიძე, ანდრო ბელუკაძე, უჩა შე-

ემზარ კვიციანიშვილი. ახლოდღან დანახსული თამაზ ჩხენკელი

რაზადიშვილი, ანდრო ბუაჩიძე, თამაზ ვას-საძე და სხვები.

გლოვის დღეებში ბევრმა გამოხატა ღრმა სინანული, მწუხარება ამ უკეთილშობილესი, რაინდული ბუნების ადამიანისა და ვალ-მოხდელი დიდი მამულიშვილის გარ-დაცვალების გამო, ვისი ნეშტიც დიდუბის წმინდა მიწას მივაბარეთ. განსაკუთრებულად დამამახსოვრდა ჩვენი ნიჭიერი ლიტერ-ატორის, თამაზ ჩხენკელის უმცროსი მეგობრის ივანე ამირხანაშვილის მცირე, მაგრამ მრავლისდამტევი გამოსათხოვარი, რომლის პირველსავე ნაღვლიან, პოეტურ, გონივრულად ჩამოქნილ აბზაცს უყოყმანოდ უნდა დავეთანხმეთ:

„აღარ არის დრო, როცა თამაზ ჩხენკელი ჩვენთან იყო. მთელი ეპოქა, მთელი თაობის გამოცდილება იგულისხმება ამ დროში, რომელიც იმითაც არის უნიკალური, რომ გამეორებას არ ექვემდებარება“.

* * *

დაბოლოს, არ შემიძლია მოკლედ, ზედა-პირულად მაინც არ ვთქვა თამაზ ჩხენკელის მიერ თარგმნილი პუბლიცისტური ნერილები კრებულზე („თვალსაწიერი“, 2013), რომელიც მისი გარჯის ნახევარ საუკუნეს მოიცავს და რომლის გამოცემა თვით მან სიცოცხლეში ვერ მოახერხა. ხინჯად დარჩენილი ეს სურვილი განსვენებულის ანდერძივით ჟღერდა და ფრიად სასიამოვნოა, რომ მისი გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ, თამაზის ქალიშვილების ძალისხმევით, ესოდენ საჭირო კრებულმა მზის სინათლე იხილა (ისინი მადლობას უხდებიან „თიბისი ბანკს“) თანადგომისა და „წიგნის გამოცემაში განეული დახმარებისთვის“).

უბრალო გადათვალთვლება კმარა დარწმუნდეს, რომ აქ წარმოდგენილი ნააზრევი ძირითადად უტრიალებს ყველა დროის უპირველეს და ურთულეს პრობლემას — ადამიანსა და მის რაობას, ამ საკვირველი არსების ადგილსა და მნიშვნელობას თვალუწვდენელ, იდუმალებით აღსავსე სამყაროში.

მკითხველს სწორ გეზს აძლევს თამაზ ჩხენკელის სიყრმის მეგობრისა და გამოჩენილი სწავლულის ზურაბ კიკნაძის მცირე, საქმიანი წინათქმა, რომლის პირველივე აბზაცი ანოტაციის მაგივრობას სწევს და ამდენად, აქვე მინდა მოვიხმო:

„სტატიების წინამდებარე კრებული საკმაო სისრულით გამოხატავს თამაზ ჩხენკელის — პოეტის, მთარგმნელის, ესეისტის, ქართული ლიტერატურისა და კულტურის

მკვლევარის მრავალფეროვან ინტერესებს. ეს ნერილები თარგმნილია მოცალეობის ჟამს, ინტენსიური ფიქრისა და შემოქმედების შუალედებში და, შეიძლება ითქვას, ერთგვარად მისი სულის გამოძახილია. რამდენად შორსაც უნდა ყოფილიყო მისი უშუალო პროფესიული და შემოქმედებითი ინტერესებისგან, ვთქვათ, თანამედროვე ფიზიკის პრობლემები, აქაც მისი სინდისი და მაძიებელი გონება ჰპოვებდა სულიერ-ინტელექტუალ საკვებს: ცოდნა არა ცოდნისთვის; ცნობისმოყვარეობა არა ცნობისმოყვარეობისთვის, არამედ ისე და ისე ყოფიერებაში არსებითის წვდომისთვის“.

„თვალსაწიერში“ შემავალი ყოველი ნერილი მნიშვნელოვანია, მაგრამ საჭურნალო მასალის განსაზღვრული მოცულობის გამო, მკაცრად შერჩევის პრინციპს უნდა დავადგე.

მოსალოდნელი იყო, რომ სახელგანთქმული ინგლისელი ლიტერატურათმცოდნის მორის ბოურას (1898-1971) რუსთაველოლოგიური გამოკვლევა („ვეფხისტყაოსანი“) თამაზ ჩხენკელის ყურადღების მიღმა არ დარჩებოდა და მანაც, ნოდარ ებრაღიძესთან ერთად, დიდი შთაგონებით თარგმნა კიდეც ეს მრავალმხრივ ანგარიშგასანევი და ფუძემდებლური ნაშრომი, რომლის საერთაშორისო აღიარების წარმოსაჩენად გურამ ასათიანის ზოგადი, მაგრამ უდავო ჭეშმარიტების შემცველი თვალსაზრისი დაიმონმა: „მართალია, მისი გამოკვლევა ძირითადად პოპულარული მანერით არის დამონმებული, მაგრამ ამ ნაშრომში იმდენი ზუსტი დაკვირვებაა მიმოხეული, რომ რუსთაველოლოგიის წინაშე აქ თითქოს თვალნათლივი იშლება ზოგიერთი ახალი პრესპექტივა“.

გიკვირს, ქართული ენის არმცოდნე სწავლული ვინც ზედმინევნით იცნობდა ძველი და შუა საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურას, ასე ღრმად როგორ ჩასწვდა რუსთაველის გენიას და მიუკერძოებლად აღნიშნა მისი აშკარა უპირატესობა პოეზიის სხვა ტიტანთა წინაშე. აქ მხოლოდ ერთ ნაწყვეტს მოვიხმობ ბორუას ნაშრომიდან, რომელიც ბიძგს გვაძლევს ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნები გამოვიტანოთ:

„ვეფხისტყაოსანი“ ისეთი ქართული ნაწარმოებია, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთსაც ერთნაირად გასცქერის და მაინც იგი წმინდა ეროვნული ხასიათისაა. იდეალური სიყვარულის კულტი ყველაზე მეტად იყო აკლიმატიზებული საქართველოში და განსაკუთრებულ გმირულ პერსპექტი-

ვას შეესაბამებოდა. ამ ნაწარმოების მთელი სისტემა გულდასმით და თანმიმდევრულობით არის დამუშავებული, მაგრამ თუმცა რუსთაველის ნათქვამი ყოველთვის ნათელია, მისი შეხედულებანი იმდენად დამორებულია თანადროულობას, რომ მათი მთლიანობაში აღქმა ჭირს კიდეც. რა თქმა უნდა, იმავე პრობლემას ვხვდებით ჩვენ პროვანსულ პოეტებსა და დანტესთანაც კი, მაგრამ რუსთაველთან ეს პრობლემა უფრო ემფატიკურად დაისმის, რამდენადაც მისი ფილოსოფია მჭიდროდაა დაკავშირებული მოქმედებასთან. ეჭვი არ არის, რომ მისი წარმოსახვის სამყარო საკუთარ გამოცდილებას ემყარება“.

მორის ბორუას ნაშრომის ნაკითხვის შემდეგ დამენანა, რომ თამაზ ჩხენკელს უთარგმნელი დარჩა დიდი ესპანელი ფილოსოფოსის ორტეგა-ი-გასეტის (იგი საუცხოო სტილისტიც გახლავთ) „სიყვარულის ეტიუდებიდან“ ერთ-ერთი, რომელიც ეძღვნება ქალის კულტს მეთოთხმეტე საუკუნის გამოჩენილ ფრანგ პოეტთა შემოქმედებაში, რათა ცხადი გამხდარიყო, რამდენად უფრო ნატიფი და სრულყოფილია (დროში გასწორებაზე არას ვამბობთ) იგივე კულტი საქართველოში.

ადვილი წარმოსადგენია, როგორ დაწყებოდა თამაზ ჩხენკელს გული, რადგან მის სიცოცხლეში გამოქვეყნებულ მორის ბორუას გამოკვლევას არ ახლდა მთარგმნელთა გვარი (ის კი აღნიშნული იყო, რომ ტექსტი ინგლისურ დედანთან ალექსანდრე გამყრელიძემ შეადარა). აღნიშნული ბროშურა თამაზს ჩვენი თავგადაკლული მნიგნობრის, უფართოესი განათლების ლიტერატორის, საუკეთესო ბიოგრაფიული რომანების განსაცვიფრებლად ნაყოფიერი ავტორის როსტომ ჩხეიძის ხელში ენახა და გაკვირვებული იყო, რომ მისი და ნოდარ ებრაღიძის ანუ მთარგმნელთა ვინაობა ანონიმურად დაეტოვებინათ. როსტომს მამინვე ურჩევია, რაიმე დაენერა ამ უხერხული გაუგებრობის გასაფანტავად, მაგრამ თამაზს იმხანად (2003) დაზარებია, მალე ჩემი კრებული გამოვა და ყველაფერს ნათელი მოეფინებაო. მერე კი უნანია, როსტომ ჩხეიძეს რატომ თავის დროზე არ დავუჯერეო და სიმართლის დასადგენად საგანგებო განმარტება დაუნერია — „უცნობი მთარგმნელები“, რომელიც, გამონაკლისის სახით, „თვალსანიერშია“ შეტანილი.

ამავე განმარტებაში მეორე, არანაკლებ საჩოთირო კურობაზეც არის მითითებული.

თამაზ ჩხენკელს კვლავ ნოდარ ებრაღიძე შეუამხანაგებია და უთარგმნია ჩვენი დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის მხატვრის სერგო ქობულაძის უღრმესი, საეტაპო გამოკვლევა „ანტიკური და შუა საუკუნეების ძეგლთა კომპოზიციური აგების შესახებ“.

ეს ნაშრომი (იგი ამშვენებს და ღირსებას მატებს „თვალსანიერს“) ავტორს რუსულად ჰქონდა დაწერილი და მისი ქართულად თარგმნა მიანდო თამაზ ჩხენკელს, ვინაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ტექსტის უჩვეულო სირთულის გამო, დაიხმარა სიყრმის მეგობარი, უზადო მექართულე ნოდარ ებრაღიძე და მათ, ერთობლივი მონადინებით, თავი გაართვეს ესოდენ ძნელ ამოცანას, წიგნად გამოცემისას, როგორც ჩანს, უხერხულად მიიჩნიეს აღენიშნათ, რომ გამოკვლევა რუსულიდან იყო თარგმნილი, მაგრამ, საბოლოოდ, ეს უნდა გაცხადებულიყო, რაც კიდეცაა გაკეთდა.

ნაშრომზე დართულ მოკლე ანოტაციაში ნათლად არის ნათქვამი: „მცხეთის ჯვრის ტაძრის არქიტექტურის შესწავლისას მხატვარმა მიაკვლია მარადიული პროპორციების ოქროს კვეთს და ფარგლისა და გრაფიკული ანალიზის საშუალებით ამოხსნა საიდუმლო“.

კონკრეტულ ძეგლში გეომეტრიული სისტემის აღმოჩენამ თვით მხატვარს უფლება მისცა განეცხადებინა, რომ ეს მოვლენა „გადამწყვეტი აღმოჩნდა მცხეთის ჯვრის არქიტექტურის ასიმეტრიის მიზეზთა განსასაზღვრელად... ეს მიზეზები ჯერჯერობით უპრეცედენტოა“.

ჯვრის ხუროთმოძღვარმა, „არიომეტრიკული სიმეტრიისგან“ განსხვავებით, ბევრად რთული და შემოქმედებით ინტუიციაზე დამყარებული „გეომეტრიული სიმეტრია“ გამოიყენა. ამან მეტი გასაქანი მისცა ოსტატს, რითაც უძველესი ანტიკური ძეგლების ტრადიცია აალორძინა.

სერგო ქობულაძის უნიკალური ნაშრომი საგანგებო, გულმოდგინე დაკვირვებას მოითხოვს, მაგრამ ჩემნაირი დილეთანტი ამას ვერ შესძლებს და, ამდენად, მხოლოდ რამდენიმე, მეტად მნიშვნელოვანი ამონარიდის მოტანას დავჯერდები.

„... კაცი ოსტატი ხდებოდა მაშინ, როცა მისი ხელოვნება ნიჭის ძალითა და შემოქმედებითი ინტუიციის მეშვეობით ოსტატობად გარდაიქმნებოდა, რაც ხელოვნების ექვივალენტურია“.

„... წარმართული რელიგიურ-მაგიური ცნებები და ტრადიციები, კერძოდ გეომე-

ტრიაში, ტრანსფორმირებული სახით შეითვისა ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ. ისინი წინარე ელინისტური ხანის ბერძენი ოსტატების ნიმუშთა მიხედვით საფუძვლად დაედვენ პროპორციულ აგებათა სისტემის აღორძინებას.“

სერგო ქობულაძე შეუწყნარებელ გაუგებრობად მიიჩნევს იმ მავნე ტენდენციას, როცა ცდილობენ, ძველი ქართული ხელოვნება ბერძნულ და ბიზანტიურ ხელოვნებას ჩამოაშორონ. სწორედ ამის გამო, ურყევი რწმენით, შინაგანი სიმართლით აღსავსე დიდი შემოქმედი დაბეჯითებით წერს:

„...ძველ დროში „გეომეტრიული სიმეტრიის“ უკანასკნელ ბურჯს ხმელთაშუა ზღვის კულტურის არეალში შუა საუკუნეებში მომძლავრებული ქრისტიანობა წარმოადგენდა, კერძოდ, ქართული არქიტექტურა და სახვითი ხელოვნება, რასაც გვიდასტურებს მცხეთის ჯვრის არქიტექტურისა და ატენის სიონის ფრესკების ანალიზი. უეჭველია, რომ მსგავს სისტემას ამჟღავნებენ ქართული ქანდაკება და ჭედური ხელოვნებაც“.

წინამდებარე ნაშრომში ჩანს ხელოვნების სხვადასხვა დარგების კოლოსალური ცოდნა, სპეციალისტების სამეცნიერო ნაშრომთა მიუკერძოებელი კრიტიკული ანალიზი, ჭეშმარიტების მიგნების იშვიათი უნარი. დღემდე სანანებლად დამრჩა, რომ თვით წიგნი (სერგო ქობულაძე, ოქროს კვეთა, საქინფორმკინო, ვლ. კანდელაკის ფონდი, 1998) ვერ მოვიპოვე.

გასახარებელია, რომ თამაზ ჩხენკელმა, უმაღლესი რანგის პროფესიონალმა, წინამდებარე კრებულისთვის საგანგებოდ თარგმნა ბიბლიის საფუძვლიანი მცოდნის, თარგმანის უთვალსაჩინოესი თეორეტიკოსის იუჯინ ნაიდას (1914-2011) ნაშრომი „თარგმნის ხელოვნებისათვის“.

აქ არ არის განხილული კონკრეტული ტექსტები, მაგრამ დასახელებულია ცალკეული, ერთმანეთისგან ხანგრძლივი დროით დაშორებული ეპოქები და მწერლები, ხოლო განმაზოგადებელი დასკვნები რომ დიდძალ თარგმნელ მასალას ემყარება (პოეტურსა და პროზაულს), ამაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს.

ნაიდას მრავლად მოაქვს სხვადასხვა ავტორთა თვალსაზრისები თარგმანის ნაირგვარ ხერხებსა და პრინციპებზე, მაგრამ თავის შეხედულებებსაც ღიად, პირუთვნელად გამოთქვამს. აღსანიშნავია, რომ მისთვის მთავარია „სიძნელეთა მიუხედავად“ მიღწეული „თარგმანის სტილის სილაღე და

ბუნებრიობა“, რასაც თვით თამაზ ჩხენკელი ყველაზე სწორ გეზად თვლიდა და მთელი ცხოვრების მანძილზე ესწრაფოდა.

იუჯინ ნაიდას პიროვნების სიღრმესა და მასშტაბზე, ურთულესი პრობლემისადმი ყოველგვარი დოგმატიზმისგან თავისუფალ მიდგომაზე წარმოდგენა რომ შეგვექმნას, მისი ტრაქტატიდან ორიოდე ამონარიდი მაინც უნდა გავიხსენოთ. თავდაპირველად დავაკვირდეთ ცნობილი შეხედულების მწყობრ, ლოგიკურ მდინარებას, რომელსაც უდავო პოსტულატის იერი აქვს:

„სწორი თარგმნის თითქმის იმდენივე განსაზღვრება არსებობს, რამდენი ავტორიც არის ამ საგნის განსჯით დაკავებული, და ეს მეტად თუ ნაკლებად გასაგებია, რადგან ითარგმნება სრულიად განსხვავებული მასალა, და ამასთანავე, ამა თუ იმ თარგმანის გამოქვეყნება განსხვავებულ მიზანს და მკითხველთა სავსებით განსხვავებულ საჭიროებას ითვალისწინებს. გარდა ამისა, ცოცხალი ენები გამუდმებით იცვლება, ხოლო სტილისტური არჩევანის სფერო მუდმივ მოდიფიცირებას განიცდის. ამიტომ რომელიღაც გარკვეულ ისტორიულ პერიოდში ვარგისად მიჩნეული თარგმანი შესაძლოა სრულიად მიუღებლად მიიჩნიონ სხვა დროს“ (140).

ახლა შედარებით მოზრდილ, მრავალი კუთხით პრაქტიკულად გამოსადეგ ნაკვეთსაც ამოვიწერ, სადაც პოეზიისა და პროზის თვისობრივი შეპირისპირების ფონზე არაერთი თამამი დასკვნა და სარწმუნო ვარაუდი გამოთქმული:

„უნდა ვაღიაროთ, რომ პოეზიის თარგმნისას სრულიად სპეციფიკური პრობლემები აღიძრება... პოეზიის თარგმნა, უეჭველად, უფრო დიდ ცვლილებებს მოითხოვს ფორმისას, ვიდრე პროზის თარგმნა, რადგან რიტმული ნაწარმოებები უფრო რადიკალურად განსხვავდებიან ფორმისა და ესთეტიკური აღქმის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ, საჭირო ხდება ერთი რიტმული მოდელის მეორეთი შეცვლა... პოეზიაში, ჩვეულებრივ, ფორმალურ ელემენტებს აშკარად მეტი ყურადღება ეთმობა, ვიდრე პროზაში. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ლექსის თარგმნისას შინაარსი აუცილებლად მსხვერპლად ეწირება ფორმას, მაგრამ ეს შინაარსი გარკვეულ ფორმის მიერ მარწმუნებშია მოქცეული. თარგმანში შინაარსისა და ფორმის თანაბარი სიძლიერით განხორციელება იშვიათად თუ აღწევს მიზანს და ამიტომ უფრო ხშირად შინაარსს ეწირება ფორმა. მეორე

მხრივ, პროზად თარგმნილი ლირიკული ლექსი აღარ წარმოადგენს ორიგინალის ადექვატურ ეკვივალენტს. ასეთი თარგმანი თუმცაღა გადმოგვცემს ცნებით შინაარსს, მაგრამ მასში არ იგრძნობა ორიგინალის ემოციური დამუხტულობა და სურნელი. ამავე დროს პოეზიის ზოგიერთი სახეობის პროზად თარგმნის აუცილებლობა, შესაძლოა, ნაკარნახევი იყოს მნიშვნელოვანი კულტურული თვალთახედვით. მაგალითად, ინგლისური პოეტური ფორმით გადმოღებული ჰომეროსის ეპიკური პოეზია უცნაურად და მოძველებულად გამოიყურება — მასში ნატამალიც არ არის ჰომეროსის სტილისათვის დამახასიათებელი სიციცხლისა და სპონტანურობისა. ასეთნაირი აღქმის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ჩვენ მიჩვეულნი არა ვართ სიუჟეტური ამბების პოეტური ფორმით თხრობას. დასავლეთეუროპულ კულტურაში ასეთი ეპიკური ტილოები პროზის მემკვიდრეობით იშლება ხოლმე. სწორედ ამიტომ ე.ვ. რიუმ „ილიადასა“ და „ოდისეას“ თარგმნისას თხრობის არა პოეტური, არამედ პროზაული საშუალებანი აირჩია“ (141-142).

ბოლო თვალსაზრისიდან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ამ გზას დაადგა თამაზ ჩხენკელი, როდესაც ზურაბ კიკნაძესთან ერთად, ჰომეროსის „ოდისეა“ პროზაულად და საკმაოდ წარმატებითაც თარგმნა. ამ მხრივ, ზედმეტი არ იქნება, ძველი ქართული მწერლობიდან გურგანის „ვისრამიანის“ გენიალური პროზაული თარგმანი დავასახელოთ.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ „თვალსანიერში“ უმთავრესია ადამიანურობის პრობლემა და ამის უპირველეს დასტურად გვესახება გამოჩენილი იუდაისტი თეოლოგის აბრაამ ჰეშელის (1907-1972) კაცთმოყვარული სულისკვეთებითა და სულისშემძვრელი განგაშით აღსავსე ნააზრევი „ვინ არის ადამიანი?“ აქ დაუფარავად არის წარმოჩენილი სიციცხლის გვირგვინად მიჩნეული არსების საშიში, წინააღმდეგობრივი ბუნება, რაც ერთსა და იმავე დროს მღელვარე გაფრთხილებაცაა და ლოცვასავით აღვლენილი მხურვალე ჰიმნიც. ამას ყველაზე ძალმოსილად, გამოკვეთილად თარგმანის ბოლო სამი დასკვნითი აბზაცი გვამცნობს და შთაბეჭდილება რომ არ შენეღდეს, მიყოლებით მოვიტანთ:

„ადამიანი უდიდესი ძლიერებით არის მორჭმული და ეს ცოცხლად არსებათაგან მას პოეტენციურად ყველაზე საშიშ და ავბედით არსებად ხდის. მას ხშირად უღვივის

გულში ბოროტი საქმეების ჩადენის სურვილი, რომელთა ალაგმვა მხოლოდ ღვთისადმი შიშის გრძნობას შეუძლია. ხშირად განიცდის იგი შურსა და ღვარძლს, რომელთა დაცხრომა მხოლოდ სინმინდისაკენ ლტოლვას შეუძლია.

თუკი ადამიანი მეტი არ არის, ვიდრე ადამიანი, მაშინ იგი ნაკლებია, ვიდრე ადამიანი. ადამიანი მხოლოდ ხანმოკლე გარდამავალი სტადიაა ცხოველურ და სულიერ საწყისებს შორის. იგი მერყევ მდგომარეობაშია: ხან ცად აიჭრება, ხანაც მიწაზე ენარცხება. კაცობრიობა არ არსებობს მერყეობის გარეშე. სავსებით თავისუფალი კაცი ჯერ არ მოვლენილა დედამიწაზე.

ადამიანი უფრო დიდია, ვიდრე მას ეჩვენება, თუნდაც რომ მისი გონება დასაზღვრულია და ნებისყოფას ძალუძს წარმართოს იგი ბოროტისაკენ. მიუხედავად ამისა, ადამიანი უზეშთაესთან ისეთი კავშირითაა დაკავშირებული, რომლის დარღვევა მას აღარ ძალუძს და ეს კავშირია აზრი მისი ცხოვრებისა, იგია კვანძი, რომელშიაც განასკვულია ქვეყნიერიცა და ზეციერიც“ (70-71).

ძალზე მესიამოვნა, რომ „თვალსანიერში“ კუთვნილი ადგილი უკავია გამჭვირვალე, უნატიფესი სტილის შვედ მწერალს, ნობელის პრემიის უღირსეულეს ლაურეატს პერ ლაგერკვისტს (1891-1974), ვისი საუკეთესო ესეიც „თავისუფალი ადამიანი“ ღვთიური შთაგონებითა და სიციცხლის უსაზღვრო სიყვარულითაა დაწერილი. ნაკითხული მაქვს მისი მოგვიანებით გამოქვეყნებული დღიურები და სრულებით არ გამკვირვებია, იგი შეუპოვრად რომ ებრძოდა საბჭოთა იმპერიის სულისშემბუთველ აგრესიას, საერთოდ, ტოტალიტარიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, რაც ადამიანის თავისუფლებას თრგუნავს.

თამაზ ჩხენკელმა ხსენებული ესეის მხოლოდ ნაწყვეტები თარგმნა, თუმცა მცირედშიც გამოჩნდა ლაგერკვისტის განუმეორებელი პოეტური მსოფლალქმა, გაუტყეხელი ხასიათი. საამისოდ რამდენიმე ნაწყვეტის ამონერაც იკმარებდა: „ხეს ასახიჩრებენ, ზოგჯერ მას მეხი ეცემა, ზრო ეგრახება, ვარჯი უმჭლევედება, ინვება. მაგრამ დროთა უსასრულო დინებაში ხე მაინც ხარობს და იზრდება. ტანს იყრის და მშვენდება. არაფერს ძალუძს მისი შეჩერება. მისი ბედისწერაც ეგ არის — უნდა გადალახოს დაბრკოლებანი.

...არ არსებობს დაღუპვა, არ არსებობს

სიკვდილი, არ არსებობს მერყობა და სიძაბუნე დამარცხების შემდეგ. არსებობს მხოლოდ ძალთა გამუდმებული აღორძინება, მხოლოდ უსასრულოდ განმეორებადი, უსასრულოდ განახლებადი ქმნილება. მხოლოდ რწმენა და სიხარული არსებობის ქმნილების პირველი, დასაბამიერი დღისა.

... დღემუდამ, როგორც კი სიცოცხლე ახლად დაიბადება, დღემუდამ, როგორც კი გაარღვევს იგი თესლის გარსს, ქმედით ძალთა მეოხებით ბეჭედი აიხსნება, გაცხადდება საიდუმლო და ხორცს შეისხამს სწრაფვა გამარჯვებისა.

ადამიანი გამარჯვების მარადი სწრაფვაა!

ამ დაუოკებელი წყურვილისა და დაუსაზღვრავი რწმენის გარეშე ქვეყნად არსებობა შეუძლებელია. პერ ლაგერკვისტს, დიდი დავით გურამიშვილის მსგავსად, შეგრძნობილი და გაშინაგნებული ჰქონდა ამ ჭრელი, ნიადაგ მბრუნავი სანუთროს „ორგემაგე“ ბუნება.


მე მცირეზე მცირე ვთქვი ამ საუცხოო, ულამაზეს თაიგულად შეკრული წიგნის უეჭველ ღირსებებზე. სხვები, იმედია უფრო სრულიად და უკეთ იტყვიან.

შავი ხაზებით დანიშნული, ბივრიტისფერი (თამაზს უყვარდა გაზაფხულის მინდ-

ვრების ხასხასა მოლი) ყდის გადანაკეცზე ერთი — უკანასკნელი, უალრესად შთამბეჭდავი ფოტოა; მოლუშული, დაღვრემილი იყურება (ბოლო ათეული წლების საქართველოს შემხედვარეს რა ექნებოდა გასახარელი), საშემოდგომო შავი სამოსი აცვია, უცნაური, ბერეტის მსგავსი ქუდი ხურავს, რომელზედაც ორგან თითბერის ნიშნები ბრწყინავს. მახსოვს, ამ ფოტოს გამო ვუთხარი (უწყინარი ხუმრობა არასოდეს აღიზიანებდა) — შავი ზღვის გაუქმებული ფლოტის ადმირალს გავხარ-მეთქი. გაელიმა. ფოტოს ქვემოთ, იმავე გადანაკეცზე, მისი ხელით გამოყვანილი საკრალური სიტყვებია თეთრად ამოტვიფრული. სულითა და სხეულით ჯანსაღს, თავისი ქართული სისხლით უკიდურესობამდე ამაყს, შეეძლო ასე თამამად ეთქვა: „ჩემს ცხოვრებისეულ პრინციპს განასახიერებს დევიზი, რომელიც „შევარდენელთა“ მისალმებას წარმოადგენს: „ვგუშავებ ერს მარად!“

დარწმუნებული, გულდაჯერებული ვარ, დიდუბის პანთეონის ზღუდესთან, დაბალ, ნაცრისფერ მწუხარე კედელთან დამარხული, იგი ახლაც თავის საფიცარ მამულს გუშავობს.





მაია ჯალიაშვილი

სუნთქვა მარადისობისა

აკაკი მინდიაშვილის წიგნზე „მე ვარ იესო, რომელსაც მღევნი“

სულიერება, სიბრძნე და სიყვარული ის საყრდენებია, რომლებიც ქმნიან აკაკი მინდიაშვილის, თანამედროვე თეოლოგისა და ლიტერატორის, წიგნების მრავალფეროვან სამყაროს. ჩვენი დროის ცივილიზაციის თავბრუდამხვევ რიტმში ჩართულ ადამიანს, მატერიალურ ღირებულებებზე მიჯაჭვულს, ხანდახან ზეცისკენ, ღვთიური გზა-კვალის შესამეცნებლად უბიძგებს მტანჯველი განცდა საკუთარი არსებობის მიზნის გაურკვევლობისა, მაშინ იღვიძებს იდუმალი მონატრება შორეულისა, რომელიც მას ტკივილთან ერთად ჩუმ სიხარულადაც ჩაეღვრება გულში, რომ მარტო და მიტოვებული არ არის ათასგვარი საცდურით სავსე ქვეყნიერებაზე, რომ ვარსკვლავები „მარადისობის ჭუჭრუტანებია“, როგორც ნიკო სამადაშვილი იტყოდა, რომ გონებისთვის მიუწვდომელი კანონზომიერების შემოქმედი ქმნის სიცოცხლეს და დრო-სივრცის უსასრულობის მომცველი „მზიანი ღამე“ მის არსებობასაც უკვდავების წყურვილითა და იმედით ავსებს.

ვინა ვარ? სად ვარ? საიდან მოვდივარ და საით მივდივარ? ეს ის თანამდევნი კითხვებია, რომლებზე პასუხის ძიებასაც შეიძლება მთელი სიცოცხლე შეაღწიოს და მაინც ვერ იპოვოს. აკაკი მინდიაშვილის წიგნები კი მკითხველს ეხმარება ამ კითხვების ლაბირინთიდან თავდაღწევასა და სწორი გზის პოვნაში. ამ წიგნებში ადამიანი წარმოჩნდება ორ განზომილებაში: წარმავალსა და მარადიულში. შესაბამისად, ერთი მხრივ, იხატება მედინი დრო, რომლის მდინარებაში მოჩანან ეგზისტენციალური ტკივილები და

ყოფით საზრუნავებს შეჭიდებული ადამიანები, მეორე მხრივ, ბიბლიური დრო, რომელიც ღვთის საუფლოს, ანგელოზებს, წმინდანებს, წინასწარმეტყველებსა და მოციქულებს წარმოაჩენს. ასე იბმება კავშირი მიწიერსა და ღვთაებრივს შორის და ავტორის ფიქრი, ერთდროულად, მარადიულსა და წარმავალ პრობლემებს დასტრიალებს.

აკაკი მინდიაშვილის წიგნების სათაურების ერთი თვალის გადავლება ცხადყოფს ავტორის ყოვლისმომცველ თვალსაწიერს და სურვილს, ღვთის ნებითა და შემწეობით და იმ უხილავი მადლის წყალობით, რომელიც ყოველ მორწმუნეს უშურველად მიეცემა, გზა გაუკვალოს მკითხველებს ჭეშმარიტებისაკენ, სულის ცხონებისაკენ. ეს წიგნებია: „მე ვარ იესო, რომელსაც მღევნი“ (2014), „ღმერთს მეც ვუყვარვარ“ (2013), „გზა გულიდან უფლისაკენ“ (ორ ნაწილად, 2013), „სულს ნუ ჩავიქრობთ“ (2012), „სიკვდილიდან უკვდავებისკენ“ (2012), „კრიზისი“ (2010), „სად ვეძებოთ ბედნიერება“ (2010), „მოდიო ჩემთან“ (2010), „შენი ვარ, უფალო, მაცხოვრე“ (2008), „ჩვენი მოქალაქეობა ზეცაშია“ (2008), „ჩვენთან არს ღმერთი“ (2008), „მწუხარეთა ნუგეშისათვის“ (ორ ნაწილად, 2006, 2008). „საუფლო დღესასწაულები“ (განმარტება) (2006, 2004. 1998), „აბორტის ცოდვის, ჯოჯოხეთისა და ნუგეშის შესახებ“ (2005), „ღვთაებრივი და ეროვნული“ (1996).

აკაკი მინდიაშვილი შესანიშნავი ლიტერატურათმცოდნეა, ამას ადასტურებს მისი წიგნები: „ქრისტიანულ-რელიგიური მოტივები აკაკის შემოქმედებაში“ (2003), „ყოველდღიურობის მიღმა“ (ლიტერატურული

წერილები თანამედროვე ქართული პროზის შესახებ, 1986), „მოგზაურობა მეხსიერების სამყაროში (ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები და ლიტერატურისმცოდნეობითი ნაშრომები ქართული პოეზიისა და პროზის შესახებ, თბ. 1996).

ის არაჩვეულებრივი მთარგმნელიცაა და ეს კარგად ჩანს მის ნათარგმნ წიგნებში: წმინდა ლუკა ვოინო-იასენეცკი, მთავარ-ეპისკოპოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საღვთისმეტყველო ნაშრომები: „მეცნიერება და რელიგია“ და „სულის სამშვიდველი და სხეული“ (2003) და წიგნი „დავუჯეროთ თუ არა სიზმრებს“.

მის ნაწერებში, ზოგადად, ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ განსასჯელი თემების მრავალფეროვნება, აზროვნების სიღრმე, რელიგიურ-ფილოსოფიური განზოგადებანი, ადამიანის ფსიქოლოგიის ცოდნა, თანამედროვე პოლიტიკურსა, კულტურულსა და სოციალურ საკითხებში განსწავლულობა, არამედ ის ენობრივი დახვეწილობა, რომელიც დამახასიათებელია ამ ავტორისთვის. სწორედ ეს ენა, თან ხატოვანი და თან სადა, წარმოაჩენს მას, როგორც ჩვენი დროის გამორჩეულ მჭევრმეტყველსაც. ვისაც მოუსმენია მისი ლექციები, გადაცემები (საპატრიარქოს ტელევიზია „ერსულოვნებასა“ და რადიო „იბერიაში“), დაგვერწმუნება, რა შთამბეჭდავია მისი მეტყველების სტილი, რომელიც შეაძლებინებს ნაფიქრი სიტყვებით ისე გამოსატოს, რომ მკითხველის გულსა, სულსა და გონებაში ღრმა კვალი დატოვოს. ამიტომაცაა, რომ მისი მოსმენაც და მისი წიგნების კითხვაც მკითხველს აძლევს სულიერ საზრდოს, რომელსაც ასე მოკლებულია დღევანდელი საზოგადოება.

ამ წიგნებში წარმოჩენილია დრო, გამთლიანებული წინაპრებითა და თანამედროვეებით, გამოკვეთილია დროის უწყვეტობის აუცილებლობა როგორც თითოეული ადამიანის, ასევე ერის, სახელმწიფოს თავისუფალი არსებობისათვის.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ აკაკი მინდიაშვილი ძმა გახლავთ დეკანოზ არჩილ მინდიაშვილისა, გამორჩეული ღვთისმსახურისა, რომელიც სიტყვითა და საქმით თავდაუზოგავად იღწვის იმისთვის, რომ საქართველოში, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, რწმენას მოჰქონდეს ადამიანებისთვის ხსნის იმედი და იმგვარი ბედნიერების განცდა, რომელსაც ვერანაირი მატერიალური შეჭირვება ვერ ჩრდილავს.

ამჯერად აკაკი მინდიაშვილის წიგნს „მე

ვარ იესო, რომელსაც მდევნი“ (2014) წარმოვადგენთ. მასში თავმოყრილია წერილები ადამიანური ყოფის, რწმენისა და ურწმუნოების, ცოდვისა და მადლის, სიძულვილისა და სიყვარულის, სიკეთისა და ბოროტების, ხსნისა და წარწყმედის, ანგელოზურისა და ეშმაკეულის, სინანულისა და უსირცხვილობის, სინდისის ქენჯნისა და თავხედობის, ამპარტავნებისა და თავმდაბლობის, შემწყნარებლობისა და შურისძიების, პატიებისა და სინანულის, ერთი სიტყვით, ყველა იმ უმნიშვნელოვანესი თემების შესახებ, რომლებიც ჩვენი ყოფის თანამდევია და ჩვენს მეობას განაპირობებს.

მრავალმნიშვნელოვანია წიგნის სათაური. „მე ვარ იესო, რომელსაც მდევნი“ — ეს სიტყვები უთხრა დამაბრმავებელი ნათლით მოსილმა ქრისტემ, რომელიც ქრისტიანების დასარბევად დამასკოსაკენ მიმავალ სავლეს გამოეცხადა. ეს ხილვა საფუძველი გახდა სავლეს პავლედ გარდაქცევისა. წიგნის ნაკითხვისას გვეუფლება განცდა, რომ ასე ვდევნით, ჩვენ ყველანი, ჩვენთვის ჯვარცმულ მაცხოვარს ჩვენივე ცოდვებით გულებიდან და ვიხშობთ ყურს, რათა არ მოგვწვდეს ხმა უჟამო დრო-სივრცის გამჭოლი ხმისა: „რაისა მდევნი მე?“

წიგნს წამძღვარებული აქვს ამონარიდი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის ქადაგებიდან, რომელშიც წარმოჩენილია ქრისტიანობის არსი და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მფარველი როლი ყოველი ქართველის ცხოვრებაში: „რადგან ეს სოფელი ბოროტსა ზედა დგას, იგი სხვა დინებით მიდის, რომელსაც სინდისის ქენჯნის გარეშე უშფოთველად მიუყვება ადამიანთა დიდი ნაწილი ისე, რომ ვერც აცნობიერებს, რისთვის მოვიდა ამქვეყნად.“

ღვთის მიერ მონიჭებული თავისუფალი ნებით ადამიანი არჩევანს თავად აკეთებს და სვლაც სასუფევლისა ან ჯოჯოხეთისაკენ ყველასთვის აქედან, ამ ნუთისოფლიდან იწყება. იმას, თუ მარადიულობაში სად დავიმკვიდრებთ ადგილს, ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრების წესი განსაზღვრავს... ჩვენი გოლგოთა უნდა გავიაროთ, რათა სულის ცხოვნება მოვიპოვოთ“. ავტორი პატრიარქის ქადაგებებს არაერთხელ მოიხმობს საკუთარი თვალსაზრისის განსამტკიცებლად და მკითხველის დასარწმუნებლად.

სულის ცხოვნება — ეს ამთლიანებს და ამტკიცებს აკაკი მინდიაშვილის ამ წიგნს, რომელშიც თანამედროვეობის აქტუალური

პრობლემებია წარმოჩენილი. ჯერ კიდევ როდის, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ასე მიმართავდა სოკრატე თანამოქალაქეებს დიდი გულისტკივილით: „პატივცემულო მეგობრებო, მსოფლიოს ყველაზე დიდი ქალაქის, ათენის მოქალაქენო, აგრერიგად გამოჩენილნო თქვენი გონიერებითა და ძალაუფლებით, ნუთუ არ გრცხვენიათ, ასე ხელალებით რომ იბრძვით ფულის მოხვეჭის, თქვენი პრესტიჟისა და რეპუტაციის გასამყარებლად, მაშინ, როცა სიმართლისა და სიბრძნის დასაცავად და თქვენი სულის საცხოვნებლად არავითარი ზრუნვისა და ნუხილის ნიშნები არ გეცყობათ?“

აკაკი მინდიაშვილი ხედავს, რომ დღესაც, მეგაპოლისების ეპოქაში, არნახული ტექნიკური მიღწევების ვითარებაში, არ ეტყობათ ადამიანებს სულის საცხოვნებლად ზრუნვის ნიშნები. მისი მოსწრებული თქმით, „დღევანდელი კაცობრიობის შემეცნების საზღვრები ფართოვდება, მაგრამ სიყვარულის, ანუ ბედნიერების საზღვრები, ვინროვდება“. სამწუხაროდ, ადამიანთა უმრავლესობა დღეს ბედნიერებას მხოლოდ სიმდიდრის მოხვეჭას უკავშირებს: „ფული მართავს ადამიანს და არა ადამიანი — ფულს“. წერილში „თანამედროვე მსოფლიოს დიქტატორის შესახებ“ იგი წარმოაჩენს მატერიალურ სიმდიდრეს, როგორც თანამედროვეთა უპირველეს კერპს, უმთავრეს საფიქრალს. ამ თემას იგი რელიგიურ-ფილოსოფიურ ჭრილში განიხილავს და მსჯელობაში ბუნებრივად შემოიჭრება ფიქრი მიწიერსა და სულიერ სიმდიდრეზე, მოწყალებასა და გაცემაზე. ძველი თუ ახალი აღთქმისეული შეგონებებითა და განმარტებებით ავტორი თვალნათლივ წარმოუჩენს მკითხველს, თუ როგორ იქცა ფულის სიყვარული, როგორც პავლე მოციქული იტყოდა, „შენიღბულ კერპთაყვანისმცემლობად“: „დღევანდელი ადამიანი იმ უგუნურ მშენებელს ემსგავსება, რომელიც სახლს აშენებს ქვიშაზე და არა კლდეზე, ჩვენს შემთხვევაში, ფულზე და არა ქრისტეზე“. ამ გამალებული მშენებლობისას კი ივიწყებენ უხრწნელ ზეციურ საუნჯეებს, რომლებიც, როგორც ერთგული მეგობრები, მარადისობაშიც გაგვყვებიან, გვიშუამდგომლებენ, შეგვეწვევიან ღვთის წინაშე“.

ავტორი ვერცხლისმოყვარეობის არაერთ მაგალითს იხსენებს (რა თქმა უნდა, იუდასა და მისთანებს) და ადამიანებს არწმუნებს, რომ გამდიდრდნენ, მაგრამ, უპირველესად, „ღვთითა და ღვთისმოსანონი საქმეებით“ (ლუკა, 11,5). მათეს, ლუკას, მარკოზის, იო-

ანეს სახარებები, აპოკალიფსი, დავითის ფსალმუნები, სოლომონის „ეკლესიასტი“ და იგავები და სხვა წმინდა წიგნები ავტორისთვის მთავარი სააზროვნო წყაროებია. ამ წიგნებიდან უხვად მოაქვს შეგონებები, რომლებიც მკითხველს აჯერებენ სულიერი სიმდიდრის მოპოვების აუცილებლობაში.

თანამედროვე მკითხველისთვის, რომელიც ხედავს ფულის დიდ ძალას საზოგადოებაში, აქტუალური რჩება კითხვა: სიმდიდრე ბოროტებაა? ამ კითხვას ზედმიწევნით, უხვი მაგალითით პასუხობს ავტორი. რაც საგულისხმოა, მისი პასუხი არ არის მზა, არამედ მკითხველი თვითონ მიჰყავს გარკვეულ დასკვნამდე, მიმოაგარებს ეჭვისა და გაურკვევლობის ბილიკებზე. ძიების ამ გზაზე გამოცანასავით აღმართულ ქრისტეს ნათქვამ ალეგორიას: „უმალ აქლემი გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღვთის სასუფეველში“ (მათე 12, 23-24) იგი მრავალმხრივ უტრიალებს. მოიხმობს ეკლესიის მამათა საინტერესო და საგულისხმო განმარტებებს. მკითხველი სიტყვების მრავალმნიშვნელოვნების, სიტყვების სიმბოლოურობის, სიტყვათა აზრობრივი სიღრმეების არსსაც ეზიარება. მაგალითად, ნემსის ყუნწი ნიშნავს თურმე კუტიკარს (პატარა ჭიშკარს), რომელიც ძველად ქალაქის კარიბჭეში იყო დატანებული და ადამიანს მხოლოდ მოხრილს შეეძლო გავლა, ხოლო აქლემს, „უდაბნოს ხომალდს“ — უდიდესი ტანჯვით. არაბები ასეთ კუტიკარს დღესაც „ნემსის ყუნწს ეძახიან“. წიგნში მოხმობილია ღვთისმეტყველ განმმარტებელთა მეორე ახსნაც, აქ იგულისხმება ხომალდის მსხვილი ბაგირი, რომელიც წვრილად დაშლილი თუ გაეტევა ნემსის ყუნწში, რაც იმას ნიშნავს, რომ მდიდარმა ქონება მცირე ნაწილებად უნდა გასცეს, რომ სასუფეველში შევიდეს. კიდევ უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის, ავტორი ბიბლიიდან ცნობილი მდიდარი ადამიანების მაგალითებსაც იშველიებს და დაასკვნის: „იოზი უმდიდრესი ადამიანი იყო, მაგრამ ცათა სასუფევლის მკვიდრი გახდა. აბრაჰამიც უმდიდრესი ადამიანი იყო, სოლომონიც, მაგრამ ღვთის მეგობრებად იწოდებიან. მდიდარი იყო იოსებ არიმათიელიც. მაგრამ არც ერთი არ იყო მონა სიმდიდრისა და სულში ინახავდნენ უანგარობას“, რომ „სიმდიდრე თავისთავად ღვთის წყალობაა“.

აკაკი მინდიაშვილის წერილები იმგვარადაა დაწერილი, თითქოს ცოცხლად ურთიერთობს მკითხველთან. მსჯელობისას

ხშირად მიმართავს ასე: „ძვირფასო“, რაც ერთგვარად ანელებს მხილების მკაცრ პათოსს, დიდაქტიკურ ტონს და ავტორს მკითხველის თანამგრძნობელად და გულშემატკივრად წარმოგვიჩენს. თანაც, ყოველთვის, თვითონაც ხალხში გულისხმობს საკუთარ თავს და არასოდეს გამოაცალკევებს, როგორც შეუმცდარს. პირიქით, ბევრი შეგონებისა და დარიგების მიღმა იგულისხმება საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება. ეს ყოველივე კი ამცირებს მანძილს ავტორსა და მკითხველს შორის, რომელიც ხშირად ეჭვის თვალთ უყურებს ზნეობასა და მაღალ იდეალებზე მქადაგებელს, თუ არ იგრძნობს რომ მქადაგებელი თვითონვეა აღმასრულებელი იმ ცხოვრებისეული ღვთისმოსაწონი წესებისა, რომელთა შესახებაც ასე ენაწყლიანად საუბრობს.

ამ წერილების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელია ის, რომ ავტორი ყოველთვის წარმოიდგენს, სავარაუდოდ, რა კითხვები შეიძლება გაუჩნდეს საღვთისმეტყველო საკითხებში გაუთვითცნობიერებელ ადამიანს და თვითონვე სვამს კითხვას. მაგალითად, სიმდიდრეზე მსჯელობისას შეიძლება ვინმემ იკითხოს: თუ ყველაფერი, სამყაროს მატერიალური სიმდიდრე ღვთის საკუთრებაა, მაშ, ჩვენი რაღაა? ავტორის პასუხი ზედმინეებით სრული და გასაგებია. მკითხველის დასარწმუნებლად უამრავი მაგალითით განმტკიცებული, ეს მაგალითები მოყვანილია არა მხოლოდ წარსულის ცნობილ მოღვაწეთა, წმინდა მამათა თუ მოციქულთა ცხოვრებიდან, არამედ თანამედროვეთა ყოფიდანაც.

მკითხველთა ნაწილში გაჩენილ სასწრაფო კითხვასაც: სად არის ჩვენი ხსნა, რაში უნდა ვეძიოთ იმედი? რაზე ან ვისზე უნდა დავამყაროთ ჩვენი სასოება? — მოძებნილი აქვს დამაჯერებელი პასუხი. ამ შემთხვევაში, ავტორი კაცობრიობის უდიდესი მოძღვრისა და მასწავლებლის, წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვებს მოიხმობს: „ეკლესია საიმედო ზღუდეა. თუ ამ ზღუდის შიგნით ხარ, მაშინ სულიერი მგელი, ანუ სატანა, ხელს ვერ გახლებს. თუ გარეთ გახვალ, ე.ი. ქრისტეს და მის წმინდა ეკლესიას მოსწყდები და უეკლესოდ იცხოვრებ, მოგიტაცებს და გაგანადგურებს. მაშ, ნუ აარიდებ თავს ქრისტესა და მის წმინდა ეკლესიას — ამქვეყნად მასზე ძლიერი არაფერია“.

ავტორი საკუთარი თვალსაზრისის დასასაბუთებლად უხვად მოიხმობს მოციქულთა, წმინდა მამათა შეხედულებებს,

აგრეთვე, „დიდაქეს“, რომელშიც თორმეტი მოციქულის ჩამოყალიბებული კანონებია მოცემული.

მნიშვნელოვან კითხვათაგან, რომლებიც დღეს საზოგადოებას აღელვებს, ერთ-ერთია, უნდა სჯეროდეს თუ არა ადამიანს ბედისწერისა? ამ თემაზე წიგნში ვრცელი წერილია. ავტორი მიმოიხილავს, თუ რას ნიშნავს თავისუფალი ნება, როგორ მყლავნდება ის ყოფაში, რა არის წინასწარ განსაზღვრული და რა — ადამიანზე დამოკიდებული. ავტორი იმონებს პავლე მოციქულის ეპისტოლეებიდან ამ თემაზე გამოთქმულ თვალსაზრისებს და მკითხველს ზედმინეებით განუმარტავს. აქ სწორედ ეს ახსნა-განმარტებებია მნიშვნელოვანი, რადგან ხშირად ჩვეულებრივი მკითხველი სიღრმისეულად ვერ იაზრებს ამა თუ იმ საკითხს, ან კიდევ თავისი ცოდნისა და სულიერების შესაბამისად იგებს. ამიტომაც ყოველთვის გასათვალისწინებელია ავტორის რჩევა: „წმინდა მამათა შეგონებით, ჩვენ ისე უნდა ვიფიქროთ, როგორც წმინდა წერილი ამბობს და გვასწავლის და არ ვაიძულოთ ბიბლია, ისე ილაპარაკოს და ისე გვასწავლოს, როგორც ჩვენ ვფიქრობთ. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ როდესაც ვლოცულობთ, ჩვენ ვსაუბრობთ ღმერთთან, წმინდა წერილით კი თავად ღმერთი გვესაუბრება“.

ადამიანები ხშირად ხედავენ წინააღმდეგობას იმაში, რომ თუ ღმერთმა წინასწარ განსაზღვრა ყველაფერი, სადღა ადამიანის თავისუფალი არჩევანი? მათეს სახარებაში ხომ წერია, რომ არც ერთი ბელურა არ დაეცემა მიწაზე ღვთის ნების გარეშე, თავზე თმებიც კი დათვლილია (მათე 10,29-31). ავტორი მკითხველს უხსნის, რომ აქ მხოლოდ მოჩვენებითი წინააღმდეგობაა, „ყოვლისშემძლე, ყოვლისმპყრობელი, ყოვლადკეთილი, ყოვლადკაცთმოყვარე და ყოვლისმცოდნე ღმერთი“ ადამიანის თავისუფალ ნებას ძალას არ ატანს: „სიცოცხლე და სიკვდილი დაგიდეთ ნინ, კურთხევა და წყევლა. და აირჩიე სიცოცხლე, რათა იცოცხლოთ შენ და შენმა შთამომავლობამ“ (II სჯ.). სიცოცხლე ღვთის მოძღვრებაში მკვიდრობა და ამ მოძღვრების მიხედვით ცხოვრებაა. მსჯელობისას ავტორი იმონებს იოანე დამასკელს, ნეტარ ავგუსტინეს, პავლე მოციქულს და დაასკენის, რომ „ღმერთს ყველას ცხონება სურს, ყველას გადარჩენა სწყურია, მაგრამ არა ჩვენი თანამონაწილეობის გარეშე“.

მსჯელობისას ავტორი მოიხმობს წმინდანთა ცხოვრებიდან მაგალითებს, რომლებიც ცხადყოფენ ღვთის განგებულებისა და ადამიანის თავისუფალი ნების არსებობას. ერთი ასეთი მაგალითია ეფრემ ასურის ცხოვრებიდან ის შემთხვევა, როდესაც მან ეჭვი შეიტანა ღვთის სამართლიანობაში, თუმცა მალე გაუნათდა გონება, ერთმანეთს დაუკავშირა სხვადასხვა მოვლენა და დაასკვნა, რომ ყოველი სასჯელი იყო გამოცხილი მის მიერ ჩადენილი, მაგრამ დავიწყებული ცოდვისა. ამგვარმა ფიქრმა გამოიწვია მისი „სულიერი მინისძვრა“, როგორც ავტორი წერს ხატოვნად და სრულიად შეიცვალა.

დღეს ძალიან ბევრი ადამიანი დილას ასტროლოგიურ კალენდარში ჩახედვით იწყებს. რადიო, ტელევიზია, ბეჭდური და ელექტრონული მედია, ინტერნეტი, სოციალური ქსელები — სავსეა ინფორმაციებით, თუ რას აუნყებენ ვარსკვლავები ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებს. შექმნილია უამრავი ბლოგი, რომლებზეც განთავსებულია ათასგვარი სტატია ასტროლოგიური წინასწარმეტყველებების შესახებ. ყოველივე ეს კი ხშირად იწვევს ფსიქოლოგიურ სტრესსა და დაბნეულობას, მატერიალურ საგნებსა და მოვლენებზე მიჯაჭვულობას. სწორედ ამ აქტუალურ თემას ეხება წერილი „ასტროლოგიის, ანუ ვარსკვლავთმისნობის შესახებ“. ავტორი ამ პრობლემასაც მრავალმხრივ განიხილავს. მსჯელობისას, უპირველესად, ეყრდნობა წმინდა წერილს, წმინდა მართლმადიდებლური ეკლესიის, წმინდა მამათა სწავლებას, წმინდა მსოფლიო კრების დადგენილებებს, დიდი სჯულის კანონს, წმინდა საღვთო გადმოცემებს, ასევე, სარწმუნო მეცნიერულ დასკვნებს. ავტორი მოიხმობს წმინდა იერემია წინასწარმეტყველის სიტყვებს: „ნუ შეგეშინდებათ ციური ნიშნებისა, როგორც სხვა ხალხებს ეშინიათ. რადგან ადამიანთა კერპები არარაობაა“ (10, 2-3). ავტორს მოჰყავს ბიბლიიდან არაერთი მაგალითი, როდესაც ასტროლოგიურმა, ე.წ. „საიდუმლო ცოდნამ“ დაღუპა ხალხი, მათ შორის, ბაბილონელები.

წერილში მხილებულია დღეს ცნობილი ასტროლოგების, პავლე და თამარ გლობების ანტიქრისტიანული ნააზრევები, წარმოჩენილია, თუ როგორ უკავშირდება ადამიანი ამგვარი ცრურწმენებით დემონებსა და დაცემულ სულებს, როგორ გადაუხვევს საღვთო გზიდან წარსაწყმედლისკენ მიმავალ მოჩვენებით ფართო გზაზე. ავტორი

მდიდარ მასალას მოიხმობს ძველი აღთქმიდან, იმონებს მოსეს, დანიელს, ესაიას, იერემიას, სოფონიას და სხვა წინასწარმეტყველებს, ახალ აღთქმას, ტერტულიანეს და დაასკვნის: „ციურმა სხეულებმა თავიანთი არსებობით ღვთის სიბრძნე და მისი დიადი ძალა უნდა დაამონმონ“. რა თქმა უნდა, ვარსკვლავები და სხვა ციური სხეულები თავიანთ ზეგავლენას ახდენენ დედამიწაზე და აქ მიმდინარე ბუნებრივ პროცესებზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ადამიანთა ბედს განსაზღვრავენ.

იგივე თემაა განხილული წერილში „ისევე ასტროლოგიის შესახებ“, რომელშიც ავტორი მკითხველის სავარაუდო კითხვას თვითონვე სვამს: თუ ასტროლოგია დემონური ხასიათისაა, მაშინ სწორედ მოგვებმა, ანუ ვარსკვლავთმრიცხველებმა ვარსკვლავის გამოჩენით როგორ გაიგეს ის, რომ ქრისტე იშვა ბეთლემში? ამ საინტერესო კითხვას მოჰყვება ავტორის არაჩვეულებრივი მსჯელობა, მაგალითებით, ახსნა-განმარტებებით. იგი წმინდა მამების, იონე ოქროპირის, იოანე დამასკელის, ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელის და სხვა წმინდა მამებზე დაყრდნობით თვალნათლივ ასაბუთებს, როგორ უნდა გაიგოს მკითხველმა სახარების ეს ეპიზოდი. მკითხველი მოიხიბლება მსჯელობის სიღრმით, ხატოვანებით, ასოციაციური აზროვნების სიძლიერით. მოყვანილი არგუმენტები ისეა შერჩეული, რომ ყოველი შემდეგი აძლიერებს წინას და, საბოლოო ჯამში, მკითხველს არანაირი ეჭვი აღარ რჩება იმისა, რომ სახარებისეული ვარსკვლავი არ იყო უბრალო ციური სხეული, არამედ ღვთის ნებით მოვლენილი გონიერი ძალა, წმინდა ანგელოზი.

წერილში განხილულია აგრეთვე მეტად საინტერესო და პოპულარული თემა სვეტიცხოვლის ტაძრის კედელზე გამოსახული ზოდიაქოების შესახებ. ავტორის აზრით, უარსაყოფია ამ ფრესკის ყოვლადმკრეხელოური და ცრუ-ასტროლოგიური ახსნა-განმარტებები და ის მოსაზრებაც, ვითომდა ქრისტემ თორმეტი წმინდა მოციქული ზოდიაქოს თორმეტი ნიშნის მიხედვით შეარჩია. ავტორი მკითხველს ურჩევს, გაეცნოს დეკანოზ ბიძინა გუნიას ამ თემაზე დაწერილ ნიგნს „სვეტიცხოვლის ფრესკის ფრაგმენტი — ზოდიაქოს რკალი“. წერილში, აგრეთვე მხილებულია ნებისმიერი სახის მკითხაობა და ახსნილ-განმარტებულია ამ საქმიანობის დემონურობა.

ამავე თემას ეხმიანება წერილები: „ჯადოსა და ჯადოქრობის შესახებ“ და „თამბაქოს, ანუ „ნელი მკვლელის“ შესახებ, რომლებშიც წარმოჩენილია, როგორ იღუპავს ადამიანი სულს, როდესაც მხოლოდ მატერიალური სამყაროს კანონებით, ხორციელი სიამოვნებისთვის ცხოვრობს და, ნებით თუ უნებურად, გაცნობიერებულად თუ უფიცობით, ეშმაკს უკმევს საკმეველს, აღვიძებს საკუთარ არსებაში ბნელსა და ბოროტს და დემონებს უფარდება ხელში.

აკაკი მინდიაშვილის მსჯელობა არასოდეს არის სწორხაზოვანი. ერთი თემის განხილვისას შემოიჭრება მასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი თემებიც, ასე რომ, მისი მსჯელობა ყოველთვის მრავალფეროვანია და ამომწურავი. მსჯელობისას განხილულია სანინალმდეგო თვალსაზრისებიც, რაც ხელს უწყობს იმას, რომ მისი ნაწერები შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

რა წარმოქმნის ერესს, მწვალებლობას, განხეთქილებას, სექტას, სხვადასხვა ცრუმოდღვრებას? ავტორი ამ მნიშვნელოვანსა და რთულ კითხვებზე პასუხობს წერილში „ცრუქრისტიანულ სწავლებათა შესახებ“. იგი ასეთი ხატოვანებით წარმოაჩენს ყოველგვარ ცრუსწავლებათა შემოტევას თანამედროვეობაში: „ქარები გამალებით სცემენ და ეკვეთებიან ხოლმე კლდეს, მაგრამ ქარები მიდიან და მოდიან — ესაა ქარების თვისება — მოვიდნენ და წავიდნენ, კლდე კი მტკიცედ და შეურყევლად დგას. ასევეა ცრუსწავლებანიც, ქარებივითაა — მოდიან, ეკვეთებიან ეკლესიას, რომელიც უფალმა კლდესა ზედა დააფუძნა და ქარების მსგავსად, ცრუმოდღვრებანიც მიდიან. ეს კლდე უმტკიცესია, სვეტი და სიმტკიცეა ჭეშმარიტებისა და აჰა, უკვე ორი ათასი წელია მტკიცედ და შეურყევლად დგას“, რომელსაც „ბჭენი ჯოჯოხეთისანი“ ვერ ერეოდნენ (მათე, 16,18).

წერილში მოხმობილია წმინდა იოანე ღვთისმეტყველისა და წმინდა მოციქულ პავლეს სწავლებანი, თუ როგორ უნდა დაიცვას ადამიანი თავი ათასგვარი ცრუმოდღვრებისაგან, ცხვრის ტყავში გახვეულ მგელთაგან, რომელნიც ღვთის სახელით მკრებელობენ და ადამიანს ჭეშმარიტების გზიდან გადაახვევინებენ. მარადიული მღვიძარება, წმინდა ნიგნების კითხვა, სულიერ მოძღვართაგან დარიგებების მოსმენა და შესრულება, ერთი სიტყვით, ქრისტიანული ცხოვრების წესის აღსრულება მთავარი ფარი და საჭურველია.

ავტორი სვამს კითხვას: ჩვენ რა გვმართებს ქრისტეს წმ. მოძღვრების უარყოფელთა და ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლთა მიმართ? პასუხი ლაკონური, ამომწურავი და, რაც მთავარია, სიყვარულით, თანაგრძნობით სავსეა, რაც ასე მნიშვნელოვანია დღევანდელი საზოგადოებისთვის, რომელიც ხშირად ლოცვას კი არა, ძალადობას მიმართავს ამგვარ გზასაცდენილთა მიმართ. ქრისტიანს კი მართებს: „ჭეშმარიტების ქადაგება, სიცრუის მხილება, ლოცვა მტერთათვის და ლოცვა ქრისტეს ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლთათვის, მართლმადიდებელი სარწმუნოების უარყოფელთათვის, ჩვენი შეცდომილი დებისა და ძმებისათვის, მამებისა და დედებისათვის, შვილებისა და შვილიშვილებისათვის, ანუ, ბოროტის წილ სიკეთის მიგება, რადგან შურისგება უფლის ძალაუფლებაშია, რომელიც ამბობს: „ჩემია შურისგება და მე მივაგებ“ (2სჯ.32,35).

ამავე თემას ეხმიანება წერილი „ტოლერანტობის ანუ შემწყნარებლობის შესახებ“. მასში მრავლად არის მოხმობილი ჩვენთვის ცნობილი და უცნობი მაგალითი ქრისტიანული შემწყნარებლობისა საქართველოს ისტორიიდან, თანამედროვეობიდან, განმარტებულია, რას ნიშნავს ნამდვილი და არა მოჩვენებითი ტოლერანტობა. ავტორი მკითხველს შეახსენებს წმ. პეტრე მოციქულის სიტყვებს: „მწყემსეთ ღვთის სამწყსო, რომელიც თქვენ შორისაა, მაგრამ არა იძულებით, არამედ ნებითა და ღვთისათვის სათნოდ“ (პეტრე 5,1).

სხვადასხვა წერილში არაერთგზის შეახსენებს ავტორი მკითხველს, რომ ქრისტიანობა ეროვნული ცნობიერების საფუძველია, ამიტომაც რწმენის რღვევა პირდაპირ აისახება ქართველისთვის, (და ნებისმიერი ერის წარმომადგენლისთვის), ყველაზე მნიშვნელოვან ფენომენზე, ეროვნულ იდენტობაზე, რომელიც დაკარგვის საფრთხის წინაშე დგება. ამგვარ საფრთხეს გრძობდნენ ქართველი მწერლები და მოღვაწენი, განსაკუთრებით, ილია, აკაკი, ვაჟა, ნიკო ნიკოლაძე და სხვანი. ამ შემთხვევაში, ავტორი მოიხმობს აკაკის ლექსის („წინობა“) სტრიქონებს:

*„ქრისტეს სახელით ქრისტეს სჯულს
წვალება შემოერია
და ჩვენს ეროვნულ ფიცარზე
ქართველი აღარ სწერია“.*

„საუკუნო ცეცხლი“ (მათე 25.41), „გარესკნელის ბნელი“ (მათე 25.30), „ცეცხ-

ლის გეჰენია“ (მათე 5.22) — და სხვა ამგვარი სიტყვებითაა წარმოჩენილი ბიბლიაში საუკუნო წარსაწყმედელი, რომელიც შიშა და ძრწოლას იწვევს მორწმუნეებში, მაგრამ ადამიანს სურს მეტი შეიტყოს სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ. წმინდა წერილის ცალკეული პასაჟი, ამ თვალსაზრისით, განმარტებას მოითხოვს, რათა უბრალო მკითხველმაც შეძლოს, თუ რა იგულისხმება ამ სიტყვების მიღმა. სწორედ ეს ფუნქცია ენიჭება აკაკი მინდიაშვილის წიგნში გამორჩეულ წერილს „ჯოჯოხეთის შესახებ“, რომელიც ყურადღებას იქცევს საღვთისმეტყველო საკითხების ღრმა ცოდნითა და გააზრებით. ავტორი ყოველმხრივ განიხილავს ამ თემას, მოიხმობს ბიბლიის ეპიზოდებს, წმინდა მამათა ნააზრევს, წმინდა გადმოცემებს და მკითხველს თვალნათლივ წარმოუჩენს, ჯოჯოხეთის, როგორც არამატერიალური სუბსტანციის, გონებისმიუნვდომელი ფენომენის არსს. იგი მკითხველს ურჩევს წმ. იოანე ოქროპირის შეგონების გათვალისწინებას: „მოდით, ნუ უარყოფთ გეჰენიის არსებობას, რათა მასში არ აღმოვჩნდეთ... მოდით, ყოველგვარ განმარტებათა გარეშე ვირწმუნოთ იგი და მუდმივად ვიფიქროთ და ვისაუბროთ მის შესახებ, მაშინ ცოდვებშიც ასე იოლად და სწრაფად აღარ ჩავცვივდებით. უმწარესი ნამლის მსგავსად, ჯოჯოხეთის საშინელი სატანჯველების მუდმივი ხსოვნა განკურნავს და აღკვეთს ჩვენში ყოველგვარ ბოროტებას“.

როგორც ცნობილია, სახარებაში არაერთი მაგალითია ღვთის ერთგული ქალებისა, რომლებსაც არ გადაუხვევიათ ქრისტეს გზიდან და ბოლომდე ზიდეს რწმენის მძიმე ჯვარი. რა როლი და ფუნქცია აქვს ქალს ბიბლიის მიხედვით, ამის შესახებ მსჯელობს ავტორი წერილში „ურცხვი ქალების შესახებ და შესახებ იმისა, რომ ქრისტე მკაცრად ამხელდა მამაკაცებს, მაგრამ არა — ქალებს და რომ ქრისტე გასცა კაცმა და არა ქალმა“. მასში უამრავი ქალის ცხოვრებაა წარმოჩენილი, მათ შორის, ისეთებისაც, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ადამიანთა დაღუპვაში, მაგალითად, დალილამ — სამსონის დაღუპვაში, ჰეროდია და სალომეამ — იოანე ნათლისმცემლისთვის თავის მოკვეთაში, ეგვიპტის კარისკაცის, ფოტიფარის ურცხვმა ცოლმა — იოსების საპატიმროში ჩაგდებაში და სხვ. მაგრამ აქვეა მაგალითები მენელსაცხებლედ დედათა, მარიამ მაგდალინელისა, რომელსაც აღდგომის შემდეგ პირველს ეჩვენა უფალი, სისხლმდინარე

დედაკაცისა, ქრისტეს სამოსლის შეხებით რომ განიკურნა, სამარიტელი დედაკაცისა და იმ ქალებისა, გოლგოთისკენ მიმავალ იესოს რომ მიჰყვებოდნენ და არც ჯვარცმისას მიუტოვებიათ უფალი ღმერთი. ავტორი ამ თემაზე განსაკუთრებით იმიტომ ამახვილებს ყურადღებას, რომ კიდევ ერთხელ წარმოაჩინოს, რა მნიშვნელოვანია ქალის როლი საზოგადოების ზნეობრივი სინმინდისა და მომავალი თაობის აღზრდაში.

ქალის თემა ავტორისთვის მნიშვნელოვანია მაშინაც, როდესაც აბორტის საკითხზე მსჯელობს. ამ მტკივნეული თემის შესახებ მას არაჩვეულებრივი წიგნიც აქვს დაწერილი „ღმერთს მეც ვუყვარვარ“. ამ წიგნში კი ერთი წერილია „აბორტის შესახებ“. მასში ვკითხულობთ, რომ „თანამედროვე მეცნიერებამ დადასტურა ღვთივგამოცხადებული ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ დედის ნიაღში განაყოფიერებისთანავე ჩაისახება ადამიანი — ხატი ღვთისა. და ნათქვამიდან გამომდინარე, აბორტი ორსულობის ნებისმიერ ეტაპზე, ნებისმიერ პერიოდში — ეს გახლავთ მკვლელობა, დარღვევა ღვთის მცნებისა, ღვთის კანონისა: „არა კაც ჰკლა“. ავტორისთვის აბორტი ღვთის წინააღმდეგ ამბოხია, რომელიც ანადგურებს დედასაც და ერსაც, რომელსაც ცოდვები ამ გზითაც უმრავლდება.

ავტორს მკითხველის დასარწმუნებლად, რომ აბორტი მკვლელობაა, მოაქვს მაგალითები სხვადასხვა მეცნიერის ნაშრომიდან, გინეკოლოგ-პროფესორთა პრაქტიკიდან. იგი მოყვანილი მაგალითებით ცხადყოფს, რომ მუცლადმყოფი ჩვილი უკვე დამოუკიდებელი პიროვნებაა, რომლის მოსპობა დემონური საშინელებაა.

თანამედროვე საზოგადოებაში სხვა ცრურწმენებთან ერთად, საკმაოდ გავრცელებულია რწმენა სიზმრისა. დაუჯეროთ თუ არა სიზმრებს ან რა სახის სიზმრები არსებობს? ამ თემაზეა წერილი „სიზმრების შესახებ“. ავტორი იხსენებს იმ სიზმრებს, რომელთა შესახებაც საუბარია ბიბლიაში, მათ შორის, მსჯელობაა ძველი აღთქმის ადამიანთა, ეგვიპტის ფარაონის, მეფე აბიმელიქის, ბაბილონის მეფის — ნაბუქოდონოსორის და ლაბანის, დანიელ წინასწარმეტყველის, იოსებ მშვენიერის სიზმართა შესახებ. ახალი აღთქმიდან მოყვანილია მართალი იოსების, პილატეს ცოლის, პავლე მოციქულის ღვთივმომადლებული სიზმრები. წმინდა მამათა განმარტებებზე დაყრდნობით, ავტორი თვალნათლივ წარმოუჩენს

მკითხველს სიზმრის მრავალმნიშვნელოვანი ფენომენის არსს, თუ როგორ განირჩევა ერთმანეთისგან სიზმარი — წინასწარმეტყველება, სიზმარი — ხილვა, სიზმარი — დემონის ხიბლში ჩავარდნა და სხვ. წერილში მოყვანილია ცოცხალი მაგალითები ჩვეულებრივ მოკვდავთა ცხოვრებიდანაც, რომლებიც ეშმაკებმა სწორედ სიზმართა მეშვეობით აცდუნეს. „მეოცე საუკუნის ერთ-ერთი დიდი მამა პაისი მთანმინდელი გვიჩვენებს, რომ სიზმრებს არ შეიძლება მნიშვნელობა მივანიჭოთ, განურჩევლად იმისა, როგორი იქნება იგი — სასიამოვნო თუ არასასიამოვნო“. ავტორი დაასკვნის, რომ „სიზმართდაჯერება და ყველანაირი მცდელობა, როგორმე შეიძინო სიზმართგანმარტების უნარი, უაღრესად ცოდვიანი და უგუნურია“. სიზმრებთან დაკავშირებული საგულისხმო საკითხები უფრო დაწვრილებით განხილულია აკაკი მინდიაშვილის წიგნში; „დავუჯეროთ თუ არა სიზმრებს“.

„მე ვარ ვაზი ქვემარტივი და მამაჩემი მევენახეა“, — ამბობს უფალი (იოანე 15,1). ქრისტეს პირველი სასწაული კანაში წყლის ღინოდ გადაქცევას უკავშირდება. ვაზი და ვენახი ქართველობასთანაცაა გაიგივებული, მით უფრო სამწუხაროა ის სენი, რომელსაც მემთვრალეობა ჰქვია. წერილში „მემთვრალეობის შესახებ“ ავტორი საუბრობს, თუ რა მძიმე შედეგები მოაქვს ალკოჰოლზე დამოკიდებულებას პიროვნებისა და საზოგადოებისათვის. მისი აზრით, გადამეტებული სმა ღვთისადმი მტრობა და უღმერთობის გამოხატულებაა. ადამიანს არასოდეს არ უნდა დაავინწყდეს პავლეს შეგონება, რომლის მიხედვითაც, ყველაფერი ნებადართულია ადამიანისთვის, მაგრამ ყოველივე სასარგებლო როდია (1 კორინთელთა, 10,23). მისი აზრით, ქართველობათვისი მავნე ჩვევებით, ხშირად ემსგავსება უძღვებ შვილს, რომელიც გართულია მატერიალურ სიამოვნებათა ძიებაში და უგუნურად ფლანგავს მამისგან ბოძებულ საუნჯეს, მაგრამ ერთხელაც იქნება, დადგება დრო სინანულისა და მამის სახლისკენ მოხედვისა. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება ძნელი, ვინრო, მტანჯველი გზა შინისაკენ, რომელიც მამის პატივებით დასრულდება. მთავარია შვილმა როგორმე იპოვოს საკუთარ თავში ძალა წამოდგომისა და იმ ნაბიჯების გადადგმისა, რომლებიც ხსნის გზაზე დააყენებენ. ავტორი მკითხველს სთავაზობს წმინდა დიმიტრი როსტოველის ქადაგებას „მემთვრალეობის ათი მწარე მტევანი“,

რომელიც დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა თარგმნა. მაში წარმოჩენილია, თანდათან როგორ დასცემს მემთვრალეობის დემონი ადამიანს, სულიერად გააპარტახებს, ღვთის მცნებებს დაარღვევინებს და ჯოჯოხეთისკენ გზას გაუყენებს. წერილში ძველი და ახალი აღთქმის მაგალითებით წარმოჩენილია ღვინისა და ვენახის სიმბოლური მნიშვნელობა, მათი სინმინდე, ყურადღება გამახვილებულია წმინდა წინოს ვაზის ჯვარზე, ქართველთა მხსნელზე. მოყვანილია წმინდა მამათა დარიგებანი — ყოველივე ეს მკითხველს კიდევ ერთხელ დააფიქრებს მემთვრალეობაზე, როგორც სულის წარსანყმედზე.

როგორ უნდა შევიმოსოთ ან რა მნიშვნელობა ენიჭება მატერიალურ სამოსს ჩვენს ცხოვრებაში? დღეს მოდის თემა ყველაზე აქტუალურია, უამრავი ყურნალი, სატელევიზიო არხი და ამ საქმის ექსპერტი ყოველდღიურად ურჩევს ადამიანებს რა ჩაიცვან და დაიხურონ სხეულის უფრო მეტად გასალამაზებლად, მაგრამ ძალიან იშვიათად, ან საერთოდ ვერ მოჰკრავთ ყურს, რომ ვინმე საჯაროდ მატერიალურზე უფრო სულიერ სამოსზე ამახვილებდეს ყურადღებას. სწორედ ამ თემაზეა წერილი „მოდისა და სამოსის შესახებ“, რომელშიც მრავალმხრივია ახსნილ-განმარტებული სამოსის ნამდვილი და ყალბი ღირებულება. წერილში წარმოჩენილია, რა ემოსათ ჩვენს პირველმშობლებს, ადამსა და ევას, სამოთხეში, რა სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა მათ შემოსვას, საუკუნეთა განმავლობაში, როგორ იცვლებოდა დამოკიდებულება სამოსის მიმართ და დღეს რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით. ზღვარგადასული მოვლახატრონობა სხეულისა, მისი მორთვა-მოკაზმვა, ადამიანს აჯაჭვავს ანმყოს, წარმავალ ნუთისოფელს და საერთოდ ავიწყებს მარადისობას, ღვთის სამსჯავროს, რომელზედაც ადამიანი მხოლოდ სულიერი შესამოსელით წარსდგება. მოდასთან ერთად, კიდევ რა ღირებულებები წარმართავენ თანამედროვე ადამიანის ცხოვრებას? ამის შესახებ უფრო დაწვრილებით საუბარია აკაკი მინდიაშვილის წიგნში „დროების სული და ახალგაზრდობა“.

ავტორი მოიხმობს წმ. ნილოს ათონელის წინასწარმეტყველებას, რომლის მიხედვითაც, ადამიანთა ცოდვების გამო, დრო დაჩქარდება, შეიკუმშება, რომ ბოლო ჟამის ადამიანებს მადლი განემორებათ: „გონება დაუსწეულდებათ და ქალების გარჩევა კაცებისაგან მათი ურცხვი და უტიფარი ჩაცმუ-

ლობისა და გარეგნობის გამო გაძნელებდა“.

ნიგნში ავტორი თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემასაც წარმოაჩენს. ის თვითონ არის ლექტორ-მასწავლებელი და სიღრმისეულად იცნობს დღეს სკოლებსა უმაღლეს სასწავლებლებში რას და რა მეთოდებით ასწავლიან. წერილში „დედ-მამის მაგინებელთა და შვილების მანყევართა შესახებ“ დღევანდელი მწვავე და მტკივნეულ თემებზეა მსჯელობა. ავტორი არკვევს, რა არის მიზეზი ახალგაზრდობის გინების მოყვარეობისა და ბილნსიტყაობისა. მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ თავი და თავი აღზრდაა, საოჯახო და საგანმანათლებლო. წერილში „უღირსი შვილების შესახებ“ უამრავი მაგალითის მოხმობით წარმოაჩენილია, როგორი უნდა იყოს ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის. აქვე წარმოჩენილია ერთი მნიშვნელოვანი თვალსაზრისი, რომ მარტოდენ სისხლით ქართველობა არ ნიშნავს ჭეშმარიტ ქართველობას: „რა სარგებელი ექნება ჩვენთვის, ვთქვათ, წმ. ვახტანგ გორგასლის, წმ. გრიგოლ ხანძთელის, წმ. თამარის, წმ. დავითის, წმ. ასი ათასი ქართველი მოწამისა და ექვსი ათასი წმინდა გარეჯელი ბერის, წმ. სამასი არაგველის, მარაბდის ველზე ამომწყდარი ცხრა ათასი წმ. გმირი ქართველის, შოთა რუსთაველის, სულხან-საბას, დავით გურამიშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, ასიათასობით „უსახელო უფლისციხელის“ შთამომავლობას, თუ ჩვენ თავად არ მივყვებით ქრისტესმიერ გზას, რომელსაც ჩვენი მაღალღირსეული წინაპრები მიჰყვებოდნენ“.

ეს ნიგნი, როგორც წვეთი ზღვაში, ისე წარმოაჩენს აკაკი მინდიაშვილის სხვა ნიგნების არსსაც, მისი ინტერესების მრავალმხრივობას, საღვთისმეტყველო და რელიგიურ-ფილოსოფიურ განსწავლულობას, სხვათათვის ახსნა-განმარტების ნიჭს, მჭევრმეტყველებას, მსჯელობის შთამბეჭდავ სტილს.

ეს ნიგნი (და აკაკი მინდიაშვილის სხვა ნიგნები) არა მხოლოდ საღვთისმეტყველო

საკითხებით დაინტერესებული ადამიანებისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ ნებისმიერი მკითხველისთვის, უბრალო ქრისტიანისა თუ სხვა აღმსარებლობის მიმდევრისთვისაც, რადგან მასში ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია ახსნილ-განმარტებული, ზღვა მასალაა მოხმობილი და გაანალიზებული. იგი გონების საზრდოცაა და სულისაც. ეს ყოველივე რწმენის განმტკიცებისთვისაცაა და ქრისტიანული რწმენის არსში გასარკვევადაც. ეს ნიგნი ღვთისმსახურებისთვისაც მნიშვნელოვანია, რადგან ქადაგებას დიდი ძალა აქვს, ეკლესიაში მისული მრევლი მღვდელს უსმენს და სჯერა მისი ყოველი სიტყვისა. კარგი ქადაგება პირობაა ადამიანის რწმენის გაძლიერებისა. ეს ნიგნები კი ენათესავება ქადაგებებს, რომლებიც მკითხველს გზას უკვალავენ საღვთო ჭეშმარიტებასთან მისაახლოვებლად და მარადისობის სუნთქვის შესაგრძობად.

რა თქმა უნდა, ამ წერილში სრულად ვერ წარმოვაჩინეთ აკაკი მინდიაშვილის ნააზრვის სიღრმე და მრავალფეროვნება. ჩვენი მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ მკითხველთა ფართო წრისთვის კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა ეს სულის მარგებელი ნიგნები. წერილს კი აკაკი მინდიაშვილის სიტყვებით დავასრულებთ: „მართალია, ეკლესია არსებობს დედამიწაზე, მაგრამ მიმართულია ზეცისკენ — ცათა სასუფევლისკენ — ზეციური ეკლესიისკენ, იგი ცხოვრობს დროში, მაგრამ სუნთქავს მარადისობით!“

როდესაც ტაძარში – ღვთის სახლში შევედივართ, დროიდან შევედივართ მარადისობაში, როდესაც ვტოვებთ ტაძარს, ვბრუნდებით დროში. ასე რომ, წარმავალ დროშივე უნდა ვისწავლოთ სუნთქვა მარადისობით. სწორედ ეს სუნთქვა, მარადისობის ჟანგბადი აკლია დღეს ყველაზე მეტად ამ პრაგმატულ, მერკანტილურ და ნეონარმართულ ეპოქაში თანამედროვე ხელოვნებას, მწერლობას, პოლიტიკას და, საერთოდ, ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს“.





თემურ ჭკუასელი

ბალიეზული ცრემლი

ვუძღვნი ნანას ხსოვნას

კარგა ხნის გაღვიძებული ვიყავი უკვე, მაგრამ თვალებს არა და არ ვახელდი. ვითომ რეალობას ვემალეობდი თუმცა, იგი იმდენად მძაფრი და აუტანელი იყო, რომ მისთვის თვალის გასწორება სულაც არ იყო საჭირო. ისედაც მთელ სხეულს მისუსხავდა მისი სიმხურვალე.

დილაუთენია ავსტრიაში მივფრინავდით მე და ნანა. ზეგ დილით კი, ვენის ერთ-ერთ კლინიკაში განაჩენი უნდა გამოეტანათ. განაჩენი მისი სიცოცხლისთვის, განაჩენი ჩემი სიყვარულისთვის.

ზოგადად, რა თქმა უნდა, უკვე ვიცოდით რაც გვჭირდა, მაგრამ, აქ, ვენაში, ზუსტად უნდა ეთქვათ, რამდენად ვიყავით განწირულები. ხატოვნად რომ ვთქვათ, უიმედობასთან შესახვედრად მივემგზავრებოდით, მაგრამ იმედის ძაფიც მთლად ბოლომდე არ გვქონდა განწყვეტილი. ერთიც ვნახოთ და ეს ყველაფერი ძალიან გავდა იმას, ქართულ ზღაპარში რომაა: „აიღებ?! ინანებ! არ აიღებ?! მაინც ინანებ!“ მე მგონი, ჩვენც ზუსტად ეგ გვჭირდა, მე და ნანას. „ნახვალთ?! ინანებთ! არ ნახვალთ?! მაინც ინანებთ!“ და როგორც ზღაპრის გმირი მაინც ყოველთვის იღებს იმ სანანებელს, ჩვენც ასევე ვიქცეოდით და დილაუთენია მივემგზავრებოდით მომავალი განაჩენისკენ.

განსხვავება ის იყო, რომ ზღაპრის გმირი არასოდეს არაფერს ნანობს, ზღაპრის ბოლო ხომ კეთილია, ამიტომაცაა ზღაპარი. ჩვენ კი ღმერთმა იცის, რა გველის. ხომ გითხარით უკვე, რეალობასთან თვალის გასწორება მიჭირს-მეთქი.

ჩვენ ხომ ზღაპრის გმირები კი არა, ჩვეულებრივი ადამიანები ვართ, ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებას კი მხოლოდ ერთი დასას-

რული აქვს. ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ ეს, ადრე თუ გვიან, უეჭველად მოხდება. ვიცით, მაგრამ, შეგუება გვიჭირს.

ისე, ზოგჯერ ცხოვრებაც შეიძლება ზღაპრს დაემსგავსოს, სიყვარული ახერხებს ამას, მაგრამ, ადრე თუ გვიან, სინამდვილე ისეთ პანლურს ამოგარტყამს მოულოდნელად და ისე გამოგაძევებს იმ ზღაპრიდან, როგორც ადამი და ევა გამოყარეს სამოთხიდან.

მე და ნანაც ამ დღეში ვიყავით მგონი. ზღაპრის დასასრულთან ვიდექით. ნუთუ მართლა სიყვარულისთვის ვისჯებით?! ნუთუ სიყვარული მართლა მარადიული ცოდვაა?!

იმასაც კარგად ვხვდებოდი, რომ მსგავსი უაზრო კითხვები ხშირად მაკითხავდა ამ ბოლო დროს, მაგრამ, თავს ვერაფერს ვუხერხებდი. ორ თვეზე მეტი იყო, იმ გულისამრევი პანლურის გემოსგან მიშრებოდა უკვე პირი და ორ თვეზე მეტი იყო, ისევ და ისევ ზღაპრის გმირივით, მზად ვიყავი სული ემ-მაკისთვის მიმეყიდა, ოღონდ ნანას შველოდა რამე, მაგრამ, არც ჩემი ცოდვილი სული სჭირდებოდა ვინმეს და არც ჩემი გადაღლილი სხეული, მხოლოდ ნანას სიცოცხლეზე იყო დანყებული გამძაფრებული ნადირობა.

საკმაოდ გამოფხიზლებული ვიყავი უკვე. თვალებს კი ჯიუტად არ ვახელდი. თუმცა თვალეზახუჭულიც ვგრძნობდი, რომ ნანას საძინებლის კარი ტრადიციულად გამოღებული დაეტოვებინა. არაერთხელ მითქვამს, რომ არ მიყვარდა კარებელია ოთახში ძილი, მაგრამ მაინც ავინწყებოდა ხანდახან. ადრე ვუბრაზდებოდი, მაგრამ ახლა მხოლოდ გამედიმა. კარგა ხანი იყო უკვე, ყველაფერზე თვალს ვხუჭავდი და მხოლოდ ვეფერებოდი.

კარის ღრიჭოდან კი შორეულმა ხმაურმა შემოაღწია. ნანა სამზარეულოს ანესრიგებდა. მერე ხმაური შეწყდა. ახლა ნანა შემოვა, — გავიფიქრე მე და სხეული მოლოდინით დამეძაბა.

შემოვა, ფეხაკრეფით მოვა სანოლთან, დაიხრება, სახეს ახლოს, სულ ახლოს მოიტანს, იმდენად ახლოს, რომ სახეზე მისი სუნთქვა დამეფინება და სიბნელეში თვალეზზე დამხედავს, ღია მაქვს უკვე თუ არა.

სულ ასე აკეთებს ხოლმე დილაობით და თვალეზიას თუ ნამასწრო, ბავშვივით ხალისობს. გამეღიმა. მერე, როგორც იქნა თვალეზი გავახილე, მზერა დავძაბე და ქუჩიდან შემოსულ შუქზე საათის ისრების დანახვას შევეცადე. მგონი ხუთის ნახევარი ხდებოდა. ხუთზე კი სახლიდან უნდა გავსულიყავით. ადგომა დავაპირე, მაგრამ მამინვე გადავიფიქრე, ბარემ ნანას შემოსვლას დაველოდები-მეთქი.

სამზარეულოდან კი ხმაურის ნაცვლად, რაღაც მოულოდნელმა სურნელებამ შემოაღწია. გონება დავძაბე თუ არა, იმ სურნელებას შორეულ ბავშვობაში მივაგენი. ბებია ხარშავდა ხოლმე ალუჩის ბუშის ტყემალს გურიაში და ზუსტად იმ ტყემლის სუნმა გაავსო დილაუთენია ოთახი.

გურიის ერთ-ერთ სოფელში მაჩუქეს ამას წინათ ერთი ბოთლი. დავყნოსე და მამინვე მივხვდი, რომ ჩემი ბავშვობის ტყემალი მეჭირა ხელში. ვთქვი კიდევ, ალუჩის ბუშის ტყემალია-მეთქი. მასპინძლებს იმდენად გაუკვირდათ ჩემი განსწავლულობა და ისე გახალისდნენ, რომ ვილაც გააგზავნეს და რამდენიმე ბოთლი კიდევ მომიტანეს. არ იცოდნენ, რომ, იქვე ახლოს, მეზობელი სოფლიდან მიქნევდა ხელს საკუთარი ბავშვობა.

ბებია რომ ალუჩის ბუშისგან ტყემალს მოხარშავდა, სიმინდის ნაგულათი ხურავდა მერე ბოთლებს და ჩვენი „ქუხნა სახლის“ ყველაზე ბნელ და გრილ კუთხეში მარხავდა მინაში. ის თავსახურები სიბნელეში თეთრად ანათებდნენ და ხშირ-ხშირად ვითვლიდი ხოლმე. მაინტერესებდა რამდენი ბოთლი სიამოვნება მქონდა მიწიდან ამოსაღები. მგონი თვლაც იმ ბოთლების თავსახურებზე ვისწავლე.

შევიპარებოდი ხოლმე ჩვენს „ქუხნა სახლში“, ამოვთხრიდი ერთ ბოთლს და მერე ბოთლიანად ჩავიპარებოდი ხოლმე ბებიაჩემის მუზეუმით მოვლილ ბოსტანში. ფორჩხის კიტრი მეგულებოდა იქ, ტყემალთან ერთად ნამდვილი ნეტარება.

კიდევ ერთხელ გამეღიმა. ბავშვები ყველ-

გან ტკბილედ მტრობენ ხოლმე, მე კი ტყემალზე ვიყავი ჩასაფრებული. ბებიაჩემს რამეს გამოაპარებდი?! მაგრამ თვალს ხუჭავდა და ვითომ ვერ ამჩნევდა ჩემს კულინარულ სიცუღლუტეს. ყოველთვის გული მწყებოდა, რომ ნანამ ვერ მოუსწრო ბებიას, მაგარი მეგობრები იქნებოდნენ

ნანა როგორც კი ვახსენე, შემოვიდა კიდევ. სიბნელეში ვარჩევ. ჯერ კართან შეჩერდა და იქიდან დამაკვირდა. მერე, როგორც ვვარაუდობდი, ფეხაკრეფით წამოვიდა სანოლისკენ, ჩემსკენ დაიხარა, სულმთლად თვალეზთან მოიტანა სახე და დამაკვირდა. ხელები შემოვხვიე და ჩავიხუტე. მოულოდნელობისგან ჯერ წამოიკვილა, მერე გაეცივნა და მშვიდად შემაქო: — სულელი!

— სინათლე ავანთო?! — მკითხა მაშინვე. — ვაგვიანებთ, უნდა ადგე, — დაამატა და მერე რამდენჯერმე მაკოცა.

მე ისე ვიყავი სათქმელით პირთამდე გადავსებული, რომ ცოტაც და ბაგეებს მონოლილი სიტყვები დამახრჩობდა ალბათ. მინდოდა მეთქვა, როგორ მიყვარდა და როგორ მიჭირდა უკვე ყველაფრის გაძლება. როგორი უაზრო გახდებოდა ცხოვრება მის გარეშე, თუმცა, თავადაც კარგად იცის, რომ ათასი რამ გადამხდენია, მაგრამ იღბალს ბოლომდე არასოდეს გავუწირივარ, არც ახლა გამწირავს და ამიტომ ყველაფერი კარგად დამთავრდება.

ოღონდ ცოტა უნდა მოვითმინოთ ორივემ და ერთად გადავიტანოთ გადასატანი. რომ ახალ ბინაშიც მალე გადავალთ და სიცოცხლის ბოლომდე ერთად ვიქნებით, მხოლოდ მე და ის, მხოლოდ მე და ის რომ კიდევ რამდენიმე წელიც მალე გაივლის და ქორწინებიდან 50 წლისთავსაც აღვნიშნავთ ახლობლებთან ერთად, რომ მართალია ის ცალკე სხეულია და მე ცალკე, მაგრამ არსებობით მხოლოდ ერთად ვარსებობთ, რადგან, დიდი ხანია ერთმანეთის ნაწილი გავხდით უკვე და ერთმანეთის გარეშე ვერცერთი ველარ ვიარსებებთ რომ რომ რომ რომ...

კიდევ ბევრი რამ მსურდა მეთქვა, მაგრამ ვერაფერიც ვერ ვთქვი და მართლა რომ არ დავეხრჩვე ამდენ დასაკარგად განწირულ სათქმელს, გაბზარული ხმით ერთადერთი სიტყვის გახმიანება მოვახერხე — ანთე!

როცა მომცილდა და სინათლე აანთო, სანამ ოთახიდან გავიდოდა, კართან შეჩერდა, გამომხედა და მკითხა:

— ჩაი თუ ყავა?!

— ყავა! ტყემლისთვის კი მადლობა.

— როგორ მიხვდი, გულთმისანი ხარ?! სი-

ურპრიზად მინდოდა, ვენაში მინდოდა სასტუმროში მომეცა

ალარაფერი მითქვამს. სანოლზე წამოვჯექი და მზერით გავაცვილე. გაუბედავი ფიქრით ფერმკრთალი იყო და სულთმლად სიფრიფანა.

მერე, როცა სახლიდან გასასვლელად უკვე მზად ვიყავით, მოულოდნელად ნანამ უხერხული ლიმილით შემაჩერა და ერთი წუთით საძინებელში შევიდეთო, მთხოვა. კი ბატონო-მეთქი, — ვუთხარი, ჩანთები იქვე სადარბაზოს კართან დავყარე და ოთახში შევყევი. მომიტრიალდა და მეუბნება: — მოკლედ, რაღაც უნდა გითხრა, ძალიან გთხოვ ყურადღებით მომისმინო და როგორც იცი ხოლმე, ხუმრობა არ დაიწყო, ისედაც ვწერ-იულობ ისედაც მიჭირს და ბოლომდე მომისმინე, ნუ გამანყვეტინებ, კარგი?!

— ხო, ნანა, გისმენ საყვარელო.

— ბევრი არც არაფერი მაქვს სათქმელი, მაგრამ მაინც. ჩემს უჯრაში წერილი დევს კონვერტში, ჩემი უჯრა ხომ იცი, ზემოდან მეორე. შენი შარფებისა და ცხვირსახოცების ქვემოთ. იქ დაწვრილებით წერია რა უნდა გააკეთო მერე ანუ ჩემს შემდეგ. მაცალე, ამიტომ ამაზე აღარ გავაგრძელებ. ახლა იმას გეტყვი, რაც იქ არ წერია, მაგრამ აუცილებლად უნდა გითხრა. მესმის, რომ ეგოისტი ვარ, მაგრამ, რა ვქნა, სხვანაირად არ შემიძლია

მოკლედ, თუ რამე მოხდა, ცუდი რამე, მარტო რომ დაგიხელთებენ, ვიცი მე, მშიერი ტურებივით დაგეხვევიან მეძებარი ქალები. ჰოდა, ძალიან გთხოვ, გემუდარები, ეს უკანასკნელი თხოვნა შემისრულე და არავინ მოიყვანო. ვიცი, რომ ეგოისტი ვარ, გითხარი უკვე, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია, ამაზე ფიქრსაც კი ვერ ვეგუები. იცოდე არავინ მოიყვანო, თორემ მე ხელმეორედ მოვკვდები იქ!

გაჩუმდა და გვერდზე გაიხედა. მერე თვალელები ცრემლით აევსო, ძალა მოიკრიბა, ისევ შემომხედა, რაღაც სულმთლად უსუსურად გაიღიმა და მკითხა: — მპირდები?

მას ჯერ კიდევ დამთავრებული არ ჰქონდა საუბარი, მე რომ გავიფიქრე, წელან სანოლში რისი თქმაც მინდოდა, ის ყველაფერი რომ მეთქვა, ნანა ამას აღარ მეტყოდა-მეთქი, მაგრამ, რაღა დროსი იყო. ახლა სასწრაფოდ უნდა მეთქვა რამე. დიდხანს ჩუმიად ყოფნაც არ შეიძლებოდა. დაგვიანებას რომ თავი დავანებოთ, ნანას არ უნდა ეფიქრა, რომ სათქმელს ვეძებდი.

— ახლა მე მომისმინე-მეთქი, დავინყე —

რაც შენ ახლა პესიმისტური სისულელები დაახვავე, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გპატიობ, რომ კიდევ ერთხელ ვიგრძენი, მართლა რაოდენ ძვირფასი ყოფილხარ ჩემთვის. გესმის რას გეუბნები?! ამიტომ გპატიობ. მორჩა, სიტყვა აღარ დაძრა ამაზე, რის და ვის მოყვანაზე მელაპარაკები, ხომ გითხარი ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. ჯერ არ მითქვამს, ახლა გეუბნები აგერ ნახავ, დავბრუნდებით და იმ წერილსაც ერთად დავხვევთ, არც კი ნავიკითხავ, ისე, ჰოდა, წესიერად გაიღიმა ახლა, მოდი და მაკოცე.

ვიგრძენი როგორ მოეშვა გულზე და როგორ დამშვიდდა. მერე მართლა უკეთესად გაიღიმა და მომიახლოვდა. კოცნით აღარ უკოცნია, მაგრამ თავი მკერდზე ისე დამადო და ისე ჩამეხუტა, რომ ათი ათას კოცნას სჯობდა. მე კი უეცრად მძაფრად ვიგრძენი, როგორ დააბიჯებდა სახლში სიკვდილის აჩრდილი და დიდი სურვილი ჰქონდა, რომ ჩვენ ამას შევგუებოდით.

უუუხ! მე ამისი რაღაც მჭირს ეტყობა ამ ბოლო დროს, ყველაფერზე ცრემლი მეძალევა. როგორ თქვა?! მშიერი ტურებივითო, არა?!. ამ მშიერმა ტურებმა და მეძებარმა ქალებმა ცოტა არ იყოს გამაოცა. ხატოვან გამოთქმებს იშვიათად ხმარობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, იმდენი ხანი წუხდა და ფიქრობდა ამაზე, რომ ამასობაში ტურებსაც მოშვიდათ.

ყველაფერი დამთავრებული რომ მეგონა, ცოტა მეც რომ დავწყნარდი და მანქანაც რომ დავძარი, ყველაზე უცნაური რამ ზუსტად მაშინ მითხრა ნანამ.

— ერთი წუთი მანეჟთან მიმიყვანე, კარგი?! სულ ერთი წუთი მჭირდება, მეტი არა, გეხვეწები, არ გამიბრაზდე.

თავიდან ვიფიქრე მეხუმრება-მეთქი. ამიტომ ზერელედ ვუპასუხე, — რომ დავბრუნდებით, მაშინ მიგიყვან-მეთქი მანეჟთან.

— ვაიმე, გეხვეწები, არ შემიძლია, მანეჟის გარეშე ვერ წამოვალ, სულ ერთი წუთი მჭირდება. — სერიოზულად შემფოთდა.

მივხვდი, მანეჟთან რომ არ მიმიყვანა, მართლა ცუდად გახდებოდა, მაგრამ, ერთი გაბრძოლება მაინც მოვახერხე, შენ ხომ არ გარეკე ამ დილაადრიან-მეთქი, რა დროს მანეჟია, ისედაც ვაგვიანებთ-მეთქი, ანდა საერთოდ რა ხდება ამ მანეჟთან, ცხოვრებაში არ გაკარებიხარ, რომელი მძლეოსანი შენ მყავდი-მეთქი, არსადაც არ გადავუხვევ, ისე მითხარი, რა გინდა მანეჟთან-მეთქი. ნანა კი მაინც არ იშლის — ვაიმე, გეხვეწები, სულ ერთი წუთი მჭირდება, ისე მართლა ვერ წამ-

ოვალ მანეჟის გარეშე, რალაცას დავდებ და მორჩა.

მაგრად დამაბნია. არადა, ის დასანვავი მძლეოსნობის მანეჟი იქვე, ორი ფეხის ნაბიჯზე იყო. ჰა და ჰა, სულ რალაც 50 მეტრით თუ მიმრუდებდა გზას. თანაც იმდენად დამაინტერესა, ნეტა რა უნდა იქ-მეთქი, რომ, ხმამალა კი ვილანძღებოდი, მაგრამ, გადახვევით მაინც გადავუხვიე.

მანეჟის ყრუ კედელზე რამდენიმე გადახურვის პანელი იყო მიწყობილი. ზუსტად იმ პანელების მოპირდაპირედ, ნაგვის კონტეინერთან გამაჩრებინა მანქანა. სულ ერთი წუთით, კიდევ ერთხელ მითხრა, ხელჩანთიდან რალაც პარკი ამოიღო, მანქანიდან გადავიდა და კარი ტრადიციულად ღია დამიტოვა. კიდევ უფრო გამიძლიერდა ცნობის-მოყვარეობა, ნეტა რას აპირებს-მეთქი.

— ცუგა! ცუგა! ცუგა! ცუგა! — მესმის უეცრად და მაშინვე ყველაფერს მივხვდი. ღმერთო ჩემო, უპატრონო ძალღს მოაკითხა-მეთქი, გავიფიქრე და მაშინვე ისიც დავინახე, ის უპატრონო ძალღი პანელებიდან გამოძვრა, კუდი ააქიცინა და იმდენად დანდობილად გამოიქცა ნანასკენ, რომ ეჭვი არ იყო, დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდათ. გამოქცევით კი გამოიქცა, მაგრამ სირბილი აშკარად უჭირდა, ინვალიდი იყო. წინა მარჯვენა ფეხს ვერ ადგამდა. ისე ჰქონდა ზემოთ ანეული, თითქოს ვინმესთვის თათის ჩამორთმევას აპირებსო. არადა, ზუსტად თათი ქონდა დაზიანებული, მხოლოდ კანითა და მყესებით ეკიდა ფეხზე და მოძრაობის დროს თავისუფლად ქანაობდა.

მოიბრინა ნანასთან. მოუსვენრად ცქმუტავდა და სიხარულისაგან მთელი ტანით ცახცახებდა. ტიპიური ეზოს ძალღი იყო, საშუალო ტანის, შავი, ყავისფერი დრუნჩით და ჭკვიანი თვალეებით. ნანამ იქვე, სანაგვე კონტეინერის გვერდით დაუყარა ყველაფერი, პარკი სანაგვეში ჩააგდო, რამდენჯერმე თავზე ხელი გადაუსვა და მანქანაში დაბრუნდა. წავედითო, დამნაშავის ხმით მითხრა და თვალეები დახუჭა.

ახლალა მივხვდი, რატომ გახშირდა ამ ბოლო დროს სახლში ქათმისგან დამზადებული კერძები, მოხარშული დედალი ან შემწვარი ვარია, ჩახობილი ან სულაც ჩიხირთმა და იმასაც მივხვდი, რატომ წავანყდებოდი ხოლმე მაცივარში საგულდაგულოდ შეფუთულ ძვლებს. მუდამ კითხვას რომ ვაპირებდი, რა ხდება-მეთქი და მუდამ რომ მაინყდებოდა. ახლა გახდა ყველაფერი ნათე-

ლი

ეს, ნანა! ნანა! დიდი უცნაური ვინმე ხარ-მეთქი, გავიფიქრე და ცოტა ხნის მერე დავამატე — მაგრამ ძალიან, ძალიან საყვარელი.

ხუთ საათზე გამელვძია. გარეთ, ბუნებრივია, ჯერ ისევ ბნელოდა, მაგრამ ოთახში სინათლე ენთო. უძილო ღამეებისაგან გადაღლილს პირდაპირ ჩაცმულს ჩამძინებია წუხელ. წამოვდექი, ცოტა ხანს ცარიელ სახლში ვიბოდიალე უაზროდ, მერე სამზარეულოში გავედი. აქაც სინათლე ენთო. პირი მიშრებოდა. მაცივარი გამოვალე და კარგა ხანს უაზროდ ვიცქირებოდი შიგნით. დამავინყდა, რას ვაპირებდი. მაცივრის თაროები უნესრიგოდ შეყრილი საჭმლის ნარჩენებით იყო გამოტენილი. აუუ, რა გადაყრის-მეთქი ამდენ საჭმელს, ესეც გავიფიქრე და მაშინვე რალაც გამახსენდა. უკვე სანახევროდ მიხურული კარი ისევ გამოვალე და საჭმელების გამოლაგება დავინყე, თან ჩემთვის ვამბოდი, ეს არ გვინდა, ესეც ეს გამოგვადგება, ესეც კარგია, მოენონება მერე. რაც გადავარჩიე, ყველაფერი პარკში ჩავყარე, ინსტიქტურად თავს სარკეშიც შევავლე თვალი და სადარბაზოში გავედი.

ქუჩა ის-ის იყო იზმორებოდა. ჯერ ფეხით დავაპირე მისვლა, მაგრამ მაშინვე გავიფიქრე და მანქანა დავქოქე. სულელური ფიქრი ამეკვიატა, მე არ მიცნობს, მაგრამ იქნებ მანქანა იცნოს-მეთქი, თუ კი ისევ იქ დამხვდა, ანდა, თუ კი საერთოდ ცოცხალია-მეთქი.

მანეჟთან რომ მივედი, მანქანა ზუსტად იქ გავაჩერე, პანელების მოპირდაპირედ და სანაგვე კონტეინერთან ახლოს. ძრავა რომ გამოვრთე და მანქანიდან გადმოვედი, მაშინვე პანელებს გავხედე უიმედოდ. ქუჩის უღიმღამო განათების ფონზე ზედმეტად პირქუშად გამოიყურებოდა იქაურობა. მომეჩვენა, რომ რამდენიმე პანელი კიდევ მიემატებინათ.

— ცუგა! ცუგა! — რამდენჯერმე გაუბედავად დავიძახე და ზედ სტვენაც მივაყოლე, მაგრამ უშედეგოდ. კიდევ დავუძახე მერე კიდევ და ხელი რომ ჩავიქნიე და მანქანაში ჩავჯექი, ერთხელ კიდევ მაინც გავხედე პანელებს. ღმერთო ჩემო, იქ იდგა, პანელებთან. გაუნძრევლად იდგა და ოდნავ თავანეული ჩემსკენ იყურებოდა. ისევ გადმოვედი მანქანიდან, თან პარკი გადმოვიტანე და ნაგვის კონტეინერისკენ გადავინაცვლე. თან, რაც შეიძლება თბილი ხმით ვუხმობ: —

თიმურ ჭაუხასაძე. ბალიშბული ცრემლი

ცუგა! ცუგა! მოდი ცუგა! ნუ გეშინია მოდი, ნანამ საჭმელი გამოგიგზავნა, ნანა ხომ გახსოვს, მოდი, სადაც ის გიყრიდა, მეც იქ დაგიყრი და ჭამე, მოშიებული იქნები. მადლობა ღმერთს ცოცხალი ყოფილხარ მოდი, მოდი.

ძალმა ჯერ რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი გადმოდგა ჩემსკენ, მერე შეჩერდა და დაეჭვებულმა გამომხედა. მაგარი გამხდარი იყო, დასუსტებული და შელახული. წინამარჯვენა ფეხი ძველებურად ჰქონდა ზემოთ აწეული და მყესებზე ჩამოკიდებული თათი მოძრაობის დროს ისევ თავისუფლად ქანაობდა. კარგა ხანს იწვალა ასე, გადმოდგამდა რამდენიმე ნაბიჯს და გაჩერდებოდა, კიდევ გადმოდგამდა და ისევ გაჩერდებოდა. ბოლოს შიმშილმა მაინც თავისი გაიტანა და როგორც კი ერთმანეთში ახელილი საჭმლის ნარჩენები ძირს დავუყარე და თავად განზე გავდექი, კოჭლობით მივიდა, ყველაფერი დასუნა, მადლიერი სახით შემომხედა, წამით კუდიც გააქიციანა, საჭმლის წინ ჩანვა და ჭამა დაიწყო. ეტყობოდა მაგრად იყო მოშიებული. მიუხედავად ამისა, ჭამის დროს შიგადაშიგ მაინც გადმომხედავდა ხოლმე.

მე მოშორებით ვიდექი და სიამოვნებით ვუყურებდი. წესით უნდა ნამოვსულყავი, გასაკეთებელი ხომ გავაკეთე და რალა მინდოდა იქ ამ დილაუთენია, მაგრამ, თითქოს რალაც ძალა მაკავებდა და ვერ ვცილდებოდი იქაურობას. მერე გამოვბრუნდი, მანქანის კარი გამოვალე, იმ სკამზე ჩამოვჯექი, სადაც ნანა იჯდა ხოლმე და ახლა აქედან ვაკვირდებოდი ცუგას ტრაპეზს. მერე კი ჩემთვის მოულოდნელად ლაპარაკი დავინწყე:

„ჭამე ცუგა! ჭამე! ეს ყველაფერი ნანამ გამოგიგზავნა. გუშინ ორმოცი იყო, ორმოცი დღე გავიდა გუშინ. შენ ვიცი არ დამიჯერებ, მაგრამ, მე მაინც გეტყვი, გარდაცვალების წინ, ორი დღით ადრე, შენც გახსენა, შენზეც ფიქრობდა. არა, არა ვცდები, ორი კი არა, სამი დღით ადრე გახსენა ხო, სამი დღით. ასე თქვა, ნეტა ცუგა როგორ არისო, ცოდოა, ორი თვე ხდება, არაფერი მიმიტანიაო. გაიგე ცუგა, ასე თქვა, ძალიან მეცოდებაო, უპატრონოაო. შენ ჭამე! ჭამე! მე ნუ მიყურებ, ჭამე და ისე მისმინე. ლაპარაკი მინდა, რალაც-რალაცებს მოგიყვები.

საერთოდ თუა ნეტა ცოცხალიო, შენზეც ნერვიულობდა, გითხარი უკვე. ცოცხალი ყოფილხარ და გამიხარდა. ნანასაც გაუხარდებოდა. ცოტა კი შეფერთხილხარ, ცოტა კი არა, მაგრად, გასაგებია, ნანას ხელი მო-

გაკლდა, მაგრამ არა უშავს, აწი მე მოგხედავ ჩათვალე, რომ ისევ ნანა. ნანას ხელი მეც მომაკლდა, მაგრამ, ხომ ხედავ, ვუძლებ. ჯერჯერობით ვუძლებ, შენც უნდა გაუძლო, ერთად უნდა გავუძლოთ. ხომ გითხარი, ჭამემეთქი, მე რატომ მიყურებ.

ხედავ შენ, ორი თვე გასულა, ეს მან თქვა. ორმოცი დღეც დავამატოთ და ორი თვე დაკიდევ ორმოცი დღე გასულა გუშინ. იყო ორი თვის და ორმოცი დღის წინ ვიყავით შენთან, ხომ გახსოვს, თვითონ ისეთ დღეში იყო და შენ საჭმელი მოგიტანა ასეთი იყო, უცნაურად კეთილი, აეროპორტში გვეჩქარებოდა მაშინ. მოკლედ, ორმოცი გუშინ იყო. შენ ამას ვერ გაიგებ, ამ ორმოცს. წესი გვაქვს ასეთი ჩვენ, ადამიანებს ჯერ ორმოცი, მერე წლისთავი და მერე თურმე ვალმოხდილი ხარ, აბა?!

თქვენ უფრო ერთგულები ხართ, ცუგა. იცი, რამდენი რამე დაწერილა და რამდენი ფილმი გადაღებულა თქვენს ერთგულებაზე? არ იცი, მაგრამ, სამაგიეროდ, ერთგულება შენც გეცოდინება. მეც ვიცი ცუგა, ასე რომ, ადვილად მიხვდები მე რა დღეში ვარ. შენი ნამდვილი სახელი არც მან იცოდა, არც შენ იცოდი მისი სახელი. მე გეტყვი ნანა ერქვა არა! ნანა კი არა, ჩემი ნანა, ასე მირჩევნია. აღარ არის ჩემი ნანა, გაიგე ცუგა?! აღარ არის. ცუგას გეძახდა შენ და მეც ასე დავიძახებ. ჭამე შენ! ჭამე, ჭამე, მე ნუ მიყურებ. მე ცოტას კიდევ ვილაპარაკებ, ნავალ მერე რა ვქნა, ლაპარაკი მინდა, ცუგა, მაგრამ ვის ველაპარაკო?! ვერავის ვეუბნები, რამჭირს, ცუგა, მერიდება სხვებთან, შენთან არა, შენი არ მერიდება, შენ გეტყვი ყველაფერს და ეგებ ცოტა მომეშვას. ოღონდ შენ ჭამე, ეს საჭმელი მან გამოგიგზავნა, ხომ გითხარი, გუშინ ორმოცი იყო-მეთქი, სავსეა მაცივარი, ყველაფერს შენ მოგიტან. მერეც მოგიტან, ნანამ დამიბარა. არა, კი არ დამიბარა, სიკვდილის წინ ორი, არა, სამი დღით ადრე გახსენა. გესმის, ცუგა, შენზეც კი ფიქრობდა სიკვდილის წინ, იმ საცოდავს საჭმელს ვინლა მიუტანსო. მისთვის არ მითქვამს, მაგრამ ჩემთვის გავიფიქრე, მე მივუტან-მეთქი, მაგრამ, ხომ ხედავ, ვერ მოვედი. ბოდიშს გიხდი, არ შემეძლო, არაფერი არ შემეძლო. დღეს შევძელი, ხუთ საათზე ავდექი, როგორც მაშინ, აეროპორტში რომ მივდიოდი და ნანამ შენსკენ გადმომახვევინა. პირველად რომ გნახე, გავიღვიძე და შენთან ნამოვედი. იცი, ბოლო ათი წელი რას ნატრულობდა, ცუგა?! როგორმე ერთი პატარა ბინა ვიყიდოთ, სადაც მხოლოდ მე და შენ ვიცხ-

ოვრებდითო. მხოლოდ მე და შენ განმარტობითო. შვილებიც ძალიან უყვარდა, შვილიშვილები ხომ საერთოდ, მაგრამ, მხოლოდ მე და შენო, ამაზე ოცნებობდა. კარგა ხანს ვერ ვახერხებდი, ცუგა, უამრავი პრობლემა მოჰქონდა ცხოვრებას. ბოლოს მაინც მოვახერხე, როგორც იქნა. დღე და ღამე იმ ახალ ბინაზე მელაპარაკებოდა, ყველაფერი დახატა და დახაზა, მაგრამ ეს წუთისოფელი, როგორც ჩანს, ბრმაა, ცუგა, ყრუც და თან დაუნდობელი, არც შენი ნატვრა ესმის, ცუგა, და ვერც შენს სიხარულს ხედავს. როცა ყველაფერი დავამთავრე, ზუსტად მაშინ მიმატოვა ნანამ, ზუსტად მაშინ, გესმის, ცუგა, ერთი დღე რა არის, ერთი დღეც ვერ მოვასწარით ერთად ყოფნა, ერთი დღეც. მხოლოდ სამი ღამე გაათენა, ცუგა, იმ სახლში, ოღონდ თავის საძინებელში კი არა, სამუდამო განსასვენებელში იწვა, ცუგა, და მე ღამეს ვუთევდი სასთუმალთან

შენ გეტყვი, ღამლამობით, მარტო რომ ვრჩებოდით, ვეფერებოდი კიდეც ვეფერებოდი და თან ვზღუქუნებდი ჩემთვის. ჭამე შენ!

ხომ გესმის, ახლაც ვზღუქუნებ. ამ ბოლო დროს დამჩემდა, გამახსენდება რაღაც, ვზღუქუნებ. შევეხები მის რომელიღაც ნივთს, ვშემდეგი უეცრად და ვზღუქუნებ.

იცოცხლე, როგორი ვერაგი ყოფილა ის დაავადება, ცუგა? ნამდვილი უბედურებაა, ნამდვილი სასჯელი, მინისძვრასავით სერიოზული ნამდვილად სასჯელია, მაგრამ შენ იმას ველარ არკვევ, რისთვის გსჯიან. ჭაობია ცუგა, ჭაობი. როგორც ჭაობი, ისე გითრევს თანდათან, აუჩქარებლად, მეთოდურად და დაჟინებით. ხსნა კი არსაიდან. ირგვლივ ყველაფერი ძველებურადაა, ყველაფერი ძველებურად, შენ კი ჭაობი გითრევს. ხანდახან პატარ-პატარა იმედის კუნძულებსაც გადაეყრები, თითქოს რაღაც სიმყარეზე იკიდებ ფეხს, ისიც ჭაობია, ცუგა, მაგრამ, სამაგიეროდ, იმედი გიჩნდება, რომ ადრე თუ გვიან ნაპირზე გააღწევ. იცი, ეს როგორაა, ცუგა, თითქოს ჩანაცრებულ უიმედობას ქექავ, ქექავ და სადღაც თავგადანახულ იმედის ნაპერწკალს გადაეყრები, ნამიერად შვების ნიავი ჩამოგიქროლებს, ერთი-ორი დღე შედარებით მშვიდად ხარ და ღამის ღიმილიც გიბრუნდება, მაგრამ მერე, მერე ერთხელ და ორჯერ უკვე შეგუებულის თავიდან შეგუება გინევს, ცუგა, აუუუ, როგორი ძნელია, რომ იცოდე.

გამშვიდებენ ცუგა, ბავშვობაში ესა და ეს ხომ აქვს მოხდელი?! ხოდა, შესაძლოა ეს

სულაც მისი გამოძახილი იყოს, გეტყვის ვინმე და ესეც შენი იმედის პატარა ნაპერწკალი. ყველაფერს ადვილად იჯერებ ცუგა, ადამიანები ასე ვართ მოწყობილები, შვების მომცემი ვარაუდის დაჯერება უფრო გვეადვილება, ვიდრე გარდაუვალი დასასრულის. ჭამე შენ!

ეს სურათი ყველა მონაცემით ნაწლავის ტუბერკულოზში თავსდება და რატომ არ გვინდა ამაზე ვიფიქროთ?! ამას უკვე მეორე ამბობს.

ორსულობის შემდეგ სეფსისი ხომ გქონდათ?! ჰოდა ეს სურათი შესაძლოა, სულაც მისი გამოძახილი იყოს, ამბობს მესამე.

მე კი მეტი გამოსავალი სად მქონდა ცუგა, დავხტოდი წინ და უკან ამ შვების ვერსიებზე, მაგრამ ფეხს ვერსად ვერ ვიკიდებდი. იმიტომ, რომ იმიტომ, რომ ჭაობი უღმობელია ცუგა, ხომ გითხარი უკვე, უღმობელი და ვერაგი. როგორც ამღვრეული სითხე ინმინდება ნელ-ნელა, ისე დაილექა ცუგა თანდათან შვების ყველა ვერსია იმ ჭაობის ფსკერზე და ზედაპირზე ერთადერთი ვერსია ამოტივტივდა, ბოლოს ერთადერთი და განუმეორებელი — კიბო!!! სიტყვა განაჩენი.

ადამიანებმა გარდაუვალი სასჯელის დროს იციან ხოლმე კითხვა ცუგა, რამდენი მიუსაჯეს?! სამი?! ხუთი?! ათი წელი?! თუ თხუთმეტი?! ან იქნებ სამუდამო?! აქ კი სასჯელი წლები კი არა, სიტყვაა ცუგა, ერთადერთი სიტყვა, მაგრამ როგორც უკვე გითხარი, სიტყვა განაჩენი ჩვენც ეს სიტყვა მოგვისაჯეს ცუგა, სიტყვა, რომლის ხსენებასაც კი ყველა ერიდება, სიტყვა, რომელიც გაიძულებს რეალობას ბოლოსდაბოლოს თვალი გაუსწორო და გაფითრებულმა შეაბიჯო განწირულთა ჭაობში.

ვიცი, ცუგა, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ დაავადებაა, როგორც ათასობით სხვა, მართალია ძალიან ვერაგი, მაგრამ მაინც დაავადება. მე კი, იცი, რა მჭირდა ცუგა, როგორც ცოცხალ არსებას ისე აღვიქვამდი, როგორც მეტოქეს, რომელიც ღმერთმა იცის, საიდან მოვიდა, მოვიდა და სიყვარულის წართმევა დამიპირა

მითხარი ცუგა, შემეძლო მე ამის შეგუება?! არა! არ შემეძლო და ამიტომ ვემუქრებოდი, დედას გიტრებ-მეთქი, ერთხელ დამესიზმრა კიდეც რაღაც უსახო და ამორფული, მე რომ სიზმარში მისკენ მუქარით მივიწვედი და რაღაც ძალა მაკავებდა, ის იდგა და დამცინავი ღიმილით მიყურებდა.

ბევრი ვეომე ცუგა, აუუ, რომ იცოდე რამდენი ვეომე, მაგრამ ბოლოს დავიღალე ცუგა,

მაჯობა, მაინც მაჯობა, თანდათან ჩამითრია უსუსურობის ჭაობში თანდათან ჩამო-
მაყრევინა ხელები, მაგრამ გარდაუვალ
მარცხს მაინც ვერაფრით ვეგუებოდი, ცუგა.
მარცხსაც ხომ გააჩნია, ამქვეყნად ყველაზე
საყვარელ ადამიანს მართმევდნენ, ჭამე,
ჭამე შენ.

ირგვლივ კი სიცოცხლე გრძელდებოდა,
ცუგა, გითხარი უკვე ვილაც იცინოდა, ვილაც
ხალისობდა, ვილაცას პაემანზე მიეჩქარებო-
და ყვავილებით ხელში. მეც პაემანზე მივ-
დიოდი, ცუგა, ოღონდ სიკვდილთან და ისიც
კარგად ვიცოდი, რომ უეჭველად მოვიდოდა.
ერთადერთ რამეს ვცდილობდი მხოლოდ,
როგორმე ცოტათი მაინც გადამენია მასთან
შეხვედრა.

რადგან მეტი აღარაფერი შემეძლო. მოვ-
იდა მერე, გამთენიისას მოგვაკითხა.

ძნელი ყოფილა, ცუგა, სიკვდილთან პაე-
მანი. მიჭირდა, ცუგა, ძალიან მიჭირდა, ველ-
არ ვუძლებდი ამ გაუსაძლის მოლოდინს.
იცი, ყველაზე უფრო რა მიჭირდა?! გალიმე-
ბა! გალიმება მიჭირდა, ცუგა, როგორია, შენ
ასეთ დღეში ხარ და გინდა-არგინდა, უნდა
გაიღიმო, ნანასთვის უნდა გაიღიმო, შენ სიყ-
ვარულსა და შენს სიცოცხლეს უნდა გაული-
მო, მაშინ, როცა იცი, რომ ორივეს გართ-
მევენ. როგორია, უპეები ცრემლით გაქვს
სავსე, სახეს კი ღიმილი გიმკობს. გაუძლებ
ამას ცუგა?! გაუძლებს ვინმე ასეთ გაუსაძ-
ლის ღიმილს, ცუგა?!

მე ვუძლებდი. ახლაც არ მესმის, როგორ,
მაგრამ ვუძლებდი. ნანას გულისთვის ვუ-
ძლებდი, რამე რომ არ ეგრძნო. ვითომ
ტყუილია, ცუგა, ეს ცხოვრება, ტყუილია და
სიყალბეა, მუდმივად სიცრუეს გაიძულეხს.
სიცრუე ყოფილა ცუგა სიყვარულის ხარკი,
ცრუ ღიმილი ყოფილა ცრემლიანი ღიმილი.

ლეონარდო ახერხებდა უცნაური ღიმი-
ლების დახატვას. ლეონარდო მაგარი იყო,
მაგრამ არა მგონია, ამგვარი ღიმილის დახ-
ატვა მოეხერხებინა. განა შეიძლება გალიმე-
ბული ცრემლის დახატვა?! ალბათ არა.

მიდი, შენ ნუ გაჩერდები, ჭამე, ჭამე. მე
რატომ მიყურებ, ყურება სულაც არაა სა-
ჭირო, ხომ გესმის?! ჩემი ხომ გესმის?! ხოდა,

მთავარი ესაა. მთავარია, ჩემი გესმოდეს.
ვინმეს ხომ უნდა ესმოდეს ჩემი?! ვინმემ ხომ
უნდა იცოდეს რა მჭირს?! ცოტათი მაინც
ხომ უნდა იცოდეს ვინმემ?! ა?! რას იტყვი
ცუგა, ა?! შენ რას ფიქრობ ამაზე, ა?! თუმ-
ცა, შენც რა იცი ცუგა, რა არის ფიქრი. არ
იცი და ამიტომაც ხარ ბედნიერი. ხარ შენ-
თვის პანელებში შეყუჟული და არაფერზეც
არ ფიქრობ. ფიქრის არქონა ბედნიერებაა
ცუგა შვეება და ბედნიერება.

მე კი, ხომ ხედავ, აღარ შემიძლია ცუგა,
ველარ ვუძლებ, ლამის დამახრჩოს ფიქრმა,
ჯერ ფიქრმა და მერე ცრემლებმა. მაინც
საიდან ამდენი, ან სად ეტევა. თუმცა, შენ
ხომ იცი ხანდახან ტირილით ყმუილი, სევდი-
ანი. ხომ იცი, როცა მონატრების სევდა
მოგეძალება, ხომ ნაიგრძელებ ხოლმე
კისერს და შემზარავი ყმუილით ხომ ეხმანე-
ბი უმთვარო ლამეებს. ხოდა, მეც მენატრება
ცუგა, ძალიან მენატრება და იქნებ მასწავ-
ლო ეგ ყმუილი. გავალ სადმე უკაცრიელ
ადგილზე და მეც ვიყმუვლებ ხოლმე,
ყმუილით ვამცნობ ქვეყნიერებას, როგორ
მენატრება.

ეგებ, იმ ყმუილს გავატანო ეს თვეობით
ნაგროვები გაუსაძლისი ტკივილი და ეგებ
მომეშვას ცოტა, თორემ რა ვქნა, ველარ ვუ-
ძლებ, ცუგა, ვთავდები.

უუუხ! მე ამის დედაც, მამაც და ყვე-
ლაფერი ერთად. ცრემლი ყოფილა ცხოვრე-
ბა, გალიმებული ცრემლი.

აღარ მინდა, არაფერი აღარ მინდა.“

თვალეები დავხუჭე და გავჩუმდი. ლაპარ-
აკიც აღარ შემეძლო. არ ვიცი რამდენ ხანს
ვიჯექი ასე თავჩაქინდრული, როცა მუხლ-
თან გაუბედავი შეხება ვიგრძენი და შემ-
კრთალმა თვალეები გავახილე.

ცუგა მოსულიყო ჩემთან. ის მტკივანი ფე-
ხი კიდევ უფრო აენია და მოტეხილი თათი
ჰქონდა მუხლზე მოდებული. თავი კი ოდნავ
გვერდზე გადაეხარა და ძალიან ჭკვიანი და
თან სევდიანი თვალეებით შემომცქეროდა,
აბა?!

2014 წლის 7 სექტემბერი



მედია როგავა

საგამოცდო კაფია-გალექსეზანი

წარსული მარტო მოგონება არაა. ის განვლილი ცხოვრებაა. იხსენებ და... გიხარია, გტკივა, გეტირება, გენატრება, წლების სიმძიმე გავიწყდება, ახალგაზრდავდები.

მეც ასე ვარ. მაგონდება მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მისაღები გამოცდები, განსაკუთრებით ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო კომისია. ქართულ ენასა და ლიტერატურაში საგამოცდო კომისიის წევრები იყვნენ ცნობილი მეცნიერები და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებიც.

მოგეხსენებათ, ყოველი გამოცდა თავისი რეჟიმით ძალიან დატვირთულია. თანაც გამოცდები ტარდებოდა აგვისტოს თვეში. ამ თვის პაპანაქებასაც გაძლება უნდოდა.

წარმოიდგინეთ ის საგამოცდო კომისია, რომლის წევრები იყვნენ: აკაკი ურუშაძე, ალექსი ჭინჭარაული, მაგალი თოდუა, მზექალა შანიძე, ვლადიმერ ახვლედიანი, გიორგი ფუთურიძე, ვეგენი ჯეირანიშვილი და სხვები. რა თქმა უნდა, აქ ქართული სიტყვის ზეიმი იყო... ჩემს არქივში მაქვს უამრავი მასალა და მათ შორის იმ დაუვიწყარი დღეებისაც.

... და ვინყებ!

ალექსი ჭინჭარაულს

რალაც ვერ გხედავ, ალექსო,
სად იმალები, ნეტავი!
გამოდი, გინვევ მაგალი,
პროტეჟეების მკვნიტავი.
ეს რა დედალი ყოფილხარ,
ლაჩარი, გაუბედავი.
პირი „გარმოკთან“ რომ გიდევეს,
მოდო, კაცურად მედავე,
კ. ურუშაძე გამინყრეს
თუ კი არ გითხრა მე დავი.

მაგალი თოდუა

მაგალი თოდუას

ამ ჯოღორ მაგალს უყურეთ
(პრაქარტეგელურად ძალალსა),
ბურლაკებივით მიათრევს
უნგიაძეთა* ალალსა.
პროტეჟეს ორი ურეკეს,
მისთვის დაუნვავეს, ახ, ალსა,
ჯამის და რუმის ძმაკაცი
აქ რად ამრავლებ მახალსა,
ორ აგურს მოგაძებნიებ,
სიმწრის დროს თავში სახალსა.

ალექსი ჭინჭარაული

ალექსი ჭინჭარაულს

ყუვი ვიცვალოთ, ალექსო,
თორემ ვერ მომდევ სრულებით,
მე რითმა ისე მიცვივა,
ვით ვოროშილოვს კულები.
აივსო ხვესურთ ვოჟები
შენი ნანერი ქულებით.
ხუთს უნერ, თორემ, შენმა მზე,
ღვინო არ გასვან კულებით.

მაგალი თოდუა

მაგალი თოდუას

პირდაპირ გეტყვი, არ მიყვარს
პასუხი გადაკრულებით,
ამდენი ცოდვის ჩამდენნი
დაინყველ-დაიკრულებით.
შენ ამოავსე სახუნტი
მეგრელ აბდალა-ყულებით,
მშიერ მაგალის მოგელის
ჩახოხბილ-ჩახრაკულები.

ალექსი ჭინჭარაული

ალექსი ჭინჭარაულს

ვლ. ახვლედიანს უთხარი,
დაივინყე-თქო ტყულები,

* უნგიაძეს პროტეჟეს უწოდებდნენ.

ერთი ეს მიკვირს, მაგ ხუთებს
როგორ წერთ თავად ნულები.
შემოგიყრიათ მოყვრები,
ბიძა-მამიდის ნულები,
პანლური უნდა ამოგკრან,
თავში დაგარტყან ცულები.

მაგალი თოდუა

მაგალი თოდუას

ლენჩი ხარ, სალხინოელო,
სიტყვას ვერ ამბობ მზიანსა,
მთარგმნელობაზე თავს რომ სდებ,
ნიზამის აძლევ ზიანსა,
ჯამიც „გარშოკად“ აქციე,
აზრებს უბნელებ მზიანსა...
მრცხვენია, თავს რომ გიყადრებ
ტუტუცს და გოგრაბზიანსა,
ე, მაგას ჩამოგვრჩებოდი
მე და ვლ. ახვლედიანსა.

ალექსი ჭინჭარაული

ალექსი ჭინჭარაულს

სულ ყველას როგორ პატრონობ
მოყვარეს ძველს და ახალსა,
სხვის ყვავის ჩხიკვის მამიდას
და ჩხიკვის ყვავის ბახალსა,
ძმას, ძმის ცოლის დის ნათლულს და
ნათლიის მამის მძახალსა.

მაგალი თოდუა

მაგალი თოდუას

შენ და „ფათურა“* გოგია
რად მიტეხთ აყალმაცალსა?
გამომცდელს არ გადაყვრივარ
მე თქვენისთანა „ნახალსა“,
მდაბალს ამაყად ამაღლებთ,
უხვად „ამდაბლებთ“ მაღალსა.
ყველას თქვენ რატომ მფარველობთ
მუშას, ქურდსა და ბაყალსა.
თუ კიდევ ასე განაგრძობთ,
ვაი თქვენს გადანაყარსა, —
ასეთი საქმიანობით
ნაჩში შეიყრით მაყალსა.

ალექსი ჭინჭარაული

ალექსი ჭინჭარაულს

აბა ალექსის არ ვგავარ
ხელი რომ უწყებს კანკალსა,
დაჭინჭრულივით რომ დადის
და ტრ...ით ამტვრევს კაკალსა.
ისეთი უნგიაძე გყავს
ჩაეჭრა, აგინევ „ნაკალსა“.

მაგალი თოდუა

მაგალი თოდუას

უნგიაძეებს გვიხვავებს,
ერთი უყურეთ მაგალსა,
„ამას მე იქით წავიყვან,
თქვენ მიმიხედეთ მაგასა“.
სალხინოელი მარგალი
საქმეებს შვრება რავარსა,
თუ კიდევ შემობანცალდა,
ჭიტლაცს ამოვკრავ მაგარსა.

ალექსი ჭინჭარაული

ისევ მაგალი თოდუას

ა)
კაჯამ ტყუპ-ტყუპად დაინყო
პროტეჟეების მოყვანა,
ამდენი დეგენერატი
ნეტა საიდან მოყარა?
სულ მაგის საპატრონოა
ქართლოსიანთა „ქოყანა“.

ბ)
წერას რად აუტანიხარ
ბედუკულმართი, ბედავი,
ჟამით ჟამს ზემდგომ-ქვემდგომი,
ქვემძრომი, ქვეგამხედავი?
პროტეჟეთ მკვნიტავს რად ირქმევ
უნგიაძეთა მხვეტავი?
ბევრს ნუ ლაქლაქებ, გეყოფა,
მოკეტე მოსაკეტავი,
თორემ უფრო დიდს მოგართმევ,
(ეს არის მხოლოდ ქვეთავი)

ალექსი ჭინჭარაული

* „ფათურა“ გოგია — გიორგი ფუთურიძე.

მაგალი თოდუასა და ალექსი ჭინჭარაულის „ლექსაობა“ ასე „შეაფასა“ საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე აკაკი ურუშაძემ:

მაგალისა და ალექსის

ამად ლექსაობთ ორთავე,
ალექსიცა და მაგალიც,
პროტეჟეების მსახურნო,
არც ერთი არ ხართ მართალი!
ხევესურთ და კოლხებს მფარველობთ, —
აპარეკას თუ ნათელას,
ჯაჭვები უნდა ეყიდა
თქვენს დასაბმელად კანდელაკს.*
მაგალს ალაჰი გაუნყრეს,
ალექსი დაგმოს ქრისტემა,
რად შეგვიბილნეთ, ვოჟებო,
ამ გამოცდების სისტემა?!

აკაკი ურუშაძე

*კანდელაკი — უნივერსიტეტის სამეურნეო ნაწილის თანამშრომელი.

აკაკი ურუშაძემ „ხოტბა-დიდება“ არც საგამოცდო კომისიის წევრის ევგენი ჯეირანიშვილისთვის „დაიშურა“ და...

ევგენის

ჯეირანივით ნავარდობს
ჩვენი ევგენი ბატონი,
ოფლი წურწურით ჩამოგვდის,
ვინაა ჩვენი პატრონი?
ამ დილით ცოტა საქმე მაქვს,
ნუ მელიოდებით თქვენაო,
სალამოს თუ არ მოვედი,
არ გამიბედოთ წყენაო,
ხვალ და ხვალზეით სწორება
არ შემიძლია მენაო,
თქვენ გაასწორეთ და მე კი
სახლში მიმელის ლენაო.

აკაკი ურუშაძე

ცნობილია, რომ მისაღები გამოცდები, საბედნიეროდ, ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში ზეპირადაც ბარდებოდა. ეჰ, რამდენადაა საჭირო ეს დღევანდელი ახალი თაობისათვის!

და აი... ალექსი ჭინჭარაულის „კომედიაც“:

მოქმედი პირები:

ვლადიმერ ახვლედიანი — გამომცდელი მერი ძიძიშვილი — გამომცდელი აბიტურიენტი

ვლადიმერ ახვლედიანი:

აბა, ყმანვილო, დრო არის,
დავინყოთ ამბის მოყოლა.
ერთი ეს ბრძანეთ, ვინ იყო
ალხასტაისძე ჯოყოლა?

აბიტურიენტი

— ჯოყოლა, პატივცემულო,
ჯოყოლა, ერთი გმირია,
ჯოყოლა, ... როგორც ლუხუმი,
როგორც ლელა და კვირია,
იმასაც კვირიასავით

სამშობლო გაუნირია.

ვლადიმერ ახვლედიანი — ??? რააა?!

მერი ძიძიშვილი — აბა, ეს წინადადება მარტივია თუ რთულია?

აბიტურიენტი — ეს შერწყმულია, რადგანაც შიგ სამი ზედმესრულია.

(ზედმესრულიო?... და მერის თვალები დაუელამდა...)

მერი ძიძიშვილი — ეს რაღა არის —

„მტრის თავზე

მებრძოლის ხმალი ელავდა“.

აბიტურიენტი — „ელავდა“ ქვემდებარეა, შემასმენელი „ხმალია“.

ვლადიმერ ახვლედიანი —

ო, ღმერთო ჩემო, ამ ქვეყნად

რამდენი ცოდვა-ბრალია?!

ერთ აბიტურიენტს წერისას „ნ“ და „ყ“ თანხმოვნები აერია ერთმანეთში და „მუხლამდე სცემდა „წვერების“ მაგივრად რასაც დაწერდა, ჩემო მკითხველო, ადვილად მიხვდებით. ერთ-ერთმა გამომცდელმა, ეთერ ბასილაშვილმა, ეს ლექსიც „გვაჩუქა“... რა თქმა უნდა, გამომცდელ ქალბატონებს.

პირველი ვარიანტი

... ქალებო, საქმე შეგემთხვათ
კაცთაგან დაუჯერები,
ამდენი შრომის სანაცვლოდ
გერგოთ მუხლამდე „წ“ვერები.

მეორე ვარიანტი

ისეთი გასამრჯელოა,
ვერვისგან დასაჯერები,

ამდენი შრომის სანაცვლოდ
გერგო მუხლამდის „წ“ვერები.

როგორც ხდება, მიღებული ნიშნით უკ-
მაყოფილოები ყოველთვის არიან. საგამოც-
დო კომისიის თავმჯდომარე აკაკი ურუშაძ-
ესთან მოვიდა ერთი ქალბატონი, „იმ დროი-
სათვის“ საკმაოზე მეტად ვულგარულად
ჩაცმული. რა უნდა ექნა თავმჯდომარეს?
ხომ უნდა მიეღო და მოესმინა? მაგრამ ლექ-
სო-ალექსის რა გააჩერებდა და აი შედეგიც:

თავმჯდომარეს

გამოცდა თავმჯდომარემა
გადაგვიქცია ჰარემად,
ერთ სიძვის დიაცს რომ უშვებს,
სხვებიც მოუშვას ბარემა.

ნიშნების გამპროტესტებლებს რა გამო-
ლევდა?... და კიდევ ერთი ქალბატონი, ისიც
„იმ დროისათვის“ „ნარმოუდგენლად“ ჩაც-
მული, უნივერსიტეტის თანამშრომლის, პა-
ლადი ჯინჯოლავას კაბინეტიდან პროტეს-
ტის ნიშნად არ გამოდიოდა. შედეგმაც ისევ
არ დააყოვნა და...

პალადის

სიძვის დიაცი მოვიდა,
აქ დახვდა კურო პალადი,
აფსუს, რა ცუდად წაგვირყვნეს
მეცნიერების პალატი!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სხდომათა დარბაზში, ფრანგი მეცნიერის
დიდი ქართველოლოგის რენე ლაფონის სა-
ჯარო ლექციაზე გვერდიგვერდ ვისხედით:
ალექსი ჭინჭარაული, გიორგი ცოცანიძე და
მე. როგორც ყოველთვის, დაიწყო „ლექსაო-
ბა“.

გიორგი ცოცანიძეს

ცოცო, როგორ ხარ, ძმობილო,
გასიამოვნა ბასკურმა?
იმდენი იცი ფრანგული,
რამდენიც ხატის დასტურმა.
აქ რალა გვინდა? — არ სჯობდა,
რომ მოგვემწვავა ბასტურმა?

ალექსი ჭინჭარაული

ალექსი ჭინჭარაულს

ბასკურ ენაზე მსჯელობა
ჭრიალ გგონია ურმისა,
კი გითარგმნიდი... რად გინდა,
ვირმა რა იცის ხურმისა.

გიორგი ცოცანიძე

გიორგი ცოცანიძეს

ჰაუ, ცოცურავ, გაგიჩნდა
რა ასპარეზი, რა ფონი!
გადმოგვითარგმნე, ხომ ხედავ,
ვერ გვაგებინებს ლაფონი.
რა ოხრად გინდა ეგ ცოდნა
უხმარი, უქმად ნაქონი?..
რა მელექსება, დამაბეს
როგორც ბაგაზე საქონი.

ალექსი ჭინჭარაული

მახველებდა, ცხვირსაც ვაცემინებდი
და... გიორგი ცოცანიძემაც დააცემინა. ალექ-
სისაც არ გასჭირვებია და სასწრაფოდ გამ-
ოითქვა...

გიორგი ცოცანიძეს

აქამდე, გიო ცოცურო,
ცელს ჰგავდი გამოპირულსა,
ამ ბოლოს დაგვიავადდი,
მედიკომ დაგავირუსა.

ელენე კოშორიძე, შესანიშნავი ქართველი
ქალბატონი, ენათმეცნიერი, სამეცნიერო
კონფერენციაზე მოხსენებას კითხულობდა
ვასილ ბარნოვის შესახებ.

რა თქმა უნდა, კონფერენციას ალექსი
ჭინჭარაულიც ესწრებოდა, არც დააყოვნა...

ელიკო კოშორიძეს

ელიკო სტილითაც ბარნაველს მიჰყვება,
გათიშვებს აკეთებს გვარიანს,
შდრ: „შუქიას ნათქვამი სიტყვები
ღვთისმშობელს ეკუთვნის მარიამს“.

ალექსი ჭინჭარაული

ელენე სოფელ ხაშმიდან იყო. რა გააჩ-
ერებდა ლექსო-ალექსის? ეტყობოდა, ლექ-
სოს „ლექსაობა“ და ქეიფი მოუნდა:

ნაუხდა რეპუტაცია
ჩვენს თვალში ხაშმს და ხაშურსა,
ხაშმ არსად არ კისრულობენ,
ბარნოვებრ რომ ვთქვათ, ხარშულსა.

1961 წლის 18 ნოემბერი, შაბათი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი... ცნობილი ქართველი პოეტის ზაურ ბოლქვაძის ლექსების კრებულის განხილვა.

ყველას ძალიან მოსწონს ზაურის ლექსი „ბაბუა“. ცრემლიც ბევრია!

ამ საღამოზედაც ისევ ალექსი ჭინჭარაულის სიტყვები:

„გმოსეს დიდების სხივითა,
ერთი არ უთქვამთ შენიშვნა,
კისერში ამოგვივიდა
ქება ბაბუაშენისა“. — არაკრიტიკოსი მეგობრებისგან, შენი ალექსი ჭინჭარაული... ასე მოსწერა დარბაზიდან არაკრიტიკოსმა მეგობარმა მეგობარ პოეტს.

განსაკუთრებით მახსენდება 1971 წლის 8 დეკემბერი. ამ დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სამეცნიერო საბჭოზე სადოქტორო დისერტაცია დაიცვა გერმანელმა ქართველოლოგმა ჰაინც ფენრიხმა. საზეიმო ბანკეტი გაიმართა სასტუმრო „ივერიის“ საბანკეტო დარბაზში. საზეიმო წვეულებაზე თვით დიდი აკაკი შანიძეც გახლდათ. ბატონ ჰაინცს არც სადღეგრძელოები და არც ლექსები დაჰ-

კლებია. ყველაზე მეტად დამამახსოვრდა შესანიშნავი ქართველი ქალბატონის, პოეტ ნია აბესაძის, ალექსი ჭინჭარაულისა და არლი თაყაიშვილის „სადიდებლები“.

ჰაინც ფენრიხს

შენს სადღეგრძელოდ ძვირფასო ჰაინც, დღეს თვით აკაკი მღერის ნელი ხმით, შენ აგვამღერე, შენ გაგვახარე, დღეს ჩვენი სუფრა შენ წინ ქედს იხრის, გისურვებთ წინსვლას და წარმატებას, დე, დღეგრძელობდეს ჰაინც ფენრიხი.

ნია აბესაძე

ბატონო ჰაინც

ჩვენ მოგვწონს შენი ავიც და კაიც,
ბატონო ჰაინც,
კაცურად იცი წერაც და თქმაიც,
ბატონო ჰაინც,
აგრეც შეჰფერის გერმანელ რაინდს,
ბატონო ჰაინც,
შეგერგოს ჩვენი ღვინოც და ჩაიც,
ბატონო ჰაინც,
შენს მტერს და დუშმანს უიც და ვაიც,
ბატონო ჰაინც,
ღმერთმა გიცოცხლოთ დაიც და ძმაიც,
ბატონო ჰაინც,
შენ გენაცვალეთ მაინცდამაინც,
ბატონო ჰაინც!

*ალექსი ჭინჭარაული,
არლი თაყაიშვილი*





შოთა მირიანაშვილი მყინვარწვერი, ბეთლემის გამოქვაბული და ბეთლემის ეკლესია ნაცარქედზე

ქართულ ალპინისტურ ლიტერატურაში სიტყვა „ბეთლემი“ პირველად იოსებ ასლანიშვილის ნაწერებში გვხვდება — „მყინვარწვერზე ასვლა შემოდგომით“ (ტფილისი, 1928წ.)

მყინვარწვერის ექსპედიცია საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების „მთასვლა-მგზავროსნობის“ განყოფილების ორგანიზებული იყო. ასვლა ხევის „პატარძალზე“ (მყინვარწვერი) კი 1927 წლის 9 ნოემბერს განხორციელდა გერგეტის მყინვარის მხრიდან, მარშრუტით, რომელიც სიმონ ჯაფარიძის მიერ იყო გაკვლეული.

კონკრეტულად რომელ ადგილს უწოდებს ავტორი (ი. ასლანიშვილი) „ბეთლემის გორას“, ჩემთვის მთლად ნათელი არ არის, მაგრამ თუ ავტორისეულ მონათხრობს დავეყრდნობით — „ხუთის ნახევარი იყო, ბეთლემის გორას რომ ავადნიეთ 3150მ. სიმაღლეზე, საიდანაც გადაიშ-

ალა თვალწარმტაცი სურათი ჩხერის, ანუ გერგეტის მყინვარის, რომელსაც ზემოდან მყინვარწვერი დასცქერის“ — „ბეთლემის გორაში“ უთუოდ იმ სერის თავია ნაგულისხმევი, რომელიც ხატის მინდვრიდან (სამება) იწყება. ამას ადასტურებს სერის წვერზე ქვისგან ნაშენი სალოცავიც, რომელზეც მიუთითებს ი. ასლანიშვილი.

ამ ექსპედიციის მთავარი მეგზურის, ცდოელი გახა ნიკლაურის¹ თქმით — სამების დღესასწაულის დღეს „ბეთლემის გორაზე“ დიდძალი რაოდენობის მხვეწნარმლოცველენი ადიოდნენ თურმე.

„რაც შეეხება ნამდვილ ბეთლემს, რო-

¹გახა ნიკლაური — ცნობილი სამთო მეგზური სოფ. ცდოდან. იგი იყო მთავარი მეგზური ა. დიდებულის ექსპედიციაში და 1923 წლის 3 სექტემბრის ასვლა მყინვარწვერზე პირადად მისთვის მე-16 იყო.

მელსაც ილია ჭავჭავაძის „განდეგილით“ ვიცნობთ, უფრო წინ არის, გერგეტის მყინვარის ზემოთ, მყინვარწვერის ძირში“ — გვამცნობს ი. ასლანიშვილი

8 ნოემბერს, როცა მყინვარწვერისაკენ მიმავალი რაზმი² გერგეტის მყინვარის შუა წელში იმყოფებოდა, იაგორ კაზალიკაშვილმა³ მთასვლელებს მყინვარის გადაღმა კლდეებზე მიუთითა, სადაც ბეთლემის მონასტრის ნანგრევები მდებარეობდა.

ვინაიდან „მთასვლა-მგზავროსნობის“ განყოფილების არცერთ ექსპედიციას ბეთლემის შესწავლა გეგმაში არ ჰქონია და, ამასთან ერთად, ასვლის არცერთ თბილისელ მონაწილეს „ნამდვილი ბეთლემი“ თვალთ არ ენახა, ხანმოკლე თათბირის შემდეგ, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ბეთლემის ხილვა და ფოტოზე აღბეჭდვა. ბეთლემის მონახულების მსურველთა შორის იყვნენ: სიმონ ჯაფარიძე, დევი მიქელიძე, არჩილ ბენაშვილი, ანდრია კოვალკოვი (ფოტოგრაფი), იოსებ ასლანიშვილი და იაგორ კაზალიკაშვილი. გახა ნიკლაურმა კი დანარჩენი ხალხით განაგრძო გზა ჩხერის მყინვარზე შავნაბადას მიმართულებით.

მყინვარის გადაკვეთისა და ნაცარქედზე⁴ ასვლის შემდეგ (ალტიმეტრი 3850 მ-ს აჩვენებდა) მათ ფეხი შედგეს კლდის ქიმზე — „საიდანაც ნათლად მოჩანდა ბეთლემი თავისი ნანგრევებით“ — რამაც დიდად აღაფრთოვანა ი. ასლანიშვილი.

როგორ ტრანსფორმირდება კონკრეტული ადამიანის ცნობიერებაში გარემომცველი სამყარო და მოვლენები, შეუცნობი საიდუმლოებაა.

მეც ვდგავარ იმ კლდის ქიმზე (ცხადია, წლების შემდეგ), რომელზეც ი. ასლანიშვილი მოგვითხრობს. ნაცარქედზე მდებარე ეკლესიის ნანგრევებს ჩემი სულიც უკი-

² რაზმში 7 თბილისელი და სამი ადგილობრივი მთასვლელის გარდა ირიცხებოდა 10 ტვირთის მზიდავი სტეფანწმინდიდან და სოფ. ცდოდან.

³ იაგორ კაზალიკაშვილი — ცნობილი მთის მეგზური და ქართველი მთასვლელი, იგი მეგზურად ახლდა გ. ნიკოლაძის ექსპედიციას და 1923 წლის 28 აგვისტოს ასვლა მყინვარწვერზე მისთვის რიგით მეთაე იყო. მისის ალპინისტური მიღწევებიდან ლირსშესანიშნავია უშბა (1934წ.) და თეთნულდი (1930წ.)

⁴ ნაცარქედი — გერგეტისა და აბანოს მყინვარების გამყოფი ქედი.

დურესად აუფორიაქებია და უამრავი საფიქრალიც აღუძრავს, მაგრამ ვერ გავიზიარებ ი. ასლანიშვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ილიას ნათელხილვა „განდეგილში“ ნაცარქედზე მდებარე ეკლესიას უკავშირდებოდა. აი, იმ კლდის ქიმიდან რა იხილა ი. ასლანიშვილმა — „არ ვიცი, ამ კლდის თავზე იყო თუ არა ოდესმე ილია ჭავჭავაძე, რომელმაც დასწერა ლეგენდა „განდეგილი“ ბეთლემის აღწერილობით, მაგრამ მისი ლეგენდის პირველი თავი სავსებით გამომხატავს იმას, რაც ჩვენ იმ კლდიდან ვიხილეთ“.

მე კი იმ კლდიდან სულ სხვა სურათი ვიხილე — წინაპართა ამალგებულ სულის და შემართების უზენაესი სახიერება!

პირადად ჩემთვის ილიას განდეგილი მყინვარწვერის მიუვალ კლდეში კაცთა ხელით ნაკვეთ გამოქვაბულს უკავშირდება, რომლის რეალური არსებობაც (არამხოლოდ ლეგენდის სახით) 1947 წელს დადასტურდა.

როგორც ჩანს, 1927 წლის ექსპედიციის მონაწილეებს ილიას განდეგილში აღწერილი მღვიმე და ნაცარქედზე მდებარე ეკლესიის ნანგრევები ერთმანეთში აღრევიან, რისი ნათელი დასტურიც ა. ასლანიშვილის მონათხრობია — „ჯაჭვი რასაკვირველია არ ჩანდა და ჩვენ სრულიად თავისუფლად მივედით ბეთლემის ნანგრევებთან. სიმონი კი ეძებდა საკანებში ეკლესიის ირგვლივ ჯაჭვს, მაგრამ ამაოდ, ჯაჭვი არსად იყო. შესაძლებელია იყო ოდესღაც, ახლა კი თვით ბეთლემის ნანგრევები თავისი მიდამოებით 3850 მეტრის სიმაღლეზე მიტოვებული მაინც ღირსშესანიშნავია მით, რომ როგორც ჩანს, იქ არა ერთი და ორი კაცი ცხოვრობდა, არამედ მრავალი. ეკლესიის ირგვლივ შორიახლო სულ ექვსი საკანია“.

იმ დროისათვის თვით ეკლესია, კლდეში მიშენებული, უკვე დანგრეული იყო — „ნანგრევების ქვეშ მოსჩანდა კარი... კლდეში კი, რომელზეც მიშენებულია ეკლესია, აქამდე შემორჩენილია ამოთლილი და ზედ ჩასობილი ქვის დიდი ჯვარი“ (ი. ასლანიშვილი).

კლდის ჩრდილოეთ ფასადზე ამოტვიფრული წარწერების თაობაზე ი. ასლანიშვილი არაფერს გვამცნობს. როგორც ჩანს, ხავსით დაფარულ ქართულ წარწერებს მათ

ვერ მიაგნეს.

ი. ასლანიშვილის 1927 წლის 8 ნოემბრის მონათხრობიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ იმდროინდელ ხევში ადგილობრივი მოსახლეობა ბეთლემის გამოქვაბულად მიიჩნევდა ჩხერისა და აბანოს მყინვარების გამყოფ ქედზე (ნაცარქედი) მდებარე ეკლესიას — „სიმონი კი ეძებდა საკანებში ეკლესიის ირგვლივ ჯაჭვს, მაგრამ ამოდ. ჯაჭვი არსად ჩანდა“.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ილია, როცა ის „განდეგილს“ წერდა, „ბეთლემის“ შესახებ რალაც ისეთ ინფორმაციას ფლობდა, რაც უბრალო მოკვდავისთვის იმ დროისთვის უცნობი იყო, ან შესაძლოა დიდი შემოქმედისთვის დამახასიათებელი ფარული წვდომის რალაც განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე:

*„... და ზედ კარია გამოკვეთილი,
ვით კლდის ნაშალზე არწივის ბუდე
ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი
ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა.
და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით
ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა...“*

ილიას ხილვა და რეალობა, რომელიც მხოლოდ 1947 წელს გაცხადდა, სრულიად ემთხვევა ერთმანეთს.

არა მხოლოდ ქალაქად, არამედ ხევშიც (სტეფანწმინდა), ბეთლემის გამოქვაბულს, რომელიც ილიას „განდეგილში“ ხატოვნად აქვს აღწერილი, ლამაზ ლეგენდად მიიჩნევა და ყველა, ვიდრე ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურის თანამშრომელმა (ი. ხუციშვილმა) 1947 წლის ერთ მშვენიერ დღეს, მოყვითალო კლდოვანი ბასტიონის ცენტრში დაახლოებით 4100 მეტრის სიმაღლეზე, ბეთლემის მღვიმე და მის კარზე დაკიდებული ჯაჭვი არ იხილა. ლეგენდა ბეთლემის შესახებ სრულიად გაცხადდა — ზუსტად ისე, როგორც განდეგილშია აღწერილი.

ბეთლემის კარი პირველად 1957 წელს შევალე. იმ წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა ერთ ჯგუფს, ბატონ ლევან მენაბდის თავკაცობით, ბეთლემის გამოქვაბულის მონახულება სურდა.

ამ ღონისძიებაზე, რომელიც ილიას მკვ-

ლელიობიდან 50 წლისთავზე მოეწყო, მეგზურებად თსუ ალპსექციის მთამსვლელები მიგვიწვიეს. ჩემს გარდა მთასვლელთა ჯგუფში შედიოდნენ: ფილოლოგი გიორგი აბაშიძე, ფიზიკოსები: ოთარ ხაზარაძე, ლევან ლლონტი და გიორგი როსტომაშვილი. სულ 50-მდე ადამიანი ვიყავით.

მეტეოროლოგიურ სადგურს რომ მივალწიეთ, იქ თანამშრომლების გარდა მწერალთა კავშირის მიერ მოწყობილი ექსპედიციის მონაწილეთაგან ქალბატონი ალექსანდრა ჯაფარიძე და მწერალი ლევან გოთუა დაგვხვდნენ.

მეორე დღეს ბეთლემის გამოქვაბულისკენ დავიძარით. მეგზურად მეტეოროლოგიური სადგურის თანამშრომელი გამოგვყვა. საქმე ისაა, რომ 4100 მეტრის სიმაღლის ფრიალო კლდეზე გამოკვეთილი მღვიმე „არწივის ბუდესავით“ რომ მოსჩანს შორიდან, როგორც კი კლდეებს მიუახლოვდები, თვალთახედვიდან ქრება და ბეთლემისაკენ გზის გაკვლევა ამ გარემოცვაში პირველად მოხვედრილი კაცისთვის თითქმის შეუძლებელია.

როცა ბეთლემის გამოქვაბულის ძირს მივადექით (იქამდე მისვლა გზის სირთულის თვალსაზრისით მაინცდამაინც არ გაგვჭირვებია), გამოქვაბულის კარზე, რომელიც ჩვენგან ოციოდე მეტრის დაშორებით იყო, რკინის ჯაჭვი ეკიდა რამოდენიმე რგოლით. ალბათ უწინ მისი სიგრძე ბაქნამდე სწვდებოდა, ეხლა კი ჯაჭვის მხოლოდ ნაწილი იყო შერჩენილი.

ბაქნიდან პირდაპირ (ჯაჭვის მიმართულებით) ასვლა კარგ ალპინისტსაც გაუჭირდებოდა. არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ ჯაჭვამდე მისასვლელი კლდეები დროთა განმავლობაში ჩამოინგრა, რის გამოც იგი ჰაერში გამოეკიდა. თვით გამოქვაბული ფრიალო მოყვითალო კლდეზეა გამოკვეთილი. შესაძლოა, რომ ადამიანმა ბუნებრივ გამოქვაბულს მიაგნო და შემდეგ იგი მნიშვნელოვნად გააფართოვა. კარების ჭრილი დახვეწილი გეომეტრიული ფორმის ოთხკუთხედს წარმოადგენს. თვით მღვიმე თაღოვანი ფორმისაა, იატაკი კი ფილებით მოპირკეთებული, როგორც კარის ჭრილი, ასევე მღვიმის შიდა სივრცე ადამიანის მიერ რკინის საჭრეთლით გამოქანდაკებულ საოცარი ქმნილების შთაბეჭდილებას ტოვებს.

კლდის მარჯვენა მხარე საცოცად მესამე კატეგორიის სირთულეს არ აღემატებოდა. 15 მეტრი ვერტიკალში და შემდეგ ხუთიოდე მეტრი ტრავერსი, ჯაჭვის დონის მიმართულებით, ვინრო ბაქანზე გაგიყვანს, საიდანაც ჯაჭვის დახმარებით გამოქვაბულს იოლად მიაღწევ. როცა მღვიმის კართან აღმოვჩნდი, კლდეში პალო ჩავასვი და თოკი ამოსასვლელად პირდაპირ ქვედა ტერასაზე დავუშვი. ჩვენ ბიჭებს, მხედველობაში ალპინისტები მყავს, თოკის დახმარებით ამოსვლა არ გასჭირვებიათ. რაც შეეხება ფილოლოგიის ფაკულტეტის პედაგოგებს და სტუდენტებს, ვერც თოკმა უშველა და ვერც ჩვენმა ძალისხმევამ — მხოლოდ ერთი სტუდენტის აყვანა შევძელით.

იმ წელს ილიას „განდეგილი“ ცალკე წიგნად გამოიცა. სწორედ „განდეგილის“ ეს ახალი გამოცემა დავასვენეთ გამოქვაბულში. იყო წინასწარ შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ყველა, ვინც ბეთლემის კარს შეაღებდა, ახლად გამოცემულ „განდეგილზე“ თავის ავტოგრაფს დატოვებდა. ვინაიდან ბეთლემში ასვლა ვერ მოხერხდა, „განდეგილი“ თოკით დავუშვით ქვედა ტერასაზე, სადაც სტუდენტებმა და მათმა პედაგოგებმა ხელმოწერით დაამშვენეს.

რა ბედი ეწია 1957 წელს გამოცემულ „განდეგილის“ ბეთლემურ ნიმუშს, არ ვიცი, შესაძლოა დღესაც ბეთლემშია მისი ბინა.

ჩვენი ექსპედიცია ამით არ დამთავრებულა. მეორე დღეს დილაადრიან მყინვარწვერზე ასასვლელად გავედით, პირდაპირ შუბლში, მეტეოსადგურის მხრიდან (გველეშაპის კუდის მიმართულება). ამ გზით მყინვარწვერზე ასვლა პირველად შოთა მიქელაძემ და მისმა მეწყვილემ სცადეს. ეს ასვლა ტრაგიკულად დამთავრდა. მწვერვალის გუმბათზე გასვლისას შოთას მეწყვილე მოსწყდა, შოთამ მისი შეჩერება ვერ შეძლო და თოკში ჩაბმული წყვილი თავქვე დაექანა. ვარდნის მიმართულება „გველეშაპის“ კუდს დაემთხვა. თოკი ქვის შვერილებს გამოედო და მთამსვლელთა ვარდნაც შეჩერდა, თუმცა შოთა სერიოზულად იყო ტრამვირებული. მთელი ღამე შოთა მიქელაძე განცდილის და ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულების ფიქრებით იყო მოცული და მიუხედავად საბედისწერო ვითარებისა, რომელშიც ის აღმოჩნდა, ყოველივე ამის შესახებ ჩანან-

ერები დაგვიტოვა.

როგორც აღმოჩნდა, ავბედითი ღამის ის ჩანანერები შ. მიქელაძის უკანასკნელი აღსარება იყო. შ. მიქელაძე მეორე დღეს, დამშვებისას მოწყდა და დაიღუპა, მისმა მეწყვილემ კი როგორღაც მოახერხა ცოცხლად გადარჩენა...

შ. მიქელაძის ეს ჩანანერები მის მეგობარს დარჩა — ასმათ ნიკოლაიშვილს, რომელიც მაშველ ჯგუფს ხელმძღვანელობდა.

დეიდა ასმათი აგი აბაშიძის ახლო ნათესავი იყო. შ. მიქელაძის ეს ჩანანერები აგის დეიდა ასმათისთვის გამოურთმევია და თან წამოუღია მარშრუტზე. ამის თაობაზე აგიმ, ბეთლემის გამოქვაბულიდან რომ დავბრუნდით, მაშინ გამანდო. გადავწყვიტეთ, გველეშაპის კუდზე, ზუსტად იმ ადგილას, სადაც თავისი უკანასკნელი ღამე გაათია შოთა მიქელაძემ, დაგვედგა კარავი და ღამე შოთა მიქელაძის უკანასკნელი ჩანანერების კითხვაში გაგვეთია. ასეც მოვიქეციით, მიუხედავად იმისა, რომ საკმარისი დრო იყო იმისათვის, რომ მწვერვალზე ავსულიყავით, ღამე „გველეშაპის კუდზე“ გავათიეთ.

ახლა, ცხადია, დეტალებში არ მახსოვს შ. მიქელაძის უკანასკნელი ღამის ჩანანერები, მაგრამ ის კი ჩამრჩა მეხსიერებაში, რომ ეს იყო ღირსეული კაცის დამშვიდობება მეგობრებთან და მის საოცნებო ქვეყანასთან, რომელსაც საქართველო ჰქვია.

მეორედ ბეთლემში 1966 წელს მოვხვდი: იმ წელს იაპონელ მთამსვლელებს ველოდით საქართველოში. იაპონელებს ყველაზე მეტად მყინვარწვერზე ასვლა ენადათ. ასვლა გერგეტის მყინვარიდან კლასიკური მარშრუტით იყო დაგეგმილი. იაპონელ მთამსვლელთა დელეგაციას, ცხადია, ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიურის შენობაში რამოდენიმე ღამისთევა მოუხდებოდა.

სწორედ ამ მოტივით, მე, გიორგი აბაშიძეს და დიმიტრი დანგაძეს დაგვაავალეს მეტეოსადგურში ასვლა და იაპონელთა დასახვედრად ყველა პრობლემის მოგვარება.

მეტეოსადგურში რომ ავედით, ყველა საკითხი, რომელიც იაპონელ მთამსვლელთა დელეგაციის მიღებასთან იყო დაკავშირებული, წარმატებით იყო მოგვარებული.

ლი. თურმე ნუ იტყვი, ყაზბეგის პარტიის რაიკომს საკუთარ კონტროლზე ჰქონდა აყვანილი მეტეოსადგურის წესრიგში მოყვანა და იქ იაპონელთათვის ნორმალური პირობების შექმნა.

ამდენად, მეტეოსადგურში ასულები, საქმის გარეშე აღმოვჩნდით. იაპონელთა ამოსვლამდე კი სამი დღე რჩებოდა. რა უნდა გაგვეკეთებინა ეს დღეები!

ჯერ კიდევ იმ დღეს, როცა მეტეოსადგურისაკენ მიმავალ ბილიკს აღმა მივყვებოდით, მიტომ უცნაური ამბავი გამანდო. რამდენიმე წლის წინ მას ნაცარქედზე მდებარე ეკლესიის მახლობლად, 3750 მ სიმაღლეზე, ქალის შიშველი, თავნამტვრეული ბიუსტი უნახავს. შიშველი გულმკერდი თეთრი ქვისგან ყოფილა ნაკვეთი. როგორც მიტომ ამიხსნა, ბიუსტი საკმაოდ მძიმე ყოფილა, რის გამოც მაშინ მისი წამოღება ვერ შეძლო.

ალბათ დიმიტრი ვერ მიხვდა, რა უნიკალურ ნივთს წააწყდა, თორემ როგორ მიატოვებდა!

ქართულ ეკლესიაში შიშველი ქალის ტორსი — წარმოუდგენელი რამ არის.

მეორე დღეს ნაცარქედისკენ იმ განზრახვით წავედით, რათა მიტოს მიტოვებული ძვირფასი ნივთი მოგვეძია.

ჩაქცეულ ეკლესიას უპრობლემოდ მივაგენით, ვინაიდან ის ნაცარქედზე აუშენებიათ, ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ქედის თითქმის ჰორიზონტალური უბანი კლდოვან კონტროფორსში გადადის, რომელიც თავად ბეთლემის გამოქვაბულის ფრიალო კლდის ზღუდეს ებჯინება. ეკლესიის დასავლეთი კედლის როლს ამ კონტროფორსის 20 მეტრი სიმაღლის და რამოდენიმე მეტრი სიგანის ფრიალო კლდე ასრულებს, რომლის წვერზეც, კლდეში სპეციალურად ამოკვეთილ ფოსოში თეთრი ქვის მოზრდილი ჯვარია ჩასობილი. ბევრი ვეძებეთ, მაგრამ საწადელი ნივთი ვერსად ვნახეთ. იმჟამად მყინვარწვერს ყოველ წელს ათასობით „სტუმარი“ ჰყავდა სსრკ-ს თითქმის ყველა კუთხიდან. ეტყობა, ვიღაც უცნობმა „ტურისტმა“ ხელს გააყოლა ქვაში გამოკვეთილი ქალის გულ-მკერდი, რომელმაც ასე ალაფრთოვანა თავის დროზე ახალგაზრდა ქართველი მხატვარი — დიმიტრი დანგაძე.

ის, რაც ჩემმა თვალებმა ნახა ნაცარ-

ქედზე ჩაქცეული ეკლესიის სახით, ის ნათება დღემდე არ ჩამქრალა. იმ კლდის ჩრდილოეთ ფასადზე, რომელსაც ეკლესია დასავლეთის მხრიდან ებჯინებოდა, ხავსის ქვეშ ამოტვიფრული ჯვარი და რაღაც წარწერები მოჩანდა. ჩვენ დიდი სიფრთხილით და გულმოდგინებით კლდე გავწმინდეთ და ყველაფერი, რაც ხავსის ქვეშ იმალებოდა, 16 მმ კინოფირზე გადავიღეთ.

17 საათს იყო გადაცილებული, როცა მეტეოსადგურში დავბრუნდით. მთელი არსებით დღის განცდილით ვიყავი მოცული. გადავწყვიტე, ჩაქცეული ეკლესია გამეწმინდა და ამის თაობაზე ბიჭებს შევუთანხმდი. იაპონელების ამოსვლამდე კიდევ ორი დღე რჩებოდა.

გათენდა თუ არა, ეკლესიას მივაშურეთ. წყნარი, მზიანი დარი იდგა. ნაცარქედზე გასვლას ერთ საათზე ნაკლები დრო მოვანდომეთ. ეკლესიის სახურავი ჩაქცეული იყო. დიდი ქვის ჯვარი, ორად გაპოხილი, იქვე ეკლესიის გვერდით ეგდო, ჩრდილო ფასადის მხრიდან. ჯვარის ორივე ნატეხი ავიტანეთ და ძველ ადგილას მოვათავსეთ — კლდის თავზე. როცა ეკლესია მთლიანად გავწმინდეთ, მიწაში სანახევროდ ჩაფლული, ორად გაპოხილი, ორნამენტით დამშვენებული ქვის საკმაოდ მოზრდილი ჯამი და ოთხკუთხა სვეტის თავი გამოჩნდა. მის ოთხივე მხარეს წმინდა გიორგის მიერ ურჩხულის განგმირვის სცენები იყო გამოკვეთილი.

იმ დღეს მთელი დღე ვიმუშავეთ. ეკლესიის ერთ კუთხეში, მიწაში მთლად ჩაფლული, მოზრდილი (არანაკლებ 0.80 მეტრის სიმაღლის, 50 სმ დიამეტრის) ოვალური ფორმის ქვის ფიგურა ამოვთხარეთ. სიმართლე გითხრათ, მისი დანიშნულება ჩვენთვის დღესაც უცნობია. ჩემი ვარაუდით, შესაძლოა ნაყოფიერების სიმბოლიკის მატარებელი იყო წარმართული ხანიდან ქრისტიანობაში გადმოსული.

გათხრებს ართულებდა ის გარემოება, რომ მიწის ქვედა ფენები გაყინული აღმოჩნდა და მხოლოდ ფენა-ფენის (30-30 სმ) მოხსნა იყო შესაძლებელი, ისიც კარგა ხნის ინტერვალით.

მუშაობა მეორე დღესაც გავაგრძელეთ. მესამე დღეს ისტორიკოსი გერმან მირიანაშვილიც ჩაერთო სამუშაოებში (ის წინა საღამოს ამოვიდა მეტეოსადგურში და ჩვე-

ნი გათხრების თაობაზე არაფერი იცოდა).

როცა გათხრების ადგილი დაათვალიერა, ჩვენს მიერ ნაპოვნი ნივთებით აღფრთოვანებული დარჩა. მისი თქმით, სვეტის თავზე გამოსახული წმინდა გიორგის და გველეშაპის სცენები ადრეულ შუასაუკუნეებზე მიუთითებდნენ. მაგრამ საბოლოო დასკვნის გაკეთება მხოლოდ საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ იყო შესაძლებელი. ქვის ქანდაკება კი, მისი აზრითაც, ნაყოფიერების სიმბოლიკის წარმართულ ხანას მიეკუთვნებოდა.

იმ დღეს კიდევ 60-80 სანტიმეტრის სიღრმეზე ჩავედით, საეკლესიო რიტუალის რამოდენიმე კარგად შენახული ნივთი ვნახეთ. მათ შორის ხის ჯვარზე გაკრული ქრისტეს გამოსახულებაც. მოვიძიეთ მინის (ცისფერი) ჭურჭელიც, მაგრამ მისი ყინულიდან გათავისუფლება ვერ შევძელით — ხელში ჩაგვატყდა, რის შემდეგაც გათხრები შევაჩერეთ.

ნაცარქედის ჩრდილო ფერდობზე, ეკლესიის მახლობლად, რამდენიმე ნაგებობის ნიშნები ჩანდა. ალაგ-ალაგ დახვავებული იყო შავი ფიქალის ბრტყელი ფილები (ამ მიდამოებში ფიქალი არ მოიპოვება. ისინი ქვემოდან არის ამოტანილი და სახურავის საფარად იქნებოდა გამოყენებული). ჩვენ ათამდე ასეთი ნაგებობის ნაშთები დავაფიქსირეთ.

„ყველაფერი იმის მაუწყებელი იყო, რომ ადრეული ხანიდან ამ ადგილას რაღაც სამონასტრო კომპლექსი ფუნქციონირებდა.

მეოთხე დღეს იაპონელებიც ამოვიდნენ მეტეოსადგურში. აკლიმატიზაცია მათაც ესაჭიროებოდათ და შემდეგი დღე ბეთლემში ასვლას და ნაცარქედზე ეკლესიის ნანგრევების დათვალიერებას დავუთმეთ. იაპონელები აღფრთოვანებულები დარჩნენ, როგორც ბეთლემის მღვმიეთ, ასევე იმ ნივთებით, რომლებიც ჩვენ მოვიძიეთ.

ვინაიდან იაპონელ მთამსვლელთა ტვირთი გერგეტიდან მეტეოსადგურამდე ცხენებით ამოვიდა, შესაძლებლობა მოგვეცა გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთები ცხენებზე აგვეკიდა და ყაზბეგში ჩაგვეტანა.

მათი პატრონობა გერმან მირიანაშვილმა ითავა. მოგვიანებით ჩვენს გათხრებს მან ვრცელი წერილი მიუძღვნა, რომელიც

გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა.

მყინვარებიდან რომ ვბრუნდებოდით, ვახტანგ ქირიკაშვილმა, მე და დიმიტრი დანგაძე შეგვაჩერა და გვითხრა: „ერთი საიდუმლოება მინდა გაგანდოთ, რომელიც ჯერ არავისთვის გამომხელიაო“. ეს ამბავი გერგეტის მყინვარის ენის მახლობლად ხდებოდა. ყველა წინ იყო წასული ჩვენ სამის გარდა. ვახტანგმა ბინოკლი მოიმარჯვა და გვითხრა: „ნაცარქედზე რომ ეკლესიის ნანგრევებია, იმ ადგილას ხომ ხედავთ, მის ზემოთ ქედი კლდოვან კონტრფორსში გადადის. ამ კონტრფორსის კლდეები მეტეოსადგურს რომ დაჰყურებს ზემოდან, კიდევ ერთ ხელოვნურ გამოქვაბულს ფარავს“. ისიც დასძინა, რომ ახალი მღვიმე მხოლოდ ამ ადგილიდან მოჩანს. საკმარისია, რამდენიმე მეტრით გადაინაცვლო და მღვიმე თვალთახედვიდან ქრებაო.

ვინაიდან ვახტანგმა ზუსტად მიმანიშნა ადგილი, ბინოკლის დახმარებით მისი ხილვა არ გამჭირვებია.

ის, რომ ახალი მღვიმე ბუნებრივი წარმომავლობის არ იყო, კარის სწორი მართკუთხა ჭრილი ადასტურებდა. მღვიმის კარი ჩამოშლილი იყო, მაგრამ ხის ძელები, რომელზეც ალბათ კარები ეკიდა, ჯვარედინად იყო ჩახერგილი მღვიმის ჭრილში და კლდეების შედარებით მუქ ფონზე კარგად იმზირებოდა.

ჩვენ ერთად გვინდოდა იმ ახალ გამოქვაბულში შეღწევა, მაგრამ ბედმა სხვაგვარად განსაჯა. ვახტანგი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მე და მიტომ ვახტანგის დაღუპვიდან მეოთხე წელს ვცადეთ გამოქვაბულის მიგნება და მასში შესვლა. იმ ადგილიდან, საიდანაც 1966 წელს პირველად ვიხილეთ, ამჯერადაც არ გაგვიძნელდა მისი დანახვა. ზუსტი ორიენტირები ავიღეთ და გამოქვაბულის მიმართულებით ავიღეთ გეზი. ვახტანგი მართალი აღმოჩნდა როგორც კი რამდენიმე ათეული მეტრი გავიარეთ, გამოქვაბული თვალთახედიდან გაქრა. ჩვენ მტკიცედ გვექონდა განზრახული მიზნისთვის მიგვეღწია. ორიენტირებიც მონიშნული გვექონდა და რაც უფრო ვუახლოვდებოდით კლდეების ფრონტს, რომლის შუაგულშიც გამოქვაბული გველოდებოდა, ახალ-ახალ სამიზნესაც ვირჩევდით.

ეს კლდეები ცენტრში მთელ სიმაღლეზე

ავიარეთ და კონტროლზე გავედით. შემდეგ პირველი ვარიანტის მარცხნივ და მარჯვნივ მოვნიშნეთ ბედი. გამოქვაბული არსად ჩანდა. მის ძებნაში მთელი დღე დავკარგეთ. დარჩენა აღარ შეგვეძლო, თბილისში ექსპედიცია გველოდებოდა. როცა მყინვარის ენამდე დავეშვით, საღამოს ჟამი იყო. მზე მყინვარწვერის იქით იყო ჩასვენებული. გამოქვაბული ზუსტად იქ მოჩანდა, სადაც მთელი დღე დავბოდილობდით.

გადავწყვიტეთ, რომ შემდგომში აუცილებლად რაციებით აღვიჭურვებოდით. ერთ-ერთი ჩვენგანი მყინვარზე დარჩებოდა, ხოლო მე და მიტო გამოქვაბულის მოსაძიებლად წავიდოდით. ამ შემთხვევაში საჭირო იყო „საქმეში“ ახალი ნევრების ჩართვა. არჩევანი უყოყმანოდ ოთარსა და გიორგიზე შეჩერდა.

მხოლოდ 70-იანი წლების ბოლოს მომეცა შესაძლებლობა კვლავ განმეგრძო ახალი გამოქვაბულის ძებნა. ივნისის შუა რიცხვებში მყინვარწვერზე მყავდა თანრიგოსანთა მოზრდილი ჯგუფი. როგორც ზემოთ მსვლელობისას, ასევე მყინვარწვერიდან დაბრუნებული დიდხანს ვეძიე გამოქვაბული (ცხადია, ვიზუალურად), მაგრამ ის უკვალოდ გამქრალიყო კლდეთა შინა. როგორც ჩანს, ხის ძელები, რომელზედაც კარი იყო ჩამოკიდებული, გარემოებათა გამო ალბათ სადღაც უფსკრულში ჩაიჩეხა და თვალთახედვის არედან გაქრა. მათ გარეშე კი მღვიმეში შესასვლელი, რომელსაც ჩხერის მყინვარის ენიდან ფრონტალურად უცქერ, კლდეთა ლაბირინთების ფონზე ძნელად გასარჩევი ხდება.

მიუხედავად ამისა, მე იმედს არ ვკარგავ, რომ კლდეთა ტყვეობაში მომწყვდეულ ამ მღვიმეს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მივაგნებთ. ხომ გვამცნობს ვახუშტი თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომ მყინვარწვერის კლდოვან კალთებზე კაცთაგან „ქვაბნი“ არისო ნაკვეთი.

ზუსტად არ მახსოვს, როდის ვუამბე ნვრილად პარმენ მარგველაშვილს ნაცარქედზე მდებარე ეკლესიისა და იქ წარმოებული გათხრების თაობაზე. ერთი კი უდავოა, რომ ჩვენი საუბარი 1978 წლის 28 მაისს უნდა უსწრებდეს, ვინაიდან სწორედ ამ დღეს ჩვენი ჯგუფი (უნივერსიტეტის

მთამსვლელები მყავს მხედველობაში) ჩხერის მყინვარით მეტეოსადგურისკენ მიიკვლევდა გზას.

ამ ლაშქრობაში, რომელსაც ორი ამოცანა ჰქონდა დასახული — მყინვარწვერზე ასვლა და ნაცარქედზე მდებარე ეკლესიის დეტალური დათვალიერება — პარმენიც მონაწილეობდა.

თეორიული ფიზიკის კათედრის დოცენტი პარმენ მარგველაშვილი იმხანად უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა გაერთიანების თავკაცი იყო. ამ ორგანიზაციასა და თსუ ალპინისტურ სექციას შორის მიღწეული იყო შეთანხმება ბეთლემის ეკლესიის კომპლექსური გამოკვლევის თაობაზე, რაც თავის თავში, ცხადია, გულისხმობდა საფუძვლიან არქეოლოგიურ კვლევებსაც. არქეოლოგიური გათხრების წარმოება კი გამორიცხული იყო ძეგლთა დაცვის სახელმწიფო კომიტეტის სპეციალური ნებართვისა და მათივე მონაწილეობის გარეშე. აღნიშნულ პრობლემათა მოგვარება პარმენმა ითავა.

სამწუხაროდ, 1978 წლის მაისის ეს ლაშქრობა ჩხერის შუაგულ მყინვარზე დამთავრდა.

კიდევ ერთხელ დადასტურდა ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ მყინვარზე, მით უმეტეს მაშინ, როცა ნაპრალები თოვლით არის დაფარული, თოკზე ჩაბმის გარეშე სიარული ფრიად სახიფათოა — წინ მიმავალი დიმიტრი (მიტო) დანგაძე თავისი „სენბერნარით“ ნაპრალში ჩაგვივარდა.

მყინვარის შუა წელში, სადაც ეს ამბავი მოხდა, ყინულის სისქე 400 მეტრს სჭარბობს. ნაპრალი, რომელშიც მიტო ჩავარდა, საკმაოდ ღრმა აღმოჩნდა — 40 მეტრზე მეტი. საბედნიეროდ მიტომ სულ რაღაც 6-7 მეტრი იფრინა, ზუსტად ამ ადგილას ნაპრალის ორი კიდე ყინულის ხიდით იყო შეერთებული. ამ ხიდმა შეაჩერა მიტოს ვარდნა, თუმცაღა სერიოზული ტრავმა მიიღო და გზის გაგრძელება ვეღარ შეძლო. რაც შეეხება ძალს, ის ნაპრალში ბოლომდე ჩაენარცხა და გროგშიც აღმოჩნდა. ვინაიდან ნაპრალში უკუნი სიბნელე იყო და, რაც მთავარია, ძალის დაღუპულად მიგვაჩნდა, მისი ძებნა იმჟამად აღარ დავგინყვია, მით უმეტეს, რომ პატრონი გვყავდა დადასარჩენი.

ის ღამე ნაპრალთან ვათიეთ (მიტოს სი-

არული არ შეეძლო). შუალამე იქნებოდა გადასული, როცა ნაპრალიდან ძაღლის ყეფამ ამოაღწია ჩვენამდე. ის თურმე მთელი ამ ხნის განმავლობაში უგონოდ ეგდო, თუმცაღა სალსალამათი იყო გადარჩენილი. ძაღლი, ცხადია, ამოვიყვანეთ, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ასე დამთავრდა ეს ლაშქრობაც და ახალი გამოქვაბულის მოძიების შანსიც გაურკვეველი დროით გადაიდო.

რაც შეეხება არქეოლოგიურ გათხრებს ნაცარქედზე, რომელიც 1978-1979 წლებში ზაფხულის პერიოდში მიმდინარეობდა, მათში მე მონაწილეობა ვერ შევძელი, გათხრებს კი პარმენი ხელმძღვანელობდა.

ამის უპირველესი მიზეზი ის გახლდათ, რომ 1962-1985 წლებში საქართველოს მთამსვლელთა ნაკრებსაც ვედექი სათავეში და ზაფხულის პერიოდი მთლიანად ალპინიზმით ვიყავი დაკავებული და გასაგებია, რომ თავისუფალი დრო სხვა საქმიანობისთვის პრაქტიკულად არ მქონია.

80-იანი წლების ბოლოს კიდევ ორჯერ მქონდა მცდელობა, მეპოვა ახალი მღვიმე.

პირველ შემთხვევაში უპირველესად ბეთლემის მღვიმეს ვეწვიე ჩვენი ეკლესიის მამამთავრის, უნმინდესი და უნეტარესი ილია II-ის დავალებით. იმ წელს მისმა უნმინდესობამ იერუსალიმიდან ჩამოიტანა ღვთისმშობლის ხატი და მისი დასვენება ბეთლემში ისურვა.

საპატრიარქოს ეს დავალება ცხადია, დაუყოვნებლივ აღვასრულეთ. მარიამის ხატი ბეთლემს ავიტანეთ და იქ მივუჩინეთ სამუდამო ადგილსამყოფელი.

ხატის დასვენება ბეთლემის ქვაბში ფირზე გოგა ხაინდრაავამ აღბეჭდა, ისევე, როგორც მთელი გზა, რომელიც ხატთან ერთად გავიარეთ. დოკუმენტური ფილმი საპატრიარქოს გადავეცით იმ ვიდეოკამერასთან ერთად, რომლითაც ფილმი გადავიღეთ.

როცა პატრიარქის დავალება პირნათ-



ლად შევასრულეთ, მე და დიმიტრი დანგაძემ ვცადეთ 1966 წელს შორიდან დანახული გამოქვაბულის მიგნება, მაგრამ ამოდ. თუმცაღა მის ძებნაში ნაცარქედის ეკლესიის ზემოთ კლდეები თითქმის მთლად მოვიარეთ.

ბეთლემის გამოქვაბულის დონეზე, მხოლოდ აბანოს მყინვარის მხრიდან, შევეულ კლდეზე ახალ გამოქვაბულსაც მივაგენით, მაგრამ მარშრუტი იმდენად რთულად მოგვეჩვენა, რომ მასში შეღწევა სხვა დროისთვის გადავდეთ.

1989 წელს, პარმენტან ერთად, კიდევ ერთხელ ვესტუმრეთ მყინვარწვერს. ამჯერად მთავარი ამოცანა იყო წინა წელს ნახულ გამოქვაბულში შეღწევა. დასანანი, რომ გამოქვაბული ბუნებრივი აღმოჩნდა. შიგ კი არწივებს დაედოთ ბინა.

ბეთლემის კომპლექსი კი, რომელიც ადრეულ შუასაუკუნეებიდან მომდინარეობს, ქართველთათვის უაღრესად ღირებულ ისტორიულ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება და მისი აღდგენა ყველა ჩვენთაგანის ვალია.

რაც შეეხება მყინვარწვერს! ის უნდა გადავაქციოთ ჩვენი სულიერების და სინმინდის სიმბოლოდ, როგორც ფუძიამაა იაპონიაში.



შოთა მირიანაშვილი. მყინვარწვერი, ბეთლემის ბამოქვაბული და ბეთლემის ეკლესია ნაცარქედზე



ანდრე მორუა

დონ ჟუანი ანუ ცხოვრება ბაირონისა

რომანი

XXXII

მარცხი

თქვენ, ყველანი შელის შეფასებაში ძალიან ცდებით! მას ვერ შეედრება ყველაზე უკეთესი და ყველაზე არაეგოისტური ადამიანიც კი. არავინ მეგულება ისეთი, მასთან შედარებით ცხოველი რომ არ იყოს.

ბაირონი

კაენის დამლით აღბეჭდილი ადამიანები-სთვის, მარტოობა ერთი ყველაზე მსუბუქი სასჯელია. პიზაში ბაირონს არასოდეს უგრძენია ისე ბედნიერად თავი, როგორც რავენაში. რომანიაში პინეტების, ამერიცანი-ის, გამბების დარბაისელი ბანოვანნი ართობდნენ და არც ძალიან ანუხებდნენ. პიზაში ისევ აღმოჩნდა ინგლისელთა პატარა საზოგადოებაში, მაშინვე რომ შეუდგა მის განქიქებას. შელისთან ყოფნა საერთოდ არ ავიწროებდა. პირიქით. რაც უფრო ხშირად ხვდებოდნენ, მით მეტად იმსჯვალეობდა მისდამი პატივისცემით. აფასებდა მის სიმამაცეს, მოსწონდა, როცა შელის თავისი ნავი არნოს ძლიერი დინების სანინააღმდეგოდ ისევე მიჰყავდა, როგორც თავის შეუპოვრობას მიმართავდა ადამიანთა საზოგადოების წინააღმდეგ. მას შელი სჭირდებოდა, მაგრამ, ყველაზე მნიშვნელოვანი მისთვის ის იყო, რომ შელი გახლდათ მისი ალფროვანებული: „სამყარო ისე არ გავიცეზულა შემოქმედის მიერ საუცხოოდ და მიზანმიმართული ქმნილებების შექმნით,

როგორც მე გამაოცა ამ სიკვდილის სასახლეში გამომწყვდეული, სიბერისკენ მიმავალი სხეულის, ინგლისური სულის ბოლო ნაშრომმა“. მაგრამ შელის ირგვლივ მკაცრი და უნიჭო აბელების მთელი სამყარო იყო; ისინი ბაირონ-პოეტს აღიარებდნენ, მაგრამ ბაირონი-ადამიანი მათ აოცებდა და იმედს უცრუებდა. ის მეტისმეტად ადამიანური გახლდათ; მისი ცხოვრების წვრილმანები ალიზიანებდა მათ. სძულდათ მისი ცხოვრების წესი, მისი სასახლე, მისი ლივრეიანი მსახურები, მისი სამხეცე, სადილები. მისი ცინიზმი მუდამ შოკში აგდებდა მერი შელის. კლერმა პიზის საზოგადოებას მისი პორტრეტი დაუხატა შეულამაზებლად და უმოწყალოდ. ბაირონი ამ ყოველივეს გრძნობდა, მაგრამ ძალა არ შესწევდა მათთვის ნამდვილი, იდუმალი ბაირონი გაეცნო, რომელიც შეიძლება შეყვარებოდათ კიდეც. მისი საუბრები ძალიან უბრალო იყო როცა შელისთან ლაპარაკობდა, მაგრამ მათთან საუბრისას უმაღვე გესლიანი და მაღალფარდოვანი ხდებოდა. და რადგან ძალა არ შესწევდა მასზე შეთხზული ლეგენდა გაექარწყლებინა, იძულებული იყო მისთვის ხორცი შეესხა.

ლანფრანკების სასახლე არნოს ნაპირზე ისე დიდი იყო, მასში მთელი გარნიზონის მოთავსება შეიძლებოდა და „მოჩვენებებით ისე იყო გამოვსებული“, რომ ფლეტჩერმა არაერთხელ მოითხოვა ოთახის გამოცვლა. დილდოობით ბაირონი ქალბატონ გვიჩიოლისთან ერთად ეზოში დასეირნობდა ფორთოხლის ხეებს შორის. შუადღის შემდეგ ქალბატონი გვიჩიოლი მერი შელისთან ერთად ეტლით მიდიოდა, ბაირონი კი შელის, კაპიტან ვილიამსის, ირლანდიელი ტააფის — დანტეს მთარგმნელის /რომელიც ისეთივე

საგურამო(1).2015 წ.

დასასრული. დასაწყისი „საგურამო“ N 2-4, 2014.

ცუდი მთარგმნელი იყო, როგორც პოეტი/, პრინც მავროკორდატოს, რომელიც მერი შელის ბერძნულს ასწავლიდა და დრავუნთა ლეიტენანტ მედუინის, — შელის ბიძაშვილის საზოგადოებაში ცხენით სასეირნოდ მიდიოდა. კავალკადა ფერმისკენ იღებდა გეზს, რომლის პატრონმაც ბაირონს ნება მისცა მის ტერიტორიაზე სროლაში ევარჯიშა. სამიზნედ ეკიუს დებდნენ, რომელიც მერე ფერმერს ერგებოდა ხოლმე. სახლში დაბრუნებული ან ბილიარდს თამაშობდა ან მუშაობდა. სადილის შემდეგ — როგორც რავენაში — ვიზიტად გამბებთან მიდიოდა, მერე დილის სამ საათამდე მუშაობდა. ზოგჯერ, საღამოთი, ტერეზა გვიჩიოლი ძმასთან ერთად შელისთან, ზედა სართულზე ადიოდა, სადაც პერსის მცირე საცხოვრებელი ეკავა, და ის მათ თავის ლექსებს უკითხავდა. აი, ასეთი საღამოების დროს მარტო მედუინი მიდიოდა ბაირონთან, მასთან საუბრობდა, და ყველაფერს იწერდა, რასაც ლორდი ამბობდა. ბაირონმა ეს იცოდა; მას უყვარდა ეს მიამიტი მსმენელი და შეეძლო მისთვის დაუსრულებლად მოეთხრო თავისი სიჭაბუკის ამბები.

ნიშნებით აჭრელებული მუმიის ყველა სახვევი მედუინის თვალწინ იშლებოდა, იხსნებოდა... მერი ჩავორსი... სუბიექტივიზმი სიყვარულში... „რომანტიკული სიყვარული იყო. მერი ჩავორსი ყველაფრის უმშვენიერესი იდეალი გახლდათ, რაიც ჩემმა ჭაბუკურმა ფანტაზიამ შეძლო და შეუდარებლობის ნიშნისთვის მოიგონა; მთელ ჩემს ზღაპრებს, ქალის ზეციური ბუნების შესახებ, იმ სრულყოფილებიდან ვხაპავდი, რომლადაც იგი აქცია ჩემმა წარმოსახვამ, ვამბობ აქცია-მეთქი, რადგან, მერე მასში, ისევე როგორც მთელ მათ ჯიშში, ყველაფერი დავინახე, რასაც ინებებთ, გარდა ანგელოზური თვისებებისა“. კაროლინა ლემი... „მასში ცოტა რამ იყო მიმზიდველი. მისი ჯიშის სხეული მეტიმეტად სუსტი იყო იმისთვის, რომ ლამაზი გამოჩენილიყო. ის სიმრგვალე არ ჰყოფნიდა, რომელსაც ვერც დახვეწილობა სცვლის და ვერც სინარნარე“. ლედი ოქსფორდი... „ამაზე ძლიერი გატაცება არა მქონია. ჩემზე ისეთი ძალაუფლება მოიპოვა, როგორც ყველა ქალმა, რომ დიდი შრომა დამჭირდა მასთან კავშირის გასაწყვეტად, მაშინაც კი, როცა გავიგე, ჩემი ერთგული არ იყო“. ანაბელა... თემა რალაციის მომასწავებელი. „მასხენდება, როცა პირველად შევხვდი მის მილბენკს, კიბეზე ფეხი დამიცდა და მურს ვუთხარი, ამ დროს ჩემთან ერთად იყო, ეს ცუდის მომასწავებელია-მეთქი. ამ გაფრთხილებისთვის ყური უნდა დამეგდო...

მისი ვილიამსმა მიწინასწარმეტყველა, უბედური იქნებაო შენთვის შენი ცხოვრების ოცდამეშვიდე წელი. ის მკითხავი მართალი აღმოჩნდა. არასოდეს დამავიწყდება 2 იანვარი. მხოლოდ ლედი ბაირონი /ბაირონიო, ასე წარმოთქვამდა ბაირონი/ იყო მშვიდად, დედამისი ტიროდა, მე ფოთოლივით ვცახცახებდი“.

სეირნობისას მედუინი მუდამ ბაირონის გვერდით იყო, რომელიც განუწყვეტლივ ლაპარაკობდა და დროდადრო თავის თანამგზავრსაც გადახედავდა ხოლმე, თითქოს მის მიმდობლობას ამოწმებდნენ. 10 დეკემბერს ბაირონმა არ ისურვა სროლაში ვარჯიში და ნალვლიანი ჩანდა. „დღეს ადას დაბადების დღეა, — უთხრა მედუინს, რომელმაც ჰკითხა ნალვლიანად რატომ ხარო, — ეს დღე ყველაზე ბედნიერი დღე უნდა ყოფილიყო ჩემს ცხოვრებაში... წლისთავების მეშინია. ყველაზე უჩვეულო ამბები ჩემი დაბადების დღეებში ხდება, ნაპოლეონთანაც ასე იყო“. მეორე დღეს ინგლისიდან მიღებული წერილი აჩვენა: „მშვენივრად ვიცოდი, რომ გუშინ ჩემს თავს რალაც უბედურება მოხდა. საცოდავი პოლიდორი მომკვდარა. როცა ჩემი ექიმი იყო, გამუდმებით წყალბადციანმუყავაზე მელაპარაკებოდა და ათასგვარი საწამლავე აინტერესებდა. და აი, ისიც წავიდა. მარი მწერს, უცბად მოკვდა, არც კი შეკანკალებულაო. ეტყობა, თვითმკვლელობის მიზეზი გულგატეხილობა და იმედგაცრუება იყო“.

28 იანვარს ლედი ნოელის გარდაცვალება გაიგო. „ძალიან დავნალვლიანიდი საცოდავი ლედი ბაირონის გამო. ყველას ეგონა, რომ ეს ამბავი გამახარებდა, მაგრამ ეს მართალი არ არის. მეტი სიმდიდრე აღარ მჭირდება. ლედი ბაირონს წერილი მივწერე და ბევრი კეთილი სიტყვაც ვიხმარე, როგორსაც თქვენ წარმოიდგენთ“. უენტვორთის მემკვიდრეობის შემოსავალი ბაირონსა და მის ცოლს შორის გაიყო; წელიწადში ახლა მისი შემოსავალი შვიდი ათას ფუნტს აღემატებოდა. როგორც კი კირკბის დიასახლისი გახდა, ანაბელამ პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ ოგასტას ნანადირევი გაუგზავნა.

მედუინი მარტო როდი იყო, ვინც ბაირონზე ჩანანერებს აკეთებდა. იანვრის შუა რიცხვებში პიზის ინგლისურ კომპანიას კიდევ ერთი უცნაური კაცი შეემატა. მას ტრელონი ერქვა; საოცარი ცხოვრებით ეცხოვრა ამ კაცს: მეზღვაურიც ყოფილა, დეზერტირიც, მეკობრეც. შელებს ის მოეწონათ. „ექვსი ფუტის სიმაღლისაა, — წერდა მერი შელი, — შავია, როგორც ყორნის ფრთა, თმა სქელი და ხუჭუჭი აქვს, როგორც

მავრს, კიდევ ნაცრისფერი თვალები, ძალიან მეტყველი“. ტრელონმაც შეიყვარა შელები, აი, ბაირონთან კი დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. ბაირონი ნამდვილ კორსარს შეხვდა თუ არა, იმით დიწყო, რომ ცდილობდა მისთვის თავი მოეწონებინა. ზღვის თავგადასავლების ამ სპეციალისტს ისე ექცეოდა, როგორც ოდესღაც მოკრივე ჯეკსონს, — იმ თვინიერი პატივისცემით, რომელიც მოყვარულს აქვს პროფესიონალისადმი. თავისთვის და შელებისთვის იახტის აგება მას შეუკვთა. მაგრამ ბაირონი იმ ადამიანებს ვერ იტანდა, რომლებიც პრიმიტიულად ჰგავდნენ ბაირონისებურ გმირებს. ტრელონში „კონრადული თვისებები“ აღიზიანებდა. ტრელონი თავის მხრივაც ღრმად იყო იმედგაცრუებული. ეს პატარა, კოჭლი, მელანქოლიური კაცუნა, სხვადასხვა ამბებს რომ ყვებოდა მსახიობებზე, მოკრივეებზე, და იმაზეც, როგორ გადაცურა ჰელესპონტი, ჩაილდ ჰაროლდისთვის ღირსეულ ადამიანად არ მიაჩნდა. მერე ბაირონმა შეამჩნია, რომ ტრელონმა ერთხელ სიცრუეც გამოურია; ბაირონის მასზე ნათქვამი: „თუ ხელების დაბანას მივაჩვიეთ და გადავაჩვიეთ სიცრუეს, მაშინ შეიძლება მისგან ჯენტლმენი შევქმნათ“-ო, ამბად მიუტანეს ტრელონს და ამის შემდეგ, ცხადია, ბაირონი სძულდა უკვე. ამ ნახევრად მწერლურ პატარა საზოგადოებაში, სადაც ადამიანები გულმოდგინედ ლაპარაკობდნენ საკუთარ თავზეც და ერთმანეთზეც, სადაც ნათქვამი უსწრაფესად ვრცელდებოდა მთელ წრეში, ბაირონი თავის სისუსტეს ხვდებოდა. იცოდა, ის ცხოვრება, რომლითაც ცხოვრობდა, სულაც არ იყო ის, რასაც მისგან ელოდნენ. თუმცა ქალბატონ გვიჩიოლისთან უბედურად სულაც არ გრძნობდა თავს, ზოგჯერ მაინც ფიქრობდა, ეს ურთიერთობა ცოტა სასაცილო ხომ არ გახდაო. როცა ტერეზაზე საუბრობდა, ოდნავ ირონიულად უწოდებდა მას „მონ ამიცა“-ს, თანაც ისეთი ტონით წარმოთქვამდა, როგორც ოდესღაც თავის „პატარა ფეხზე“ ლაპარაკობდა. თუმცა, ეს მეტისმეტად ერთგული სატრფო, ლანფრანკის სასახლის ფორთოხლის ხეების სქელ საფარველქვეშ ისევ მასთან იჯდა მოსიყვარულე ცოლივით.

მოქმედება... მოქმედება... მოქმედება... როცა პრინცმა მავროკორდატოსმა* შეიტყო, რომ საბერძნეთში გამათავისუფლებელი მოძრაობა სერიოზულად ვითარდებო-

* ალექსანდროს მავროკორდატოსი /1791-1865/ — საბერძნეთის ამბოხების ერთ-ერთი ბელადი.

და, და 1822 წლის მარტში გაემგზავრა, რათა შეამბოხებებს სათავეში ჩასდგომოდა, ბაირონს მისი შემოურდა.

ცუდი განწყობის ერთი ფარული მიზეზი, ბაირონს რომ მუდამ თან სდევდა, ტრაგედიით დამთავრდა. პიზაში არ ჩაიყვანა ალევრა. „ჩარო ილ მიო პაპა, — მოსწერა ალევრამ, — ესენდო ტემპო დი ფიერა დესიდერაი ტანტო უნა ვისიტა დელ მიო აპა?“ „ჩემი ნახვა უნდა, — ახსნა ბაირონმა, — ახლა ბაირონბაა და ასე მგონია, მამისგან თავლაკერის მიღება სურს“. ხუთი წლის ბავშვისადმიც კი თავისი საყვარელი ლაროშფუკოს გამოთქმებს იყენებდა. საქმეში ჩახედულმა მეგობრებმა კლერს გააგებინეს, რომ ბანაკავალოში მავნე კლიმატია და მონასტერს არ ათბობენო. ის ფლორენციაში იყო, ბუხრის პირას იჯდა, ცეცხლს შეჰყურებდა და განუწყვეტლივ ფიქრობდა — ჩემს გოგონას სცივაო. კიდევ ერთხელ მიწერა ბაირონს, ევედრა, რომელიმე წესიერ ოჯახში გადაიყვანო ალევრა, — სულერთია, სად, ოღონდ ჯანსაღი კლიმატი იყოსო. მაგრამ კლერი უხეში იყო და უტაქტო. მიუხედავად თავისი ათეიზმისა, ის მაინც ინგლისელი იყო და პროტესტანტი. ისეთ არგუმენტებს იშველიებდა, ბაირონს რომ სწყინდა და აღაშფოთებდა.

„შემატყობინეს, — მიწერა კლერმა კიდევ ერთხელ, — მონასტერში გამეფებული წესის შესახებ, ისიც გავიგე, რომ ბავშვები საოცრად ცუდ მდგომარეობაში არიან... ყველა მოგ ზაური, ვინც იტალიაზე წერს, მონასტრებს ჰკიცხავს, — ეს შეიძლება საკმაო მტკიცებადაც მივიჩნიოთ, თუ არაფერს ვიტყვით იტალიელი ქალების უფიცობასა და ქარაფშუტობაზე, ისინი ყველა, მონასტრების აღზრდილებია; ცუდი ცოლები არიან და არაადამიანური დედები; თავაშვებულები და უფიცები, საზოგადოების სირცხვილი და უბედურება. აი, ასეთი აღზრდა აირჩიეთ თქვენი შვილისთვის! საცოდავი ალევრა, მამისგან განწირული უმეცარი და გახრწნილი უნდა გაიზარდოს, თავისი მშობლების მეგობრების მხარდაჭერასა და სიყვარულს მოკლებული, უცხო რელიგიასა და სამარცხვინო აღზრდამისჯილი, საზოგადოების აზრით, მთელი დანაშაული თქვენ დაგატყდებათ თავს. იმის წარმოდგენაც კი შეიძლება, ლედი ბაირონს როგორ გაუხარდება, რომელიც სანაქებოდ იცავს შვილსაც და საკუთარი თავისაც. მის წინდახედულებას მთელი საზოგადოება ხოტბას შეასხამს, ჩემი საცოდავი ალევრა კი ცოცხალი სამხილი იქნება თქვენი განსჯისთვის“.

ამგვარად მონასტრის საკითხი იქცა

ბაირონისთვის პირადულ ხასიათებისა და პრინციპულ საკითხად. მონაზვნების აღზრდილ ქალებზე თავდასხმა ქალბატონ გვიჩიოლის წინააღმდეგ მიმართულ თავდასხმად ეჩვენებოდა, ხოლო რელიგიურ აღზრდაზე თავდასხმა მუდამ საშინლად აღიზიანებდა. წერილზე არ უპასუხა. შელი ამჯერად უკვე აქტიურად დადგა კლერის მხარეზე, ბაირონის საქციელზე აღშფოთდა და განაცხადა, რაც შეიძლება სწრაფად მსურს იმ ქალაქიდან წასვლა, სადაც ლორდი ბაირონი ცხოვრობსო. ვილიამსმა და კლერმა დავალება მიიღეს, ზაფხულისთვის ზღვის პირას უნდა მოეძებნათ მისთვის სახლი. გავიდნენ პიზადან თუ არა, შელიმ ბაირონისგან შეიტყო, ალევრა გარდაცვლილიყო.

ბაირონს არ სურდა ამ თავხედი ქალისთვის დაეთმო, უნდოდა საკუთარი ავტორიტეტი ეჩვენებინა, რადგან იცოდა, უთვალთვალებდნენ, მაგრამ, ცხადია, არ სჯეროდა საკუთარ გოგონას ასეთი დასასრული თუ მოუმზადა. თავისებურად უყვარდა ალევრა, ცდილობდა კარგად აღეზარდა, სიამოვნებდა, როცა მასში ბაირონების ხიბლს აღმოაჩენდა და ნაკლსაც; ოცნებობდა უცხოეთში წაეყვანა და თავისი სიბერის ერთადერთ მეგობრად ექცია. ახლა თავისებურად განიცდიდა ამბავს, თავისებური მძვინვარე ეგოიზმით. გრაფინია გვიჩიოლი გულუბრყვილოდ ყვებოდა, რა დაემართა, როცა მისგან ალევრას სიკვდილის ამბავი შეიტყო: „მიცვალებულის ფერი დაეფო და სკამზე დაეცა... ერთი ცრემლი არ ჩამოუგდია, მაგრამ სახეზე ისეთი სასონარკვეთა ენერა, ისეთი ღრმა იყო მისი მწუხარება, ისეთი ამაღლებული, რომ იმ წამს ადამიანურ არსებად როდი მეჩვენა, არამედ რალაც უმაღლეს ბუნებად. მეორე დილას უფრო მშვიდად გამოიყურებოდა, რელიგიურ მორჩილებას გამოხატავდა უფრო. „ის ჩვენზე ბედნიერია ახლა, — თქვა მან, — საზოგადოებაში მისი მდგომარეობა ნებას არ მისცემდა ბედნიერი ყოფილიყო. უფლის ნებაა — ნულარ ვილაპარაკებთ ამაზე“.

შელი — ბაირონს: „კლერისთვის უნდა მეთქვა, რაც მოხდა. არ მინდა მისი მწუხარება აღვინეროთ, თქვენც საკმაოდ იტანჯეთ... მას სურს ნახოს იგი კუბოში ჩასვენებული, მანამდე, ვიდრე ინგლისში გაამგზავრებენ. ასევე სურს, ალევრას პორტრეტი აჩუქოთ და თმის კულული, თუნდაც ყველაზე პატარა... მეშინია, რომ ეს წერილი იმ მწუხარებას მოგვევრით, როგორც აქ სუფევს. მაგრამ ბუნება ძველებურად იმდენადვე ხალასი და მშვენიერია, რამდენადაც ჩვენ უბედურნი

ვართ, ჩვენ ხომ, როგორც ფაუსტი ამბობს, პატარა სამყარო ავიშენეთ ამ დიდ სამყაროში, უფრო კონტრასტად, ვიდრე ასლად ამ ღვთაებრივი მაგალითისა“.

მწუხარებამ გაახსენა გარდასულ დღეთა ამბები.

„მინდა, რომ ჰაროუს ეკლესიაში დაასაფლავონ. სასაფლაოზე ერთი ადგილია, ბილიკთან, გორაკის მწვერვალზე, საიდანაც უინძორი ჩანს, იქ, დიდი ხის ქვეშ, ერთი საფლავია /პირის თუ პირის/, სადაც საათობით ვიჯექი ბავშვობაში... ჩემი საყვარელი ადგილი იყო. საფლავზე სამახსოვრო დაფა მინდა გავაკეთო, ამიტომ ეკლესიაში დასაფლავება უკეთესია. კარს ახლოს, მარცხნივ, ძეგლია დაფით. ახლაც მახსოვს მასზე ამოკვეთილი სიტყვები /ჩვიდმეტი წელი გავიდა უკვე/, განა იმიტომ, რომ რამე ღირებული ენერა მასზე, არა, ჩემი სკამი იქვე ახლოს იდგა და პირდაპირ ამ ძეგლს ვუყურებდი. მინდა, იქვე რაც შეიძლება ახლო დასაფლავდეს, რომ კედელზე შემორჩალოური დაფა გაკეთდეს წარწერით:

სახსოვრად

ალევრას

ქალიშვილს ჯ. გ. ლორდ ბაირონისას, ბანიაკავალოში, იტალიაში გარდაცვლილს

1822 წლის 20 აპრილს, 5 წლისა და 3 თვის ასაკში.

“მე მასთან მივალ, ის კი აღარ დამიბრუნდება“.

სამუილი. XII. 23.“

მაგრამ ჰაროუს ვიკარიუსმა უკანონოდ დაბადებული ბავშვის ეკლესიაში დაკრძალვა დაუშვებლად მიიჩნია — და მხოლოდ გორაკის თავზე, პატარა სასაფლაოზე, ვარდის ბუჩქმა მონიშნა ადგილი (დღესაც ასეა), სადაც ბაირონის ქალიშვილი განისვენებს.

სევდისა და ნალველის გასაქარვებლად ერთადერთი წამალი მუშაობა იყო. ბაირონი ბევრს მუშაობდა პიზაში. ფაუსტური დრამა „ფერნაცვალი მახინჯი“ დანერა, შელიმ საძაგელ ნანარმოებად მიიჩნია, მაგრამ საინტერესო საბუთს წარმოადგენსო. უპირველესად იგი თავისი სიუჟეტით არის საინტერესო, რომელიც ბაირონთან არის უშუალოდ დაკავშირებული: დაბადებით კუზიანი არნოლდი ეშმაკს სულს მიჰყიდის, თავისი სახირობიდან რომ გათავისუფლდეს, სხვებს რომ დაემსგავსოს და სიყვარული ჰქონდეს, მერე ცნობილი რეპლიკაა:

არნოლდის დედა: გადი აქედან, კუზიანო!
არნოლდი: ასეთად დავიბადე, დედა.

ამბობენ, რომ ეს ბაირონის დედის რეპლიკაა. მესამე დაუმთავრებელი აქტისთვის ბაირონის საყურადღებო შენიშვნაა: „არნოლდი ეჭვიანობს საკუთარ თავზე, თავისი უწინდელი სახისა და იმ გონების ძალისადმი, მაშინ რომ ფლობდა“. ეს შენიშვნა შეიძლება იმაზეც მიუთითებს, რომ ბაირონი პიროვნების პრობლემაზეც ფიქრობდა და რამდენიმე ბაირონის არსებობას ანგარიშს უწევდა.

ისევ დაიწყო „დონ ჟუანზე“ მუშაობა: „შეიძლება ამ შემოდგომაზე ან ცოტა მოგვიანებით, „დონ ჟუანის“ სამი ან ოთხი სიმღერა მზად მქონდეს; ჩემი დიქტატორისგან მისი გაგრძელების ნებართვა მივიღე, — ოღონდ იმ პირობით, თუ იგი აუცილებლად უფრო მოკრძალებული და მგრძობიარე იქნება, ვიდრე დასაწყისში იყო. რალაც ზომით ამას შევასრულებ კიდევ, მერე ვნახოთ, რადგან ემბარგო მხოლოდ მაშინ მოიხსნა, როცა ამ პირობებზე დავთანხმდი“.

კარგად კიდევ იმიტომ მუშაობდა, რომ ვილა ლანფრანკი ხშირად მარტო რჩებოდა. საცოდავი გამბეზი კიდევ ერთხელ გააძევეს. ვილაც სერჟანტთან ჩხუბის დროს, ბაირონის ლივრეიანმა მეკარემ, ჭაბუკმა ოტროველამ, უნტერ-ოფიცერს დაარტყა და ნეკნი ჩაუმტვრია. ამ ამბავმა დიდი ხმაური გამოიწვია. ტიტა და კიდევ ერთი კაცი, რომელსაც ჩხუბთან არანაირი კავშირი არ ჰქონდათ, დააპატიმრეს. ტოსკანიის სასამართლომ ბაირონის წყენინება ვერ გაბედა და ისევ გამბეზის ოჯახის გაძევება დაადგინა. ბაირონმა მათთვის ლივორნოს ახლოს, მონტენეროში, ვილა იქირავა. თითქმის ყოველკვირა ჩადიოდა ტერეზასთან პაემანზე, რომელიც ამ განდევნის წყალობით, ისევ ამაღლდა მის თვალში. რაც დააშორეს, მასში ნაკლებად ხედავდა მეუღლეს.

¹ ივლისს გამბეზთან იყო, მონტენეროში, როცა ლი ჰანტის ჩამოსვლა მოახსენეს. წლის წინ ლი ჰანტმა სიხარულით მიიღო მისი წინადადება ჩამოსვლის შესახებ, რომელიც შელის მეშვეობით გადასცა ბაირონმა. ჰანტი ერთი უწყინარი პოეტი კაცი იყო, მაგრამ ცოლის, მარიანას, დიდ გავლენას განიცდიდა. ქალს კი, 1815 წლიდან, მაშინ პირველად ნახა ბაირონი, რომელიც ხშირად დადიოდა მათთან, არ უყვარდა იგი. დიაცი იმიტომ გაუნაწყენდა, რომ ეტლში მჯდარმა ქმრის მომლოდინე ლედი ბაირონმა მისი გაცნობა არც კი ისურვა. „ბაირონი ილღიაში ამოჩრილი თავისი წიგნებით, — ამბობდა ის, — მხოლოდ ლორდია და მოყვარული მწერალი. თავი კი ლიტერატორად წარმოუდგე-

ნია“. შელის მიპატიჟება სწორედ მაშინ მოუვიდათ, როცა ჰანტები სასონარკვეთილ მდგომარეობაში იყვნენ, და ეს ერთადერთი შესაძლებელი გამოსავალი იყო მათთვის.

ამ წყვილის მოგზაურობა, რომელთაც ექვსი ბავშვი ახლდათ, მეტისმეტად მძიმე გამოდგა. მარიანა ავადმყოფი ჩავიდა. ლივორნოში მათ ტრელონი დახვდათ — პირქუში უღვაშა, ჭეშმარიტად „მოხეტიალე რაინდი“ — მონტენეროში წაიყვანა ისინი. ზუსტად მაშინ ჩავიდნენ, როცა გამბეზისა და ბაირონის მსახურებს ჩხუბი მოუხდათ. საცოდავ ჰანტს მოეჩვენა, რომ ნამდვილ მელოდრამაში ამოჰყო თავი. ბაირონი ველარ იცნო ამ გასუქებულ, გრძელთმიან და ყელმოშიშვლებულ კაცში. მისთვის ყველაფერი ახალი იყო, ველური და უჩვეულო. გრაფმა პიეტრო გამბეზი ჩხუბში ჩარევა მოინდომა და მაშინვე ხანჯლის დარტყმაც მიიღო. ლამაზი და თმაგაჩეჩილი ქალბატონი გვიჩიოლი კიოდა. ბაირონი ამ სცენას უმფოთველი ჟინით ადევნებდა თვალს. ამ დაუდევარმა პუბლიკამ პოლიციას მოთმინება დააკარგვინა და გამბეზს ტოსკანიიდან გაძევებით დაემუქრა. ტრელონი გამოჩნდა თუ არა, ყველა აქტიორი, ვინც ამ წარმოდგენაში იყო დაკავებული, მას მივარდა, ჰანტი არც შეუმჩნევიათ, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ და ყველას ურთიერთსაინააღმდეგო მოთხოვნები ჰქონდა: ახლავე წაიყვანე ბაირონი თავისი იახტით, „ბოლივარიო“, ჟენევის ტბაზე, საფრანგეთში, ამერიკაშიო! სასონარკვეთილ ჰანტს ეგონა, ბაირონი ახლავე, ჩემი ჩამოსვლის დღესვე მარტო მიმატოვებს იტალიაშიო.

სალამოს კაზა-მაგნადან თავისი „არიელით“ შელი ჩამოვიდა. შელი მოქმედებაში დიდებული იყო, — მას ადამიანთა ახირებების ლელვის დაძლევა მდინარე არნოს დაძლევაზე ცუდად როდი გამოსდიოდა, თავისი კაკლის ნაჭუჭით. ბაირონი იტალიაში უნდა დარჩენილიყო, ჟურნალის ერთგული ყოფილიყო და თავისი პოემა მიეცა პირველ ნომერში დასაბეჭდად. შელი, ცხადია, შეტევაზე გადავიდა, ბაირონმა ვერ გაუძლო და დაემორჩილა. შელიმ ჰანტებს გონს მოსვლა არ აცალა და ჰანტები მაშინვე ლანფრანკის სასახლეში წაიყვანა. ახლა ამათთან მოუწია ბრძოლამ. ყველაფერზე ნუნუნებდნენ: ლორდმა ბაირონმა ნესტიან პირველ სართულზე მისცა მათ ბინა, ხოლო სასახლის დანარჩენი სართულები თვითონ ეკავა; ავეჯი, რომელიც მათ შელიმ ბაირონის ფულით უყიდა, ცუდი აღმოჩნდა. შელიმ ისინი დააბინავა, დაამშვიდა და მოაწყო. ჰანტმა, იმ საღამოს, შელიზე დღიურში ჩაიწერა: „რელი-

გია ჭეშმარიტად ღვთაებრივად შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ საფუძვლად ქველმოქმედება ექნება და არა რწმენა“.

შელი ლივორნოში უნდა დაყოვნებულყო, რადგან ნოტარიუსთან ანდერძი უნდა შეედგინა, მერე აპირებდა კაზა-მაგნაში დაბრუნებას მეგობართან, კაპიტან ვილიამსთან ერთად.

სამი დღის შემდეგ, დაახლოებით ღამის სამ საათზე, ლანფრანკის კარზე კაკუნი გაისმა. ქალბატონი გვირიოლის მსახურმა იკითხა: „ცჰი ე!“ მერი შელი და ჯენი ვილიამსი აღმოჩნდნენ. ჰანტი უკვე იწვა და ორივე ქალი ბაირონთან შეიყვანეს. ისინი ძლივს ავიდნენ კიბეზე; მათ მომღიმარე გვირიოლი შეხვდათ. სუნთქვაშეკრულმა მერიმ ძლივს იკითხა: „სად არის?“

არც ტერეზამ და არც ბაირონმა არაფერი იცოდნენ. შელი პიზადან კვირას წავიდა, ორმაბათს გემზე ავიდა. ორმაბათ საღამოს კი ჭეჩა-ქუხილი ატყდა.

შელის სიკვდილის შემდეგ პიზური პატარა საზოგადოება დაიშალა. ტრელონი და მედუინი გაემგზავრნენ. ბაირონთან მხოლოდ მერი შელი დარჩა, რომელსაც გამბედაობა არ ეყო იტალია დაეტოვებინა და კიდევ ქვედა სართული ლანფრანკის სასახლისა — შელის თავისებური მემკვიდრეობა, ჰანტების ოჯახი.

საცოდავი ლი ჰანტისთვის შელის სიკვდილი ამ ლტოლვილობაში კომპარად იქცა. კვამლიანი ლონდონიდან ლივორნოს კაშკაშა ბრწყინვალეობაში გადასვლამაც კი თვალში მოსჭრა და შეაშფოთა. ძლივს მოასწრო ჩასვლა, რომ მისი ზეადამიანური მეგობარი, ვისკენაც ისწრაფოდა, გაქრა. ჰანტმა ნახა მისი სხეული — თევზებისგან ნახევრად შეჭმული. ნახა, სამგლოვიარო კოცონის ალი როგორ აიჭრა იტალიური პლაჟის ქვიშებს ზევით, ნახა, „საშინელებით მოყირჭებული“ ბაირონი შიშველი როგორ გადაეშვა ზღვაში, გაცურა — ისევე, როგორც ოდესღაც ქვრივი-რეგენტის დაკრძალვისას კრივს მიეძალა. ამჯერად, ჰანტები და ბაირონი ერთად წავიდნენ ეტლით, ტყე-ტყე მიდიოდნენ და ნახევრად შემოლილებივით მღეროდნენ... დიახ, ეს იყო კომპარი, გაუნელებელი კომპარი.

ჰანტი მალე მიხვდა შელის სახით ვინც დაკარგა. ამის შემდეგ, როცა არწივი ბელურას წაეჩხუბება, მათ უკვე ველარ შეარიგებს ეს მძლავრი და მკვეთრი ხმა. მარტო დარჩა ამ უცხო მხარეში, ადამიანთან, რომელსაც თითქმის არ იცნობდა და რომელთანაც საერთო არაფერი ჰქონდა, თან ავადმყოფი

ცოლი და ექვსი შვილი ჰყავდა სარჩენი. ჰანტს ზოგჯერ თავბრუ ეხვეოდა, როცა უფსკრულს ხედავდა, რომლის პირასაც იგი მოკალათებულიყო.

რამდენიმე კვირის განმავლობაში მდგომარეობა კიდევ ასატანი იყო. ბაირონი შელის ხსოვნას ერთგულად ინახავდა. თუმც, კაცი ვერ იტყოდა, რომ მას დიდად გლოვობდა. ბაირონის თვალში იმ ადამიანების, ძალადობრივი სიკვდილი, რომლებიც უყვარდა, მუდამ ახალი ეპიზოდი იყო მასსა და ბედისწერას შორის დაუმთავრებელი ომისა. ყველა ის უნდა გამქრალიყო, ვისაც იგი შეეთვისებოდა. შელისაც, რომელიც მეტიუზივით და ლონგივით დაიხრჩო — ასევე უნდა დამართნოდა. და კიდევ ერთხელ უნდა მიბრუნებოდა არსებობის სევდიან რუტინას და უსიამოვნოდ ეფიქრა — რომ ოდესმე უხილავი ხელი მასაც მისწვდებოდა. ეს უფრო გამოწვევა იყო, ვიდრე მწუხარება. შელის ხსოვნას იცავდა — „ადამიანთა შორის ყველაზე უკეთესი და არაეგოისტური პიროვნებისას“. ჰანტები პალაცო ლანფრანკში დიდი აჩრდილის დაცვის ქვეშ ჯერ კიდევ არსებობდნენ.

ბაირონს „ლიბერალის“ წარმატებისა სჯეროდა. ჰობჰაუზი და მური მის თანამშრომლობას ჰანტთან დასცინოდნენ. ბაირონს მათთვის იმის მტკიცება მოსწყინდა, რომ მისი სახელი საკმარისი იყო, რათა ყველანაირი ჟურნალის წარმატება უზრუნველყო. ახლა, შელის დაკარგვის შემდეგ, კმაყოფილიც კი იყო, რომ მის სასახლეში მწერალი და კრიტიკოსი ცხოვრობდა, რომლისთვისაც ყოველდღივად შეეძლო ეჩვენებინა ღამით შეთხზული სტროფები. მაგრამ ჰანტს უკვე მოსწყენოდა ეს მეტისმეტად მომთხოვნი პატრონი. „ლიბერალზე“ მათი შეხედულებები სხვადასხვანაირი იყო. ჰანტი პოლემისტი ბრძანდებოდა, ბაირონი — გენიოსი. ჰანტს სურდა ამ ჟურნალში „მისის გრანდი და ჯონ ბული“ შეეხურებინა“, ბაირონს კი, უბრალოდ, მასში ყველაფრის დაბეჭდვა უნდოდა, რასაც დაწერდა. ბაირონის ახირებები, რომლებიც მისსავე თვალში მთელი სამყაროს კანონები იყო, აღიზიანებდა ჰანტს. ის ლანფრანკის სასახლის ერთ პატარა ოთახში მუშაობდა, რომლის ფან-

* ჯონ ბული — წარმოსახვითი პერსონაჟი, რომლის სახეშიც ინგლისია პერსონიფიცირებული. პერსონაჟი სათავეს XVIII საუკუნის დასაწყისში იღებს სვიფტისა და პოპის შემოქმედებაში. პოპულარული XIX საუკუნეში გახდა. კარიკატურებში გამოხატავდნენ როგორც შეძლებულ გასუქებულ ფერმერს.

ჯარაც ფორთოხლის ხეებიან ეზოში გადიოდა. ყოველდღილა ესმოდა. როგორ დგებოდა ბაირონი, აბაზანას იღებდა, იცვამდა და მღეროდა, ძალიან ხმამაღლა მღეროდა, მაგრამ ყალბად, ჩვეულებრივ, რომელიმე არიას მღეროდა, უფრო ხშირად როსინის. ცოტა ხნის შემდეგ, ჰანტის ფანჯრის ქვეშ ბაირონის ხმაც გაისმოდა: „ლეონტიუს!“ — ლათინური ინტერპრეტაცია ლი ჰანტის სახელისა, შელის მოგონილი. ჰანტი დგებოდა, ოხრავდა, ესალმებოდა და ეზოში გადიოდა. თუ ქალბატონი გვიჩიოლი ამ დროს პიზაში ბრძანდებოდა, ისიც მათთან გადიოდა დილის ტანსაცმელში გამონყობილი, აი, მაშინ კი, ბაირონის ნუნუნის მოსმენა უნევდა, ქალბატონ გვიჩიოლის ეჭვიან ზნეს რომ უჩიოდა მუდამ, ხოლო ქალბატონი გვიჩიოლი ბაირონის უხეშობაზე ლაპარაკობდა.

მიჯნურები ახლა უკვე იმდენად კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, რომ უნინდელივით აღარ წარმოედგინა „თავისი პოეტი“ პეტრარკას კალმის ღირს რომანის უხორცო გმირად. ბაირონისთვის ფაქტი ფაქტი იყო, და როცა ქალი მისი საყვარელი ხდებოდა, ყველას უყვებოდა თავისი მკვეთრი და გულლია გამონათქვამებით, რაიც მათი ურთიერთობის ხასიათზე არანაირ ეჭვს არ ტოვებდა. ეს რეალიზმი ქალბატონ გვიჩიოლის სწყინდა. ბაირონს იგი ერთგულ, უანგარო, მოყვარულ ადამიანად მიაჩნდა, ოღონდ იმ მანკიერებისკენ — ეჭვიანობა და სანტიმენტალობა — მიდრეკილად, რაიც „ქალთა ამ უაზრო ჯიშისთვის“ დამახასიათებელიაო.

ჰანტი ამ მოუსვენარი წყვილისთვის ფრიად მკაცრი მესაიდუმლე იყო. მათ წინააღმდეგ ცოლი ამხედრებდა. ისევე, როგორც ლედი ბაირონმა, ქალბატონმა გვიჩიოლიმაც მისის ჰანტის გაცნობა საჭიროდ არ მიიჩნია. ქალები ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ. მარიანა ჰანტი ბაირონსაც გამომწვევად ექცეოდა. როცა ლორდი გამოჩნდებოდა, ბავშვებს გარეთ ყრიდა, მისი საუბარი ყმანვილთა ყურთათვის მეტისმეტად სახიფათოდ მიაჩნდა. ბაირონმა ეს იცოდა და ასეთი დასკვნები იმ ქალისგან, რომელიც მის ჭერქვეშ ცხოვრობდა და ცხოვრობდა მისი წყალობით, შეურაცხყოფდა. გასაოცარი გულუბრყვილობაა „რომფუკოს“ მონაფისა, რომელსაც წინასწარ უნდა ეგრძნო სიკეთის ბუნებრივი შედეგი. მასაც მოსწყინდა ყველა ჰანტი: მშობლებიცა და შვილებიც. მერი შელის მიწერა: „ამ კედლებში, სადაც ჰანტების შვილები ცხოვრობენ, შემძულდა იმ საგნების დანახვა, შელის რომ ეკუთვნოდა. ყველაფერი დასვარეს და დაამტვრიეს“. ზევით, თავისი აპარტამენტის შესასვლელთან ბულ-

დოგი დააბინავა, რომელსაც სტუმრები საპატიო მანძილზე უნდა შეეჩერებინა.

„ — ეს კოკნები აქ არ შემოუშვა! — უბრძანა ბაირონმა ძალს და მოეფერა“. ლანფრანკის ზედა და ქვედა სართულები საომარ ვითარებაში ცხოვრობდა. ჰანტი ზიზლით იხსენიებდა ამ „ასე ნაკლებ პოეტურ პოეტსა და ასე ნაკლებ დიდებულ ლორდს“. რამდენიმე კვირის განმავლობაში ბაირონს მესამედ მოუწია გამბების გაცილება — ამჯერად ტოსკანიიდან გააძევეს და თავი გენუას შეაფარეს. ბაირონი სასონარკვეთილი იყო, რომ ჰანტების თრევა მოუწევდა და „მთელი მათი ჰოტენტოტური კრაალისა“. ისეთი მკაცრიც არ აღმოჩნდა, რომ ისინი პიზაში დაეტოვებინა, მაგიდის კიდესთან მიმჯდარი, ავეჯის გადაზიდვისას მუშებს რომ დარჩენოდათ, „დონ ჟუანის“ სტროფებს ნაჩქარევად წერდა და ჰანტებს გულიანად წყევლიდა.

XXXIII

ჯენტლმენი სამშობლოზე ნაღვლობს

მარტინმა გადაწყვიტა, — ადამიანი იმისთვის არის შექმნილი, რომ ან შფოთით ალსავსემ იცხოვროს ან მოწყენილობის ლეთარგიითო.

ვოლტერი

ისევ ტალღებზე ვარ ამხედრებული! და კიდევ ერთხელ...

ჩაილდ ჰაროლდის ეს მესამე მოგზაურობა უცნაურად ეჩვენებოდა, მეტისმეტად უცნაურადაც. განდეგილმა კიდევ ერთხელ დართო ნება უცხოქვეყნელ, არასასურველ ადამიანთა ხროვას, აჰკიდებოდა მას; კიდევ ერთხელ არ ეყო გამბედაობა ჩამოებერტყა ადამიანთა ეს გროვა. ახლა მთელი ფლოტილია დასჭირდა გენუაში რომ გადაეყვანა თავისი არაკანონიერი ოჯახი, თავისი კლიენტები, თავისი მსახურები. „ბოლივარით“ თავად ბაირონი, ტერეზა და გამბების ოჯახი გაემგზავრა, მეორე გემით — ლი ჰანტი, მარიანა ჰანტი და პატარა ჰანტების ურდო; მესამეთი — ტრელონი, ზვიადი და შემფოთებული ადმირალი ამ ესკადრილიისა; ფელუკაზე კი მსახურები და ცხოველები მოთავსდნენ, როგორცა. „იმაზე მეტი სილამაზის წარმოდგენა შეუძლებელია, ვიდრე ეს გემები იყო, თეთრი იალქნებით რომ გაცურდნენ კლდეების ახლოს ლურჯ ზღვაში“, — ამბობდა ჰანტი. იქნებ, ჰანტისთვის, რომელსაც მთელ ამ ბრბოზე არანაირი პასუხისმგებლო-

ბა არ ჰქონდა, მართლაც თვალწარმტაც სურათი იყო, მაგრამ ბაირონისთვის ეს ნაკლებად სასიამოვნო სანახაობა გახლდათ, რადგან მთელ ამ ხროვაზე შემდეგშიც მას უნდა ეზრუნა და მოესმინა მათი წუნწუნი.

მერი შელის საცხოვრებლის შოვნა დაავალეს — შელების ტრადიციული როლი. მან ორი სახლი იქირავა ალბაროს გარეუბანში, ყურეზე აღმართულ გორაკზე; თავისთვის და ჰანტებისთვის უზარმაზარი, ორმოცოთახიანი ყაზარმული ტიპის სახლი, ხოლო ბაირონისთვის ვარდისფერი, საბატონო ვილა კაზა — სალუცო. კარგა ფართო პარკში პავილიონიც იყო და კვიპაროსების ხეივანიც, რომელთა ჩრდილშიც ბაირონს კითხვა შეუყვარდა; აქედან ზღვის წარმტაცი სანახაობა იშლებოდა. ფლეტჩერს უბრძანა, საწოლ ოთახში ადას პატარა პორტრეტი დაეკიდა და გრავირებული პორტრეტიც ბაირონისა. ზედა სართულზე გრაფინია გვიჩიოლი მოათავსეს, ნატა* გამბა და მთელი მისი ოჯახი.

კაზა-სალუცო, ლანფრანკის სასახლესავით, უბედურებათა სახლი აღმოჩნდა. პირველსავე დღეებში, ამ ვარვარა მზის ქვეშ, გენუის ყურის გადაცურვა მოინდომა ბაირონმა. ამ ექსპედიციამ საწოლში ჩაანვინა, ტყავი გასძვრა და ვერაფრით მოიკეთა. „ლიბერალის“ პირველმა ნომერმა ინგლისში დიდი არეულობა გამოიწვია. ჰობზაუზი და კინიარდი გამაფრთხილებელ წერილებს წერდნენ. არის სკანდალები, რომლებიც თავისი გრანდიოზული ზომებით პატივისცემას იმსახურებენ; ეს კი მხოლოდ და მხოლოდ სასაცილო იყო. მური, კინიარდი, ჰობზაუზი — ლიბერალები და მაღალი წრის ადამიანები — მხრებს იჩეჩდნენ. შეურაცხყოფილი ბაირონი მათ უხსნის, თანაგრძნობის გამო ვიქცევი ასე, შელის სიკვდილის შემდეგ ჰანტი ჩემი შესანახი გახდა, იმ საცოდავს კი ცოლი და ექვსი შვილი ჰყავსო. თავისი ავტორი რომ დაეცვა, მარიმ ეს წერილი ვილაცებს აჩვენა, ამ ხმამ ჰანტამდეც მოაღწია; აი, მაშინ კი, მთელი ეს ორმოცოთახიანი სახლი საცოდავ ბაირონს დაეხვია.

მერი შელიმ თავაზიანი პატივისცემისა და ბუნდოვანი მორალური საყვედურებით სავსე გაღიზიანებული წერილი მიწერა: „როგორ შეიძლება, ჟურნალი წარმატებული იყოს, როცა ერთ-ერთი დამაარსებელი ლონდონში მის მნიშვნელობას ამცირებს, რადგან იგი ქველმოქმედებად წარმოუდგენია?“

ცხადია, ბაირონისთვის მთელი ეს „გოდება“ აუტანელი იყო. ბუნებრივია, ჰანტის სილ-

* ქალიშვილობის გვარი.

არბის შეურაცხყოფა აზრადაც არ მოსვლია, თვითონაც გამოსცადა სილარიბე და პატივს სცემდა მას. მაგრამ, მაინც სიმართლე უნდა ითქვას, — განა ჰანტთან ერთად ჟურნალს დააარსებდა, ეს უკანასკნელი მდიდარი რომ ყოფილიყო? ცხადია, არა!.. „მუდამ ისეთი დელიკატურობით ვექცეოდი, რჩევების მიცემაც კი ავუკრძალე საკუთარ თავს, იმის შიშით, ისე არ გაეგო, რასაც ადამიანის მდგომარეობის გამოყენების სურვილი ჰქვია“.

მართალი იყო, მაგრამ ჰანტმა არ აპატიო. თუ საბოლოო განხეთქილება არ შედგა / რადგან ბაირონი კიდევ სჭირდებოდა მას/, მათი შეხვედრები იშვიათი და მტანჯველი გახდა.

ჰანტი ქვიშამოყრილ ხეივანში მელანქოლიური განწყობით სეირნობდა და შელიზე ფიქრობდა. ახლა ბაირონთან, დოქტორ ჯონსონის გარდა, აღარაფერზე ლაპარაკობდა. ბაირონს უყვარდა ჯონსონის გამოჯავრება და გაბლენძილი იერით წარმოთქვამდა: „Why, sir“* და ირგვლივ მიმოიხედავდა, — მოძველებული ხუმრობა იყო და ჰანტს თითქმის ისევე აღიზიანებდა, როგორც როსინის არიები, სააბაზანოში რომ მღეროდა ბაირონი. კაზა-სალუცოში ვიზიტები იშვიათი გახდა. ჰანტი ამჯობინებდა ბაირონისთვის წერილობით ეთხოვა ფული და თითქმის მუდამ ირონიული და გამჭირდავი ტონი ჰქონდა: „იძულებული ვარ შეგანუხოთ და კიდევ ასი კრონი გთხოვოთ; მეშინია, რომ მალე ისევ იძულებული გავხდები, კიდევ ერთხელ შეგანუხოთ და გთხოვოთ“.

აღარ უწერდა „ჩემო ძვირფასო ბაირონო“-ო, ახლა „ძვირფასი ლორდი ბაირონი“ გახდა. ბაირონი კი პასუხობდა „ძვირფას ლორდ ჰანტს“-ო. მერე ეს ურთიერთობაც შეწყდა და ჰანტების ტომს კრონები ყოველკვირა გადაეცემოდა, ბაირონის მმართველი ლეგა ზემბელის მეშვეობით. ახალი წყენა.

კაზა-სალუცოს ცხოვრებას მღელვარებები და სიდიადე აკლდა. ბაირონს ტერეზა გვიჩიოლი უყვარდა და განსაკუთრებით იმ პერიოდში, რავენაში, როცა ხიფათში იგდებდა თავს, ცხენით მიდიოდა მასთან პაემანზე მეამბოხეთა ვიზიტებისა და პოლიციასთან შეტაკებების შორის დარჩენილ დროში. მოგვიანებით კი, მონტენეროში გაძევებული ქალი მის თვალში თავისუფლებისათვის წამებულის სიმბოლოდ იქცა. როცა

* რატომ, სერ? /ინგლ./

ლი ჰანტმა ქალი პირველად ნახა, ჩანერა „დარწმუნებულია, რომ მთელი სამყაროსთვის გმირი ქალია, პოეტის გვერდით მიმავალი; უკიდურესად ალგზნებული იყო, რაიც ამ როლისთვის დიდებული ნილაბი გახლდათ“. რამდენიმე კვირის განმავლობაში, პიზასა და გენუაში, ქალი უცბად ჩამობერდა, მისმა სახემ მგზნებარე უმანკოების იერი დაკარგა, ეტყობოდა, ჩუმი ნალველი ანამებდა. მისი სატრფო ჯერ კიდევ „მართვადი გახლდათ და მტკიცე ხელითაც ეჭირა“, მაგრამ ბაირონს უკვე მოსწყენოდა ეს ამბავი. ეჩვენებოდა, რომ არსებობა უფრო უღიმღამო გახდა, ვიდრე იმ დროში იყო, როცა ჯერ კიდევ უცნობი ახალგაზრდა ნიუსტედში იკეტებოდა, მარტოობაში რომ ემთქნარებინა. მაშინ არავის იცნობდა ჰანსონისა და დალასის გარდა, ნათესავისა და რწმუნებულისა. მერე ლონდონის „ლომი“ გახდა, მსოფლიოს უცნობილესი პოეტი, მაშინ შეიძლებოდა ასე გეთქვათ და არა ხუმრობით: „ნაპოლეონი და ბაირონი“. ნელ-ნელა მოიშალა მოჯადოებული წრე, მარტო რჩებოდა ამ მკაცრი სამყაროს შუაგულში. მარტოობიდან მარტოობისკენ — მისი გამრუდებული ცხოვრება თავბოლოს იკრავდა.

ახლა რომ წერტილი დაესვა, თავისი ნათელი მანერით, ყოველგვარი შემწყნარებლობის გარეშე, რა შეეძლო აღენიშნა?.. 1823 წლის მარტი. კოშკის საათი თორმეტის ათ წუთს აღნიშნავს, ვარდისფერი სასახლე, სატრფო და სიყვარული, რომელიც უკვე ოთხი წელია გრძელდება, მოხუცი — ამ ქალის მამა, რამდენიმე ძალი, ფლექტერი. და მეტი არაფერი ამ ქვეყანაზე... დიახ, ჭემმარიტად — ცხოვრება ახლა უფრო ცარიელი იყო, ვიდრე ჭაბუკობის უმძიმეს წლებში. განა ამისთვის იტანჯებოდა?.. თანაც ამ დროს „შინაგანი ძალა ჯერ კიდევ ჰქონდა“. მისი ფიქრები ინგლისსაც მისწვდა. რატომ არ ცხოვრობს ისე, როგორც სამეფოს პერს ეკადრება? პოლიტიკა რატომ არ გახდა მისი მოქმედების ობიექტი?

როგორც ოდესღაც აღმოსავლური პეიზაჟები ენატრებოდა, ახლა ასევე მოენატრა ჩრდილოეთის პეიზაჟები. ნაცრისფერ ცაზე ოცნებობდა და ქარისგან გარეკილ დიდ ღრუბლებზე, აი, ისეთზე, როგორიც მხოლოდ შოტლანდიაში იცის. თავის „დონ ჟუანს“ ინგლისში აგზავნის და თითქმის სიყვარულით აღწერს, მისი გმირი პირველად როგორ შეავლებს თვალს დუვრის ფრიალო კლდეებს.

აჰ, როგორ შურდა დონ ჟუანისა და მისი მოგზაურობის.

მეძლებს კი ოდესმე, თვითონაც იმავე

გზით მოგზაურობას? ეს მხოლოდ ანაბელაზე იყო დამოკიდებული. ის გახდა იმ დაუნერეელი ბრძანების მიზეზი, რამაც განდეენილობაში წაიყვანა. მან რომ საშუალება მისცეს, საზოგადოების თვალში ისე იცხოვროს, როგორც ქმარმა და მამამ, ყველაფერი დავიწყებას მიეცემოდა. ცოლის სახე იცვლებოდა. იცოდა, რომ ანაბელა გულწრფელი ადამიანი იყო, რომ დიდი ღირსებები ჰქონდა და მისი ღვთისმოსაობა მოჩვენებითი არ იყო, ხოლო მისი სიკეთე ნამდვილი გახლდათ. რატომ არ უნდა აპატიოს ბაირონს? მარტოდ დარჩენილი ნაზი გრძნობებით იგონებდა ანაბელას. გენუაში გავლით მყოფ ლედი ბაირონის დიდ მეგობარს, პოლკოვნიკ მონტგომერს სთხოვა მისი პორტრეტი მიშოვეო. მას ხომ ძალიან უყვარდა, როცა ყოველსაღამო ეწვეოდა ხოლმე თავისი წარსულის მუზეუმს, ცოლისა არაფერი ჰქონდა მუზეუმში, წერილიც კი. ზოგჯერ ანგარიშების პატარა უბის წიგნაკს შლიდა, ერთადერთ რელიკვიას, სადაც ანაბელას ხელით დაწერილი ორად ორი სიტყვა შემონახულიყო... „Household“.* სულ ეს იყო. არა, როცა პიზაში ცხოვრობდა, ანაბელამ ადას თმა გამოუგზავნა, გვერდით კი თარიღიც მიუწერა. ეს რამის დაპირებას ხომ არ ნიშნავდა? ვინ იცის? სასწრაფოდ პასუხიც მიწერა: „გაუწყებთ, ადას თმა მივიღე, ძალიან ნაზი და ლამაზია; თითქმის ისეთივე მუქია, როგორიც ჩემი იყო, როცა თორმეტი წლის ვიყავი... არ ხუჭუჭდება, ალბათ გაზრდის საშუალებას არ აძლევენ. მადლობელი ვარ, რომ თარიღიც მიმიწერეთ და სახელიც, გეტყვით, რატომაც, ეს ერთადერთი ორისამი სიტყვაა, თქვენი ხელით დაწერილი, რაც შემომრჩა... რადგან დაგიბრუნეთ ყველა თქვენი წერილი, გარდა სიტყვა ოუსეკოლდისა, ორჯერ დაწერილი, ანგარიშების თქვენს ძველ წიგნში. მეტი აღარაფერი შემომრჩა“.

ეს წერილი არ გაუგზავნია. არ იცოდა, როგორ მიიღებდნენ, მაგრამ სურვილი, ანაბელას მეშვეობით და ანაბელასთან ერთად დაეკავებინა თავისი ადგილი საზოგადოებაში, მის გულში არსებობდა. მან ეს სურვილი, და ბევრი სხვაც, ერთ მეგობარ ინგლისელ ქალს გაუმხილა, რომელიც 1823 წელს ჩავიდა გენუაში. ეს ქალი, ფრიად სახელოვანი ბანოვანი, ლედი ბლესინგტონი გახლდათ.

ბაირონმა ლორდი ბლესინგტონი 1812 წელს გაიცნო ლონდონში, მერე ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. იმ დროს ლედი ბლესინგტონი ყველასთვის უჩინარი

* საოჯახო საქმეები.

ირლანდიელი ქალი იყო, რომელსაც მძიმე ცხოვრება არგუნა ბედმა. ლორდ ბლესინგტონს ცოლად 1818 წელს გაჰყვა, ბაირონის გამგზავრების შემდეგ. მაგრამ ბაირონს მასზე ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი. იცოდა, რომ ლოურენსმა შეასრულა ამ ქალის პორტრეტი და მთელი ლონდონი გაგიჟდა ამ სურათზე; ისიც იცოდა, რომ მან სამი წიგნი დაწერა და მისით თვით ტომას მური იყო აღფრთოვანებული. როცა 1823 წლის 1 აპრილს, ვილა ალბაროში, ორი სავიზიტო ბარათი, ლორდ ბლესინგტონისა და გრაფ ალფრედ დ'ორსესი, მიუტანეს, ბაირონი აღელდა, შეეშინდა კიდეც, და ძალიან კმაყოფილი დარჩა. გრაფი დ'ორსე, როგორც ბაირონი ამბობდა, ფრანგი და ოჯახის მეგობარი „ძალზე ახალგაზრდა და ნამდვილი ლამაზმანი“ გახლდათ. ლედი ბლესინგტონს თავისი ლორდი ძალიან მოსწყენოდა და პარიზელი რაინდის გარეშე ყოფნა ველარ შეძლო. როცა მამაკაცებმა უთხრეს „მილედი“ ეტლში ზისო, ეტლი კი თქვენს კართან დგასო, ბაირონი სასწრაფოდ გაიქცა, როგორც იცოდა ხოლმე, მოუხერხებლად, ბანოვანს ბოდიში მოუხადა და სახლში მიიპატიჟა.

ქალი რამდენიმე დღის განმავლობაში ელოდა თურმე ამ შეხვედრას. იმედგაცრუების ემინოდა; ასეც მოხდა, გაუცრუვდა იმედი. ეგონა, მაღალ მამაკაცს დაინახავდა, დიდებული და შთამბეჭდავი გარეგნობისას, — და... ქანდაკი თავი ნახა, მრავლისმეტყველი თვალები, მაგრამ ისინი პატარა არსებას ეკუთვნოდა, რომელსაც თითქმის ბავშვური სხეული ჰქონდა. მზის დარტყმის შემდეგ ისევე გახდა, კოსტიუმი სხეულზე ისე თავისუფლად ეკიდა, მაღაზიაში ნაყიდ მზა კაბას ჰგავდა. მის მანერებში მოუხერხებლობა იგრძნობოდა, რაც იმას მოასწავებდა, რომ ისევე თავის სახირობაზე ფიქრობდა. მეორე დღეს ბლესინგტონებმა თავიანთ სასტუმროში ნახეს მისული, ოდნავ შემკრთალი, მაგრამ ძალიან მეგობრულად განწყობილი, და ლედი ბლესინგტონმა ძალიან მალე შეამჩნია /ქალს თავისი ცხოვრების მანძილზე ბევრი უტარებია თავის ნებაზე/, რომ იმაზე ადვილი არაფერი იყო, ვიდრე ამ ადამიანის მიჩვევა. მათ მეგობრობას არანაირი კოკობიკობა არ აფუჭებდა. მილედი, როგორც ბაირონი მიმართავდა, „თავისი პარიზული ნადავლით“ სრულიად კმაყოფილი იყო. — ბაირონს მამაკაცსა და ქალს შორის მეგობრობისა სჯეროდა, იმ პირობით, თუ მათ ურთიერთობაში სიყვარული არ შეიჭრებოდა. ბაირონს ლედი ბლესინგტონი ჭკვიან ქალად მიაჩნდა; ცხენით სეირნობდნენ თუ მეზობელთა

ვილებში მიდიოდნენ საუზმეზე, ისინი დიდი გულახდილობით საუბრობდნენ. ქალი ამ საუბრებს ინერდა და რამდენიმე კვირის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ყველაზე ცოცხალი, ყველაზე მართალი წიგნი გამოუვიდა, რაიც ოდესმე დაწერილა ბაირონზე.

ქალს მშვენივრად ესმოდა მისი და ხვდებოდა იმ სირთულეებს, ბაირონს რომ აწუხებდა. მისი თვისებების საფუძვლად დიდსულოვანი და ავადმყოფური მგრძნობიარობა ეჩვენა, რომელიც ჭაბუკობისა მშვენიერი ხასიათების საფუძველია. ბოროტების ნაადრევმა სიცივემ ამ კეთილ თესლს აღმოცენების საშუალება არ მისცა, მაგრამ მისი მოკვლა ვერ შეძლო. როცა ბაირონი ამბობდა, დაცემული ანგელოზი ვარო, მართალი იყო. იყო მასში ნაწილაკი ანგელოზისა, მაგრამ ადამიანებში იმდენი სიმკაცრე და სიყალბე ნახა, რომ თვალთმაქცობისადმი შიში გახდა მისი მთავარი გრძნობა.

ლედი ბლესინგტონი ხშირად ისმენდა, ბაირონი როგორ მსჯელობდა სხვათა გრძნობებზე, საკუთარზეც კი; ლაროშფუკოსავით, უფრო ღვარძლიანადაც, ყველგან და ყველაფერში სიძუნწესა და სიცრუეს ხედავდა. ისე ჩანდა, თითქოს სიამოვნებას ჰგვირვიდა რომანტიკული გრძნობების სასაცილო სახით წარმოდგენა, წუთის შემდეგ კი საკუთარ თავშივე აღმოაჩენდა ამ გრძნობას, თანაც ისეთი ძალით, თვალზე ცრემლი ადგებოდა. ქალი მიხვდა, დაცივნის გრძნობამდე იმიტომ მიდიოდა, რომ თვითონ გათავისუფლებულიყო ამ გრძნობისგან. მილედიმ შეამჩნია, თუ ლორდი პათეტიკურ ლექსებს კითხულობდა, მაშინ მუდამ დამცინავი იერი და კომიკური პათოსი ჰქონდა, — და ეს გახლდათ ფარი, ემოციისგან თავდაცვის საშუალება. იგი უარს ამბობდა საკუთარ ხასიათში მაღალი თვისებების აღიარებაზე და სიამოვნებით ჰფენდა თავის ნაკლს.

რელიგიაში — ქალმა შეამჩნია, რომ იგი არათუ ურწმუნო, სკეპტიკოსი იყო უფრო, ყოველ შემთხვევაში, დეისტი მაინც. „მშვენიერი დღე, მთვარის სინათლე, ბუნების ყველა დიდი სანახაობა, — ამბობდა ბაირონი, — ყველა ამაღლებულ სულში ღრმა რელიგიურ გრძნობებს აღვიძებს“. უფრო მეტად კი ცრუმორწმუნე უფრო იყო, ვიდრე რელიგიური; ეტყობოდა, სწყინდა კიდეც, როცა მის სისუსტეს არ იზიარებდნენ; ძალზე სერიოზულად უამბო ლედი ბლესინგტონს, — ერთ ქალს, ბაღში, შელის აჩრდილი გამოეცხადაო. ისევე ემინოდა პარასკევის. შიშს ჰგვირვიდა დაბნეული მარლი, გატეხილი ჭიქა.

მაგრამ, განსაკუთრებით, რითაც ყვე-

ლაზე მეტად გაცდა ქალი, თანდაყოლილი სიკეთის შემდეგ, მისი სალი გონება გახლდათ. ანტირომანტიკული, ანტიინდივიდუალური სალი გონება, რაც ძალზე გასაოცარი იყო ამ ყველაზე არასაზოგადოებრივი / როგორც მასზე ამბობდნენ/, ადამიანში. ქორწინებაზე იშვიათად უმსჯელია ადამიანს ასეთი ბურჟუაზიული სიბრძნით. „თუ ადამიანებს, — ამბობდა ის, — ისე უყვართ ერთმანეთი, რომ ცხოვრება არ შეუძლიათ სხვადასხვა ადგილზე, მაშინ ქორწინება ერთადერთი ფორმაა კავშირისა, რამაც შეიძლება მათ ბედნიერება მოუტანოთ... არც მორალს ვგულისხმობ და არც რელიგიას, თუმცა, ჩვეულებრივ, სიძნელე ათჯერ მაინც იზრდება მათი გავლენის წყალობით; მაგრამ, რომ წარმოვიდგინოთ კიდევ ადამიანები მოკლებულნი ერთსაც და მეორესაც, ისინი განუმტკიცებელმა ცოლქმრულმა კავშირმა შეიძლება უბედურებამდე მიიყვანოს, — თუკი მათ ცოტაოდენი დახვეწილი გონება და კეთილშობილური სიამაყე აქვთ. დამცირებამ და წყენამ, რომელიც ქალს მსგავს მდგომარეობაში ხვდება, არ შეიძლება არსებითი გავლენა არ მოახდინოს მის ხასიათზე, რაც იმ ხიბლს, რითაც იმარჯვებდა, ეჭვიანობას და წყენას ჩაუნაცვლებს. ორმაგად ეჭვიანი ხდება იმისადმი, ვისზეც დამოკიდებულია, და მამაკაცს უწევს უფრო მკაცრი მონობის უღელს დაემორჩილოს, ვიდრე ქორწინების მონობაა, ოღონდ მისი სიდარბაისლის გარეშე“.

ცხადია, ეს ტერეზა გვიჩიოლის პორტრეტი გახლდათ, რომელიც უფრო და უფრო ეჭვიანი ხდებოდა, ეჭვიანობდა ლედი ბლესინგტონზეც კი. მისი დაკვირვების სიძლიერე, განსაკუთრებით, თვით მასშივე მჟღავნდებოდა. „ფიქრებით ხშირად ვუბრუნდები ჩემი ბავშვობის დღეებს და მუდამ გაცოცხლებული ვარ იმ დროის ჩემი გრძნობების სიმძაფრით. ჩემმა საცოდავმა დედამ, მერე ჩემმა სკოლის ამხანაგებმა თავიანთი დაცინვით შთამინერგეს, რომ საკუთარი სახიჩრობა დიდ უბედურებად უნდა მიმეჩნია და ველარასოდეს შევძელი ამ გრძნობაზე გამარჯვება. თანდაყოლილი დიდი უნარი უნდა გქონდეს, რომ იმ გულის გამგლეჯ სიმწარეზე გაიმარჯვო, რასაც სხეულის ნაკლი ნერგავს გონებაში და რაც ყველასა და ყველაფრის წინააღმდეგ განგანყობს ამ ქვეყანაზე“.

იგი იმ ადამიანთა რიგს ეკუთვნოდა, რომელიც ვერაფრით ურიგდება ჭაბუკური ილუზიის დაკარგვას. ის ამბობდა, ფიქრი შეცდომააო; რომ ასაკის მომატებასთან ერთად ადამიანიც გატაცებებისგან ინკურნებაო. გატაცებები მხოლოდ ასაკის

შესაფერად იცვლება: სიყვარულს სიძუნწე სცვლის, მიმნდობლობას — ეჭვი. „აი, — ამბობდა ბაირონი, — რას გვაძლევს ასაკი და გამოცდილება. რაც შემეხება მე, ჭაბუკობა მირჩევნია, გონების ალგზნებული მცხუნვარება; სიმნიფე — გონების პარალიზებაა. მახსენდება ჩემი ჭაბუკობის დრო, როცა გული პირამდე მქონდა სავსე კეთილი გრძნობებით იმათდამი, ვისაც ცოტათი მაინც ვუყვარდი; ახლა, ოცდათხუთმეტი წლის ასაკში, — ეს ხომ ჯერ კიდევ სიბერე არ არის, — ძლივსძლივობით გამომდის იმავე გულის მიმქრალი ნაკვერჩხლების გაღვივება, მსუბუქი ალი მაინც რომ გავაჩინო, რათა ჩემი მიფერმკრთალებული გრძნობა გავათბო“.

როგორ უნდოდა აელევეები და თავი მოეწონებინა ახალგაზრდა ქალისთვის ამ ოცდათხუთმეტი წლის მონაფეს, გამოუსწორებელ სანტიმენტალისტს, ამაოდ რომ ცდილობდა ცინიკოსად გამოჩენილიყო. „საცოდავი ბაირონი“, — ამბობდა თავის მხრივ ლედი ბლესინგტონი, — საცოდავი ბაირონი, ისეთი კეთილსინდისიერია, ისეთი სუსტი, ისეთი პატიოსანი და ასე ცილდანამებული; საცოდავია ბაირონი, „იმიტომ, რომ თავისი გენიოსობით, თავისი ტიტულით, თავისი ქონებით — იგი მაინც ღარიბია“.

ამ ორი თვის განმავლობაში, 1823 წლის აპრილი და მაისი, ბაირონსა და ბლესინგტონებს შორის ძალზე ახლო ურთიერთობა გაიბა. გრაფმა დ'ორსემ ბაირონისა და პიეტრო გამბას პორტრეტები დახატა. ლედი ბლესინგტონთან საუბრები ბაირონისთვის მისი სატრფოს ლაქლაქისგან დასვენება იყო. ძალიან დანალვლიანდა ბაირონი, როცა მათი გამგზავრების დრო მოვიდა. სამივეს საჩუქარი მიუტანა უკანასკნელად; ცრემლიც აუბრწყინდა თვალებზე; მოიწმინდა და საკუთარ მღელვარებასთან დაკავშირებით რაღაც სარკასტული ჩაიბურღლუნა.

„დონ ჟუანი“, როგორც ჩანს, ბაირონის მონყენილობითა და ზნეობრივი მარტოობით იკვებებოდა. პიზაში, მერე გენუაში ათიოდე სიმღერა ადვილად დანერა, სხვადასხვა ხერხებითა და ფორმის გასაოცარი მოქნილობით; პოემა გაფართოვდა. ჟუანი მაინც მის გმირად რჩებოდა, მაგრამ მისი თავგადასავლები მხოლოდ მიზეზი იყო. ჭეშმარიტ სიუჟეტად გულივერის სიუჟეტი იქცა, კანდიდის სიუჟეტი; სატირა ევროპელ რჩეულთა. ბაირონს არასოდეს ჰყვარებია „მმართველი კლასები“. ბავშვობიდანვე პურიტანად იყო აღზრდილი, ე. ი. ოპოზიციონერად; ლორდთა პალატაში მხოლოდ იმიტომ მივიდა, რომ

პერებისთვის რამდენიმე მკაცრი სიტყვა ეთქვა. საზოგადოებაში უცხოვად გრძობდა თავს, ეს მაშინ, როცა ეგონა XVIII საუკუნის დიდი სენიორივით ვცხოვრობო. ქარიშხალმა, საზოგადოებიდან რომ გამოაძევა, მხოლოდ გული დაუკოდა, გაცეცებით კი ვერ გააოცა. ახლა, როცა უფრო მშვიდი ობსერვატორიიდან აკვირდებოდა ევროპას, ისეთს, როგორც ამ მკაცრმა ადამიანებმა შექმნეს, ის სიამოვნებას განიცდიდა მათთვის ეჩვენებინა მათივე დოქტრინების კრახი.

ადანაშაულებდნენ, ადამიანურ ბუნებას დასცილნო. უფალო, სამართლიანო! რა თქვა ისეთი, რაც დანტეს არ უთქვამს, სერვანტესს, სვიფტს, მაკიაველს, „რომლებმაც იცოდნენ, რომ ეს ცხოვრება ერთ კარტოფილადაც არ ღირს?“ ვერც ბუნების ანალიზით, ვერც საკუთარი აზრების ანალიზით უეჭველობის მიღებას ვერ შევძლებთ. ერთი სისტემა მეორეს სანსლავს, როგორც სატურნი თავის შვილებს: „არაფერი ვიცი, არც უარყოფ არაფერს. არც ვკამათობ არაფერს და არც ვეთანხმები. რა იცით, რომ სიკვდილი გველის?...“.

ამას ბაირონი ჯერ კიდევ “ჩაილდ ჰაროლდის” დროიდან ამბობდა, მაგრამ იმ დროს რელიგიისა და სისტემების ამოღებამ, საერთოდ ადამიანის ძალისხმევის საჭიროების ეჭვამდე მიიყვანა; როცა საბერძნეთის მონობაზე ლაპარაკობდნენ, ის მხოლოდ მათ ბედზე წუხდა. ახლა, იქნებ თავისი ამასწინანდელი იტალიური კონსპირაციის გავლენითაც, იქნებ მოქმედების თავშეუკავებელი წყურვილის გამოც, მისი ეჭვი განსაზღვრული პოლიტიკის რწმენასათან შეერთდა. მან აღმოაჩინა, რომ მეტაფიზიკური სკეპტიციზმი ყოველთვის როდია დაკავშირებული პოლიტიკურ სკეპტიციზმთან. პირიქით. თუ ჩვენ, უბედური ადამიანური არსებები, ჩათრეული ვართ ამ საშინელ და ყოველგვარ აზრს მოკლებულ ავანტიურაში, — ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ, ვეცადოთ, როგორც შელი ამბობდა, გოეთეს მსგავსად, ავამენოთ ჩვენი პატარა სამყარო დიდი სამყაროს მკერდზე. როგორც სკეპტიკოსი ვოლტერი კალასის* გამო იბრძოდა, ასევე სურდა მასაც ბრძოლა თავისუფლებისთვის.

* 1762 წელს მოხუცი პროტესტანტი ჟან კალასი, თითქოს საკუთარი კათოლიკე შვილის მკვლელობისთვის ბორბალზე გააკრეს. ამ უკანასკნელმა ვალების გამო მოიკლა თავი. ვოლტერი ჟან კალასს გამოესარჩლა, ამხილა რელიგიური ფანატიზმი და სამწლიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ მიაღწია კალასის სიკვდილის შემდგომ რეაბილიტაციას, რითაც იხსნა მისი ოჯახი.

ყველაზე მეტად ომს ესხმოდა თავს. ჟუანი ალყაშემორტყმულ იზმაილში გაუშვა, რუსეთ-თურქეთის კამპანიის დროს, ადამიანებით ბითუმად მოვაჭრე იმ ყასბებისთვის რომ ეჩვენებინა, რა ცოტა ღირდა ადამიანის სიცოცხლე. სამხედრო დიდებას დასცილნის, ჩინებისა და მედლების მაძიებლებს, სიცოცხლეს რომ სწირავენ სირმებისთვის, ციტატებისთვის, სადაც ამოჩხაპნილია მათი სახელები, სუფოროვების, უელინგტონების განდიდებისთვის: „ადამიანი, რომელიც თუნდაც ერთ ცრემლს მაინც შეაშრობს, — ამბობდა ის, — უფრო მეტად იმსახურებს პატიოსან დიდებას, ვიდრე ის, ვინც სისხლის მთელ ზღვას ღვრის...“.

თვით ეროვნულ გმირს, ჰერცოგს იგდებდა სასაცილოდ: „ერის მხსნელი, რომელიც ვერ იხსნა, ევროპის გამათავისუფლებელი, რომელიც აქამდე დაბორკილია, ლეგიტიმიზმის ყავარჯნების აღმდგენი“. ტონი ძლიერი ჰქონდა, ევროპა უნდა აეღვლებინა, რომელიც იმ დროს ომის ინვალიდებით იყო სავსე. ამ „თანამედროვე“ პოეზიას იმათი გულები უნდა შეეძრა, ვინც იბრძოდა, და იმათიც, ვინც თავიანთი პატრონების ეგოიზმით იტანჯებოდნენ.

არცთუ უსაფუძვლოდ არის „დონ ჟუანში“ ჩადებული დიდი საქები სიტყვები დონ კიხოტისა. ბაირონისთვის არასოდეს ყოფილა უცხო სანჩოს აზრები, ხოლო ასაკმა, ბევრს ეჭვსა და ირონიას რომ უჩენს, თითქოს მათგან განკურნა. დონ კიხოტის ტანჯვა ახლა უფრო მწარედ ეჩვენებოდა, ვიდრე გასართობად.

ბალში, სადაც შავი კვიპაროსები ხარობდა, სანტიმენტალიზმის ტყვე, მუდამ ჭაბუკური გონება, ბაირონი, დიდებულ თავგადასავლებზე და ლიბერალურ რაინდობაზე ოცნებობდა. განა მისი მოვალეობა არ იყო ჯონ ბულისთვის ეჩვენებინა მდაბალი სამყაროს ბედ-ილბალიდან რალაცები? რამდენიმე სტროფში იგი იუვენალისად* იქცევა, ეკლეზიასტედ. მერე წარსულისადმი მისმა სიყვარულმა გაიტაცა კიდევ. მერე ჟუანის კვალდაკვალ ისევ სასტუმრო ოთახებს დაუბრუნდა, სადაც ოდესღაც მეფე იყო და მბრძანებელი, აი, მაშინ კი სატირა ბალადად ექცა იმ დროის შეყვარებულებზე.

ვინ უნდოდა ყოფილიყო? ჰამლეტი თუ დონ კიხოტი? სამართლიანობის მგზნებარე მომხრე, რომელიც მარცხდება და არ ნანობს დამარცხებას; თუ მეოცნებე, ოცნებების აღსრულებისთვის უკვე უფარგის? ნეტავ,

* დეციმუს იუნუს იუვენალისი /დაახ. 60-127/ — რომაელი სატრიკოსი.

თვითონ თუ იცოდა ეს? ცვალებადი კაცი იყო. მასში ჯერ ისევ ერთმანეთს ერეოდა ბავშვური ილუზიები და არამაცდუნებელი სიბრძნე. ხან სამყაროს გარდაქმნა სურდა, ხანაც მარადიულ და უაზრო მოქმედებას ჭვრეტდა.

XXXIV

გმირი და ჯარისკაცი

ბაირონს თუ ნამდვილად ჰქონდა რაიმე დამახასიათებელი — ეს მისი დიდი, ჯანსაღი აზრი გახლდათ.

დ'იზრაელი

უკვე ორი წელი იყო, რაც ბაირონი მელანქოლიური ინტერესით ადევნებდა თვალს საბერძნეთის ამბოხების ცვალებად წარმატებებს. პიზაში, როცა მავროკორდატოსი საბერძნეთში გაემგზავრა ამბოხებულებს რომ შეერთებოდა, ბაირონი ყველას ეუბნებოდა, მეც მინდა მასთან ერთად წასვლაო. მურსაც მისწერა, გამბასაც ელაპარაკა, მედუინსაც / რომელმაც ეს ფრაზაც ჩაინერა: „საბერძნეთში მინდა დაბრუნება და, ალბათ, იქ მოკვდები“, ტრელონსაც, რომელმაც ეს არ დაიჯერა. საერთოდ კი, საეჭვოა, თუ ვინმე სერიოზულად უყურებდა ბაირონის პროექტებს. მას ისე ხშირად ეცვლებოდა გეგმები! ვენესუელა, შეერთებული შტატები, ინგლისი, საბერძნეთი — მისი წარმოსახვა მცირე ხნით ინიბლებოდა ამ ოცნებებით. მეგობართა თვალში მისი რეპუტაცია საბოლოოდ ჩამოყალიბდა. ნაზი კაცი იყო, სუსტი, მგრძობიარე. მოქმედების კაცის თვალსაზრისით კი — ყოვლად საპირისპირო ადამიანი.

მიუხედავად ამისა, ბერძნული პროექტი უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა. და არა იმიტომ, რომ ბაირონს თურქები სძულდა. მას საუკეთესო მოგონებები შემორჩა ჭალარაულვამიან ფაშაზე, რომელსაც 1810 წელს შეხვდა. მაშინაც ნუხდა დამონებულ საბერძნეთზე, მაგრამ ეგონა, რომ ეს გამოუსწორებელი იყო. ახლა ეჩვენებოდა, ამბოხებას წარმატების შანსი ჰქონდა. თურქებმა ქვეყანაში თავისი მმართველობის დამყარება ვერ შეძლეს. ისინი იქ „ბანაკებში განლაგდნენ, დროებით რომ დააფუძნეს ევროპაში“. მაგრამ ყოველგვარი ბანაკი შეიძლება ისეთ გარემოებაში მოხვდეს, რომ მონინალმდევის შეტევის შედეგად აიშალოს, ამიტომ მათი გაძევება შეიძლება ადვილად გამოვიდეს.

თუ ასეა, მაშ XVIII საუკუნეში რატომ არ გათავისუფლდნენ ბერძნები? რომ აჯანყდე, აჯანყების შედეგის უნდა გჯეროდეს. ბერძნებმა მხოლოდ საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, იტალიელთა და პოლონელების მსგავსად აღიქვეს სიტყვა თავისუფლება, ხალხთა უფლებები. გადაუთარგმნეს „მარსელიოზა“. ბაირონმა კი „ჩაილდ ჰაროლდის“ სტროფებით დააინტერესა ევროპა თავის ბედით. ისინი თავის მონობას უკვე აღარ უყურებდნენ, როგორც ბუნებრივ მდგომარეობას. ეს ნიშნავდა — მონობა აღარ სურდათ.

მოძრაობა საიდუმლო ორგანიზაციებით დაიწყო; დასაწყისში რუსეთის იმედი ჰქონდათ. მაგრამ მეტერნისს არ ეძინა და მეფე აიძულა „საბერძნეთის მოძრაობაში რევოლუციის აჩრდილი“ დაენახა. პიტის*. სიტყვები: „უარს ვამბობ ვილაპარაკო ადამიანთან, რომელსაც არ ესმის, რომ ინგლისის ინტერესებისთვის აუცილებელია ოტომანთა იმპერიის მთლიანობა“ — მაგიურ ძველმოდურ აქსიომად დარჩა, ერთ იმ აქსიომად, რომელიც ასე ხშირად მართავს ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკას. საფრანგეთმა, რომელიც წმინდა კავშირის მეურვეობის ქვეშ იყო, მხოლოდ ერთეული მოხალისეების მიცემა შეძლო. ასე რომ, ბერძნებს მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდათ.

1821 წელს აჯანყების რამდენიმე კერამ იფეთქა. არქიებისკოპოსი პატრას გერმანოსი, მღვდელი და ჯარისკაცი, მთებში წავიდა. იმავე დღეს მთიელთა წინამძღოლმა კოლოკოტრონისმა მორთა ააჯანყა, მეორე მემამბოხე — ოდისევსი — საბერძნეთის აღმოსავლეთის ნაწილს დაეუფლა. დასავლეთში ამბოხებულებს პრინცი მავროკორდატოსი მეთაურობდა. ამ ევროპულად განათლებულ ახალგაზრდა კაცსა, სერთუქს და ოქროს სათვალეს რომ ატარებდა, და მთიელებს შორის, (როგორიც ოდისევსი და კოლოკოტრონისი იყო), ურთიერთშეთანხმება არცთუ მარტივად ხდებოდა. მემამბოხეთა შორის უთანხმოებამ თურქები კატასტროფისგან იხსნა. მაგრამ საზღვარგარეთ ბერძნების გამარჯვებების ამბებმა დემოკრატიკა შორის ცოტა ენთუზიაზმი როდი აღძრა. ნაპოლეონის ძველი ოფიცრები, იენელი სტუდენტები და შვედი მისტიკოსები საბერძნეთში საომრად ჩადიოდნენ.

ინგლისის ხელისფლება აჯანყებისადმი მტრულად იყო განწყობილი, მაგრამ, როცა 1823 წლის იანვარში ბერძენი დეპუტატი

* პიტი უილიამ უმცროსი /1759-1806/ — დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწე.

ლურიოტისი ინგლისში ჩავიდა ბერძნული იდეა რომ დაეცვა, უფრო პროგრესულად განწყობილმა რამდენიმე ვიგმა, შიდა პოლიტიკურ თამაშში მცირეოდენი უპირატესობის მოპოვების ადვილი შესაძლებლობა დაინახა. მათ კომიტეტი დააარსეს, რომლის სხდომებსაც ტავერნა „გვირგვინსა და ლუზაში“ იწვევდნენ, და როგორც უმრავლესი ასეთი კომიტეტი, უშვებდა მთელ რიგ არაფრის მაქნის დოკუმენტებს, აწყობდა უხვ სადილებს, კეთებით კი ძალიან ცოტას აკეთებდა. კომიტეტში შედიოდნენ იერემია ბენტაიმი /უფლებების, ლოგიკის, ციხეებისა და უნივერსიტეტების რეფორმატორი/, რადიკალური დეპუტატები ბურდეტისა და ჰობსჰაუზის მსგავსნი, კინიარდისნაირი ბანკირები; კომიტეტის მდივანი იყო მისტერ ჯონ ბურინგი, პოლიგლოტი და ბენტაიმის მოწაფე.

კომიტეტის პირველ სხდომაზე გადამყდა ედუარდ ბლეკერი, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებზე რიგი წიგნების ავტორი, გაეგზავნათ საბერძნეთში, კავშირების დასამყარებლად და ინფორმაციის შესაგროვებლად. ტრელონმა, რომელიც ბლეკერის ნაცნობი იყო, თებერვალში მისწერა მას, ბაირონი ხშირად ლაპარაკობს საბერძნეთში წასვლაზე. ჰობსჰაუზმა და კინიარდმა ჩაიციხეს — „საყვარელი ბიჭუნა“ მხედართმთავრად არ ვარგოდა, მის სახელს კი შეიძლება სარგებლობა მოეტანა. ბლეკერმა ბაირონს შეატყობინა, საბერძნეთში ჩასვლამდე გენუაში შემოვივლი და შეგხვდებიო. ამგვარად, საქმე ისე შეტრიალდა, რომ მდგომარეობა აიძულებდა ბაირონს ემოქმედა.

აპრილში ბლეკერი და ლურიოტოსი კაზასალუცოში ჩავიდნენ და ბაირონმა მათ შესთავაზა, თუ კომიტეტი სასარგებლოდ მიიჩნევს, მაშინ ივლისში წავალ აღმოსავლეთშიო. და რატომაც არ უნდა წასულიყო? ახალი შეგრძნებები სწყუროდა, ასე რომ აკლდა გენუურ მონოტონურ არსებობაში, ისიც უნდოდა დაენახებინა მავანთათვის, რომ მხოლოდ ლექსის მწერალი არ იყო, და ამის საშუალება საბერძნეთში წასვლით ეძლეოდა. „პირველი ადამიანი იყო ქვეყანაში /ოღონდ დიქტატორი არა/, არა სულა*, არამედ ვაშინგტონი ან არისტოდე**, სიმართლითა და ნიჭით ბელადი, — ეს ნიშნავს მიუახლოვდე ღვთაებრივს“. ეს ოდესღაც დაწერა, მაგრამ ახლაც სჯეროდა ამისი. მას

* ლუციუს კორნელიუს სულა /ძვ.წ. 138-78/ — რომის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე.

** არისტოდე /დაახ. ძვ.წ. 540-467/ — ძველი საბერძნეთის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე.

მუდამ უნდოდა გაეკეთებინა ის, „რაც ცოტას თუ შეეძლო გაეკეთებინა ან არავის“. „ლიბერალის“ ნარუმატებლობა, ბოლოს დაბეჭდილი ნაწარმოებების ნარუმატებლობა — აიძულებდა ეფიქრა, რომ საჭირო იყო ისევ დაეპყრო საზოგადოებრივი აზრი. პოეტი აღარ მოსწონდა. იქნებ, ინგლისი მართალიც იყო. ის საკუთარ თავს მუდამ ჯარისკაცად მიიჩნევდა ან სახელმწიფო მოღვაწედ, იმად, რისი საშუალებაც ხეიბრობამ არ მისცა — იმ ცხოვრებით ეცხოვრა, რისთვისაც იყო დაბადებული. ამიერიდან უნდოდა „საკუთარი თავი პოლიტიკისთვის და წესიერებისთვის მიეძღვნა“. „და თუ ათიწელი კიდევ ვიცოცხლებ, ნახავთ, რომ ჯერ ყველაფერი არ დამიმთავრებია. ლიტერატურაზე არ ვლაპარაკობ, რადგან ეს წვრილმანია. და რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, არ მჯერა, რომ იგი ჩემი მოწოდება იყო. ნახავთ, თუ დრო და ბედისწერა საშუალებას მომცემს, ისეთ რაღაცას გავაკეთებ, ყველა დროის ფილოსოფოსსაც კი გააოცებს“.

ცხადია, ასეთი მსხვერპლისგან მარტო საზოგადოების თვალში ამაღლებას როდი ელოდა, უფრო ბაირონის გადარჩენას ლამობდა საკუთარი ბაირონული სულისგან, „მანფრედში“ აჩვენა კიდევ, რომ ჯოჯოხეთი იყო მისი შინაგანი დრამა. ეს უთანხმოება, ჭაბუკობიდანვე მტრობას რომ თესავდა იმ ბაირონს შორის, რომელიც შეიძლება ყოფილიყო და ამ ბაირონს შორის, სინამდვილეში რომ იყო, შეიძლება ნამდვილი გმირობით გადამწყვეტილიყო და უწინდელ მემამბოხე მონაფისთვის საშუალება მიეცა გამარჯვების ზეიმისა.

მასზე უკეთესად არავის გაუზომავს უთანხმოების სიდიდე, იმ გრძნობასა, როგორც მისმა დამცინავმა გონებამ დაინახა, და იმ გრძნობას შორის, რომელსაც თავის ლექსებში გამოხატავდა. მაგრამ როგორი დაუნდობელიც უნდა ყოფილიყო მისი ანალიზი, ხოლო ღიმილი ირონიული, როცა რომელიმე მისი მეგობარი „საბერძნეთის საკითხზე“ ლაპარაკობდა, მან კარგად იცოდა, რომ თავისუფლების სიყვარული და დიდი საქმეების კეთების სურვილი მასში რეალური და ძლიერი იყო.

ცხოვრებაში იმდენი წინააღმდეგობა შეხვდა, არ შეიძლებოდა არ შინებოდა იმ წინააღმდეგობებისა, რომლებიც კვლავაც ელოდა. უპირველესად ეს ტერეზა გახლდათ. მან კარგად იცოდა ამ „უაზრო ჯიშის“ კერპობის ამბავი და საკუთარი სისუსტეც კარგად უწყოდა ამ ჯიშის წინაშე. „ქალბატონი გვიჩიოლი, ბუნებრივია, წინააღმდეგია, რომ მივატოვო, თუნდაც რამდენიმე თვით; და

რადგან მისმა გავლენამ 1819 წელს ხელი შემიშალა ინგლისში დავბრუნებულყავი, მამასადამე, ახლაც, 1823 წელს, მშვენივრად შეძლებს საბერძნეთიდან შორს მამყოფოს“. და ვიდრე ტერეზას დაარწმუნებდა, უფრო გადაუდებელი და მისი მტანჯველი საკითხი უნდა გადაეწყვიტა: ლონდონში ბერძენოფილების კომიტეტს მართლა სურდა თუ არა მასთან თანამშრომლობა? 1816 წლის ამბების შემდეგ, ყოველგვარი ინგლისურისადმი ეჭვს იჩენდა. წარმოასახვისთვის იმ მტერზე უარესი არაფერია, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავთ. დარწმუნებული იყო, ინგლისელები მასზე ისევ გალიზიანებულები იყვნენ და გადაწყვიტა არაფერი ეთხოვა, მათთვის უარის თქმის საშუალება რომ არ მიეცა. ჰობსაუზს შესთავაზა თავისი სამსახური, თანაც უკიდურესი მოკრძალებით; კმაყოფილიც დარჩა, პასუხი რომ მიიღო და კომიტეტის წევრადაც აირჩიეს, თუმცა დიდი ხნის დუმის შემდეგ, რაც გულზე მოხვდა კიდეც. იმ დროის წერილებში მისი საუკეთესო მხარეები ჩანს — გულუხვობა /მაშინვე გამოაცხადა, რომ მზად იყო საკუთარი ჯიბიდან გაეღო თანხა და მაშინვე გააგზავნა მედიკამენტები და თოფის ნამალი/, უბრალოება, და რაც ყველაზე მთავარია, სიზუსტე.

წერილი, რომელიც მას მისტერ ბოურინგმა მისწერა, შეიცავდა ჩვეულებრივ, ზოგად ფრაზებს — „თავისუფლების კლასიკური ქვეყანა, ხელოვნებისა და გენიის აკვანი, ღმერთთა საუფლო, პოეტთა სამოთხე და სხვა დიდებულ ამბავთა“; ეს გახლდათ ის ტონი, რომელსაც ბაირონი პროზაში ვერ იტანდა. „ენთუზიაზმი!“ — ამბობდა ზიზლით. პასუხად, საბერძნეთის მდგომარეობის შესახებ, ისეთი პატაკი გაუგზავნა, შტაბის კარგ უფროსს შეშურდებოდა. „ბერძნების მატერიალური გაჭირვება, უპირველეს ყოვლისა, ასეთია — პარკი მსუბუქი არტილერიისთვის სამთო სამსახურის ნაწილებით; მეორე — საზარბაზნე დენთი; მესამე — ჰოსპიტლების მოწყობილობა...“. ოთხი გვერდი იყო სავსე ფაქტობრივი მასალით, აღწერდა ბერძნების გასაჭირს, მათ გადასავსებლად ყველაზე მოხერხებულ საშუალებებს, მიუთითებდა ამ საქმეში გამოსადეგი კორესპონდენტების მისამართებს. გაგვახსენდება კეტრინ გორდონის ჯანსაღი აზროვნება, როცა ნიუსტედის გასავალს აფასებდა. და ეს ყველაფერი პიკანტურ კონტრასტს ქმნიდა კომიტეტის ცარიელ, არაფრის მაქნის ენამზებობასთან.

მიუხედავად მისი მეგობრების აზრისა, იყო თუ არა მოქმედების, საქმის კაცი? ჭეშმარიტება, ცხადია, რთული იყო. მოქმედებ-

ის უნარი ჰქონდა და ფრიად დიდიც, რადგან ერთსა და იმავე დროს მამაციც იყო და რეალობის გრძნობაც ჰქონდა, სიზუსტეც შეეძლო, მაგრამ განუწყვეტელი ყოყმანის გამო ოცნების კაცობა ჰქონდა მისჯილი. უნდოდა, ერთდროულად ხალხის დამცველიც ყოფილიყო და თავისუფლად მოაზროვნე დიდ სენიორადაც დარჩენილიყო, ქმარიც ყოფილიყო და დონ ჟუანიც, ვოლტერიანელიც და პურიტანიც. ინგლისურ საზოგადოებას ებრძოდა და მისი პრივილეგიები კი სურდა. არც კონსერვატორი იყო, არც რადიკალი, ინგლისურ პოლიტიკაში ის ნადირი გახლდათ, რომელიც სხვებზე უბედური იყო, რადგან დიდი წინააღმდეგობებით სავსე ვიგი ბრძანდებოდა. აზრისა და მოქმედების ერთობლიობა არ ჰყოფნიდა მუდამ, რაიც ასე აუცილებელია დიდი ჩანაფიქრების განსახორციელებლად.

მაგრამ ამ ბერძნულ ისტორიაში ყველაფერი მარტივად იყო. საგვარეულო ცრურწმენები ხელს არ უშლიდა უცხო ხალხის გათავისუფლების სურვილი ჰქონოდა. პირიქით, გრძნობდა, კლასიკურ მოგონებათა, გამირულ ლეგენდათა და სხვა ღრმა მიზეზთა გამო, ინგლისის საზოგადოებრივი აზრი მის ამ როლს მხარს დაუჭერდა. ამიტომაც, მისი დამშვიდებული გონება მთელი სიძლიერით, სიცხადითა და სიფრთხილით მუშაობდა, თავის შედეგს იძლეოდა და მისგან ღირსეულ ბელადს ქმნიდა.

ზაფხული თავისი გზით მიდიოდა და მისი ძველი, მოძულე მტერი, ბედისწერა, ჩვეულებრივზე მონყალე იყო. გრაფი გამბა შეინყალეს და თუ ქალიშვილთან ერთად დაბრუნდებოდა, რავენაში ცხოვრების უფლებასაც მისცემდნენ. პაპმა და გრაფმა გვიჩიოლიმ მოისურვეს ეს დაბრუნება. ქმარი მზად იყო ცოლისთვის ეპატიებინა, ოღონდ ერთი პირობით, როგორც ბაირონი ამბობდა, რომელიც მუდამ თავისი საყვარლების ქმრებისადმი ძალიან სამართლიანი იყო, — „ის, ბაირონი, მდგმურის სახით აღარ მოეყვანა“. ტერეზას ძმა, პიეტრო გამბა, რომელიც ბაირონს მისი სიმამაცის გამო ძალიან უყვარდა, ოცნებობდა ბაირონს გაჰყოლოდა საბერძნეთში. მამა, ძმა, ქმარი, მიჯნური, ყველა /როგორც ოდესღაც კაროლინა ლემს/, ქალბატონ გვიჩიოლის ურჩევდა ქმარს შერიგებოდა. ქალურმა ჟინმა ყველა ისევ ერთსულოვნებამდე მიიყვანა. მაგრამ ტერეზა, გრძნობებს ეყრდნობოდა, მტკიცედ იდგა, როგორც ბაირონი ამბობდა, რომანის კეთილი მეორე ნახევრების სურვილის წინააღმდეგ, რომელთა სათავეშიც პაპი ბრძანდებოდა, და ეს მაშინ, — თავზარდაცემუ-

ლი უმატებდა ბაირონი, — როცა ურთიერთობის ოთხი წელია გასულიო.

თუ საბერძნეთში უნდა წასვლა, ამბობდა ტერეზა, წავიდეს, თან გავყვებიო, მან უკვე დაამტკიცა, რომ თავისუფლებისათვის ტანჯვა შეუძლია. „ცხადია, ველური იდეაა, — ამბობდა ბაირონი, — ცხადია, ასეთ შემთხვევაში ყველაფერი უნდა მიატოვო, ხიფათში რომ არ ჩააგდო. მეორე მხრივ, ტერეზა თუ სცენებს გამიმართავს, ისევ საძაგელი ისტორიები აღმოცენდება ცუდ მოპყრობაზე, განხეთქილებაზე, ლედი კაროლინიზაციაზე, ლედი ბაირონიზაციაზე, გლენარვონიზაციაზე და ეს ყველაფერი ისევ ჩემს წინააღმდეგ იმოქმედებს. არ არსებობს ამ ქვეყანაზე ადამიანი, რომელიც ქალს ამდენს დაუთმობს, და რაც ამისგან მივიღე, გახლავთ — ქალთა ტირანის რეპუტაცია. ბოლოს და ბოლოს, იმას გავაკეთებ, რაც შემიძლია, და იმედი მაქვს... თუ ერთ ქალს მეორის გულისთვის ვტოვებ, მაშინ რაღაც ნუნუნის საფუძველი არსებობს, მაგრამ თუ ადამიანი სამართლიანი საქმის დასაცავად მიდის, თავისი დიდი ვალი რომ აღასრულოს, მაშინ, ეგოიზმი მართლაც ცოტა შორს მიდის“.

ბოლოს, ივნისის დასაწყისში, თითქოს ყველაფერი მოწესრიგდა. ცრემლად დაღვრილი გრაფინია გვიჩიოლი მამამ წაიყვანა. ჰანტების საქმეც მოგვარდა, ბაირონმა მათი გამგზავრება ფლორენციაში დააფინანსა. „ლიბერალის“ თავისი წილი მისცა და ამ ყურნალში დაბეჭდილ მის ნაწარმოებებზე საავტორო უფლებებიც. ბლეკერი საბერძნეთიდან უხმობდა ბაირონს. დრო იყო დაეჩქარებინა გამგზავრება. ახალგაზრდა გამბას მიანდეს გემის დაქირავება. ძალიან საყვარელი ბიჭი იყო ეს ჭაბუკი გამბა, მაგრამ, როგორც იტალიელები ამბობდნენ, „ცუდი თვალი“ ჰქონდა. „ყველა საქმეს ერთნაირი სერიოზულობით ეკიდებოდა; კეთილსინდისიერად, გულმოდგინე და ზუსტ ჩანაწერებს აკეთებდა. ძნელად საკითხავი შენიშვნების ყოველი ახალი გვერდი ბოლონიური უნივერსიტეტის მანერით სიტყვა ჩონსიდურანდო-თი* იწყებოდა. მერე უფალმა იცის, როგორ მიდიოდა“.

მისი არჩეული გემი, „ჰერკულესი“, უვარგისი ჭურჭელი აღმოჩნდა, წყალზე თავს ძლივს იმაგრებდა. ექიმის დაქირავების ბრძანება მიიღო და იმანაც სტუდენტი ბრუნო დაიქირავა, რომელიც კეთილი ზრახვებით კი იყო სავსე, მაგრამ გამოუცდელი კაცი ბრძანდებოდა, თანაც საშინლად ეშინოდა ბაირონისა. მერე გამოტყდა საწყალი, მის-

* მხედველობაში მიღება /ლაო/.

თვის ვილაცას ეთქვა, პატარა შეცდომასაც თუ დაუშვებ, ბაირონი ან ძაღლებს მოგიქსევს ან თავის თათარს უბრძანებს შენს მოკვლასო. თათარი მამაცი ტიტა იყო, ძაღლები კი სრულიად უწყინარი ცხოველები. ეს გამოუთქმელი შიში ბრუნოს ნერვიულადამიანად აქცევდა. ამ კამპანიის დროს, თუ ექსპედიციის რომელიმე წევრი ავად გახდებოდა, ბრუნო ცრემლად იღვრებოდა, თითებს იმტვრევდა და თავს კარგავდა. ბაირონმა ფლორენციიდან ტრელონი გამოიწვია და წამოსვლა შესთავაზა. მაინცადაამაინც დიდი იღბლიანი არჩევანი არ იყო: ტრელონს ბაირონი არ უყვარდა. წასვლაზე კი დათანხმდა, მაგრამ მისდამი არცთუ ლოიალური განწყობა ჰქონდა; იმის იმედს კი არ კარგავდა, რომ ბაირონის სახელით ისარგებლებდა, საბერძნეთში შეაღწევდა, იქ კი დამოუკიდებლად იმოქმედებდა.

თავისთვის და ტრელონისთვის ბაირონმა „ორი ჰომეროსისებური ზომის ჩაჩქანი შეუკვთა; იმ ჩაჩქანს ჰგავდა, „ილიადას“ მეექვსე წიგნში, ასტიანაქსის ბავშვი რომ შეაშინეს. მალალი, გადახრილი ბუმბულის ქვეშ მისი გერბი და დევიზი ჩრედე ირონინონებდა თავს. და ეს ყველაფერი, თავზე უზარმაზარი ღვედით მაგრდებოდა“. მაგრამ ტრელონი ჩავიდა თუ არა, ამ უმსგავსობის დახურვაზე უარი თქვა და ჩაჩქანებიც გენუაში დარჩა.

1823 წლის 13 ივლისს ყველა გემბანზე იყო. ბაირონი, მიუხედავად თავისი ცრურწმენებისა, მაინც დათანხმდა პარასკევ დღეს, 13 რიცხვში გამგზავრებას. გარდა ტრელონისა, ბრუნოსი, ლა გამბასი, თან კიდევ რვა მსახური ახლდა, მათ შორის ფლეტჩერიც იყო და ტიტაც. მიჰყავდა ცხენები, მიჰქონდა იარაღი, ამუნიცია, ორი პატარა ზარბაზანი და ორმოცდათი ათასი ესპანური დოლარი. მზე ყველაფერს წვავდა, ჰაერი ისე უმოძრაო იყო, რომ გემი ლუზას ვერ მოხსნეს. საღამოს ბაირონი ნაპირზე გადავიდა, ხეებქვეშ ჩამოჯდა, პურითა და ყველით ისადილა. დაახლოებით შუალამისას ქარი ამოვარდა. „ჰერკულესი“ წყალზე ძლივს იკავებდა თავს. ქარიშხლით შეშინებული ცხენები ლობურებს აწყდებოდნენ, ამსხვრევდნენ. ისევ ნავსადგურში მოუწიათ დაბრუნება. ბაირონმა თქვა, ცუდი დასაწყისი შეიძლება ბედნიერების მომასწავებელიც არისო, მაგრამ თვითონაც ძალიან იყო შეფიქრიანებული. თავის ბანკირ ბარის გამოუტყდა, თითქმის მზად ვიყავი უარი მეთქვა გამგზავრებაზეო: „მაგრამ ჰობსაუზი და სხვები დამცინებდნენ“. კაზა-სალუცოში

მოუნდა კიდევ ერთხელ მისვლა, მივიდა, გამბას უთხრა: „ერთი წლის შემდეგ, ნეტავ რა მომივა?“ ითხოვა მარტო დამტოვეთო და ღრმად ჩაფიქრებულმა ცარიელ ოთახებში რამდენიმე საათი გაატარა.

გრძნობა არეული ჰქონდა. ამ სახლის მიტოვება უნდოდა, — არ იყო ბედნიერი ამ სახლში, — მაგრამ ენანებოდა. იმ სევდისა ეშინოდა, რამაც უკვე გაიარა. ზოგჯერ წარმიდგენდა ცხოვრება როგორი გახდებოდა, როცა საბერძნეთში ყველაფერი წარმატებით დაგვირგვინდებოდა. წარსული გამარჯვებით გამოისყიდა. ანაბელა მიუტევენს, — მაგრამ უფრო ხშირად მისის ვილიამსის წინასწარმეტყველებზე ფიქრობდა. მართლა, ფიქრობდა, რომ სიკვდილთან შესახვედრად მიდიოდა.

რომ შესძლებოდა და უფრო სერიოზულად შეეხედა საკუთარი თავისთვის, იფიქრებდა, რომ ეს სიკვდილი გმირის სიკვდილი იქნებოდა, — ცოტათი მაინც გამხნევდებოდა, მაგრამ თავისი საზარელი ირონიით არც საკუთარ თავს ინდობდა. ლედი ბლესინგტონს ეუბნებოდა: „თვალი არასოდეს ამეხილება ქცევათა სიგიჟეებზე, რისკენაც ვნება მიბიძგებს, მანამდე, ვიდრე ისე შორს არ შევტოპავ, რომ შესაძლებლობა აღარ იქნება ღირსეულად დავიხიო უკან. აქ კი უდროოდ დროს გონება გამოდის ასპარეზზე, ენთუზიაზმს აძევებს, რომელმაც ამაში ჩამითრია და ასე საჭიროა ჩემთვის, რათა გზა გავაგრძელო. და მაშინ, თვით ეს გზა უმძიმესი ხდება. აღარ შემიძლია საკუთარი წარმოსახვის აღგზნება, თუმცა ჩემი ცხოვრება ამაზე იყო დამოკიდებული, მდგომარეობაც გონებაში კომიკურ მოსაზრებებს იწვევს. თუ ეს კამპანია გადავიტანე /და ეს „შეიძლება“ ჩემი ცხოვრების ისტორიაში ძალზე მნიშვნელოვანია/, ამ სიუჟეტზე ორ პოემას დავწერ, — ერთს ეპიკურს, მეორეს — სახუმაროს, სადაც უკვე აღარავის დავინდობ და საკუთარ თავს ყველაზე ნაკლებ...“.

სალამოს ქალაქში წავიდა, ცხელი აბაზანა მიიღო და გემზე დაბრუნდა. ბოლოს ზურგის ქარიც ამოვარდა. ექსპედიცია ლივორნოში შეჩერდა; მოულოდნელი სასიამოვნო ამბავი დახვდა ლივორნოში — გოეთეს ლექსი, რომელშიც პოეტი მისდამი აღფრთოვანებას გამოხატავდა. გარდა ამისა, იქვე გადასცეს ერთ-ერთი პირველი ეგზემპლარი „მემუარები წმინდა ელენეს კუნძულიდან“*, ოგასტას გამოგზავნილი, რაც, ბუნებრივია,

* ფრანგი ისტორიკოსის ლას კაზეს მიერ ჩანერილი საუბრები ნაპოლეონთან, რომელიც წმინდა ელენეს კუნძულზე ახლდა იმპერატორს.

მისი საყვარელი საკითხავი წიგნი გახდა. გემბანზე იგი სასიამოვნო და მხიარული თანამგზავრი აღმოჩნდა. ტრელონთან ერთად კრივში ვარჯიშობდა, გამბასთან ფარიკაობდა, მარტოდმარტო სადილობდა ყველით, კიტრითა და სიდრით, თოლიებს პისტოლეტიდან ტყვიას ესროდა, ცურავდა კიდევ, როცა ქარი არ იყო, ძალებთან თამაშობდა, „ჰერკულესის“ კაპიტანთან, გამოცდილ, ოლონდ ლოთ მეზღვაურთან ხუმრობდა.

ეს კაპიტანი სკოტი ფლეტჩერთან დამეგობრდა, და ერთხელაც, როცა ჩვენი ორივე გმირი ერთად იჯდა და გროგს წრუპავდა, ბაირონმა მათ საუბარს მოჰკრა ყური:

„ — ეს თქვენი პატრონი იმ ველურ ქვეყანაში რატომ მიდის? — იკითხა კაპიტანმა.

ფლეტჩერს საკუთარი თავისთვისაც არაერთხელ უკითხავს ეს.

— იქ სულ კლდეებია და ყაჩაღები. გამოქვაბულებში ცხოვრობენ და მელიებივით გამოდიან იქიდან. ყველას უზარმაზარი თოფი აქვს, პისტოლეტები და დანები. — ფლეტჩერს საბერძნეთზე და ბერძნებზე ცუდი მოგონებები შემორჩა. ის თურქოფილი იყო.

— თურქები, — თქვა ფლეტჩერმა, — ამ ქვეყანაში ერთადერთი წესიერი ხალხია. თუ ესენი წავლენ, საბერძნეთი გიჟების ნამდვილ სახლად იქცევა, რომლებსაც თავისუფლება მისცეს... მხოლოდ რწყილები, ბუზები და ყაჩაღები ცხოვრობენ იქ. რატომ მიდის იქ მილორდი? ერთმა ღმერთმა უწყის, მე კი არ ვიცი.

ამ დროს შეამჩნია პატრონი რომ უსმენდა და დაუმატა:

— ბატონი ჩემი, ვერ უარყოფს, რომ სრულ სიმართლეს ვამბობ.

— არა, — უპასუხა ბაირონმა, — ეს იმათთვის არის მართალი, ვინც სამყაროს ღორის წვრილი თვალებით უყურებს და სხვა არაფრის დანახვა შეუძლია“.

გადაწყდა, ვიდრე საბერძნეთში შევიდოდნენ, სადაც პარტიებს შორის ისევ უთანხმოება იყო და ნაპირზე გადასვლისთვის ადგილის არჩევის საშუალებას არ იძლეოდა, იონიის კუნძულებთან შეჩერებულიყვნენ და იქ დალოდებოდნენ ზუსტ ინფორმაციას, რომელიც ბლეკერს უნდა ჩამოეტანა. შვიდი კუნძული ინგლისის პროტექტორატის ქვეშ იყო; ნეიტრალური ზონა გახლდათ და ეს ნეიტრალიტეტი ბაირონისთვის სასურველი იყო. პირველად ზანტე აირჩიეს, მაგრამ გზაზე შემხვედრმა ინგლისელმა კეფალონია ურჩიათ; იქ ინგლისის რეზიდენტი პოლკოვნიკი ნეპირი იყო, შესანიშნავი კაცი და ბერძნების დიდი მეგობარი. პირველ

ავგისტოს „ჰერკულესი“ კეფალონიის მთავარ ნავსადგურში — არგოსტოლში — შევიდა. იქ ბაირონს დიდი იმედის გაცრუება ელოდა. ბლეკერი მის ჩამოსვლამდე თხუთმეტი დღით ადრე ინგლისში წასულიყო და არანაირი ცნობა არ დაეტოვებინა. მართლაცდა, ეს ადამიანები ინგლისური კომიტეტიდან აუტანელი დაუდევრობით იქცეოდნენ! სახლი დაატოვებინეს, სამუშაო, მიჯნური, ახლა უცნობ კუნძულზე მიატოვეს — მითითების გარეშე, ახსნა-განმარტების გარეშე, განსაზღვრული მიზნის გარეშე.

სამი კვირა დარჩა ბაირონი „ჰერკულესის“ გემბანზე, არგოსტოლში, რეიდზე. ვერ გადანყვიტა დალაპარაკებოდა თუ არა ინგლისელ ჩინოვნიკებს. ოფიცრები იყვნენ. როგორ მიიღებდნენ? არ იცოდა. „თავისი ავადმყოფური მგრძობიარობის, ექსცენტრიზმის გამო, დარწმუნებული ბრძანებოდა, რომ ყველა ინგლისელისთვის სიძულვილისა და ირონიული გაოცების საგანი იყო“. ამიტომ ძალიან გაოცდა, როცა მერვე სამეფო პოლკის ოფიცრებმა სადილად მიიწვიეს; უფრო მეტად გაოცდა, როცა სადილის დასასრულს, მისი სადღეგრძელოს დასალეევად, ყველა ოფიცერი ფეხზე ადგა. ყველას მადლობა გადაუხადა, მგრძობიარე სიტყვა თქვა, მერე პოლკოვნიკს თავი დაუკრა და ჰკითხა, ყველაფერი ისე ვთქვი, როგორც საჭიროა? ცოტა შეშინებული იყო, ოღონდ ძალიან ბედნიერად გრძობდა თავს.

ინგლისელებმა კარგად მიიღეს, ბერძენი დევნილები კი ისე შეეთვისნენ, როგორც მხსნელს. მათ იცოდნენ, რომ ის მდიდარი იყო და გამოჩენილი. სულიოტები, თითქმის ბარბაროსული ტომის მეომრები, რომლებზეც რომანტიკული მოგონებები შემორჩა ჯერ კიდევ პირველი მოგზაურობიდან, „ჰერკულესის“ გემბანს ავსებდნენ. მათი მშვენიერი გარეგნობა ბაირონს ისე მოეწონა, პირადი დაცვისთვის ორმოცი ადამიანი იქირავა. მალევე ინანა. გამბამ, მათზე ზრუნვა მას ევალეზობდა, აღმოაჩინა, რომ უმრავლესობა არც სულიოტი იყო და არც ბერძენი. რამდენიმე დღის გამოცდის შემდეგ, ბაირონმა თავის გვარდიას ორი თვის ჯამაგირი გადაუხადა, მისოლუნგამდე გზის ფულიც აუნაზღაურა და ძალიან კმაყოფილი დარჩა, ისინი თავიდან რომ მოიშორა.

კეფალონიაში ყოფნისას ბაირონის დიდსულოვნება უსაზღვრო იყო. როჩდელი 1823 წლის ივნისში გაიყიდა ოცდაათოთხმეტ ათას ფუნტად. საჭირო თუ გახდებოდა, მზად იყო მთელი თავისი ქონება ბერძენების გათავისუფლებისთვის დაეხარჯა. „ჩემი პირადი მოთხოვნილებები ძალზე უბრალოა, ჩემი

შემოსავალი კი ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი იქნება ინგლისის გამოკლებით. იგი თითქმის უსწორდება შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ინგლისის სახელმწიფო მდივნისა და დიდ ქვეყნებში საფრანგეთის ელჩების შემოსავალს“. ცხადია, მზად იყო ბერძენებისთვის ყველაფერი მიეცა, მაგრამ ახლა უკვე უნდოდა ეს ჭკვიანურად გაეკეთებინა. ტრელონს, ოპერეტულ გმირს, ავანტიურისტს უფრო, ვიდრე ჯარისკაცს, ვერ გაეგო, რატომ არ მიდიოდა ბაირონი საბერძნეთში დაუყოვნებლივ.

„— რომელ საბერძნეთში? — ჰკითხა ბაირონმა, — ვის შევუერთდები? კოლოკოტრონისს — ზღვაში, სულიოტ ბოტცარისს — მისოლუნგში თუ ყაჩაღ ოდისევსს — ათენში?“

არავინ იცოდა. ყველა ბელადი, ვინც კი ოციოდე კაცს მოაგროვებდა, ემისარს უგზავნიდა ბაირონს. ბლეკერი, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა, ლოდინს ურჩევდა. პოლკოვნიკი ნეპირი კი არანაირ იმედს არ აძლევდა.

„— საბერძნეთში შესვლა ძნელია, მაგრამ იქიდან გამოსვლა უფრო ძნელი“.

გარდა ამისა, უმტკიცებდა, ბერძნულ საქმეებში ისე არავინ უნდა ჩაერიოს, თუ ორი ევროპული პოლკი არა ჰყავს და გადასატანი სახრჩობელები არა აქვსო. თანაც თურქები ისევე ძლიერნი არიან და მათ ფლოტსაც სანაპიროები ალყაში აქვთ მოქცეულიო. კაპიტანი სკოტიც ვერ ბედავდა თავისი გემის განირვას იმ წყლებში, სადაც თურქეთის ფლოტი გუშავობდა. იმაზე უაზრობა არაფერი იქნებოდა, ვიდრე ტყვედ ჩავარდნა. ავგისტოს ბოლოს ბაირონმა გადაწყვიტა ერთხანს კიდევ დარჩენილიყო კეფალონიაში და კუნძულ მეტაქსატზე, პატარა სოფელში სახლი იქირავა.

მეტაქსატში პარადოქსული ბედნიერება ჰპოვა. არასოდეს ყოფილა მისი ცხოვრება ასე უბრალო. ჯარისკაცის ცხოვრებით უნდოდა ცხოვრება. ასკეტიზმი ჯანმრთელობასაც აძლევდა მუდამ და საკუთარი თავით კმაყოფილებასაც. გამბა და ექიმი ბრუნო მისი ერთადერთი ამხანაგები იყვნენ. ზოგჯერ კეფალონიელი გრაფი დე ლა დეციმუსი შემოუვლიდა, რომელსაც „ულტიმა ანალისი“ შეარქვა, რადგან საუბარს მუდამ ამ სიტყვებით „უკანასკნელი ანალიზის დროს“ — იწყებდა. კიდევ ერთი პატარა პაუცი იპოვა, ბერძენი ბიჭი ლუკა, ახალი ედელსტონი.

ბაირონი დილიდანვე მუშაობდა, ფინჯან ჩაის დალევდა, ცხენით გაისეირნებდა, მერე

ივანშემბდა ბოსტნეულით, სალამოს კითხულობდა. ყოველდღე ღებულობდა ბერძენთა დელეგატებს; ყოველდღე მოდიოდნენ მასთან ლტოლვილები დახმარების სათხოვნელად და ღებულობდნენ კიდევ დახმარებას. ღამით, ქათქათა მთვარის შუქზე კუნძულებს გაჰყურებდა, მთებს, ზღვას და საბერძნეთის შორეული სანაპიროების გაურკვეველ მოხაზულობას.

ბედნიერება? დიახ, ეს ბედნიერება იყო! მისი სულის სიმშვიდეს არანაირი ვნება არ აღელვებდა. არანაირი კრიტიკული გამოხედვა არ დარაჯობდა. აბა, რაში უნდა გესაყვედურებინა მისთვის? ოგასტასადმი მიწერილ გრძელ წერილში აღწერდა, რამდენი მოთმინება და ფილოსოფიური სიმშვიდე იყო საჭირო ადგილობრივი ინტრიგის ხლართების გასახსნელად და უმატებდა: „თუ იფიქრებთ, რომ ეს წერილი ღირსია ლედი ბაირონმაც წაიკითხოს, შეგიძლიათ ასლი გადაუგზავნოთ“. იქნებ, ბოლოს და ბოლოს, ამ მკაცრმა ანაბელამ, რომლის აზრსაც ასე პატივს სცემდა, მისი საქციელი მოიწონოს.

თუ იტაკაში წარუმატებელ გამგზავრებას არად მივიჩნევთ, რომლის შემდეგაც ციებცხელება დაეწყო, — ერთადერთი მოვლენა საღვთისმეტყველო დისკუსიები იყო. კუნძულზე ცხოვრობდა ვინმე დოქტორი კენედი, შოტლანდიელი, ძალზე მორწმუნე კაცი, რომელიც იონიის კუნძულებზე ბიბლიის გავრცელებას ცდილობდა. ერთხელ რელიგიური კამათი ჰქონდა რამდენიმე ოფიცერ-ვოლტერიანელთან და მათ აღუთქვა, მალე დაგიმტკიცებთ საღვთო წერილის დაურღვევლობასო. საუბრები შემდეგაც გაგრძელდა და ბაირონმაც მოისურვა კამათზე დასწრება. ბუნებრივია, მისმა გამოჩენამ დიდი ცნობისმოყვარეობა აღძრა. როცა იქით მიდოდა, გზაზე მეგობარი შემოხვდა, რომელმაც უთხრა:

„ — იმედი მაქვს, თქვენი უგანათლებულებლობა რწმენაზე მოექცევა.

— მეც მაქვს იმედი, — უპასუხა ბაირონმა სრულიად სერიოზულად“.

მისვლისას ტახტზე ჩამოჯდა, დანარჩენები მაგიდის გარშემო დასხდნენ. დოქტორმა მოხსენება დაიწყო.

მისი პირველი თემა იყო: „ბიბლიურ ქრისტიანობასა და ადამიანურ ქრისტიანობას შორის განსხვავება“. ბაირონმა მოთმინებით მოსმენა აღუთქვა, მაგრამ ისე ხშირ-ხშირად გადმობხედავდნენ ხოლმე, მოთმინება დაეკარგა და ლაპარაკი დაიწყო. თქვა, რომ დედამ რელიგიური აღზრდა მისცა, მუდამ აინტერესებდა რელიგიის საკითხები, უამრავი წიგნი წაიკითხა თეოლოგიაში, მაგრამ

საღვთო წერილისა მაინც არაფერი გაეგება. დაუმატა, რომ მუდამ პატივს სცემდა ადამიანებს, რომლებსაც ჭეშმარიტად სწამთ, რომ ასეთი ადამიანებისადმი უფრო მეტი ნდობა ჰქონდა, ვიდრე სხვებისადმი, რომ მეტისმეტად ბევრ ღვთისმოსავ ადამიანს შეხვედრია, რომელთა ქცევებიც ძალიან განსხვავდებოდა მათ მიერვე ნაქადაგარი პრინციპებისგან; მერე თავის ძველ მეგობარ ეშმაკზეც ილაპარაკა, ცოტა ევაზე და გველზეც, და იმ თემაზე გადავიდა, განუშორებლად რომ თან სდევდა: ამ სამყაროში იმდენი საშინელი და უაზრო ბოროტებაა — როგორ ურიგდება მათ არსებობას ყოვლის შემოქმედი?

„ — ხშირად ველაპარაკები ხეიბრებს, — თქვა მან, — და უნდა ვთქვა, რომ მათი ცხოვრება — მწუხარება და ტანჯვაა დაბადებიდანვე. რითი შეურაცხვეს შემოქმედი რომ ასეთი სიცოცხლე დაიმსახურეს? რატომ ცხოვრობენ და კვებიან ასეთ საშინელ მდგომარეობაში? რაში სჭირდება ისინი სამყაროს? ბევრი სხეული სნეულებით იტანჯება, სიღარიბის გამუდმებული სიმძიმის ქვეშ, განუწყვეტელი შრომისთვის არიან განწირულნი, უცოდინარობასა და ცრურწმენებში არიან ჩაძირულნი, არც დრო აქვთ და არც შესაძლებლობა ბიბლია წაიკითხონ, რომ ჰქონდეთ კიდევ“.

დოქტორმა უპასუხა, რომ საკითხი ბოროტების წარმოშობის შესახებ, ძალიან ფართო თემაა, რომ ბოროტება რწმენის უკმარისობის შედეგია, ხოლო უბედურება საუკეთესო სამყაროს არსებობის იმედს ამტკიცებსო. როცა უფლის ყოვლისშემძლეობაზე ალაპარაკდა, მექოთნისა და თიხის ამბავი გაიხსენა, ბაირონმა წამოიძახა:

„ — თუ ნაწილებად დამამსხვრევდნენ, ცხადია, მექოთნეს ვკითხავდი, ასე რატომ მექცევი-მეთქი“.

ბაირონის არგუმენტებმა თითქოსდა უფრო მეტად დააინტერესა აუდიტორია. ბაირონის ნასვლის მერე დოქტორმა მეგობრებს უსაყვედურა, თქვენი სტუმარის ტიტულისა და დიდების გავლენის ქვეშ მოექცითო.

მაგრამ კენედი გულღრძო კაცი არ იყო და არც ეს დაუმახსოვრებია ავად. ის ბაირონის პატარა სახლში მივიდა, საუბრის გასახსნელად, და თავისი მოსაუბრის ბიბლიური ერუდიციით უკიდურესად გაოცდა.

„ — დიახ, — უთხრა ბაირონმა, — უფრო ბევრჯერ წამიკითხავს ბიბლია, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. ბიბლიაც მაქვს და ხშირად ვკითხულობ. ჩემმა დამ მაჩუქა; მშვენიერი ქალია ჩემი და.

თავის ოთახში გავიდა და ლამაზ ყდაში ჩასმული ოგასტას ნაჩუქარი ჯიბის ბიბლია გამოიტანა. კამათის დროს კენედი ამოდ ეძებდა ტექსტს თავისი ნათქვამის განსამტკიცებლად, ბაირონი კი მაშინვე ნახულობდა; შეკითხვებით ეშმაკზე, ანდორელ ჯადოქარზე, ჩიხში ამწყვედევდა კენედის.

— ვფიქრობ, ეს საუკეთესო სცენაა ჯადოქრობისა, რომელიც ოდესმე დანერგა. მსგავსი სიუჟეტის საუკეთესო განსჯა გოეთეს მეფისტოფელია. ცხადია, თქვენ ბიბლიურ სახეს უფრო მაღლა აყენებთ, რადგან აღმოჩენად მიგაჩნიათ, მაგრამ თუ გოეთეს ნაიკითხავთ, ნახავთ, რომ ეს ერთი ყველაზე დიდი ადამიანური კონცეფციაა.

დოქტორმა ამ თავისებურ ასოციაციაზე გაიღიმა და გამოუტყდა, არასოდეს მომსვლია თავში ბიბლიისთვის ისე შემეხედა, როგორც ლიტერატურული ნაწარმოებისთვის.

— კეთილ გზაზე ვდგავარ, — უთხრა ბაირონმა, — თქვენსავით მნამს ბედისწერისა და ადამიანთა გულების გარყვნილებისა საერთოდ და ჩემისა, კერძოდ. აი, ეს უკვე ორი პუნქტია, რაშიც ერთმანეთს ვეთანხმებით.

მერე, როცა კენედიმ დიდსულოვნების, მონყალეობის, კეთილი საქმეების კეთების აუცილებლობაზე ილაპარაკა, ბაირონმა ჰკითხა:

— რა გნებავთ დოქტორო, კეთილ ქრისტიანად გინდათ მაქციოთ?

— მინდა მუხლმოყრილი გნახოთ, უფალზე მლოცველი.

— მეტისმეტად ბევრი მოგინდომებით, ძვირფასო დოქტორო“.

საბერძნეთიდან მოსული ამბები იმედიანიც იყო და გულის გამტეხიც. თურქებზე კი გაიმარჯვეს, მაგრამ ერთმანეთში ვერ მორიდდნენ. კომიტეტმა ბაირონს შემოუთვალა, არტილერიითა და კონგრევის იარაღით დატვირთულ გემს ვაგზავნიოთ. კონგრევის იარაღი ახალი გამოგონილია და ამბობენ, სასწაულებს ახდენსო. ამ „არგონავტთა გემის“ მოლოდინში კი ბაირონმა ინგლისიდან რუკები და საყვირები მიიღო. ცხადია, ფრიად პატივსაცემი საგნები იყო, მაგრამ ნაკლებ გამოსაყენებელი იმ ქვეყანაში, სადაც ჯარისკაცებს წარმოდგენა არ ჰქონდათ ტოპოგრაფიაზე და არც მუსიკაზე. ჯენტლმენები, „გვირგვინი და ღუზიდან“, ოფიცრის გამოგზავნასაც დაპირდნენ საომარი ოპერაციების ხელმძღვანელობისთვის. ბაირონი ფიქრობდა, კარგი იქნება თუ პოლკოვნიკ ნეპირს აირჩევენო. მაგრამ პოლკოვნიკ ნე-

პირს საბერძნეთზე ცოტა განსხვავებული აზრი ჰქონდა, ვიდრე კომიტეტს.

„— ვიდრე ევროპაში, — ამბობდა ის, — ერთი თურქი ჯარისკაცი მაინც დარჩება, საბერძნეთის მთავრობა კონსტიტუციაზე ვერც კი იფიქრებს“.

ასეთი ლაპარაკი არ შეიძლებოდა მონონებოდა ლიბერალურ კომიტეტს. პოლკოვნიკმა სტენჰოპმა, რომელიც ლონდონელმა მოღვაწეებმა გამოუგზავნეს, ბაირონი ვერ მოხიბლა. ის ბენთაიმის მონაფე იყო — და უფრო მეტად პოლიტიკოსი, ვიდრე ჯარისკაცი. როგორი იქნება საქმეში?

ნეპირი ბაირონს მაინც დაეხმარა პარტიებს შორის არჩევანში. მავროკორდატოსის დამცველად გამოვიდა, რომელიც მისი სიტყვით, რევოლუციის ბელადებს შორის უფრო პატიოსანი და სერიოზული სახელმწიფო მოღვაწე იყო. მავროკორდატოსი კუნძულ ჰიდრაზე იყო; ის ბაირონს დაუკავშირდა და აუნყა, რომ მზად იყო საბერძნეთის ფლოტი დაეძრა, ალყა გაერღვია და მისოლუნგში ჩასულიყო ოპერაციების ხელმძღვანელად, თუ ბაირონი წინასწარ მისცემდა ოთხი ათას სტერლინგს ეკიპაჟისთვის ხელფასების დასარიგებლად, თანაც ზამთარი ახლოვდებოდა, ხოლო კომიტეტი ამ თანხაზე კარგა ხანია ვაჭრობდა. ბაირონმა თანხა მისცა. მისთვის სასიამოვნო იყო, რომ იგი, ჩვეულებრივი მოქალაქე, მთელ ჯარსა და ფლოტს ინახავდა. ისიც მოსწონდა, რომ თანხა, რომელიც საბერძნეთისთვის გასცა, აჭარბებდა იმ თანხას, რითაც ბონაპარტმა იტალიური კამპანია წამოიწყო. მისოლუნგელი სულიოტები ჯამაგირის დანიშვნას სთხოვდნენ და ჩვენი ბელადი იყავიო, სთავაზობდნენ. როგორი გულნაკლულიც უნდა ყოფილიყო, მაინც უნდოდა მოესინჯა. ისინი მშვენიერი მეომრები იყვნენ და მათი ტომის უფროსად ყოფნა დიდებული რამ იყო! ვინ იცის? საბერძნეთის გათავისუფლების შემდეგ იქნებ სხვა ქარის წისქვილებსაც ეკვეთოს. ის უკვე იმ ბანდის მეთაურად მიიჩნევა თავს, რომელიც მთელ ქვეყნიერებაზე სიმართლეს აღადგენდა.

წლის ბოლოს, ბაირონის ფინანსური მხარდაჭერით, საბერძნეთის ფლოტი შეიარაღდა და მავროკორდატოსმა, მერე სტენჰოპმაც, შეძლო მისოლუნგში ჩასვლა; ისინი იქიდან ემუდარებოდნენ ბაირონს, ჩამოდიო. „ვერ გამოვხატავ მილორდ, — წერდა მავროკორდატოსი, — ისე მინდა თქვენი ნახვა. თქვენს რჩევებს ველით. ისე მოვისმენთ, როგორც მისანს“. სტენჰოპი წერდა: „ციებცხელებიანის მოუთმენლობით გელიან. საღამოს მისოლუნგში გავისეირნეთ, ხალხი

ჩვენგან ლორდ ბაირონს ითხოვდა“.

მათთან მისვლა და შეერთება იქნებ ჯერ ადრეც იყო, მაგრამ ბაირონმა იცოდა, კომიტეტის წევრები ინგლისში აბუჩად იგდებდნენ უკვე ასე ხანგრძლივად რომ გააგრძელა კუნძულზე ყოფნა. მურის წერილითაც შეურაცხყოფილი დარჩა, სადაც მიანიშნებდა, რომ ბაირონი, იმის მაგივრად, საგმირო საქმეებისკენ ისწრაფოდეს, თავის მშვენიერ ვილაში ზის და „დონ ჟუანს“ ამთავრებსო. ეს მართალი არ იყო, არც „დონ ჟუანს“ წერდა და არც სხვა რამეს.

„— პოეზია, — ეუბნებოდა გამბას, — უსაქმურთა საქმეა. უფრო სერიოზული საქმეების დროს ძალიან სასაცილოდ ჩანს“.

მშვენივრად ესმოდა, ეს თავგადასავალი უსაფრთხო არ იყო, „მაგრამ ჩემზე ვერასოდეს იტყვიან, რომ მე მოვიხდომე წესიერი ადამიანის დახმარება რომელიღაც საჩოთირო საქმეში და ბოლომდე არ მივიყვანე... ამ საქმის ერთგული დავრჩები მანამდე, ვიდრე ერთი ღერო მაინც დარჩება, რომელზეც ჩაჭიდება შეიძლება“. 27 დეკემბერს მურს შეატყობინა, ოცდაოთხი საათის შემდეგ, მავროკორდატოსთან, მისოლუნგში მივცურავო. „ლოდინს პარტიებს შორის განხეთქილება მაიძულებდა, მაგრამ, რადგან მავროკორდატოსი, მათი ვაშინგტონი ან, თუ გნებავთ, მათი კოსტიუშკო, ისევ ხელისუფლებაში აღმოჩნდა, შემიძლია მშვიდი სინდისით ვიმოქმედო. მიმაქვს ფული, რომ ესკადრას გადავუხადო და გავლენა მაქვს სულიოტებზე. შეიძლება, ვცაღოთ და ან პატრასი ავიღოთ ან სრუტის ფორტები. ასე მგონია, ბერძნები ან, ყოველ შემთხვევაში, სულიოტები /ისინი ჩემთან იყოფენ პურსა და მარილს/ ელიან, რომ მათთან ერთად ვიბრძოლებ. დაე, ასე იყოს. რაღაც იმედი მაქვს, ჩვენი საქმე გაიმარჯვებს. მაგრამ რაც უნდა იყოს, ღირსების წესები ისევე მტკიცედ უნდა დავიცვათ, როგორც რძის პროდუქტების დიეტა. იმედი მაქვს, ერთსაც დავიცავ და მეორესაც“.

XXXV

ჰამლეტი და დონ კიხოტი

სასახლესთან სიბრძნე
მოყირჩების გზით მოდის.
ბლეიკი

მავროკორდატოსმა და სტენჰოპმა ბაირონს აღუთქვეს მისოლუნგში შენს ჩამოსვლას საბერძნეთის ფლოტი დაიცავსო; არც მავროკორდატოსი და არც სტენჰოპი კარგი

ორგანიზატორები არ იყვნენ, და ორ გემს, რომელთაც ბაირონი მიჰყავდა და მისი ქონება გადაჰქონდა, ზღვაში მხოლოდ თურქეთის ფლოტი დახვდა. ხომალდი, რომელითაც გამბა მიდიოდა, დააკავეს და პატრასში მიიყვანეს ამოსაცნობად; მეორემ, რომელზეც ბაირონი იყო, მოახერხა, ჩრდილოეთისკენ გაძვრომა, და მიუხედავად იმისა, რომ მდევარი მისდევდა, შეძლო დრაგომესტრის კლდეებს იქით მიმალვა. თურქების დევნა შეიძლება განახლებულიყო, ბაირონს კი ბრძოლისუნარიანი მხოლოდ ოთხი ადამიანი ახლდა. სტენჰოპს მაცნე გაუგზავნა, დახმარება სთხოვა. „აქ დარჩენას ცოტა ვშიშობ; ჩემს გამო იმდენად არა, რამდენადაც ერთი ბერძენი ახალგაზრდის გამო, კარგად იცით, რა ბედიც ელის. მირჩევნია ჩემი ხელით დავგლიჯო, მას ჩემი თავიც მივაყოლო, ვიდრე ამ ბარბაროსებს ჩავუგდო ხელში“. ბერძენი ახალგაზრდა ჭაბუკი ლუკა გახლდათ, რომელიც ბაირონმა კეფალონიიდან წამოიყვანა.

დრაგომესტრში სამი დღე-ღამე ელოდნენ. ფლეტჩერი საშინელი სურდოსგან იტანჯებოდა. ბაირონმა ის ერთადერთი ლეიბიც დაუთმო, რომელიც ხომალდზე ჰქონდათ. იქნებ, ყურადღების ასეთი ჟესტის გამოც ამბობდა ფლეტჩერი:

„— მილორდი, შეიძლება უცნაურიც ბრძანდება, მაგრამ ისეთი კეთილი გული აქვს“. ბაირონმა იქ გაატარა 2 იანვარი — მისი ქორწინების წლისთავი; დღე, რომელიც მისთვის მუდამ ფიქრისა და განსჯის დღე იყო. 4 იანვარს მისოლუნგში ჩავიდა.

ქალაქი მისოლუნგი ღრმა ლაგუნას ნაპირზეა გაშენებული; ყურეში მხოლოდ ბრტყელძირიან, მცირე ზომის ხომალდებს შეუძლიათ ცურვა. კუნძულების ჯაჭვია; აქედან მთავარია ვასილიდა, მასზე ციხესიმაგრეა აგებული და ლაგუნას ზღვისგან ჰყოფს. 5 იანვარს, დილით, ბაირონმა დიდი ხნით ნითელი მუნდირი ჩაიცვა, რომელიც კეფალონიის დეფის სთხოვა, მერვე პოლკის პოლკოვნიკს, და პატარა ნავით, ლაგუნაზე გავლით, ქალაქში გაემგზავრა. საარტილერიო ზალპით, თოფების ბათქითა და მუსიკის ველური გრიალით შეეგებნენ. ნაპირზე ჯარისკაცებისა და მოქალაქეთა ბრბო დახვდა. სტენჰოპი და პრინცი მავროკორდატოსი სახლის კართან ელოდნენ. პატრასელი თურქებისგან სასწაულით გადარჩენილმა გამბამ, ამ გულისშემძვრელი სცენის ხილვისას „ძლივს შეიკავა ცრემლისგან თავი“.

მისოლუნგი მეთევზეთა ქალაქია და ზღვის დონის ქვევით მდებარეობს. ქალაქს გარს უზარმაზარი ლელიანი ერტყა, ხოლო

წვიმების დროს ქუჩები ერთიანად ჭაობდებოდა. მათი დაშრობის არავითარი საშუალება არ იყო და სახლები წყალში იდგა. და მაინც, მისოლუნგს ჰქონდა რალაც უცნაური, თავისებური, არამინიერი ხიბლი: ზღვისგან სანახევროდ დატბორილი ეს ატლანდა თითქოს სამყაროს მიღმა იყო დარჩენილი. ცხვრის ტყავებში ჩაცმული მეცხვარეები ლელქაშებს შორის ქოხებში ცხოვრობდნენ, შრომანისფერი მთების ძირში. ირგვლივ მარლიკს, თევზის, ყლარტის სუნი იდგა. ლორდ ბაირონის სახლი საკმაოდ მაღალი შენობა იყო; იქ უკვე ჩასახლებულიყო პოლკოვნიკი სტენჰოპი. ფანჯრიდან უმშვენიერესი ხედი იშლებოდა; მკრთალი, ვერცხლისფერი, სარკისებური ლაგუნას იქით კუნძულების შავი ჯაჭვი მოჩანდა, ხიმინჯებზე მდგარი საცხოვრებლებიც, ხოლო კარგ ამინდში, კეფალონიაც, სადაც ბაირონმა ბედნიერი დღეები გაატარა. დატრიალდნენ ფლეტჩერი, ტიტა და ლეგა ზამბელი, როგორმე ლორდის უბადრუკი საცხოვრებლისთვის რიგიანი სახე რომ მიეცათ; კედლებზე იარაღი დაკიდეს, კიდევ ორი თარო წიგნებისთვის; პირველი სართულის დიდ დარბაზში სულიოტთა გვარდია მოათავსეს. ქალაქის ყავახანებში ამოქარგულქურთუკებიანი ჯარისკაცები და ლტოლვილები ერთმანეთს ლანძღავდნენ; ცოტა ძალ-ლონე როდი იყო საჭირო, რომ ბერძნებს ლეონიდე* გაეხსენებინათ.

ბაირონი შექმნილ მდგომარეობას გულცივად აფასებდა. მისი მოკავშირე მავროკორდატოსი პატიოსანი კაცი კი იყო, მაგრამ თავის რაზმებში ავტორიტეტი არ ჰქონდა. ქალაქი სულიოტებით იყო სავსე; დამშეულები იყვნენ, ბერძენთა ხელისუფლება ხელფასს ცუდად უხდიდა, ამიტომ ისინი უფრო დიდ საშიშროებას წარმოადგენდნენ, ვიდრე თურქები; მათ დამოუკიდებლობისთვის ომი ნაკლებად აინტერესებდათ, რადგან მუდამ დაქირავებული მეომრები იყვნენ; „სულიზე ოხრავდნენ“, ჩრდილოეთისკენ იყურებოდნენ, სადაც, ზოგჯერ, ღრუბლებს ზევით, მათი სამშობლოს კლდეები მოჩანდა; მავროკორდატოსს მათი ემინოდა და ბაირონს ვევედრებოდა, შენს ხარჯზე აიყვანეო.

ისევ „არგონავტების გემს“ ელოდნენ, რომლითაც ლონდონის კომიტეტი არტილერიასა და პიროტექნიკის გამოგზავნას დაჰპირდა. სპეციალისტების რაზმის შეკრება აუცილებელი იყო, რომ ზარბაზნების ჩამო-

* ლეონიდე — სპარტის მეფე /ძვ.წ. 508/507-480/.

ტანისთანავე მათი გამოყენება შეძლებოდათ. ამისთვის ბაირონმა პირველი თანხა, ასი ფუნტი გამოყო და ცდილობდა ამ საქმისთვის გერმანელები და შვედები დაექირავებინა. სამაგალითო ჯარისკაცი აღმოჩნდა, ყოველდღე ესწრებოდა ჭაობებში თავისი ბრიგადის სწავლებას.

„— ამაზე მოსანყენი არაფერია, — ეუბნებოდა გამბას, — მაგრამ მოთმინება აუცილებელია. წარმატების იმედი დიდად არა მაქვს, მაგრამ რალაცის გაკეთება საჭიროა, თუნდაც იმისთვის, რომ რაზმს საქმე ჰქონდეს, საშუალება არ მივცე უქმად იყვნენ, რათა უნესრიგობა არ შეიქნას“.

ყველაზე სახარბიელო პერსპექტივა ქალაქ ლეპანტის შტურმით აღება იყო, რომელიც ოდნავ მოშორებით, კორინთოს ყურეში მდებარეობდა, და ჯერ კიდევ თურქებს ეკუთვნოდა. ლეპანტის სიმაგრეების დასაზვერად ბაირონმა ორი თავისი ოფიცერი გააგზავნა, ინგლისელი და გერმანელი. იქ აღბანელთა რაზმი იდგა, რომლისთვისაც რამდენიმე თვე იყო ჯამაგირი არ მიეცათ. მათ ბაირონს ემისრები გამოუგზავნეს და შეატყობინეს, მზად ვართ დაგნებდეთ, თუ ხალხს რიგიან ჯილდოს მისცემთ და ცოცხალს დატოვებთო. ასე რომ, ალყა ძნელი არ იქნებოდა, ლეპანტის ცნობილი სახელიც ბერძნებს სესხის აღებაში დაეხმარებოდა, რომლის მიღებასაც კარგა ხანია ლონდონში ცდილობდნენ.

სამინელი ამინდი იყო, განუწყვეტილად წვიმდა; ბაირონი გამბასთან ერთად ლაგუნაზე კანჯოთი დაცურავდა, რადგან ცხენით სიარული სველ გზაზე შეუძლებელი გახდა და ლეპანტთან ომის გეგმაზე საუბრობდნენ. ბაირონი გამოტყდა, რომ თავის რაზმს არ ენდობოდა, მაგრამ მათი ბრძოლისუნარიანობის განმტკიცების მიზნით აუცილებელი იყო მათთვის ნდობის გამოცხადება. თვითონ უნდოდა მათი იერიშზე წაყვანა.

„— უპირველეს ყოვლისა, — ამბობდა ბაირონი, — საჭიროა, ველურებმა თქვენს პირად სიმამაცეში ეჭვი არ შეიტანონ“.

მავროკორდატოსმა არქისტრატეგის ანუ მთავარსარდლის ტიტული მისცა. ბაირონმა ამაზე გამბასთან ერთად იცინა, — მუდამ ასე აკეთებდა, როცა დაცინვისა ემინოდა, — მაგრამ ძალიან კი ამაყობდა ამით.

პოლკოვნიკ სტენჰოპისა და მისი კომიტეტელი კოლეგების მთელი პოლიტიკური საქმიანობა სასონარკვეთაში აგდებდა. სტენჰოპი, რომელსაც ბაირონმა „ტიპოგრაფიული“ პოლკოვნიკი შეარქვა, მიიჩნევდა, რომ ბერძნებისთვის უფრო მნიშ-

ვნელოვანი იყო კარგი მიმართულების პრესა შეექმნათ, ვიდრე არმია. ცდილობდა სკოლების ორგანიზაციას და სჯეროდა, რომ ქვეყნის თავისუფლება თავისუფლების თეორიით მტკიცდებაო. ბაირონს არანაირი სკოლის გაგონება არ სურდა, გარდა არტილერისტთა სკოლისა. სტენჰოპს ფოსტის რეორგანიზაციაც ჰქონდა გეგმაში, სანიმუშო ციხეების აგებაც უნდოდა, ჰქონდა იმის გეგმაც, რომლის დახმარებითაც მისტერ ბენტაიმი ბერძენთა მოციქული უნდა გამხდარიყო.

„— შეიძლება წმინდანიც არის, — ამბობდა ბაირონი, — მაგრამ ჯარისკაცი არ არის“. ბაირონი გაზეთის გამოშვებას დათანხმდა და ასი ფუნტი მისცა ხარჯებისთვის; პრინც მავროკორდატოსს კი უთხრა, თქვენ ადგილზე ცენზურას შეექმნიდით. სტენჰოპი გაბრაზდა:

„— თუ თქვენი უგანათლებულებობა ამას სერიოზულად ამბობს, მაშინ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ინგლისის კომიტეტს შევატყობინო ის ამბავი თუ რაოდენ ძნელია ბერძენებისთვის თავისუფლების მიცემა, როცა თქვენი უგანათლებულებობა სასწორის მეორე პინაზე თავის დიდებულ ნიჭს დებს“.

ბაირონმა უპასუხა, რომ იგი ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების დამცველია, მაგრამ არა პრიმიტიულისა და საზოგადოების აღმზნები პრესისა, რომ თავისუფლება — დიდებული რამეა ინგლისში, სადაც ერთი გაზეთი მეორეს ანონასნორებს, მაგრამ ბეჭდვითი სიტყვა ერთადერთი გაზეთით, არ შეიძლება თავისუფალი იყოს. პირველივე ნომერმა რეკ ჩპრონიცლე-მა დაამტკიცა, რომ იგი მართალი იყო. ერთი სტატია სულიოტებს ეუბნებოდა, ბენტაიმი ჩვენი დროის უდიდესი ადამიანიაო და შეიძლება ყველა დროისა-ცო. სტენჰოპის საგარეო პოლიტიკა სახიფათო იყო. იგი წმინდა კავშირის წინააღმდეგომში ჩაება და უნგრელებს მოუწოდებდა, ბერძენების მაგალითს მიბაძეთო. ბაირონს სხვაზე მეტად სძულდა წმინდა კავშირი, მაგრამ აბსურდად მიაჩნდა ბერძნული რევოლუციის ჩართვა ევროპულ რევოლუციურ მოძრაობაში.

პოეტი-პრაქტიკოსი და ჯარისკაცი-ფანტაზიორი ერთმანეთს შეეჯახა:

„— ძალიან უცნაურია, — ამბობდა ბაირონი, — რომ ჯარისკაცი სტენჰოპი თურქებს კალმით უპირებს შებრძოლებას, მე კი, მწერალი, — ხმლით“.

სტენჰოპი ბაირონის გულწრფელობას აღიარებდა: „არც პედანტიზმი ჰქონდა, არც აფექტაცია, ბუნებრივი იყო და უბრალო,

ბავშვივით. მომთმენი მსმენელი, და, საერთოდ, ძალიან ყურადღებიანი ბრძანდებოდა; დონ კიხოტოზამდე რაინდი იყო“. ვინც ბაირონთან ცხოვრობდა, იმას ხედავდნენ, რასაც ლედი ბლესინგტონი ბუნდოვნად ხვდებოდა და რასაც უარყოფდა ტრელონი: „დიადი ხასიათის ცოცხალი თვისებები“. ჩამოსვლისთანავე მიხვდა ბაირონი, რომ ამ „ტალახისა და უნესრიგობის სამეფოში“, თავგადასავალი არც ბრწყინვალე იქნებოდა და არც თვალწარმტაცი. „თავგადასავლების საქმეებზე არ ჩამოვსულვარ. ჩამოვდი, რათა ერს აღორძინებაში დავხმარო, რომლის დაცემაც კი ისეთია, რომ პატივისცემად უნდა მიიღო მის მეგობრად ყოფნა“.

მაგალითი რომ მიეცა, იგივე ულუფას იღებდა, რასაც მისი ჯარისკაცები. როგორც რავენაში, აქაც თავისი გულუხვობის წყალობით, მისოლუნგის შემოგარენის გლეხობაში დიდად სახელგანთქმული გახდა. ამ თავანყვეტილი ველურების ხელში განუწყვეტელი საშიშროება ემუქრებოდა, ისინი მის სახლში შედიოდნენ, მოწმედ დაგვიდექო, სთხოვდნენ, ემუქრებოდნენ, ის კი აუღელვებელი და მშვიდი იყო. ერთხელ ბერძენი მეზღვაურები ოთახში შეუცვივდნენ და მოსთხოვეს დაპატიმრებული თურქი გადმოგვეციო. ბაირონმა, რომლის ბრძანებითაც თურქი დააკავეს, უარი უთხრა მათ. მეზღვაურები არ შეეპუენ და განუცხადეს, თურქის გარეშე ოთახიდან არ გავალთო. ბაირონმა პისტოლეტები დაუმიზნა მათ და მხოლოდ მაშინ იკადრეს წასვლა. არაერთხელ გაუგზავნია ტყვეები პატრასში, რომ გადაეერჩინა ისინი. სამხედრო გეგმის განხილვისას, ის ყველაზე სახიფათო პოზიციას ირჩევდა. „რას მიქვია პირადი უსაფრთხოება, ჯერ ერთი, მასზე არც უნდა იფიქროს კაცმა, მეორე, ასე მგონია, ადამიანი ისევე არის ერთ ადგილზე უსაფრთხოდ, როგორც სხვა ადგილზე. ბოლოს და ბოლოს, უკეთესია ტყვეით მოკვდე, ვიდრე წამალი დალიო“.

ზოგჯერ ჩამოსვლას ნანობდა. ერთხელ ჰობჰაუზის მეტისმეტად დაგვიანებული წერილი მიიღო, ურჩევდა, კეფალონიიდან სერიოზული სიფრთხილის ზომების დაცვის გარეშე ნუ წამოხვალო. ბაირონმა თქვა:

„— აჰ, მეტისმეტად გვიანია! ეს იმას ჰგავს, კაცს ურჩიო, ქალს ნუ ენდობო, რომელიც უკვე ცოლად მოიყვანა“.

მაგრამ მდგომარეობიდან სწრაფად გამოდიოდა. ამბობდა, მისოლუნგში ღარიბულად ცხოვრება მირჩევნია, ვიდრე ლონდონის სალონებში სიმღერა და სმა, როცა ორმოც წელსა ხარ გადაცილებული, როგორც ამას ტომას მური აკეთებსო. „სიღარიბე ტან-

ჯვავა, მაგრამ, იქნებ, იმ ე.წ. მაღალი კლასის უაზრო გართობას სჯობს, რომელთაც გრძნობაც აკლიათ და გულიც. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ახლა ამ ყველაფერს გავერიდე, და გადანყვებილი მაქვს, ჩემი ცხოვრების ბოლომდე მათგან თავი შორს დავიჭირო“. პოეტმა-ჯარისკაცმა საკუთარ თავში დენდი და მაღალი წრის ადამიანი დასძლია. იყო კი ეს, როგორც თვითონ ამბობდა, „სიცოცხლის ბოლომდე“? ვინ იცის. მაგრამ მისოლუნგში, მასში შემწყვედელმა პურიტანმა და რაინდმა, ბოლოს და ბოლოს, ამ თავგადასავალში თავისი მტკიცე ბედნიერება იპოვა. თავის დაბადების დღეს, 1824 წლის 22 იანვარს, იმ ოთახში შევიდა, სადაც სტენჰოპი, გამბა და რამდენიმე მისი მეგობარი იყო და ღიმილით თქვა:

„— ერთხელ დაიჩვიეთ, რომ ლექსებს აღარ ვწერდი, — დღეს ჩემი დაბადების დღეა, და ეს-ეს არის ლექსი დავამთავრე, რომელიც ყველაზე უკეთესია, რაც აქამდე დამინერია“.

მათ ლექსი წაუკითხა, რომელიც ასე მთავრდება:

*„შენ — სიჭაბუკე არ გახარებდა,
გულს ნუ დაიწყვეტ ამ სიმძიმით,
და თუ სიკვდილში ხედავ ხარებას,
მეხვდი ღიმილით!“*

*მებრძოლს აქ ელის წმინდა სამარე,
ნურც გაიხსენებ წარსულს —
გარდასულს,
თვალი შეავლე ამ არემარეს,
დახვდი აღსასრულს!“**

ინებოდა მეოცდაჩვიდმეტე წელი მისი ცხოვრებისა, რომელიც, როგორც წინასწარმეტყველება იუწყებოდა, საბედისწერო უნდა ყოფილიყო მისთვის.

ბაირონს რაღაც იმედი გაუჩნდა, როცა მისტერ პერის, არტილერისტისა და პიროტექნიკოსის, ჩამოსვლის ამბავი შეიტყო; ის ლონდონის კომიტეტმა გამოუგზავნა; მისტერ პერიმ ზარბაზნები ჩამოიტანა და ინგლისელი ტექნიკოსები ჩამოიყვანა; ამბობდნენ, კონგრევის სახელგანთქმული იარაღის ფაბრიკაცია არის მისთვის ცნობილი. მისტერ პერის დახმარებით ლეჰანტის აღებასაც შეძლებდნენ, ბოლოს და ბოლოს. პერი ერთი უნტერ-ოფიცერი აღმოჩნდა მხოლოდ, საარსენალოს ოსტატი, მაგრამ

* „დღეს შემისრულდა ოცდათექვსმეტი“. ინგლისურიდან თარგმნა ინესა მერაბიშვილმა.

ბაირონს მოეწონა; მას უყვარდა თავისი საქმის ოსტატი ადამიანები. მისი უხემობა ერთობ თავშესაქცევი იყო; გადაკვრა უყვარდა და ბრენდის გარკვეული რაოდენობის მიღების შემდეგ, არცთუ უინტერესო ამბებს ყვებოდა. ბაირონივით მასაც მიაჩნდა, რომ ლონდონის კომიტეტი თეორეტიკოსების საკმაოდ უცნაური ასამბლეა იყო. ერთუზიანის ისეთივე შიშით ხვდებოდა, როგორც მისი ახალი პატრონი. ისიც თქვა, ბლეკერი და ჰობჰაუზი „მოლაყბები“ არიანო, და ბაირონი ისე აცინა, თვალთაგან სულ ცრემლები აყრევინა, როცა ბენტაიმთან თავისი პირველი შეხვედრის შესახებ უამბო, რომელმაც, საუბრისას დაწყებული ფრაზა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ უცბად, ლონდონის ქუჩაში დაიწყო სირბილი და თავისი ქცევით გამვლელები გააოცა — სირბილი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოაო, უთქვამს. ბაირონი ეცადა პერისთვის აეხსნა ბერძნული სიძნელები და მისოლუნგში განხეთქილებების შესახებაც უამბო. ამან პერიზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, და ეგონა, რომ ბაირონი უკიდურესად შემფოთებული იყო, და წარმატებისა აღარ სჯეროდა, მიუხედავად ამისა, მაინც უნდოდა ბოლომდე გაეძლო. „სახე გაფითრებოდა, წარბები უთრთოდა, ეს ერთდროულად უმნეობასაც ჰგავდა და მრისხანებასაც“.

პერისა და მისი ხალხის ჩამოსვლამ უნესრიგობა უფრო გაზარდა. სერალის შენობა დაუთმეს, შიგ არსენალი რომ გაემართათ. მისი გასუფთავება გახდა საჭირო და იქ მასალების შეტანა, მაგრამ თითქმის ყოველდღე, რომელიღაც წმინდანის დღესასწაული იყო, ხოლო ბერძენ ჯარისკაცებს არც ისე მოსწონდათ მუქთად გარჯა. სასონარკვეთილმა ბაირონმა თვითონ დაიწყო კოჭლობკოჭლობით დალაგება-დასუფთავება. კომიტეტის გამოგზავნილი ინგლისელი მუშები აღშფოთებას ვერ მალავდნენ შენობებში გამეფებული ჭუჭყისა და მისოლუნგის სილატაკის გამო. ჩამოტანილი ტვირთის შიგთავსი ის არ გამოდგა, რასაც ელოდნენ. კონგრევის სახელგანთქმული იარაღი არ იყო. საარტილერიო ბრიგადის გერმანელი ოფიცრები შეურაცხყოფილები იყვნენ იმით, რომ ბაირონს უნდოდა პერი ბრიგადის მეთაურად დაენიშნა. მათ პერი, რომელიც ოფიცერიც კი არ იყო, უმეცარ ადამიანად მიაჩნდათ; ის სამხედრო წვრთნებზე წინსაფრითა და ჩაქუჩით ხელში მიდიოდა.

ბაირონი მშვენივრად ხვდებოდა, რომ პერი სულაც არ იყო სტრატეგი, მაგრამ ჯანსაღად მოაზროვნე კაცი გახლდათ, ბაირონი კი ამ არემარეში მარტოდ გრძნობდა თავს.

ვინც გარს ეხვია, ერთმანეთს ვერ იტანდნენ და ფულის გამო კინკლაობდნენ. მას მხოლოდ გამბასა და თავისი მსახურების იმედი უნდა ჰქონოდა. სტენჰოპი პატიოსანი კაცი კი იყო, მაგრამ სულელი. მავროკორდატოსის აზრით, გამარჯვება წინასწარ მომზადებაზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ ცხოველურ სიმამაცეზე. უცხოელები, არტილერიისტთა ბრიგადიდან, პირველობისთვის ჩხუბობდნენ. პერი და ბაირონი ამ ექსპედიციამი ერთადერთი თანამედროვე ჯარისკაცები იყვნენ. ბაირონი დიდი ხანი აკვირდებოდა სამხედროებს და ნელ-ნელა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სარდლობა მას მოუხვედა, რადგან დანარჩენებს ამისი უნარი არ ეტყობოდათ; არადა, გადანყევტილი ჰქონდა იმას დამორჩილებოდა, ვისაც ამ საქმისა რამე გაეგებოდა და მასთან ერთად წასულიყო ბრძოლის ველზე. მაგრამ ამ როლისთვის რომ სუსტი იყო, ესეც ესმოდა. საძაგელმა რეჟიმმა, ჯარისკაცური ასკეტიზმის გამო საკუთარ თავს რომ დაუნესა, ძალა გამოაცალა, გაასავათა, და ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება მის ნერვებს ველარ გაეძლო. ყველაფერი ასე იყო, მაგრამ იგი „მამაკაცი“ გახლდათ, თანაც ერთადერთი. „ვგონებ, სარდალი მე უნდა ვიყო. და ეს თანამდებობა სინეკურა* არ არის. არ ვიცი, კაპიტანსა და პოლკოვნიკს შორის ეს ამბავი კრივით დამთავრდება თუ არა, მაგრამ მხოლოდ ჩვენ, ჩვენი სულიოტების მეთაურებით, ჩვენი გერმანელი ბარონებითა და ყველა ქვეყნის ავანტიურისტებით, უმშვენიერეს არმიას /მოკავშირეებს/ წარმოვადგენთ, რომელსაც კი ოდესმე ერთი დროშის ქვეშ უბრძოლიათ“.

თებერვლის ბოლომდე გააგრძელა გულდამშვიდებული კაცის როლის თამაში. ცხენით ვეღარ დადიოდა, რადგან ქუჩები ოღროჩოღროდ იქცა, სამაგიეროდ, ყოველდღე გამბასთან ერთად ნავით სეირნობდა, მეთევზის ქოხამდე მიდიოდნენ; მეთევზეს გაზისი ერქვა; იქ ბაირონს ცხენები ელოდა და ზეთისხილის ტევრში მიდიოდნენ სასეირნოდ. მერე ნავით ისევ უკან ბრუნდებოდნენ. მზის ჩასვლა უმშვენიერესი იყო; გამბას თავის წარსულზე უყვებოდა, აბერდინზე, ნიუსტედზე, კემბრიჯზე, იახტაზე, რომლითაც ბრაიტონში თავისი პირველი სატრფო ასეირნა. უწინდელი სიამოვნებით იხსენებდა თავისი ჭაბუკობის გარდასულ ბრწყინვალე სურათებს. გამბაცა და პერიც — ორივე გულშეძრული იყო მისი ხასიათის

* შემოსავლიანი თანამდებობა, რომელიც დიდ შრომას არ მოითხოვს. თბილი ადგილი.

ბავშვური უბრალოებით. მისი სახლის პირდაპირ თურქული სახლი იდგა, ორნამენტებით დაფარული პატარა კომპით. ყოველთვის, როცა ბაირონი სახლიდან გამოდიოდა, პისტოლეტის ერთი გასროლით, რომელიმე ორნამენტს ჩამოაგდებდა ხოლმე. გასროლის ხმაზე აივანზე ქალები გამოცვივდებოდნენ და ბაირონს ნაკლებ ცივილიზებურ, ნაირფერ წყევლას უთვლიდნენ. ის აღტაცებული იყო. უყვარდა მოკირწყლულ დარბაზში ჩასვლა, სულიოტების ყაზარმად რომ ექციათ და იქ ეთამაშებოდა თავის ძაღლს. მთელი ერთი საათი გრძელდებოდა ეს თამაში. ბაირონი ძაღლს ეუბნებოდა:

„— ლომა, ადამიანზე ერთგული ხარ... ლომა, პატიოსანი ბიჭი ხარ“.

ლომა მინაზე იჯდა და კმაყოფილი აქიცინებდა კუდს, ბაირონი კი ბედნიერი ჩანდა.

ახლოვდებოდა დრო დანიშნული ლეპანტის საიერიშოდ. გამბას მიანდეს სულიოტების კორპუსის რეორგანიზაცია. სიაში ბევრი არარსებული ჯარისკაცი აღმოჩნდა. ასეთი სიყალბე დაქირავებულების უძველესი ჩვეულება იყო დამატებითი გასამრჯელოს მისაღებად. გამბამ კონტროლი შემოიღო, სულიოტები აღშფოთდნენ. დასავლური სიზუსტე არ მოეწონათ. კოლოკოტრონისმა მისოლუნგის ბერძენთა გეგმის შესახებ შეიტყო და შეეშინდა, წარმატების შემთხვევაში, მისი მოქიშპის მავროკორდატოსის სიძლიერე გაიზრდებოდა. თავისი ემისრები გააგზავნა, სულიოტები რომ ჩამოეშორებინა ბაირონისთვის. უაზრო ხმებსაც ავრცელებდნენ: მავროკორდატოსი ემზადება, რათა ქვეყანა ინგლისელებს მიჰყიდოსო, ლორდი ბაირონი ინგლისელი არ არის, თურქია გამოგონილი სახელითო. იმ დროს, როცა შეტევის ბოლო წვრილმანებს ითვალისწინებდნენ, სულიოტებმა უეცრად მოითხოვეს, რომ ორი იმათგანი გენერლად დაენიშნათ, ორი კაპიტნად და გვარიანი რაოდენობა კი ოფიცრებად. სამი თუ ოთხი ასეული სულიოტიდან ნახევარს ოფიცრის გასამრჯელო უნდა მიეღო. ბაირონი განრისხდა და განაცხადა, სულიოტებთან არავითარი საერთო აღარ მინდა მქონდესო. 15 თებერვალს მათი ბელადები შეკრიბა და გამოუცხადა, უკან გაგზავნითო. სასონარკვეთილი კი იყო, რადგან ეს იმ კამპანიის დასასრულს ნიშნავდა, რომელზეც მთელი ზამთარი დიდ იმედებს ამყარებდა.

სალამოს, ამ მძიმე დღის შემდეგ, პოლკოვნიკ სტენჰოპს ელაპარაკა; დალევა მოუხდა, სიდრი მოითხოვა; დალია, შექანდა და პერის ხელებზე გადაესვენა; სახე შეეშალა,

პირი მოექცა, სხეული დაეკრუნჩხა. ორი ნუთის შემდეგ გონზე მოვიდა, პირველი რაც თქვა, ეს სიტყვები იყო:

„— დღეს კვირაა?
დაუდასტურეს.“

— აჰ, — თქვა, — ძალიან უცნაური იქნებოდა, ასე რომ არ ყოფილიყო“.

კვირა ერთ-ერთი მისი უბედურ დღეთაგანი იყო.

ექიმ ბრუნოს უნდოდა მიხმარებოდა, მაგრამ სისხლის გამოშვებაზე ფიქრიც კი, ბაირონს, როგორც სხვა ბევრ ადამიანს, აუნერელ შიშს ჰგვრიდა. შეშინებული ბრუნო ხელებს იმტვრევდა, მერე საფეთქლებზე ნურბელები მოჰკიდა, უფრო მერე კი სისხლის დენის შეჩერება ვეღარ მოახერხა. ტიტა და ფლეტჩერი ჰოსპიტალში გავარდნენ ექიმ მილინგენის მოსაყვანად; ის გერმანელი ექიმი იყო; მან მოახერხა და შეუჩერა სისხლის დენა, თანაც საკმაოდ მტკივნეულად. ბაირონმა, რომელიც ბოლომდე არ იყო გონს მოსული, ნაიბუტბუტა:

„— ამქვეყნად ყველაფერი გაუთავებელი ტანჯვაა“.

გამბას, ფლეტჩერს, ტიტასა და ბრუნოს თავგზა აებნათ. ვერ გაეგოთ, რისი შეტევა დაემართა. ბნედა იყო თუ სისხლის ჩაქცევა? ექიმები ფიქრობდნენ, რომ ეს ბნედის მსგავსი რალაც იყო, მისი ვენეციური ავადმყოფობის გაგრძელება. ვიდრე ამ საკითხზე მსჯელობდნენ /ბაირონიც გონზე მოვიდა/, ამბავი მოიტანეს, ამბობებული სულიოტები სერალისკენ მოდიანო. ღამე იყო და გამბა, პერი, სტენჰოპი დატბორილი ქუჩებით, ქვიდან ქვაზე ხტომით უნდა გაქცეულიყვნენ, რათა საარტილერიო ბრიგადა მზადყოფნაში მოეყვანათ. ორმა მთვრალმა ჯარისკაცმა იმ ოთახში შეაღწია, სადაც ბაირონი იწვა, დასუსტებული, ნახევრად ცნობამიხდილი. ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდნენ. მარტო იყო და სრულიად უმწეო. ბრუნოს გამგმირავი ხმა გამოიკვეთა საერთო ხმაურში. ნესტიან, ოდნავ განათებულ ოთახში ბაირონი ნელ-ნელა მოდიოდა გონზე; ბუნდოვნად გაარჩია შიშისა და საერთო დაბნეულობის ხახადაღებული უფსკრული. ყველაფერ ამის ზემოთ კი, დაუსრულებლად, სახურავზე ბანის ხმით მღეროდა წვიმა.

შემდეგი კვირა მაინცადამაინც მხიარული არ გამოვიდა. ბაირონს, მას შემდეგ, რაც მისი თანდასწრებით სიტყვა „ბნედა“ თქვეს, უკვე ეშინოდა თავისი გონების მდგომარეობისა; თავბრუსხვევები ჰქონდა და უსიამ-

ოვნო ნერვული მდგომარეობა, რაც შიშს ჰგვრიდა, თუმცა იცოდა, შეშფოთების არანაირი საფუძველი არ იყო.

„— ალბათ, გგონიათ, — უთხრა მილინგენს, — ჩემი სიცოცხლე მალეღვებს. მთელი გულით მძულს იგი და დავლოცავ იმ საათს, როცა მისგან გავთავისუფლდები. რაზე უნდა ვინანო? რალა სიხარული უნდა მომანიჭოს სიცოცხლემ? მე, ჩაბერებული ჭაბუკი ვარ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ძლივს მოვიზარდე, რომ მაშინვე დიდების მწვერვალზე ავედი. რაც შეეხება სიამოვნებას, მისი ყველა სახეობა ვიგემე. ვიმოგზაურე, ცნობისმოყვარეობა დავიკმაყოფილე, ახლა ყველა ილუზია გამიქრა... მაგრამ ორი რამის კი მეშინია, და ეს განუწყვეტლივ თან მდევს. საკუთარ თავს ნამების სარეცელზე ვხედავ, ნელა მომაკვდავს ან ჩემს დღეებს სვიფტივით ვამთავრებ, — დამანჭულსახიან იდიოტად! უფალს ვევედრები, ის დღე მალე დადგეს, როცა თურქების რაზმს ხმლით ხელში შევებმები, უეცარი სიკვდილი რომ მენვიოს, ტანჯვის გარეშე“.

შეტევამ გაუარა, თუ არა, მაშინვე მიიღო ოგასტას მიერ გამოგზავნილი ლედი ბაირონის ბარათი, რომელშიც მათი შვილის, ადას ამბები იყო დანვრილებით აღწერილი. ძალიან გაიხარა ბაირონმა. ანაბელა განანყენების გარეშე მიმართავდა და მის ყოველ კითხვას პასუხობდა. ბაირონი ეკითხებოდა: „გოგონას საზოგადოება უყვარს, თუ მარტოობას ამჯობინებს? წყნარია თუ ცელქი? კითხვა უყვარს? ალგზნებული ხასიათი აქვს? იმედი მაქვს, ღმერთმა ყველაფერი მისცა, პოეტური ნიჭის გარდა, — ერთი ნახევრად გიჟი ოჯახში საკმარისია“. პასუხმა დაამშვიდა: ადა მალალი გოგო იყო, ძლიერი აგებულების, პოეზიას პროზა ერჩივნა, მექანიკისკენ ჰქონდა მიდრეკილება, საყვარელი საქმიანობა კი პატარა გემების შენება იყო. ნეტავ ოდესმე მაინც თუ ნახავს ამ სამ ქალს?

„ჩემო ძვირფასო, ოგასტა, — წერდა ბაირონი, — აი, უკვე რამდენიმე დღეა, რაც თქვენი წერილი მივიღე და ლედი ბაირონის ჩანაწერებიც ადას ჯანმრთელობის შესახებ. თქვენი დიდი მადლობელი ვარ, რადგან ეს ჩემთვის დიდი მხარდაჭერა და გამხნევება იყო; მე კი მხარში ამოდგომა ძალიან მჭირდება, რადგან ცოტა ხნის წინ ავად ვიყავი“.

ბაირონის უბედურებიდან ოთხი დღის შემდეგ, მშვენიერი შვედი ოფიცერი, ლეიტენანტი სასი ერთმა სულიოტმა მოკლა; ამ სულიოტს არსენალში შესვლა უნდოდა, ლეიტენანტმა კი არ შეუშვა. უბრალო გაუგე-

ბრობა ორ ადამიანს შორის, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ეს ბაბილონური ორომეტრიალი სისხლიანი გამოდგა.

სასის მკვლელობამ ძალიან იმოქმედა ინგლისელ პიროტექნიკოსებზე. მისოლუნგის ტალახი და სილატაკე, მიწისძვრა და ბარბაროსთა ჯარი მეტისმეტად აშფოთებდა მათ. ახლა უკვე პანიკაში ჩავარდნენ და მოითხოვეს უკან, ინგლისში გამგზავრება. ბაირონი მათ დამშვიდებას ეცადა, მაგრამ პოლკოვნიკმა სტენჰოპმა თქვა: „თავდები ვერ ვიქნები, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქრება“.

„— მინდა ვიცოდე, — ბრაზობდა ბაირონი, — ეს სიცოცხლე სადღაა უსაფრთხო, აქ თუ სადმე სხვაგან?“

ერთმა მექანიკოსმა, მეთოდისტური რელიგიური სექტის პროპაგანდისტმა, რომელმაც ჩამოსვლისას ახალბერძნულ ენაზე თარგმნილი ბიბლია ჩამოიტანა, წასვლისას ბაირონს სთხოვა, ამ მისთვის ძვირფასი ბალასტის გავრცელება ბერძნებში, რაც ბაირონმა კეთილსინდისიერად შეასრულა. ამაში მან რალაცნაირი ტრაგიკული იუმორიც კი დაინახა, რომ ყველანაირ პასუხისმგებლობას სამხედროს, პოლიტიკურს, რელიგიურს თუ სხვა, ერთი მეორის მიყოლებით მას ანდობდნენ სუსტი ძალები.

მისოლუნგის მცხოვრებლებიც შეშფოთებული იყვნენ სასის მკვლელობით და სულიოტების გაძევებას მოითხოვდნენ. მათი წასვლისთვის კი ხელფასის დარჩენილი ნაწილის გადახდა იყო საჭირო, — სამი ათასი დოლარი. ცხადია, ბაირონმა გადაიხადა. სამი თვის განმავლობაში მისოლუნგში დახარჯა ორმოცდაცხრამეტი ათასი დოლარი, და რა გამოვიდა აქედან? „აღარ არიან სულიოტები, რომ იარაღის საწყობები დავიცვათ; აღარ არიან მუშები, რომ საჭურველი მოამზადონ; აღარ არის საჭურველი, რომ ჯარისკაცები შევიაარალოთ, და აღარც ჯარისკაცები არიან, რომლებიც ამ იარაღს გამოიყენებენ, რომც შევძლოთ ამ იარაღის წარმოება. მე უკვე იმაზე ვინყებ ფიქრს, — გამოუტყდა ბაირონი გამბას, — რომ აქ არაფერს ვაკეთებდი, გარდა იმისა, ტყუილბურალოდ ვკარგავდი დროს, ფულს, მოთმინებასა და ჯანმრთელობას. მაგრამ ამისთვის მზად ვიყავი: ვიცოდი, ჩვენი გზა ია-ვარდებით მოფენილი არ იქნებოდა, უნდა მცოდნოდა, რომ იმედგაცრუება, ჭორები და უმადურობაც შემხვდებოდა“.

პოლკოვნიკი სტენჰოპი, რომელიც ახირე-

ბული კაცი კი იყო, მაგრამ სამართლიანიც, აღიარებდა, რომ ბაირონი მტკიცედ იქცეოდა, რაც გაცეზად ღირსო; კომიტეტსაც მისწერა; ჰობჰაუზს შემწყნარებლურად უთქვამს:

„— ის მუდამ ასეთი იყო კრიტიკულ მომენტში“.

ბაირონი თავისი მოწაფეობისდროინდელი ოინების ერთგულიც კი დარჩა. პერი მინისძვრით იყო შეშინებული. მინისძვრიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ბაირონმა ხელოვნური მინისძვრა მოაწყო. სარდაფში დამალულმა ორმოცდაათმა კაცმა, ბაირონის ბრძანებით სახლის, რომელიც საკმაოდ მოძველებული იყო, გაქან-გამოქანება დაიწყო, ამ დროს ზედა სართულზე მძიმე საგნებს აგორებდნენ აქეთ-იქით. პერის შეეშინდა და გაიქცა, ბაირონი კი ძალიან კმაყოფილი დარჩა.

მაგრამ, მიუხედავად თავისი იუმორისა, არცთუ იშვიათად, ჰკარგავდა მხნეობას. მის ცხოვრებაში, რომელიღაც რიტმი გამუდმებით ხორცს ისხამდა: ვაჟკაცური იერიში მთელი საზოგადოების წინააღმდეგ, მერე ძალთა დაცემა, გულგატეხილობა, როცა საზოგადოება დარტყმას გადაულახავი ძალით უბრუნებდა. როგორ უნდა შეასრულო საჭირო სამუშაო იმ ადამიანებთან ერთად, რომლებსაც მუშაობა თავზარს სცემს? მდგომარეობა ქალაქში არასაიმედო იყო; ხოლო მინაყრილების სიმაგრეები ცუდ მდგომარეობაში და მათი გადაკეთება იყო საჭირო. მინაყრილებზე თურქული ზარბაზნები იდგა, მათი მომზადება-გამართვა ძნელი არ იყო. პატარა კუნძული, რომელიც ლაგუნას შესავალს კეტავდა, ოდნავ იყო გამაგრებული. ამ კუნძულს თურქული ხომალდი ხელში თუ ჩაიგდებდა და ქვემეხიან რამდენიმე ნავს ლაგუნაში შემოაგზავნიდა, მაშინ რა მოხდებოდა? ეს საკმარისი იქნებოდა მისოლუნგის დასაპყრობად. ბაირონი და პერი ამ საშიშროებას გრძნობდნენ და ცდილობდნენ რამე გაეკეთებინათ. მაგრამ მავროკორდატოსმა, გაუბედავმა და ნელმა ადამიანმა, თავისი ხალხის ამუშავება ვერ შეძლო; ხან ფული არ ჰყოფნიდათ, ხან რომელიღაც წმინდანის დღესასწაული იყო, ხან ბელადები ვერ თანხმდებოდნენ ერთმანეთში. ზოგჯერ, როცა ბერძნები ამბობდნენ, ცუდი არ იქნებოდა მეფე გვყოლოდაო, ბაირონი გაიფიქრებდა ხოლმე, ეს საფუძველს მოკლებული არ არისო. მაგრამ სტენჰოპი, რომელიც ოცნებობდა მათთვის შვეიცარიული კანტონების მსგავს კონსტიტუ-

ციაზე, შეურაცხყოფილი რჩებოდა.

ბოლოს, ერთადერთი სასიხარულო მოვლენა ამ მძიმე დღეების განმავლობაში, „ტიპოგრაფიული“ პოლკოვნიკის გამგზავრება იყო. ათენში წავიდა, არ დაავინყდა და სამენოვანი ორკვირეული ახალი ჟურნალი „ბერძნული ტელეგრაფი“ დააარსა. ათენში, ოდისევსის შტაბში ტრელონს შეხვდა, რომელიც უფრო გაყაჩაღებულიყო, სულიოტური ტანსაცმელი ჩაეცვა, თავისთვის ათიოდე ქალის ჰარემიც მოეწყო; თვითონ ოდისევსს ეჩუქებინა მისთვის საკუთარი დაი. ამ ქორწინების შემდეგ ტრელონი ნაზი გრძნობებით ანთებულა ყაჩაღთა ბებერი ატამანისადმი.

„— უჩვეულო ადამიანია! — ამბობდა მასზე, — მამაცი, ჭკვიანი, კეთილშობილი“.

ოდისევსმა, რომელმაც ადამიანთა სისუსტეებით სარგებლობა კარგად იცოდა, ეს ტაქტიკა სტენჰოპთანაც გამოიყენა: შევიცარიული კონსტიტუცია უნაკლოდ მიიჩნია, დასცინოდა პრინც მავროკორდატოსის ტიტულს, და ეტყობოდა, ძალიან დაინტერესდა ბენთაიმის დოქტრინებით. სტენჰოპი ბაირონს წერდა:

„მთელ დროს ოდისევსთან ვატარებ. ის დიდი ჭკუა-გონების ადამიანია და კეთილი გული აქვს; ისეთივე მამაცია, როგორც მისი ხმალი. მთელ იმედებს ხალხზე ამყარებს. დამცველია კონსტიტუციური უფლებებით აღჭურვილი ძლიერი სახელმწიფოსი. ორი სკოლა გახსნა და ტიპოგრაფიის მონყობის ნება მომცა“.

ტრელონსა და სტენჰოპს ძალიან უნდოდათ ოდისევსი და მავროკორდატოსის შეხვედრა. შეიძლება, მათი შერიგებაც მოეხერხებინათ, და, ცხადია, ასეთ შემთხვევაში ბაირონისთვის საბერძნეთის უმაღლესი მმართველის ტიტულიც შეეთავაზებინათ.

ბაირონი ნასიამოვნები იყო. უნდო მავროკორდატოსი შიშობდა, ოდისევსის ერთადერთი მიზანი ჩემი ხაფანგში შეტყუება ხომ არ არის და ბაირონის თავისი ზედამხედველობის ქვეშ მოქცევაო. მაგრამ ამ შეხვედრის მონყობა ბაირონს ძალიან უნდოდა. მისთვის აუცილებელი იყო რამდენიმე დღით გაცლოდა მისოლუნგის კოშმარს: ფულის განუწყვეტელ მოთხოვნას, უკმაყოფილებას საკვებზე, პური ისეთი ცუდი ხარისხის იყო, რომ ბაირონი ამბობდა: „მეაგურის მაგივრად, პურის მცხობელის პოვნა მოგვინევს“; შავი ჭირის ეპიდემიის საშიშროება, საშიშროება მეზობელი ტომების თავდასხმისა

ქალაქზე! ამ ჯოჯოხეთში ვაჟკაცობა შეინარჩუნა, მაგრამ ნერვები უკიდურესად ჰქონდა დაჭიმული.

9 აპრილს ინგლისიდან წერილი მიიღო. კარგ ამბებს აუწყებდნენ ბერძნული სესხის თაობაზე: ხელმოწერამ ორმილიონ-ნახევარი შეადგინა და უკვე შეიძლებოდა ახალი საარტილერიო ბრიგადისა და ორიათასკაციანი ფეხოსანთა კორპუსის შექმნა. იმ დღეს, ინგლისიდან მოსული ახალი ამბებით გახარებულმა, გამბასთან ერთად ცხენით გასეირნება გადაწყვიტა, თუმცა საშინელი ამინდი იდგა. ქალაქიდან სამ მილზე წვიმამ მოუსწროთ. უკანა გზაზე, როცა მეთევზე გაზისის ქოხს მიუახლოვდნენ, სადაც ნავი ელოდათ, გამბამ თქვა, ნავით წასვლა და შიგ სველი ტანსაცმლით ჯდომა სახიფათოა, ამჯერად უფრო ჭკვიანური იქნება თუ ცხენებით დავბრუნდებითო.

„— აბა, რა კარგი ჯარისკაცი ვიქნები, — უთხრა ბაირონმა, — თუ ასეთ წვრილმანს მივაქცევ ყურადღებას“.

ცხენები დატოვეს და მისოლუნგამდე ნავით მივიდნენ.

ორი საათის შემდეგ ბაირონს შეაცია, ციებ-ცხელებასა და რევმატულ ტკივილებს უჩიოდა. სალამოს, როცა გამბა ეწვია, უკვე ლოგინში იწვა:

„— ძალიან ცუდად ვარ, — უთხრა, — სიკვდილს არ ვჩივი, მაგრამ, აი, ტანჯვის ატანა არ შემიძლია“.

დღით პერის დასაძახებლად კაცი გაუშვა და სესხის მიღების ამბავი შეატყობინა; ერთად მოამზადეს საზაფხულო კამპანიის ფინანსური გეგმა. ბაირონს უნდოდა თავისი სახსრებით აენაზლაურებინა საარტილერიო კორპუსის ხარჯები, ორი ხომალდი აღეჭურვა და სამთო ქვემეხები ეყიდა. თუმცა აცივებდა, მაინც მხიარულად ისაუბრა ექიმ მილინგენტანაც. მერე ჩაფიქრდა თურმე და მისის ვილიამსის წინასწარმეტყველება გაიხსენა. როცა სტუმრებმა ცრუმორწმუნეობა უსაყვედურეს, მან უპასუხა:

„— მგონი, ამ ქვეყანაზე ერთნაირად ძნელია მიხვდე რისი უნდა გვწამდეს და რისი არა“.

ღამე ბრუნოს დაუძახა და უთხრა, მაცივბსო. ბრუნომ, მერე მილინგენტაც, სისხლის გამოშვება შესთავაზა; მან უარი თქვა:

„— ნუთუ სხვა საშუალება არაფერი გაქვთ? ადამიანები ლანცეტით უფრო ხშირად ილუპებიან, ვიდრე საჩხვლეტით“.

მილინგენტმა აუხსნა, ნერვული დაავადე-

ბის დროს სისხლის გამოშვება სახიფათო კია, მაგრამ არა მალალი ტემპერატურის დროსო.

„— აბა, ჩემზე ნერვული ადამიანი ვინ-
ლაა? — უპასუხა გაბრაზებულმა, — ნერვულ
ავადმყოფს სისხლი გამოუშვა იგივეა, რომ
მუსიკალურ ინსტრუმენტს სიმები მოუშვა,
რომლებიც ისედაც ყალბად ჟღერენ, რადგან
სიმები ცუდად არის დაჭიმული. კარგად
იციო, ვიდრე ავად გავხდებოდი, რა სუსტად
ვიყავი. თუ სისხლს გამომიშვებთ, უფრო
დავსუსტდები და აუცილებლად მომკლავთ“.

საშინელმა გრიგალმა, ცხელი ქარის
თანხლებით მისოლუნგი დაბურა. თავსხმა
წვიმა მოდიოდა. პერი ხედავდა, ბაირონი სე-
რიოზულად იყო ავად, ამიტომ მის ზანტეში
გაგზავნაზე ფიქრობდა, იქ უკეთ უმკურნალ-
ებდნენ, მაგრამ თავის გეგმაზე უარი უნდა
ეთქვა, რადგან ვერც ერთი გემი ვერ გაბე-
დავდა ზღვაში გასვლას. რამდენიმე დღე
ექიმები ამტკიცებდნენ, მისი ავადმყოფობა
გაციების შედეგია და სხვა არაფერიო.
ფლეტჩერს სხვა აზრი ჰქონდა:

„— დარწმუნებული ვარ, მილორდ, —
ეუბნებოდა, — ასეთი შეტევა ჯერ არ გქო-
ნიათ.

— მეც ასე ვფიქრობ, — უპასუხა ბაირონ-
მა“.

15 აპრილს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა
პერისთან.

„— უცნაური შეგრძნება მაქვს, — უთხრა,
— მაგრამ თავი დღეს უკეთ მაქვს: ნაღვ-
ლიანი ფიქრები აღარ მანუხებს, მგონი, გამო-
ოვჯანმრთელდები. სრულიად მშვიდად ვარ;
ზოგჯერ მეღანქოლია მიპყრობს.

მერე დაუმატა:

— დარწმუნებული ვარ, რომ ბედნიერება
ოჯახური კერაა. არ არსებობს ამ ქვეყანაზე
ადამიანი, რომელიც პატიოსან ქალს ისე
სცემდეს პატივს, როგორც მე. ინგლისში
დაბრუნება, ჩემს ცოლთან და ადასთან ცხო-
ვრების პერსპექტივა ისეთ ბედნიერ სუ-
რათს მიხატავს, რაიც დღემდე არ ვიცი. მშ-
ვიდი ნავსაყუდელი ჩემთვის კარგი იქნებო-
და; მთელი ჩემი ცხოვრება ოკეანის ქარიშხ-
ალი იყო“.

მერე ტიტაზე ილაპარაკა, რომელიც რამ-
დენიმე დღის განმავლობაში მისი ოთახიდან
არ გასულა, ბრუნოზეც, რომელიც უყვარდა
და მეტისმეტად ფაციფუცა კაციაო ამბობ-
და. რელიგიაზეც თქვა:

„— ვერ წარმოიდგენთ, რა უცნაური
აზრები მომდის თავში, როცა ციება

მანამებს. წარმოვიდგენ ხოლმე, რომ ყვე-
ლანაირი სექტის ებრაელი, მაჰმადიანი და
ქრისტიანი ვარ. მარადისობა და სივრცე
მეშლება თვალწინ. ამ მხრივ, მადლობა
უფალს, მშვიდად ვარ“.

ლამით ციება და ალგზნება გაუძლიერდა,
ბოდავდა. მილინგენი და ბრუნო ეუბნებოდ-
ნენ, თუ სისხლს არ გამოგიშვებთ, ტვინის
მდგომარეობა გაგირთულდებაო და თავისას
მიაღწიეს. წარბებქვეშიდან გადმოხედა მათ,
თავისებურად, იმ გამოხედვით, როგორითაც
ოდესღაც, ჩაილდ ჰაროლდის დროიდან,
ლონდონის სალონების ქალებს აკრთობდა.
— ხელი გაიწოდა და თქვა:

„— კარგით! თქვენ ყასბების შეჩვენებუ-
ლი ბანდა ბრძანდებით! გამოუშვით იმდენი
სისხლი, რამდენიც გენებოთ და თავი დამ-
ანებეთ“.

17 აპრილს ორჯერ გამოუშვეს სისხლი.
ექიმებს ევედრებოდა, ნულარ მანვალეთ
სისხლის გამოშვების განუწყვეტელი მოთხო-
ვნითო. თავისი პატრონის ბოდივით
შეშინებულმა ტიტამ, პისტოლეტები და ხან-
ჯლები გადამალა, რომელიც მუდამ სასთუ-
მალთან ეწყო ბაირონს. გამბა, რომელმაც
წინა დღით ვერ მოახერხა მოსვლა და მასთან
ყოფნა, ახლა თავზარდაცემული იყო, როცა
უყურებდა როგორ შეცვლილიყო ლორდი,
ცრემლი უნებლიეთ ჩამოუვარდა და იძულებ-
ული გახდა ოთახიდან გასულიყო. მისი სა-
წოლის ირგვლივ ენათა ნამდვილი აღრევა
იყო: ბრუნო და ტიტა მხოლოდ იტალიურად
ლაპარაკობდნენ, ფლეტჩერი და პერი მხო-
ლოდ ინგლისურად, ბერძენ მსახურებს
არც ერთი ენა არ ესმოდათ. ბაირონი დაუს-
რულებლად სვამდა ლიმონათს, დროდადრო
ფლეტჩერისა და ტიტას დახმარებით დგებო-
და. ყველაზე ძალიან ის აზრი ანუხებდა, რომ
დაძინებას ვერ შეძლებდა.

„— ვიცი, — უთხრა ფლეტჩერს, — რომ
ადამიანი, რომელსაც ძილის უნარი არ აქვს,
ან უნდა მოკვდეს ან გააგჟდეს. სიკვდილის
არ მეშინია. მზად ვარ მოკვდე, უფრო მეტა-
დაც ვარ მზად, ვიდრე ბევრ ვინმეს ჰგონია“.

18 აპრილს ოთხი ექიმის კონსილიუმში
ჩატარდა — მილინგენის, ბრუნოს, ტრეიბ-
ერის /მილინგენის ასისტენტი/ და ლუკა ვა-
იას, მავროკორდატოსის ექიმის. კვირა დღე
იყო, აღდგომის დღე. ქალაქის მცხოვრე-
ბლებს სთხოვეს არ ეხმაურათ. და იმის მაგ-
ივრად, რომ მისოლუნგელებს ერთმანეთ-
ისთვის ტრადიციულად ეთქვათ „ქრისტი
აღსდგა!“ — ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

„როგორ არის ლორდი ბაირონი?“ ამ დღეს წესად თოფის სროლაც ჰქონდათ; გადაწყდა, პერი საარტილერიო ბრიგადას მოშორებით გაიყვანდა სავარჯიშოდ, რათა ქალაქის ამ ნაწილის მაცხოვრებლების ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანათ. ქუჩაში პატრული დადიოდა, სახლის ირგვლივ სიმშვიდის დასაცავად. ექიმების აზრი გაიყო: ბრუნო და ლუკა ვაია მოითხოვდნენ ის საშუალებები გამოეყენებინათ, რომლებსაც ტიფის დროს ხმარობდნენ; ტრეიბერსა და მილინგენს ისევ წურბელების მოკიდება და მდოგვის საფენების გამოყენება უნდოდათ, მაგრამ წინააღმდეგი იყვნენ სისხლის გამოშვების, რომელსაც ბრუნო მოითხოვდა.

„— თქვენი ძალისხმევა, სიცოცხლე შემინარჩუნოთ, — უთხრა ბაირონმა მილინგენს, — ამაოა. უნდა მოვკვდე. არ მენანება სიცოცხლე, იმიტომ ჩამოვედი საბერძნეთში, რომ აქ დავამთავრო ჩემი საშინელი არსებობა. საბერძნეთს მივეცი მთელი ჩემი დრო და ფული. ახლა მას, ჩემს სიცოცხლეს ვაძლევ“.

ამ აღდგომის დღეს რამდენიმე წერილის წაკითხვა მაინც შეძლო, ერთი თარგმნა კიდევ, რომელიც ბერძნულად იყო დანერვილი დეპუტატ ლუროტიის მიერ. შუადღის შემდეგ თავზემდგომნი მიხვდნენ, რომ აღსასრული ახლოვდებოდა. ფლეტჩერი და გამბა იძულებული გახდნენ, გარეთ გასულიყვნენ; ისინი ტიროდნენ. ტიტა დარჩა, რადგან ბაირონს მისთვის ხელი ჩაეკლო; ტიტაც ტიროდა, ოღონდ სანახევროდ შებრუნებული, ლორდს რომ არ დაენახა. ბაირონმა ყურადღებით შეათვალიერა და იტალიურად თქვა:

„— Che, questa e una bella scena!* — და მაშინვე ბოღვა დაიწყო; თითქოს იერიშზე გადადისო, ყვიროდა ინგლისურად, იტალიურად: „წინ! გაბედულად! ჩემს მაგალითს მიჰბაძეთ! ნუ გეშინიათ!“

ცნობიერების დაბრუნების წუთებში ხვდებოდა, რომ კვდებოდა. ფლეტჩერს უთხრა:

„— ახლა ეს უკვე დასასრულია; ყველაფერი უნდა გითხრათ, წუთიც არა მაქვს დასაკარგი.

— კალამი, მელანი და ქალაღი მოგართვათ, მილორდ?

— ო, ღმერთო, არა! ბევრ დროს დაკარგავთ, მე კი დრო აღარა მაქვს; ცოტა ხნის სიცოცხლე დამრჩა. ახლა ყურადღებით მისმინეთ... თქვენი მომავალი უზრუნველყოფილი იქნება...

ოფილი იქნება...

— გთხოვთ, მილორდ, უფრო მნიშვნელოვანი საქმეები მითხარით.

მაშინ ბაირონმა უთხრა,

— ჩემი საცოდავი, საყვარელი შვილი — ჩემი ადა, ძვირფასი! ღმერთო, მისი დანახვა რომ შემეძლოს, მისი დალოცვა; ჩემი დის, ოგასტასი და მისი შვილების... ჩადით ლედი ბაირონთან; ყველაფერი უამბეთ — ერთმანეთს კარგად გაუგებთ...“.

იმ წუთებში უკიდურესად აღელვებული ჩანდა; ხმა უწყდებოდა, და ფლეტჩერი დროდადრო იჭერდა ხან ერთ, ხან მეორე სიტყვას. ერთხანს რაღაცას ჩურჩულებდა ბაირონი; გარჩევა შეუძლებელი იყო, მერე ხმას აუწია და თქვა:

„— ფლეტჩერ, თუ არ შეასრულებთ, რაც გითხარით, მაშინ დავბრუნდები, ცხადია, თუ შევძლებ, და გაგანამებთ...“.

მან იცოდა, როგორი ეჭვიანი და ცრუმორწმუნე იყო ფლეტჩერი, და ცხადია, ეს მუქარაც უკანასკნელი, სუსტი გაელვება იყო მხიარული ბაირონისა. თავზარდაცემულმა ფლეტჩერმა უპასუხა, ერთი სიტყვაც ვერ გავარჩიე, რისი თქმაც თქვენს უგანათლებულესობას სურდაო.

„— ო, ღმერთო, — ამოიგმინა ბაირონმა თურმე, — მაშინ ყველაფერი დაკარგულა, ახლა უკვე გვიანია, ძალიან გვიანია! განა შეიძლება, რომ ვერაფერი გაგეგოთ!..

— არა, მილორდ, გთხოვთ, გაიმეორეთ, რაც ბრძანეთ.

— აღარ შემეძლია, ძალიან გვიანია, ყველაფერი დაიკარგა...

— დაე, აღსრულდეს სურვილი უფლისა და არა ჩვენი, — თქვა ფლეტჩერმა.

ბაირონი კი ახალი ძალის მოკრებას ცდილობდა და თქვა:

— დიახ, და არც ჩემი, — მაგრამ მაინც ვეცდები...

რამდენჯერმე სცადა ლაპარაკი, მაგრამ მხოლოდ ამის გამეორება შეძლო:

— ჩემი ცოლი, ჩემი შვილი... ჩემი და... თქვენ ყველაფერი იცით, ყველაფერი უნდა უთხრათ; ყველაფერი იცით, რაც მსურს...

ამის შემდეგ, შეუძლებელი გახდა იმის გაგება, რასაც ამბობდა: სახელებს იძახდა, ციფრებს, ინგლისურად ლაპარაკობდა, ზოგჯერ იტალიურად. უცბად წამოიძახა:

— საცოდავი საბერძნეთი, საცოდავი ქალაქი, ჩემი საცოდავი მსახურები!

მერე:

— ამის შესახებ ადრე რატომ არ ვიცოდი? და კიდევ:

* „— ო, რა მშვენიერი სცენაა!“ /იტალ./.

— დადგა ჩემი საათი! სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ, ვიდრე აქ ჩამოვიდოდი, სახლში რატომ არ მივედი?

მერე იტალიურად დაუმატა:

— *Io lascio qualche cosa di caro nel mondo*...*

დაახლოებით სალამოს ექვს საათზე თქვა:

— ძილი მინდა. — გადაბრუნდა, ღრმა ძილით ჩაიძინა... და აღარც გაუღვიძია“.

ეტყობოდა, სხეულის არც ერთ ორგანოს განძრევა აღარ შეეძლო, ვინც მას უვლიდა, სულის ხუთვის ნიშნები შეამჩნიეს. ხროტივებდა. დროდადრო ფლექტჩერი და ტიტა თავს უწევდნენ. ექიმები ნურბელებს ჰკიდებდნენ, სალათას ძილიდან რომ გამოეყვანათ. სისხლი სახეზე ჩამოსდიოდა. ოცდაათი საათი იყო ასეთ მდგომარეობაში. 19 აპრილის სალამოს ბინდბუნდში, ფლექტჩერმა, რომელიც თავისი პატრონის სასთუმალთან ფხიზლობდა, დაინახა, ბაირონმა როგორ გაახილა თვალი და მაშინვე დახუჭა.

„— ღმერთო ჩემო! — დაიყვირა ფლექტჩერმა, — მეშინია, რომ მისი უგანათლებულესობა უკვე მიიცვალა!

ექიმმა მაჯა გაუსინჯა.

— მართალი ხართ: გარდაიცვალა!“

რამდენიმე წამის შემდეგ წარმოუდგენელი ქარიშხალი დაატყდა თავს მისოლუნგს. ღამე დგებოდა, ელვა და მეხი ერთი მეორეს მოსდევდა სიბნელეში. ლაგუნას თავზე ელვათა ხანმოკლე გაელვებები შორეული კუნძულების მუქ მონახაზს აჩენდა. ქარდართული თქეში სახლების ფანჯრებს ეხეთქებოდა. ჯარისკაცებმა და მწყემსებმა ეს სამწუხარო ამბავი ჯერ არ იცოდნენ, მაგრამ სჯეროდათ, როგორც მათ წინაპრებს, რომ გმირის სიკვდილს ზეციური ნიშნები ახლავს, და დაუჯერებელი სიძლიერის ჭექა-ქუხილის გაგონებისას ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

„— ბაირონი მოკვდა!“

ეპილოგი

„ჩვენი არსებობის წვრილმანებში ზოგჯერ გასაოცარი დამთხვევები ხდება“, — ამბობს სტერნი, და მე ამას ხშირად ვაკვირდებოდი.

ბაირონი

ბაირონის სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე ინგლისიდან წერილების პაკეტი

* ჩემთვის ამქვეყნად რაღაც ძვირფასს ვეთხოვები.

მოვიდა. სტენჰოპსის საქებარმა სიტყვებმა, სესხის თაობაზე ლონდონში ჩასული ბერძენი დეპუტატების დასტურმა, ჰობზაუზი, ბოლოს და ბოლოს, დაარწმუნა თავისი მეგობრის სერიოზულობაში. „თვით განგებამ გამოგვიგზავნა ეს კაცი დასახმარებლად“. — უთხრა ერთმა ბერძენმა. ჰობზაუზი თავის „საყვარელ ბიჭიკოს“ ახლა უკვე პატივისცემით წერდა:

„თქვენი სახელი და ღირსება ყველა თქვენი თანამედროვის სახელსა და დამსახურებას გადააჭარბებს. შემძლია დაგარწმუნოთ, რომ მთელი მსოფლიო ჩემს მსგავსად ფიქრობს... თქვენი ახლანდელი ლაშქრობა, ეჭვგარეშეა, ყველაზე სახელოვანია მათ შორის, რაიც ოდესმე ადამიანს წამოუნყია. კემპბელი მელაპარაკა გუშინ, მას შურს იმისა, რასაც თქვენ ახლა აკეთებთ /და შეგიძლიათ დაუჯეროთ, რადგან ძალიან შურიანი კაცია/, და გაცილებით მეტს აკეთებთ, ვიდრე ის საქმეებია, რაშიც დაფნის გვირგვინები მიგიღიათ, თანაც როგორი მშვენიერიც უნდა იყოს ის გვირგვინები“.

მაშ ასე, ინგლისმა მიუტევა, მაგრამ ბაირონს ფლექტჩერის ხელებზე უკვე სული ამოსდიოდა, და წერილიც გაუსხნელი დარჩა მისი საწოლის ახლო.

სალამოს მავროკორდატოსმა ბრძანება გასცა, ხვალ, ალიონზე, დიდი ბატარეის ზარბაზნებმა ოცდათექვსმეტჯერ ისროლონო; „ეს გახლდათ დიდი განსვენებულის წელთა რიცხვი“. ბერძნებს პანთეონში ან თეზევის ტაძარში უნდოდათ აეგოთ მისთვის აკლდამა. ექიმმა მილინგენმაც დაადასტურა, განსვენებულმა ითხოვაო, მისი ძვლების საბერძნეთის მიწის რომელიმე კუთხეში დაკრძალვა. მაგრამ პერი და ფლექტჩერი, რომლებიც უფრო ახლოს იყვნენ მასთან, იფიცებოდნენ — ჩვენ საპირისპირო ბრძანება მივიღეთო. გადაწყდა, სხეულს ბალზამირებას გაუკეთებდნენ და ინგლისში გადაასვენებდნენ. ბაირონის მკურნალი ოთხი გაუბედავი, მდარე ექიმი, მის სარეცელთან შეიკრიბა. ვიდრე გაკვეთას დაიწყებდნენ, ერთი წუთით თვალი ვერ მოსწყვიტეს მის უმშვენიერეს სახეს. ბუნებრივია, ხუჭუჭი თმა მთლად ჭალარა ჰქონდა; სახეს სარკასტული და ქედმაღალი გამომეტყველება შეენარჩუნებინა. როცა თავის ქალა გახსნეს, გაცოდნენ, ტვინი ისეთი აღმოჩნდა, როგორც ძალიან მოხუც ადამიანებს აქვთ ხოლმე. ტვინის მტკიცე გარსი ძვლოვან საფარს შეზრდოდა და ანთებით იყო მთლიანად დაფარული. სისხლით ავსე-

ბული რბილი გარსი თვალის ბადურის ანთების მსგავსი იყო. გული და ღვიძლიც ცუდ მდგომარეობაში აღმოაჩნდა. მედიკოსები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ლორდ ბაირონს ამ ავადმყოფობისთვის რომ ეჯობნა, სულერთია, დიდხანს მაინც ვერ იცოცხლებდა.

დილით ავისმომასწავებელი სიჩუმე ჩამოწვა ქალაქზე. წვიმა ისეთი ძალით ასხამდა, რომ დასაფლავების, რომელსაც დიდი ამბით აწყობდნენ, გადადება მეორე დღისთვის მოუწიათ. 22 აპრილს კუბო / უბრალო ხისგან გაკეთებული ჯარისკაცური კუბო/ ეკლესიაში გადაიტანეს. კუბოზე შავი მანტია იყო გადაფარებული, მასზე ხმალი და დაფნის გვირგვინი იდო. უბრალო მორთულობა, ეკლესიაში მოზღვავებულ ველურ-ჯარისკაცთა ნაღვლიანი სახეები, — ეს ყველაფერი, გამბას სიტყვებით, ყველაზე ამაღელვებელ სცენას წარმოადგენდა, რაც კი ოდესმე უნახავთ სხვა დიდი ადამიანის კუბოსთან.

14 მაისს ჰობჰაუზი კარზე საშინელმა კაკუნმა გამოაღვიძა. კინიარდის წერილი მოუვიდა; ბაირონის სიკვდილს აუწყებდა. პაკეტში რამდენიმე წერილი იდო: ერთი გამბასგან, მეორე ფლეტჩერისგან, მისი ცოლისთვის გადასაცემად, დანარჩენი მისი ლისადმი და კაპიტან ჯორჯ ენსონისადმი გადასაცემად, ამიერიდან მეშვიდე ლორდი ბაირონი რომ გახდა. თავზარდაცემული ჰობჰაუზი მაშინვე ოგასტასთან წავიდა, ფლეტჩერის წერილი გადასცა, და როცა ეს სადად მოყოლილი ამბავი მოისმინა, ისეთი მწუხარება დაეუფლა, რომ თავს ვეღარ მოერიდა. მაგრამ გაუძლო, მხნეობა მოიკრიფა და მისი ლის ურჩია, წერილის ის ნაწილი არ გამოაქვეყნო, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ ბნედის შეტევის შემდეგ, ბაირონი, ყოველ დილით, თავის მაგიდაზე ბიბლიას დებდაო. „შემეშინდა, — ამბობდა ჰობჰაუზი, — ეს წერილმანი, რომელიც ასე მოეწონა მის ლაქიას, ლაჩრობად ან ფარისევლობად არ მიელო სხვას. მჯერა, რომ ბიბლია ნამდვილად ედო მაგიდაზე. მახსენდება, დიდი ხნის წინათაც მინახავს მის სანოლთან ბიბლია; დამაჩუქა, მაგრამ თუ მისი გონება რაიმე ავადმყოფობის გამო ნორმალურ მდგომარეობაში არ იყო, დარწმუნებული ვარ, მას არანაირი ცრურწმენისთვის არ იყენებდა. ხშირად მეუბნებოდა: „შეიძლება, მართლაც არსებობს“; და როგორც დალაშქრებული ამბობს, ეს უდიდესი „შეიძლება“; მაგრამ ასე მგონია, ის უფრო საპირისპირო რწმენისკენ იხრებოდა, როცა პიზაში ვნახე უკანასკნელად“.

ოგასტამ პირობა მისცა, არ გამოვაქვეყნებო. ის მუდამ იძლეოდა პირობას, მაგრამ ბაირონის მოქცევის ამბავი მის მეგობარ ჰოჯსონს კი შეატყობინა. „ჩემთვის დიდი ნუგეშია, — ნერდა მას ოგასტა, — ვიცოდე, რომ ჩვენი საცოდავი და საყვარელი ბაირონი ნაიყვანეს, რათა შემდგომი განსაცდელისგან და ცდუნებისგან იხსნან. მითხრეს, ფლეტჩერი იუწყებოდა, რომ ბოლო წელში მისი გონება და გრძობა უკეთესისკენ შემობრუნდა. სინანულს გამოთქვამდა, რომ „დონ უიანი“ და სხვა დანაშაულებრივი ნაწარმოებები დაწერა. შეუძლებლად მიმაჩნია, რომ ფლეტჩერმა, რომელმაც მასთან ოცდასამი წელი იცხოვრა და მის ჩვევებს ძალიან ახლოს იცნობდა, შეძლო და ეს ყველაფერი მოიგონა, თუ სერიოზული საფუძველი არ ჰქონდა, ცხადია. იცით, ძვირფასო მისტერ ჰოჯსონ, ჰობჰაუზი და მისი ხროვა ფიქრობს, თუ ყველას გავაგებინებთ, რომ ბაირონი ბოლო წუთებში რელიგიურ წესებს დიდი ყურადღებით იცავდა, ვიდრე ადრე, მაშინ ბაირონის მტრები /რომლებსაც, საერთოდ, არანაირი რელიგია არ აქვთ/ იტყვიან, რომ იგი მეთოდისტი გახდა. მაგრამ ისინი ყველაფერს ლაპარაკობენ; ჩემთვის კი დიდი ნუგეშია იმის გაგება, რომ ის ასე მოიქცა“. ცოცხლები ასე სარგებლობენ მიცვალებულებით, თავიანთი ვნებების დასაკმაყოფილებლად.

კაპიტანი ჯორჯ ბაირონი ლედი ბაირონთან გაგზავნეს ამბის სათქმელად. უკან დაბრუნებული ყვებოდა, რა უნუგეში მდგომარეობაში ჩავარდა ლედი ბაირონი და როგორ უნდოდა ლორდ ბაირონის უკანასკნელი წუთების ამბის შეტყობა. ჰობჰაუზმა და კინიარდმა მთელი საღამო ერთად გაატარეს და თავიანთ საყვარელ მეგობარს იხსენებდნენ; იხსენებდნენ მის მაგიურ გავლენას, ყველაზე რომ ვრცელდებოდა ვისაც დაუახლოვდებოდა, მის ფარულ მგრძობიარობას, მის სიმტკიცეს — არ აჰყოლოდა გრძობებს.

იმ საღამოს მთელ ინგლისს მხოლოდ ბაირონი აინტერესებდა. „იმ დროის ახალგაზრდებს შორის, — ამბობს ედუარდ ბულვერ ლიტონი*, — შელისა და ვოდსვორთის გულისთვის, ბაირონის განაპირებისკენ სწრაფვა შეიმჩნეოდა; მაგრამ იმ წუთიდან, როგორც კი გავიგეთ, რომ ის უკვე აღარ იყო, მაშინვე ვიგრძენით, რომ ჩვენ მასთან ვიყავით და რომ მას მეტოქე არ ჰყავდა. რამდენი ჩვენგანი დაიტანჯა და დაილუპა მასთან ერ-

* ედუარდ ბულვერ ლიტონი /1803-1873/ — ინგლისელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

თად; თვით აზრი მისი სიკვდილის შესახებ არაბუნებრივად და უაზროდ გვეჩვენებოდა“. ჯონ უელში ტომ კარლაილს წერდა: „ჩემთვის რომ ეთქვათ, მზე და მთვარე ზეციდან გაქრნენო, მაშინაც არ მექნებოდა სამყაროს სიცარიელის ისეთი შეგრძნება, როგორც ამ ორმა სიტყვამ გამოიწვია: ბაირონი მოკვდა“. ტენისონი, მაშინ თხუთმეტი წლისა იყო, უღრან ტყეში გავარდა და ხავსსა და გვიმრებს შორის, ქვაზე წაანერა: „ბაირონი მოკვდა“.

საფრანგეთში ბევრმა ახალგაზრდამ შლაპებზე კრეპის ნაჭერი მიიმაგრა გლოვის ნიშნად. ფეიდოს პასაჟზე სურათი გამოჰყინეს — ბაირონი სასიკვდილო სარეცელზე — მთელი პარიზი მიანყდა სურათს სანახავად. ბევრმა გაზეთმა აღნიშნა, რომ საუკუნის ორი ყველაზე დიდი ადამიანი, ნაპოლეონი და ბაირონი, თითქმის ერთდროულად გაქრა. კოლეჯებში უფროსკლასელი მონაფეები ჯგუფებად იკრიბებოდნენ, „ჩაილდ ჰაროლდისა“ და „მანფრედის“ კითხვაში ნაღვლიან, გულისშემძვრელ დღეებს ატარებდნენ.

კაროლინა ლემმა მაშინვე თავისი წერილები მოითხოვა, მაგრამ ჰობზაუსს სხვა საზრუნავი ჰქონდა. პირველად ოგასტას რომ ეწვია, რათა ძმის სიკვდილი ეწუყებინა, მაშინ უთხრა ქალს:

„— ახლა, პირველი, რაზეც უნდა ვიფიქროთ, ბაირონის რეპუტაციაზე ზრუნვაა; არსებობს მისი ის მოგონებები...“.

გამომცემელმა მარიმ ბაირონის მოგონებები მურისგან იყიდა ორი ათას გინეად; ჰობზაუსს ეშინოდა, რომ ბაირონის საშინელი გულწრფელობის გამო, მოგონებების გამოქვეყნება სახიფათო არ გამხდარიყო. კინიარდმა მათი გამოსყიდვისა და ოჯახისთვის გადაცემის აზრი გამოთქვა. მარი ჰობზაუსთან მივიდა და ჭეშმარიტი უანგარობით განუცხადა, რომ ბაირონის მეგობრების ყოველგვარ გადანყვეტილებას მიიღებდა, იმასაც კი, თუ ისინი ამ მოგონებების გამოსასყიდის ფასს ვერ გადაიხდიდნენ. ოგასტამ მოგონებების არამცთუ დაბეჭდვა, არამედ განადგურების ფრიალ წინდახედული სურვილი გამოთქვა. ჰობზაუსმა ეს აზრი მოიწონა. მური ყოყმანობდა მხოლოდ, ბაირონის სურვილის სანინაალმდეგო იქნებოდა ეს. სთავაზობდა, დავლუქოთ და, თუ საჭიროა, მისის ლის სანდო პირს მივცეთო შესანახად; ბოლოს, დანარჩენების ზენოლის შედეგად, დათმო. მარის უნდოდა ხელნაწერი ჯერ ნაეკითხათ და მერე გაენადგურებინათ, მაგრამ ოგასტა სასტიკი წინააღმდეგი იყო და ხელნაწერი დანვეს. გაზეთები ლედი

ბაირონს აბრალებდნენ /მისთვის რჩევა არავის უკითხავს/, მან მოითხოვა ხელნაწერის განადგურებაო. პირველ ივლისს ჰობზაუსმა შეიტყო, ბრიგი „ფლორიდა“, რომელსაც საბერძნეთიდან ბაირონის ცხედარი მოჰქონდა, ჩამოსულიყო. ის გემს დახვდა, გემბანზე ავიდა, სტენჰოპი, ბრუნო და ფლეტჩერი ნახა. ფლეტჩერი თავისი პატრონის ავადმყოფობაზე, უკანასკნელ წუთებზე უყვებოდა, თან ცრემლად იღვრებოდა. განსვენებულის სამი ძალი გემბანზე თამაშობდა. ჰობზაუსს ის დღე გაახსენდა, ბაირონი რომ კასკეტს უქნევდა გამოსამშვიდობებლად და გემი, დიდი განდევნილი რომ მიჰყავდა, დუფრის ნავსადგურიდან ბობოქარი ზღვისკენ მიცურავდა. ფლეტჩერი და სტენჰოპი მისოლუნგზე, ლაგუნაზე, მეამბოხე ჯარისკაცებზე, წვიმაზე ყვებოდნენ. გემმა ლონდონის დოკებთან ჩაუშვა ღუზა. დამკრძალავი პროცესიის ხელმძღვანელი, მისტერ ვუდსონი, გემბანზე ავიდა, სპირტით სავსე დიდი ჭურჭელი, რითაც სხეული ჩამოიტანეს, დაცალა და ჰობზაუსს ჰკითხა, ხომ არ სურდა კიდევ ერთხელ ენახა თავისი მეგობარი. „ასე მეგონა, — ამბობდა მერე ჰობზაუსი, — თუ ამას გავაკეთებდი, მოვკვდებოდი. ცხადია, მინდოდა, უკანასკნელად შემეველო მისთვის თვალი, ისე მიზიდავდა, როგორც უფსკრულში გადახტომა რომ გვინდა-ხოლმე, მაგრამ ვერ შევძელი... ნავედი, ისევ დავბრუნდი და დიდხანს ვიდექი მის კუბოსთან. ბაირონის დიდი ნიუფაუნდლენდი ლომა ჩემს ფეხებთან დანვა...“. ფლეტჩერი ისევ თავის პატრონზე უყვებოდა და ჰობზაუსს უთხრა, ამქვეყნად ყველაზე მეტად თქვენ უყვარდითო.

როცა კუბო გემბანიდან ჩამოჰქონდათ, ბრბო მოანყდა ნაპირს. ლაფაიეტმა, რომელიც იმ დროს ამერიკაში მიემგზავრებოდა, ითხოვა განსვენებული მანახეთო, უარი უთხრეს. ოგასტას სიმამაცე ეყო და ნახა ძმა, შეუძლებელია მისი ცნობაო, განაცხადა. მას ის ბაირონი ახსოვდა, როგორც 1816 წელს იყო, — ახლა ცივი ნილაბი დაინახა, დამცინავ სიმშვიდეს რომ გამოხატავდა. ჰანსონმაც თქვა, ვერ ვიცანო. როცა კინიარდიც ნავიდა მის სანახავად, გადაულახავი გრძნობა მორეული ჰობზაუსიცი პატარა ნაბიჯებით უკან მიჰყვა, თავი არ აუნევიან, ვიდრე მიცვალებულს სახე არ გამოუჩინეს.

ლედი ბაირონს ჰკითხეს დასაფლავებასთან დაკავშირებით, როგორი იქნებოდა თქვენი განკარგულება; მან თქვა, — ჰობზაუსს შეუძლია ისე მოიქცეს, როგორც მოესურვება. ვესტმინსტერის სააბატოს წინამძღვარმა უარი განაცხადა სააბატოში

მის დაკრძალვაზე. ბაირონის მეგობრებმა გადანყვიტეს, ნიუსტედის ახლოს, ჰაკონალტოკარდის პატარა ეკლესიაში დაეკრძალათ იგი, სადაც დაკრძალული იყო ყველა მისი წინაპარი.

სამგლოვიარო კორტეჟი დაიძრა ნოტინგემის გზაზე. გარეუბნის ერთი პატარა სახლის ფანჯრიდან ორი ქალი მზერით აცილებდა კორტეჟს: კლერ კლერმონტი და მერი შელი იყვნენ. ამ დროს მოპირდაპირე პარკიდან ეტლი გამოვიდა; ეტლში ავადმყოფი ქალი იწვა; ეტლი შეჩერდა, პროცესიას დაუთმო გზა; ავადმყოფის ქმარმა, ცხენით რომ მიდიოდა, იკითხა, ვის კრძალავენო. კორტეჟიდან უპასუხეს: „ლორდ ბაირონს“. ქმარს მაშინვე არ უთქვამს ცოლისთვის, გაუფრთხილდა, რადგან ეს ავადმყოფი ქალი კაროლინა ლემი გახლდათ.

ნოტინგემში ქალაქის მერი, მრჩეველები, ძველი მეგობრები, ჰოჯსონი და უილდმენი, — მთელი ქალაქი შეუერთდა პროცესიას, ნელა რომ მიიწვედა ნიუსტედისკენ. ის ველები გაიარეს, სადაც ბაირონი და მერი ჩავორსი ბავშვობაში ცხენით ჯირითობდნენ. ერთი წლის წინ, ბაირონმა, უკანასკნელად რომ შევიდა კაზა-სალუცოს სასახლეში, გამბას ნაღვლიანად უთხრა: „ერთი წლის შემდეგ ნეტავ სად ვიქნებით“. იმ გორაკს რომ ჩაუარეს, ხეთა გუმბათი რომ ედგა თავს, ჰობჰაუზს ენსლში გამართული ის სადილი გაახსენდა, სადაც ერთ-ერთი მოწმე იყო ბაირონისა და გათხოვილი მერი ენის პირველი შეხვედრის.

რამდენიმე დღის შემდეგ ფლეტჩერი ლედი ბაირონს ეახლა. ქალი მის ნაამბობს უსმენდა, წინ და უკან დადიოდა ოთახში და ტირილისგან მთელი სხეული უცახცახებდა. ოცი წუთი მაინც ევედრა ფლეტჩერს — ის გაიხსენე, რაც ჩემთვის გადმოსაცემად სიკვდილის წინ ნაილულულა განსვენებულმაო. „თუნდაც რამდენიმე სიტყვა...“. მაგრამ ვერაფერი გაიხსენა ფლეტჩერმა. ბაირონი, ანდერძით, ოგასტასა და მის შვილებს მთელ თავის ქონებას /ასი ათას ფუნტზე მეტს/ უტოვებდა. სამოცი ათას ფუნტს, საკონტრაქტო თანხას, ლედი ბაირონს უბრუნებდა. ახალი ლორდი, კაპიტანი ჯორჯ ენსონ ბაირონი ფრიად შეჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ანაბელამ შესთავაზა, ქვრივის წილზე, შენს სასარგებლოდ, უარს ვიტყვიო, რადგან ის და მისი ქალიშვილი ნოელების მემკვიდრეობის მიღებას ელოდნენ. ახალმა ლორდმა მისი წინადადება მიიღო, სხვანაირად თავისი ტიტულის შენარჩუნებას ვერ შეძლებდა.

ოგასტამ ეს უზარმაზარი მემკვიდრეობა ორ წელში გაანიავა; ურიცხვი მევალებების გასტუმრება მოუწია, ბანქოში წაგებულ ქმრის ვალებს ფარავდა, ასევე ვაჟიშვილები-სას, რომლებიც თავისი მამიკოს ღირსეული მიმდევრები აღმოჩნდნენ. გარდა ამისა, შანტაჟისტთა მუქარის მუდმივი ობიექტიც გახდა ოგასტა. ემუქრებოდნენ, კაროლინა ლემის ინტიმურ დღიურს გამოვაცხევინებთ, რომელიც, თითქოსდა მისის ლისთან დაკავშირებით, ბაირონის აღიარებას შეიცავდა. ყველა სიძნელის გადალახვაში მას ლედი ბაირონი ეხმარებოდა, რომელიც დაუჯერებელი შემწყნარებლობით ექცეოდა. და მაინც, 1829 წელს, ოგასტამ თავისი რძლის მოთმინება ამოწურა და მათ შეწყვიტეს შეხვედრები. დარჩენილი ცხოვრება ლედი ბაირონმა ქველმოქმედებას მიუძღვნა. საკუთარ სახლში, კოპერატიულ საწყისებზე, სკოლა დააარსა, სადაც ბავშვები, წარმოშობის მიუხედავად, ერთად სწავლობდნენ. „კასტები — სამარცხვინოა, როგორც ინგლისისთვის, ასევე ინდოეთისთვის“, — ამბობდა ის. მერე ინდუსტრიულ და სასოფლო-სამეურნეო სკოლებსაც მოჰკიდა ხელი. ბოლომდე დიდსულოვანი დარჩა და თავისი შეუნელებელი მხნეობით იყო განთქმული. სიცოცხლის ბოლოს, ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ერთ პასტორთან, რობერტსონთან, რომელიც მისი მესაიდუმლე იყო. ქალი მას ბაირონზე იმასაც კი უყვებოდა, რასაც ადრე მხოლოდ თავის დღიურებს ანდობდა: „ბაირონი სკეპტიკოსი არ იყო... მისი ღმერთი შურისძიების ღმერთი იყო... კონტრასტი, რომელიც, როგორც მას ერჩვენებოდა, ჩემსა და მას შორის არსებობდა, მისი საშინელი მძვინვარების ობიექტად მაქცევდა... საკუთარი ხასიათის სისუსტე შეგნებული ჰქონდა, და ბუნებრივია, სრულიად საპირისპირო ხასიათზე ან ისეთზე, რომელიც მას ასეთად ერჩვენებოდა, ეჭვიანობდა...“.

„მაგრამ, თუმცა ეს უცნაურადაც მოგეჩვენებათ, ყველაფრის შემდეგ, რაც მე გიამბეთ, მაინც ვიმეორებ, რომ მისი სულის სიღრმეში უფრო მაღალი და უფრო ღირსეული არსება ცხოვრობდა... არსება, რომელსაც მუდამ თრგუნავდა, განადგურება კი ვერ შეძლო... მაშინ, ჩემი მხრიდან, ეს შეიძლება მხოლოდ ილუზია ყოფილიყო, ჩემი სიყვარულიდან წარმოშობილი, მაგრამ ამის რწმენა ახლაც უცვლელად მაქვს“.

„სიცოცხლის ბოლოს ჩემს მიმართ გრძნობები რბილი გაუხდა. რომ არ მომკვდარიყო, მიხვდებოდა, რომ დასაწყისიდან ბოლომდე, მხოლოდ მე ვიყავი მისი ერთად-

ერთი ერთგული მეგობარი. მაგრამ ეს ასე არ მოხდა!”

ასე რომ, ისიც, ბაირონივით, მშვიდ სიბერეზე ოცნებობდა.

ანაბელა რობერტსონს ოგასტაზე წერდა: „მისი ლი ჩემს მეგობრად მიმაჩნდა, მიყვარდა — ახლაც მიყვარს. ამას ჩემს თავს ვერ ავუკრძალავ. ამ ქვეყანაზე კიდევ ერთხელ ვინახულებ მანამდე, ვიდრე ორივე არ დავიხოცებთ. მეუბნებოდნენ, ძალების უკმარისობააო, ზნეობრივი პრინციპებისა, — ჩემი უუნარობაა, ალბათ, უარი ვთქვა იმ არსებაზე, რომელიც უღირსად მიმაჩნია. შეიძლება ასეც არის, მაგრამ რა ვქნა, ასეთი ვარ ბუნებით. დამნაშავე ვარ?“

ერთმანეთი „ამ ქვეყანაზე კიდევ ერთხელ“ ნახეს. 1851 წელს /ლედი ბაირონი ორმოცდაცხრამეტი წლისა იყო, ოგასტა კი სამოცდაშვიდისა/, ემილ ლიმ, ლედი ბაირონის ნათლულმა, ნათლიას უამბო, თუ რა გაჭირვებაში ცხოვრობდა ავადმყოფი და ვალებით დამძიმებული მისი ლი. ანაბელამ რეიგეტში, უაიტ-ჰარტ-ოტელში შესთავაზა შეხვედრა. მისი ლი მივიდა ამ შეხვედრაზე. ლედი ბაირონი უბის წიგნაკითხეაღებულნი დახვდა: „სად... როდის... ჩემი ქცევის...“. ოგასტა, როგორც ყოველთვის, დამთმობი იყო და ბუნდოვანი. შეურიგებლად დაშორდნენ ერთმანეთს. ექვსი თვის შემდეგ, სიკვდილის პირას მყოფი ოგასტას /ისეთ სიღარიბეში ცხოვრობდა, რომ ბაირონის რამდენიმე წერილი გაყიდა/ ამბის გასაგებად ანაბელა მივიდა და ფული დაუტოვა: „ემილს მივწერე, რომელიც მის სასიკვდილო სარეცელთან მარტო იყო, და ვთხოვე, ჩემს მაგივრად, ის რამდენიმე კეთილი სიტყვა ჩაეჩურჩულებინა, რომელიც დიდი ხანია უკვე აღარავის უთქვამს მისთვის... ეარესტ უგუსტა... მერე გავიგე, დიდი ხნის წინ დამშრალი ცრემლი მოჰგვრია და ჩაულულლულია: „სიხარული... ჩემი ყველაზე დიდი ნუგეშია...“. კიდევ რალაცის გადმოცემა უნდოდა თურმე, მაგრამ რისი, ვერავინ მიმხვდარა. სიკვდილის წინა მეორე გაუგებარი დავალება!

ცხოვრების ბოლო წლები ლედი ბაირონს უსიხარულო ჰქონია. 1852 წელს, ერთადერთი შვილი, ლედი ლავლიის დაკავა, მეორე წელს — მეგობარი, პასტორი რობერტსონი. ჭაღარა თმაზე ქვრივის ჩაჩის ტარება დაიწყო. შვილიშვილებს მისი გრძელი თმის ვარცხნა უყვარდათ, როცა ლედი ბაირონი იჯდა თმა იატაკამდე სწვდებოდა თურმე, ის 1860 წელს გარდაიცვალა; არ უნდოდა ჰაკნალში დასაფლავება, სადაც ბაირონი და მისი ქალიშვილი იწვა, არც თავის წინაპრებ-

თან უნდოდა კირკბიში, მხოლოდ ლონდონის სასაფლაოზე ისურვა განსვენება.

როცა ადას, ბაირონის ქალიშვილს თხუთმეტი წელი შეუსრულდა, მამიდა ოგასტამ ლამაზად აკინძულ-შემკული ლოცვანი გამოუგზავნა. მეორე წელს კი ლედი ბაირონმა პირველად ნაუკითხა მამამისის პოემა „გიაური“. პოემა მოენონა გოგონას, ლექსები „არე ტჰეე ნელლ“ კი, მაღალფარდოვანი და ხელოვნურიყო, თქვა. მოკლედ, პოეტური ნიჭი არ გააჩნდა, უფრო მეტაფიზიკური და მათემატიკური მიმართულების კონება ჰქონდა. მან თარგმნა და კომენტარები დაურთო მენაბრის „შენიშვნებს“ მისტერ ბეზიჯის* ანალიტიკურ აპარატზე. ლამაზი ქალი იყო, ცოტა ექსცენტრული, მამის მუსიკალური ხმა გამოჰყვა. ოცი წლის, ლორდ კინგს გაჰყვა ცოლად, რომელიც მერე გრაფი ლავლიის გახდა.

ბეზიჯი იქცა მის უბედურებად. მისი შესწავლისას, ადამ, დოღზე შეუმცდარი თამაშის სისტემა შექმნა. შეუმცდარობა მისი მემკვიდრეობითი ილუზია გახლდათ. ნაგება დაიწყო თამაშზე, მაგრამ არ შეეპუა; ბოლოს ისეთი უზარმაზარი თანხა წააგო, ვერ გაბედა ქმრისთვის ეთქვა; დედამისმა გადაარჩინა. ავადმყოფი და სასონარკვეთილი, 1852 წელს გარდაიცვალა, ოცდათექვსმეტი წლისა და რამდენიმე თვის, მამამისივით. ითხოვა, მამასთან — ჰაკნალის ეკლესიაში დამასაფლავეთო.

მედორას ცხოვრება უფრო სავალალო იყო. 1826 წელს მისი უფროსი და, ჯორჯიანა ლი ცოლად /როგორც დედამისი და როგორც ყველა ბაირონი/ თავის ბიძაშვილს ჰენრი ტრევეანონს გაჰყვა. სამი წლის შემდეგ ტრევეანონმა თავისი ნორჩი ცოლისდა მედორა შეაცდინა. ამ კავშირიდან ბავშვი გაჩნდა, რომელიც გაძიძავებული ჰყავდათ და იქ დაიღუპა. ოგასტამ, რომელსაც სიძე ყველაფერში გამოუტყდა, მედორას მისწერა, რომ მას ესმოდა „ადამიანური ბუნების სისუსტეები და ცდუნების ძალა“, მაგრამ ამ ისტორიას ბოლო უნდა მოეღოსო.

ტრევეანონი და მედორა საფრანგეთში გადავიდნენ და ერთხანს ნორმანდიაში ცხოვრობდნენ, ბატონი და ქალბატონი ობენის სახელით. მერე მედორამ, რომელიც ძალიან ნანობდა ამ საქციელს, ტრევეანონთან ურთ-

* გამოთვლითი მანქანის შემქმნელი. ადა ბაირონი მისი მოწაფე იყო და მისი იდეების პოპულარიზატორი. მას კომპიუტერის ერთ-ერთ პირველ დამპროგრამებლად მიიჩნევენ

იერთობა განწყვიტა და რელეკს სააბატოს ბრეტონულ მონასტერში გადაწყვიტა წასვლა. თვე დაჰყო იქ და აღმოაჩინა, რომ ისევ ორსულად იყო. ისევ ტრევანონს დაუბრუნდა ფინისტერში, პენჰოტის ციხე-დარბაზში, სადაც გაჩნდა გოგონა, რომელსაც მერი დაარქვეს, კათოლიკე პატრს მონათვლინეს. როგორც მამამისი, ლორდ ბაირონი, მედორაც რომის ეკლესიის სიმკაცრეს ყურადღებას აქცევდა.

ტრევანონთან ცხოვრება აუტანელი გახდა. მან სახლში ახალი საყვარელი მიიყვანა და ითხოვდა, რომ მედორა მომსახურებოდა. მედორა დახმარებას დედას ევედრებოდა, რომლისგანაც სამი ათასი ფუნტი მიიღო / თანხა, რომელიც ბაირონმა ოგასტას მედორას დაბადების დღეს მისცა/, მაგრამ ეს კაპიტალი ხელშეუხებელი იყო; და რადგან მედორას ნაღდი ფული სჭირდებოდა, თავში აზრად მოუვიდა და ლედი ბაირონს მისწერა. „ძალზე გულისხმიერი პასუხი მივიღე, ფულიც, ჩემი და ჩემი ქალიშვილი მერის დახმარების წინადადებაც“. ლედი ბაირონმა, რომელიც იმ დროს საფრანგეთში მოგზაურობდა, მედორას შვილთან ერთად ტურში ჩასვლა შესთავაზა და ორივეს შენახვა საკუთარ თავზე აიღო.

მედორა თურმე ლედი ბაირონზე უცნაურ და ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა. უკვე მესამედ ხვდებოდა საცოდავი ანაბელა ბაირონისებური ხიზლის გავლენის ქვეშ. ძალიან მალე გაუმხილა მედორას მისი ასეთი ღრმა ინტერესის მიზეზი. „მისი ქმარი მამაჩემი იყო“. ლედი ბაირონი სახელს — მედორა — ვერ იტანდა, ელიზაბეთი შეარქვა, და ახალგაზრდა ქალს სთხოვდა პიპი დამიძახეო, როგორც ოდესღაც მას ეძახდა ადამიანი, რომელსაც ისეთივე სახე ჰქონდა, როგორც მედორას. მედორა ბაირონს ჰგავდა. როცა მედორა ოთახში იყო, შემოსულებს შებრუნებული, თავდახრილი, მოუსვენრად ათვალიერებდა, როგორც მამამისი აკეთებდა ხოლმე. წერილების სტილიც კი ბაირონის სტილს აგონებდა. წერილები იწყებოდა: „ეარესტ იპ“. „ჩემო საყვარელო პიპ, — წერდა ის, — ვფიქრობ, ლონდონიდან შაბათს გავემგზავრები, რადგან პარასკევს გამგზავრება არ შემიძლია“. ახირებული ჰალუცინაცია.

მაგრამ ბედნიერება ბაირონის ქალიშვილებისთვის აუტანელი გარემო იყო. „ბედუკუდმართობა მედორას საუკეთესო მეგობარია, — აღიარა ანაბელამ, — და მას სიკეთის ატანა არ შეუძლია“. ძალიან მალე მძვინვარე სცენები ელნებს გაახსენებს. მერე პარიზში გაიქცევა მედორა. იქ, დუმილის უნარმოკლებულმა, ბევრთან თქვა თავისი

დაბადების საიდუმლო. „დედამისის დაუდევრობისა და გაუფრთხილებლობის წყალობით, მის ხელში აღმოჩნდა მავად ნაწერი წერილებისა და წერილების ასლების მთელი შეკვრა, სადაც ნათლად ჩანდა, რომ იგი ცოდვის ნაყოფი იყო“. ბერიემ, რომელიც მედორას რწმუნებული იყო, ლედი ბაირონს მიწერა, რომ თანხა, რომელსაც ოჯახს უხდიდა /ას ორმოცდაათი ფუნტს/, საკმარისი არ არისო ცხოვრებისთვის. ბაირონი, რომელსაც ძალიან უყვარდა დამთხვევები, აუცილებლად გაიხსენებდა, რომ ეს ზუსტად იმდენი იყო, რითაც დედამისს უნდა ეცხოვრა აბერდინში.

დახმარება გაეზრდებოდა, ოღონდ იმ პირობით, თუ ქალღმერთიანი ყუთი გადაეცემოდა რწმუნებულ სერ ჯონ ჰიუსს, რაც მაშინვე გააკეთეს კიდეც. მაგრამ მედორამ მშვიდად მოქცევა ვერ შეძლო. რამდენიმე წლის გასამრჯელო წინასწარ აიღო, და მერე სილატაკეში აღმოჩნდა. მაშინ სენ-ჟერმენში ცხოვრობდა; შვილი საქველმოქმედო თავშესაფარში მიიყვანა, თვითონ ჰუსართა მერვე პოლკის მეთაურ გრამონთან დაიწყო სამსახური. მეთაურის დენშჩიკს, ჟან-ლუი ტაიფერს შეუყვარდა იგი. მას არ შეეძლო მისი ცოლად შერთვა, რადგან სავალდებულო სამხედრო სამსახურის დროს უბრალო ჯარისკაცს დაქორწინების უფლება არ ჰქონდა; და რადგან მედორა მისგან ბავშვს ელოდა, თავის სამშობლოში სენ-აფრიკში /ავირონში/ გააგზავნა სამშობლოდ.

იქ დაიბადა ჟან-მერი-ელი ტაიფერი, ბაირონის შვილიშვილი, რომელიც 1848 წელს ტაიფერისა და მედორას ქორწინებით კანონიერად აღიარეს. საინტერესო და გულის შემძვრელია აღვნიშნოთ, რომ მედორას ცხოვრების ხაზი ისეთივე მრუდი ხაზია, როგორც იყო ლორდ ბაირონისა: ვნებებისა და გამოწვევის პერიოდს მონანიების პერიოდი მოჰყვება. ავირონში, სოფელ ლაპეირში ფერმერი გახდა მედორა ტაიფერი; იგი ქმრის ერთგული იყო, შვილები კარგად აღზარდა, დიდსულოვნებითა და ლმობიერებით გამოირჩეოდა; კათოლიკობაც მიიღო. თავადაც კარგად იყო აღზრდილი და მუსიკალური გემოვნებაც შეინარჩუნა. ლაპეირში ფორტეპიანოც ჰქონდა.

ეს ბედნიერება მხოლოდ ერთ წელს გაგრძელდა. 1849 წელს მედორა გარდაიცვალა; მას ოცდათექვსმეტი წელი შეუსრულდა იმ წელს. „მთელმა სოფელმა მოუწყო გულისამაჩუყებელი დასაფლავება“. შემდეგი ანდერძი დატოვა მედორამ: „მე, ელიზაბეთ-მედორა ლი, მთელს ჩემს მიწიერ ქონებას, რენტას ვუტოვებ, რომელიც ანდერძით განსვენებულმა ლორდ ბაირონმა დამიტოვა,

ჟან-ლუი ტაიფერსა და ჩემს შვილებს, მერისა და ელის... ვაცხადებ, მიმიტევებია დედაჩემისთვის და ყველასთვის, ვინც მკაცრად მდევნიდა, და იმედი მაქვს, მეც მომიტევენ. ვთხოვ, სერ ჯონ ჰიუზს ლუი ტაიფერს დაუბრუნოს ჩემი ქალაქდებიანი ზარდახშა, რომელიც მასთან ინახება”.

ზარდახშა მედორას ქმრისთვის არ დაუბრუნებიათ. ტაიფერმა ტულუზაში დაიწყო კამერდინერად მუშაობა, ბატონ არტურ დე ვაროკიესთან; ამ უკანასკნელის მამა ლონდონში საფრანგეთის საელჩოს მეშვეობით ცდილობდა ზარდახშის დაბრუნებას, მაგრამ საელჩოს ადვოკატმა შეატყობინა, ინგლისში წესია, უზნეო ხასიათის დოკუმენტები უნდა დაინვას, ამ დოკუმენტებსაც იგივე ბედი ეწიაო. ზარდახშაში მოთავსებული ქალაქდები მართლაც, 1863 წლის 19 მაისს, დაინვა სერ ჯონ ჰიუზის კანტორაში, საფრანგეთის საელჩოს მრჩევლის თანდასწრებით.

მერი, მედორასა და მისი ბიძაშვილის ტრევანონის ქალიშვილი ლამაზი გოგონა დადგა, მშვიდი, მტკიცე და თვინიერი ხასიათით. მონაზვნობა უნდოდა, დიდხანს ელოდა შესაძლებლობას, რადგან დედამისმა სიკვდილის წინ სთხოვა, შენს ძმა ელიზე იზრუნეო. როცა ბატონმა დე ვაროკიმ ბავშვის პატრონობა იკისრა, მაშინვე მონაზვნად აღიკვეცა სენ-ჟერმენ-ლეის შობის მონასტერში და სენტ-ილერში მონაზვნობდა. თავისი წარმოშობის შესახებ იცოდა; „ეგონა, მას უფრო მეტად უნდა მოენანიებია, ვიდრე სხვას. მონასტრის წესებში საკუთარი თავისთვის ყველაზე მკაცრი ელემენტები შეჭქონდა, რომელიც, როგორც ეგონა, შვებასა და ნუგეშს აძლევდა“. ლოცვანზე დედამისის საფლავის ძეგლის მსგავსი რაღაც დაახატა და ელიზაბეთ-მედორა ბაირონი უწოდა. ნახატს ქვეშ ლამარტინის ლექსიც მიაწერა.

თავის აზრებსაც იწერდა: „ჩემი ცხოვრება თითქოს შემოდგომის ფოთოლია, მთვარის ნათელზე მოცახცახე. სუსტია მისი ძირი, მოკლეა მისი მოუსვენარი ყოფა“. ზოგჯერ მეგობრებს ლორდ ბაირონზეც ელაპარაკებოდა: „საცოდავი ბაირონი, ძალიან მიყვარს“. ის 1873 წელს გარდაიცვალა.

მისი ძმა ელი, ბოლო ნაშიერი უკანონო ხაზით, ლამაზი, მრგვალნიკაპიანი წითურთმიანი ყმაწვილი კაცი, მოანგარიშეც იყო, კომივოიაჟერიც, ღვინის სავაჭრო აგენტიც, და სატში, ჰოსპიტალში, გარდაიცვალა 1900 წლის 22 იანვარს, ლორდ ბაირონის დაბადე-

ბის დღეს.

„ყველა არსება, ვინც მიყვარს, უბედური სიკვდილით იღუპება“. წყევლამ თითქმის ყველა ქალს უწია, ვინც უყვარდა; მერი ენ ჩავორსი უკვე დიდი ხანია უბედური ქალი იყო. დაახლოებით 1830 წელს სოფლის ეკლესიაში უნახავთ: „საზრუნავითა და მძიმე ცხოვრებით წელში მოხრილი...“. მური, რომელმაც მემუარების განადგურების შემდეგ გადაწყვიტა თვითონ აღენერა ბაირონის ცხოვრება, მასთანაც ჩასულა მასალის საძებრად. ქმარი, მასტერსი სახლში არ იყო; მურმა ბაირონის საყვარელი ერთი ირლანდიური სიმღერა უმღერა და მისის მასტერსი აატირა. ქალის აღსასრული ნოტინგემის ფეიქართა ამბობებამ დააჩქარა; დიდი რეფორმების დროს, 1832 წლის ოქტომბერში, მათ მის სახლსაც შეუტიეს. ქალმა ბელეს შეაფარა თავი, გაცივდა და ორმოცდაშვიდი წლის ასაკში გარდაიცვალა. კოლვიკის ეკლესიაში მისი ბიუსტიც დგას.

ტერეზა მაკრი, ათენელი ქალწული, ინგლისელ ჯონ ბლეიკს გაჰყვა ცოლად, რომელიც ბაირონის შემდეგ ჩავიდა საბერძნეთში საბრძოლველად, მერე ინგლისის კონსულიც გახდა და საბერძნეთში დარჩა. პოემამ ტერეზა მაკრი გამოჩენილ ქალად აქცია. იქ ჩასული ყველა ინგლისელი მის სანახავდაც მიდიოდა; ისიც ოხვრითა და ვიშით ყვებოდა ბაირონზე. როცა მისი ქმარი გარემოებამ აიძულა და მისოლუნგში გადავიდა, ქალი სერიოზულად დადარდიანდა. ბაირონის შესახებ ლაპარაკი, განუწყვეტელი კითხვები, რა გარემო-ვითარებაში იცნობდა მას, იმით დამთავრდა, რომ მოუსვენრობამ შეიპყრო; ღამით, ხშირად, გაბრაზებული ბაირონი ესიზმრებოდა, რომელიც ემუქრებოდა. „რა ნამებაა!“ — ეუბნებოდა ტერეზა მისტერ ბლეიკს. „აბა, სიზმარში როგორ არ ნახავ, როცა მხოლოდ მასზე ფიქრობ“. — პასუხობდა ცოტა გულდანყვეტილი ქმარი.

კლერმა ბაირონს არასოდეს აპატია, და, როცა მერი შელიმ პოეტი აქო, კლერმა მისწერა: „ღმერთო ჩემო, გაგონილა, თქვენი შესაძლებლობის ადამიანმა, თავის მოვალეობად მიიჩნოს, აქოს ის, ვინც, სინამდვილეში, პატივმოყვარეობის, სიგიჟისა და ყოველგვარი უბედური სისუსტეების ისეთი ნარევი იყო, ერთ ადამიანში ასეთი რაოდენობით არასოდეს რომ არშეერთებულა“.

კაროლინა ლემი ელვარების, გულგატეხის, არარაობის ბრწყინვალე და საცოდავ შეხამებად დარჩა. 1824 წლის აპრილში ჰალუციინაციების შეტევა დაემართა: „შუალამისას მომეჩვენა, რომ ლორდ ბაირონს ვხედავდი,

— დავიყვირე, სანოლიდან წამოვხტი, გაქცევა მინდოდა; საშინელი შესახედავი იყო, კბილებს აკრაჭუნებდა, არაფერს ამბობდა, თმა ყალყზე ედგა; უფრო სქელი იყო, ვიდრე მაშინ, მე რომ ვიცნობდი, ისეთი ლამაზიც აღარ იყო“. ერთი კვირის შემდეგ ქმრის წერილიდან შეიტყო მისი სიკვდილი. „კაროლინა, — წერდა ქმარი, — გთხოვ დაიცვა თავაზიანობის წესები; ვიცი, ეს თქვენთვის დარტყმა იქნება. ლორდი ბაირონი გარდაიცვალა“. მან გამოკეთება დაიწყო, მაგრამ დამკრძალავ კორტიჟთან შეხვედრისა და მედუინის მოგონებების გამოსვლის შემდეგ, ისევ დაეწყო ავი ზნის შეტევა.

მედუინის წიგნი მისთვის ძალიან მკაცრი აღმოჩნდა. პირველად იქიდან შეიტყო კაროლინამ საზარელი ლექსის — „ღემემბერ ტჰეე...“ — არსებობა. მედუინს წერილი გაუგზავნა: „ბაირონი არასოდეს იტყოდა, რომ გული არა მაქვს. ვერც იმას იტყოდა, რომ ქმარი არ მიყვარდა. თავის წერილებში დაუსრულებლად მიმეორებდა, რომ ქმარი უფრო მიყვარდა; და დამიჯერე, მის თვალში მთელი ჩემი მომხიბვლელობა იმაში იყო, რომ უმანკო ვიყავი, ერთგული და მგზნებარე...“. დრო გავიდა და ახლა უფრო უკეთ ხვდებოდა ყველაფერს. დაახ, ის, რაც ბაირონს შეიძლება ვინმეში ყვარებოდა, მართლაც მუდამ იყო სიჭაბუკისა და უმანკოების რალაცა ელემენტები. აქედან მოდიოდა მერი დაფი, მარგარეტ პარკერი, ედელსტონი, ნიკოლო ჟირო, მოგვიანებით ტერეზა. კაროლინა, 1812 წელს, რამდენიმე დღით, ბაირონს შეიძლებოდა მოსწონებოდა კიდევ უმანკოების ზოგიერთი ნიშნის გამო... ოჰ, რა სწრაფად დაქანცა მაშინ ბაირონი...

მედუინის წიგნის ნაკითხვის შემდეგ შემოიღობის შეტევა მოუვიდა. მაგრამ მისი საბრალო თავი ფრიად შემსუბუქებული იყო და მალე დაავიწყდა კიდევ. აი, ცოლქმრული ცხოვრება კი გაურთულდა. ზამთარი ბროკეტ-ჰოლში გაატარა უქმროდ; ჭაბუკი მეზობელი, ედუარდ ბულვერი მოხიბლა მისმა უჩვეულოდ ორიგინალურმა საუბრებმა. კაროლინა ხშირად ეძახდა ჭაბუკს. ცხოვრება ბროკეტ-ჰოლში „კაროლინასებურად“ მიდიოდა. ღამის სამ საათზე პაჟს მასპინძლების გასალვიძებლად აგზავნიდა და ორღანის მოსასმენად იწვევდა; მერე გათენებამდე უყვებოდა მათ ბაირონის ამბებს; ყველას აჩვენებდა ბეჭედს, რომელიც ბაირონმა აჩუქა; მერე ბეჭედი ედუარდ ბულვერს მისცა, უთხრა, მხოლოდ იმათ ვაძლევ ამ ბეჭედის ტარების უფლებას, ვინც მიყვარსო. ცოტა ხნის შემდეგ ბეჭედი წაართვა, და ბულვერმა ახლა სხვა ახალგაზრდის ხელზე

ნახა იგი. ბულვერი აღშფოთებული დარჩა.

ერთხელ ლედი კაროლინა ლონდონში ჩავიდა „ფაუსტის“ მოსასმენად. დადგამამ აღაფრთოვანა:

„ბაირონი გამახსენა, ის ანგელოზი, ის საშიში და უბედური ბაირონი, რომელსაც ვეთაყვანები, თუმცა საზარელი მემკვიდრეობა კი დამიტოვა: „ღემემბერ ტჰეე...“.

ორმოცდაორი წლისა გარდაიცვალა თავისი ქმრის ხელში. „თავის დაჭერის მისი მანერა, — წერდა ვილიამ ლემი, — თუმც ცოტა ექსცენტრული, არსებითად, შინაგანად, აფექტირებული იყო და მოხიბვლის ისეთ ძალას ფლობდა, რომელსაც ძნელად წარმოიდგენს ის, ვისაც საკუთარ თავზე არ განუცდია მისი მოქმედება“.

მხოლოდ ერთმა, გრაფინია გვიჩიოლიმ, რომელსაც მოწოდებდა არ ჰქონდა უბედური ყოფილიყო, შეძლო და თავისი ცხოვრება ისე გარდაქმნა, რომ ლორდი ბაირონის აჩრდილი მისთვის მხოლოდ სასიამოვნო და საპატივსაცემო თანამგზავრი იყო. 1829 წელს, რომში ავსტრიის ელჩის მიერ გამართულ მეჯლისზე, ლორდი მალმესბერი შეხვედრია მას. „ბაირონი ხუთი წლის წინ გარდაიცვალა, მაშინ გრაფინია ოცდაცხრა წლისა იყო. ჩვენ ძალიან კარგი მეგობრები გავხდით. ის ძალიან თავაზიანი იყო, განათლებული, გულითადობით გამოირჩეოდა და ძალიან უყვარდა გართობა. უკვე გადატანილი ჰქონდა ის მწუხარება /როგორც მითხრეს ფრიად მძიმედაც/, რომლის მიზეზიც მისი პოეტის სიკვდილი იყო; ის სიამოვნებით საუბრობდა მასზე და თავისი გამარჯვებითაც ამაყოფიდა...“. ქალბატონმა გვიჩიოლიმ მალმესბერს უამბო, „რომ ბაირონი თავის განთქმულ პოემებს, პირველივე, ხელში მოხვედრილ ქალაქის ნაგლეჯზე წერდა... მერე მასთან მიდიოდა და უკითხავდა, ბევრ ჩანაწერებს აკეთებდა და მთელი ხმით ხარხარებდაო. ტერეზა მისით ამაყოფიდა და ძალიან უყვარდა... მისი ნაამბობიდან ჩანს, რომ ბაირონს ძალზე ჭირვეული ხასიათი ჰქონია; საუბარში თურმე სასაცილო სახით წარმოადგენდა იმ ვნებებს, რომელიც მის პოეზიაში ფეთქავს; საერთოდ კი, ცივი ტემპერამენტი-სა იყოო...“. ტერეზას ცინიზმი არასოდეს ჰყვარებია.

1832 წელს ლონდონში ჩავიდა, იყო ჰაროუში, დრიურისთან ისადილა, ჰაკნალ-ტოკარდში ბაირონის საფლავზე ილოცა, ოგასტას ენვია, მასთან სამი საათი დაჰყო და „განუწყვეტილ ბაირონზე ილაპარაკეს“. დაახლოებით ორმოცდაათი წლის ასაკში მარკიზ დე ბუასის გაჰყვა ცოლად, ექსცენ-

ტრულ და ფრიად მდიდარ ადამიანს. მშვენიერი სახლი ჰქონდათ პარიზში და „იტალიელი ქალის სინატიფემ მალალი წრის ბანოვანის ხელოვნურ მანერებს დაუთმო ადგილი, რაც არ უხდებოდა“. სასტუმრო ოთახში ბაირონის სურათი ეკიდა, რომელთანაც სიამოვნებით ჩერდებოდა, როცა სტუმრები ჰყავდა, ამოიხრებდა და იტყოდა: „რამაზი იყო! ღმერთო ჩემო, რამაზი იყო!“ ქმარი, როცა მას უცხო ხალხს წარუდგენდა, ამბობდა: „ქალბატონი მარკიზა დე ბუასი, ჩემი ცოლი... ოდესღაც ლორდ ბაირონის სატრფო“. მარკიზ დე ბუასის სიკვდილის შემდეგ, ტერეზამ მოგონებები გამოაქვეყნა ბაირონზე, სადაც მისგან რომანტიკული და ნაზი გმირი შექმნა, ზუსტად ისეთი, როგორც თვითონ ბაირონს არ სურდა ყოფილიყო ცხოვრებაში.

ქალბატონი გვიჩიოლი ბაირონთა წყევლისგან თავისი შეუღწევადი სანტიმენტალიზმით იყო დაცული. გულუბრყვილო ეგოცენტრიზმმა გადაარჩინა ჯონ კემ ჰობსაუზი. 1832 წლის რეფორმების დროს, თავისი მონინავე პოლიტიკური მრწამსი დაუფასდა და სამინისტროში შევიდა, დიდხანაც დარჩა იქ. მოგვიანებით ლორდი ბროუტონი გახდა და თავისი პარტიის ყველაზე კონსერვატორული წევრი. ოთხმოცდასამი წლისა გარდაიცვალა და მის მიერ მოგონილი ფორმულით — „მისი უდიდებულესობის ოპოზიცია“ — გახდა სახელგანთქმული.

ცნობილია, რომ ტიტა დ'იზრაელის* ოჯახში მოუწყო სამუშაოდ. ფლექჩერმა მაკარონის ფაბრიკა გახსნა, გაკოტრდა, და როგორც ყველა, ესეც ლედი ბაირონმა იხსნა. სიცოცხლის ბოლოს გოლენ-სკვერის დარაჯი იყო. იქ შეიძლებოდა მისი ნახვა, ოქროს სირმებით მორთული, მალალი ცილინდრითა და ჯოხით ხელში როგორ მისდევდა ფრანგული პროტესტანტული სკოლის მონაფეებს.

ბრომტონის სასაფლაოზე მოკრივე ჯეკსონის საფლავია. საფლავზე ფილა დევს, რომელიც ოთხივე კუთხით კლასიკურ გიგანტებს უკავია. ეს ძეგლი ინგლისელმა დიდგვაროვნებმა დაუდგეს იმ დიდი პატივისცემის ნიშნად, მისდამი რომ ჰქონდათ.

თავისი სიცოცხლის ბოლო კვირებში ბაირონს შეიძლება ჰგონებოდა, რომ ამაოდ კვდებოდა და საბერძნეთი ვერ გათავისუფლებდა.

* ბენჯამენ დ'იზრაელი, ლორდი ბიკონზფილდი /1804-1881/ — ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი.

ფლდებოდა. 1826 წელს მისოლუნგს მეორედ შემოარტყეს ალყა. დაბომბვამ თითქმის ყველა შენობა დაანგრია. ბოლოს, შიმშილმა აიძულა ბერძნები დაეტოვებინათ ქალაქი. კაცები, ქალები, ბავშვები მტრის ხაზის გარღვევას ცდილობდნენ. ძალიან ბევრი მოკლეს. ქალაქში ხოცვა-ჟლეტა გაიმართა. ეპისკოპოსი იოსები და პრელატი კაპსალისი ფინდისის საწარმოო ქარხანაში ჩაიკეტნენ, იმის უკანასკნელ ნარჩენში, რასაც პერის არტილერია ერქვა, და ვაზნებთან ერთად აფეთქდნენ. ამ დროს ევროპას ბერძნებისთვის თავი რომ დაენებებინა, განადგურდებოდნენ. ავსტრია რუსეთის შიშით არ ერეოდა მათ საქმეში; საფრანგეთამაც ვერ გაბედა ჩარევა; ყველაფერი ინგლისზე იყო დამოკიდებული. საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ჰერცოგ ველინგტონის წმინდა აქსიომებმა საბერძნეთი გახსნია. „მაგრამ მსხვერპლითა და ბაირონის სიკვდილით აღელვებულმა ბრიტანელმა ხალხმა, თავისი კულტურით ღრმად კლასიკურმა, კლექტები* თერმოპილეს გმირების ხარისხში აიყვანა“. მინისტრმა კანინგმა, საზოგადოებრივ აზრზე დაყრდნობით, მთელი ინგლისური პოლიტიკა გადააბრუნა. ინგლის-რუსეთ-საფრანგეთის ფლოტის ნავარინის ბრძოლამ საბერძნეთის დამოუკიდებლობას მისცა დასაწყისი. ეს გახლდათ წმინდა კავშირის დასასრული.

გადაჭარბებული არ იქნება თუ დავამატებთ, რომ ბაირონს ბერძნული მოძრაობისთვის თავისი სახელითა და სიკვდილით მხარი რომ არ დაეჭირა, ინგლისის საზოგადოებრივი აზრი, ცხადია, კანინგის მხარეზე არ დადგებოდა. მისოლუნგში, რომელიც ახლა პატარა, საკურორტო და აყვავებული ქალაქია, ბერძნებმა გმირთა პარკი დააარსეს; ობელისკი აღმართეს, რომელზეც მარკოს ბოცარისის, კაპსალისის, ზაველისის სახელების გვერდით ბაირონის სახელიც წერია. მეთევზეებმა, ამ წყლისა და მარილის სამეფოში რომ ცხოვრობენ ახლა, ლერწმით მოწულ თავიანთ ქოხებში, იციან ბაირონის სახელი. არ იციან, რომ ის პოეტი იყო, მაგრამ თუ მასზე ჰკითხავთ, გიპასუხებენ: „მამაცი კაცი იყო, რომელიც იმიტომ ჩამოვიდა, საბერძნეთისთვის მომკვდარიყო, რადგან თავისუფლება უყვარდა“-ო.


თარგმნა ღაპითი კახაპერმა

* საბერძნეთში გლეხი პარტიზანები /მე-19 ს. ოციან წლებამდე/, რომლებიც თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

„ლევ ტოლსტოის დღიურები — წერს დიდი მწერლის დღიურების ერთი რუსი გამომცემელი, — მისი ბიოგრაფიკისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. მათში აღბეჭდილია მწერლის აზრის დაუცხრომელი მუშაობა, მშფოთვარე ფიქრი ცხოვრებაზე, სოციალურ-ზნეობრივი ძიებანი.

ტოლსტოი იშვიათად თუ წყვეტდა დღიურების წერას თითქმის მთელი სიცოცხლის განმავლობაში. 1847 წლიდან დაიწყო ჯერ კიდევ თვრამეტიოდე წლის ჭაბუკმა სტუდენტმა და 1910 წელს დაასრულა 82 წლის ბერიკაცმა, როცა ის უკვე მსოფლიოში სახელგანთქმული მწერალი იყო“.

რუდუნებით შერჩეული ეს მოკლე ჩანაწერები მხოლოდ მცირე ნაწილია მისი დღიურებისა, რომლებსაც ძლივს იტევს ორი ვეება ტომი. მე მინდოდა მათი მეშვეობით ნაწილობრივ მაინც გამომეხატა ჩემი სიყვარული დიდი რუსი მწერლის გენიისადმი.



ლევ ტოლსტოი

დღიურებიდან

ჩემი, ისევე, როგორც ყველას სიცოცხლე მსახურებაა; მას, თავისთავად, სხვა მიზანი არ გააჩნია.

იმასაც მოვესწარით, რომ უბრალოდ კეთილი და ჭკვიანი კაცი შეუძლებელია სახელმწიფოს მონაწილე იყოს.

უნდა იცხოვრო ისე, თითქოს გვერდით, ოთახში, საყვარელი ბავშვი კვდება. ის ყოველთვის კვდება კიდევაც. ყოველთვის ვკვდები მეც.

ცოტალა რჩება დრო. მამაო, შემენიე, შენს საქმეს მოვახმარო იგი. საშინელება ისაა, რომ, რაც უფრო ხანში შედიხარ, მით უფრო მძაფრად გრძნობ, რაოდენ ძვირფასი ხდება (ქვეყნიერებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით) შენში არსებული სიცოცხლის ძალა, და საშინელებაა იმას არ მოახმარო, რისთვისაცაა განკუთვნილი.

ხშირად უსარგებლოდ ფლანგავ შენს სულიერ ძალებს. ეს ცოდვაა. ძალა მსახურებისათვის მოგეცა, და მხოლოდ ამას უნდა შეალო.

რა არის პროგრესი? ჩემი აზრით, ესაა

გონიერების სულ უფრო და უფრო მზარდი სიჭარბე ბრძოლის ცხოველურ კანონთან შედარებით; ევოლუციონისტების მიხედვით კი — ცხოველური ბრძოლის ტრიუმფი გონიერების წინააღმდეგ, რადგანაც, მათი თვალსაზრისით, პროგრესი მხოლოდ ამ ცხოველური ბრძოლის წყალობითაა შესაძლებელი.

მატერიალური სამყარო არსებობისათვის ბრძოლის კანონს ემორჩილება. როგორც მატერიალური არსებები, ჩვენც მასვე ვემორჩილებით. მაგრამ გარდა ჩვენი მატერიალური არსებობისა, იმასაც ხომ ვგრძნობთ, რომ ჩვენს არსებაში არის არა მარტო ბრძოლის კანონისაგან დამოუკიდებელი, არამედ მისი საპირისპირო სხვა საწყისიც — საწყისი სიყვარულისა. ამ საწყისის გამოვლენა ჩვენში არის ის, რასაც ნების თავისუფლებას ვეძახით.

ფიქრობდი იმაზე, რომ სიტყვით კი არა, საქმით უნდა ცხოვრობდე არა შენთვის და არა ადამიანებისთვის, არამედ ღმერთისათვის; ხოლო თუ გინდა მართლაც ასე იცხოვრო, უნდა კიდევაც მიეჩვიო ამას, როგორც ეჩვევი ცხოვრებას შენი თავისა და შემდეგ — საყვარელი ადამიანებისათვის.

გონება იმისთვის კი არ მოგვეცა, რომ გვიჩვენოს, რა უნდა გვიყვარდეს, — ის ვერ გვიჩვენებს ამას, — არამედ მხოლოდ იმი-

სთვის, რომ გვიჩვენოს, რა არ უნდა გვიყვარდეს.

ყველა ხელოვნება შეიძლება ორნაირად ასცდეს გზას: უხამსობითა და ხელოვნურობით. მათ შორის მხოლოდ ვინრო ბილიკი ძევს. და ეს სივინროვე იმპულსით განისაზღვრება. თუ არის იმპულსი და მიმართულება, თავიდან აიცილებ ორივე საფრთხეს. ხოლო ამ ორიდან უარესია ხელოვნურობა.

ცოცხალი ვარ, მაგრამ არ ვცოცხლობ.

ჩამინიშნავს, რომ არსებობს ორი ხელოვნება. ახლა ვფიქრობ და ვერ ვპოულობ ჩემი აზრის ნათელ გამოხატულებას. მაშინ ვფიქრობდი, რომ არსებობს ხელოვნება, როგორც მართებულად განსაზღვრავენ, წარმოშობილი თამაშისა და ყოველი სულდგმულისათვის ნიშნეული თამაშის მოთხოვნილებისაგან. ხბოს თამაში კუნტრუშია, ადამიანისა — სიმფონია, სურათი, პოემა, რომანი. ეს ერთი ხელოვნებაა — თამაშისა და ახალი თამაშების გამოგონების ხელოვნება. ეს კეთილი საქმეა, სასარგებლო და ფასეული, ვინაიდან ზრდის და ამრავლებს ადამიანის სიხარულს. მაგრამ გასაგებია, რომ თამაში მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა მაძლარი ხარ. ასე საზოგადოებაც შეიძლება მხოლოდ მაშინ მისდევედეს და აფასებდეს ხელოვნებას, როცა მისი ყველა წევრი მაძლარია. ხოლო ვიდრე მის ყველა წევრს მაძლარი არ ეთქმის, ნამდვილი ხელოვნების არსებობა შეუძლებელია. არამედ იქნება გულმოყირჭებულთა ხელოვნება — მახინჯი, და მშიერთა ხელოვნება — უხეში და უბადრუკი. ასეცაა სინამდვილეში...

სიცრუისა და ცრურწმენების წინააღმდეგ ბრძოლაში ადამიანები ხშირად კმაყოფილდებიან ცრურწმენათა იმ რაოდენობით, რისი შემუსვრაც მათ შეეძლებს. მაგრამ ეს არასწორია. არ შეიძლება დამშვიდება მანამდის, სანამ არ მოისპობა ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგება გონებას და რწმენას მოითხოვს.

ისტორიულ ცოდნას იმისას, თუ როგორ

იბადებიან ნაირნაირი მითები და სარწმუნოებანი ხალხებში, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა დროს, თითქოს უნდა მოესპო იმისი რწმენა, რომ ეს მითები და სარწმუნოებანი, რომლებსაც ბავშვობიდანვე გვინერგავდნენ, აბსოლუტურად ჭეშმარიტნი არიან. არადა, ეგრეთწოდებულ განათლებულ ადამიანებს ეს სწამთ. მაშასადამე, რა ზერელეა ეგრეთწოდებულ განათლებულთა განათლება.

გუშინ ბაბურინოში მივდიოდი და უნებურად (უფრო თავს ვარიდებდი, ვიდრე ვცდილობდი) 80 წლის აკიმს შევხვდი — ხნავდა, და იარემიჩის ქალს, რომელიც ეზოში კაფტანის ამარაა, მერე — მარიას, რომელსაც ქმარი გაეყინა, ასე რომ ჭვავს ველარავინ მოუტანს, და ბავშვი შიმშილით უკვდება, ტროფიმიც და ხალიაკვაც — ცოლ-ქმარიც მოკვდა, და მათი შვილებიც. ჩვენ კი ბეთჰოვენს ვარჩევთ, და ვლოცულობდი, რომ მან დამიხსნას ამ ცხოვრებისგან, და კვლავ ვლოცულობ, ტკივილისაგან ვყვირი; თავგზა ამებნა, გავიხლართე, თავად არა შემიძლია რა, მაგრამ მძულს ჩემი თავიც და ჩემი სიცოცხლეც.

ჩერტკოვებიდან მოვდივარ; 5 ივლისი. საღამო და სილამაზე, სიკეთე ეფრქვევა ყველაფერს. ადამიანების სამყაროში კი? სიხარბე, ბოღმა, შური, სისასტიკე, ავხორცობა, გარყვნილება. როდისღა იქნება ხალხში იგივე, რაც ბუნებაშია? იქ ბრძოლაა, მაგრამ პატიოსანი, მარტივი, ლამაზი. აქ კი ბილწი. მე ვიცნობ მას და მძულს, ვინაიდან თვითონაც ადამიანი ვარ.

ესთეტიკური ტკბობა დაბალი რანგის ტკბობაა. ამიტომ უმაღლესი ესთეტიკური ტკბობა დაუკმაყოფილებლობას ტოვებს. მეტიც, რაც უფრო მაღალია ესთეტიკური ტკბობა, მით მეტია დაუკმაყოფილებლობა. კიდევ და კიდევ გინდა რაღაცა. დაუსრულებლივ. სრულ დაუკმაყოფილებას იძლევა მხოლოდ ზნეობრივი სიკეთე. ესაა სრული კმაყოფილება — მეტი არა გინდა რა და არცაა საჭირო.

როდესაც საგანთა არსის განსაზღვრა სურთ, ბუნების მეცნიერებანი ტლანქ მატე-

რიალიზმში, ესე იგი, უმეცრებაში ეფლობი-
ან. ასეთია, დეკარტის ტურბილიონების გარ-
და, ატომებიც, ეთერიც და სახეობათა წარ-
მოშობაც. ყველაფერი, რაც შემოძლია ვთქ-
ვა: ესაა ის, რაც ამნაირად წარმომიჩნდება.
ზუსტად ისევე, როგორც მრგვალი მეჩვენე-
ბა ცის თალი, მაგრამ მე ვიცი, რომ ის მრგვა-
ლი კი არ არის, არამედ მხოლოდ მრგვლად
მეჩვენება, იმიტომ, რომ ჩემი მზერა ერთი და
იმავე რადიუსით სწვდება ყველა მხარეს...

უნდა მახსოვდეს, რომ მე ბატონი კი არა
ვარ, არამედ მსახური, და ვაკეთო ის საქმე,
რასაც მიმაყენეს.

ვფიქრობდი: რატომაა, რომ ზოგიერთს
(ჩემს მასპინძლებს და მათ სტუმრებს) არც
კი შეუძლიათ ჭეშმარიტებასა და სიკეთეზე
ილაპარაკონ — ასე შორს არიან მათგან? ეს
იმიტომ, რომ საცთურთა ისეთი სქელი ფენა
აკრავთ გარშემო, რომ შეუღწევადნი გახდ-
ნენ. მათ არ შეუძლიათ ებრძოლონ ცოდვას,
ვინაიდან საცთურთა გამო ვერც ხედავენ
მას. ამაშია საცთურთა მთავარი საფრთხე და
მთელი საშინელება.

აქაურმა სტუმარმა, გენერალმა, წარმო-
სადგემა, განკრიალებულმა, კორექტულმა,
სქელი ნარბებითა და გოროზი იერით
(თანაც, უჩვეულოდ კეთილმოსურნემ, მა-
გრამ ყოველგვარ ზნეობრივად მამოძრა-
ვებელ გრძნობას მოკლებულმა), გამაოგნე-
ბელი აზრი აღმიძრა იმის შესახებ, თუ რა-
ნაირად ან რა გზით აღწევენ საზოგადოე-
ბრივი ცხოვრებისა და საერთო სიკეთის მი-
მართ სრულიად გულგრილნი, — სწორედ
მისნაირნი, — ადამიანთა ცხოვრების გამგე-
ბლობას. თვალნათლივ ვხედავ, როგორ უხ-
ელმძღვანელებს ეს კაცი დანესებულებას,
რომელზედაც დამოკიდებულია მილიონო-
ბით სიცოცხლე, და მხოლოდ იმიტომ, რომ
სიფაქიზე, განცხრომა, ელეგანტურობა,
ნუგბარი საქმელი, ცეკვა, ნადირობა, ბილ-
იარდი და ათასგვარი გასართობი უყვარს,
მაგრამ საამისო სახსარი კი არ გააჩნია, ნურ-
ბელასავით ეკვრის პოლკებს, დანესებულე-
ბებსა თუ საზოგადოებებს, სადაც ყოველივე
ეს ეგულება, და, როგორც კეთილი, უწყი-
ნარი, თანდათან მალდება სამსახურეო-
ბრივ კიბეზე და კაცთა ბედ-იღბლის გამგე-
ბელი ხდება, — ყველა, როგორც \$, და „ლე-

გიონია მათი სახელი“...

ახლა სიკვდილი მე პირდაპირ ცვლად —
ძველი თანამდებობიდან გადაყენებად და
ახალზე გამწესებად მესახება. ძველ თანამ-
დებობას, როგორც ჩანს, უკვე აღარ
შევეფერი და აღარც ვარგივარ.

სიმტკიცისა და სიმშვიდისათვის არსე-
ბობს ერთი საშუალება: სიყვარული, სიყ-
ვარული მტრების მიმართ. მაგრამ ეს ამოცა-
ნა მე განსაკუთრებით მოულოდნელი მხრით
მერგო, და რა ცუდად შევძელი მისი გადა-
ჭრა. მამაო, შემენიე.

საეკლესიო ქრისტიანებს ის კი არ სურთ,
რომ ღმერთს ემსახურონ, არამედ ის, რომ
ღმერთი მსახურებდეს მათ.

ჩვენ ისე გავიხლართეთ, რომ ცხოვრებ-
ის გზაზე გადადგმული ყოველი ნაბიჯი
ბოროტებაში — ძალადობასა და ჩაგვრაში
მონაწილეობას ნიშნავს. მაგრამ სასოს ნუკი
წარვიკვეთთ, არამედ ვცადოთ ნელ-ნელა
გამოვიხსნათ თავი მახიდან, რომელშიაც
გავებით. ნუ გავიქაჩებით (უფრო მაგრა
ჩაგვიჭერს მახე), არამედ ფრთხილად გავხ-
სნათ მარყუჟი.

ხანდახან ხდება, რომ ფიქრობდი და და-
გავინყდა, რასაც ფიქრობდი, მაგრამ გახს-
ოვს და იცი, რანაირი იყო ფიქრი: სევდიანი,
მჭმუნვარე, მძიმე, მხიარული, მხნე; თვით
აზრის დინებაც გახსოვს: ჯერ მღელვარედ
დიოდა, მერე დაცხრა, დამშვიდდა და ა.შ.
როცა ასე იხსენებ, სწორედ ესაა, რასაც
გამოხატავს მუსიკა.

არავითარი ტოლსტოველობა არ ყოფი-
ლა და არც არის. არის მხოლოდ ერთი, მა-
რადიული, საყოველთაო, ზოგადსაკაცო-
ბრიო მოძღვრება ჭეშმარიტების შესახებ,
ჩემთვის, ჩვენთვის, განსაკუთრებით ნათ-
ლად გამოხატული სახარებებში.

ყველას ჰგონია, რომ ჩვენი მოწოდება და
მოვალეობაა სხვადასხვა საქმე ვაკეთოთ:

აღზარდოთ შვილები, დავაგროვოთ ქონება, დავწეროთ ნიგნი, აღმოვაჩინოთ ბუნების კანონი და ა.შ. არადა, ყველას ერთი საქმე გვაქვს: ვაკეთოთ ჩვენი ცხოვრება, ვაკეთოთ ისე, რომ ეს ცხოვრება მთლიანი, გონივრული, კეთილი საქმე იყოს.

სამსახურეობრივი პატივმოყვარეობა და ძუნთა ვერცხლისმოყვარეობა იმიტომაა მაცუთუნებელი, რომ ძალიან მარტივია. ცხოვრების ყველა სხვა მიზანი ბევრ ფიქრსა და თავისმტვრევას მოითხოვს, შედეგს კი ვერასოდეს ვერ ხედავ ნათლად. აქ კი ყველაფერი მარტივია: იყო ერთი ვარსკვლავი, გახდა ორი, იყო ერთი მილიონი, გახდა ორი, და ა.შ.

როგორც ათლეტი ესწრაფის თავისი კუნთების ზრდას, ასევე ელტვოდე სიყვარულის ზრდასაც, ან, ყოველ შემთხვევაში, სიავისა თუ სიცრუის დამცრობას, და იქნება სრული, სიხარულით სავსე სიცოცხლე.

შინაგანი ბრძოლა. ნაკლებად მწამს ღმერთი. არ მიხარია, პირიქით, მიმძიმს გამოცდა; წინასწარ ვაღიარებ, რომ ჩაბარება გამიჭირდება.

ღმერთი ცნობიერებით ვლინდება ჩვენში. ვიდრე არ არის ცნობიერება, არც ღმერთია.

ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რისკენაა მიმართული ცნობიერება.

ცხოველური „მე“-საკენ მიმართული ცნობიერება კლავს და ადამბლავებს სიცოცხლეს; სულიერი „მე“-საკენ მიმართული ცნობიერება აღანთებს, ამაღლებს და ათავისუფლებს სიცოცხლეს.

ცხოველური „მე“-საკენ მიმართული ცნობიერება ალაგზნებს და ამძაფრებს ვნებას, შიშს; ბრძოლასა და სიკვდილის წინაშე ძრწოლას იწვევს.

სულიერი „მე“-საკენ მიმართული ცნობიერება ათავისუფლებს სიცოცხლეს. ეს ძალზე არსებითია, და თუ დამცალდა, აუცილებლად დავწერ ამას.

ფიზიკური შრომა მნიშვნელოვანია იმით, რომ საშუალებას არ აძლევს გონებას ფუჭად და უმიზნოდ იმუშაოს.

ჩვენ გვგონია, რომ მუშაობა რაღაც გარეგანზე მუშაობაა — აკეთო, შექმნა, შეაგროვო: ქონება, სახლი, საქონელი, ნაყოფი; საკუთარ სულზე მუშაობა კი — ისე რა, ფანტაზიაა; თუმცა ყოველგვარი სხვა მუშაობა, იმასთან შედარებით, რასაც საკუთარ სულზე მუშაობა და სიკეთის ჩვევათა შექმნა ჰქვია, ჩირადაც არა ღირს.

ყველაფრის მიტევება შეიძლება, იმ უზენაეს ქვამარიტებათა გაუკუღმართების გარდა, რომელთა არსამდეც რის ვაივაგლახით მივიდა კაცობრიობა.

სინიდის სხვა არა არის რა, თუ არა შენი გონებისა და უზენაესი გონის თანხვდომა.

სწავლულთა ახსნა-განმარტებანი უმეტესნილად იმნაირ შთაბეჭდილებას ტოვებენ, რომ ის, რაც ნათელი და გასაგები იყო, ბნელი და ბუნდოვანი ხდება.

ხსოვნა იმისა, რომ ჩემშია ღმერთი, უკვე აღარ მშველის.

მუხლუხო ხედავს, როგორ თანდათან ხმება, მაგრამ ვერ ხედავს პეპელას, რომელიც მისგან ამოფრინდება.

რა საშინელი თვისებაა თავდაჯერება, თვითკმაყოფილება. ადამიანი თითქოს იყინება, გარს ყინულის ქერქი ეკვრის, რომლის შიგნითაც შეუძლებელია ზრდაც და სხვა ადამიანებთან ურთიერთობაც, ყინულის ქერქი კი სულ უფრო და უფრო სქელდება...

ნებისმიერი ფილოსოფიური და რელიგიური მოძღვრება სხვა არა არის რა, თუ

არა მოძღვრება იმის შესახებ, რისი კეთებაც გვმართებს. მაგრამ ამ საზომით რომ გავზომოთ ნიცშეს მოძღვრება?..

ვფიქრობდი იმაზე, რომ შოპენჰაუერის "Parerga und Paralipomena" გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე მისი სისტემატური მოძღვრება.

მე არ მჭირდება (და არც მცალია); მთავარია, არ შევქმნა სისტემა. იქიდან, რასაც აქ ვინერ, ნათელი გახდება ჩემი წარმოდგენა სამყაროზე, და თუ ვინმეს დასჭირდება, ამით ისარგებლებს.

ჩვენ ყველანი — და ეს შედარება კი არ არის, არამედ თითქმის სინამდვილის აღწერა — ყაჩაღთა ბუდეში ვიზრდებით, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავიზრდებით და გარშემო მიმოვიხედავთ, ვხვდებით, სადა ვართ და რით ვსარგებლობთ. სწორედ აქ იწყება სხვადასხვანაირი დამოკიდებულება ამ მდგომარეობის მიმართ: ზოგი ყაჩაღებს უერთდება და ძარცვა-გლეჯას იწყებს, ზოგი ფიქრობს, რა ჩვენი ბრალია, ნაძარცვით რომ ვსარგებლობთო, თუმცა კი არ მოსწონთ ძარცვა და მის შეწყვეტასაც ცდილობენ, ზოგი კი აღშფოთებულია და თვით ამ ბუდის დანგრევა სურს, მაგრამ ისინი ისე ცოტანი და უმწეონი არიან. რა ვქნათ?

მითხარი, როგორ გადახვედი სიფხიზლიდან ძილში, ან რაში მდგომარეობს ეს გადასვლა? ასევე შეუძლებელია იმის გაგებაც და თქმაც, თუ რაში მდგომარეობს სიცოცხლიდან სიკვდილში გადასვლა.

რა ძნელია აჯანყების თავიდან აცილება და ჩახშობა: საიდუმლო თუ არასაიდუმლო პოლიცია, ჯაშუშები, საპატრონოები, გადასახლებანი, ჯარი! და რა ადვილია აჯანყების მიზეზთა მოსპობა.

ახალგაზრდობისაგან ხშირად გვსმენია: რაში მჭირდება სხვისი ქკუა, ჩემითაც კარგად მოვიფიქრებო. რად უნდა მოიფიქრო მოფიქრებული? აილე მზამზარეული და გზა განაგრძე. ამაშია კაცობრიობის ძალა.

De mortuis aut bene out nihil,* — რა წარმართული და ყალბი წესია! მკვდრებზე კი არა, ცოცხლებზე თქვი ან კარგი, არ არაფერი. რამდენი ტანჯვისგან იხსნიდა ეს კაცთა მოდგმას...

სიცოცხლეში შეიძლება იყოს ბოროტება, მაგრამ თვით სიცოცხლე შეუძლებელია ბოროტება იყოს.

ჩვენ ვიცით, რომ ფიზიკური ძალისხმევის გარეშე ვერაფერს ვერ მივალწევთ. რატომ გვგონია, რომ სულიერების სფეროში შეიძლება რაიმეს მივალწიოთ ძალისხმევის გარეშე?

ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ ბერიკაცის სიცოცხლე თანდათანობით ვინროვდება და, ბოლოს, არარად იქცევა. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ აღვიქვამთ სიცოცხლეს. თუ მას აღვიქვამთ როგორც მატერიალურ ძალას, ახლა, ამ წუთას ჩვენს თვალწინ რომ ცვლის უახლოესი საგნებისა და ადამიანების თანაფარდობას, მაშინ ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე ძლევაგამოსილად წარმოგვიჩნდება, ბერიკაცისა კი — უბადრუკად. მაგრამ თუ სიცოცხლეს აღვიქვამთ როგორც სულიერ ძალას, სულიერ მიმართულებას რომ აძლევს ადამიანთა საქმიანობას, მაშინ ბერიკაცის სიცოცხლე, რაც უფრო ხანდაზმულია იგი, მით უფრო ძალუმიად ცვლის საგნებისა და ადამიანების თანაფარდობათა უზარმაზარ რაოდენობას.

ჩვენს საუკუნეში არსებობს საშინელი ცრურწმენა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ აღტაცებებით ვეგებებით ყოველ ახალ გამოგონებას, რომელიც ამსუბუქებს შრომას, და აუცილებლად მიგვანჩნია ვისარგებლოთ ამ ახალი გამოგონებით, ისე, რომ არც კი ვეკითხებით ჩვენსავე თავს, ზრდის თუ არა ეს გამოგონება ჩვენს ბედნიერებას, ან ხომ არ არღვევს სილამაზეს. ჩვენ იმ გლეხის ქალს ვგავართ, ძალისძალად რომ ასკდება ხორცს, მხოლოდ იმიტომ, რომ წილად ერგო, თუმცა აღარც ჭამის თავი აქვს და საჭმელიც უთუოდ აწყენს. რკინიგზები ფეხ-

* მკვდრებზე ან კარგი (უნდა ითქვას), ან არაფერი. — ლათ.

ით სიარულის მაგივრად, ავტომობილები — ცხენის და საფეიქრო მანქანები საქსოვი ჩხირების ნაცვლად.

მინდა დავიძინო, მაგრამ არ შემეძლია, სწორედ იმიტომ, რომ ჩემს თავს ვეკითხები: ვიძინებ თუ არა? ესე იგი, საკუთარ თავს ვიცნობიერებ. თუ სასიკვდილო სარეცელზე ჩემი თავის გაცნობიერების უნარი შემრჩა, არ მოვკვდები.

სიკვდილი ჯახუნით მიხურული ფანჯარაა, საიდანაც სამყაროს უმზერდი, ან დახრილი ქუთუთოები და ძილი, ან გადასვლა ერთი ფანჯრიდან მეორისაკენ.

რაც უფრო დიდხანს ცოცხლობ, მით უფრო მეტად მოკლდება დროც და სივრცეც. დრო რომ მოკლდება, ეს ყველამ იცის, მაგრამ სივრცეც თუ მოკლდებოდა, ეს მხოლოდ ახლა გავიგე. ყველაფერი სულ უფრო და უფრო კნინდება და ქვეყანა გვეინროება.

დავა მხოლოდ იმის შედეგია, რომ მოდავებს არა სურთ მიუბრუნდნენ იმ დებულებებს, რომლებზედაც თავიანთ დასკვნებს აფუძნებენ. რომ მიბრუნებოდნენ, ალბათ, დაინახავდნენ, რომ ან მათ მიერ აქსიომებად მიჩნეული დებულებები შეუთავსებადნი არიან, ანდა ერთ-ერთს, ან, შესაძლოა, ორივეს არასწორი დასკვნები გამოაქვს თავისთავად სწორი წანამძღვრებიდან.

ხალხი თავისთვის სიდიადის ნიშნებს იგონებს — მეფეები, მხედართმთავრები, პოეტები. მაგრამ ყოველივე ეს სიყალბეა. ყველა მშვენივრად ხედავს, რომ არაფერიც არ არის, და მეფე შიშველია...

სიბერეში არა მარტო ადამიანები, ცხოველებიც კეთილნი ხდებიან. იგივე ითქმის თუ არა მცენარეებზეც? ჩვენ არ ვიცით, რა ხდება მათში, მაგრამ იმას, რაც სიბერისას თავს იჩენს მათ ცხოვრებაში, სიკეთის ნიშანი აქვს: თესლი და ნაყოფი სცვივით, ვალს იხდიან და ბრძოლას წყვეტენ (ლპებიან). ადგილს უთმობენ სხვებს...

მუსიკა სულის სტენოგრაფიაა. აი, რას ნიშნავს ეს: ბგერების სწრაფი თუ ნელი თანმიმდევრობა, მათი ძალა და სიმაღლე, — ყოველივე ამას მეტყველებისას ემატება სიტყვები და მათი მნიშვნელობა, რაც გრძნობების იმ ნიუანსებზე მიგვანიშნებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ჩვენი მეტყველების ნაწილებთან. მუსიკა კი უსიტყვოდ აღწევს გრძნობებისა თუ ნიუანსების ამ გამოხატულებას და ერთმანეთთან აერთებს მათ; ასე ვიღებთ გრძნობების თამაშს მათი გამომწვევი მიზეზების გარეშე. სწორედ ამით აიხსნება მუსიკის უჩვეულო ზემოქმედება. ხოლო მუსიკის შერწყმა სიტყვებთან მისი შესუსტება, უკან დახევა და სტენოგრაფიული ნიშნების ასოებით ამონერაა.

რა საჭიროა და აუცილებელი ერთხელ და სამუდამოდ ამოვიგდოთ თავიდან ყოველგვარი აზრი ჯილდოების, მოწონების, ქებადიდების შესახებ. თუკი რამ კარგის გაკეთება შეგვიძლია, საამისოდ ჩვენთვის არ უნდა არსებობდეს არავითარი საზღაური. საზღაური წინასწარ გვებოძა და, თანაც, ისეთი, რომ ვერავითარი გულმოდგინებით ამ ვალს ვერ გადავიხდით.

ამ ბოლო დროს — ორიოდ წამით — ისე ნათლად წარმომიჩნდება ხოლმე ცხოვრება, რაც უნინ არასოდეს არ მღირსებია. თითქოს რთული განტოლება უმარტივეს გამოხატულებასა და გადაჭრამდე იქნა მიყვანილი.

სულ უფრო და უფრო ხშირად ვფიქრობ მეხსიერებაზე, მოგონებაზე, და სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვნად, არსებითზე უფრო არსებითად მესახება ეს თვისება. მე მივიღე შთაბეჭდილება. ის ანმყოში კი არ არის, მხოლოდ წარსულშია, როცა მოგონების გზით ვინც მის განხილვას და სხვა შთაბეჭდილებებსა თუ აზრებს ვუერთებ. მე მიხაროდა, ან შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს. ანმყოში არც სიხარულია და არც შეურაცხყოფა, ისინი მხოლოდ მოგონებებისას იჩენენ თავს. ჩემს მიერ განცდილ შთაბეჭდილებათა ურიცხვი რაოდენობიდან ძალიან ბევრი რამ დამავიწყდა, მაგრამ მათ თავიან-

თი კვალი დატოვებს ჩემს სულიერ არსებაში. ჩემი სულიერი არსება მათ მიერაა ფორმირებული...

ადამიანის ცხოველური არსება გარედან ელის ბედნიერებას, გონივრული, სულიერი არსებისათვის კი მხოლოდ შინაგანი (ცნობიერი) ძალისხმევითაა საჭირო.

ლაპარაკობენ გლეხების უპატიოსნობაზე, სიცრუესა და ქურდობაზე. საშინელება ისაა, რომ ჩვენ, რომლებმაც გავძარცვეთ და ვძარცვავთ გლეხებს, დიახ, სწორედ ჩვენ მიგვიძღვის ბრალი ამაში. რა პატიოსნება და სინრფელე უნდა მოსთხოვო ადამიანს ყაჩაღების მიმართ, რომლებმაც გაძარცვეს და შეიპყრეს იგი?

დილით ვიღვიძებ და თავს ვეკითხები: რა მელის წინ? პასუხად ვამბობ: არაფერი, სიკვდილის გარდა. არაფერი არ მინდა. ყველაფერი კარგადაა. რა უნდა ვქნა? როგორ ვიცხოვრო? მომავლინებისათვის საჭირო საქმით აავსე სიცოცხლის დარჩენილი დღენი. და რა სიმსუბუქეა, რა სიმშვიდე, რა სილაღე, რა სიხარული!

ბავშვობაში ყველაფერი სურთ, სიჭაბუკესა და მონიფულობაში — რაღაც ერთი, სიბერეში — აღარაფერი.

სიცოცხლე კვდომაა. კარგად სიცოცხლე კარგად სიკვდილს ნიშნავს. ეცადე კარგად მოკვდე.

რა კარგია, რომ ბოროტიც ვარ, ბრიყვიც, საზიზღარიც და ვიცი, რაცა ვარ. მხოლოდ ამის წყალობით შემძლია (სამწუხაროდ, მხოლოდ ხანდახან) მოთმინებით ავიტანო და მივუტევეო სხვებს ბოროტებაც, სიბრიყვეც და საზიზღროებაც.

ნაღვლიანი განწყობილება. დავიწყე ფიქრი: იმის ბრალია, რომ არავის ვუყვარვარ-მეთქი. მერე სათითაოდ ჩამოვთვალე ყველა, ვისაც არ ვუყვარვარ. მაგრამ უცებ გამიელვა თავში: კი მაგრამ, რისთვის უნდა ვუყვარდე? მართალი გითხრათ, არაფრისათვის.

მხოლოდ მე მაინც მიყვარდნენ, დანარჩენი კი თვითონ იციან. უფრო მეტადაც ვუყვარვართ, ვიდრე ვიმსახურებ.

ლამით დიდხანს ვფიქრობდი ჩემზე. მე ხომ ყოვლად უღირსი და უვარგისი კაცი ვარ. ჩემშია ყველა ბიწი, თანაც, რა გალაღებული და ღრმად ფესვგადგმული: შურიც, ანგარებაც, სიძუნწეც, ავხორცობაც, ცუდმედიდობაც, პატივმოყვარეობაც, სიამაყეც და ბოროტებაც. თუმცა, არა, ბოროტება არა, მხოლოდ გაბოროტება, სიცრუე, პირმოთნეობა. მოკლედ, ყველაფერია, გაცილებით მეტი, ვიდრე ადამიანთა უმრავლესობის სულში. ჩემი ხსნა მხოლოდ ისაა, რომ ვიცი ეს და ვიბრძვი, მთელი სიცოცხლე ვიბრძვი. ამიტომაც მეძახიან ფსიქოლოგს...

ცხენით მივდიოდი და ჩემს ცხოვრებაზე ვფიქრობდი: მისი უმეტესი ნაწილის უქნარობისა და უმწეობისთვის. მხოლოდ დილაობით თუ ვასრულებ ჩემს დანიშნულებას — ვნერ. მხოლოდ ამას მოითხოვენ ჩემგან. მე ვილაცის იარაღი ვარ...

ჩვენ არ გვახსოვს წინა სიცოცხლენი იმიტომ, რომ ხსოვნა მხოლოდ ამ სიცოცხლისთვისაა.

ცხენით მივდიოდი ტყეში. ისეთი კარგი იყო, რომ ვფიქრობდი: მაქვს თუ არა უფლება ასე მიხაროდეს სიცოცხლე? და ჩემსავე თავს ვპასუხობდი: დიახ, ყველას ექნებოდა უფლება სიცოცხლეს შეჰხაროდეს, რომ არ იყოს ცოდვა, არ იყოს ტანჯვა და წამება ადამიანებისა ადამიანების მიერ. ახლა კი, როცა არის ცოდვა და არიან მისი უნებური მსხვერპლნი, ნებაყოფლობითი მსხვერპლნიც უნდა იყვნენ, და ჩვენ უფლება არა გვაქვს გვიხაროდეს სიცოცხლე, არამედ მხოლოდ მსხვერპლი, ნებაყოფლობითი მსხვერპლი უნდა გვიხაროდეს.

ფილოსოფიური სისტემები უხეიროდ ნაშენი თაღებია, კირით შეგლესილი, რომ მათი უმტკიცობა არ გამოჩნდეს. გაუთლელი ქვით ნაგები თალი, თუ არ იშლება, მამასა-დამე, მტკიცეა. მეტიც, ყველაზე მტკიცე თალი ისაა, გაუცნობიერებლად რომ შენდებოდა, როგორც ბუნებრივი მღვიმეები.

არის თუ არა ღმერთი? არ ვიცი, ვიცი, რომ არის ჩემი სულიერი არსის კანონი. ამ კანონის წყაროს და მიზეზს მე ვუნოდებ ღმერთს.

დასავლელი ხალხები ძალიან დანინაურდნენ ჩვენთან შედარებით, მაგრამ მცდარი გზით დანინაურდნენ. იმისათვის, რომ სწორ გზას დაადგენ, გვარიანი მანძილის გავლა მოუწევთ უკან. ჩვენ კი სულ ოდნავ უნდა გადავუხვიოთ იმ მცდარი გზიდან, რომელსაც ეს-ესაა დავადექით, და რომლითაც ჩვენს დასაწევად მოისწრაფიან დასავლელი ხალხები.

რა არის ბუნება? შთამომავლებში გამეორებული წინაპართა ნაკვებები. ასე რომ, ყოველი ცოცხალი არსება საკუთარ თავში შეიცავს თავისი წინაპრების ყველა ნაკვთს, ან მათ შესაძლებლობას (თუ ვერწმუნებით დარვინიზმს, მაშინ არსებათა უსასრულო კიბისაც) და მთელ შთამომავლობას გადასცემს თავის ნაკვებებსაც, რომლებიც უსასრულოდ იცვლიან სახეს. ამრიგად, ყველა არსება, ჩემი ჩათვლით, მხოლოდ რომელიღაც ერთი, დროის მიერ დანაწევრებული უსასრულო არსების პანანინა ნაწილაკია. თვითეული ადამიანი, თვითეული არსება მხოლოდ წერტილია უსასრულო დროში და უსაზღვრო სივრცეში. ასე მეც, ლევ ტოლსტოი, მხოლოდ დროებითი გამოვლენა ვარ ტოლსტოების, ვოლკონსკების, ტრუბეცკოების, გორჩაკოვებისა და სხვათა და სხვათა. მე ვარ ნაწილაკი არა მარტო დროული, არამედ სივრცული არსებობისაც, და ამ უსასრულობიდან მხოლოდ იმის წყალობით გამოვიყოფი, რომ ჩემს თავს ვიცნობიერებ.

სასეირნოდ ვიყავი. შემოდგომის მშვენიერი დილა, სიჩუმე, სითბო, სიმწვანე, ფოთლების სუნი. ადამიანები კი, ამ საოცარი ბუნების ნაცვლად, მისი მინდვრებით, ტყეებით, წყლით, ფრინველებით და ცხოველებით, ქალაქებში თავიანთთვის სხვა, ხელოვნურ ბუნებას ქმნიან, ქარხნის მიღებით, სასახლეებით, ლოკომობილებით, ფონოგრაფებით... საშინელებაა, და ვერაფრით გამოასწორებ...

ჩვენ გვიკვირს, როცა მცენარე გონიერების ნიშნებს ამჟღავნებს. არანაკლებ საკვირველია, როცა გონიერი არსება მხოლოდ ცხოველური თუ მცენარეული სიცოცხლის ნიშნებს ავლენს.

ძმობა, თანასწორობა, თავისუფლება — უაზრობაა, როცა მათ მხოლოდ ცხოვრების გარეგნული ფორმის მოთხოვნებთან აიგივებენ. ამიტომაც მიუსართეს: "ou la mort".* სამივე ეს მდგომარეობა ადამიანისთვისებათა შედეგია: ძმობა — სიყვარულია. თუ ერთმანეთი გვეყვარება, მხოლოდ მაშინ იქნება ძმობა კაცთა შორის. თანასწორობა — თვინიერებაა. თუ ქედმაღლობას მოვიშლით და ყველაზე დაბლა დავაყენებთ თავს, ყველანი თანასწორი ვიქნებით. თავისუფლება — ყველასათვის საერთო საღმრთო სჯულის აღსრულებაა. მხოლოდ საღმრთო სჯულის აღსრულება მოგვანიჭებს თავისუფლებას.

როგორც შეიძლება თავი მიაჩვიო იმას, რომ სიცოცხლის მიზნად თანამდებობა, სიმდიდრე, დიდება, ან, თუნდაც, ნადირობა თუ კოლექციონერობა მიგაჩნდეს, ასევე შეიძლება მიეჩვიო იმასაც, რომ სიცოცხლის მიზნად სრულქმნილება, დაწესებულ ზღვართან თანდათანობითი მიახლოება გესახებოდეს...

საოცარია, ადამიანები ვერ ხედავდნენ იმას, რომ ღრმა შინაგანი მიზეზი და შედეგები რევოლუციისა, რაც ახლა რუსეთში ხდება, შეუძლებელია ასი წლის წინანდელი რევოლუციის მიზეზ-შედეგთა იდენტური არ იყოს.

საშინელებაა, როცა ადამიანი, ვისაც თავისი სიცოცხლე სხეულის სიცოცხლე ჰგონია, ხედავს, როგორ ირღვევა ეს სხეული, და, თანაც, რა საშინელი ტანჯვით ირღვევა. იმას კი, ვისაც თავის სიცოცხლედ სულის სიცოცხლე მიაჩნია, სხეულის რღვევა მხოლოდ სულის განმტკიცება-გაძლი-

* „ან სიკვდილი“ (ფრანგ.).

ერებად ესახება, ტანჯვა კი — ამ რღვევის აუცილებელ პირობად.

რაც უფრო მეტად ბერდები, მით უფრო ნაკლებად გრძნობ ადამიანების რეალურობას. ბავშვობაში ყველა ადამიანი, ვისაც ვიცნობდი, მეგონა, უცვლელი იყო. მაგრამ სიცოცხლის მოძრაობის კვალდაკვალ, ისინი, სულ უფრო და უფრო მეტად, სულიერ გამოვლინებებად მესახებიან. და ახლა ჩემთვის პატარა ტანერკა უკვე გარკვეული არსება კი არ არის, არამედ სულის გამოვლენის ფორმა.

ერიდე ყველაფერს, რაც თიშავს ადამიანებს, და აკეთე ყველაფერი, რაც მათ აერთებს.

სიცოცხლის საქმე, გარდა შინაგანისა, მხოლოდ ერთია: სიტყვით, საქმით თუ რწმენით ზრდიდე სიყვარულს ხალხში.

დღევანდელ ახალგაზრდა თაობას არამცთუ არა სწამს არავითარი რელიგია, არამედ სწამს, დიას, სწამს, რომ ყოველგვარი რელიგია სისულელეა.

კაცს კარგი ვერ გაურჩევია ავისაგან და ჩამოვარდნილი აეროლითისა თუ სიტყვა „ჭიოტას“ წარმომავლობის შესახებ კი წერს გამოკვლევას!

სიცოცხლე სულიერების უწყვეტი ზრდაა. მაგრამ ბავშვობაში და სიჭაბუკეში, როცა სულიერ ზრდასთან ერთად ხდება ხორციელი ზრდაც, ადამიანები ადვილად იჯერებენ, რომ ხორციელი ზრდა მთელი სიცოცხლეა, და სრულიად ივიწყებენ სულიერ სიცოცხლეს. შეცდომა აშკარავდება, როცა სხეული რღვევას იწყებს, მაგრამ მისი გამოსწორება ძნელია ინერციისა თუ ჩვეულების გამო.

თუ მდიდარს სინიდისი არ დაუკარგავს, მას სიმდიდრისა რცხვენია, და ცდილობს თავი დაიხსნას მისგან. მაგრამ მისგან თავის დახსნა თითქმის ისევე ძნელია, როგორც

ღარიბისთვის — გამდიდრება. მთავარი სიძნელე ოჯახია. ჩვეულება შეიძლება დასძლიო, მაგრამ ოჯახი?

სიცოცხლის საქმე ის კი არ არის, რომ დიდი, მდიდარი და სახელოვანი იყო, არამედ ის, რომ სულს მოუარო.

თითქოს რა ადვილი უნდა იყოს შენი ეგოიზმის მიხედვით სხვების ეგოიზმის გაგება, მაგრამ ჩვენ სათანადოდ არასოდეს არ გვესმის ეს, ხოლო თუ გვესმის, არ გვახსოვს.

უბრალოება ჭეშმარიტების აუცილებელი პირობა და ნიშანია.

დღითიდღე სულ უფრო და უფრო გულმავიწყი ვხდები. დიდხანს მეძინა და გამოღვიძებულმა ვიგრძენი სრულიად უჩვეულო, დღემდე განუცდელი განთავისუფლება პიროვნებისგან. რა შეედრება ამას? ნეტა საბოლოოდ გავთავისუფლდე. ძილისა თუ სიზმრისაგან გამოფხიზლება, — აი, ამნაირი განთავისუფლების ნიმუში.

...თუ ვნერ, მხოლოდ იმიტომ, რომ არ შემიძლია ვდუმდე.

აი, უტყუარი ნიშანი იმისა, რომ მთელი ჩემი მოღვაწეობა ფუჭია: არამცთუ მდევნიან, მაქებენ კიდევ. თავმდაბლობისთვის კარგია.

დღეს დღით, სანოლში მწოლიარემ, განვიცადე რა ხანია განუცდელი გრძნობა ეჭვისა ყველაფრის მიმართ. ბოლოს და ბოლოს, ერთი რამ მაინც რჩება: სიკეთე, სიყვარული, — ის, რასაც ვერავინ წაგართმევს...

სიკვდილი ნიშნავს იქ წასვლას, საიდანაც მოსულხარ. რა არის იქ? ალბათ ყველაფერი კარგია, თუ იმ საოცარი არსებების — ბავშვების მიხედვით ვიმსჯელებთ, რომლებიც იქიდან მოდიან.

ამბობენ, რომ არის სამი დრო — წარსული, აწმყო და მომავალი. რა უხეში და მავნე

შეცდომაა. არსებობს მხოლოდ დროის ორი სახე: წარსული და მომავალი; ანმყო კი დროის გარეშეა, ისევე, როგორც ჭეშმარი-ტი, თავისუფალი სიცოცხლე. რა არსებითია ამისი ცოდნა. შეიძლება ცოცხლობდე მხოლოდ ანმყოთი, ე.ი. თავისუფლად...

ცუდია, რომ ქვა მაგარია, როცა მისი გაჭრა გასურს, ხოლო თუ ქვა სალესად გინდა, მაშინ, რაც უფრო მაგარია, მით უკეთეს. იგივე ითქმის იმის მიმართაც, რასაც სიმწარეს ვუნოდებთ.

სამი დღის წინ ბრმა იყო ჩემთან, რომელმაც ლანძღვით ამიკლო. გუშინ ვინახულე ნიკოლაევთან და ვუთხარი, რომ მიყვარს იგი: 1) იმიტომ, რომ საღვთო ჭეშმარიტებას ეძებს; 2) იმიტომ, რომ მოძულეა და შეურაცხყოფელი, რომელიც მე უნდა მიყვარდეს; 3) იმიტომ, რომ, შესაძლოა, რამეში ვჭირდები, და დამშვიდობებისას ხელი ჩამოვართვი. ნასვლისას ჩემი ნახვა მოინდინა. მე გამიხარდა. მან კი მითხრა: ჩემდა უნებურად ჩამოვართვი ხელი, მე კი არ შემიძლია ჩამოვართვა არამზადას, თაღლითს, ფარისეველს და პირფერსო... სოფია ანდრეევანამ უბრძანა დაგვტოვეთო, მე კი მოვასწრე მეთქვა, რომ გულწრფელად მიყვარს იგი. ო, ყველასთან რომ ასე შემეძლოს...

აი, რა არის ახლა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ძვირფასი, სასიხარულო: რა კარგია, საჭირო და სასარგებლო, ყოველთვის, როცა რაიმე მოგესურვება, შენს თავს ჰკითხო: ვისია ეს სურვილი, ტოლსტოისა თუ ჩემი? თუ გამახსენდა, რომ ტოლსტოი მე არა ვარ, საკითხი საბოლოოდ წყდება. ტოლსტოის ავადმყოფობის, გმობისა და ათასი სხვა წვრილმანისა ეშინია, რომლებიც ასე თუ ისე მოქმედებენ მასზე. საკმარისია ვკითხო ჩემს თავს: კი მაგრამ, მე რა? ამით ყველაფერი მთავრდება და ტოლსტოი დუმს. შენ, ტოლსტოის, ესა და ეს გინდა ან არ გინდა — ეს შენი საქმეა. ხოლო იმისი ასრულება, რაც შენ გინდა, შენი სურვილების სამართლიანობის აღიარება — მე მეკითხება. ხომ იცი, რომ მოვალე ხარ და არ შეგიძლია არ დამემორჩილო, და რომ ჩემდამი მორჩილება შენი სიკეთეა?

კაცმა გაძარცვა მთელი სოფელი, ერთად დაახვავა ნაძარცვი და დარაჯად დადგა.

მოვიდა შიშველ-ტიტველი და ხალათი გააყოლა ხელს. მძარცველმა დაიჭირა და მის მიერვე შედგენილი კანონს თანახმად დასაჯა. განა იგივე არ ითქმის ყველა მდიდარზეც ღარიბებს შორის და, უწინარეს ყოვლისა, მინათმფლობელებზედაც, განუწყვეტილად რომ ძარცვავენ ათასობით და მილიონობით ადამიანს? მათი ყანიდან წაიღეს ძროხისა თუ ცხენის საკვები, მაგრამ მძარცველს კი არ სჯიან, არამედ იმას, ვინც მისთვის აუცილებელი საკვები წაიღო ყანიდან, რომელიც სწორედ მას ეკუთვნის ყველაზე უდავო და ეჭვშეუვალი აქტის თანახმად.

ვიდრე მიიღებდნენ კანონს, ცალულის, ხე-ტყის, თივის ქურდობას რომ კრძალავს, მანამდე ადამიანთა ყველაზე კანონიერი საკუთრების — მიწის მიტაცების ამკრძალავი კანონი უნდა მიეღოთ.

ნუთუ არ შეიძლება გონების სუსტი მუშაობა ტვინში სისხლის არასაკმარისი მიწოდებით, ხოლო სულის პირქუში განწყობილება ღვიძლის დაავადებით კი არ ავხსნათ, პირიქით, ტვინში სისხლის არასაკმარისი მიწოდებისა და ღვიძლის დაავადების მიზეზად ის მივიჩნიოთ, რომ თვით გონება მუშაობს სუსტად და საკუთრივ სულია პირქუში? ერთი განუყოფელია მეორისაგან. რაღა მიზეზი და რაღა შედეგი. ჩვენ კი, ჩვეულებრივ, ფიზიკურს მივიჩნევთ სულიერის მიზეზად. ეს იმიტომ, რომ ყურადღება სულიერზე კი არა, ფიზიკურზე გვაქვს გადატანილი.

ყველაზე რთული და კრიტიკული ასაკი ისაა, როცა ადამიანი წყვეტს ფიზიკურ განვითარებას. ჩემი აზრით, ეს დაახლოებით 35 წელია. სხეულის ზრდა, ფიზიკური განვითარება მთავრდება და სულიერი ზრდა-განვითარება უნდა დაიწყოს. ადამიანებს უმეტესწილად არ ესმით ეს და მხოლოდ ფიზიკურ განვითარებაზე განაგრძობენ ზრუნვას. ეს მცდარი მიდგომა კი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

პირველი აზრი, რამაც თავში გამიელვა, როცა ლამანშუზე გადაფრენის ამბავი გავიგე, ის იყო, თუ როდის დაიწყებდნენ თვითმფრინავების გამოყენებას ომებისა და ხოცვა-ჟლეტისთვის.

* * *

ხელოვნების ნაწარმოები მხოლოდ მაშინაა ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოები, როცა მისი აღქმისას ადამიანს ეჩვენება, და არა მარტო ეჩვენება, უხარია კიდევ, რომ ასეთი მშვენიერი რამ შექმნა. განსაკუთრებით ძალუმად იგრძნობა ეს მუსიკაში. არაფერში ასე ნათლად არ ვლინდება ხელოვნების ძირითადი დანიშნულება, გაერთიანების დანიშნულება. ხელოვანის „მე“ ერთად შერწყმული ყველა აღმქმელის „მე“-ს ერწყმის.

* * *

ჩვენი ინტელექტუალური სამყაროს ადამიანთა შეზღუდულობის ერთი მთავარი მიზეზი ესაა: დაუოკებელი სწრაფვა ყოველივე თანადროულის მიმართ, რათა ზერელე წარმოდგენა მაინც ჰქონდეთ იმის შესახებ, რაც დაინერა სულ ბოლო ხანს. „ვაითუ გამომჩეს და გამომეპაროსო“. არადა, ყველა დარგში წიგნების მთები იწერება. და ყველა მათგანი, აღქმისა და გაგების სიიოლის წყალობით, ყველასთვის ხელმისაწვდომია. რაზედაც უნდა ჩამოვარდეს სიტყვა, მაშინვე — „ჩელპანოვი, კუნი, ბრედიგინი წაიკითხეთ? აა, არ წაგიკითხავთ? მაშინ რაღა გალაპარაკებთ?“ ჰოდა, რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა წაიკითხო. წასაკითხი კი მთებადაა დახვავებული. და ეს სისწრაფე, თავის გამოტენა თანამედროვე უხამსობით და უაზრობით, მთლიანად გამორიცხავს სერიოზული, ნამდვილი, საჭირო ცოდნის შეძენის ყოველნაირ შესაძლებლობას. არადა, თითქოს რა ამკარაა შეცდომა. ჩვენს ხელთა ათასწლეულების მანძილზე მილიარდობით და მილიარდობით ადამიანს შორის გამორჩეულ დიდ მოაზროვნეთა მემკვიდრეობა, და მთელი ეს მემკვიდრეობა დროის მიერ საცერსა თუ ცხრილშია გატარებული და გაცხრილული. უკუგდებულია ყოველივე უმნიშვნელო და უღიმღამო, დარჩა მხოლოდ თვითმყოფი და არსებითი, ღრმა და საჭირო; დარჩა ვედები, ზოროასტრი, ბუდა, ლაო-ძი, კონფუცი, მენ-ძი, ქრისტე, მუჰამედი, სოკრატე, მარკუს ავრელიუსი, ეპიქტეტე, და ახლები: რუსო, პასკალი, კანტი, შოპენჰაუერი და სხვა მრავალი. ადამიანებმა კი, გაფაციცებით რომ ადევნებენ თვალს ყოველივე თანადროულს, არაფერი იციან მათ შესახებ და ბრელოთი და ნაგვით იტენიან თავს, ნაგვით, რომელიც ქარს გაჰყვება და ალარაფერი აღარ დარჩება მისგან...

* * *

არ მიყვარს, მეტიც, მიუტევებლადაც კი მიმარჩნია ფილოსოფიურ-ეთიკური საკითხების პოეტური, მხატვრული თუ დრამატული გაბიბრება და გამასხრება, როგორც, მაგალითად, გოეთეს „ფაუსტში“ და სხვ. ამ საკითხებზე ან საერთოდ არ უნდა ილაპარაკო, ანდა, თუ ილაპარაკებ, უდიდესი სიფრთხილით და ყურადღებით, ფრაზების რიტორიკისა და, ღმერთო, შეგვიწყალო, — რითმების გარეშე...

* * *

სულ უფრო და უფრო ამკარად ვგრძნობ სიკვდილის მოახლოებას. უეჭველია, რომ ჩემი და, ალბათ, ყველა ადამიანის სიცოცხლე ხანდაზმულობაში უფრო სულიერი ხდება. იგივე ითქმის მთელი კაცობრიობის სიცოცხლეზედაც. ესაა ყოველი სიცოცხლის არსი და აზრი, ამიტომ ჩემი სიცოცხლის აზრიც მის გასულიერებაში მდგომარეობს. ამის შეგნება და ამ შეგნებითვე საქმის კეთება გარწმუნებს, რომ შენთვის განკუთვნილ საქმეს აკეთებ: თვითონაც სულიერდები და შენი სიცოცხლით თუნდაც სულ ოდნავ ხელს უწყობ საერთო გასულიერებას და სრულქმნილებას.

* * *

არ მისაძლია. საზარელი ტანჯვა ჩემი სიცოცხლის სიბილწის გამო, სიცოცხლისა მშრომელთა შორის, რომელნიც იმისთვის შრომობენ, რომ თავი დააღწიონ სიცივით და შიმშილით სიკვდილს და იხსნან თავისი ოჯახიც. გუშინ თხუთმეტი სული უჯდა სუფრას და ბლინებს სანსლაგდა, ხუთი თუ ექვსი მეოჯახე კაცი კი თავქუდმოგლეჯილი დარბოდა აქეთ-იქით, ძლივს ასწრებდა სახეთქის მომზადებას და სუფრაზე მოტანას. საშინლად ვიტანჯები, მრცხვენია. გუშინვე გვერდით ჩავუარე ქვისმთლელებს; თითქოს ალაიაში გამატარესო. დიახ, მძიმეა, მტანჯველია გაჭირვება, შური და ბოღმა მდიდრების მიმართ, მაგრამ არ ვიცი, უფრო მტანჯველია თუ არა ჩემი სიცოცხლის სირცხვილი.

* * *

წინსვლა ნელია, თაობათა საფეხურებით. ერთი ნაბიჯის გადასადგმელად საჭიროა, რომ ამოწყდეს მთელი თაობა. ახლა საჭიროა, რომ ამოწყდნენ ბატონები, საერთოდ, მდიდრები, რომლებსაც სიმდიდრისა არა რცხვენიათ, და რევოლუციონერები, რომ-

ლებსაც ცხოვრებისა და შეგნების მტანჯველი შეუსაბამობა კი არ აქეზებთ, არამედ მხოლოდ რევოლუციის, როგორც პროფესიის, პატივმოყვარეობა. რა აუცილებელია ბავშვების, — მომავალი თაობების აღზრდა.

ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა ცხოველური ცხოვრებით ცხოვრობს; ადამიანურ საკითხებში კი ბრმად ემორჩილება საზოგადოებრივ აზრს.

აზრის ძალისხმევა, როგორც თესლი, საიდანაც აღმოცენდება უზარმაზარი ხე, უხილავია; არადა, სწორედ მისგან აღმოცენდება ადამიანთა ცხოვრების ყველა ხილული ცვლილება.

გლებები საჭიროდ თვლიან იცრუონ, თანაბარ პირობებში სიცრუეს არჩევენ სიმართლეს. ეს იმიტომ, რომ ისინი მიაჩვიეს ამას, რადგანაც ყოველთვის ცრუობენ, როცა მათთან და მათზე ლაპარაკობენ.

ყველაფერი ძალიან მარტივადაა. დამპყრობლებმა, მკვლევებმა. მძარცველებმა დაიმონეს მშრომელი ხალხი. რაკი ძალაუფლება იგდეს ხელთ და შეუძლიათ შრომის ნაყოფი გაანაწილონ, ისინი თავიანთი ძალაუფლების გასავრცობად, შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად დამონებულთაგან თანამემნეებს ინვევენ ხალხის საძარცვად, სამაგიეროდ კი საძარცვის გარკვეულ ნილს უთმობენ. ის, რაც მარტივად და აშკარად ხდებოდა უნინ, დღეს ნამაღევად და ფარულად ხდება. დამონებულებს შორის ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც არ თაკილობენ ძარცვაში მონაწილეობას; ხშირად, მით უმეტეს, დღეს, არც კი ესმით, რას სჩადიან და გამორჩენის გულისთვის მონაწილეობენ თავიანთი ძმების ჩაგვრაში. ასე იქცევა დღეს არა მარტო ჯალათი, სალდათი, ჟანდარმი თუ მეციხოვნე, არამედ სენატორიც, მინისტრიც, ბანკირიც, პარლამენტის წევრიც, პროფესორიც, არქიელიც, და ეს, ეტყობა, შეუძლებელია სხვა რამით დამთავრდეს, გარდა იმისა, რომ, ჯერ ერთი, ეს ტყუილი შეიძლება გამოაშკარავდეს, ანდა, მეორეც, ზნეობრივ-

მა განვითარებამ ისეთ სიმალლეს მიაღწიოს, რომ ხალხმა უარი თქვას გამორჩენაზე, ოღონდ კი მოყვასთა დამონებასა და ტანჯვა-წამებაში მონაწილეობა არ მიიღოს...

დღეს პირველად ვიგრძენი ასე ცხადად მთელი ამ სამყაროს შემთხვევითობა. რატომაა, რომ მე, ასეთი ნათელი, უბრალო, გონიერი და კეთილი ამ აწეწილ-დაწეწილ, რთულ, შეშლილსა და უკეთურ სამყაროში ვცხოვრობ? რატომ?

იშვიათად თუ მინახავს ადამიანი, ჩემზე უხვად დაჯილდოებული ამდენი ბინით: ავხორცობა, ანგარება, ბოროტება, პატივმოყვარეობა და, რაც მთავარია, თვითმოყვარეობა. მადლობას ვწირავ უფალს, რომ ვიცი ეს, ვხედავდი და ვხედავ ჩემში მთელ ამ სიბილწეს და მაინც ვებრძვი. სწორედ ამით აიხსნება ჩემი ნაწერების წარმატება.

უნინ მთავრობა მარტოდენ ეკლესიის დახმარებით ატყუებდა ხალხს, რათა მასზე ემბრძანებლა, ახლა კი იგივე მთავრობა ამ საქმისთვის თანდათანობით ამზადებს მეცნიერებასაც, და მეცნიერებაც დიდი მონდომებითა და გულმოდგინებით უჭერს მხარს.

ცოდნასა და მეცნიერებას შორის განსხვავებაა. ცოდნა — ყველაფერია, მეცნიერება კი — ამ ყველაფრის ნაწილი. ასეთივე განსხვავებაა რელიგიასა და ეკლესიას შორის.

იმას კი არ უნდა კითხულობდე, თუ რისთვის ცოცხლობ, არამედ იმას, თუ რა აკეთო.

როგორც შეუძლებელია ტბის ერთ ადგილას წყლის დონის უფრო მეტად აწევა ან დაწევა, ვიდრე მეორეგან, ასევე შეუძლებელია მატერიალური საშუალებებით სიკეთის ზრდაც და კლებაც.

თარგმნა ბაჩანა ბრეხვაძე





ვასილი როზანოვი

დიდი ინკვიზიტორის ლეგენდის შესახებ

თქვა უფალმა ღმერთმა: აჰა, გახდა ადამი როგორც ერთი ჩვენთაგანი, შემცნობელი კეთილისა და ბოროტისა. არ გაინოდოს ახლა ხელი და არ მოწყვიტოს სიცოცხლის ხის ნაყოფიც, არ შეჭამოს და მარადიულად არ იცოცხლოს.

გაუშვა იგი უფალმა ღმერთმა ედემის ბაღიდან, რომ დაემუშავებინა მიწა, საიდანაც იყო აღებული.

დაბადება, III

ერთ ფანტასტიკურ ნოველაში გოგოლი მოხუცი მევახშის შესახებ გვიამბობს, რომელმაც სიკვდილის წინ თავისთან მხატვარი მიიწვია და დაჟინებით სთხოვა, მისი პორტრეტი დაეხატა; მხატვარს სამუშაო უკვე დაწყებული ჰქონდა, როდესაც ერთბაშად მისდამი საშინელი ზიზლით აღივსო. ამ ზიზლს ერთგვარი აუხსნელი შიშიც დაერთო. მევახშე კი მის სამუშაოს მთელი გული-სყურით აკვირდებოდა და სახეზე რაღაც დარდი და მწუხარება უკრთოდა; როგორც კი დაინახა, რომ თვალები მზად იყო, მწუხარება სიხარულმა შეცვალა. მხატვარმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, ნამუშევრისათვის თვალის შევლება სურდა, მაგრამ შეხედა თუ არა სურათს, მუხლები აუკანკალდა: დაუსრულებელი პორტრეტი ჭეშმარიტ სიცოცხლეს ასხივებდა, იმ სიცოცხლეს, რომელიც ორიგინალში უკვე ძლივსღა ბჟუტავდა და რაღაც იდუმალი სასწაულის ძალით ამ ასლში გადაენაცვლა. პალიტრა და ფუნჯი ხელიდან გააგდო და შეშინებული გაიქცა ოთახიდან. რამდენიმე საათის შემდეგ მევახშე მიიცვალა. მხატვარმა კი მონასტერში დაასრულა სიცოცხლე.

ეს ნაწარმოები უნებლიეთ მოგვაგონდა, როდესაც დოსტოევსკის ცნობილი ლეგენდის შესახებ დავაპირეთ საუბარი. მისი ფან-

ტასტიკურობის მიღმა თითქოს ბუნდოვნად მოჩანს ჭეშმარიტება; ალბათ სწორედ მისი წყალობით ამოტივტივდა ჩვენი მეხსიერების ზედაპირზე ეს და არა სხვა მივიწყებული მოთხრობა და ჩვენი ფიქრის საგანს დაუკავშირდა. იქნებ გოგოლმა მასში ხელოვანის სულის ერთგვარი საიდუმლო ამოიკითხა, რაღაც ისეთი, რასაც საკუთარ თავში გრძნობდა? ხელოვანის ქმნილებაში გადასული სიცოცხლე, უძლიერესი წყურვილი: არ მოკვდე მანამ, ვიდრე არ განხორციელდება ეს სასწაულებრივი გადაენაცვლება — ეს იმას მოგვაგონებს, რაც მხატვრების, პოეტების თუ კომპოზიტორების ცხოვრების უმთავრეს არსს შეადგენს. ოღონდაც გოგოლი ერთურთისაგან მიჯნავს გამოსახულ საგანსა და გამომსახველ შემოქმედს, რითაც შენიღბულ ალეგორიას გვთავაზობს. თუკი ამ ორს გავაერთიანებთ, მიიღებთ ნებისმიერი დიდი შემოქმედის ბედისწერისა და პიროვნების ასახვას.

იქ, „საიდანაც არ ბრუნდებიან“, ცხადია, სიცოცხლე გრძელდება. მაგრამ მის შესახებ არაფერს გვიამბობენ და ეს ალბათ რაღაც უცხო, ჩვენი ცოცხალი სწრაფვებისათვის მეტისმეტად აბსტრაქტული, ცივი და ბუნდოვანი სიცოცხლეა. ამიტომაცაა, ადამიანი ასე ძლიერ რომ ეკვრის მიწას, ასე შიშობს მასთან განშორებას. და რაკილა ეს, ადრე თუ გვიან, მაინც გარდუვალია, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა განშორება სრული არ იყოს. მიწიერი უკვდავების წყურვილი ადამიანის ყველაზე უფრო გასაოცარი და უეჭველი განცდაა. იქნებ საკუთარ, უკვე მჭკნარ სიცოცხლეზე მეტად ამიტომაც გვიყვარს ბავშვები, მათ სიცოცხლეს ამიტომაც დავკანკალებთ; ხოლო თუკი შვილიშვილებსაც მოვესწარი, ისინი საკუთარ შვილებზე მეტად გვეძვირფასება. იმ ნუთებშიც კი,

როდესაც სრულებით არ გვწამს იმქვეყნიური არსებობისა, ეს მაინც ერთგვარ ნუგეშს გვანიჭებს: „თუნდაც დავიხოცოთ, დარჩებიან ჩვენი შვილები, მათ შემდეგ კი — მათი შვილები“¹, — ასე ვამბობთ გულში და უფრო მეტად ვეკვრით ძვირფას მინას. მაგრამ ეს უკვდავება, ჩვენი სისხლის ეს სიცოცხლე მას მერე, რაც ჩვენ თვითონ მტვრად ვიქცევით, არასრულყოფილია: ეს ერთგვარი დაქუცმაცებული, ურიცხვ თაობაში დანაწევრებული ყოფაა, რომელშიც იკარგება ის უმთავრესი, რაც საკუთარ თავში გვიყვარს: ჩვენი ინდივიდუალობა, ჩვენი პიროვნული მთლიანობა. შეუდარებლად უფრო სრულია ის უკვდავება, სულის დიად ქმნილებებში რომ ხორციელდება; მათში შემოქმედი საკუთარი პიროვნების განსაკუთრებულ ნაკვთებს, გონების ყველა წახნაგს და სინდისის სანუკვარ სიღრმეებს აუკვდავებს. მას ზოგჯერ არ სურს სულის ამა თუ იმ მხარის გამოაშკარავება, მაგრამ პიროვნული უკვდავების წყურვილი იმდენად იპყრობს, რომ თავის ამ მხარესაც შეფარულ-შენილებული სახით გვიტოვებს თავის ქმნილებაში: გაივლის საუკუნეები, ეს ნაკვთიც სააშკარაოზე გამოვა და ჩვენ წინაშე სრულყოფილად წარსდგება ის, ვინც ხალხის მზერას აღარ უფრთხის. „ცამდე აღმართე შენი პირამიდა, ბედკრულო ადამიანო“², — თითქოსდა ამ განცდით ატანილი, ამბობს გოგოლი.

ასე თუ ისე, ამგვარი ქმნადობით მოგვრილი სიხარული ნამდვილი გამონათებაა იმ ბინდში, რომლითაც თითოეული პოეტის, მხატვრის, კომპოზიტორის სულია შებურული. მათ უფსკრული ამორებით სხვა ადამიანთა ცოცხალი სამყაროსაგან, მათი სიხარულისა და დარდისაგან, სხვა თაობებთან კავშირს შეიგრძნობენ, ვისგანაც ჩვენ საუკუნეები გვაშორებს, გუნებაში მათი ცხოვრებით ცხოვრობენ, მათ სიხარულს იზიარებენ, მათთან ერთად შრომობენ. ამ უცნაური, ერთობ დაუჯერებელი არსებობის ნაკვთებს ნებისმიერი დიდი შემოქმედის ბიოგრაფიაში ამოიკითხავთ. შემთხვევითი როდია ის, რომ ან გარდაცვლილი პროფესორი უსოვი, ნატურასტი და, ამავდროულად, ხელოვნების უბადლო მცოდნე, ხელოვნებას „ილუზიათა სამყაროს“ უწოდებს. აღსანიშნავია, რომ თითოეული ხელოვანის

შემოქმედებაში ვპოულობთ ერთ ან რამდენიმე ცენტრს, რომლის გარშემო მთელი მისი ქმნილებები იყრიან თავს: ისინი გვევლინება მცდელობებად რაღაც მტანჯველი აზრის გამოხატვისა და, როცა ეს აზრი, როგორც იქნა, გამოითქმის, ქვეყანას შემოქმედის სიყვარულით გამთბარი და სხვათა თვალში უქრობი შუქით გაცისკროვნებული ქმნილება ევლინება. ასეთია გოეთეს „ფაუსტი“, ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია, რაფაელის „სიქსტეს მადონა“. ეს ფსიქიკური საქმიანობის შედეგებია, ისინი მთელ კაცობრიობას უყვარს, როგორც ნიმუშები თავისი საუკეთესო შესაძლებლობებისა, რომლებიც მსოფლიო ისტორიაში ისევე იშვიათია, როგორც განსაკუთრებული გამოხრწყინებანი ყოველი ადამიანის ცხოვრებაში.

ერთ-ერთ ამგვარ ქმნილებაზე გვსურს შევჩერდეთ. თუმცა ჩვენ მიერ ამორჩეული მწერლის სხვა ქმნილებებისა და თვით მისი პიროვნების მსგავსად, ისიც განსაკუთრებული ტკივილითაა განმსჭვალული. ეს განსვენებული დოსტოევსკის მიერ შექმნილი „ლეგენდაა დიდი ინკვიზიტორის შესახებ“. როგორც ცნობილია, ის მხოლოდ ეპიზოდი გახლავთ მისი უკანასკნელი ნაწარმოებიდან „ძმები კარამაზოვები“, თუმცა რომანის ფაბულასთან მისი კავშირი იმდენად სუსტია, რომ ის შეგვიძლია დამოუკიდებელ ნაწარმოებად განვიხილოთ. სამაგიეროდ, გარეშე კავშირის ნაცვლად რომანსა და „ლეგენდას“ შორის სიღრმისეული კავშირი არსებობს: მთელი ნაწარმოების სული სწორედ ეს „ლეგენდაა“ და ყოველივე დანარჩენი მის გარშემო ისევე იკრებს თავს, როგორც ვარიაციები თემის გარშემო. მასშია ჩამალული ავტორის სანუკვარი აზრი, რომლის გარეშე არამცთუ ეს რომანი, არამედ მისი არც ერთი ნაწარმოები არ დაინერებოდა: ყოველ შემთხვევაში, მათ საუკეთესო და უმნიშვნელოვანესი ადგილები მოაკლდებოდა.

I

ჯერ კიდევ 1870 წლის 25 მარტს აპოლონ მაიკოვისადმი მიწერილ წერილში დოსტოევსკი, სხვათა შორის, მოიხსენიებს დიდი რომანის ჩანაფიქრს, რომელსაც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გეგმავდა, ახლა კი წერის დაწყებასაც აპირებდა, რადგან თავისუფალი დრო გამოუჩნდა. „იდეა (ამ რომანისა), — ამბობს ის წერილში, — სწორედ ისაა, რის შესახებაც წინათ გწერ-

¹ ფ. დოსტოევსკი, „ყმანვილი“.

² „არაბესკები“.

დით. ეს ჩემი უკანასკნელი რომანი იქნება. მოცულობით „ომისა და მშვიდობის“ მსგავსი. მჯერა, იდეასაც უსათუოდ შემიქვით, რამდენადაც ჩვენი უწინდელი საუბრები მაგონდება. რომანი ხუთი დიდი ნაწილისაგან იქნება შემდგარი (თითოეული — 15 ფურცლიანია. ორი წლის განმავლობაში მთელი გეგმა მოვამზადე). ნაწილები ერთი მეორისაგან სრულებით დამოუკიდებელი იქნება, ისე რომ მათი ცალკე-ცალკე გაყიდვაც მოხერხდება. პირველ ნაწილს ვთავაზობ კაშპირევს³: მისი მოქმედება ჯერ კიდევ ორმოციან წლებში ხდება. რომანის საერთო სახელწოდებაა „ცხოვრება დიდი ცოდვილისა“, მაგრამ თითოეულ ნაწილს თავისი დასახელება ექნება. მთავარი საკითხი, ყველა ნაწილში რომ იქნება გატარებული, სწორედ ისაა, რაც ჩემი შეგნებული და შეუგნებელი ცხოვრების მანძილზე მტანჯავდა — ღვთის არსებობა. გმირი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ხან ათეისტია, ხანაც მორწმუნე, ხან ფანატიკოსი და სექტანტი, ხან კვლავ ათეისტი. მეორე ნაწილი მთლიანად მონასტერში წარიმართება. ამ მეორე ნაწილზე დავამყარე მთელი ჩემი იმედები. იქნებ ამის შემდეგ ჩემზე, როგორც იქნა, თქვან, მხოლოდ სისულელები არ დაუწერიანო. მხოლოდ თქვენთან შემიძლია ვაღიარო, აპოლონ ნიკოლაევიჩი: მეორე ნაწილში მსურს გამოვიყვანო ტიხონ ზადონელი, ცხადია, სხვა სახელით, მაგრამ ისიც მაღალი საეკლესიო პირი იქნება, სიცოცხლის ბოლოს მონასტერს რომ შეაფარა თავი. 13 წლის ბიჭი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სისხლის სამართლის დანაშაულში, უკვე გახრწნილი და გაქნილი (კარგად ვიცნობ ამ ტიპს), მთელი რომანის მომავალი გმირი, მონასტერში მშობლების ძალისხმევით მოხვდება (ჩვენი წრეა, განათლებული), რომლებსაც მისი გამოსწორება და განსწავლა სწადიათ. ეს მგლის ლეკვი, ეს ნიჰილისტი ბავშვი ტიხონს დაუახლოვდება (თქვენ ხომ იცნობთ ტიხონის ხასიათსა და სახეს). იქვე, მონასტერში დავსვამ ჩაადაევსაც (ცხადია, სხვა სახელით). რატომაც არ უნდა იჯდეს ჩაადაევი ორ წელიწადს მონასტერში? დავუშვათ, ჩაადაევი, თავისი პირველი წერილის გამოქვეყნების შემდეგ, რომლის გამოც მას ყოველკვირეულად ამონებდნენ ექიმე-

³ ჟურნალ „ზარიას“ რედაქტორი, რომელმაც დოსტოვესკის იმ წლის შემოდგომის ნომრებისათვის რაიმე ნაწარმოების დაწერა შესთავაზა.

ბი, ვერ მოითბინა და საზღვარგარეთ, ფრანგულ ენაზე, გამოსცა ბროშურა, — სავსებით შესაძლებელია, ამისათვის ის ერთი წლით მონასტერში გაემწესებინათ. ჩაადაევს, შესაძლოა, სხვებიც ესტუმრონ. ბელინსკი, მაგალითად, გრანოვსკი, პუშკინიც კი. (მე ხომ მართლა ჩაადაევი კი არ მეყოლება, მხოლოდ მის ტიპს შემოვიყვან რომანში). მონასტერში იმყოფებიან პავლე პრუსიელიც, გოლუბოვაც, ბერი პარფენეც (ამ სამყაროს ნამდვილი მცოდნე გახლავართ, რუსულ მონასტერს ბავშვობიდან ვიცნობ). მაგრამ მთავარი მაინც ტიხონი და ბიჭია. გვევდრებით, არავის უამბოთ ამ მეორე ნაწილის შინაარსი... ამას აღსარებასავით გეუბნებით. იქნებ სხვებისათვის ეს არაფრად ღირდეს, ჩემთვის კი ნამდვილი საუნჯეა. მაშ, არავის უთხრათ ტიხონის შესახებ. მონასტრის თაობაზე სტრახოვს მივწერე, მაგრამ ტიხონზე არაფერი მითქვამს. იქნებ შევძლო დიდებული, დადებითი (დოსტოვესკის კურსივი) ფიგურის გამოსახვა. ეს არც კოსტანჟეგლოა და არც გერმანელი ობლომოვი⁴; არც ლაპუხოვები, არც რახმეტოვიები⁵. მართალია, თვითონ არაფერს შევქმნი, არამედ მხოლოდ ნამდვილ ტიხონს გამოვიყვან, რომელიც დიდი ხანია, აღტაცებით ჩავიკარი გულში. მაგრამ თუნდაც ეს თუ გამომივიდა, საკუთარ თავს დიდ გმირობად ჩავუთვლი. მაშ, არ გამცეთ. მაგრამ მეორე რომანის, მონასტრის დასაწერად აუცილებელია რუსეთში ვიყო.“

ვინ არ იცნობს ამ ნაჩქარევ და დაქსაქსულ მონახაზში რომანს „ძმები კარამაზოვები“, ხუცეს ზოსიმესა და უმნიკვლო ალიოშას (როგორც ჩანს, ტიხონ ზადონელის ორად გაყოფილ სახეს), გახრწნილ და გაქნილ, თუმცა უკვე დავაჟაკებულ ივანე კარამაზოვს, მონასტერში გამგზავრებას (მემამულე მუსოვი, როგორც ჩანს, სახეცვლილი ჩაადაევი), სამონასტრო ცხოვრების ეპიზოდებს და ა. შ. მაგრამ ჩვეულმა გაჭირვებამ დოსტოვესკის კვლავაც ჩაუშალა გეგმები. რედაქციებსა და ნიგნებით მოვაჭრებთან სასწრაფო ხელშეკრულებების გამო ის იძულებული იყო, თავდაუზოგავად

⁴ „ვინ იცის, იქნებ სწორედ ტიხონი და არა ლავრეცკი, არა რახმეტოვი და სხვა იყოს ჩვენი რუსული დადებითი ტიპი, ის, ვისაც დაეძებს ჩვენი ლიტერატურა“. დოსტოვესკის მინანური წერილზე.

⁵ ორი უკანასკნელი ჩერნიშევსკის რომანის „რა ვქნათ?“ პერსონაჟები არიან.

ემრომა, მაგრამ ყველაფერი ის, რაზედაც მუშაობდა, შორს იყო მისი სანუკვარი ჩანაფიქრის ასრულებისაგან. აშკარაა, რომ ის გამუდმებით ელოდა, თუ როდის გამოუჩნდებოდა თავისუფალი დრო, რათა აუჩქარებლად განეხორციელებინა თავისი გეგმა. მატერიალური გაჭირვების გარდა უაღრესად უშლიდა ხელს განსაკუთრებით მგრძნობარე ხასიათიც: დროებითაც კი არ შეეძლო, თვალი მოეხუჭა საზოგადო ცხოვრებისა და ლიტერატურის მიმდინარე საქმეებზე, სირთულეებსა და საკითხებზე. 1876 წლიდან მოკიდებული, „მწერლის დღიურის“ გამოშვება დაიწყო, რომლითაც სრულიად ახალი, თავისებური და მშვენიერი ლიტერატურული ფორმა შექმნა, რომელიც ალბათ მომავალშიც, განაკუთრებით შფოთიან ეპოქებში, კვლავაც დიდ როლს ითამაშებს. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ გამოცემის არნახულმა წარმატებამ ავტორს საშუალება არ მისცა, ესა თუ ის ერთიანი დიდი ჩანაფიქრი განეხორციელებინა. სხვა მონახაზების მსგავსად, რამდენიმე წლის განმავლობაში მოფიქრებული ამ რომანის გეგმაც თანდათან ჩაკვდება, მისით აღტაცება ჩაცხრება.

მაგრამ შემოქმედ პიროვნებათა მიმართ გარეგნულად ეგ ზომ უღმობელი ბედისწერა მუდამ ფაქიზად ეპყრობა მათ შინაგან, ღრმა და სანუკვარ საუნჯეს. აზრი, რომელსაც საუკუნო სიცოცხლე უწერია, თავის მატარებელთან ერთად როდი კვდება, მაშინაც კი, როცა ამ პიროვნების აღსასარული მოულოდნელი და შემთხვევითია. მოახლოვებული სიკვდილის ზღურბლზე ის რაღაც ამოუხსნელ, დაუოკებელ სწრაფვას ემორჩილება, ყოველივე უმნიშვნელოს გვერდზე გადადებს და იმას აღასრულებს, რაც აუცილებელია, უმთავრესია მის ცხოვრებაში.

არეულ-დარეული, შფოთიანი, ათასი მომლოდინე თვალით გარშემორტყმული დოსტოევსკი უეცრად ყუჩდება და საკუთარ თავში იკეტება „ერთი მხატვრული სამუშაოს შესასრულებლად“, რისთვისაც, როგორც ის „დღიურის“ მკითხველებს ამშვიდებს, ერთ წელიწადზე მეტი არ დასჭირდება, შემდეგ კი კვლავ აპირებს, მათთან ყოველთვიურ საუბრებს დაუბრუნდეს. მაგრამ შვიდი წლის წინათ გამოთქმული წინათგრძნობა მართლდება: ეს მხატვრული სამუშაო მართლაც მისი „უკანასკნელი რომანი“, მეტიც, მისი უკანასკნელი დაუსრულებელი ლიტერატურული ნამუშევარი გამოდგა. 1880 და 1881

წლებში „დღიურის“ მხოლოდ თითო ნომერი გამოიცა, ისიც — განსაკუთრებული გამოცოცხლების მომენტში და რომანის ორ ნაწილს შორის შესვენების პეროდში; როგორც ითქვა, მეორე ნაწილი „თითქმის დამოუკიდებელი მთლიანი“ უნდა ყოფილიყო. მწერალს დასვენების ამ ხანმოკლე შუალედში ეწვია აღსასრული. „ომსა და მშვიდობასავით“ ვრცელი“ რომანის უკანასკნელმა ტომებმა დღის სინათლე ველარ იხილა. „ძმებ კარამაზოვების“ თოთხმეტი წიგნი, რომელიც ეპილოგიანად ოთხ ნაწილს შეადგენს, მხოლოდ პირველი ნაწილი გახლავთ ვრცელი მხატვრული ეპოპეისა. აი, რას წერს ავტორი „ძმებ კარამაზოვების“ წინასიტყვაობაში მისი საერთო გეგმის შესახებ: „მართალია, გმირის ცხოვრების აღწერა, რაც სახელდობრ რომანის შინაარსს წარმოადგენს, ერთი მაქვს, მაგრამ რომანი სინამდვილეში ორია. მთავარი სწორედ მეორე რომანია: ესაა ჩემი გმირის საქმიანობა ჩვენ დროში, მიმდინარე პერიოდში. პირველი რომანის მოვლენები კი ოცდაათი წლის წინათ მოხდა. ეს არცაა რომანი, არამედ მხოლოდ ერთი ეპიზოდი გმირის ყმანვილკაცობიდან. ამ პირველი რომანის დაწერას გვერდს ვერ ავუვლი, რადგან მის გარეშე მეორე რომანის მრავალი მომენტი გაუგებარი დარჩებოდა.“

აშკარაა, რომ „ძმებ კარამაზოვებში“ დიდი ხნის წინათ მომნიჭებული გეგმა ავტორმა შეინარჩუნა; მის შესასრულებლად აუცილებელი ყველა წინაპირობაც ახლა განახორციელა: 1879 წელს დოსტოევსკი გაემგზავრა სახელგანთქმულ „ოპტინოს უდაბნოში“, რათა სამონასტრო ცხოვრებაზე განახლებული შთაბეჭდილებებით შესდგომოდა წერას. ამ მონასტერში მცხოვრები ხუცესის, ამბროსის სახემ, რომლის ზნეობრივ-რელიგიური ავტორიტეტი დღესაც ათასობით ადამიანს აძლევს ცხოვრებისეულ გეზს, მწერალს, როგორც ჩანს, ადრევე ჩაფიქრებული დადებითი პერსონჟის შექმნა გაუადვილა. თავდაპირველი გეგმა შეიცვალა და დიდწილად შეივსო. ხუცესის დადებითი ფიგურა, რომლის გამოყვანასაც აპირებდა რომანში დოსტოევსკი, ვერ იქცა ამ რომანის ცენტრალურ სახედ, როგორც თავდაპირველად იყო ჩაფიქრებული. ეს უძრავი და მდგრადი სახე წიგნში გადმოცემული მოვლენების მოძრაობაში ვერ ჩაერთვებოდა. ამიტომაცაა, რომ ხუცესი ზოსიმე ხანმოკლედ ჩნდება რომანში, დალოცავს ცხოვრე-

ბის გზაზე მდგარ თავის საყვარელ მორჩილს, ალიოშა კარამაზოვს და მიიცვლება. მის ნაცვლად ეს უკანასკნელი იქცევა რთული ნაწარმოების ცენტრალურ ფიგურად⁶. ალიოშას ზნეობრივი სახე ისეთნაირადაა მოხაზული, რომ არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას გვიტოვებს. უხეში შეცდომა იქნება, თუკი მას „იდიოტის“ პერონაჟის, მთავარ ლ. ნ. მიშკინის გამეორებად ჩავთვლით. მთავარი მიშკინი, ალიოშას მსგავსად, სუფთა და უმნიკვლოა, ის ყოველგვარ შინაგან ძვრასაა მოკლებული; ავადმყოფობის გამო ვნებებისაგან თავისუფალია, არაფერს ელტვის, არაფრის განხორციელებას არ ესწრაფვის. ცხოვრებას მხოლოდ თვალს ადევნებს, მასში მონაწილეობას კი არ იღებს. ამგვარად, მისი სახასიათო ნიშანი პასიურობაა. ალიოშა კი ბუნებით, უპირველეს ყოვლისა, ქმედითია და, ამავდროულად, ნათელი და მშვიდიც. ადამიანის ამ მთლიან, ცოცხალ სახეს ახასიათებს ეჭვიც⁷, გრძნობისმიერი ვნებებიც⁸ და მრისხანებაც⁹ და, ამავდროულად, ძალუძს ღრმად ჩანვდეს ადამიანური ბუნების მრავალმხრივობას: ალიოშა როგორღაც ახერხებს ნებისმიერ ადამიანს გაუგოს, დაუახლოვდეს. ის ერთნაირად თანაუგრძნობს თავის ძმას, ივანესაც და რაკიტინსაც, მამასაც, ამ გარყვნილ მხუცს და პატარა ბიჭს, კოლია კრასოტკინსაც. მაგრამ სხვისი შინაგანი ცხოვრების გათავისებისას ის მუდამ ინარჩუნებს შინაგან სიძლიერეს, მუდამ მყარად დგას საკუთარ სულიერ საყრდენზე. მასში ის შეუმუსრავი ბირთვი იგრძნობა, სამყაროში ყოვლისგამჭოლ ძაფებს რომ უშვებს და მათი ნყალობით სხვა ადამიანთა შინაგანი არსის შეცვლა ძალუძს. არადა, ეს ყოვლისშემძლე ადამიანი ჯერ კიდევ ჭაბუკია — ასეთი გასაოცარი სახე ჩვენს ლიტერატურაში პირველად შემოვიდა. უეჭველია, „ძმებ კარამაზოვების“ განყვეტილი ბოლო (უფრო სწორედ კი, მთავარი ნაწილი) ადამიანის სულის მრავალ საიდუმლოს გვაზიარებდა, მასში ისეთ სი-

⁶ ეს ცალსახადაა გამოთქმული რომანის წინასიტყვაობაშიც.

⁷ მისი ფიქრები და სიტყვები ზოსიმეს გარდაცვალების შემდგომ.

⁸ ერთ-ერთი საუბარი რაკიტინთან, როცა ის, „უმნიკვლო ყმაწვილი,“ თანამოსაუბრეს იმაში გამოუტყვდება, რომ „კარამაზოვისეული ქარიშხლები“ არც მისთვისაა უცხო.

⁹ საუბარი ივანესთან ბავშვთა ტანჯვის შესახებ.

ტყვეებს აღმოვაჩენდით, ცხოვრების გზაზე ჭეშმარიტ გამოცხადებად რომ მოგვევლინებოდა. სამწუხაროდ, ამას ახდენა არ ეწერა; რომანის ჩვენთვის ცნობილ ნაწილში ალიოშა ჯერ მხოლოდ ემზადება თავისი გმირობისათვის: უფრო სხვებს უგდებს ყურს, ვიდრე თვითონ საუბრობს, იშვიათად ჩაურთავს შენიშვნებს, სვამს შეკითხვებს, უფრო მეტად კი მოვლენებს მდუმარედ აკვირდება. ეს მონახაზი ჯერ არ გვიჩვენებს ადამიანის ამ ტიპს, არამედ მხოლოდ მიგვანიშნებს მასზე, თუმცა მისი ნაკვეთი ისე ნატიფი და მარჯვეა, რომ დაუსრულებელი ფიგურაც კი ჭეშმარიტ სიცოცხლეს ასხივებს. მასში გუმანით შევიგრძნობთ ზნეობრივ რეფორმატორს, მოძღვარსა და წინასწარმეტყველს, რომელსაც სწორედ იმ ნუთში შეეკრა სუნთქვა, როცა უკვე ბაგე გახსნა სამეტყველოდ, — ეს განუმეორებელი მოვლენაა არა მხოლოდ ჩვენს ლიტერატურაში. ეს იესოს ფიგურაა ივანოვის ცნობილ ტილოზე: მასავით შორი, მაგრამ უკვე მომავალი, გარსმდგომ სახეთა შორის ჯერაც შეუმჩნეველი, თუმცა უკვე ცენტრალური და თითოეულ მათგანზე აღმატებული. ალიოშას სახე ჩვენს ლიტერატურაში მკვეთრად აღიბეჭდა, მის სახელს უკვე ახსენებენ ცხოვრების უიშვიათეს სასისახულო მოვლენებთან შეხვედრისას. და, თუკი ოდესმე უკეთესი მომავლისათვის აღორძინება გვინერია, ძალზე შესაძლებელია, სწორედ ის იქცეს ამ აღორძინების გამკვლევ ვარსკვლავად.

თუკი ალიოშა კარამაზოვი რომანში მხოლოდ მოხაზულია, სათქმელი კი ჯერაც არ უთქვამს, მისი ძმა ივანე მკვეთრადაცაა მოხაზული და თავისი სათქმელიც სრულად გამოთქვა („ლეგენდა ინკვიზიტორის შესახებ“). ამგვარად, თვით დოსტოვესკისთვის მოულოდნელად, რაკი რომანის დასრულება არ დასცალდა, სწორედ ის იქცა ნაწარმოების ცენტრალურ ფიგურად, რაკი მასზე აღმატებულ ფიგურას, ალიოშას, ასპარეზზე გამოსვლა და უფროს ძმასთან ზნეობრივ ორთაბრძოლაში ჩაბმა არ მოუწია. ამგვარად, „ძმები კარამაზოვები“ სინამდვილეში არც კია რომანი, მასში ჯერ მოქმედებაც არ დანყებულა: ეს მხოლოდ პროლოგია, რომლის გარეშე „შემდგომი მოქმედება გაუგებარი იქნებოდა“. მაგრამ ამ პროლოგით თუ ვიმსჯელებთ, მთლიანი ნაწარმოები იმდენად მძლავრი უნდა ყოფილიყო, რომ მას მსოფლიო ლიტერატურაში ბადალი არ მოე-

ძებნებოდა: მხოლოდ დოსტოევსკის, რომელიც საკუთარ თავში იტევდა „ორივე უფსკრულს — ქვენას და ზენას“, შეეძლო გამოესახა არა სასაცილო პაროდია, არამედ ჭეშმარიტი ტრაგედია ამ ბრძოლისა, ათასწლეულთა მანძილზე შუაზე რომ ხლექს ადამიანის სულს, — ბრძოლა სიცოცხლის უარყოფასა და მის დამკვიდრებას, ნამუსის გახრწნას და მის განწმენდას, გასპეტაკებას შორის. მხოლოდ ის, ვინც ეს ბრძოლა საკუთარ თავზე განიცადა იმ სუფთა გზებითაც, რამაც „საბრალო ადამიანები“ დაანერინა, პეტრაშევსკის ხმაურიან ჯგუფშიც, ციმბირის კატორღაზეც, ევროპის ხანგრძლივი განმარტოვების დროსაც, ერთთავად გვეტყოდა „pro“-საც და „contra“-საც; „pro“-ს თვალთმაქცობის გარეშე და „contra“-ს ამაო ქედმაღლობის გარეშე.

რომანში „ძმები კარამაზოვები“ გამოყვანილ ტიპებთან მიმართებაში მისი უფრო ადრეული რომანების ტიპები მოსამზადებელ ეტაპებად წარმოგვიდგებიან: ივანე კარმაზოვი მხოლოდ უკანასკნელი და ყველაზე სრულყოფილი გამოვლენაა იმ ტიპისა, რომელიც ამა თუ იმ პოლუსისკენ მერყეობდა ხან რასკოლნიკოვისა და სვიდრიგაილოვის („დანაშაული და სასჯელი“), ხან ნიკოლოზ სტავროგინის („ემმაკნი“), ხანაც, ნანილობრივ, ვერსილოვის („მოზარდი“) სახეებში; ალიოშა კარამაზოვის პროტოტიპებად გვევლინებიან თავადი მიშკინი („იდიოტი“) და ის პერსონაჟი, რომლის პირითაც მიმდინარეობს თხრობა რომანში „დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“; მათი მამა, „რომის დაღმავლობის დროინდელი პატრიციუსის პროფილით“, შვილებს უმონწილოდ რომ ტოვებს, მძავდროულად, უყვარს „ჭიქა კონიაკთან“ ღვთის არსის შესახებ საუბარი და, რაც მთავარია, მასხრად იგდებს ყველაფერს, რაც კი ადამიანს აქვს ძვირფასი და სანუკვარი, დამაგვირგვინებელი სახეა სვიდრიგაილოვისა და ხნიერ მთავარ ვალკოვსკის ტიპისა („დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი“). მხოლოდ ტლანქი, მაგრამ შინაგანად მაინც კეთილშობილი დიმიტრი კარამაზოვი, კეთილისა და ბოროტის ნაზავს რომ წარმოგვიდგენს, არსებითად ახალი სახეა. მას, მგონი (ისიც, მხოლოდ გარეგნულად), მხოლოდ გამუდმებით აჩქარებულაფორიაქებული კაპიტანი ლებიადკინი მოგვაგონებს („ემმაკნი“). ახალ სახედ გვევლინება ასევე მეოთხე ძმა სმერდიაკოვიც, ფიოდორ პავლოვიჩისა და „მყრალი“ ლიზა-

ვეტას უკანონო ნაშეიერი, ადამიანური არსების ეს ერთგვარი ნაფლეთი, სულიერი კვაზიმოდო, ყოველივე მონურის სინთეზი, რაც კი არსებობს ადამიანის გონებასა და გულში. მთავარ პერონაჟთა ეს განმეორებადობა არა მხოლოდ არ ვნებს „კარამაზოვების“ ღირსებას, არამედ ზრდის კიდევ ამ რომანისადმი ინტერესს: დოსტოევსკი, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგია, ის არ გვიჩვენებს ყოფას, რომელშიც სულ ახალ-ახალს ვესწრაფვით, არამედ გვიჩვენებს ადამიანის სულს, მის მოუხელთებელ ნახნაგებსა და დერეფნებს, მასში კი, პირიქით, თვალს ვაყოლებთ მემკვიდრეობითობას, გვსურს გავიგოთ, თუ რაში გადაიზარდა, რით დასრულდა აზრთა ესა თუ ის მსვლელობა, სულის ესა თუ ის წყობა. ამ თვალსაზრისით „ძმები კარამაზოვები“, როგორც დამაგვირგვინებელი ნაწარმოები, ამოუწურავ ინტერესს იწვევს. რათა მას სრულად ჩავწვდეთ, აუცილებელია ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმ ზოგადი მნიშვნელობის შესახებ, რაც დოსტოევსკის საქმიანობას ჰქონდა.

II

ცნობილი თვალსაზრისის¹⁰ თანახმად, მთელი ჩვენი უახლესი ლიტერატურა გოგოლიდან გამომდინარეობს. მაგრამ გაცილებით უფრო მართებული იქნება, თუკი ვიტყვით, რომ ის მთლიანად გოგოლის უარყოფად, მასთან ბრძოლად მოგვევლინა. უახლესი ლიტერატურა მართლაც გოგოლიდან გამომდინარეობს, თუკი ვითარებას მხოლოდ გარეგნულად შევაფასებთ, ერთერთს შევადარებთ მხატვრულ ხერხებს, ფორმებსა და თემებს. გოგოლის მსგავსად, გვიანი მწერლების მთელი რიგი (ტურგენევი, დოსტოევსკი, ოსტროვსკი, გონჩაროვი, ლ. ტოლსტოი) ასევე ასახავდნენ მხოლოდ ნამდვილ და არა წარმოსახვით (მაგ. პუშკინის „ბოშები“, ანდა ლერმონტოვის „მწირი“) ცხოვრებას. მაგრამ თუკი ვითარებას შიგნიდან შევაფასებთ, თუკი შევადარებთ გოგოლის შემოქმედების არსს მის ვითომდა მიმდევართა შემოქმედებას, შეუძლებელია თვალში არ გვეცეს მათი დამეტრულად საპირისპირო არსი. ცხადია, გოგოლსაც და მათაც მზერა ცხოვრებისკენ

¹⁰ ამ თვალსაზრისის ავითარებს აპოლონ გრიგორიევი წერილში „თანამედროვე სიტყვაკაზმული მწერლობისა და მისი ისტორიული თვალსაზრისის განხილვა“.

ჰქონდათ მიპყრობილი, მაგრამ იმას, რაც ამ მწერლებმა ცხოვრებაში დაინახეს და საკუთარ ქმნილებებში გამოსახეს, არაფერი აქვს საერთო გოგოლის მიერ ნანახსა და ასახულთან. იქნებ ადამიანის შინაგანი ძვრების ნატიფი წვდომა ჩვენი ახალი მწერლების უმძაფრეს, მუდმივ და განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს? მოქმედების, ურთიერთობებისა და გარეშე მოვლენების მიღმა მათთან მუდამ ვხედავთ ადამიანის სულს, როგორც ყველა გარეშე ფაქტის უხილავ მამოძრავებელსა და შემოქმედს. სულის ღელვა, ვნებები, დაცემა თუ განათება — ესაა მათი გამუდმებული ყურადღების საგანი. ამიტომაცაა მათი ქმნილებები ასე ფიქრიანი; ამიტომაც გვიყვარს ისინი და მათი მუდმივი კითხვა საუკეთესო ჰუმანურ აღზრდად მიგვაჩნია. ახლა, თუკი ამ უმთავრეს თვისებაზე შევაჩერებთ ყურადღებას და სწორედ ამ კუთხით შევხედავთ გოგოლს, მაშინვე თვალში გვეცემა მის ადგილას არსებული შემზარავი სიცარიელე; მხოლოდ ამ ნაკეთს მოვისაკლისებთ და ისიც, მხოლოდ გოგოლთან. თავის მთავარ ნაწარმოებს მან „მკვდარი სულები“ უწოდა და ამით, უეჭველად, სრულიად გაუცნობიერებლად გამოამჟღავნა თავისი შემოქმედების და, რაღა თქმა უნდა, საკუთარი არსის უდიდესი საიდუმლო. გოგოლი გახლდათ გარეგნულ ფორმათა გენიალური ფერმწერი, მათი გამოსახვის გარდა, სხვა არაფერი ეხერხებოდა, მაგრამ ამ ერთადერთს ისე გამაოგნებლად ცოცხლად ასრულებდა, მხატვრულ სახეებს ისეთნაირად აქანდაკებდა, რომ მთავარი ვერავინ შენიშნა: ამ ფორმებს მიღმა არ იმალება სული, არსი, რომელიც ამა თუ იმ ფორმით უნდა შეიმოსოს. თუნდაც მის მიერ ასახული საზოგადოება მდაბიო და უზნეო ყოფილიყო, თუნდაც დაემსახურებინა მასხრად აგდება, მაგრამ ის ხომ მაინც ადამიანებისაგან შედგებოდა? განა მისთვის უკვე გამქრალა დაბადებისა და სიკვდილის დიადი წუთები, ანდა სიყვარულისა და სიძულვილის განცდები, ყოველი ცოცხალი არსებისათვის საერთო რომაა? ცხადია, ასე ვერ იქნება; მაშ, რით შეიძლება გამოეხმაურონ მის მიერ გამოყვანილი პერსონაჟები ამგვარ მომენტებს, როგორ შეიგრძნობენ ისინი ამ ზოგადსაკაცობრიო ვნებებს? მაინც რა იყო მათი სამოსის მიღმა (ჩვენ კი მხოლოდ ამ სამოსს ვხედავთ და სხვა არაფერს), რაც უბრალოდ, ადამიანურად გაიხარებდა, შეინანებდა თუ

სიძულვილით განიმსჭვალებოდა? გეკითხებით, თუკი არც სიყვარული იცოდნენ, არც ღრმა სიძულვილი, არც შიში, არც ღირსება, მაშ, რილასთვის იღვწოდნენ, რისთვის შრომობდნენ, რისთვის აგროვებდნენ ქონებას და რისთვის მოგზაურობდნენ? ერთგან გოგოლს ბავშვები გამოჰყავს და ეს ბავშვებიც უკვე თავიანთი მამებივით უმსგავსები არიან, ისინიც მათსავით მხოლოდ სასაცილო, მხოლოდ მასხრად ასაგდები სახეებია. ერთი-ორჯერ იმასაც აღწერს, თუ როგორ იღვიძებს ადამიანში სიყვარულის განცდა და ჩვენ გოცებით ვხედავთ, რომ ამ განცდას სხვა არაფერი აღძრავს, თუ არა ფიზიკური სილამაზე, მამაკაცისათვის ქალის სხეულის მიმზიდველობა (ანდრია ბულბა და პოლონელი ქალი). მისი შემოქმედება ნამიერია და ამ პირველი ნამის შემდგომ უკვე აღარაფერია მოსაყოლი, აქვერ ნახავთ მთელ იმ გრძნობებსა და სიტყვებს, ჩვენი ხალხის ნაღვლიან სიმღერებში ისევე რომ ხმიანებს, როგორც ბერძნულ ანთოლოგიაში, გერმანულ თქმულებებსა და მთელი დედამიწის ზურგზე, სადაც კი მხოლოდ სხეულით კი არ ტკბებიან, არამედ უყვართ და იტანჯებიან. ნუთუ გოგოლმა მთელი კაცობრიობის სიზმარს ახადა საფარველი და, როგორც იქნა, სინამდვილე გააშიშვლა? უფრო მართებული ხომ არ იქნება, ვიფიქროთ, რომ მთელ კაცობრიობას კი არ ეძინა და მხოლოდ გოგოლი ჭვრეტდა ჭეშმარიტებას, არამედ პირიქით, კაცობრიობამ ათასწლეულთა განმავლობაში ყველა ხალხის პოეზიაში ასახა ჭეშმარიტება, ხოლო გოგოლი თვითონ ჩაეფლო ძილ-ბურანში და თავისი ავადმყოფური ზმანებები სინამდვილედ წარმოგვიდგინა:

„მაინც რად უნდა ნავხდე უბადრუკ მატლად ქცეული? — ამბობს მისი გმირი თავისი ცხოვრების მძიმე წუთებში, — რა ვარ ახლა? რად ვვარგვივარ? ან თვალეში როგორ შევხედო ოჯახის პატიოსან მამას? როგორ არ შევიგრძნო სინდისის ქეჯნა როცა ვიცი, რომ მინას სულ ტყუილუბრალოდ ვამძიმებ? ან რას მეტყვიან მომავალში ჩემი შვილები? იტყვიან, მამამ, ამ პირუტყვმა, სულ არაფერი დაგვიტოვაო.“

„ცნობილია, რომ ჩიჩიკოვი მეტად ზრუნავდა თავის შთამომავლობაზე. ეს ძალზე ამალეღვებელი თემა გახლავთ! სხვამ, შესაძლოა, ისე ღრმად არ ჩაყოს ხელი, რომ არა კითხვა, რომელიც თავისთავად უჩნდება: რას იტყვიან შვილები? და აი,

გვარის მომავალი მამამთავარი გაქნილ კატასავით ფრთხილად აპარებს თვალს, ხომ არ მხედავსო პატრონი და ხელს სტაცებს ყველაფერს, რაც მის სიახლოვეს დევს: საპონი იქნება ეს, სანთლები თუ შაშინი¹¹.

რა საშინელებაა, რა უსასობა! განა არ გვინახავს ქალაქის სასაფლაოებზე დედაბრები, უნუგეშოდ რომ დასტირიან თავიანთ მოხუცებს, თუმცა მათ ისინი ჯვალოსამარა დატოვებს? ნუთუ სადმე ხდება ისე, რომ სიკვდილის პირას მწოლარე მამის დამნახავი შვილები დედასთან მიდიან და ეკითხებიან: „გვიტოვებს თუ არა მამა ქონებას?“ განა ცრუ გამონაგონია ჩვენი ხალხური ხმით ნატირლების შეუდარებელი პოეზია¹², არაფრით რომ არ ჩამოუფარდება „იგორის რაზმის შესახებ სიტყვის“ პოეზიას? რა შთამბეჭდავი სახეებია, რა სულისშემძვრელი სევდა, რა იმედები და მოგონებები! და რა უღიმღამო, უსიცოცხლო მზერით უნდა შეგეხედა ამ ყოველივესთვის, რომ ეს ბგერები, ეს მოთქმა არ გაიგონო. გოგოლმა ცხოვრებას მკვდარი მზერა შეავლო და მასში, მკვდარი სულების გარდა, ვერაფერი შეამჩნია. თავის ნაწარმოებებში მას სინამდვილე არ აუსახავს, არამედ მასზე კარიკატურების მთელი წყება შექმნა: სწორედ ამიტომ გვამახსოვრდება. ისინი არასოდეს გვამახსოვრდება ისე მკვეთრად, როგორც ცოცხალი სახეები. თვალი შეავლეთ რეალური ადამიანების პორტრეტებს, ცოცხლად, სისხლსავსედ გამოსახულს და, მერწმუნეთ, არც ერთი მათგანის სახე არ დაგამახსოვრდებათ. მერე კი შეხედეთ კარგ კარიკატურას და დიდი ხნის შემდეგაც, ლამითაც რომ გაგელვიძოთ, მოგაგონდებათ და გაიცინებთ. ნამდვილ სახეებში განსხვავებული ნაკვთები, კეთილი და ბოროტი მიდრეკილებები ერთერთთანაა გადახლართული და ერთი მეორეს არბილებს, ამიტომ მათში არაფერი მკვეთრი და მძაფრი არ გვხვდება თვალში. კარიკატურაში კი ხასიათის ერთადერთი ნაკვთია აღებული და მთელი ფიგურა სახის გამომეტყველებითაც და ტანის არაბუნებრივი კრუნჩხვით ამ ერთ ნაკვთს გამოხატავს. ეს ნაკვთი ყალბია და ის სამუდამოდ გვებეჭდ-

¹¹ „მკვდარი სულები“.

¹² იხ. „ჩრდილოეთის მხარის ხმით ნატირლები“, შეგროვებული ბარსოვის მიერ. „იაროსლავნას მოთქმა“, „იგორის სიტყვის“ ყველაზე უფრო პოეტური ადგილი, როგორც ჩანს, ნაწარმოებში შეტანილ ხალხურ ხმით ნტირალს წარმოადგენს. შდრ. ენა, მხატვრული სახეები, მეტყველება.

ება მეხსიერებაში. სწორედ ასეთია გოგოლი.

ამაშია მთელი მისი პიროვნებისა და ბედის საიდუმლო. მის გენიას ვაღიარებთ, მის წინაშე მონუსხულნი ვჩერდებით და როდესაც საკუთარ თავს ვეკითხებით, თუ რატომ არ ჰგავს ის ყველა დანარჩენს¹³, რითაა გამორჩეული, უნებლიეთ გვიჩნდება განცდა, რომ მისი გამორჩეულობა ადამიანური არსის სიუხვესა და სიდიადეში, ძალთა ბუნებრივ ზღვარს გადაცილებულ სისავსეში არ მდგომარეობს, არამედ პირიქით — ამ არსის ღრმა და შემზარავი ნაკლულოვნება, იმ ბუნებრივის არქონა, რასაც, მის გარდა, არავინაა მოკლებული. ის საკუთარ სულში იმდენად იყო ჩალრმავებული, რომ სხვა სულთან ურთიერთშეხება არ შეეძლო: ამიტომაც შეიგრძნო ასე გარეგნულ ფორმათა, მოძრაობათა, სახებათა სკულპტურულობა. ის პუშკინის მეგობარი გახლდათ, გრანოვსკისა და ბელინსკის ნაცნობი, სლავიანოფილთა წრის წევრი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ცხოვრების საუკეთესო, ყველაზე ნაყოფიერ პერიოდშიც კი, როგორც ამბობდ-

¹³ გოგოლის „ამონარიდებში მეგობრებთან მიმონერიდან“ შეიძლება ყველა ის მონაცემი ამოვიკითხოთ, რაც მისი შემოქმედების განვითარების წვდომას შეგვადლებინებს. აი, ერთ-ერთი ცალსახა ადგილი: „მრავალი ჩემი ნაკლისაგან უკვე გავთავისუფლდი იმით, რომ ისინი ჩემს გმირებს გადავეცი, მათში მასხრად ავიგდე ეს ნაკლოვანებები და სხვებიც გავაციინე... აგისხნი იმასაც, თუ დღემდე რატომ არ მიჩვენებია მკითხველისათვის მანუგეშებელი მოვლენები და პატიოსანი ადამიანები რატომ არ გამოიყვანია. მათ ვერ გამოვიგონებ. ვიდრე თვითონ ოდნავ მაინც არ დაემსგავსები, ვიდრე ხანგრძლივი ძალისხმევით არ დაიპყრობ და შენს სულში არ გაითავისებ ორიოდ კეთილ თვისებას, მანამდე გვამი იქნება ყოველივე, რასაც შენი კალამი გამოსახავს.“ („ოთხი წერილი სხვადასხვა პირებს „მკვდარი სულების“ თაობაზე. წერილი მესამე). აქ საკმარისად ცხადაააა გადმოცემული მისი მხატვრული სახეების შექმნის სუბიექტური ხერხი: ეს გარეთ გამოდევნილი თვისებებია საკუთარი სულისა, გარეშე ობიექტიდან მათი გადახატვა შეუძლებელია. სწორედ ასევე განისაზღვრება თვით მათი შექმნის პროცესიც: მწერალი იღებს ერთ ცალკეულ ნაკლოვანებას, რომლის არსსაც საკუთარი სუბიექტური ცხოვრებიდან იცნობს, და ქმნის მის ილუსტრაციას, რომელსაც ზოგჯერ „მორალიც“ ახლავს თან. ცხადია, რომ ამგვარად შექმნილი სახის თითოეული ნაკვთი ამ ერთადერთი ნაკლოვანების სარკეა, რადგან ამ სახეს სხვა რაიმე მიზანი არც გააჩნია. კარიკატურის არსიც სწორედ ეს გახლავთ.

ნენ, „თავისი ნაწარმოებებისათვის დადებითი სახე ვერ გამოიხატა.“ მკითხველს თვითონვე ჩაესმის მისი ნაწერებიდან ერთგვარი მიუწვდომელი „იდეალის“ გამო მოთქმარჩივილი. იქნებ აქ გოგოლს სიტყვა შეეშალა და, თუკი საჭირო სიტყვას მივანვდიოთ, მის საიდუმლოსაც ამოვიცნობთ? იდეალის მოუხელთებლობა როდი ადარდება; ფორმათა ეს დიდოსტატი ყველაზე მეტად საიმისოდ იღვწოდა, რომელიმე მათგანში ცოცხალი სული ჩაედო. დაუოკებელ სწრაფვას რომ ველარ გაუძლო, მაშინ ნაწარმოებებში არნახული ფანტასმაგორიები შემოიყვანა: არაბუნებრივი უსინკა და ბერძენი კოსტანჟოგლო, რომლებიც აღარც სინამდვილეს ჰგვანან და აღარც ზმანებას. გოგოლი დაიფერფლა უღონო წყურვილით, მოხელთებინა ადამიანის ცოცხალი სული. მისი უკანასკნელი დღეების შესახებ ჰყვებიან რალაც ბუნდოვან ამბებს, ახსენებენ შეშლილობას, მონანიებას, მარხვასა და შიმშილით სიკვდილს¹⁴. რა საოცარი გაკვეთილი მივიღეთ, თუმცა მის საზრისს მაინც ვერ ჩავწვდით! გენიალური შემოქმედი მთელი ცხოვრების მანძილზე ადამიანის გამოსახვით იყო დაკავებული, მისი სული კი ვერაფრით გამოსახა. ჰოდა, გვითხრა, ეს სული საერთოდ არ არსებობსო და დიდოსტატურად გამოსახული მკვდარი ფორმებით რამდენიმე ათწლეულით დაგვარწმუნა, თითქოსდა მართლაც არსებობდა მოსიარულე გვამების მთელი თაობა და ჩვენც მთელი გულით შევიძულებთ ეს თაობა და მათთვის არცერთი იმ სიტყვათაგანი არ დაგვიშურია, რაც კი შეიძლება ადამიანმა უსულო არსებაზე თქვას. მან კი, ვისაც ამ ტყუილში ბრალი მიუძღვის, ის სასჯელი იგემა, ჩვენ რომ ჯერ კიდევ წინ გველის. ის საკუთარი ბუნების ნაკლულოვნებას ემსხვერპლა და უკანასკნელი, რაც დაგვიტოვა, ასკეტის სახეა, საკუთარ ქმნილებებს უღმობლად რომ ყრის ცეცხლში. „ჩემია შურისგება და მე მივუზღავ,“ — ეს სიტყვები თითქოს გუგუნებს იმ ბუხრის ტკაცანში, სადაც შემოღილი გენიოსი ადამიანური ბუნების დიად და ცოდვილ ცილისწამებას აგდება.

რასაც ადამიანები ვერ აცნობიერებენ, იმას ხშირად გაასმაგებული ძალით

¹⁴ იხ. ი. ს. ტურგენევის „ლიტერატურული მოგონებანი“ („რა ბრძენი და რა უბედური არსებაა!“) და აგრეთვე ფ. ბუსლაევის „ჩემი მოცალეობა“.

შეიგრძნობენ. მთელი ჩვენი გოგოლის-შემდგომი ლიტერატურა ადამიანის არსის წვდომისაკენ გაეშურა. იქნებ სწორედ წინააღობის ამ ძალამ განაპირობა ის, რომ არც ერთ დროში, არც ერთ ხალხს არ გაუხსნია სულის იდუმალი საუნჯის ასეთი სიღრმეები, როგორც ეს უკანასკნელ ათწლეულებში ჩვენ თვალწინ მოხდა? არაფერია იმ ცვლილებაზე უფრო საოცარი, რასაც გოგოლისგან რომელიმე ახალ მწერალთან გადასვლისას განვიცდით: გეგონებათ, სასაფლაოდან გაფურჩქნულ ბალნარში გახვედითო, რომელიც სავსეა ბგერებითა და ფერებით, მზის შუქითა და ბუნების სიცოცხლით. თითქოს პირველად ჩაგვესმის ადამიანთა ხმები, მათ სახეებზე რისხვასა და სიხარულს ვხედავთ და ისიც ვიცით, თუ რა სასაცილონი არიან ზოგჯერ ეს ადამიანები. მაინც გვიყვარს ისინი, რადგან ვხედავთ, რომ ჩვენი ძმები არიან. აგერ, ტურგენევის მთელ რიგ მცირე მოთხრობებში იგივე სოფლები, მინდვრები და გზებია აღწერილი, რომლებიც ალბათ „მკვდარი სულების“ გამორჩევა გამოიარა, იგივე მცირე პროვინციული ქალაქები, სადაც ის შესყიდვის ხელშეკრულებებს აწერდა ხელს. მაგრამ აქ ეს ყოველივე სუნთქავს და ცოცხლობს, უყვარს და ნეტარებს. ჩვენ წინაშე იგივე გლეხებია, მაგრამ ესენი სულაც არ ჰგვანან იმ ორიოდ ბრიყვს, თასმებში გახლართული ცხენების დასაცალკეებლად სარალო ცხოველებს რატომღაც ზურგზე რომ შეახტენ და კეტებით ცემა დაუწყეს. ვხედავთ მსახურებსა და ყმებს, მაგრამ ეს აღარც სულმუდამ აყროლებული პეტრუშკაა და აღარც სელივანი, რომლის შესახებაც მხოლოდ ის ვიცით, რომ თავისი დღე და მოსწრება მთვრალია. რა მრავალფეროვან ხასიათებს ვხვდებით, პირქუშსა თუ ნათელს, ლუკმა-პურზე ზრუნვით შეჭირვებულს თუ ნატიფად პოეტურს. მათ ცოცხალ და ინდივიდუალურ ნაკვთებს ვაკვირდებით და ჩვენსავე თავს, ჩვენ ისტორიასა და ამ ხალხის წიაღიდან ასე უხვად ამოზრდილ ცხოვრებასაც უკეთ ვუგებთ. ბავშვის რა სასწაული სამყარო იშლება ჩვენ წინაშე ობლომოვის ოცნებებში, ნეტოჩკა ნეზვანოვას მოგონებებში, „ყრმობასა და სიყმანვილეში“, „ომსა და მშვიდობაში“, „მზრუნველ დოლისთან „ანა კარენინაში“. ნუთუ ეს ყოველივე ნაკლებადაა სინამდვილე, ვიდრე ალკიდე და ფემისტოკლუსი, ეს ორი უბადრუკი თოჯინა, რომლებიც სხვა არაფერს წარმოადგენენ, თუ არა მათ ბოროტ დაცინ-

ვას, ვისაც არავინ დასცინის. ანდა ბოლკონსკის ფიქრები აუსტერლიცის ველზე, მისი დის ლოცვები, ან რასკოლნიკოვის შიში და მთელი ეს რთული, მრავალფეროვანი, უსასრულობაში გაშლილი სამყარო, უკანასკნელ ათწლეულებში რომ გვიჩვენა თავისი იდეები, ხასიათები, ვითარებანი, — რა შეიძლება მის შესახებ ითქვას გოგოლთან მიმართებაში? რა სიტყვით განვსაზღვროთ მისი ისტორიული მნიშვნელობა? იქნებ მართებული იქნება ვთქვათ: ეს იმ სიცოცხლის გახსნა-გაფურჩქვნაა, რომელიც გოგოლთან მოკვდა, იმ ღირსების აღდგენა, რაც გოგოლმა ადამიანს წაართვა?

III

დოსტოევსკი სხვებზე უფრო ადრე აღაპარაკდა იმ სიცოცხლის შესახებ, რომელიც ყველაზე უფრო ბნელი და მგუდავი ფორმების მიღმა ცი ფეთქავს, იმ ღირსების შესახებ, რომელსაც ადამიანი ყოველად შეუძლებელ ვითარებაშიც კი ინარჩუნებს. მის ერთი ციდა შესანიშნავ მოთხრობაში „პატიოსანი ქურდი“ ორი სახეა გამოყვანილი, იმათი მსგავსი, ვისაც ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით და ვერ ვამჩნევთ. სილატაკე, უბრალო საუბარი, შემთხვევა, რომლის მსგავსიც ძალზე ხშირია, — ყოველივე ეს რაღაც შორი სამყაროდან გამოტყორცნილი სხივივით გველვრება სულში: ნუთით ვივინყებთ საკუთარ ფიქრებსა და სურვილებს და ამ სხივს ვაკვირდებით. ის სახეები, რომლებსაც მანამდე მხოლოდ გარედან ვიცნობდით, ჩვენ თვალწინ მჭვირვალდება და მათი გულისცემა ჩაგვესმის. ნუთის სემდეგ სხივი მკრთალდება, ჩვენ კვლავ ჩვეულ ფიქრთა მსვლელობას ვუბრუნდებით, მაგრამ ამ ფიქრებში რაღაც შეიცვალა, რაღაც სამუდამოდ შეუძლებელი გახდა, რაღაც კი — გარდუვალი. ამ ნუთიდან გარდუვალად შეგვეტკივა გული ადამიანზე, რაგინდ შორს იყოს იგი ჩვენგან, შეუძლებლად გვექცა ადამიანისადმი ზიზღი, სადაც უნდა გადავეყაროთ ამ ადამიანს. მთელი იმ სიბრძნის მიუხედავად, რასაც ვისრუტავთ, ჩვენი წარმოდგენების სიმაღლისა და სინატიფის მიუხედავად დრო და დრო საკუთარ თავს ვეკითხებით: ისევე უმნიშვნელოა ჩვენი შინაგანი სამყარო, ისევე თბილია გული ჩვენი, როგორც იმ ალალ, უბრალო ადამიანებში, ნუთით რომ ვიხილეთ და სამუდამოდ დავიხსომეთ? და, როგორც არასდროს, ცხადად გვესმის მოციქულის სიტყვები: „თუ მე ადამიანთა და ანგელოზთა

ენებით ვლაპარაკობ, ხოლო სიყვარული არ გამაჩნია, მაშინ ჟღარუნა რვალი ვარ ან ჩხარუნა წინწილა“¹⁵. ვხვდებით, რომ ამ სიტყვებში კეთილისა და ბოროტის ისეთი საზომია მოცემული, რომლითაც არასოდეს დავიღუპებით და რომელიც ნებისმიერ სიბრძნეს მიესადაგება.

ვინც წვდომას გვიღვივებს, ის სიყვარულსაც აღგვიძრავს. ავტორთან ერთად ჩავდივართ ადამიანური არსებობის დაბინდულ ხევში, რომელიც მანამდე დაფარული იყო ჩვენთვის, და მასთან ერთად ვაკვირდებით მის ფსკერზე მოფუსფუსე ცოცხალ არსებებს. „გეგონათ, ისინი აღარ იტანჯებიან, აღარაფერს გრძნობენ? — გვეკითხება ავტორი, — მიაყურადეთ მათ საუბარს, ჩაკვირდით მათ სახეებს: განა თქვენ თვითონ ძალგიძთ ამგვარი განცდა, განა მძიმე წუთებში გიგრძნიათ ახლობელთაგან ისეთი თანაგრძნობა, რითაც ესენი ათბობენ ერთი მეორეს ამ ბნელსა და სუსხში? ნახეთ, რა რწმენა ცოცხლობს მათში, რა შორს არიან უბადრუკი ჩივილისაგან, არავის სდებენ ბრალს და თვინიერად ზიდავენ თავიანთ ჯვარს. გეგონათ, ისინი მხოლოდ შრომობენ და იკვებებიან, ფიქრი და განცდა კი თქვენთვის მოუნდვიათ? არაფერიც: მათში ყველა ის ვნება ღვივის, რაც თქვენ გამოდრავებთ და ბევრი ისეთი რამეც ესმით, თქვენთვის რომ გაუგებარია. ესენიც თქვენისთანა ადამიანები არიან, ბევრი ისეთი რამ შეინარჩუნეს, თქვენ რომ დაკარგეთ და თითქმის ყველაფერი შეიძინეს, რაც თქვენ გაქვთ. ხომ ნახეთ ისინი? ახლა კი წადით და, თუ შეძლებთ, დაივინყეთ ეს სამყარო.“

როცა გაუბედავად ყოვნდებით, ავტორი გამჭოლ მზერას მოგაპყრობთ და განაგრძობს: „რად არ მიდიხართ თქვენს გზაზე? რა გაკავებთ? მაშ, გახსოვდეთ ის, რამაც თქვენში გამოიღვიძა და ფიქრსა და განსჯაში აღარასოდეს დაივინყით: სინდისი — ის ყოველ ადამიანში ცოცხლობს, მათ შორის ამათშიც. თქვენ ხედავთ არა დალლილ ხელებს, გათოშილ ფეხებს, ცარიელ კუჭებს, არამედ მილიონობით ადამიანის სულს და, როცა კი გაიფიქრებთ, მათთვის სიტბო, საკვები და მოსვენება კმარაო, გაიხსენეთ, ამ ნუთას როგორ დაგავინყდათ თქვენი კუთვნილი ულუფა და კერა. მე ყველაფერი გითხარით. ან წადით და განაგრძეთ თქვენი ფილოსოფია თუ სიძველეთა შესწავლა. მე კი

¹⁵ | კორ. 13:1. (მთარგმნ.)

მათთან ერთად დავრჩები და, თუკი მათ შრომას ვერ გავიზიარებ, მათ დარდს მანაც გავინანილებ და იქნებ ოდესმე მათი სიხარულითაც გავიხარო.“

ამიერიდან კვლავ უბრუნდებით ფილოსოფიურ თუ ისტორიულ ინტერესებს, კვლავ იხიბლებით ხელოვნებისა და ლიტერატურის მშვენიერებით, მაგრამ ამ ყოველივეს მიღმა რაღაც ყრუ განგაში ჩაგესმით და ის უცნაური კაცი გაგონდებათ, ერთხელ რომ შეგიყვანათ უცხო სამყაროში, პირქუში სიტყვები გითხრათ და იქვე დარჩა. აქვს კი მას ძალა, რაიმე შეცვალოს იმ სამყაროში, რასაც ათასწლეულებმა გადაუქროლეს და რომლის თავზეც ჩვენი ცივილიზაცია დამკვიდრდა? თავისუფალ წუთებში კვლავაც ჩამოიღებთ თაროდან მის მოთხრობებს, მისი კუნთებისა და აზრის სიმტკიცის შესამონმებლად.

თვალწინ ჩაგივლით მის მიერ მონათხრობი ამბების წყება. რამდენია მათში სასაცილო და სერიოზული, ზოგჯერ უხერხულიც: თითქოს ადამიანი რაღაცის სათქმელად ემზადება, დორბლს აშხეფებს და გაუგებარ ბგერებს გამოსცემს. მაგრამ აი, როგორც იქნა, საუბარს იწყებს; ყოველივე ზედმეტს ივიწყებთ და მის შინაარსს სწვდებით. გრძნობათა რა სიუხვეა, რაოდენ ღრმა ხედვაა ყოველივე იმისა, რასაც ადამიანი ვალდებულია ჩასწვდეს! ჩვენ წინაშე ჩაივლის ნაღვლიანი და სასაცილო იდილია („სუსტი გული“), „თეთრი ღამეების“ სურნელოვანი პოეზია და დაუსრულებელი მოთხრობის მწველი ვნებები: შემლილი მუსიკოსი, მცირეწლოვან ქალიშვილთან ერთად ქალაქის ბნელ ქუჩებში რომ დაძრწის („ნეტორკა ნეზანოვა“). აი, წრფელი სიხალისით აღვსილი მოთხრობა „პატარა გმირი“; თურმე ის საპყრობილემი დაინერა, სასამართლომდე და, შესაძლოა, სიკვდილით დასჯამდე რამდენიმე კვირით ადრე. „დიახ, ეს სერიოზული კაცია, — ვფიქრობთ, — რასაც უნდა შეიცავდეს მისი შინაგანი სამყარო, ის ძალზე მტკიცე უნდა იყოს, თუკი შემოქმედებით საქმიანობას სამარის პირასაც კი არ წყვეტს.“ ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ის როდი რჩება იმ სამყაროში, სადაც დავტოვეთ: მას არ უძნელდება საზოგადოების უფრო მაღალ ფენებში ასვლა, თუმცა აქ მას უფრო ბავშვთა წრე იტაცებს (კნიაჟნა კატია „ნეტორკა ნეზანოვაში“, მოიჯარის ქალიშვილი „ნაძვის ხესა და ქორწილში“). ამ ნათელი და

უმანკო სამყაროს შემხედვარე მწერალი ისევე ხალისიანი და სახენათელია, როგორც ღარიბთა შორის; ამ ბავშვების გამო ისევე შესტკივა გული, როგორც იმ ყველასაგან მივიწყებული დაუცველი ადამიანების გამო: მზერა ეჭვიანი და ცივბნელი უხდება, როცა ამ მოთამაშე სამყაროს „დიდები“ უახლოვდებიან. აი, იულიანე მასტაკოვიჩი, რომელიც თითებით ითვლის გოგონას ასაკსა და მის ანგარიშზე დარიცხულ პროცენტებს, რომელთა ზუსტ რიცხვს საბავშვო ზეიმის დროს გეზულობს:

„სამასი, სამასი... — ჩურჩულებს მაღალჩინოსანი, — 11, 12... 16 — ხუთი წელი; 4% რომ ასზე გავამრავლოთ, გამოვა 12, ხუთჯერ თორმეტი სამოცს უდრის, ამ სამოცს კი... ეს ვიგინდარა ოთხს კი არა, ალბათ რვას, ან სულაც ათს იღებს...“

ანგარიშს წყვეტს, თითის წვერებზე მიდის თოჯინით მოთამაშე ბავშვთან და თავზე კოცნის:

„აქ რას აკეთებთ, საყვარელო ბავშვო?“ — ჩურჩულებს აღელვებით.

ზეიმის დასასრულს სტუმრები გაცეცხობით ადევნებენ თვალ-ყურს მაღალჩინოსნის გულითად საუბარს მდიდარი მოიჯარის გოგონასთან. მკითხველი თვალს ხუჭავს და, როცა კვლავ ახელს, უკვე ხუთი წელიწადია გასული: ღრუბლიანი დღე (როგორც ყოველთვის დოსტოევსკისთან), პატარა ეკლესია, მშვენიერი, ახლადგაფურჩქნილი ქალიშვილი და ეკლესიის კართან მომლოდინე საქმრო. ხალხის ჩურჩული პატარძლის სიმდიდრის შესახებ და საქმროს მობერებულის, თუმცა ნაცნობი ნაკვთები მთხრობელს ყველაფერს ატყობინებს და ის ხუთი წლის წინანდელ წინასახალწლო ნაძვის ხის ზეიმს იხსენებს.

იმავე საღამოს ბავშვებს შორის შენიშნავს მფრთხალ ბიჭუნას, გუვერნანტის შვილს, რომელსაც ძალიან უნდა ბავშვებთან თამაში, მაგრამ ისინი თავს არიდებენ. ბავშვის გონება უკვე ხვდება საზოგადოებრივ უთანასწორობას, ბავშვის ბუნება კი ამ საზღვრის გადალახვას ლამობს. ბიჭი ცდილობს, ყველას გული მოიგოს: ასეთ მხიარულ ზეიმს კიდევ როდისღა ეღირსება! ყველა წყენას პატიობს, მლიქვნელობს, ოღონდაც არ გააგდონ. სიმდიდრის ბრწყინვალეობას მკითხველი შორეულ ბინდად შეიგრძნობს, ავტორის მზერა კი დაჟინებითაა მიპყრობილი იმაზე, რაც ამ ყველაფრის მიღმა იძვრის: ადამიანის ცოცხალ სულზე,

მის პირველ ტანჯვასა და უკვე დაწყებულ ხრწნაზე.

„აქვს კი მას ძალა?..“ ერთგვარად ფანტასტიკურ ჩანახატში, რომლის სიუჟეტი და კილო მოგვიანებით „დამცირებულებსა და შეურაცხყოფილებში“ განმეორდება, ავტორი მარტოსული მეოცნებისა და მიტოვებული ქალიშვილის შეხვედრის ამბავს მოგვითხრობს. რა უცნაური შეხვედრების, რა ფიქრიანი და ცხარე გულახდილობების მომსწრენი ვხდებით და რა გზებით ჩასჭიდა ერთი მეორეს ხელები ამ ორმა სპეტიკმა, მარტოსულმა ადამიანმა. მთელ ჩვენ ლიტერატურაში ვერ ნახავთ მეორე ისეთ ნაწარმოებს, მსგავსად რომ სწვდებოდეს ადამიანის სულის სიღრმეებს, სადაც ხალხის ხმაური და მიეთ-მოეთი ველარ აღწევს. მხოლოდ ჩრდილოეთის უმთვარო ღამეები დაჰყურებენ ამ წყვილს და ისინიც სუფთა მზერით შეჰყურებენ ერთი მეორეს. მაგრამ აი, ბნელი ჩრდილი ჩაუქროლებთ, როდესაც ვაჟი ქალს რაღაც გაუგებარს ეუბნება და თან ზეცაზე მიუთითებს. ეს მეოთხე ღამეა, მათი მეოთხე შეხვედრა. ქალი ვაჟს ეკვრის, ხელი უთრთის. უეცრად ნაცნობი, საყვარელი ხმა უხმობს, რომელსაც ჩვეული თვინიერებით ემორჩილება; ქალი შეჰყვირებს და მისკენ გაექანება, ვინც, ეგონა სამუდამოდ დაკარგეო, კვლავაც სწამს გაბზარული ბედნიერების აღდგენისა. მეოცნებე მარტო რჩება და შინ ბრუნდება. როგორი დაბერებული ეჩვენება ყოველივე ამ თავის მიტოვებულ ბუნაგში — თვითონაც, ოთახის კედლებიც, მეზობელი სახლიც. ცხარე მუდარით სავსე წერილში ქალი პატიებასა და გაგებას სთხოვს, ეუბნება, ნუ დამივინწყებ და მეც სამუდამოდ მემახსოვრებიო. ვაჟს წერილი ძირს უვარდება, ხელებს სახეზე აიფარებს:

„...იქნებ მზის სხივმა უეცრად გამოიჭყიტა ღრუბლიდან, მერე კი კვლავ მიიმალა და თვალზე ისევ ბინდი გადამეფარა? ან იქნებ ჩემ წინ უღიმღამოდ გაიელვა მთელმა ჩემმა სამომავლო ყოფამ და ვიხილე ჩემი თავი თხუთმეტი წლის შემდეგ ისევ ამ დღეში: დაბერებული, იმავე ოთახში, ისევე მარტოსული. გვერდით იმავე მატრიონათი, რომელსაც წლების განმავლობაში ჭკუა არ მიმატებია.

მაგრამ განა მახსოვს ჩემი წყენა, ნასტენკა! განა შენ ნათელ, უდრტივინველ ბედნიერებას ბნელ ღრუბელს მოვფენ! განა მწარე საყვედურით ჩაგისახავ გულში დარდ-

სა და იდუმალ ქეჯნას და ნეტარების ნუთებს ჩაგიშხამებ; არ დავაზიანებ არც ერთ იმ ყვავილთაგანს, შავ კულულებში რომ ჩაინი, როდესაც მასთან ერთად საკურთხეველს მიეახლები... ო, არასოდეს ეს არ მოხდება! დაე, შენი ცა უღრუბლოდ დარჩეს, შენ სათნო ღიმილს არ მოაკლდეს კაშკაშა სილაღე, დალოცვილ იყავ ბედნიერების თუნდაც იმ ერთადერთი ნუთისათვის, რაც ჩემს ეულ და მადლიერ გულს არგუნე“¹⁶.

ეს სიტყვები თითქოს მთვარის შუქისაგან იყოს მოქსოვილი. მათში იგრძნობა სიმშვიდე და თავშეკავება და მზადყოფნა სხვისი ნათლით გაცისკროვნებისათვის.

და უეცრად — სულ სხვა კილო: „ავადმყოფი კაცი ვარ... ბოლმიანი კაცი. არაფრით ვარ მიმზიდველი. მგონი, ღვიძლი უნდა მქონდეს დაავადებული“¹⁷, — ყრუდ მოგვესმის მიწისქვეშეთიდან. რამდენიმე ფურცელს რომ გადავშლით, ვკითხულობთ: „დარწმუნებული ვარ იმაში, რომ არამხოლოდ მომეტებული აზროვნება, არამედ ნებისმიერი აზროვნება თავისთავად ავადმყოფობაა. ეს მტკიცედ მწამს. ნუთით ამასაც თავი ვანებოთ. მითხარით, რატომაა, რომ მაინცდამაინც იმ ნუთებში, როცა ყველაზე უკეთ შემეძლო „ყოველივე მშვენიერისა და ამაღლებულის“ გააზრება, ისეთ უმსგავსო ქმედებებს ვსჩადიოდი, რაც სხვებსაც მოსვლიათ, მაგრამ მე ამას სწორედ იმ ნუთებში ვსჩადიოდი, როცა ცხადად ვიცოდი, რომ ამის ჩადენა დაუშვებელია. რაც მეტად მესმოდა სიკეთე და ყოველივე ეს „მშვენიერი და ამაღლებული“, მით უფრო ღრმად ვეფლობოდი ჩემს ჭაობში, მით უფრო დიდი იყო შესაძლებლობა, სულმთლად ჩავძირულიყავი მასში.“ განვაგრძობთ ფურცვლას: „...აზროვნების კანონიერი, უშუალო ნაყოფია ინერცია. დაჟინებით ვიმეორებ: ყველა უშუალო მოღვაწე იმიტომაც იღვწის, რომ ჩლუნგი და შეზღუდულია. რით შეიძლება ეს ავხსნათ? იმით, რომ მათ, თავიანთი შეზღუდულობის გამო, უახლოესი და მეორეხარისხოვანი მიზეზები პირველხარისხოვნად მიაჩნიათ. ამრიგად ისინი სხვებზე უფრო სწრაფად და იოლად რწმუნდებიან იმაში, რომ თავიანთი საქმის ურყევი საფუძველი იპოვეს და მშვიდდებიან, ეს კი ყველაზე მთავარია. საქმის წამოსაწყებად ხომ წინდანინ სრულიად დამშვიდებული

¹⁶ „თეთრი ღამეები“.

¹⁷ „ჩანაწერები მიწისქვეშეთიდან“.

უნდა იყო და ეჭვი არაფერში უნდა გეპარებოდეს. მე კი რით დავიმშვიდო თავი? სადაა ის წინასწარი მიზეზები, რასაც დავეყრდნობი? საიდან მოვიტანო ეს საყრდენი? გამუდმებით აზროვნებას ვავარჯიშებ და, აქედან გამომდინარე, თავდაპირველ მიზეზს ჩემთვის მუდამ მოსდევს სხვა, მისი წინმსწრები და ასე უსასრულობამდე. სწორედ ესაა ნებისმიერი აზროვნების არსი. როგორც ჩანს, ეს ბუნების კანონია.“

შემდეგ გაიელვებს სამარცხვინო აღიარებანი და გენიალური დიალექტიკა, გამოჩნდება ოქროს გულსაბნევიც, რომელსაც გაბეზრებული კლეოპატრა მონაქალებს მკერდში ურჭობდა, იქვე ატუზულა ცნობილი ლექსის „პოეტურობაც“:

*როს ცდომილების უკუნეთიდან
რწმენის მხურვალე სიტყვით ვიხსენი
დაცემული და საბრალო სული...*

და აღმდგარი და კვლავაც შემუსვრილი ქალიშვილის უღონოდ მოცეცილ სხეულს თავს წაადგა შავბნელი, უსახო ფიგურა და შესძახა: „მე ვარ ადამიანი“¹⁸.

დიახ, იფიქრებთ თქვენ, ეს მწერალი მართლაც ძლიერია. სულს, რომელშიც ასე განსხვავებული სახეები, ფიქრები და ბგერები იშვა, მართლაც შესწევს ძალა, შეერკინოს ყოველივე იმას, რასთან შერკინებაც ადამიანს ძალუძს. ის შეიძლება არ შეისმინონ, მას შეიძლება ვერ გაუგონ: ვერც ერთი წინასწარმეტყველი ვერ აქცევს უდაბნოს ქვიშას დამყოლ მსმენელთა გუნდად. მაგრამ ისტორიის თვალუწვდენ ტრამალებზე მუდამ ქვიშა ხომ არ იდება — აი, სწორედ მაშინ მოაწევს მისი სამკალის ჟამიც.

ჩვენთვის ეგზომ მიმზიდველი ამ მწერლის გვერდით მთელი რიგი სხვა მწერლებიც გამოდიან. აი, ფიქრიანი გონჩაროვი, ადამიანისადმი არტისტული სიყვარულით, ძილბურანში რომ ადევნებს თვალს მზით გაკაშკაშებული ღვთის სამყაროს ერთ მცირე კუნჭულს, ამ კუნჭულის გარდა სხვას

¹⁸ იხ. „სველი თოვლის შესახებ“ „ჩანაწერებში იატაკქვეშეთიდან“. დოსტოევსკის ამ უღრმეს ნაწარმოებთან ერთადერთ ანალოგად გვევლინება დიდროს „რამოს ძმისწული“. „იატაკქვეშეთის გმირის“ ხასიათის პირვანდელი, თუმცა მხოლოდ და მხოლოდ კომიკური მონახაზი გახლავთ თომა თომას ძე მოთხრობიდან „დაბასტეპანჩიკოვო და მისი მაცხოვრებლები.“

ვერაფერს ამჩნევს და აუჩქარებლად ქარგავს თავის ჩუქურთმას; აი, შფოთიანი და სუსტი ტურგენევი, ეგზომ ნიჭიერი, ეგზომ ბევრი რომ უფიქრია, ისეთ აზრებს გვანვდის, გონებაში სამუდამოდ რომ გვებეჭდება და ერთობ მკრთალ, მაგრამ მუდამ მომხიბვლელ სახეებს გვიხატავს; დაბოლოს, აი, ტოლსტოიც, ვის ძლევამოსილებასაც, ასე გვეჩვენება, საზღვარი არ აქვს, გადაგვიშლის ადამიანური ცხოვრების უკიდევანო პანორამას ყველგან, საცა კი ცხოვრება მყარი ფორმებითაა შემოსილი. და ჩვენ ვყოყმანობთ; თავიანთი მისიის აღსრულებით მონუსხული ეს დიადი ხელოვანი მიზანს წამითაც კი არ აცილებენ თვალს და უსაზღვროდ გვიზიდავენ. მათ ქმნილებებთან შედარებით ყოველივე დაწერილი იმ მწერლის მიერ, ვისაც გვსურს გავყვეთ, მცდარად გვეჩვენება: მისი სახეები ხშირად გამრუდებულია, მის მეტყველებას ჰარმონია აკლია; ეს თითქოს ჯერაც პირველქმნილი ქაოსია, რომელსაც არ მიჰკარებია საზომი და რიცხვი, მასში ყოველივე არეულდარეულია. ჩვენ ყოყმანს განსაკუთრებით ტოლსტოი აძლიერებს: მის სამყაროში მხოლოდ მის ქმნილებათა აღუნერეული მშვენება როდი გვიზიდავს, აქ რალაც სხვაცაა, ბევრად უფრო ღრმა და საფუძვლიანი. ჩვენთვის ამკარაა, რომ ის ბუნების ელევსინურ მისტერიებს ეზიარა და ყოვლისმშობელ დედამიწას მიკრული, ისმენს ყრუ ბგერებს და ბუნდოვან აჩრდილებს ხედავს. ცდილობს ყოველი სიკვდილისა და დაბადების საზრისს ჩასწვდეს, რომელთა ვინრო ჩარჩოებშია მომწყვდეული ადამიანის შესაბრალისი ყოფა. მაგრამ უძველესი თქმულებები გვაუწყებს, რომ იქაც, ნამდვილ ელევსინიაში, ხელდასხმულთ მხოლოდ შორეული ალევორიების სახით ეცხადებათ სიკვდილის ცოცხლის საიდუმლოებანი. როგორც ჩანს, ადამიანი სამუდამოდ მხოლოდ ამას უნდა დასჯერდეს.

რაოდენ მიმზიდველიც არ უნდა იყოს მშვენიერების საუფლო, არსებობს რალაც მასზე უფრო მეტად მიმზიდველიც: ეს ადამიანის სულის დაცემაა, ცხოვრების ის უცნაური დისჰარმონიები, მის მცირერიცხოვან მწყობრ ბგერებს რომ ახშობს. ამ დისჰარმონიის ფორმებით მიედინება კაცობრიობის ათასწლოვანი ბედისწერანი. და, თუკი შევავლებთ თვალს მსოფლიო ლიტერატურას, აღმოვაჩინებთ, რომ არავის მზერა არ ყოფილა ამ დისჰარმონიათა გამომწვევი

მასილი როზანოვი. დიდი ინკვიზიტორის ლეგენდის შესახებ

მიზეზებისადმი ასე დაჟინებით მიპყრობილი, როგორც ჩვენ მიერ გამორჩეული მწერლის მხერა. ამიტომაცაა, რომ მის ნაწარმოებთა ქაოსში არნახულ მთლიანობასა და სისავსეს ვხვდებით, ის ერთთავად მკრეხელურიცაა და რელიგიურიც. ის სიყვარულისა და ასახვის საგნად ბუნების არც ერთ სურათს არ ირჩევს; მას მხოლოდ ის ნაკერები აინტერესებს, ამ სურათებს ერთი მეორესთან რომ კრავს; ამ სურათებს ცივი ანალიტიკოსის მხერით მსჭვალავს და სურს განჭვრიტოს, თუ რატომღა ღვთის სამყაროს მთელი სახე ასე გამრუდებული და გაუკულმართებული. ამ ანალიზს მან გამოუცნობი გზით შეუთავსა ყოველივე ტანჯულისადმი უდიდესი სიყვარულის განცდა. გეგონებათ იმ გამრუდება, შემზარავ იარად რომ დააჩნდა ღვთის სამყაროს სახეს, ყველაზე ღრმად და მტკივნეულად თვით მის არსებაზე გაიარა, მის შინაგან სამყაროს შეეხო და მანაც სხვებზე უმძაფრესად განიცადა მთელი ის ტანჯვა, რასაც „ღვთის ქმნილი არსება“ იტანს, და მისი ფარული არსის წვდომასაც სხვებზე მეტად მიუახლოვდა. ამითაა გამოწვეული მისი ნაწარმოებების ღრმა სუბიექტურობა და მათი ცხარე ვნებიანობა: ის გარედან როდი მოგვიხმობს თავისი ინტერესების გასაზიარებლად, რასაც შეგვიძლია სხვა დანარჩენი ინტერესების გვერდით მოვეკიდოთ, არამედ მისი ხმა საიდანაც შორიდან გვესმის და როდესაც ვუახლოვდებით, ვხედავთ სრულიად ეულ, უცნაურ არსებას, რომლის გვერდით არავინაა; ის გველაპარაკება ადამიანური ბუნების გაუსაძლისი ტანჯვა-წამების შესახებ, გვეუბნება, რომ ამის მეტად ატანა შეუძლებელია და რომ საჭიროა ამისაგან თავის დაღწევის გზა მოინახოს. ამიტომაცაა, მის ყველა ნაწარმოებს მტკივნეული კილო რომ ახასიათებს, მათი შემადგენელი ნაწილები მოკლებულია გარეგნულ ჰარმონიას და, ამასთან, თითოეული მათგანი მოუშუშებელი ტკივილების სამყაროში გვახედებს, რომლის აღწერაც ამ ტკივილის მიზეზისა და შეუცნობელი მიზნის ამაო ძიებასთანაა გადახლართული.

სწორედ ეს ანიჭებს მის ნაწარმოებს

საუკუნო და უჭკნობ საზრისს. დღესდღეობით უკვე ანაქრონიზმი იქნებოდა თუნდაც ტურგენევის მიერ შექმნილ სახეთა განხილვა, თუმცა ისინი არც ისე დიდი ხნის წინათ მოგვევლინენ: მათ განსაზღვრული წუთის მოთხოვნას უპასუხეს, თანამედროვეთაგან გაგებულ იქნენ და დღეს უკვე მხოლოდ და მხოლოდ მხატვრული მშვენიებით გვხიბლავენ. გვიყვარს ეს ცოცხალი სახეები, მაგრამ მათ აღარაფერი შერჩათ იდუმალი და ამოსაცნობი. დოსტოვესკისთან კი სრულიად საპირისპირო ვითარებას ვაწყდებით: ის შიში და ეჭვი, რითაც მისი ნაწარმოებებია გაჟღერებული, სწორედ ჩვენი შიში და ეჭვია და ყველა დროში ასე იქნება. იმ ეპოქებში, როცა ცხოვრება იოლად და ლაღად წარიმართება, ეს მწერალი შეიძლება სრულიადაც მიივიწყოს, მის წიგნებს აღარავინ გაეკაროს. მაგრამ ყოველთვის, როცა კი ისტორიული ცხოვრების გზებზე ესა თუ ის დაბრკოლება გაჩნდება, როცა კი ამ გზებით მიმავალ ხალხებს რაღაც შეძრავს ან თავგზას აუბნევს, ამ მწერლის სახელი და მისი სახება კვლავაც ახლებური ძალით წამოიმართება, რადგან მან უსასრულოდ ბევრი იფიქრა ამ გზების შესახებ.

ის გვიხმობს გამრუდებისა და ტანჯვის სამყაროში და სავსებით შესაძლებელია, ამ სამყაროს ისე მივაშუროთ, რომ სრულებით დავივიწყოთ ხელოვნებასა და პოეზიაში გახსნილი მშვენიერების სამყაროც და ჩვენი საბრალო მიწისაგან ეგზომ დაშორებული მეცნიერების სუსხიანი სფეროებიც, რადგანაც ჩვენ დედამიწას ვერასგზით დავთმობთ. მის სამყაროში შესვლა ჩვენთვის გულის უსანუკვრესი სწრაფების ასრულებას ნიშნავს, რადგანაც ტანჯვა ჩვენ გულს რაღაცნაირად ეახლობლება და აუხსნელად იზიდავს. ამ მიმართულებით სიარული ჩვენი გონების უმთავრესი მოთხოვნის აღსრულებასაც უდრის, რადგან გონება, მეცნიერებისა და ფილოსოფიის ყოველი ხიბლის მიუხედავად, მაინც ამ უმთავრეს, ამ ერთადერთ მოთხოვნას აცხადებს.

თარგმნა თამარ კოტრიკაძე



1854 წლის 3 ივლისს იმამ შამილის რაზმები კახეთში შემოიჭრნენ. მიუხედავად შტაბს-კაპიტან დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით განუთლი წინააღმდეგობისა, მათ დაარბიეს და გადაწვეს სოფლები შილდა, გრემი, ენისელი... (შემდგომში, შილდასთან გმირული ბრძოლისათვის დავით ჭავჭავაძეს ებოძა პოლკოვნიკის წოდება და რუსეთის იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტობა).



4 ივლისს მარბიელთა რაზმებმა გადალახეს ალაზანი, შეესივნენ სოფელ წინანდალს, გაძარცვეს და დაწვეს დავით ჭავჭავაძის სახლი. ტყვედ წაიყვანეს დავითის მეუღლე – ანა ბაგრატიონი-ჭავჭავაძისა და მისი მცირეწლოვანი შვილები: ექვსი წლის სალომე, ოთხი წლის მარიამი, სამი წლის თამარი, ერთი წლის ალექსანდრე და ოთხი თვის ჩვილი ლიდა (დაიღუპა გზაში); აგრეთვე – დის ოჯახში სტუმრად ჩასული ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისა თავისი პატარა ვაჟითურთ და ფრანგი გუვერნიორი ქალი დრანსე. დატყვევებულ მსახურ-მოახლეთა და წინანდლის მცხოვრებთა რიცხვს ხომ თვლა არ ჰქონდა.

დიდებული ქართველი პოეტის, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ერთ-ერთი შვილიშვილი, გატაცებული წინანდლიდან, სახელდობრ – მარიამი, გახლავთ დიდდა ამერიკელი მწერლის პავლე ჭავჭავაძისა (1899-1971).

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-სა და ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილთაშვილი – პავლე ჭავჭავაძე, დაბადებული და გაზრდილი სანქტ-პეტერბურგში, 1917 წლის შემოდგომაზე რუსეთიდან გადაიხვეწა და დასახლდა ჯერ ინგლისში, მერე – შეერთებულ შტატებში. „ნითელი ჯვრის“ ამერიკულ ორგანიზაციაში ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდგომ მწერლობას მოჰკიდა ხელი.

პავლე ჭავჭავაძის კალამს, სხვა ნაწარმოებებთან ერთად, ეკუთვნის რომანი „რამეთუ იდგა შავბნელი ღამე“ (1966), რომელიც მოგვითხრობს თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციის ამბებს (ამ წიგნიდან თარგმნილი ფრაგმენტები დაიბეჭდა ქართული პრესის ფურცლებზე) და „მთები ალაჰისა“ (1952), სადაც აღწერილია წინანდლელ ტყვეთა თავგადასავალი დღიდან გატაცებისა ვიდრე 1855 წლის 10 მარტამდე, როცა მოხდა მათი გადაცვლა შამილის ვაჟზე – ჯემალედინზე, ბავშვობისას მძევლად რომ იყო წაყვანილი და იმხანად უკვე მსახურობდა რუსეთის არმიაში (პორუჩიკის ჩინით).

პავლე ჭავჭავაძის აღნიშნულ რომანში ფრანგი გუვერნიორი ანა დრანსე, სხვა პერსონაჟთაგან განსხვავებით, გამოყვანილია ფსევდონიმით (ზოია დიუვალი).

პავლე ჭავჭავაძე

ამბავი ფრანგის ქალისა

ზოია ფეხმორთხმით იჯდა კლდის გვერდით აშენებული პატარა, ბანიანი სახლის იატაკზე და გულდასმით ათვალიერებდა ნითელი ტყავის ფეხსაცმელს. მის ცხვირწინ ჩამწკრივებულიყო დანარჩენი ხუთი წყვილი წვერწანვეტებული, უქუსლო, რბილლანჩიანი ფეხსაცმელი, მთიელი ქალები რომ ატარებენ; ერთი წყვილი ეკუთვნოდა კნეინა ანას, მეორე წყვილი – კნეინა ბარბარეს და სამი წყვილი – პატარა გოგოებს.

ზოიას თავისი ფეხსაცმელი ეჭირა ხელთ. თხელი საზაფხულო ფეხსაცმელი მოისროლა იმ დილით, როდესაც ფრიალო კლდეზე მიბობლავდნენ. ქათიბიდან ხალისიანად გამოჰყო შიშველი ფეხები და შეაცურა ახალთახალ ფეხსაცმელში. ჩინებულად მოერგო. გულკეთილად გაეღიმა მოხუცებულ

ქალზე, რომელმაც ფეხსაცმლის შეკერვა ასწავლა.

უკვე სამი კვირა გასულიყო მას შემდეგ, რაც ტყვეებმა დატოვეს პოჰალის კოშკი, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მიეღწიათ შამილის სახლამდე დარლო ვედენოში. ისინი ცხოვრობდნენ აულში, რომელიც მდებარეობდა გრანიტის კედლად აღმართული მთის წვერზე, ათასი ფუტი სიმაღლე რომ ექნებოდა ვინრო, ხრიოკი ველიდან. როდესაც ზოიამ პირველად დაინახა აული თავისი პატარა, ბრტყელბანიანი სახლებით, რომლებიც მერცხლის ბუდეებს ნააგავდნენ, ცოტათი თავბრუ დაეხვა, მაგრამ მერე მიეჩვია შუკებს, ციცაბო ფერდობზე რომ მიფოფხავდნენ დაკლაკნილი კიბეებივით. ყოველ დილით, კეთილმოსურნე მოლას თანხლებით, მიჰყვებოდა გზას ხარაზის სახლისაკენ და შუადღისას უკან ბრუნდებოდა.

* ფრაგმენტი რომანიდან „მთები ალაჰისა“

ბრტყელბანიანი სახლი, სადაც ტყვეები დააბინავეს, იდგა სწორედ მთის მწვერვალზე, სადაც ვინრო და კედლებშუა მოქცეული ქუჩები ერთ წერტილში იყრიდნენ თავს მოედნის მსგავს ალაგას.

დღიდან დღემდე ელოდნენ შემდგომ ბრძანებას შამილისგან. კეთილმოსურნე მოლამ ამცნო ტყვეებს, ბრძოლები ჩრდილოეთში კვლავ მძვინვარებს და იმამი თავის ჯართან იმყოფებაო. შამილს სურდა, დარღო-ვედენოში დახვედროდა საპატიო ტყვე-ქალებს.

ერთ მშვენიერ დღეს მოლამ მოიტანა ნითელი ტყავის დიდი ფურცელი და თქვა: „არ ეგების, რომ თქვენი წოდების ქალები ფეხშიშველნი წარსდგნენ იმამის წინაშე. ერთი თქვენგანი უნდა წავიდეს ხარაზთან და ფეხსაცმლის შეკერვა ისწავლოს. მაგრამ ეს უნდა იყოს რომელიმე ძიძა. არ ეგების, რომ თქვენი წოდების ქალები ქუჩაში გავლილი იხილონ“.

ზოიამ ღიმილი ვერ შეიკავა. წოდებას ამხელა მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ტყვეებს კი ძონძები ეცვათ, იატაკზე ეძინათ და ისე ცოტას ჭამდნენ, რომ ლამის მშვიერი ეთქმოდათ. მათი კვება დამოკიდებული იყო აულის მკვიდრთა გულუხვობაზე, რომელთაც თვითონ კუჭი უხმებოდათ და ძალზე უჭირდათ, სარჩო-სანოვაგე ეწილადებინათ სხვისთვის.

ბოლოს და ბოლოს ზოიამ თავისი გაიტანა და ხანგრძლივი დავის შემდეგ დაიყოლია კეთილმოსურნე მოლა, ხარაზთან მე ვივლიო.

და აი შედეგიც – ჩაიცვა ახალთახალი ფეხსაცმელი, ზეზე წამოხტა, გაიზმორა და შუბლზე ჩამოშლილი კულულები გაისწორა. თმის სამაგრები გზაში დაჰკარგოდა, ალბათ, ტყეში, კონწის მთის მახლობლად. მართალია, ორივე კნეინა გაუჯავრდა, მაინც მოკლედ შეიჭრა თმა ტლანქი მაკრატლით, რომელსაც ცხვრის პარსვისას იყენებენ. ვინრო, ნითელ ლენტს სტაცა ხელი და თმა შეიკრა. ლენტი ხარაზისა იყო. ხანგრძლივი მუნჯური საუბრისა და პირისახის მანჭვის შემდეგ, როგორც იქნა, მორიდდნენ. მოხუცებულმა ქალმა გაუცვალა ლენტი მდიდრული ნაქარგის ნაწილში, ზოიას ქათიბს რომ მოაჭრეს ფუტნახევრის ხელაზე და ძალიან დაგლეჯილი დატოვეს სამოსელი.

მაგრამ ზოიას თავისი ქათიბი სულაც არ ედარდებოდა. თავს უკეთესად გრძნობდა მოკლედ შეკრეჭილი თმით, რომელიც ასე თუ ისე მოანესრიგა. და როდესაც ფეხდაფეხ მისდევდა კეთილმოსურნე მოლას ხარაზის

სახლისაკენ, იგი ჰგავდა ცქრიალა და შუშპარა მანანწალას. დასვრილი, ჟოლოსფერი სამოსელი ეცვა და შეჭრილი თმა ნითელი ლენტით ჰქონდა შეკრული; ხოლო კალათა, სავსე პატარ-პატარა ნითელი ფეხსაცმლებით, მკლავზე გადაეკიდა. ზოია ერთ-ორი ნაბიჯით უკან უნდა გაჰყოლოდა მოლას, რათა ამით გამოეხატა პატივისცემა მამაკაცის მიმართ. ყმანვილქალები სანდომიანი, საზეიმო გამომეტყველებით და რამდენიმე ჩადრიანი ქალი მდუმარედ მიწარწარებდნენ გვერდით, მაგრამ ხალხმრავლობა არასოდეს შეინიშნებოდა ქუჩებში.

ზოიამ ლამის ზეპირად იცოდა ყოველი ქვა, ყოველი ბზარი უფანჯრო კედლებში, რომლებიც მწკრივად მოჰყვებოდნენ ორთავ მხარეს. მალე მიადგნენ ერთ სახლს, აძვრნენ ფრიალო კიბის საფეხურებით, კლდეში რომ იყო გამოჭრილი და შემდეგ გავიდნენ სწორზე, სადაც მდებარეობდა აულის მოედანი. ჰასანი, ალბათ, იდგა სადარაჯოზე მათი სახლის წინ. ზოიამ თვალი მოჰკრა ამ დილით და მანამდეც არაერთხელ დაუნახავს. იგი გამოიყურებოდა გაცილებით ნაღვლიანად, ვიდრე ოდესმე; ძლივს გამოსტყუებდი ღიმილს. განაჩენის ჩრდილი თავს გადაჰფენოდა. მაშინაც კი, როცა ზოიამ მიაწოდა შალი, გულგრილი გამომეტყველებით გამოართვა და კრინტიც არ დაუძრავს. მარტოოდენ კეთილმოსურნე მოლა თუ სცემდა ხმას, დანარჩენი ჩეჩნები აშკარად გვერდს უქცევდნენ. ზოიას ვერ გაეგო, რატომ ხდებოდა ეს. ჰაჯი-ხერიეთი კი თითქოს გამქრალიყო სადღაც მას შემდეგ, რაც ამ აულში ჩავიდნენ.

მაგრამ ამ ნუთას ზოიას ფიქრებიდან შორს იყვნენ ჰასანიც და ჰაჯი-ხერიეთიც. შეუდგნენ უკანასკნელ ფრიალო კიბეს და მალე თვალში შეეჩეხებოდათ ბნელი ხარო. ზოიას უთხრეს, რომ დროდადრო დამნაშავეს ანდა დატყვევებულ რუსს აგდებდნენ ამ ხაროში და ტოვებდნენ იქ იმდენ ხანს, სანამ სასჯელის ვადა ამოიწურებოდა, ზოგჯერ სიკვდილიც იქ უწევდათ. ერთხელაც ზოიამ ვერ დასძლია ავადმყოფური ცნობისმოყვარეობა და ჩაიჭყიტა ხაროში. შეძრწუნებითა და ზიზღით უკუიქცა. ხაროს დაახლოებით 10 ფუტი სიღრმე ჰქონდა და 7 ფუტი სიგანე. ეტყობა, ახლა ცარიელი იყო, მაგრამ ნესტისა და ხრწნის სიმყრალემ კინაღამ გული არ აურია. ზოიას თავზარი დასცა ფიქრმა იმ კაცზე, ვინც აქ სულს ლაფავდა ხოლმე ეულად, ვიდრე შამილის შეწყალება ანდა ნელი

სიკვდილი იხსნიდა აგონიისგან. საზარელი ხარო თითქოს მოიწვედა მისკენ და თავს ვერ აარიდებდა. ზოია ცდილობდა, არ ეფიქრა ამაზე, მაგრამ უნაყოფოდ. მათი სახლის ბანიდანაც კი დაინახავდი ხახადაბჩენილ ხვრელს, თითქოს უზარმაზარი, შავი და მოშივებული პირი მოუთმენლად ელოდა საზრდოს.

ამ შუადღისას, ჩვეულებისამებრ, ლამობდა, სხვა მხარეს გაეხედა, როდესაც იგრძნო, რომ დაჟინებით უმზერდა ვიღაც. ჰაჯი-ხერიეთი ყოფილა. თავზე ადგა ხაროს, ჩაშტერებოდა და სასტიკი ღიმილი დასთამაშებდა პირისახეზე. ჰასანიც აღარ ჩანდა მათი სახლის კართან. შემზარავმა ეჭვმა შეიპყრო ზოია. თამამად მიუახლოვდა ხაროს კიდე და შიგ ჩაიხედა. ხარო კვლავინდებურად ცარიელი იყო. და კვლავ გულისამრევმა სუნმა უკან გადაადგმევინა ნაბიჯი. მას არ შეუნიშნავს ნამდვილი გაოცება, რომელიც აენტო თვალეში ჰაჯი-ხერიეთს, ასე უცნაურად გამოწყობილი რომ იხილა. ზოიამ შეხედა მას და გაახსენდა ის გამომეტყველება, მთვარით განათებულ ზეგანზე რომ ჰქონდა, გამრუდებულ-დაძაბული ცხვირ-პირი და გავარვარებული თვალები. ახლა კი ენა გადაისვა ტუჩებზე. ეტყობა, ისევ უხურდა.

კეთილმოსურნე მოლა მიუახლოვდა და ჰაჯი-ხერიეთმა რალაც უთხრა დედაენაზე. მოლამ ბრაზიანი ხმით გასცა პასუხი. ამას მოჰყვა ხანმოკლე, მაგრამ ფიცხი შეკამათება და მოლა მიუბრუნდა ზოიას: „ნადი აქედან!“ – უთხრა რუსულად, „ჰაჯი-ხერიეთი, ჩანს, გონზე არ არის“.

ბოლო ხანებში კნეინები ყოველდღიურად ავარჯიშებდნენ ზოიას და მისი რუსული საგრძნობლად დაიხვეწა. უკვე ძალუძდა ეკითხა მოლასთვის, ჰაჯი-ხერიეთს რა ნებავსო.

„რა ნებავს და ათ მანეთად უნდა გიყიდოს“, აღშფოთებით უპასუხა მოლამ.

ჰაჯი-ხერიეთის განზრახვა ათ მანეთად მისი ყიდვისა იმდენად წარმოუდგენლად ეჩვენა ზოიას, რომ სიცილი აუტყდა. მაგრამ სიცილი ერთბაშად შეაცივდა ტუჩებზე, როდესაც თვალში მოხვდა ჰაჯი-ხერიეთის დაბოლმილი სახე და მოლაც საყვედურით თავს აქეთ-იქით აქნევდა. ზოია მდუმარედ გაჰყვა მოლას მოედნის გასწვრივ და ჰაჯი-ხერიეთის გაბოროტებული ხმა დაენია მათ. რუსულად ყვიროდა: „ეგ არის ნაშობი შაითანისა! ეგ ავსული აგიყებს კაცებს!“

ზოიამ ქოშინით აირბინა ბანზე, ჩქარობდა,

რომ კნეინებისათვის ეთქვა ყველაფერი, რაც მოხდა. მაგრამ მყისვე დამუნჯდა, როდესაც შენიშნა ტკივილი, ორივე ქალბატონის პირისახეზე რომ აღბეჭდილიყო.

ავად გამხდარი სანდრო, მისუსტებული და მოდუნებული, ინვა იაკოვლევნას კალთაში, თვალები დახუჭული ჰქონდა, სხეული – დაღეული; კეთილმოსურნე მოლამ, რომელიც ბანზე მიჰყვებოდა ზოიას, სიბრაღულით დახედა ბავშვს და ალერსიანად გადაუსვა ხელი შუბლზე.

„ბავშვი შიმშილით გვიკვდება“, თქვა კნეინა ბარბარემ.

ჩასუქებული იაკოვლევნა ბუტბუტებდა: „ო, უფალო ზეცად და წმინდანებო! ო, ჩემო უფალო, იესო ქრისტევე, ძეო ღვთისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლო! გადაარჩინეთ სიკვდილს ეს ბავშვი! დილამდე ველარ გაანვეს...“

კნეინა ანას არაფერი უთქვამს. იჯდა ძირს დახრილი თვალებით; ვერ მიხვდებოდა, ლოცულობდა თუ მხოლოდ ძალ-ღონეს იკრებდა, რომ არ აქვითინებულყო.

კეთილმოსურნე მოლამ ხელი მოიფათურა ჯიბეში და მერე ცოტაოდენი წვრილი ფული ჩაუყარა სანდროს უსიცოცხლო მუჭში. „უთხარი დედაშენს, რომ არ ეწყინოს; უთხარი, რომ აილოს ეს ოცდაათი კაპიკი. ძალზე მწირი ძღვენია, მაგრამ რამდენიმე ქათამს კი იყიდით და წვნიანი გაგიშადოს“.

კნეინა ანას სისხლი მოაწვა სახეზე და წამოუჭარხლდა. სირცხვილმა და დამცირებამ შეიპყრო. უარის თქმას აპირებდა, მაგრამ ზოიამ ხელი სტაცა მონეტებს. „რა დროს სიამაყეა, ანა! ბავშვს უნდა ვაჭამოთ რამე. მე ავიღებ ამ ძღვენს“.

ზოიას გაახსენდა, რომ მოედნის გადაღმა ეზოში ქათმები ჰყავდათ და სასწრაფოდ გაიქცა ბანიდან. ეზო გადაიბინა, მოედანზე გავიდა და დააბრაზუნა დაბალ კარზე, სქელი ქვის კედლის მყუდრო ადგილას რომ გამოეჭრათ. ახალგაზრდა და სანდომიანმა ქალმა გაულო კარი. აულის სხვა ქალებივით მასაც ეხურა ბეჭდებით, ვერცხლის ფულითა და ბრჭყვიალა სამკაულებით მორთული თავსაბურავი. გულითადი ღიმილი ჰქონდა. ზოია უკვე მიჩვეულიყო მუნჯურს და იოლად შეძლო აეხსნა ქალისათვის, რაც უნდოდა და ვისთვის უნდოდა. ქალმა ხუთი თითი გაფარჩხა და ზოიამ მისცა ხუთი კაპიკი. მერე ერთად დასდევდნენ ქათმებს და ბოლოს ხელთ იგდეს ერთი მსუქანი დედალი. ქალმა ორივე ფეხში ჩაავლო ხელი, თავქვე დაიჭირა

და გაუნოდა ზოიას. მანაც ფეხებში მაგრად ჩასჭიდა ხელი ქათამს და შინისაკენ მოუსვა.

მოედანზე გასულს მოულოდნელად შეეჩეხა ჰაჯი-ხერიეთი, რომელსაც სახე წამოსწითლებოდა და სიავე ეხატა თვალბში. ზოიამ აქეთ-იქით მიმოიხედა. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო. ჰაჯი-ხერიეთი მიუახლოვდა ზოიას. ქალმა გაიგონა სისინით ნათქვამი „შაითან“ და დაინახა, რომ ორი კლანჭივით ხელი გამონეულიყო ყელში წასაჭერად. მაგრამ ყელს რომ მისწვდა, ჰაჯი-ხერიეთს ხელი მოუდუნდა და თითის წვერებით ნაზად შეეხო ფუმფულა კანს. მთიელმა რაღაც წარმოთქვა თავის ენაზე. ზოიამ ვერაფერი გაიგო. ჰაჯი-ხერიეთი მარცხენა მკლავით ლამობდა გაეთრია ქალი. უეცრად ზოიას ბრმა მძვინვარება დაეუფლა. მარჯვენა აიქნია და სახეში სთხლიმა ეს საბრალო ქათამი, რომელმაც კრიახითა და ქოთქოთით ფრთები აატყლაშუნა ჰაჯი-ხერიეთის თავსა და მხრებზე. მთიელმა ორივე ხელი აიფარა, ქათამმა თვალბები არ გამომთხაროსო. ზოიამ იგრძნო, რომ ხიფათს თავი დააღწია და უკანმოუხედავად გადასჭრა მოედანი.

კეთილმოსურნე მოლა ზღურბლზე იდგა და მბრძანებლური შესტით ანიშნებდა ჰაჯი-ხერიეთს, აქედან დაიკარგეო. ზოია შეუშვა და კარი მიიხურა. ზოია მიეყრდნო კედელს, რომ სული მოეთქვა და დამშვიდებულიყო.

კეთილმოსურნე მოლამ ჯერ თითი დაუქნია, მერე ხელი მამაშვილურად მოუთათუნა ლოყებზე.

„ალარასოდეს აღარ უნდა გახვიდე სახლიდან მარტო. ამას თუ იზამ, იცოდე, ჩაგკეტავ!“ – უთხრა ზოიას და მერე დახედა ქათამს.

„რამდენი გადაიხადე?“

„ხუთი კაპიკი“.

„ძალზე ძვირია. ოთხი კაპიკიც საკმარისი იქნებოდა“.

ზოიამ მხრები აიჩეჩა და დაუძახა ელისოს, გამხდარ ქართველ ძიძას, რომელიც ამზადებდა ტყვეების ღარიბულ საჭმელს.

სამი საათი რომ გავიდა, ზოიამ, ორმა კნენამ და კეთილმოსურნე მოლამ ისევ მოიყარეს თავი ბანზე. ახლა უკეთესად გრძობდნენ თავს; სანდრომ მიირთვა ცოტაოდენი წვნიანი, ელისომ რომ გაუმზადა და საკმარისი გამოცოცხლება დაეცყო. სხვა ბავშვებმაც ტყვეობაში პირველად იგემეს რიგინი საჭმელი. კნენებს ძალიან გაუხარდათ ახალი ფეხსაცმელი. სალომე და მარიამი

დაჭერობანას თამაშობდნენ ქვემოთ, პატარა ეზოში.

ზოია იდგა კედელთან, რომელიც გადაჰყურებდა მოედანს. მიაშტერდა თოვლისქუდა მწვერვალთა ჯაჭვს შორეთში. მალე უკანასკნელი სხივები ჩამავალი მზისა გაქრებიან მათ უკან და ზეცა განათდება უდიდესი, უკაშკაშესი ვარსკვლავებით, რომელიც კი ოდესმე უნახავს. იქიდან, სადაც იდგა, ზოიას შეეძლო დაენახა ჩადრიანი ქალები, რომლებიც ბრუნდებოდნენ თავიანთი ყოველდღიური მგზავრობიდან მდინარისკენ, კლდოვანი დაბლობის ფსკერზე რომ მოედინებოდა. მიჰყვებოდნენ მთის ვიწრო ბილიკს მძიმე თიხის დოქებით თავზე. მოულოდნელად მოედნიდან მოესმა ფეხების ტყაპა-ტყუპი. ახმახ კაცს ხაროსაკენ მოჰქონდა გრძელი კიბე. ფეხდაფეხ მოსდევდნენ ჰაჯი-ხერიეთი და სხვა მიურიდები. ბოლოში კი მოდიოდა თავჩალუნული ჰასანი, გარშემორტყმული თოფიანი კაცებით.

ზოიას განცვიფრებისაგან ენა ჩაუვარდა მუცელში. ახმახმა ხაროში ჩაუშვა კიბე. როდესაც ჰასანი ჩაჰყვა კიბეს და თვალთაგან გაქრა, ზოიას კვნესა აღმოხდა და სახე ჩარგო ხელებში. მაშინვე მის გვერდით გამოჩნდა კეთილმოსურნე მოლა. იგი ერთი შეხედვითვე მიხვდა, რაც ხდებოდა და სცადა ზოიას წაყვანა. მაგრამ ქალი ჩაებლაუჭა კედელს. ამასობაში ჩეჩნებმა ზემოთ ამოიტანეს კიბე. მერე ხმაამოუღებელი გაიფანტნენ და დატოვეს პირდაბჩენილი, გაუმაძღარი შავი ხარო.

კნენა ბარბარემ ძალით წაიყვანა ზოია, რომელიც უღონოდ დაეშვა იატაკზე. „რატომ, რატომ, რატომ?“ – გაიძახოდა სუსტი და აკანკალებული ხმით. მეტს ვერაფერს ამბობდა.

კეთილმოსურნე მოლამ ნაღვლიანად შეხედა. „ჰასანმა ჩაიღინა მძიმე დანაშაული“, თქვა მან. „ჰასანმა ხელი აღმართა თავის მოძღვარზე“.

„მაგრამ ეს ხომ ჩემს დასაცავად გააკეთა“, წამოიძახა ზოიამ და რამდენიმე დამტვრეული ფრაზით უამბო მოლას ტყეში მომხდარი ამბავი.

„საბრალო ჰასანი“, ამოიოხრა მოლამ. „ეტყობა, უბედურ ვარსკვლავზეა გაჩენილი. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა ძმა მოუკვდა პატივყარილი“.

და აი, რა მოუთხრო მოლამ ზოიას: ერთხელ შამილი დამარცხდა რუსებთან მორიგი შეტაკებისას. მეჩეთში სალოცავად წასვლამ-

დე უთხრა თავის ნაიბებს: „ჩვენ დავმარცხდით ჩვენი ცოდვების გამო. იპოვეთ ჩემს მიუზრითა შორის იგი, ვინც შესცოდა, ვინც არ ლოცულობს და არც მარხულობს, ანდა სხვაგვარად თუ დაურღვევია კანონი ალაჰისა. ამით ხომ ვაება და სიკვდილი მოუტანა ასობით მუსლიმს. მითხარით მათი სახელები, მართლმსაჯულება უნდა აღსრულდეს და დამსახურებული სასჯელი დაატყდება თავზე ცოდვილს!“ ნაიბებმა მაინცდამაინც ჰასანის ძმა გამოარჩიეს ყველაზე დიდ ცოდვილად. მან არ უარყო თავისი ცოდვები; მორჩილად შეეგება სიკვდილს და ევედრებოდა ალაჰს, ჩემს სულზე მოწყალება მოიღეო.

„მერედა, ჰასანს არ შესძულდა იმამი?“ გაკვირვებით ჰკითხა ზოიამ კეთილმოსურნე მოლას.

მოლა შეიჭმუნა. „როგორ იქნება, რომ შეგძულდეს იმამი?!“ – წარმოთქვა შეძრწუნებით. „იმამი სამართლიანია. ჰასანს შესძულდა თავისი ძმის ცოდვები, რომელმაც უპატიობა მოუტანა მთელ ხალხს! რამდენიმე თვის წინათ ჰასანმა სთხოვა იმამს, მიუზრითა რიგებში ჩამრიცხეო. იმამს, თავისი სიბრძნისა და ჭეშმარიტების სიყვარულის წყალობით, უარი არ უთქვამს მისთვის, მაგრამ მკაცრი გამოცდა მოუწყო. თანაც აშკარად მიახვედრა, რომ მისი ძმის ცოდვათა გამო როდი ამონებდა, არამედ იმის დაზუსტება ენადა, ჰასანს ზნეობრივი ძალები მოეპოვება თუ არაო. და აგერ, ახლა ჰასანმაც შესცოდა“.

თავზარდაცემული ზოია უსიტყვოდ უსმენდა მოლას. ახლა რაღა გადაარჩენდა ჰასანს, თუკი ამ მოლასავით კეთილი ადამიანებიც კი ავად იყვნენ განწყობილნი მისდამი. მარტოდმარტო იჯდა ბანზე დიდხანს და ფიქრობდა უცოდველსა და დაუძრახველ ჰასანზე, ახლა ამ საზარელ ხაროში რომ იტანჯებოდა. სიბრალულის თბილი ცრემლები თავისით სდიოდა. ზოია გულამოსკვნილი ტიროდა, შესაძლოა პირველად ტიროდა თავის სიცოცხლეში და მეტი აღარაფერი ახსოვდა.

მეორე დღით ზოია ყველაზე ადრე წამოდგა. ჰაერი აუტანლად ჩახუთული იყო ოთახის პანია კუნჭულში, რომელიც მას ეჭირა კნენებთან ერთად და რომელიც ემიჯნებოდა უფრო დიდ ოთახს, სადაც სხვებს ეძინათ.

ზოია გარეთ გავიდა. გაიხადა თავისი სა-

მოსელი და წყლის სიმცირის კვალობაზე მაინც მოახერხა განბანვა. სხეულს იხეხავდა ცივ წყალში ამოვლებული ჩვრით. „რაც შეგეხებათ თქვენ, ჩემო ფეხებო“, თქვა მან და ბოდიშის ნიშნად თავი ზრდილობიანად დაუკრა საკუთარ ფეხებს, „თქვენ უნდა მოიცადოთ მანამდე, ვიდრე შევხვდებით მუსიე შამილს!“

ისევ მოირგო თავისი სამოსელი და ბანზე ავიდა. ფერმკრთალი ზოლები განთიადისა ლივლივებდნენ ცაზე, აღმოსავლეთის მხარეს. ქვემოთ მდებარე მოედანი ჯერ ისევ ბნელში იყო ჩაფლული. ზოია ჩამოჯდა, პირისახით – შორეული თოვლიანი ქუდებისკენ, მზის პირველ სხივებქვეშ ვარდისფერი რომ დასდებოდათ. ერთადერთი კამკაშა ვარსკვლავიდა ჭახჭახებდა ეულად. თითქმის მთელ სამყაროს თითქოს სული შეჰგუბებოდა. მისი სიმშვიდე და მშვენიერება ატყვევებდა ადამიანს. ზოიამ თვალები დახუჭა. სინყნარე დაეუფლა მთელს მის არსებას და უხილავი სინათლით გააბრწყინა. თითქოსდა მოულოდნელად გაუღეს ვეება და ფართო კარიბჭე.

ახლოს აწონილი მინარეთიდან მოისმა ხმა მუეძინისა, რომელიც სალოცავად იხმობდა მართლმორწმუნეთ. ზოიას შეეძლო დაენახა ისინი თავიანთი სახლების ბანებზე, პირით – აღმოსავლეთისაკენ. მუხლებზე დაჩოქილნი ლოცულობდნენ და მკლავები მალლა აუშვირათ. ნეტავი ჰასანიც თუ ლოცულობსო? გაუელვა თავში ზოიას. ნუთუ ადამიანს ძალუძდა ლოცვა იმ ბნელ, საზარელ ხაროში? ვილაცამ უთხრა, დიახ, ჰასანიც ლოცულობსო. ზოიას გულზე მოეშვა.

მერე ხმაური მოესმა ქვემოდან. ჩაირბინა და მიეხმარა სალომესა და მარიამს ჩაცმა-დაბანვაში. ცხენების ჭიხვინი და მრავალხმიანი ყაყანი მოდიოდა მოედნიდან. წინა კარი ჩაკეტილი არ ყოფილა და კეთილმოსურნე მოლამ თავის დაკვრით შემოაბიჯა.

„მაცნენი მოვიდნენ ნუხელ დარღო-ვედენოდან“, საზეიმო ხმით გამოაცხადა მან. „ემსათში უნდა გავემგზავროთ“.

სახლიდან გამოსულმა ტყვეებმა დაინახეს, რომ პატარა მოედანი გადაჭედული იყო ხალხით. ასამდე შეიარაღებული ცხენოსანი ჩეჩენი მზად იყო, რათა ესკორტად გაჰყოლოდა ტყვეებს შამილის სასახლემდე. აულის მცხოვრებთა უმრავლესობაც მოსულიყო მათ გასაცხილებლად. კედლებთან შეგროვილიყვნენ და აევსოთ დაბალი ბანები. კაცმა რომ თქვას, ეს მთიელები ერთობ

მეგობრულად იყვნენ განწყობილნი ტყვეთა მიმართ და ახლა ბევრი მათგანი ხელს უქნევდა კნინებს, როდესაც ისინი დაიძრნენ.

ზოიას ყურადღება არ მიუქცევია, რომ ჰაჯი-ხერიეთი რალაცას ანიშნებდა მას. ერთი წუთითაც არ შორდებოდა სალომესა და მარიამს, რომლებიც უნაგირს მიაბეს. მარიამი თამამად გამოთქვამდა თავის აღმფოთებას: „რაინდები არასოდეს მიუბამთ ცხენზე!“, მაგრამ ბუზღუნით დამორჩილდა, როდესაც ზოიამ ხელი მოუთათუნა მხარზე: „ეს სწორია, ჩემო კეთილო! მაგრამ შენ ახლა დატყვევებული რაინდი ხარ“.

ზოიამ ბავშვთა უსაფრთხოება მოაგვარა და მერეღა მიუბრუნდა ჰაჯი-ხერიეთს. ქალმა შენიშნა, რომ მისი ცხენის აღვირი ვილაც უცნობს ეჭირა. ზოია შეჩერდა ჰაჯი-ხერიეთის წინ და ორმოსაკენ გაიხედა; „ჰასანი?“ – იკითხა ყრუდ.

ჰაჯი-ხერიეთმა ბრაზიანად აუქნია ხელი და აპირებდა მიშველებას ცხენზე შესაჯდომად, მაგრამ ზოიამ მოიშორა იგი. უნაგირს ორივე ხელი ჩასჭიდა და მარცხენა ფეხი ასწია. იმ კაცმა, რომელსაც მისი ცხენის აღვირი ეჭირა, ქალის ფეხი უზანგში მოათავსა.

ზოიას თავაზიანმა მადლობამ უსაზღვროდ გააცოფა ჰაჯი-ხერიეთი. მან უბრძანა იმ კაცს, მოგვეშორდიო და შემდეგ ზოია აახტუნა მიწიდან ისეთი ძალით, რომ ქალი ზემოდან დაენარცხა უნაგირს. ბრბოში სიცილი ატყდა და რამდენიმე ხმამ წამოიძახა: „ჯიგიტია, ჯიგიტია!“ ზოიამ იცოდა, რომ ეს კავკასიური სიტყვა ნიშნავდა უშიშარ მხედარს, ცხენთან ერთად სახიფათო ილეთებით რომ იწონებს თავს. კაბის ბოლო საჩქაროდ შემოიკეცა საჯდომქვეშ და ფეხების გარშემო, მერე კი დაძრა ცხენი. იღიმებოდა და ხელს უქნევდა ბრბოს, მაგრამ ვერ ბედავდა გახედვას ჰაჯი-ხერიეთისკენ.

ზოიამ და ჰაჯი-ხერიეთმა ყველაზე ბოლოს დატოვეს აული. ახლა ისინი მიჰყვებოდნენ გზას ბრტყელ, კლდოვან ქედზე, აულს რომ აკავშირებდა მაღალ, თოვლისქუდა მთასთან. ყველანი წინ წასულიყვნენ, ზოგი მათგანი უკვე ქედის მეორე მხარეზე იყო.

თავჩაღუნული ჰაჯი-ხერიეთი ზოიას უკან მოაჭენებდა ცხენს. დროდადრო უახლოვდებოდა ქალს, თავისი სქელი წარბები შეეკრა და არეულ-დარეული, ბნელი და ბოროტი ფიქრები უტრიალებდა თავში. მას სძულდა ეს ქალი, რადგანაც სწყუროდა და ვერაფრით ვერ დაედლია შმაგი წყურვილი,

რომელსაც იმით ხსნიდა, რომ იგი ნამდვილად ალქაჯი იყო, ასული შაითანისა. პირველი შეხვედრისთანავე მოაჯადოვა, როდესაც წინანდლის სასახლის კიბეზე მოჰკრა თვალი. ისე ჰანია და ნაზი იყო, ისეთი ჰაეროვანი, რომ მისი სათუთი და თეთრი კანის შეხებაც კი წარმოუდგენლად აღელვებდა მთიელ ვაჟკაცს. ზეგანზე რომ იყვნენ, მთვარის შუქქვეშ უნებურად უჩვენა თავისი გადმოყრილი ძუძუები და ლამის გონება დააკარგვინა. ჰაჯი-ხერიეთს უკვირდა, როდენ შეშინებული იყო ეს ქალი წინანდიდან მოტაცებისას და საიდან გაუჩნდა აწინდელი მედიდურობა და სიმამაცე? სიკვდილის შიშით უნდა ცახცახებდეს! ეშმას ნაშობისათვის რა იქნებოდა სიკვდილზე უარესი?! და ახლა, დარწმუნებული იმაში, სიკვდილს გადავურჩიო, თავხედი და გულადი შეიქნა. აულში თავმოყრილი ბრბოც კი მოაჯადოვა, და ეს იყო დამაგვირგვინებელი საბუთი მისი ჯადოქრობისა. არა! სჯობს, პირისპირ შეხედოს იმამის რისხვას; სჯობს, ხალხმა ვერასოდეს ვერ მიიღოს კანონიერი გამოსასყიდი, ვიდრე ნება მიეცეს ერთ წყეულ ჯადოქარს – თავისუფლად ინავარდოს ამქვეყნად! ხელი მოუჭირა სქელ ტყავის მათრახს და ზოიამ მხარს მიღმა თვალი შეავლო ჰაჯი-ხერიეთის ფანატიკურ მზერას და თავზარი დაეცა. ქალმა დეზი შემოჰკრა თავის ცხენს და შეშინებული ლამობდა გასხლტომოდა საფრთხეს.

მდევარს მკვლელობა სწყუროდა! ხმამაღლა რალაც შესძახა, მათრახი აღმართა და მთელი ძალ-ლონით გადაჰკრა ფერდზე ზოიას ცხენს.

ცხენი გაქანდა, კინალამ ძირს არ გადმოაგლო მხედარი. სასონარკვეთილმა ზოიამ აღვირი მოზიდა, მაგრამ თავაშვებული ცხენი გიჟური სიჩქარით წინ გაიჭრა და უეცრად ზოიამ თვალი მოჰკრა იმ კაცს, ცხენზე შეჯდომისას რომ ეხმარებოდა. იგი ქალის გადასარჩენად მოაჭენებდა ცხენს. მაგრამ ზოიას ცხენმა განზე გაუხვია და თავდაუზოგავად მოქუსლა უფსკრულისაკენ. გულგახეთქილი ზოია უცქერდა უფსკრულის პირს, რომელიც ხტუნვა-ხტუნვით ახლოვდებოდა. უნაგირიდან გადახტომა სალ კლდეზე ისევე საშინელი ეჩვენებოდა, როგორც ნაღდი სიკვდილი, რომელიც უფსკრულის პირას ელოდებოდა. ქალმა თვალები დახუჭა და ჩაეჭიდა თავისი უნაგირის წინა ტახტას. ცხენი ყალყზე შედგა, ჩეჩენი რალაცას უყვიროდა ზოიას, მაგრამ ქალს აღარაფერი ესმოდა,

ველარაფერს ხედავდა. ანაზდად მიხვდა, რომ უნაგირზე აღარ იჯდა. ალბათ ვკვდებო, – გაუელვა თავში, მაგრამ უმაღვე იაზრა, რომ ჰაერში მიფრინავდა, ხოლო კაცის ღონიერი მარჯვენა მაგრად ჩასჭიდებოდა მკლავში. მერე თვალში მოხვდა, რომ მისი ცხენი ზედ უფსკრულის პირას გაშეშებულიყო.

როდესაც მისი მხსნელი შეჩერდა და ხელი გაუშვა, ზოია ძირს დაეცა და მიწაზე გასრიალდა. სული ეხუთებოდა, პირისახე და ყელი ცივ ოფლს დაენამა.

კნენა ანამ ცხენი მიაჭენა ჰაჯი-ხერიეთთან, სახეზე ფერი წასვლოდა, თვალელებში მრისხანება ენთო. „მე შენ გაგაფრთხილე ტყეში, ახლა კი უთუოდ შევასრულებ, რასაც დაგპირდი! როგორც კი ჩავალთ დარღოვდენოში, შამილი ყველაფერს შეიტყობს!“

ჰაჯი-ხერიეთს კისერი თითქოს ჩაეძირა მხრებში. ფერიც დაკარგული ჰქონდა. როდესაც დაინახა, რომ ცხენი პირდაპირ უფსკრულისაკენ მიექანებოდა, თავის უნაგირზე გაქვავდა. ცრუმორწმუნე შიშმა დაზაფრა. მიხვდა, ტყვე-ქალი სასიკვდილოდ გავიმეტეო. ერთხანს გაქვავებული რჩებოდა, ერთადერთი ფიქრი უბურღავდა ტვინს: „ოჰ, ალაჰ! ის დაიღუპება ისევე, როგორც კნენას ჩვილი დაიღუპა“. უფსკრულს რომ ჩაეყლაპა ზოია, მყისვე მათრახს გადაუტყლაშუნებდა თავის ცხენს და უყოყმანოდ გადაჰყვებოდა სასიკვდილოდ განწირულ ქალს. მაგრამ ახლა, როცა დაინახა, მიწაზე უვნე-

ბლად გდიაო, მხოლოდ შიშილა შერჩა, შიში შამილის განრისხებისა. „ცოცხალია და სალსალამათი. ამაზე უკეთესს რაღას ინატრებს?!“ – ჩაიღრინა თავისთვის, ცხენი მიაბრუნა, მცირე მანძილზე მოაშორა იქაურობას და ზურგმექცეული გაირინდა.

ზოია ჯერ ისევ კანკალებდა, დამფრთხალ მზერას ვერ ამორებდა ცხენს, რომელიც მისმა მხსნელმა დაიურვა და ზოიასკენ მოჰყავდა. ფერდები აქაფებული ჰქონდა ოფლით. ზოიამ გაიფიქრა, კეთილმოსურნე მოლას შევეხვეწები, ვინმეს ზურგსუკან შემსვასო, მაგრამ იგრძნო, რომ ჩერნები გამომცდელად უმზერდნენ და გაახსენდა კნენა ბარბარეს სიტყვები: „თუ გამოიჩენ გულგრილობას ტანჯვისა და სიკვდილის მიმართ, ისინი მეტი პატივით მოგეპყრობიან“.

ზოიამ იცოდა, რომ უსათუოდ უნდა დაეძლია შიში და შემჯდარიყო თავის ცხენზე.


„ხელი მოუთათუნე! აჩვენე ცხენს, რომ მისი არ გეშინია!“ – შესძახა კნენა ანამ.

ზოიამ მორცხვად გაიშვირა ხელი ცხენისკენ. მაგრამ როგორც კი შეეხო, ცხენი დაფრთხა, სხეულის ყოველი კუნთი აუცახცახდა. მაშინ ზოიამ უფრო თამამად მოუთათუნა ხელი და პირუტყვი თანდათანობით მშვიდდებოდა. და როდესაც ზოიამ ლოყა მიადო კისერზე, უთქმელი ნდობა აღდგენილი იქნა.

თარგმნა თამაზ ნატროშვილმა



მოგეხსენებათ, აშშ-ში მცხოვრები ლიბანელი მწერალი, ე.წ. სირიულ-ამერიკული სკოლის წარმომადგენელი ჯიბრან ხალილ ჯიბრანი არაბულადაც წერდა და ინგლისურადაც. მისი „წინამორბედი“, რომელიც 24 წაწილისგან შედგება, ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა 1920 წელს. წიგნში თავმოკრილია ლექსები პროზად, იგავები, ზღაპრის სტილში დაწერილი პატარა ამბები, რაც ძალიან გვაგონებს 1918 წელს გამოსულ მისსავე წიგნს „შლეგი“. აქ ვხვდებით როგორც სახარებისა და სუფიზმის სიმბოლიკას, ისე ინდურ-სპარსული ლიტერატურის გავლენას. ჯიბრანი მისთვის ჩვეულ პოეტურ სტილს იყენებს. გონებას ბევრი რამის ახსნა არ შეუძლია. ამიტომ სული, სრულყოფილებასა და ჭეშმარიტებას რომ ესწრაფვის, შენ წინ მავალი, შენივე წინამორბედი და წინამძღოლი უნდა გახდეს. სიმშვიდით, სიხარულითა და სიყვარულითაა სავსე ეს წიგნი, რომელიც „შლეგთან“ და „წინასწარმეტყველთან“ (1923) შედარებით ნაკლებად პოპულარული იყო. ადამიანურ არსსა თუ ცხოვრების საზრისზე ჩაფიქრებული ჯიბრანის არაერთი შეხედულება სამივე წიგნში მეორდება, თუმცა ყველაზე სრულყოფილ სახეს ის მაინც „წინასწარმეტყველში“ იძენს. ჯიბრანის როგორც პოეტისა და ხელოვანის გენიალურობა „წინამორბედსაც“ უდავოდ გამოარჩევს.



ჯიბრან ხალილ ჯიბრანი

წინამორბედი

საკუთარი თავის წინამორბედი ხარ. კოშკები, რომელიც ააშენე, შენი გიგანტური არსების საფუძველია მხოლოდ. ეს „მეც“ საფუძველად იქცევა.

მეც საკუთარი თავის წინამორბედი ვარ – გრძელი ჩრდილი, განთიადისას ჩემ წინ რომ იწელება, შუადღისას აუცილებლად ჩემ ტერფებზე აღმოჩნდება. სხვა განთიადი სხვა ჩრდილს გამიჭიმავს წინ და მერე ისიც მოგროვდება სხვა შუადღისთვის.

ყოველთვის საკუთარი თავის წინამორბედები ვიყავით და ვიქნებით. ყველაფერი, რაც მოვაგროვებ და რასაც მოვაგროვებთ, მხოლოდ თესლი იქნება ჯერ კიდევ მოუხნავი მინდვრებისთვის. მინდვრებიც ჩვენ ვართ და მხვნელებიც, მომკლებიც და მომკულნიც.

როცა სურვილი იყავი, მეც – შენსავით ნისლში მოხეტიალე სურვილი – იქვე ვხეტიალობდი. შემდეგ ვიპოვეთ ერთმანეთი და ჩვენი მონდომებიდან სიზმრები დაიბადა. ეს სიზმრები უსაზღვრო დრო და უკიდევანო სივრცე იყო.

როცა ცხოვრების მთრთოლარე ბაგეებზე ჩამოკიდებული უთქმელი სიტყვა იყავი, მეც – მეორე ჩუმი სიტყვა — იქვე ვეკიდე. ცხოვრებამ წარმოგვთქვა და წლებში გადავეშვივით ალელვებულნი წარსულის მოგონებებითა და მომავლისაკენ სწრაფვით, რადგან წარსული გამარჯვებული სიკვდილი იყო და მომავალი — სასურველი დაბადება.

ახლა ღმერთის ხელში ვართ. შენ მზე ხარ

მის მარჯვენაში, მე კი მინა – მის მარცხენაში. და მაინც, შენ – მანათობელი უფრო მეტად არ ანათებ, ვიდრე მე — განათებული.

ჩვენ — ცა და მინა – უფრო დიდ მზესა და მინას ვუდებთ დასაბამს. ყოველთვის საწყისი ვიქნებით.

საკუთარი თავის წინამორბედი ხარ, ჩემი ბალის ჭიშკართან გამვლელ უცნობო. მეც ჩემი თავის წინამორბედი ვარ, თუმცა ხეების ჩრდილში ვზივარ და თითქოს არც ვინძრევი.

ნეტარი

ერთხელ დიდებულ ქალაქ შარიაში უდაბნოდან ერთი მეოცნებე მოვიდა, რომელსაც, სამოსლისა და კვერთხის გარდა, არაფერი ებადა.

ულამაზესი ქალაქის ქუჩებში სეირნობდა, გაოცებული ათვალეიერებდა სასახლეებს, კოშკებსა და ტაძრებს. არაერთხელ სცადა, გამვლელებს გამოლაპარაკებოდა, ქალაქ შარიას შესახებ რაიმე ეკითხა, მაგრამ ვერავის ვერაფერს აგებინებდა, მათი ენა კი თავად არ ესმოდა.

შუადღისას ყვითელი მარმარილოთი ნაგებ შესანიშნავ შენობასთან შეჩერდა, რომლის კარში ხალხი დაუბრკოლებლად შედიოდა და გამოდიოდა.

„ეს ტაძარი უნდა იყოს.“ – გაიფიქრა და შენობაში შევიდა. მაგრამ როგორ გაოცდა, როცა თავი მდიდრულ დარბაზში აღმოაჩინა

ნა. მაგიდებთან შემომსხდარი კაცები და ქალები საჭმელ-სასმელს მიირთმევდნენ და მუსიკოსებს უსმენდნენ.

„არა, – თქვა თავისთვის მეოცნებემ, – ეს არ არის ტაძარი. ალბათ უფლისწულმა ხალხს წვეულება გაუმართა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად.“

ამ დროს მას ერთი კაცი მიუახლოვდა. სტუმარმა გაიფიქრა: „ეს უფლისწულის მონა იქნებაო.“ კაცმა სუფრასთან დაჯდომა შესთავაზა. ხორცი, ღვინო და საუკეთესო ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ.

მეოცნებე კარგად დანაყრდა და ნასასვლელად წამოიმართა, თუმცა კართან მას მდიდრულად გამონყობილი მაღალი კაცი შეეგება.

„ეს ნამდვილად უფლისწულიაო.“ – გულში გაივლო მეოცნებემ. თავი დაუკრა და მადლობა გადაუხადა.

მაღალმა კაცმა ქალაქელების ენაზე უთხრა:

– ბატონო, თქვენ სადილისთვის არ გადაგიხდიათ.

მეოცნებემ კი ვერაფერი გაიგო და ისევ გულითადი მადლობა მოახსენა. მაღალი კაცი ჩაფიქრდა, სახეში ჩააშტერდა სტუმარს. როცა მიხვდა, ასეთი სამოსის პატრონი ვერაფერს გადაიხდისო, ხელი ხელს შემოჰკრა და ხმამაღლა რაღაცა დაიძახა. ქალაქის ოთხი მცველი უმალ იქ გაჩნდა. ორ-ორი აქეთ-იქიდან ამოუდგა მეოცნებეს. ის კი მოხიბული იყო და ფიქრობდა: „რა კარგი ჩაცმულობა და მანერები აქვთ, რა შესანიშნავად უჭირავთ თავი, ნამდვილად გამოირჩეული, პატივსაცემი ხალხიაო.“

ასე იარეს, სანამ სასამართლოს არ მიადგნენ. შენობაში შევიდნენ. მეოცნებემ ტახტზე მჯდომი წარმოსადგეი კაცი დაინახა ტალღოვანი წვერითა და ზღაპრული მოსასხამით. იფიქრა, ალბათ მეფეაო. გაუხარდა, ასეთი პატივის ღირსი რომ გახდა.

მცველებმა ტახტზე მჯდომს, რომელიც სინამდვილეში მოსამართლე იყო, მოახსენეს, რაშიც ედებოდა ბრალი მოხეტიალე მეოცნებეს. მოსამართლემ ორი ადვოკატი იხმო, ერთი – ბრალმდებელთა, ხოლო მეორე – ბრალდებულის წარმომადგენლად. ადვოკატები რიგრიგობით წამოდგნენ, თავიანთი არგუმენტები ხმამაღლა წარმოთქვეს. მეოცნებეს ეგონა, ისინი მისასალმებელი სი-

ტყვით გამოდიოდნენ და გული მადლიერებით აევსო როგორც მეფის, ისე უფლისწულის მიმართ.

გამოიტანეს განაჩენი: დამნაშავესთვის მკერდზე დაეკიდათ ფიცარი, სადაც მისი დანაშაული იყო დანერილი, უუნაგრო ცხენზე შეესვათ და მთელი ქალაქი შემოეტარებინათ.

განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. დამნაშავეს წინ ორი კაცი გაუძღვა საყვირითა და დოლით. ცხენზე შემომჯდარი მეოცნებე ქალაქის ქუჩებში მიდიოდა. მესაყვირე და მედოლე მას წინ მიუძღოდნენ, ხალხი კი, ხმაურითა და ყვირლით აქეთ-იქით დახტოდა, ყველანი იცინოდნენ. ბავშვები ჯგუფებად ედევნებოდნენ დასჯილს, ქუჩიდან ქუჩაზე დაჰყვებოდნენ. მეოცნებეს აღფრთოვანებისგან თვალები უბრწყინავდა, რადგან გულზე ჩამოკიდებული ფიცარი მეფის კურთხევა ეგონა, ხოლო მთელი ეს პროცესია – მის საპატივცემულოდ გამართული მსვლელობა.

უამრავ ხალხში ერთი კაცი – მასსავით უდაბნოს მკვიდრი — გამოარჩია. გული სიხარულით აევსო და შესძახა:

– მეგობარო, მეგობარო, ეს სად აღმოვჩნდით?! ეს რა საოცნებო ქალაქია! რა ხელგამლილი ხალხი ცხოვრობს აქ! უფლისწული სასახლეში იღებს შემთხვევით სტუმარს, მეფე კი გულსაკიდით გამოარჩევს მას და მართლაც ზეციდან მოვლენილ სტუმართმოყვარეობას უჩვენებს.

მაგრამ „უდაბნოდან მოსულმაც“ კი არაფერი უპასუხა. მხოლოდ გაიღიმა და თავი ჩაქინდრა. პროცესიამ სვლა განაგრძო.

მეოცნებეს მაღლა აენია თავი. თვალებში სინათლე უბწყინავდა.

სიყვარული

როგორც ამბობენ, ტურა და თხუნელა ერთი წყაროდან იკლავდნენ წყურვილს იქ, სადაც ლომიც მოდიოდა დასარწყულებლად.

ამბობენ, არწივი და სვავი ერთ მძორს უნისკარტებდნენ და მკვდართან თანდასწრებითაც კი ერჩოდნენ ერთმანეთს.

ო, სიყვარულო,

შენმა დიდსულოვანმა ხელმა ჩემს ოცნებებს ლაგამი ამოსდო, ხოლო შიმშილი და წყურვილი ღირსებად და სიამაყედ მიქცია, ნუ დაუშვებ, რომ ძლიერმა და

მუდმივმა ჩემში ჭამოს პური და დალიოს ღვინო, რომელიც აცდუნებს

უფრო სუსტს ჩემში.

მიჯობს, ვიშიმშილო

გული კი წყურვილისგან გამომიშრეს, ვიდრე იმ ფიალისკენ გავიწვინო ხელი, რომელიც შენ არ ავივსია

ან იმ სუფრისკენ,

რომელიც არ გიკურთხება.

განდეგილი მეფე

მითხრეს, ტყეში, მთებს შორის ახალგაზრდა კაცი მარტოობაში ცხოვრობსო. ერთ დროს ის ორი მდინარის გადაღმა მდებარე დიდი ქვეყნის მეფე ყოფილა. კიდევ მითხრეს, რომ საკუთარი სურვილით დატოვა ტახტი, მისი დიდების მიწა და ტყეში გადასახლდა.

გადაწყვიტე, მეპოვა ის კაცი და გამეგო, გულში რა ედო, რადგან ვინც უარს ამბობს მეფის ძალაუფლებაზე, უფრო დიდია, ვიდრე თვითონ ძალაუფლება.

იმავე დღეს წავედი ტყეში, სადაც დასახლდა და ვიპოვე კიდევ თეთრი კვიპაროსის ქვეშ ჩამომჯდარი. ლერწამი სკიპტრასავით ეჭირა ხელში. მივესალმე როგორც მეფეს.

ის მომიბრუნდა და ალერსით მითხრა:

– რამ მოგიყვანა ამ ჩუმ და წყნარ ადგილას? მწვანე მცენარეების ჩრდილში დაკარგულ „მეს“ ეძებ? იქნებ შინისკენ მიიკვლევი გზას?

– მე მხოლოდ შენ გეძებ, რომ გავიგო მიზეზი – რატომ ამჯობინე ტყე მეფის ძალაუფლებას.

– ჩემი ამბავი ძალიან მოკლეა – გონს უეცრად მოვედი, გამოვფხიზლდიო თითქოს. ეს კი ასე მოხდა: ერთხელ სასახლეში ფანჯარასთან ვიჯექი. ჩემი კარის მრჩეველი და ერთი უცხო ქვეყნის ელჩი ბაღში დასეირნობდნენ. როცა ფანჯარას მოუახლოვდნენ, გავიგონე, მრჩეველი თავის თავზე როგორ ამბობდა: „მეფეს ვგავარ. მიყვარს მაგარი ღვინო და აზარტული თამაშები. მეფესავით მრისხანე ხასიათი მაქვსო.“ შემდეგ

ხეებს მიეფარნენ. ცოტა ხანში უკან გამობრუნდნენ. ამჯერად მრჩეველი ამბობდა: „ჩემი მბრძანებელი მეფე ყველაფერში მე მგავს – ჩემსავით კარგი მსროლელია, ჩემსავით უყვარს მუსიკა და დღეში სამჯერ განიბანებაო.“ ამის მერე დავტოვე სასახლე. მხოლოდ სამოსი წამოვიღე. აღარ მსურს ვიყო მათი მრძანებელი, ვინც თავის ცოდვებს მე მომანერს, ხოლო ჩემს ღირსებებს — საკუთარ თავს.

– გაოცებული ვარ. რა უცნაური ისტორიაა.

– სულაც არა, მეგობარო. ჩემი დუმილის კარზე დააკაკუნე და მხოლოდ უმნიშვნელო, წვრილმანი რამ დაინახე. ვინ არ მიატოვებს სამეფოს ტყის გულისთვის, სადაც წელიწადის დროები დაულაღვად ცეკვავენ და მღერიან? ბევრმა დათმო ძალაუფლება უფრო უმნიშვნელოსთვის, ვიდრე განმარტოების სიტკბოებაა. უამრავი არწივი ეშვება ციდან, თხუნელებთან რომ იცხოვროს და მიწის საიდუმლოებას ჩასწვდეს. ზოგი ოცნების საუფლოზე იმიტომ ამბობს უარს, რომ არ დაშორდეს იმას, ვისაც ოცნება არ ეხერხება, ზოგი სიშიშვლის საუფლოზე ამბობს უარს და სულს იმიტომ იფარავს, რომ შიშველი სიმართლითა და დაუფარავი სილამაზით სხვა არ შეარცხვინოს. და მაინც, ყველაზე დიდებული ალბათ ის არის, ვინც სევდის საუფლოზე ამბობს უარს, რომ არ გამოჩნდეს ცინიკოსი, ამპარტავანი.

შემდეგ კვერთხს დაეყრდნო, წამოდგა და თქვა:

– ახლა წადი დიდ ქალაქში, მის ჭიშკართან ჩამოჯექი და შემსვლელებს თუ გამომსვლელებს კარგად დააკვირდი. ისეთსაც დაინახავ, რომელიც, მართალია, მეფედ დაიბადა, მაგრამ სამეფო არა აქვს, და ისეთსაც, რომელიც დამორჩილებულია ხორციით, მაგრამ მბრძანებელია სულით, თუმცა არც თვითონ და არც მისმა ქვეშევრდომებმა იციან ამის შესახებ. დაინახავ ისეთსაც, ერთი შეხედვით რომ მბრძანებლობს, მაგრამ სინამდვილეში თვითონაა საკუთარი მონების მონა.

ამის შემდეგ გამიღიმა და მისი ტუჩები ათასობით განთიადმა გაანათა. გაბრუნდა და ტყის სიღრმეში გაუჩინარდა.

მე კი, როგორც მითხრა, წავედი, ქალაქის ჭიშკართან დაჯექი და გამვლელების თვა-

ლიერება დავინყე. დავინახე უამრავი მეფე, რომლის ჩრდილიც მეცემოდა და ცოტა ქვეშევდრომი, რომელთაც ეცემოდათ ჩემი ჩრდილი.

ლომის ქალიშვილი

ოთხი მონა ტახტზე ჩაძინებულ მოხუც დედოფალს ამასხარავებდა. დედოფალი ხვრინავდა. მის კალთაში კი კატა იზმორებოდა, თან ზარმაცი მზერით გასცქეროდა მონებს.

პირველმა მონამ თქვა:

– რა მახინჯია ეს ქალი, როცა სძინავს. ტუჩები ჰკიდია და ისე სუნთქავს, გეგონება ეშმაკი ახრჩობსო.

– მძინარე დედოფალს იმის ნახევარი სიმახინჯეც არა აქვს, ვიდრე თქვენ – ფხიზლებს. – წამოიკნავლა კატამ.

– ძილს უნდა შეემცირებინა მისი ნაოჭები ნაცვლად იმისა, რომ გაელრმავებინა ისინი. ცუდი სიზმარი ესიზმრება წამდვილად, — შენიშნა მეორე მონამ.

– ნეტა თქვენც შეგეძლოთ ძილი და თან თავისუფლების პირისპირ ჭვრეტა.

– გამოექომაგა დედოფალს კატა.

– იქნებ ისინი ესიზმრება, ვინც სიკვდილით დასაჯა. – ივარაუდა მესამემ.

კატამ კი დაიკრუტუნა:

– ის ახლა თქვენი წინაპრებისა და შთამომავლების მსვლელობას ხედავს.

– მასზე ლაპარაკი იოლია, - დასძინა მეოთხე მონამ, - მაგრამ ეს სულ არ მიიოლებს მისი დანიავეების საქმეს.

– იმქვეყნადაც მოგინევთ მისი დანიავება, რადგან რაც ამ მიწაზეა, იგივე იქნება ზეცაში. – არ დააყოვნა კატამ.

უეცრად შუა ძილში მოხუცმა დედოფალმა თავი წინ, მკერდისკენ დახარა და მისი გვირგვინი იატაკზე დაეცა.

– ეს ცუდის ნიშანია, - თქვა ერთ-ერთმა მონამ.

– ვილაცისთვის ცუდის, ვილაცისთვის კარგის. – გამოეხმაურა კატა.

– ახლა რომ გაიღვიძოს და დაინახოს, რომ გვირგვინი იატაკზეა, - შეეშინდა მესამეს, - წამდვილად სიკვდილს მოგვისჯის.

– ის დაბადებიდან ყოველდღიურად სიკვდილისთვის გიმეტებთ, თქვენ ვერც კი ხვდებით. – უპასუხა კატამ.

– სიკვდილს მოგვისჯის და ამას ღმერ-

თისთვის გაღებულ მხვერპლშენირვას დაარქმევს, - დაადასტურა მესამემ.

– მხოლოდ სუსტებს სწირავენ მსხვერპლად ღმერთს. – თქვა კატამ.

მეოთხე მონამ შეაწყვეტინა მათ საუბარი. ფრთხილად აიღო ძირს დაგდებული გვირგვინი და მზრუნველად დაახურა დედოფალს თავზე ისე, რომ არ გაეღვიძებინა

– მხოლოდ მონა თუ აიღებს დაგდებულ გვირგვინს. – არ ცხრებოდა კატა.

ამ დროს მოხუცმა დედოფალმა გაიღვიძა, დაამთქნარა და მიმოიხედა. შემდეგ თქვა:

– როგორც ჩანს, ჩავთვლიმე და ბებერ მუხაზე აცოცებული ოთხი მუხლუხო მესიზმრა. რალაც არ მომწონს ეს სიზმარი.

შემდეგ თვალეები მილულა და ისევ ჩაეძინა. კვლავ გაისმა ხვრინვა. ოთხი მონა კი განაგრძნობდა მის თავზე მარაოების ქნევას.

კატამ ისევ წამოიკნავლა:

– აქნიეთ, აქნიეთ, სულელებო. თქვენ მხოლოდ იმ ცეცხლს აღვივებთ, რომელიც მოცილებთ ბოლოს.

ტირანია

აი, რას მღერის გველი, ზღვის ნაპირზე შვიდ გამოქვაბულს რომ დარაჯობს:

ჩემი საბედო აქოჩრილ ტალღებზე მოცურდება. მისი ქუხილივით ხმა მიწას შიშით აავსებს. მისი ნესტოებიდან გამოვარდნილი ცეცხლი ცაში ხანძარს გააჩენს. მთვარის დაბნელებისას ცოლ-ქმარი გავხდებით. მზის დაბნელებისას კი წმინდა გიორგის გავაჩენ. და ის მომკლავს მე.

აი, რას მღერის გველი, ზღვის ნაპირზე შვიდ გამოქვაბულს რომ დარაჯობს.

წმინდანი

ერთხელ ჩემს ახალგაზრდობაში მთებს გადაღმა, მიყრუებულ ნაძვნარში ერთი წმინდა მამა ვინახულე. შემოქმედის ბუნებაზე ვსაუბრობდით, როცა მთის ქედზე ძლივს, ფორთხვა-ფორთხვით ამომავალი ყაჩალი შევნიშნეთ.

ნაძვნარს რომ მოაღწია, ბერის წინაშე მუხლებზე დაემხო და აღმოხდა:

– წმინდაო მამაო, მანუგეშე, ძალიან მძიმე ცოდვები მანევს.

– მეც მამძიმებს ცოდვები.

– ქურდი ვარ და მპარავი.

– მეც ქურდი ვარ.

– მაგრამ მე მკვლელი ვარ, – წამოიძახა ყაჩაღმა, – ყურში მიდგას იმ ხალხის კივილი, ვისი სისხლიც დავღვარე.

– მეც მკვლელი ვარ და ჩემი ყურები სავსეა იმათი გოდებით, ვინც მე მოვკალი.

– უამრავი დანაშაული მაქვს ჩადენილი, – იმეორებდა ყაჩაღი.

– მეც ბევრი ჩავიდინე. ყაჩაღი ფეხზე წამოდგა და გაოგნებული თვალს არ აშორებდა ბერს.

როცა კლდიდან ისკუპა და გაიქცა, წმინდა მამას ვკითხე:

– რატომ დაიდანაშაულეთ თავი იმაში, რაც არ ჩაგიდენიათ?

მიპასუხა:

– მართალია, აღარ სჯერა ჩემი, მაგრამ სამაგიეროდ დამშვიდებული წავიდა.

ამ დროს სიმღერა შემოგვესმა. ყაჩაღი მღეროდა... და ამ სიმღერის ექო მთელ დაბლობს სიხარულით ავსებდა.

პლუტოკრატი

ერთხელ ჩემი მორიგი მოგზაურობისას ერთ კუნძულზე ადამიანისთავიანი და რკინისჩლიქებიანი ურჩხული შევნიშნე. შეურყერებლად ჭამდა მიწას და სვამდა ზღვას. დიდხანს ვაკვირდებოდი. შემდეგ მივუახლოვდი და ვუთხარი:

– რატომ ვერ იკმაყოფილებ ვერასოდეს წყურვილსა და შიმშილს?

– მე უკვე დავენაყრდი, დავიღალე კიდევ ჭამა-სმით, მაგრამ მეშინია, ვაითუ ხვალ მეტი მიწა აღარ დარჩეს საჭმელად და მეტი ზღვა – დასალევად.

უფრო დიდი „მე“

აი, რა მოხდა ერთხელ:

როდესაც ნუფსილბაალი ბიბლუსის მეფედ აკურთხეს, ის თავის საძინებელში განმარტოვდა, სწორედ იმ ოთახში, მთის სამმა განდევილმა მისანმა რომ აუგო. მოიხსნა გვირგვინი, გაიხადა მეფის შესამოსელი, ოთახის შუაში დადგა და საკუთარ თავზე ჩაფიქრდა – ის ხომ ახლა ბიბლუსის ერთპიროვნული მმართველი იყო.

მაგრამ უცებ რას ხედავს?! დედის ნაჩუქარი მოვერცხლილი სარკიდან შიშველი კაცი გამოდის.

– რა გინდა? – დაუყვირა გაოცებულმა მეფემ.

– არაფერი. მხოლოდ ის მითხარი, მეფედ

რატომ გაკურთხეს.

– იმიტომ, რომ ყველაზე კეთილშობილი კაცი ვარ ქვეყანაში.

მაშინ შიშველმა უთხრა:

– შენ რომ ყველაზე კეთილშობილი ყოფილიყავი, მეფე არ გახდებოდი.

– გვირგვინი დამადგეს, – განაცხადა მეფემ, – რადგან უძლიერესი ვარ ამ ქვეყანაში.

– უფრო ძლიერი რომ ყოფილიყავი, – თქვა უცნობმა, – მეფე არ გახდებოდი.

– მეფედ მაკურთხეს, რადგან ყველაზე ბრძენი ვარ, – თქვა მაშინ მეფემ.

– მეტი სიბრძნე რომ გქონოდა, მეფედ ყოფნას არ აირჩევდი.

მეფე იატაკზე დაემხო და მწარედ ატირდა. შიშველმა ზემოდან დახედა, გვირგვინი აიღო, მზრუნველად დაადგა დახრილ თავზე, სიყვარულით გახედა და სარკეში შევიდა.

მეფე წამოდგა, სარკეში ჩაიხედა და საკუთარი გვირგვინით შემკული თავის მეტი ვერფერი დაინახა.

ომი და პატარა ერები

ერთხელ ერთ მინდორში ცხვარი და ბატკანი ძოვდნენ ბალახს. მათ თავზე მოშიებულნი არწივი ტრიალებდა, მსხვერპლს დაჰყურებდა. ის-ის იყო, კლანჭები უნდა ჩაევილო ბატკნისთვის, რომ მეორე არწივი გამოჩნდა და იმავე განზრახვით დაიწყო ნადავლის თავზე ფრენა. შემდეგ ორმა მეტოქემ ერთმანეთში წაიჩხუბა — განწირული ხმით ავსებდნენ ცას.

ცხვარმა ზემოთ აიხედა. ჯერ გაშტერდა, მერე ბატკანს მიუბრუნდა:

– რა უცნაურია, შვილო, რომ ორი კეთილშობილი ფრინველი ერთმანეთს ებრძვის. განა ეს უკიდევანო ცა განა საკმარისი არ არის ორივესთვის? ილოცე, ჩემო პატარავ, ღმერთს შესთხოვე, რომ ორ ფრთოსან ძმას შორის მშვიდობა დაამყაროს.

ბატკანმა გულში ლოცვა დაიწყო.

კრიტიკოსები

ზღვისკენ მიმავალ ერთ მხედარს დაულამდა და გზის განაპირას მდებარე პატარა სასტუმროსთან შეჩერდა. ადამიანებსა და სიბნელეს მინდობილმა, როგორც ზღვისკენ მიმავალ მხედრებს სჩვევიათ, ცხენი იქვე, კართან, ხეზე დააბა და სასტუმროში შევი-

და.

შუალამისას, როცა ყველას ეძინა, მოვიდა ქურდი და მოგზაურის ცხენი მოიპარა.

დილით კაცმა გაიღვიძა. აღმოაჩინა, რომ მისი ცხენი მოეპარათ. ძლიერ დალონდა იმის გამოც, რომ ცხენი აღარ ჰყავდა და იმის გამოც, რომ ვილაცამ გულში ქურდობა გადაწყვიტა.

სასტუმროს სტუმრები მის გარშემო შეიკრიბნენ და განკითხვა დაიწყეს:

– ასეთი სისულელე როგორ მოგივიდა? ცხენი საჯინიბოს გარეთ მიაბი?

– კიდევ უფრო მეტი სისულელე ისაა, რომ ცხენი არ დაბორკა.

– ყველაზე დიდი სისულელეა, ზღვისკენ ცხენით იარო.

– მხოლოდ ზარმაცი თუ წავა ცხენით, ან ის, ვინც ნელა დადის.

გაკვირვებულმა მეზღვაურმა წამოიძახა:

– მეგობრებო, იმის გამო, რომ ცხენი მომპარეს, თავს დამესხით და ერთმანეთს ეჯიბრებით, ვინ უფრო მეტად მისაყვედურებს. უცნაურია, რომ ცხენის ქურდზე ერთი აუცი არ დაგცდენიათ.

პოეტები

ოთხი პოეტი შემოხსდომოდა მაგიდას, რომელზეც ერთი ფიალა პუნში იდო.

პირველმა თქვა:

– ახლა ვფიქრობ, არა, თითქოს მესამე თვალით ვხედავ, როგორ იფრქვევა ჰაერში ამ ღვინის არომატი, ალბათ როგორც ჩიტების გუნდი — ჯადოსნური ტყის თავზე.

– მე შინაგანი სმენით მესმის იმ გამჭვირვალე ჩიტების ჭიკჭიკი, რაც ისე მიტყვევებს გულს, როგორც თეთრი ვარდი ატყვევებს ფუტკარს თავის ფურცლებში.

– მე ამ ჩიტებს ხელით ვეხები, - თქვა მესამემ. ხელი ასწია და თვალეები დახუჭა. – ვგრძნობ, როგორ ეხება მათი ფრთები ჩემს თითებს — მძინარე მზეთუნახავის სუნთქვასავით.

შემდეგ მეოთხე პოეტი წამოდგა, თასი აიღო და თქვა:

– სამწუხაროა, მეგობრებო. ჩანს, თვალს და ყურს დამაკლდა, შეგრძნებაც კი დამიქვეითდა. არ შემიძლია ამ ღვინის არომატის დანახვა, არც მისი სიმღერის მოსმენა. არ მესმის როგორ ფრთხილდებიან მისი ფრთები. მხოლოდ ღვინოს ვხედავ. ამიტომ

უნდა დავლიო. ის გამიმძაფრებს გრძნობებს და თქვენი ნეტარების სიმაღლემდეც ამიყვანს.

შემდეგ სასმისი ბოლომდე გამოცალა. მას მიაჩერდა გაცეცხისგან პირდაღებული სამი პოეტი, რომელთა მზერაში სრულიად არალირიკული ბრაზიც იგრძნობოდა.

ფლუგერი

ფლუგერმა უთხრა ქარს:

– რა დამლელი და მოსაწყენი ხარ! არ შეგიძლია, აქეთ-იქით არ იბოდილო და პირდაპირ სახეში დამიბერო? ვერ ხედავ, ჩემს ღვთივბოძებულ სიმტკიცეს რომ არღვევ?!
ქარმა არ უპასუხა. მხოლოდ ჰაერში გაიცინა.

არადუსის მეფე

ერთხელ ქალაქ არადუსის უხუცესები მეფის წინაშე წარსდგნენ და სთხოვეს, ხალხისთვის ღვინისა და სხვა მათრობელი სასმელის დაღვევა აეკრძალა.

მეფემ ზურგი შეაქცია და სიცილით განშორდა მათ.

უხუცესებიც უხერხულად გამობრუნდნენ. სასახლის ჭიშკართან მეფის კარის მთვარ მრჩეველს გადაეყარნენ. მან შენიშნა, უხუცესები დამწუხრებულნი რომ იყვნენ და გამოიკითხა მათი საქმე.

შემდეგ კი უთხრა:

– სამწუხაროა, მეგობრებო. მეფე რომ მთვრალი ყოფილიყო, აუცილებლად დააკმაყოფილებდა თქვენ თხოვნას.

ჩემი გულის სიღრმიდან

ჩემი გულის სიღრმიდან ჩიტი გამოფრინდა და ცაში აიჭრა.

რაც უფრო მაღლა ადიოდა, უფრო დიდდებოდა.

ჯერ მერცხალს ჰგავდა, შემდეგ – ტოროლას, შემდეგ – არწივს. ბოლოს გაზახულის ღრუბელს დაემსგავსა და მთელი ვარსკვლავებიანი ცა მოიცვა.

ჩემი გულიდან ჩიტი ცისკენ გაფრინდა. ფრენისას სიდიდეში იზრდებოდა. და მაინც, მას ჩემი გული არ დაუტოვებია.

ჩემო რწმენავ, გაუცნობიერებელი ცოდნავ, როგორც ავმაღლდე შენამდე ისე, რომ ადამიანის ზეცაზე გამოსახული მთელი

დიდებულება დავინახო?

ჩემში არსებული ზღვა ნისლად როგორ ვაქციო იმისთვის, რომ უსაზღვრო სივრცეში გამოგყვე?

როგორ შეძლებს ტაძრის კედლებში გამომწყვდეული ოქროს გუმბათის დანახვა?

როგორ უნდა გამოიღო ნაყოფის გული ისე, რომ მან თვით ნაყოფიც მოიცვას?

ჩემო რწმენავ, ჯაჭვით დაბმული, აბანოზის ხისა და ვერცხლის ღობით შემოსაზღვრული, ვერ მოვფრინავ შენთან ერთად.

გულიდან ინევ მალლა და ჩემი გული მაინც გიჭერს. სწორედ მასში ხარ და ესაა ჩემი ნუგეში.

დინასტიები

იშანას დედოფალი მშობიარობის ტკივილისგან იტანჯებოდა. მეფე „ფრთოსანი ხარების“ უზარმაზარ დარბაზში იჯდა და კარის დიდებულებთან ერთად სულმოუთქმელად და ღელვით ელოდა შედეგს.

დღის მიწურულს აქოშინებული მაცნე მოქანდა, მეფის წინაშე მუხლებზე დაემხო და თქვა:

– სასიხარულო ამბავი მოვუტანე ჩემს მბრძანებელს, მის მონებსა და მთელს სამეფოს. ბეთრუნის მეფე, თქვენი დიდი ხნის მტერი მიჰრბა დაუნდობელი გარდაიცვალა.

– ცოტა კიდევ რომ ეცოცხლა ძღვევამოსილ, სასტიკ მიჰრბას, აუცილებლად დაიპყრობდა იშანას, მის მკვიდრთ კი ტყვედ წაასხამდა. – აღმოხდა მეფეს დიდებულებთან ერთად.

ამ დროს დარბაზში სამეფო დაცვის თანხლებით კარის მკურნალი შემოვიდა, მეფის წინ დაემხო და თქვა:

– ჩემო მბრძანებელო, მეფე სამუდამოდ იცოცხლებს, უამრავ შემდგომ თაობაშიც განაგრძობს იშანას ხალხის მართვას, რადგან სულ ცოტა ხნის წინ შეგეძინათ ვაჟი – თქვენი მემკვიდრე.

მაშინ სიხარულმა დაათრო მეფე, რაკი ერთსა და იმავე დროს შეიტყო მტრის სიკვდილისა და ვაჟის, სამეფო გვარის გამგრძელებლის დაბადების შესახებ.

იმხანად იშანაში წინასწარმეტყველების ნიჭით დაჯილდოვებული კაცი ცხოვრობდა. ახალგაზრდა იყო და სულით მამაცი. იმ ღამეს სწორედ ამ კაცის მოყვანა ბრძანა

მეფემ და როცა წინასწარმეტყველი წარსდგა მის წინაშე, მეფემ უბრძანა:

– მომახსენე, რა ელის ჩემს შვილს, რომელიც ახლა დაიბადა, რათა დავუტოვო მას მთელი სამეფო.

– მისმინე, მეფე, – უყოყმანოდ უპასუხა წინასწარმეტყველმა, – მოგახსენებ, რაც ელის თქვენს ახალშობილ ვაჟს. გუშინ საღამოს გარდაცვლილი მტრის – მეფე მიჰრბის სული მთელი დღე ჰაერში დაჰქროდა. ბოლოს და ბოლოს იპოვა თავისთვის სხეული და იქ ჩასახლდა. ეს თქვენი ახლახანს მოვლენილი მემკვიდრის სხეულია.

მეფე განრისხდა და საკუთარი ხელით განგმირა წინასწარმეტყველი.

იშანას ბრძენკაცები დღემდე ჩურჩულებენ ერთმანეთში:

– ეს ხომ ცნობილია... ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან ამბობენ, რომ იშანას მტერი მართავს.

ცოდნა და ნახევრადცოდნა

მდინარის პირას მორზე ოთხი ბაყაყი წამოსკუპებულიყო. უეცრად მორი მდინარის დინებამ წაიღო და ის ნელ-ნელა დასცილდა ნაპირს. ბაყაყებს გაუხარდათ – აქამდე ხომ ასე არასოდეს ეცურათ.

– მართლაც საოცარი მორია, – როგორც იქნა ხმა ამოიღო ერთ-ერთმა, – ისე მოძრაობს, ცოცხალი არსება გეგონება. ადრე არც კი მსმენოდა ასეთი მორების შესახებ.

– არა, გეშლება მეგობარო, ეს მორი უძრავია, – უთხრა მეორემ, – მდინარეს მიაკვს ის და ჩვენც მივყავართ მასთან ერთად.

– არც მდინარე მოძრაობს და არც მორი, – თქვა მესამემ, – ეს მოძრაობა ჩვენს აზროვნებაშია. აზრის გარეშე არაფერი მოძრაობს.

სამმა ბაყაყმა ერთმანეთში დაიწყო დავა იმაზე, თუ სინამდვილეში რა მოძრაობდა. დავა უფრო და უფრო მძაფრდებოდა, მაგრამ კამათში ჩართულები საერთო აზრამდე ვერ მიდიოდნენ.

მაშინ მათ მიმართეს მეოთხე ბაყაყს, რომელიც მანამდე ხმას არ იღებდა, თუმცა ყურადღებით ისმენდა ყველაფერს.

მეოთხე ბაყაყმა თქვა:

– ყოველი თქვენგანი თავისებურად მართალია. არც ერთი ცდებით — მოძრაობა

მორშიცაა, წყალშიც და ჩვენს აზროვნებაშიც.

ასეთმა პასუხმა სამივე ბაყაყი საშინლად გააბრაზა. არც ერთ მათგანს შეეძლო იმის დაშვება, რომ დანარჩენი ორისგან განსხვავებით ბოლომდე მართალი არ იყო.

შემდეგ უცნაური რამ მოხდა – სამმა ბაყაყმა მოილაპარაკა და მეოთხე წყალში გადააგდეს.

თეთრი ქალღი

თოვლივით თეთრმა ქალღილის ფურცელმა თქვა:

– სუფთა შემქმნეს და ყოველთვის სუფთა ვიქნები. უმჯობესია დამწვან და თეთრ ფერფლად მაქციონ, ვიდრე ბნელსა და უსუფთაოს მივცე ჩემთან მოახლოების, ჩემი შეხების უფლება.

სამელნემ მოისმინა ფურცლის სიტყვები. თავის შავ გულში დასცინოდა, თუმცა მასთან მიახლოება ვერ გაბედა. ფერადმა ფანქრებმაც მოისმინეს ეს ნათქვამი, მაგრამ მასთან მისვლის გამბედაობა არც მათ ეყოთ.

დარჩა თეთრი ფურცელი სამუდამოდ სუფთა, შეუბღალავი... სუფთა, შეუბღალავი და... (ცარიელი).

მეცნიერი და პოეტი

გველმა უთხრა ტოროლას:

– ყველგან ფრენ, თუმცა მიწის იმ ღრმულებში შეღწევა არ შეგიძლია, საიდანაც სრულყოფილ სიჩუმეში ცხოვრების ნაკადულები მოედინება.

– ბევრი რამ იცი, – უპასუხა ტოროლამ, – მეტსაც გეტყვი, ბრძენთა ბრძენი ხარ, თუმცა ვაი, რომ ფრენა არ იცი.

გველი კი, ვითომ არაფერი გაუგიაო, განაგრძობდა:

– სიღრმეების საიდუმლოებას ვერ ჩასწვდები. მიწისქვეშა სამფლობელოს საგანძურს ვერასოდეს მიაგნებ. ის მნიფე ბრონეულის გულს ჰგავს და სინათლის ერთი სხივიც კი საკმარისია, რომ ალისფერ ვარდად გადაიქცეს. ჩემ გარდა ვინ შესძლებს ამ სასწაულის ნახვას?!

– ვერავინ, – უპასუხა ტოროლამ, – შენ გარდა ვერავინ შეეხება დროის ბროლის მახსოვრობას. უბრალოდ, სამწუხაროა, რომ გალობა არ იცი.

– მე ვიცნობ მცენარეებს, – აგრძელებდა

გველი, – რომლებსაც ფესვები მიწაში ღრმად აქვთ გადგმული. ვინც ამ ფესვების გემოს იგემებს, აშთართაზე მშვენიერი გახდება.

– ვერავინ, – მიუგო ტოროლამ, – შენ გარდა ვერავინ შეძლო მიწის საიდუმლო ჩანაფიქრისთვის ჩამოეხსნა საუბრველი. – მხოლოდ დასანანია, რომ ფრენა არ იცი.

– მთის ძირას მენამულ ფერად მოედინება ის, რისი დაღვევის შემთხვევაში ღმერთებივით უკვდავი გახდები. თუმცა არც ჩიტს და არც ცხოველს შეუძლია იმ შენაკადის მოძებნა.

– სურვილი რომ გქონოდა, შენც გახდებოდი ღმერთებივით უკვდავი. დასანანია უბრალოდ, რომ სიმღერა არ იცი.

– ერთი მიტოვებული ხეობა ვიცი, მივიწყებული გოლიათების მიერ აშენებული. ხანდახან მთვარის შუქზე მივდივარ ხოლმე იქ. მის კედლებზე დროისა და სივრცის საიდუმლოებებია ამოტვიფრული. ვინც წაიკითხავს, გაიგებს იმას, რაც ყოველგვარი გაგების საზღვრებს მიღმაა.

– თუ მართლა ისურვებდი, – უთხრა ტოროლამ, – დროისა და სივრცის შესახებ ყოველგვარ ცოდნას შენი მოქნილი ტანით გარს შემოევლებოდი, – დასანანია, უბრალოდ, რომ არ იცი ფრენა.

აქ კი ველარ მოითმინა გველმა:

– უტვინო მომღერალო! – ზიზღით ჩაისისინა, გაბრუნდა და შესრიალდა თავის ბუნაგში.

ტოროლა გალობით გაფრინდა:

– რა დასანანია, ჩემო ბრძენო, სიმღერა რომ არ იცი. რა სამწუხაროა, რომ ფრენა არ შეგიძლია.

ფასეულობები

ერთხელ ერთი კაცი საკუთარ მინდორში მიწას თხრიდა და შემთხვევით ულამაზესი მარმარილოს ქანდაკება იპოვა. ლამაზი ნივთების კოლექციონერს ნაულო და შესთავაზა, მოეყიდიო. ძვირიც დაუფასა. ასე დაშორდნენ ერთმანეთს.

კაცი შინ ფულით ხელში ბრუდებოდა და ფიქრობდა: „რამდენს ნიშნავს ეს ფული! როგორ უნდა მისცე ამდენი ფული მიწიდან ამოთხრილ, ათასი წლის წინ ჩამარხულ ქვის უსულო საგანში?!“

კოლექციონერი კი უყურებდა ქანდაკე-

ბას და ფიქრობდა: „რა სილამაზეა! მთელი ცხოვრებაა! სულის ნეტარებაა! ოცნებაა! ახალივითაა მიუხედავად ათასწლოვანი ტკბილი ძილისა. როგორ შეიძლება ეს გაყიდო - მკვდარ, უსიზმრებო ფულზე გაცვალო?!“

სხვა ზღვები

ერთმა თევზმა უთხრა მეორეს:

– ამ ზღვის თავზე კიდევ არის ზღვა. მასშიც დაცურავენ ცოცხალი არსებები და ცხოვრობენ ისე, როგორც ჩვენ ცვხოვრობთ.

მეორემ უპასუხა:

– სრული ილუზიაა! ხომ იცი, რომ ყველაფერი, რაც ამ ზღვას ტოვებს, კვდება, ერთი დუიმითაც რომ დაცილდეს მას. რით შეგიძლია დაამტკიცო, რომ სხვა ცოცხალი არსებები ცხოვრობენ სხვა ზღვებში?!

სინანული

ერთ უმთვარო ღამეს კაცი მეზობლის ებოში შევიდა, ყველაზე დიდი ნესვი იპოვა, მოიპარა და შინ წამოიღო.

გაჭრა, ნახა, რომ ჯერ არ დამწიფებულყო.

შემდეგ სასწაული მოხდა!!

კაცს სინდისი გაეღვიძა და მოინანია, რომ იქურდა.

მომაკვდავი კაცი და სვავი

ცოტაც მაცადე,

ჩემო მონადინებულო მეგობარო, ძალიან მალე მოვუღებ ბოლოს

ამ ფუჭ სიცოცხლეს, რომლის უსარგებლო და მოკაზმული აგონია მოთმინებას გიკარგავს.

შენს წრფელ შიშშილს

დიდხანს არ ვალოდინებ.

ეს ჯაჭვი, თუმცა სუნთქვითაა გაკეთებული, ძნელი გასაწყვეტია.

და სიკვდილის სურვილი,

ყველაფერზე უფრო ძლიერი,

სიცოცხლის წყურვილთან შედარებით

ყველაფერზე უფრო სუსტია.

მაპატიე, მეგობარო, ძალიან შევყოვნდი,

რადგან ხსოვნა ჩემს სულს აკავებს.

შორეული დღეების მსვლელობა,

ოცნებაში გატარებული ახალგაზრდობა,

სახე, თვალს რომ არ მახუჭვინებს,

არ მაძინებს და აღარ მასვენებს

ხმა, რომელიც სულ ყურში მიდგას,

ხელი, რომელიც ხელზე მეხება.

მაპატიე, რომ ამდენი ვალოდინე.

ახლა კი მორჩა, ყველაფერმა დაკარგა ფერი, ნისლმა მოიცვა სახე, ხმა, ხელი.

ყულფი გახსნილია

წართმეულია ის, რაც არც საკვებია და

არც სასმელი,

მომიახლოვდი, ჩემო მშვიერო მეგობარო,

გემი მზადაა,

მგზავრობის თანხა გადახდილია,

მცირე საგზალიც

სიყვარულით გაღებულ უკვე მზად არის.

მოდით, ჩაარქე ნისკარტი აი აქ, მარცხნივ,

გამოიყვანე გალიიდან პატარა ჩიტი,

რომელიც ფრთებსაც ველარ იქნევს.

მას შენთან ერთად ავიტაცებდი ცაში.

მოდით, მეგობარო,

შენი მასპინძელი ვიქნები ამაღამ,

შენ კი – ჩემი სასურველი სტუმარი.

ჩემი მარტოობის მიღმა

ჩემი მარტოობის მიღმა სხვა მარტოობაა და მისთვის, ვინც იქ იმყოფება, ჩემი განმარტოება ხალხმრავალი ბაზრის მოედანია, ჩემი სიჩუმე კი – ხმაური.

მეტად ახალგაზრდა და მოუსვენარი ვარ იმისთვის, რომ უმაღლესი მარტოობის მოსაძებნად გავემართო. ამ დაბლობის ხმები ისევე ატყვევებენ ჩემს სმენას. მისი ჩრდილები კი გზას მიღობავენ, ხელს მიშლიან მასთან განშორებაში.

ამ გორაკებს მიღმა არაჩვეულებრივი ნაძვენარია და მისთვის, ვინც იქ არის, ჩემი სიჩუმე ნამდვილი ქარიშხალია, ჩემი მომხიბვლელობა მოჩვენებაა, ხოლო ჩემი აღფრთოვანება – ილუზია.

ძალიან ახალგაზრდა და დაუმორჩილებელი ვარ იმისთვის, რომ ამ წმინდა ნაძვენარის მოსაძებნად წავიდე. სისხლის გემო მაქვს პირში, ჩემი წინაპრების მშვილდ-ისარი მაქვს მომარჯვებელი და ეს ხელს მიშლის წასვლაში.

ამ დამძიმებული „მეს“ მიღმა ჩემი თავისუფალი „მე“ ცხოვრობს, რომლისთვისაც სიზმრები მიმწუხრის თავდაუზოგავი ბრძოლაა, ხოლო სურვილები – ძვლების ტკაცატკუცი.

მეტად ახალგაზრდა და სულმდაბალი ვარ იმისთვის, რომ ვიყო უფრო თავისუფალი.

და როგორ მივალწევ ამას, სანამ საკუთარ ტვირთად ქცეულ „მეს“ არ ჩამოვიცილებ და

სანამ ყველა ადამიანი თავისუფალი არ გახდება?

როგორ გააჰყვებიან ქარს სიმღერით ჩემი ფოთლები, თუ ჩემი ფესვები სიბნელეში არ გახდება?

განა შესაძლებელია, ჩემს არსებაში მცხოვრები არწივი მზისკენ გაფრინდეს მაშინ, როცა ბარტყებს ჯერ კიდევ არ დაუტოვებიათ ბუდე, რომელიც მათ საკუთარი ნისკარტით ავუშენე?!

უკანასკნელი მცველი

უკუნეთ წყვილადში, როცა განთიადის პირველმა სიომ დაჰბერა, წინამორბედმა, ვინც თავის თავს ჯერ კიდევ არგაგონილი ხმის ექოს უწოდებს, დატოვა საძინებელი და სახლის სახურავზე აძვრა.

დიდხანს იდგა და დაჰყურებდა მძინარე ქალაქს. მაგრამ აი, თავი ასწია და, თითქოს ყველა მიძინებულის ფხიზელი სულები განლაგდნენო მის გარშემო, ალაპარაკდა:

მეგობრებო, ახლობლებო, და თქვენც, ყოველდღიურად რომ ჩაუვლით ხოლმე ჩემს კარს, მსურს, ჩაძინებულებს გაგესაუბროთ. თქვენი სიზმრების დაბლობზე გავივლი შიშველი და შეუბოჭავი, რადგან სიფხიზლეში უყურადღებონი ხართ, ბგერებით დამძინებულ ყურებს კი არაფერი ესმით.

დიდხანს და ძალიან მიყვარდით.

ერთი თქვენგანი მიყვარდა ისე, თითქოს ის ყველა ყოფილიყო და ყველა მიყვარდა ისე, თითქოს ერთადერთი ყოფილიყავით. ჩემი გულის გაზაფხულზე თქვენს ბალებში ვმღეროდი, ჩემი გულის ზაფხულში ვდარაჯობდი თქვენს კალოს.

ყველანი მიყვარდით - გოლიათებიცა და ჯუჯებიც, მირონცხებულებიცა და კეთროვნებიც, ისიც, ვინც ხელის ცეცებით დაძვრება სიბნელეში და ისიც, ვინც მთებს შორის ცეკვაში ატარებს დღეებს.

ძლიერო, შეგიყვარე იმის მიუხედავად, რომ ჩემს სხეულს დღესაც ატყვია შენი რკინის ნალების კვალი. შენც შეგიყვარე, სუსტო, იმის მიუხედავად, რომ რწმენა დამიშრიტე და მოთმინება ამომიწურე.

შეგიყვარე მდიდარო, თუმცა შენი თაფლი მწარე იყო ჩემი ბაგისთვის. და შენც, ღარიბო, თუმცა ჩემი ცარიელი ხელების საყვედური იყავი.

პოეტო, მოღუნული ბარბითითა და ბრმა თითებით, შემწყნარებლობისთვის შეგიყ-

ვარე, ისევე როგორც შენ, მეცნიერო, მექოთნის მიწებში მუდმივად თოვლის საბურველის შემგროვებლო.

შენც შეგიყვარე, სასულიერი პირო, გუმინდელი დღის სიჩუმეში ჩემი მომავლისთვის მლოცველო, და თქვენც, საკუთარი სურვილით წარმოსახულ ღმერთებს რომ ეთაყვანებით.

შენც მიყვარხარ მწყურვალე ქალო, რომლის თასიც სულ სავსეა, რადგან მესმის შენი. შენ კი, უძილო ღამეების მსახურო, თანაგრძნობის გამო შემიყვარდი.

ენანყლიანო, შემიყვარდი და თან ვამბობდი: „ცხოვრებას მეტი აქვს სათქმელი.“ შენც შეგიყვარე მუნჯო, თან ვჩურჩულებდი: „იქნებ მან თავის სიჩუმეში სწორედ ის თქვა, რასაც, ხმამაღლა ნათქვამს, სიამოვნებით მოვისმენდი.“

თქვენც კი შეგიყვარეთ მოსამართლე და კრიტიკოსო, თუმცა ჯვარზე გაკრული რომ დამინახეთ, თქვით: „როგორ თანდათან იცლება სისხლისგან და რა მშვენიერია ნითელი სისხლის ნაკვალევი ქათქათა კანზე.“

დიახ, ყველა შემიყვარდით, მოხუცებიც, ახალგაზრდებიც, მუხაც და მოცახცახე ლერწამიც.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი გულის სისავსის გამო პირი იბრუნეთ ჩემგან. არჩიეთ, სიყვარული თასიდან გესვათ და არა ტალღებად მომდინარე მდინარიდან. თქვენს ყურებს მხოლოდ სიყვარულის მიღებული ჩურჩული ესმით, და მაშინ, როცა სიყვარული მთელი ხმით ყვირის, თქვენ ყურებს იხშობთ.

და რადგან ყველანი მიყვარდით, თითოეული თქვენგანი ამბობდა: „მეტად თბილი და დამთმობია მისი გული, მეტად იღუმალია მისი გზა. ეს იმ გაჭირვებულის სიყვარულია, სამეფო სუფრასთან მჯდომი უკანასკნელ ნამცეცებს რომ აგროვებს. ეს სულმოკლე კაცის სიყვარულია, რადგან ძლიერს მხოლოდ ძლიერი უყვარს.“

და იმის გამო, რომ უზომოდ შეგიყვარეთ, თქვით: „ეს ხომ იმ ბრმის სიყვარულია, რომელიც ვერც ერთის სილამაზეს ხედავს და ვერც მეორის სიმახინჯეს. ეს იმ პირმიგემოდაკარგულის სიყვარულია, რომელიც ძმარს ისე სვამს, თითქოს ღვინო იყოს. ეს ხომ თავდაჯერებულის, თავხედისა და უტიფარის სიყვარულია, რადგან როგორ შეიძლება ვიღაც უცხო ჩვენი დედა, მამა, და და

ძმა გახდეს?”

ასე ლაპარაკობდით, მაგრამ არც ეს იკმარეთ. სავაჭრო მოედანზე ხშირად თითს იშვერდით ჩემზე და ამბობდით: „აი, მოდის ადამიანი, არც ასაკი ეტყობა, არც დაკაცება. შუადღისას ჩვენს ბავშვებთან თამაშობს, დღის მიწურულს კი უხუცესებს, ვითომ ბრძენებსა და შორსმჭვრეტელებს მიუჯდება.“

მაშინ ვთქვი ჩემთვის: უფრო მეტად მეყვარება ისინი, დიახ, უფრო მეტად. ჩემს სიყვარულს მოჩვენებითი სიძულვილით დავფარავ, ჩემს მგრძობიარობას – სიმკაცრით. რკინის ნიღაბს გავიკეთებ, შევიარაღებ და მხოლოდ მაშინ მოვძებნი.

და აი, მიძიმე ხელი დაგადეთ იარებზე და ღამით ამოვარდნილი ქარიშხალივით აგისმაურდით ყურებში.

სახლის სახურავიდან გამოვაცხადე, რომ ფარისეველები, პირმოთნეები, პირფერები, მლიქვნელები, მატყუარები და ყალბები, მიწის ცარიელი ბუმტულები ხართ.

ახლომხედველები არამყარი ნაბიჯისათვის შევაჩვენე, ხოლო მიწაზე დამხოებილები უსულო თხუნელებს მივამსგავსე.

მჭევრმეტყველნი ყბედებად მოვნათლე, მდუმარენი – ენაბრგვილებად, უბრალონი და გაუნაფავნი – მკვდრებად, არასოდეს რომ სწყინდებათ სიკვდილი.

ამქვეყნიურ ცოდნაზე მონადირენი როგორც სულიწმინდის შეურაცხყოფელნი, ისე განვსაჯე, მათ კი, სულის გარდა არაფრისთვის რომ იღწვიან, ჩვენებებზე მონადირეები ვუნოდე – თავიანთ ბაღეს არაღრმა წყალში გადაისვრიან და საკუთარი ანარეკლების გარდა ვერაფერს ინადირებენ.

ასე გსაყვედურობდით, მაგრამ ჩემი გული ამ დროს, სისხლისგან რომ იცლებოდა, გინოდებდათ ალერსიან სახელებს.

სიყვარულით მფეთქავი გული მოგმართავდათ. ნახევრადცოცხალი სიამაყე ბორგავდა მტვერში. ჩემი სურვილი თქვენი სიყვარულისა მოუსვენრობდა სახლის სახურ-

ავზე მაშინ, როცა ჩემი სიყვარული, მდუმარედ მუხლმოყრილი, პატიებას გთხოვდათ. მაგრამ მოხდა სასწაული!!

ჩემმა ნიღაბმა თვალი აგხილათ – სწორედ ჩემმა მოჩვენებითმა სიძულვილმა გააღვიდა თქვენი გულები.

და ახლა გიყვარვართ.

თქვენ გიყვართ ხანჯლები, რომლებიც გებრძვიან და ისრები, შიგ გულში რომ გესობიან, რადგან გიყვართ, როცა დაჭრილები ხართ და მხოლოდ მაშინ თვრებით, როდესაც საკუთარი სისხლიდან სვამთ.

ყოველდღე ჩემს ბაღში შეკრებილები იმ ფარვანებს ჰგავხართ, ცეცხლის ალში სიკვდილს რომ ეძებენ. სახეს მაღლა სწევთ, ანთებული თვალებით მაკვირდებით, როგორ ვატყვევებ თქვენს დღეებს, და ერთმანეთს ეჩურჩულებით:

„მისი მზერა ღვთაებრივი ნათლითაა განათებული. ისე ლაპარაკობს, როგორც ძველი წინასწარმეტყველები. ჩვენი სულების საფარველს ხსნის, გულებს გვიშლის და ისე წარმართავს ჩვენს გზას, როგორც მელიებს ის სავალი ბილიკების მცოდნე არწივი.“

მართლაც ვიცნობ თქვენს გზებს, მაგრამ მხოლოდ ისე, როგორც არწივი იცის თავისი ბარტყების გზები. სიამოვნებით გაგიმხედდით საიდუმლოს, თუმცა საჭიროება და თქვენთან სიახლოვის დიდი სურვილი მაიძულებს თავი მოგაჩვენოთ, თითქოს გულწრფელი ვარ. იმის შიშით, რომ თქვენს სიყვარულს დავკარგავ, საკუთარ სიყვარულს სრულად არ ვამჟღავნებ.

მან უეცრად თავი ასწია, თითქოს ძილისგან გამოფხიზლდაო, ხელები გაშალა და თქვა:

– ღამე გავიდა. როცა გორაკებს განთიადი მოეფინება, ჩვენ, ღამის შვილები, დავიხოცებით. ჩვენი ფერფლიდან უფრო ძლიერი სიყვარული აღდგება, მზეში გაიცინებს და უკვდავი იქნება.

თარგმნა ნინო დოლიძე



XX საუკუნის რუსული პოეზიიდან

ალექსანდრ ბლოკი



ღამე, ქუჩა, აფთიაქი, ფარანი

ღამე, ქუჩა, აფთიაქი, ფარანი
და ნათება უაზრო და მკრთალი.
საუკუნის მეოთხედიც დაფარო,
ვერას შეცვლი, ხსნა არსაით არის.

მოკვდები და — უბრუნდები გავლილს.
დასასრული აღარაფერს უჩანს:
ღამე, არხის მოყინული ჭავლი,
აფთიაქი, ფარანი და ქუჩა.

არის ნუთები, როცა ქუხილი
საბედისწერო ვერ შეგაშინებს,
თუ ვინმემ მხარზე დაგადო ხელი,
თუ შემოგხედა ნათლად მაშინვე...

და ბნელ უფსკრულში ჩაიმარხება
ყოფითი დარდი უეცრად ყველა.
უფსკრულს სიჩუმის შვიდფერ სახებად
შემოადგება ზედ ცისარტყელა...

და ჰანგი ნორჩი, იდუმალ არის
მდუმარებაში მშვიდად მდინარი
შეარხევს სიმებს, ყოფით მძინარეს.
ჟღერს დაძაბული სული, ვით ქნარი...

ბორის პასტერნაკი



ზამთრის ღამე

ცრიდა და ცრიდა უსასრულოდ დედამინაზე
და ტრიალებდა ფანტელების კორიანტელი.
სანთელი ენთო მაგიდაზე,
ენთო სანთელი.

როგორც ზაფხულში ევლებიან
ცეცხლს ფარვანები
და ალისაკენ მიიწევენ შეკრულნი ჯარად,
აფრინდებოდნენ ფანტელები
გარეთ ფანჯარას,

ხოლო ქარბუქი ხელსაქმობდა
ფანჯრის მინაზე
და მინა თეთრი წრე-ისრებით
მოქარგა მთელი.

სანთელი ენთო მაგიდაზე,
ენთო სანთელი.

ოთახის ჭერი ნათდებოდა,
აჩნდა ჩრდილები
ხელთა და ფეხთა, ბედის
გადაჯვარედინების.

ცვიოდა წყვილი ფეხსაცმელი
კაკუნით, ერთად,
და სასანთლიდან ცვილის ცრემლი
კაბას ელვენთა.

იკარგებოდა ყველაფერი თანდათან ასე,
ჭალარა ბურუსს დაეფარა სამყარო ვრცელი.
სანთელი ენთო მაგიდაზე,
ენთო სანთელი.

კუთხიდან სანთელს უბერავდა,
ნდომა გზნებული
ანგელოზივით წყვილად შლიდა
ფრთებს ჯვრისებურად.

და თებერვალი თოვამი ასე
გავიდა მთელი.
სანთელი ენთო მაგიდაზე,
ენთო სანთელი.

ივან ბუნინი



მარტოობა

ქარი და წვიმა და ავდარი —
— ყინულის უდაბნოს თავზე.
აქ გაზაფხულამდე მკვდარია
ბაღები სიცოცხლით სავსე.
აგარაკს შემოვრჩი, მოლბერტთან
ბნელა და ფანჯრიდან ქარი
უბერავს. შენ ჩემთან მოგბეზრდა.

ნუხელ გაიხურე კარი.
ავდრიან სალამოს რა უცებ
მეგონე რატომღაც ცოლი.
მშვიდობით! რა გზაა, გავუძლებ.
გაზაფხულს დავხვდები ცალი.
დღეს გაუთავებლად უბერავს
ღრუბელთა ფარას და ფარას.
პარმალთან ნაწვიმი გუბეა,
წყალი შენს ნაკვალევს ფარავს.
რა მტკივნეულია ბინდბუნდი!
დღე მიდის, წყვდიადი რჩება.
მინდოდა მეყვირა: მობრუნდი,
მობრუნდი! მიგილე ჩემად!
მაგრამ ქალს დაკარგულს რას ელი,
ის წარსულს აღარ ცნობს, დალლი.
შენთებულ ბუხართან სასმელი..
ნეტა მაყიდინა ძალლი!

ანა ახმატოვა



ხელმწიფე ნაცრისფერთვალეზა

გმოსავდეს დიდება მარადი, ტკივილო,
შენ, დაუსაბამო!
ნაცრისფერთვალეზა ხელმწიფე მომკვდარა
ნუხელი სალამოს.

სულისშემხუთავი,
ელვარე მწუხრი შემოდგომას ებურა.
მიაბბო მეუღლემ ამბავი გულმშვიდად,
შინდაბრუნებულმა.

„თურმე, ნადირობას მომხდარა,
ამალა სულმთლად არეულა,
ერთ ბებერ მუხასთან უნახავთ
იმისი უსულო სხეული.“

ბრალი მის საცოდავ დედოფალს,
მოტირალს ცრემლები ღარავდა,
და თანაც ისეთი ნორჩია!
ერთ ღამეს სულ გაჭალარავდა“.

მითხრა, მოიძია ჩიბუხი,
აილო მან ბუხრის თავიდან.
ამალამ კვლავ ღამის ცვლაშია.
თავის სამსახურში ნავიდა.

მივალ, გავაღვიძებ გოგონას ჩემსას,
დამშვიდებით მძინარეს.
ნაცრისფერ თვალებში ჩავხედავ,
გზას მივცემ ცრემლების მძინარეს.

ფანჯრიდან მოისმის შრიალი,
ჩურჩული დაინყეს ალვებმა
და მეუბნებიან: „აღარ გყავს
ხელმწიფე ნაცრისფერთვალება!“

ვმუჭავ ხელებს შავ ვუალქვეშ... მესმის:
„რატომ ხარო დღეს ფერმკრთალი ასე?“
— იმიტომ, რომ იგი უმძიმესი
ნაღვლით ვათვრე და ბოლომდე ვასვი.

დავივინყებ? — როგორ? გაბარბაცდა.
ტანჯვისაგან მოელრიცა პირი.
ჩამოვრბოდი, მოაჯირსაც ავცდი.
დავედევნე ჭიშკრამდე და ვყვირი

სულთმობრძავი: „რაც გითხარი, ყველა
ხუმრობაა. ნახვალ — ვკვდები. დარჩი!
გაიღიმა მშვიდად, დამლუპველად,
მიპასუხა: „ნუ დგახარო ქარში!“

შენ გამომიგონე. არასდროს
არავინ ყოფილა იმგვარი.
იმგვარი ქვეყნად არსებობდეს,
შეუძლებელია.
ვერ გშველის ექიმი, პოეტმაც არ იცის,
შვება რით მოგგვაროს, —
დღე-ღამე მოჩვენება გამფოთებს,
შენი მძებნელია.

ჩვენ შევხვდით, როს იდგა
ის წელი წარმოუდგენელი,
როდესაც სამყარო იყო განწირული,
უკვე სულს ღაფავდა,
ირგვლივ ყველაფერი მძიმედ დათალხული,
ჭირმა დაანელა,

იყო ერთადერთი სიახლე —
სინედლე საფლავთა.

ჩანდა უფარნებოდ კუპრივით
ნევის მიწაყრილი,
კედლებად გარს გვერტყა ღამე გაუვალი,
წყვდიადი.
და სწორედ ასეთ დროს გიხმობდა
ჩემი ხმა დაღლილი!
მაშინ არ მესმოდა ბოლომდე,
რასაც ჩავდიოდი.

მოხვედი, თითქოსდა
ვარსკვლავის კვალდაკვალ იარე,
შენ იმ შემოდგომას
ტრაგიკულს მოჰყევი მძაფრი და
დაგიხვდა ის სახლი,
რომ არის ან უკაცრიელი
არე, საიდანაც დამწვარი ლექსები
ერთ გუნდად გაფრინდა.

ვისწავლე ცხოვრება ბრძნული და იოლი,
ზეცისთვის ცქერა და ღვთისადმი ლოცვა,
მწუხრისპირს ხანგრძლივად
ირგვლივ ხეტიალი,
ამაო ღელვა მსურს დავიცხრო როცა.

ხევში რომ შრიალებს აქ ოროვანდები,
ცირცელს ყვითელ-ნითელს
კუნწული შვენის,
მხიარულ ლექსებად გულში ხმიანდება
სიცოცხლე ხანმოკლე, ღამაზი ჩვენი.

ვბრუნდები, მილოკავს ხელისგულს
ფუმფულა,
ტკბილად მოკრუტუნე, ნაჩვევი კატა.
ტბისპირ სამხერხაოს ცეცხლი ანთებულა —
კოშკურის კაშკაში შორამდე ატანს.

ირღვევა სიჩუმე, სახურავს ყარყატი
თუკი დააფრინდა, იყვირებს ხარბად.
რომ დამიკაკუნო მომდგარმა ამ კართან,
ვეღარც კი გავიგებ შენს მოსვლას ალბათ.

არც მომკლა, არც მწყევლა, არც გამცა,
მხოლოდ თვალს მარიდებს, არ მღევს.
ვით შერცხვა, ბნელ ამბად გადასცა
მღუმარე ოთახის ლანდებს.

მთლად მოდრკა, ხმაც უფრო დაგუბდა,
თეთრ ხელებს ძალს ვამჩნევ მტკიცეს...
აჰ! ერთხელ იქნება, გამგუდავს,
გამგუდავს მძინარეს, ვიცი.

სიმღერა ბოლო შეხვედრისა

რა უმნეოდ ცივდებოდა მკერდი,
მაგრამ მსუბუქ ნაბიჯს ვდგამდი მთმენი.
მარჯვენაზე, გვიან დავაცქერდი,
მარცხენისა მეცვა ხელთათმანი.

მომეჩვენა საფეხური ბევრი.
იყო სამი, დამავიწყდა როდი.
შემოდგომურს ნეკერჩხალთა ტევრი
ხმას ისმენდა: „ერთად მოვკვდეთ, მოდი!

მე მოვტყუვდი ჩემი დანაკარგით,
ჩემი მწარე, ცვალებადი ბედით!“
ვუპასუხე: „კარგო, ჩემო კარგო,
ერთად მოვკვდეთ, მეც არ მინდა მეტი!“

ამ სიმღერამ თქვა შეხვედრა ბოლო.
სახლს ავხედე, იდგა ბნელი, მუქი.
საძინებელს ანათებდა მხოლოდ
განურჩევლად მოყვითალო შუქი.

ვენეცია

ოქროსფერი სამტრედია წყალთან,
წყალი — ლბილი — მომწვანოა, მქრქალი
და მარილით სავსე ნიავექარი
შლის ვინრო კვალს შავად ნაფერ ნავთა.
რამდენია სახე უცხო, ნაზი!
დახლზე ყველგან — ფერი ფერზე მეტი:
ლომი — წიგნით — ნაქარგ ბალიშებზე,
ლომი — წიგნით — მარმარილოს სვეტი.
ვით ტილოზე, რომ გაუძლო დროებს,
ცა ცივდება ლურჯფერგადასული,
და არ არის ვინრო — სივინროვე.
არც მხურვალე ნესტით გეკვრის სული.

რამდენი აქვს სათხოვარი
საყვარელ ქალს მუდამ!
აღარაფერს ითხოვს ქალი —
გადაყვარებული.

მიხარია, რომ ეს წყალი,
თვალთ რომ ჩაგიგუბდა,
უფერული

ყინულის ქვეშ გარდაცვალებულა.
და დავინყებ ლოცვას ასე —

ქრისტევე, დაიფარე! —
ეს საფარი სხივნათელი და მსხვრევადი ჩემი,
ხოლო შენ კი

ჩემს წერილებს კარგად მოუარე,
რადგან შთამომავლებისგან
განსასჯელი ვრჩებით;
რადგან ცხადად, მკვეთრად ჩანდე,

გერგო ეს უფლება,
იმათ თვალში — ბრძენკაცსა და
მამაცობის ჩამდენს!

განთქმულ ბიოგრაფიაში, როგორ შეიძლება,
სადმე გამოტოვებული ადგილები ჩანდეს?
მეტისმეტი სიტკბო მოსდევს

ამ მიწიერ სასმელს,
მეტისმეტად მჭიდრო არის
სიყვარულის ბადე,
დე, სახელი ჩემი დარჩეს,

მომავალში, როსმე,
მოხვდეს სახელმძღვანელოში და
შეგირდებამდე

მიადნოს! ნაღვლიანი ესმათ ლაპარაკი
და ღიმილი თვალთმაქცური

მოაფინონ არეს!
სიყვარულსა და სიმშვიდეს
არ მაღირსებ რაკი,

მომანიჭე მე დიდება სამუდამოდ მწარე!

მოდი მოსანახულებლად, გელი.
მოდი. ისევ ცოცხალი ვარ. მტკივა.
ვინ გამითბოს გაყინული ხელი.
ამ ტუჩებმა თქვეს „კმარაო!“ ცივად.

სალამოყამს სავარძელი ჩემი
ფანჯარასთან მიაქვთ. ჩანან გზები.
ო, მიზეზად ხომ არ, ხომ არ მრჩები
შფოთვის მწარე, საბოლოო გზების!

ქვეყნად რითლა შემაშინოს რამემ,
ფერმიხდილი, გაჭირვებით მქმენი.
საშინელი არის მხოლოდ ღამე,
როს თვალეები მესიზმრება შენი.

მარინა ცვეტაევა



ჩემს ლექსებს, ნანერს ჯერ კიდევ მაშინ,
რომ არც მეგონა თავი პოეტი,
შადრევნის შხეფებს - გაბნეულს ცაში,
ანდა ნაპერწკლებს უცხო რაკეტის.

ამ ეშმაკუნებს, მარბევებს ასე
საკმელში მთვლემი საკურთხევლისა,
ლექსებს სიკვდილზე, ყმანვილობაზე,
ნამკითხველი რომ ჯერ ვერ ელირსა.

მალაზიაში რომ არც ვინ ჰპოვებს,
და რომ რგებიან ამ მტვერში გდება,
ჩემს ლექსებს, როგორც ძვირფას
ლვინოებს,
მჯერა, თავისი დრო დაუდგება.

შეცდომა

როდესაც ფიფქი მოფარფატე ანაზდეულად,
ვარსკვლავის დარად
ციდან ვარდნას დაემონება,
დაგიცურდება ხელისგულზე
ცრემლად ქცეული,
ვერ დაუბრუნებ
თავდაპირველ ჰაეროვნებას.

როდესაც გვნუსხავს მჭვირვალეა
ჩვენ მედუზასი,
და მოგვინდება ჭირვეული ხელის ნავლება.
ნარეკვეთება ტყვეს შებორკილს
უეცრად სასო,
ჩვენს ხელისგულზე სასიკვდილოდ
მიინავლება.

როდესაც გვინდა, ფარვანები მობორილე
ვიხილოთ ნაცვლად ზმანებისა,
მინიერ ამბად,
სად ქრება მათი სამოსელი, ისევ იალებს?
ცისკრისფერ მტვერს-ლა დაგვიტოვებს
თითებზე ალბათ!

დაე, ფრინავდნენ კვლავ ფიფქები და
ფარვანები,
და მედუზასაც ნუ დალუპავ! სილაში დნება.
არ შეიძლება, სტაცო ხელი, თავი ანებე!
არ შეიძლება, ხელში გეპყრას შენი ოცნება!

არ შეიძლება, რომ უმნეო სევდას უბრძანო:
— „იქეც სიგიჟედ, ვნების ცეცხლად,
გრძნობავ ფარულო!“
შეცდომა იყო სიყვარული ჩვენი უძალო,
მაგრამ ვერ ვცოცხლობთ, ჯადოქარო,
უსიყვარულოდ!

მომნონს, სნეული არა ხართ ჩემით,
მომნონს, არც მე ვარ თქვენით სნეული.
არასდროს ფეხქვეშ, ბრუნვას ნაჩვევი,
გაცურავს მინის მძიმე სხეული.
მომნონს, რომ ვიყო სასაცილო,
თავაშვებული; სიტყვით თამაში
რომ არ ვახელო;
ალმურის ტალღა რომ ავიცილო,
მეხება როცა თქვენი სახელო.

მე ისიც მომნონს, ჩემ თვალწინ როცა
მშვიდად ეხვევით უცხოს სრულიად;
არც ჯოჯოხეთის ცეცხლით ნარმხოცავთ,
რადგან არ გკოცნით; რომ შეგიძლიათ,
სახელი ჩემი არც დლით, არც ღამით
არც კი ახსენოთ, რა მალულია!
და რომ არც ტაძრად დადგება ჟამი,
დაგვაგალობონ ალილუია.

მადლობა გულით, მადლობა ხელით,
რომ არც კი იცით, გიყვარვართ ისე,
რომ ღამეობით ღელვით არ გელით,
რომ ზოგჯერ ვხვდებით სალამოს პირზე,
არმოსეირნეთ მთვარიან ღამით
რომ შუქი გვადგას არც მზისეული,
რომ, ეჰ, სნეული არა ხართ ჩემით,
რომ, ეჰ, არც მე ვარ თქვენით სნეული!

„ცივდება ორი მზე“

ცივდება ორი მზე, — ო, ღმერთო,
რას მერჩი!
პირველი — ზეცაზე, მეორე — ამ მკერდში.

ცივდება ორივე — აღარ მწვავს იმდენად!
მათში უცხელესი — ადრე გაცივდება.

ლოცვა

ქრისტე და ღმერთო! სასწაულს ველი
ახლა, ამ დილას. ვერ მიმიგნია.
ო, გვედრები, ახლავე მოვკვდე,
ვიდრე ცხოვრება ჩემთვის წიგნია.

ბრძენი ხარ. ვიცი, მკაცრად არ მეტყვი :
— „ ითმინე კიდევ! შენი დროც მოვა“.
თავად ამავესე წყალობით — მეტით!
მსურს ყოველი გზის ერთბაშად მოვლა!

მსურს ყოველივე: ბოშური სულით
სიმღერ-სიმღერით ვიავაზაკო,
სხვებისთვის მტანჯონ ორგანის ხმაზე,
ვიამორძალო მე საარაკოდ;

შავ კოშკში ვიჯდე ვარსკვლავთ მისანი,
ბავშვებს გავუძღვე, ვსერო ლანდები.
დღე გუშინდელი — იყოს ლეგენდა,
სიგიჟე იყოს — დღე დღევანდელი!

მიყვარს ჯვარი და მოვი და შალი.
წამიერია ეს სული — კვალი.
ტკბილი ბავშვობაც ხომ შენ მომმადლე,
გვედრი, ჩვიდმეტი წლისა მომკალი!

თუკი ფრთიანია სული დაბადებით,
რაა სრა-სასახლე ანდა ქოხმახები!
რაა ჩინგის-ხანი, რაა ურდოები!
სულ ორი მტერი მყავს, მწარედ რომ მეხება
— ტყუპი განუყრელი, ერთად რომ გაცხარდა:
შიმშილი — მშიერთა, სიმძღრე — მძღართა.

მოდიხარ, რა ძლიერ მგავხარ!
თვალი დაგიხრია ძირს.
მეც ასე მიყვარდა დახრა.
გამვლელი, შეჩერდი მყის!

ქათმის სიბრმავეთ და კონით
ხელში ყაყაჩოსი ძლივს
გაარჩევ წარწერას, მგონი,
„მარინა“, ამდენი წლის.

ნუ ფიქრობ, საფლავთან უნდა
დაგზაფრო, გავჩნდები როს.

თავადაც მიყვარდა მუდამ
სიცილი უდროო დროს.

მშვენოდა ალენილს რხევა
კულულებდაყრილი მხრის.
გამვლელი, ვიყავი! მე ვარ!
გამვლელი, შეჩერდი მყის!

ველური ღერები, ხილი
დაკრიფე! რაც უნდა თქვა,
საფლავის კენკრაზე ტკბილი
ან დიდი არ არის სხვა.

ოლონდ მჭმუნვარებით სავსე
მკერდამდე ნულა ხრი თავს,
ლაღად გაიფიქრე ჩემზე!
ლაღად დავინყება ხამს!

გახვეულს ოქროსფერ მტვერში
განათებს სხივების სხმა.
ნუ კრთები! არაფერს გერჩის
ამ მიწისქვეშიდან ხმა.

ნიკალაი გუმბილიოვი



ჟირაფი

დღეს, ვხედავ, მზერაში
როგორ მოგწოლია დარდი
და მუხლსმოხვეული ხელებიც
გაქვს ისე მკრთალი!
მისმინე: შორეთში, იქ,
სადაც ტბა არის „ჩადის“,
ტბისპირას ნატიფი ჟირაფი დადის.

რგებია განცხრომა და გრაციოზული ტანი
და კანზე — ჯადოსნურ ნახატებს
მოუცავს არე.

მათ რა შეედრება მშვენივრით, თუ არა ტბების
ვრცელ ზედაპირებზე

ნაზად მოლივლივე მთვარე!

სივრცეში ხომალდის ფერადი იალქნის დარი
მსუბუქად მიმორბის —

ვით ცაში ნავარდობს ჩიტი.

მე ვიცი, სასწაულს შესცქერის

ქვეყანა დიდი,

ის რომ მარმარილოს ეხში

დასამალად მიდის.

იდუმალ მხარეთა ზღაპრები გაიმბო, მინდა,
ქალწული შავტუხა ყრმა ბელადს

სატრფოდ რომ ჰყავდა,

მაგრამ შენ იმდენხანს ისუნთქე

მწუხარე ბინდი,

არ გინდა, გჯეროდეს რაიმე,

ამ წვიმის გარდა.

ან როგორ გაიმბო ამბავი ტროპიკულ ბალის!
იქ აღნაგ პალმებს და

ბალახებს სურნელი ასდის...

შენ სტირი? მისმინე...

შორეთში, იქ, სადაც ტბა არის „ჩადის“,
ტბისპირას ნატიფი ჟირაფი დადის.

სერგეი ესენინი



წერილი დედას

ცოცხალი ხარ, ბებრუცანავ ჩემო?
მეც — რა მიჭირს, სალამს გითვლი თუკი.
დე, განათდეს შენი ქოხის ჩერო
იმ სალამოს გამოუთქმელ შუქით!

მწერენ, თითქოს მღელვარებას მალავ,
ნაღვლიანი დღეც და ღამეც მელი,
სოფლის გზაზე გამოდიხარ მალ-მალ
ძველმოდური შენი მოსაცმელით.

ღამ-ღამობით სულ გასცქერი წყვილიადს,
და მუდმივად გელანდება თანაც,
დუქნის ჩხუბში შვილი მკვდარი გდია,
გულში ჩასცეს მას ფინური დანა.

მოიშორე, მშობლიურო, შფოთვა,
ეს სიმძიმე — მოჩვენება ავი.
არ ვარ ისე უსაშველოდ ლოთი,
სადაც მოვკვდე, დედის უნახავი.

ის სინაზე, ძველებური დამდეგს,
და ერთს ნატრობს გული მონაოხი,
რომ როგორმე გამოვექცე დარდებს
მომენატრა ჩვენი ციცქნა ქოხი.

დავბრუნდები, თეთრს რომ გაშლის ტოტებს
ჩვენი ბალი, მზისთვის გასაცინად,
ოღონდ ნულარ გამაღვიძებ, ოდეს
ირიჟრაჟებს, როგორც რვა წლის წინათ.

ნუ აღვიძებ ნაოცნებარს ახლა,
არამხდარიც დავივიწყოთ უკვე.
მეტისმეტი დანაკარგი, დაღლა
გამოსცადა ჩემმა სიჭაბუკემ.

ნულარც ლოცვას ნუ მასწავლი, კმარა,
ძველი გაქრა, დავიწყება უქადს.
შენ ხარ ჩემი ხსნა და შვევა მარად,
მეგულები გამოუთქმელ შუქად.

ჰოდა, კმარა, ნულარ დარდობ ასე,
ნულარ შფოთავ, ასე ნულარც მელი,
და მალი-მალ ნუ გადიხარ გზაზე.
ძველმოდური შენი მოსაცმელით.

* * *

კოფთა მტრედისფერი და თვალები ლურჯი.
სატრფოს მართალს ვუმალავ,
ენა დავიმუნჯე.

შემეკითხა: ქარბუქი აღარ იშლის ბოგინს?
დავანთებდი ლუმელს და
დავაგებდი ლოგინს.

ვუპასუხე სატრფოს: ახლა ვილაც მალლით
თეთრი ყვავილების თაიგულებს გვაყრის.

ჰო, დაანთე ლუმელი და დააგე ლოგინი.
ქარბუქია ამ გულში უკვე შენი ლოდინით.

უნდა შეძლო გაცინება, როცა დარდობ
და იდარდო, როცა გასაცინია,
გარეგნული გულგრილობა შეუფარდო,
როცა სულში შფოთვა არცთუ მცირეა!

ვნაღვლობ, როცა გიცქერი,
მზერას დარდი ეწვნის.
ტკივილია როგორი, სინანული თანაც!
როცა იცი, ფოთლები —
ეს სპილენძი ძეწნის,
დაგვრჩა სექტემბრისაგან,
სხვა თან ნაიტანა.

უკვე სხვისმა ტუჩებმა გააბნია, ვიცი,
სითბო შენი ტუჩების, თრთოლვა შენი ტანის,
თითქოს სული მიმკვდარი
სულმთლად გაგეცრიცა
და ცრის შენი სულიდან, წვიმამ გაატანა.

ჰოდა, რა გაეწყობა! არ მკლავს შიში მისი.
სიხარულის სხვაგვარის
მიყვარს ყველა გრამი.
განა დაგვრჩა იქიდან რამე სამერმისე?
რალაც ნესტიანობა და ყვითელი გვამი.

ვისზე რა ვთქვა, როდესაც თავი გავიწირე,
დავთმე ყოფა მშვიდი და გასალიმბელი.
გზა გავლილი —
ყოფილა თურმე რარიგ მცირე,
დაშვებული შეცდომა — არის რარიგ ბევრი.

სასაცილო ცხოვრების, სასაცილო გაყრის
ძველებური ამბავი გაგრძელდება იგი.
როგორც სასაფლაოზე, დაჩონჩხილი არყის
ძვლებით მოშენებულა ბაღში ხეთა რიგი.

და ჩვენც დავიყვავალებთ,
რატომ დავახანოთ
და ხმაურსაც დავიცხრობთ,
ვით სტუმრები ბაღის,
რაკი შუა ზამთარში არც ყვავილი ხარობს
მაშინ არარსებულზე არც წუხილი არ ღირს.

შაგანე

შაგანე, შენ ჩემო შაგანე!
ჩრდილოელობაა ალბათ, —
ჭვავის ველს გიყვები ამბად.
მთვარეში მლელვარეს ვიგონებ,
შაგანე, შენ ჩემო შაგანე!

ჩრდილოელობაა ალბათ
მიზეზი, ის მთვარე ამაზე
რომ ასჯერ დიდია; შირაზიც —
რიაზანს რომ ვერ შეედრება,
ჩრდილოელობაა ალბათ.

ჭვავის ველს გიყვები ამბად,
ეს თმებიც — ყანაა ჭვავის,
ტკივილსაც ვერ ვიგრძნობ მწვავეს,
თითზეც დაიხვიე, აბა!
ჭვავის ველს გიყვები ამბად.

მთვარეში მლელვარეს ვიგონებ,
ჩემი კულულები გეტყვიან.
ძვირფასო, ღიმილი გატყვია,
ოლონდ, დამავინყე, ილონე,
მთვარეში მლელვარეს ვიგონებ.


შაგანე, შენ, ჩემო შაგანე,
იქ, შორ ჩრდილოეთში, მგონი,
საშინლად გგავს ერთი გოგონა
და ალბათ კიდევაც მიგონებს...
შაგანე, შენ, ჩემო შაგანე!

შეხვედრამდე, მეგობარო, შეხვედრამდე!
ჩემო კარგო, ამ გულში გაქვს ბუდე.
გამიზნული განშორება, მინდა გნამდეს,
რომ შეხვედრას მოასწავებს მუდამ.


შეხვედრამდე, მეგობარო! არა — სიტყვა,
არა — ხელი,
წარბს ნუ ჭმუხნი, დარდებს გაუძელი!
ამა ქვეყნად სიკვდილია — არ ახალი,
თუმც სიცოცხლეც ამბავია ძველი.

თარგმნა ნინო ღარბაისელმა






მარო მაცაშვილი: დლიური. წიგნში შესულია დღემდე დაკარგულად მიჩნეული რვეულიც. „ლიტერატურის მუზეუმი“. თბ. 2014წ. 215გვ.



რუსული პოეზია: შეადგინა, თარგმნა და წინათქმა დაურთო **ლანა ლოლობერიძემ**. მარინა ცვეტაევას, ბორის პასტერნაკის, ანა ახმატოვას, ბელა ახმადულინასა და იოსიფ ბროდსკის თარგმანი (ლექსებთან ერთად წიგნში დაბეჭდილია მათი ორიგინალებიც). „ინტელექტი“. თბ. 2013 წ. 277გვ.



ინგლისური, ამერიკული და რუსული პოეზია; ინგლისურიდან და რუსულიდან თარგმნა ქეთევან ბუზარაშვილმა. წიგნში შესულია რობერტ ბერნსის, თომას მურის, ჯონ გორდონ ბაირონის, ედგარ ალან პოს, ჯეიმს ჯოისის, ივან კობლოვის, თეოდორ ტიუტჩევის, ათანასე ფეტის, ბორის პასტერნაკის, მარინა ცვეტაევას, იური ლოშიტის პოეზიის თარგმანები. „არტანუჯი“. თბ. 2011წ. 155გვ.




თანამედროვე ლიტვური პოეზია. შემდგენელ-რედაქტორი და ბზკარედის ავტორი **ნანა დევიძე**. მასში გაერთიანებულია 29 თანამედროვე ლიტველი პოეტის შემოქმედება. „ინტელექტი“. თბ. 2014წ. 194გვ.




ბერნარდ შოუ: კეისარი და კლეოპატრა. ინგლისურიდან თარგმნა **ერეკლე ტატიშვილმა**. პროლოგი თარგმნეს **პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა**. „ჩვენი მწერლობა“ 2014წ. 220გვ. თან ერთვის მთარგმნელის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.



ამირან არაბული, ეთერ თათარაიძე: „მაცეტრო და (არა მხოლოდ) ხევსურეთი“. თბ. 2014წ. „უნივერსალი“. 76 გვ. ნოდარ ანდლულაძის მონათხრობთა წინასიტყვის ფუნქციას ასრულებს ამირან არაბულისა და ეთერ თათარაიძის 2001 წელს დაწერილი წერილი. წიგნში უხვადაა გამოყენებული უნიკალური ფოტო მასალა.




თეიმურაზ დოიაშვილი: მოტირალ-მოცინარი. წიგნში გამოქვეყნებულია ბოლო ათწლეულში გამოქვეყნებული გამოკვლევები, წერილები, ესსეები და გამოხმაურებები, რომლებშიც მოცემულია ქართველი კლასიკოსების, აგრეთვე, თანამედროვე ავტორთა ტექსტების ანალიზი და შეფასება. რედაქტორი: ლევან ბრეგაძე. გამომცემლობა „სიტყვა“. 2013წ. 460გვ.



ლევან ბრეგაძე: თარგმანი და ორიგინალი. წიგნში გაერთიანებულია წერილები ქართულად თარგმნილი და ქართულიდან გერმანულად და ფრანგულად ნათარგმნი ტექსტების შესახებ. „არტანუჯი“. 2014წ. 331გვ.





ქართველ ებრაელთა ხალხური სიტყვიერება. ჩანანერი. როზა თავდიდიშვილი. რედაქტორ-შემდგენლები ამირან არაბული, ეთერ თათარაიძე. 181გვ. წიგნი ეძღვნება ქართველთა და ებრაელთა მეგობრობის იუბილეს და გამოცემულია „საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის“ მიერ 2014 წელს. აერთიანებს ზღაპრებს, ლეგენდებს, არაკებს, ანექდოტებს, შელოცვებს, ამბავს.




იოსებ მჭედლიშვილი: დღიურები (1924-1941). წიგნი მოიცავს რეპრესირებული პოეტის იოსებ მჭედლიშვილის (1888-1950) გადარჩენილ ჩანაწერებს. „ლიტერატურული მუზეუმი“. თბ.2014წ. 268გვ.

გიორგი ალიბეგაშვილი: „ლიტერატურული კონტექსტი“. თბ. 2014წ. 543გვ. რედაქტორი რევაზ სირაძე. წიგნს აქვს შემდეგი განყოფილებები — პოეზია, მობრობა, რომანი, ეპიკური პოემა, დრამა. ქართველ მწერლებთან — გალაკტიონ ტაბიძესთან, ილია ჭავჭავაძესთან, ვაჟა ფშაველასთან, შოთა ნიშნიანიძესთან, ბესიკ ხარანაულთან, ჯემალ ქარჩხაძესთან, გურამ დოჩანაშვილთან, შოთა რუსთაველთან, პოლიკარპე კაკაბაძესთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად განხილულია ომარ ხაიამის, ედგარ ალან პოს, რობერტ ბერნსის, ო'ჰენრის, აკუტაგავა რიუნოსკეს, სერვანტესის, ჩინგიზ აითმატოვის, ჰომეროსის, ვერგილიუსის, ბერტოლდ ბრეჰტის შემოქმედების ნიმუშები. წიგნი განკუთვნილია საშუალო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეების, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისა და ლიტერატურული ურთიერთობით დაინტერესებული მკითხველისათვის.



ზაზა ფირალიშვილი: მეგზური და მოხეტიალე (მედიტაციები პროზად. წიგნში თავმოყრილია ავტორის მიერ ბოლო წლებში გამოქვეყნებული შვიდი ესსე). „პსსი“. თბ. 2013წ. 197გვ.




ფრანკ ტრემელი: საქართველოს შესახებ (ინტერვიუები და ესეეები) თარგმანი გერმანულიდან ლევან ბრეგაძისა. „კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია“. თბ. 2012წ. 230გვ.



ზაზა ფირალიშვილი. ქართული კალენდოსკოპი. ეს წიგნი სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული წერილების კრებულია. მათი თავმოყრა არის მცდელობა იმისა, რომ კარგად ნაცნობ ისტორიულ ეპოქებსა და ისტორიულ პირებზე რეფლექსიით ერთხელაც შევეცადოთ, შევაფასოთ ის სიტუაცია, რომელშიც დღეს ვართ. გამომცემლობა „გლოსა“. 2015 წ. 152 გვ.



ბესო ხვედელიძე. ცხოველთა რვეული. ალეგორიული მოთხრობების კრებული. გამომცემლობა „გლოსა“. რედაქტორი ეკატერინე ჭკადუა. 2015 წ. 140 გვ.



ზურაბ სამადაშვილი. ექსპერიმენტი. მოთხრობების კრებული. ფაგომცემლობა „გლოსა“. რედაქტორი დავით აბულაძე. 2015 წ. 200 გვ.

2015

მ

ა

ნ

ა

შ

ბ

ს

ა

1

ISSN 1512-2433



9 771512 243001

ფასი 3 ლარი